

თამაზ ჯოლობუა

ნარკვევები
ლიტერატურული პორტრეტები
კუბლიკაციები

 არტანუჯი

რედაქტორი

ივანე ამირხანაშვილი

ISBN 978-9941-494-95-6

© თამაზ ჯოლოგუა

თბილისი, 2022

სარჩევი

ნარკვევები

ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა	7
ერთი დაკარგული აღმანახის შესახებ	74
მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკა“: რაობა, ძირითადი ასპექტები, შედეგები	79
შეთქმული ქალები	114
იასე ფალავანდიშვილი თბილისსა და უსტ-ცილმაში	145
ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართების საკითხისთვის ქართულ ჟურნალისტიკაში – XIX საუკუნის გამოცდილება	171
დიმიტრი ყიფიანი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ	191
სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის დასაზუსტებლად	195
ცხოვრება და ღვანლი დიმიტრი ყიფიანისა	202
1832 წლის შეთქმულების რაობისათვის	250
აკაკი წერეთლის „განთიადის“ დათარიღებისათვის	280

ლიტერატურული პორტრეტები

გრიგოლ დადიანი	289
ზურაბ ანტონოვი	293
მამია გურიელი	296
გიორგი შარვაშიძე	301
გიორგი ჭალადიძელი	306
დავით ერისთავი	314

იოსებ დავითაშვილი	318
ნიკოლოზ ბერძნიშვილი	322
ილია ჭავჭავაძე	329

პუბლიკაციები

ვასილ კირვალიძე. აკაკი	341
დიმიტრი ყიფიანი. დღიური 1857-1858 წლებისა.....	390
ბიბლიოგრაფიული ცნობები.....	470
შემოკლებანი.....	473

საძიებლები

პირთა.....	474
გეოგრაფიულ სახელთა.....	507

6563303030

ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა (1842-1848)

1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამ წერტილი დაუსვა იარაღის მეშვეობით საქართველოს გამოსწისა და აღდგენის იდეას, ამასთანავე, გამოიწვია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების, კულტურის უჩვეულოდ სწრაფი დაქვეითება – ამ დროიდან მოკიდებული ვიდრე 40-იან წლებამდე საქართველოში არ არსებობდა ეროვნული მიზანდასახულების არც ერთი მეტ-ნაკლებად ორგანიზებული საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულება, ქართული პრესა, ბიბლიოთეკა, თეატრალური წრე, მოიშალა სასტამბო და საგამომცემლო საქმე... იმდროინდელი საზოგადოების ინტელექტუალური სიმწირისა და ინერტულობის წარმოსადგენად, ვფიქრობთ, რამდენიმე ფაქტის დასახელება იკმარებს: 1835-1836 წწ. თვით ხელისუფლების მცდელობის მიუხედავადაც კი ვერ მოხერხდა თბილისში საგუბერნიო ბიბლიოთეკის დაარსება, ვინაიდან არ აღმოჩნდა რამდენიმე ათეული პირი, რომლებსაც ბიბლიოთეკით სარგებლობის სურვილი და მოთხოვნილება ექნებოდა (ბერძნიშვილი 1941: 160-162; აქტები 1881: 62-63), საზოგადოება სრული გულგრილობით შეხვდა ისეთ ზოგადკულტურული მნიშვნელობის მოვლენას, როგორც იყო 1841 წელს პეტერბურგში მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილისა და ზაქარია ფალავანდიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვა – მეორე ბეჭდური გამოცემა 1712 წლის ე. წ. ვახტანგისეულის შემდეგ (საკითხის გარშემო იხ. ბუაჩიძე 1983: 141-142; ბერძნიშვილი 1983: 187), არსებითად შეუმჩნეველი დარჩა ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოჩენა ლიტერატურულ ასპარეზზე და სხვ.¹

¹ საგულისხმოა 1830-1840-იანი წწ. მიჯნის საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური ვითარების იონა მუენარგაისეული

კარგ ტონად იქცა გვარების რუსულ ყაიდაზე გადაკეთება: მუხრანბატონი მუხრანსკი გახდა, ორბელიანი – ორბელიანოვი, ციციშვილი – ციციანოვი... განათლებულობაზე პრეტენზიის მქონენი არცთუ იშვიათად ერთმანეთს ბარათებს რუსულად სწერდნენ, ერთგვარ მოდად შემოვიდა ქართველი არისტოკრატი ქალების ჯვრისწერა რუს სამხედროებსა და ჩინოვნიკებზე... იმდროინდელ კულტურულ-ინტელექტუალურ და მორალურ კრიზისზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა ფრაგმენტი კონსტანტინე მამაცაშვილის სიტყვისა, რომელიც მან 1876 წელს „დროების“ 10 წლის იუბილეზე წარმოთქვა: „სამი-ოთხი თუ შევერთდებოდით და კრძალვით დავიწყებდით საზოგადო საქმეებზე, თუ ლიტერატურაზე ლაპარაკს, – ისიც დიდ ბედნიერებათა და გაბედვით მიგვანჩნდა“ (დროება 1876⁶). მაქსიმე ბერძნიშვილის შეხედულებით, „1832 წ. კატასტროფის შემდეგ ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიაში ერთგვარ „სიცარიელეს“ ვხედავთ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ახალგაზრდა და ენერგიული ძალები გასამართლების შემდეგ მეფის ხელისუფლებამ მიმოფანტა ვრცელი რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. აქ, საქართველოში, დარჩენილი კი ახლა, რეპრესიის შემდეგ, სრულიად დაფრთხა“ (ბერძნიშვილი 1980: 23).

მართალია, არსებობდა მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში იგი მაჩვენებელი იყო მხოლოდ კულტურული ძარღვის ფეთქვისა, ხოლო სისტემატური ლიტერატურული შეკრებებისა და ეროვნული იდეების წარმოშობის (გიორგი ერისთავის თეატრი, ჟურნალი „ცისკარი“ – ცაიშვილი 1940: 387) კერად იგი მხოლოდ 1840-იან წლებში იქცა. ზოგადი სავალალო სურათის შეცვლა

შეფასება: „სალამოდან ცისკრამდე მხოლოდ „დალიე“ ისმოდა და მრავალჯამიერის სიმღერისაგან ყურთა სმენა აღარ იყო“ (მეუნარგია 1954⁷: 200-201), მოგვიანებით იმავე ვითარებაზე ნიკოლოზ ბარათაშვილი დაწერს: „ტფილისის ისევე ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის...“ (ბარათაშვილი 1972: 113) და სხვ.

არც თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა მიერ რუსულ ენაზე შედგენილ ხელნაწერ ჟურნალს („Цветок Тифлисской гимназии“, 1835-1836 წწ.) შეეძლო და არც – პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემულ რამდენიმე მცირეტირაჟიან წიგნს (იოსელიანი 1838; იოანე შავთელი 1838; ჩახრუხაძე 1838; იოსელიანი 1840).

ერთი სიტყვით, 1840-იანი წწ. დასაწყისში ქართველი საზოგადოება დენაციონალიზაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ამ მხრივ სავსებით მართებული ჩანს არჩილ ჯორჯაძის შეხედულება: „პოლიტიკურად დასწეულებული ეროვნული სხეული დასწეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც. ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“ (ჯორჯაძე 1989: 103). „დეზორგანიზებული ეროვნული ცხოვრების“ გამოცოცხლების სერიოზული და მიზანმიმართული ცდები „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დაარსებით დაიწყო.

იდეა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დაარსებისა ეკუთვნის დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც საამისოდ ზრუნვა 1840 წელს დაუწყია: „1840 წლიდან შევუდექი კერძო ბიბლიოთეკის შექმნას შემდგომში მისი საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად გარდაქმნის მიზნით“ (ყიფიანი 1930: 167).² ასეთი მნიშვნელოვანი წამოწყების ორგანიზება მაშინდელ პირობებში, რასაკვირველია, ერთი და ორი დღის სამუშაო არ იქნებოდა. საჭირო იყო თანამოაზრეთა მოპოვება და შემოკრება, მომავალი მნიგნობრულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მიზანდასახულობასა და სტრუქტურაზე მსჯელობა, ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა რიგებში ისეთი სახელმწიფო მოხელეების ჩართვა, რომელთა იქ ყოფნა საორგანიზაციო საქმეებს გააადვილებდა, რაც მთავარია, ბი-

² „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ საზოგადოებრივად გადაკეთების სურვილი ჩანს „ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ზაქარია ფალავანდიშვილის, 1842 წლის 26 ოქტომბრის წერილშიც გიორგი (იური) ახვერდოვისადმი: „ჩვენ, დაახლოებით 20 კაცს, აზრად მოგვივიდა, დავაარსოთ კერძო ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ გადაკეთდება საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად“ (გურგენიძე 1969: 111-112).

ბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესაქმნელად სათანადო გზებისა და საშუალებების გამონახვა და ა. შ.

ასეა თუ ისე, მოსამზადებელი მუშაობა 1842 წლამდე გაგრძელებულა, თუმცა მოვუსმინოთ თვითონ დიმიტრი ყიფიანს: „მე ვიყავი მთავარ-მართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსი და ერთხელ, სამსახურის საქმის მოხსენების შემდეგ, ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინს (საქართველოს მთავარმართებელი 1838-1842 წწ. – თ. ჯ.) გამოუცხადე რამდენიმე ჩემი ტოლ-ამხანაგის სურვილი, რომ გვინდოდა დაგვეარსებინა კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვრთავდა თუ არა ამის ნებას. რა რომ მივიღე იმისი მხრივ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სრული თანხმობა, მეორე შემთხვევის დროს წარუდგინე მას „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედი: „ვამტკიცებ. გოლოვინი“, – აღარ დაგვიყოვნებია, ჩვენი სურვილის განხორციელებას შევედგომოდით“ (ყიფიანი 1930: 104-105).

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ მიზნებისა და სტრუქტურის მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოსადგენად აუცილებელია ყურადღების გამახვილება რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის საკითხზე: 1. ბიბლიოთეკის წესდებაზე; 2. ბიბლიოთეკის მესვეურთა ფართო საგანმანათლებლო ინტერესებსა და განზრახვლებაზე, რომლის გარეშეც კულტურის ეს კერა ვერ გასცდებოდა წმინდა წყლის საბიბლიოთეკო ხასიათსა და მასშტაბს; 3. ბიბლიოთეკის დამფუძნებელ და რიგით წევრებზე; 4. წიგნადი ფონდის დაკომპლექტების პრინციპებსა და პრაქტიკულ საშუალებებზე...

„ბიბლიოთეკის“ წესდება პირველად დედნის (რუსულ) ენაზე კოტე ყიფიანმა გამოაქვეყნა (ყიფიანი 1899). განმეორებითი პუბლიკაცია, ამჯერად ქართული თარგმანი, ეკუთვნის ი. ბალახაშვილს (ბალახაშვილი 1940: 175-179), საიდანაც იგი უცვლელად გადაღებული აქვს ნ. გურგენიძეს (გურგენიძე 1969: 107-111). ვინაიდან ი. ბალახაშვილის პუბლიკაციაში გამოტოვებულია

პრემბულა, აგრეთვე, თარგმანში გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამობა, აქ სრულად ვაქვეყნებთ წესდების ჩვენეულ თარგმანს იმ ავტოგრაფული ტექსტის მიხედვით, რომელიც ე. გოლოვინის მიერ 1842 წლის 22 სექტემბერს არის ვიზირებული (ყიფიანი 207):

„ტფილისში არ არსებობს საჯარო ბიბლიოთეკა. ახალგაზრდა ქართველი თავად-აზნაურები, რომელთაც მიღებული აქვთ სასკოლო განათლება, მოკლებულნი არიან საშუალებას, თვალი ადევნონ მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა სფეროსა და სამამულო ლიტერატურაში არსებულ ვითარებას. ამ ხარვეზის შეძლებისდაგვარად გამოსწორების მიზნით ზოგიერთნი გამოთქვამენ მზადყოფნას, წიგნების გამოსაწერად გაიღონ 30 მანეთი ვერცხლით და საკუთარი ხარჯით დააარსონ კერძო ბიბლიოთეკა, რომელიც, შესაძლებელია, დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად გარდაიქმნას.

საამისოდ ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლის, ინფანტერიის გენერლისა და კავალრის, ბატონი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინის ნებართვით დადგინდა შემდეგი წესები:

1.

როდესაც ზემოაღნიშნულ პირობათა საფუძველზე შეიკრიბება ხუთ წევრზე მეტი, ისინი თავიანთი რიგებიდან ირჩევენ სამ წევრს და მათ მიანდობენ წიგნების შერჩევასა და გამონერას. რაოდენობა წევრებისა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათს.³

³ წესდების გვიანდელ (ნაბეჭდ) ვარიანტს, რომელსაც დიმ. ყიფიანის ხელით თავფურცელზე რუსულად აწერია: „აქ ჩამოყალიბებული წესების საფუძველზე ბიბლიოთეკა იწყებს ხელმოწერებს 1946 წლისათვის“, ბოლოში დართული აქვს მისივე მინაწერი: „ბიბლიოთეკის დამფუძნებლებმა... პირველ პუნქტს დაუმატეს შემდეგი: ხელის მომწერებს პირველ ორ წელიწადს შემოაქვთ 30 მან. ვერცხლით, შემდეგ ორ წელიწადს – 15, ამის შემდეგ კი – 10 მან. ვერცხლით“ (ყიფიანი 218).

2.

თითოეულ ნევრს ნება ეძლევა, საკუთარი შენატანის ნახევრით, ე. ი. 15 მან. ვერცხლით, გამოაწერინოს მისთვის სასურველი წიგნები.

3.

გარდა სანევრო შენატანისა, ნებისმიერ ნევრს შეუძლია, ბიბლიოთეკას საკუთარი წიგნებიც გადასცეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს წიგნები პატრონსვე დაუბრუნდება: ბიბლიოთეკის დახურვის, აგრეთვე, გამგეობიდან ან საერთოდ ნევრობიდან მისი გასვლის შემთხვევაში.⁴

4.

წიგნები ნევრებზე გაიცემა იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც მოთხოვნა შემოვა.

5.

წიგნის გატანაზე დაწესებულია შემდეგი ვადები:

12⁰ ზომის წიგნზე 6 დღე.

8⁰ 8 დღე.

4⁰ 10 დღე.

ფოლიანტზე 12 დღე.

ეს ვადები დადგენილია მხატვრულ ლიტერატურაზე. *სასწავლო და სამეცნიერო წიგნებზე*⁵ კი ვადა ორი დღით გადაინევს.

⁴ გვიანდელ (ნაბეჭდ) ვარიანტში ამ მუხლს დამატებული აქვს: „პატრონის ან მისი მემკვიდრეების ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული, გავრცელდება თუ არა ამგვარ წიგნებზე ქვემოთ, მეჩვიდმეტე პუნქტში, მითითებული პირობა“ (ყიფიანი 218).

⁵ ჩვენ მიერ კურსივით აღნიშნული სიტყვები წესდების ავტოგრაფში ასეა: „...для книг классических“, ზემოთ მითითებულ ნაბეჭდ ვარიანტში – „...для книг учёных и учебных“, რომელიც დიმი. ყიფიანს გადაუშლია და ზემოდან მიუწერია „...для книг научных“.

6.

ვინც წიგნს სათარგმნელად ან მეცნიერული ინტერესებისთვის გაიტანს, წინასწარი ვადა არ დაუწესდება, მაგრამ იგი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში წიგნი ბიბლიოთეკაში დააბრუნოს.

7.

წიგნი წევრზე შეიძლება ქალაქგარეთაც გაიციეს, ოღონდ არა უმეტეს ორი თვისა და, ამასთანავე, ამ წიგნზე სხვა მოთხოვნა არ უნდა იყოს შემოსული.

8.

მოთხოვნილი წიგნი პირველ რიგში გაიცემა იმ წევრზე, რომლის ფულითაც არის იგი შექცენილი და მხოლოდ შემდეგ იმოქმედებს საერთო წესი.

9.

ვინც წიგნის დასაბრუნებლად დაწესებულ ვადას გადააცილებს, კარგავს უფლებას, თავისი საწევრო შენატანიდან საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს 15 მანეთი, ხოლო გამეორების შემთხვევაში საერთოდ კარგავს წევრობის უფლებას.

10.

ვინც წიგნს დაკარგავს, ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ჩამოერთმევა ერთი წლით. თუ იგი მომდევნო წელს მოინდომებს წევრობის აღდგენას, იხდის 35 მანეთს. ხოლო თუ სურს, საერთოდ არ დაკარგოს ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება, წიგნის დაკარგვისთანავე ცალკე უნდა შემოიტანოს 10 მანეთი ვერცხლით, მაგრამ თუ წიგნის ღირებულება აღემატება ხუთ მანეთს – გადასახდელი თანხა გაორმაგდება.

11.

გატანილი წიგნი სუფთად და დაუზიანებლად უნდა დაუბრუნდეს ბიბლიოთეკას. ვინც დაზიანებულ ან დასვრილ წიგნს

დააბრუნებს, ერთი კვირის განმავლობაში ამ წიგნის გაორმაგებული ღირებულების გადახდა დაეკისრება.

12.

ბიბლიოთეკას აქვს მის ხელთ არსებული წიგნების კატალოგი და სპეციალური ანბანი.

13.

ბიბლიოთეკას აქვს აგრეთვე ზონარგაყრილი დავთრები: ფულადი ანგარისშწორებისთვის; წიგნებზე განუული ხარჯებისთვის.

14.

საკითხი იმ პირის პასუხისმგებლობისა, ვისაც წევრები ბიბლიოთეკის მართვასა და თანხებს მიანდობენ, წინასწარ არ განისაზღვრება, ვინაიდან ბოროტგანზრახულება მისი მხრიდან ფიქრადაც ვერ იქნება დაშვებული, ხოლო ამ პირის ავადმყოფობის, არყოფნის ან კიდევ მისი მხრიდან აშკარა დაუდევრობის შემთხვევაში წევრები საკუთარი რიგებიდან მონაცვლედ სხვა პირს ირჩევენ.⁶

15.

ბიბლიოთეკით სარგებლობა იმ პირებსაც შეუძლიათ, რომლებიც მის დაფუძნებაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ თითოეულ გატანილ წიგნზე სალაროში შეიტანენ 15 კაპიკს, ამასთანავე, წიგნის რიგიანად შენახვის საგარანტიოდ დატოვებენ გირაოს – 10 მანეთს ვერცხლით.⁷

⁶ გვიანდელ (ნაბჭედ) ვარიანტში ეს პუნქტი მთლიანადაა ამოღებული და მის ნაცვლად წერია: „ბიბლიოთეკის სამუშაო წელი ნებისმიერ პირობებში მთავრდება 1 იანვარს“ (ყიფიანი 218: 1).

⁷ გვიანდელ (ნაბჭედ) ვარიანტში დიმ ყიფიანს ეს პუნქტი გადახაზული აქვს, ბოლოში კი მასვე მიუწერია: „საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით ბიბლიოთეკის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, საერთოდ ამოიღონ მე-15 პუნქტი“ (ყიფიანი 218: 5).

16.

ბიბლიოთეკის დახურვის შემთხვევაში წიგნები გაიყიდება ან ნევრთა საერთო თანხმობით გადაეცემა რომელიმე საზოგადოებრივი ხასიათის ან სასწავლო დაწესებულებას, ან კიდევ ბოლო წლის ნევრთა შორის განაწილდება წილისყრით.

17.

თუ წიგნები გაიყიდება, შემოსული თანხა თანაბრად განაწილდება ბოლო წლის ნევრთა შორის.

18.

ბიბლიოთეკას დაერქმევა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“. ტიტულარული მრჩეველი **ყიფიანი**⁸

წესდების პრეამბულაში დიმ. ყიფიანი, როგორც ვნახეთ, „ბიბლიოთეკას“ მოკრძალებულ მიზანს უსახავს – ახალგაზრდა ქართველ თავად-აზნაურებს სურთ, მეცნიერულ ცოდნასა და სამამულო ლიტერატურაში არსებულ ვითარებას თვალი ადევნონო. თავისთავად ასეთი, შედარებით ვიწრო, წმინდა წყლის საბიბლიოთეკო, კერის დაარსებაც მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა მაშინდელ პირობებში, მაგრამ, როგორც თვითონ წესდების ზოგიერთი მუხლისა და, რაც მთავარია, დამფუძნებელთა მიმონწერიდან ირკვევა, დიმ. ყიფიანსა და ამ საქმეში მის თანამოაზრეებს გაცილებით უფრო დიდი და შორს გამიზნული ამოცანები ჰქონიათ დასახული: ქართული ხელნაწერების მოძიება, თავმოყრა და დაცვა, მათი შესწავლა და გამოქვეყნება (ბერძნიშვილი 1941: 166; გურგენიძე 1969: 114-115), პერიოდული ორგანოს დაარსება (ბერძნიშვილი 1941: 166; ბერძნიშვილი

⁸ ნაბეჭდ ვარიანტში მე-18 პუნქტი უფრო სრულადაა: „ბიბლიოთეკას დაერქმევა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“. იგი დროებით მოთავსდება კოლეგიის ასესორ ყიფიანთან, რომელმაც თავს იდვა ბიბლიოთეკარობაც“ (ყიფიანი 218: 2).

1980: 75; ბუაჩიძე 1983: 134), მთარგმნელობითი და საკვლევა-ძიებო მუშაობისთვის ხელის შეწყობა (იხ. წესდების მე-6 მუხ-ლი)... ერთი სიტყვით, განზრახული იყო ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სალიტერატურო ცენტრის შექმნა.

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრთა რაოდენობასა და ვინაობაზე სხვადასხვა მონაცემი არსებობს. თვითონ დიმიტრი საკუთარი თავის ჩათვლით 21 პირს ასახელებს (ყიფიანი 1930: 105-106), კოტე ყიფიანი – 30-ს (ყიფიანი 1899). როგორც ჩანს, კ. ყიფიანს ხელთ ჰქონია „ბიბლიოთეკის“ 1843-1844 წწ. შემოსავალ-გასავლის წიგნი (ყიფიანი 211) და იქიდან ამოუკრებია 30 წევრის სია. ამ სიაში კი, გარდა დამფუძნებელი წევრებისა, ის პირებიცაა შეყვანილი, რომლებიც „ბიბლიოთეკას“ დაარსების შემდეგ რიგით წევრებად მიემატნენ. სინამდვილეში „ბიბლიოთეკას“ ჰყავდა 21 დამფუძნებელი წევრი. ვიმონებთ იმ რიგით, რა რიგითაც ისინი საბუთშია ჩამოთვლილი: დიმიტრი ყიფიანი, ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ზაქარია ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, კონსტანტინე დადიანი, ალექსანდრე ონიკაშვილი, ლევან მელიქიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თედორე კოცებუ, მიხეილ ზნაჩკო-იავორსკი, ნიკოლოზ ბეზაკი, კონსტანტინე ორლოვსკი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, დავით არზანოვი, სერგეი ვასილკოვსკი, დავით ჭავჭავაძე, ივანე ორბელიანი და გრიგოლ ორბელიანი (ყიფიანი 219: 1). დამფუძნებლებს მომდევნო წლებში რიგით წევრებად ცხრა პირი მიემატა: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე მუხრანბატონი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ალექსანდრე ნეიდგარტი, ივანე ნაზოროვი, ივანე აბესალომოვი, ვასილ ბელიაევი, ალექსი ბორზენკო, კონსტანტინე ზახი (ყიფიანი 211: 2-6). ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, წესდების დამტკიცების შემდეგ კიდევ რამდენიმე პირს გამოუთქვამს ამ საქმეში მონაწილეობის სურვილი:

იოსებ მამაცაშვილს, ივანე ანდრონიკაშვილს, დიმიტრი ორბელიანსა და ალექსანდრე საგინაშვილს (ციფიანი 219: 2), თუმცა რაღაც მიზეზით მათ ეს სურვილი ვეღარ განუხორციელებიათ – სიაში მათი გვარები აღნიშნულია, თუმცა შემდეგ გადახაზულია. ისინი არც 1843-1844 წწ. შემოსავალ-გასავლის წიგნში ჩანან, ხოლო რაც შეეხება პერიოდს 1844 წლიდან დახურვამდე (1848 წლამდე), რაიმე სხვა, დოკუმენტურად დადასტურებული, მონაცემი წევრთა შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

ზ. ფალავანდიშვილის ცნობით, „ბიბლიოთეკას“ სამი დირექტორი ჰყავდა (ბერძნიშვილი 1980: 74; წესდების პირველი მუხლი სწორედ სამი პირისგან შემდგარ ხელმძღვანელობას ითვალისწინებდა). ამათგან ერთი დიმიტრი ციფიანი (ციფიანი 1930: 106), მეორე – თვითონ ზ. ფალავანდიშვილი (ბერძნიშვილი 1980: 74), მესამე დირექტორი კი, მაქს. ბერძნიშვილის ვარაუდით, მიხეილ თუმანიშვილი უნდა ყოფილიყო (ბერძნიშვილი 1980: 75). ვფიქრობთ, ეს ვარაუდი სწორია. ყოველ შემთხვევაში, „ბიბლიოთეკის“ ფულად შემოსავლებს მ. თუმანიშვილი აწერს ხელს (ციფიანი 211: 4). ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალის მიხედვით, დირექტორთა ფუნქციები სავარაუდოდ ასე იყო განაწილებული: ბიბლიოთეკას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა დიმიტრი ციფიანი, რომელსაც ეხმარებოდნენ: ზ. ფალავანდიშვილი წიგნების გამოწერაში, შემოწირულობათა მიღება-დაბინავება-კლასიფიკაციასა და ზოგადად წიგნადი ფონდის დაკომპლექტებაში (იხ. ზ. ფალავანდიშვილის მიმოწერა: ბერძნიშვილი 1980: 74-75; ბერძნიშვილი 1983: 188-189; გურგენიძე 1969: 113-114; ბუაჩიძე 1983: 134-135), ხოლო მ. თუმანიშვილი – ფინანსური ოპერაციის წარმოებაში (ციფიანი 211). 1844 წელს მ. თუმანიშვილი ჩამოშორებულია „ბიბლიოთეკას“ [ყოველ შემთხვევაში, ამ წლის სიაში (ციფიანი 211: 5-6) იგი აღარ იხსენიება], 1845 წლის 10 ივლისს კი ზ. ფალავანდიშვილი გარდაიცვალა და, ამის შემდეგ დიმიტრი ციფიანი ერთპიროვნულად განაგებდა „ბიბლიოთეკას“ (ციფიანი 1930: 106).

ბიბლიოთეკა ოფიციალურად 1842 წლის 22 სექტემბერს დაარსდა (ყიფიანი 207), პრაქტიკულად კი მუშაობას 1843 წლის იანვრიდან შეუდგა (ყიფიანი 210). არსებობის ბოლო დღემდე იგი მოთავსებული იყო დიმ. ყიფიანის საკუთარ სახლში [ყიფიანი 1930: 106], სამების ეკლესიის გვერდით (საჯარო ბიბლიოთეკის უკან), გრაფის ქუჩაზე (ყიფიანი 1894: 83; იხ. აგრეთვე შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“].⁹ წიგნები გაიცემოდა ყოველდღიურად, გარდა კვირა- და სადღესასწაულო დღეებისა, ნაშუადღევს 3-დან 6 საათამდე (ყიფიანი 210).

მოღწეული მასალა არ იძლევა საშუალებას, „ბიბლიოთეკის“ წიგნად ფონდზე მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, თუმცა, რა მასალაც ხელთა გვაქვს, ისიც მეტყველებს დამფუძნებელთა ღრმა და მრავალმხრივ ინტერესებზე. კერძოდ, ეს არის „ბიბლიოთეკის“ მესვეურთა მიმონერა, აგრეთვე, შემორჩენილი სიები იმ წიგნებისა, რომლებიც პეტერბურგიდან გამოუწერიათ და მიუღიათ კიდეც (ყიფიანი 208; ყიფიანი 210).

ბიბლიოთეკა დაკომპლექტებული იყო ქართული, რუსული, დასავლეთევროპული – ძირითადად ფრანგული – წიგნებით, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს 1840-იანი წლების ქართული განათლებული წრეების ფრანკოფილურ ინტერესებზე, დამახასიათებელზე ზოგადად იმ პერიოდის რუსულ-ევროპული სამყაროსთვის. ინერდნენ აგრეთვე პერიოდულ გამოცემებს [რუსული: „Библиотека для чтения“ (ყიფიანი 210: 1), „Северная пчела“ (ყიფიანი 220: 2); ფრანგული: „Revue des deux mondes“, „Revue de Paris“, „Revue britannique“ (გურგენიძე 1969: 114), „Revue étrangère“ – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №733, ფ. 2) და სხვ.

⁹ ეს სახლი დიმ. ყიფიანმა 1850-იან წწ. გაყიდა და ამის შემდეგ იგი, მუდამ ხელმოკლეობაში მყოფი, სიცოცხლის ბოლომდე თბილისში ქირით ცხოვრობდა შიოვეის, მარკოზოვის, ფულინოვისა და სხვ. სახლებში.

ფონდების შევსება ხდებოდა როგორც ადგილზე შექმნილი და პეტერბურგიდან გამოწერილი ლიტერატურით, ისე შემონ-
ირულებებით. ასე, მაგალითად, „ბიბლიოთეკას“ საკუთარი ნაშ-
რომები შესწირა მარი ბროსემ (ბუაჩიძე 1983: 134), რომელიც,
ამას გარდა, ზ. ფალავანდიშვილის თხოვნით პეტერბურგში
იქნდა და თბილისში გზავნიდა მრავალფეროვან ლიტერატუ-
რას (ბუაჩიძე 1983: 134; გურგენიძე 1969: 113-114).

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ თავმოყრილი წიგნების
აბსოლუტური უმრავლესობა რუსული და ევროპული მხატვრუ-
ლი, საისტორიო, ფილოლოგიური, ფილოსოფიური, საბუნები-
სმეტყველო თხზულებებია. ყოველივე ეს უდავოდ მიუთითებს
„ბიბლიოთეკის“ მესვეურთა სწრაფვაზე რუსულ-ევროპული
კულტურისკენ (საინტერესო გარემოება: „ბიბლიოთეკაში“ უხვად
იყო გეოგრაფიული და სამოგზაურო ხასიათის ლიტერატურა,
რაც, თავის მხრივ, მკაფიოდ მეტყველებს რამდენიმესაუკუნო-
ვან იზოლაციაში ნამყოფი ქვეყნის შვილთა ლტოლვაზე სამ-
ყაროს შეცნობისაკენ). ამ მხრივ, ისინი ერთგულად მიჰყვებიან
სოლომონ დოდაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს,
რომლის მიხედვითაც, საქართველოში, „რომელიცა აქამომდე
წყვდიადსა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათა-
გან განათლებულის ევროპისათა“ (დოდაშვილი 1989^ბ: 214),
საჭირო იყო დაულალავი საგანმანათლებლო საქმიანობა „მი-
ახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“
(დოდაშვილი 1989^ბ: 235). ჩვენი მოღვაწეების ამგვარი სწრაფ-
ვა ევროპული კულტურის ათვისებისკენ განპირობებული იყო
იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხ-
ოვრების ევროპეიზაციის საერთო ტენდენციითა და თვითონ
„ბიბლიოთეკასა“ და მის მესვეურებს საკუთარი წვლილი შეჰ-
ქონდათ იმ პროცესში, რომლის შეუქცევადობასაც სასიცოცხ-
ლო მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ვიმონწმებთ ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ სიას იმ წიგნები-
სას, რომლებიც პეტერბურგიდან გამოუწერიათ და თბილისში

1843 წლის მარტში მიუღიათ (ყიფიანი 210; სია რუსულ ენაზეა შედგენილი):

1. ალ. პუშკინი. თხზულებები. II ნაწილი.
2. მ. ლერმონტოვი. ჩვენი დროის გმირი – 2 [ეგზემპლარი].
3. მ. ლერმონტოვი. ლექსები – 3.
4. რუსეთის კავკასიონსიქითა სამფლობელოების მიმოხილვა – 4.
5. შოპენის¹⁰ შენიშვნები – 1.
6. ვლ. ბენედიქტოვი. ლექსები – 2.
7. ალ. გრიბოედოვი. ვაი ჭკუისაგან – 1.
8. ა. მაიკოვი. ლექსები – 1.
9. რუსული ზნე-ჩვეულებები. ილუსტრაციები – 4.
10. ფან-დიმი.¹¹ ორი აწრდილი – 4.
11. ი. ლაჟეჩნიკოვი. ყინულის სახლი – 4.
12. ი. ლაჟეჩნიკოვი. უკანასკნელი ნოვიკი – 4.
13. მიხ. ზაგოსკინი. კუზმა [პეტრეს ძე] მიროშევი – 4.
14. დ. დეფო. რობინზონ კრუზო – 4.
15. ნ. კუკოლნიკი. ალფი და ალდონა – 4.
16. ნ. კუკოლნიკი. ეველინა და ვალეროლი – 4.
17. ა. ნოროვი. მოგზაურობა ეგვიპტესა და ნუბიაში – 2.
18. რომის პაპები – 1.
19. კ. ბაზილი. არქიპელაგი და საბერძნეთი [1830-1831 წლებში] – 2.
20. კ. ბაზილი. ბოსფორი და ახალი კონსტანტინოპოლური ნარკვევები – 2.
21. ნ. უსტრიალოვი. რუსეთის ისტორია – 5.

¹⁰ ეს არის ფრანგული წარმოშობის რუსი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი **ივანე შოპენი** (1798-1870), რომელსაც საქართველოსა და სომხეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული (ბროკჰაუზი-ეფრონი 1908: 789).

¹¹ რუსი მწერლის, **ელისაბედ კოლოგრიეოვას** (1809-1884), ფსევდონიმი.

22. ი. კრილოვი. იგავ-არაკები – 1.
 23. ს. ზელენოი. საუბრები ასტრონომიაზე – 1.
 24. ალ. სტეპანოვი. ფუნდუკი – 4.
 25. ალ. მიხაილოვსკი-დანილევსკი. 1812 წლის ომის აღწერა – 4.
 26. ალ. მიხაილოვსკი-დანილევსკი. 1813-1814 წლების ჩანაწერები – 1.
 27. ალ. მიხაილოვსკი-დანილევსკი. 1813 წლის ომის აღწერა – 2.
 28. ალ. მიხაილოვსკი-დანილევსკი. საფრანგეთში 1814 წლის ლაშქრობის აღწერა – 1.
 29. ალ. მიხაილოვსკი-დანილევსკი. ფინეთის [1808-1809 წლების] ომის აღწერა – 1.
 30. დაუჯერებელი ამბები – 3.
 31. პ. კამენსკი. მოთხრობები – 2.
 32. ვლ. სოლოგუბი. ძილის წინ – 1.
 33. პეტრე დიდის ისტორია – 15 რვეული.
 34. ფრ. ლორენცი. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო.
- I ნაწ.
35. შ. მონტესკიე. კანონთა სულის შესახებ – 3.
 36. მოგზაურობა წმინდა ადგილებში – 3.
 37. სამხატვრო გალერეა – 3.
 38. ფ. ვრანგელი. მოგზაურობა ციმბირში – 3.
 39. ნ. გოგოლი. რევიზორი – 1.
 40. ნ. გოგოლი. მკვდარი სულები – 1.
 41. ჩ. დიკენსი. ოლივერ ტვისტი – 1.
 42. დ. შელესოვი. სოფლის მეურნეობის კურსი – 6 რვეული.
 43. ნაპოლეონის ისტორია – 1.
 44. სამართლისმცოდნეობის ენციკლოპედია – 2.
 45. ფელდმარშალთა ბიოგრაფიები – 4.
 46. ასი რუსი ლიტერატორი – 2.
 47. ენციკლოპედიური ლექსიკონი – 13.

48. ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი – 1.
49. ჩვენებურები, გადმოხატული ნატურიდან – 14 ნაკვეთი.

ამ ნაბეჭდ სიას იქვე მოსდევს (რუსულ ენაზევე) დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ჩამონათვალი წიგნებისა:

1. ნიკ. პოლევოი, სუვოროვის ისტორია – 1;
2. ალ. მიხაილოვსკი-დანილევსკი. 1806-1812 წლების თურქეთის ომის აღწერა – 1.
3. ნ. კარამზინი. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია – 3.
4. კაპიტოლიუმი – 1.
5. ბიბლიოთეკა: უცხოელი მწერლები რუსეთის შესახებ – 1.
6. ჟ. მიშლე. საფრანგეთის მოკლე ისტორია – 1.
7. ნაპოლეონი. კეისართა ომების ისტორია – 1.
8. დანტე, ღვთაებრივი კომედია (ფან-დიმის თარგმანი) – 4.
9. გოეთე. თხზულებები – 1.
10. გოეთე. ფაუსტი (ე. გუბერის თარგმანი) – 1.
11. ნ. კუკოლნიკი. ტორკვატო ტასო – 1.
12. ნ. იაზიკოვი. ლექსები – 1.
13. ალ. მარლინსკი. თხზულებები – 12.
14. ფან-დიმი. ვედრება მოყვასისათვის – 1.
15. შამისო. პეტერ შლემელის არაჩვეულებრივი თავგადასავალი – 1.
16. ნ. პავლოვი. ახალი მოთხრობა – 1.
17. ბრამბეუსი.¹² ფანტასტიკური მოგზაურობანი – 1.
18. პ. კამენსკი. მძაფრი შეგრძნებების მაძიებელი – 1.
19. [ა. ლიოვშინი]. რუსის გასეირნება პომპეიში – 1.
20. ალ. ჰუმბოლდტი. მოგზაურობა¹³ – 1.

¹² [ბარონი] ბრამბეუსი – პოლონური წარმოშობის რუსი მწერლის, ორიენტალისტიკისა და ჟურნალისტიკის, *ოსიპ სენკოვსკის* (1800-1858), ფსევდონიმი.

¹³ ეს უნდა იყოს გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის, *ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის* (1769-1859), „მოგზაურობა ახალი ქვეყნ-

21. ქალის დანიშნულება – 1.
22. ჟურნალი „ბიბლიოტეკა დღია ჩტენია“ 1843 წლისა – 12 [ნომერი].

ფრანგულ ენაზე:

1. ბარანტი. ბურგუნდიის ჰერცოგ ვალუათა კარის ისტორია – 2.
2. ვოლტერი. ძირითადი ისტორიის რეზიუმე – 1.
3. ბუვე დე კრესე. პაპების ისტორიის რეზიუმე – 1.
4. პ. მერიმე. კლარა გასულის თეატრი – 1.
5. მ. ბროსე. კახეთის ქართველ მეფეთა მიმონწერა რუსეთთან მე-17 საუკუნეში – 1.
6. ა. მიუსე. კომედიები და ანდაზები – 1.¹⁴
7. ა. ლამარტინი. პოეტური და რელიგიური ჰარმონიები – 1.
8. ალ. დიუმა. კარლ VII თავის ვასალთა შორის – 1.
9. ალ. დიუმა. კოსტიუმების თეატრი – 6.
10. ვ. ჰიუგო. თხზულებათა სრული კრებული – 3.
11. რ. ბ. შერიდანი. თხზულებათა სრული კრებული – 1.
12. ს. პელიკო¹⁵ – 1.
13. დე სტალი, კორინა – 1.
14. ა. დე ვინი. სენ-მარი – 1.

ნის ბუნიობის მხარეში 1799-1804 წლებში“, რომელშიც შეჯამებულია ავტორის დაკვირვებები ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ.

¹⁴ დიმ. ყიფიანს, უნდა ვიფიქროთ, ამ კრებულიდან აქვს აღებული და ქართულ ენაზე თარგმნილი ა. მიუსეს ე. წ. სალონური პიესა „ბაბალეს თითის ტარი“ („La_Quenouille de Barberine“). 1847 წ. 14 სექტემბრით დათარიღებული ავტოგრაფული ხელნაწერი თარგმანისა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H-1430: 1-21; აღწერილობა იხ. აღწერილობა 1948: 369). თარგმანის ხარისხით დიმ. ყიფიანი უკმაყოფილო იყო და ამიტომ იგი ამოაღებინა 1856 წელს პეტერბურგში დასამტკიცებლად გაგზავნილი ქართული თეატრის რეპერტუარიდან (გერსამია 1950: 212).

¹⁵ თხზულება არ არის მითითებული.

15. ინგლისელები – 2.
16. ო. ბალზაკი. შაგრენის ტყავი – 1.
17. ჟ. შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა [და და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში] – 10.
18. ჟ. [დიუმონ] დიურვილი. მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო – 2.
19. ჟ. ჟანენი. მოგზაურობა იტალიაში – 1.
20. თ. მალთუსი. ესე ხალხთმოსახლეობის პრინციპებზე – 2.
21. ბერიეს მოგონებები – 2.
22. საქართველოს გეოგრაფიული აღწერა¹⁶ – 1.

სია გაკრული ხელითაა ნაწერი, ცუდად იკითხება და რამდენიმე ავტორის გვარი თუ თხზულების სათაური ვერ გავარჩიეთ. საბუთის ბოლოს დიმ. ყიფიანის ხელითვე მიწერილია: ვეფხვის ტყაოსანი *или Барсова кожа*.¹⁷

ზემოაღნიშნული მიმონერიდან ირკვევა, რომ „ბიბლიოთეკის“ მესვეურებს გამოწერილი აქვთ აგრეთვე უ. შექსპირის, უ. სკოტის, ე. გიბონის, ჰ. ფილდინგისა და სხვ. ნაწარმოებები (როგორც დედნის ენებზე, ისე რუსული თარგმანები), მარი ბროსეს თხზულებები (გამოცემები თუ ამონაბეჭდები), აგრეთვე, „ათას ერთი ღამე“ რუსულ, ხოლო ყურანი ფრანგულ ენებზე (ბუაჩიძე 1983: 134-135).

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წიგნადი ფონდის მოცულობაზე სრული წარმოდგენის შექმნა, ვიმეორებთ, ამჟამად შეუძლებელია. აქ წარმოდგენილი სია, ცხადია, პეტერბურგიდან გამოწერილი წიგნების მხოლოდ მცირე ნაწილი იქნებოდა, რაზეც,

¹⁶ ეს არის მარი ბროსეს მიერ 1842 წელს სანქტ-პეტერბურგში ფრანგულ ენაზე გამოცემული „ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ“.

¹⁷ ეს არის „ვეფხვის-ტყაოსანი რუსულად *Барсова кожа*. პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვანლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა სანქტ-პეტერბურღს. 1841“.

სხვას რომ თავი დავანებოთ, მეტყველებს დიმ. ყიფიანის არქივში დაცული ფოსტის კანტორის ქვითრები პეტერბურგელი წიგნით მოვაჭრეებისთვის (იუნგმეისტერი, ა. ივანოვი, ი. ისაკოვი, ვ. პოლიაკოვი...) წიგნებისა და პერიოდული გამოცემებისთვის ფულის გაგზავნის შესახებ (ყიფიანი 209; ყიფიანი 212 და შმდ.).

სამწუხაროდ, კარგად დანყებულმა საქმემ შესაფერისი გაგრძელება ვერ პოვა. ვერ მოხერხდა „ბიბლიოთეკის“ საქმიანობაში ფართო წრეების ჩართვა. ამის გამო მოგვიანებით წესდებიდან ამოღებულ იქნა მე-15 მუხლი. „გარემე მკითხველთაგან მხოლოდ 6 მან. და 70 კაპ. შემოვიდა“, – აღნიშნავს 1843 წლის ფინანსურ ანგარიშში მიხ. თუმანიშვილი (ყიფიანი 211: 4). დამფუძნებელთა ენთუზიაზმიც თანდათანობით განელდა. ბევრი მათგანი სამსახურის ვალდებულებამ აიძულა, მოშორებოდა თბილისს (ნანილი ე. ნ. „კავკასიის ომში“ მონაწილეობდა, ნ. ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, ლუკმაპურის მოპოვების საჭიროებამ ნახიჩევანში წაიყვანა და სხვ.). განსაკუთრებით მძიმე და აუნაზღაურებელი იყო „ბიბლიოთეკის“ დიდი მოამაგისა და მისი ერთ-ერთი დირექტორის, ზაქარია ფალავანდიშვილის, უცაბედი სიკვდილი 1845 წელს. „ჩემი ბიბლიოთეკის წევრები თანდათან შემომეცალნენ და 1848 წ. მე დავრჩი მისი ერთად ერთი წარმომადგენელი“, – წერს მოგვიანებით ამის თაობაზე დიმ. ყიფიანი (ყიფიანი 1930: 106).

მიმოიფანტა წიგნები. წევრებს, ჩანს, უსარგებლიათ იმ უფლებით, რომელსაც მათ წესდების მე-3 მუხლი ანიჭებდა („ბიბლიოთეკისათვის“ გადაცემული საკუთარი წიგნების უკანვე გატანა). ასე იყო თუ ისე, 1848 წლისთვის, როგორც ითქვა, დიმ. ყიფიანს ყველა შემოსცლია და შემორჩენია მხოლოდ საკუთარი წიგნები, რომლებიც (სულ – 510 ტომი¹⁸) მეფისნაცვალ მ. ვო-

¹⁸ იგივე რაოდენობაა (233 თხზულება, 510 ტომი) მითითებული თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგში, რომელიც ა. ბერჟეს მიერაა შედგენილი (ბერჟე 1861: VII).

რონცოვის კანცელარიასთან 1846 წელს დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკისთვის გადაუცია (ყიფიანი 1415) შემდეგი პირობით: როცა საჭიროდ ჩათვლიდა, 2/3-ს ჩაბარებული წიგნებისას უკან წაიღებდა, 1/3-ს კი ბიბლიოთეკას შესწირავდა (ყიფიანი 224). მოგვიანებით დიმ. ყიფიანისთვის პირი უშლიათ და წიგნები აღარ დაუბრუნებიათ – გადაუხდიათ 1000 მანეთი და ბრძანებაც მოუყოლებიათ, ამ თანხას დასჯერებოდა (ყიფიანი 1930: 106-107). „მახსოვდა, რომ „ძალა აღმართს ხნავსო“ და მეც ამით დავკმაყოფილდი, ხოლო ჩემს გულში კი ვსთქვი: მადლობა თქვენ, რომ ეს მაინც მომეცით მეთქი“, – იუმორნარევი კილოთი დაასკვნის დიმ. ყიფიანი ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ (ყიფიანი 1930: 107).

ერთი სიტყვით, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ მესვეურებმა ვერ განახორციელეს უმთავრესი მიზანი – თბილისში კულტურულ-საგანმანათლებლო, სალიტერატურო და სამეცნიერო ცენტრის შექმნა. ძირითადი მიზეზი, ვფიქრობთ, იყო მაშინდელი საზოგადოების მოუმზადებლობა ინტელექტუალური რესურსების კონსოლიდაციისა და მიზანმიმართული საქმიანობისათვის. ნიადაგი მწირი აღმოჩნდა, მაგრამ საქმეს უკვალოდაც არ ჩაუვლია – „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ XIX საუკუნის საქართველოში იყო **საზოგადოებრივ ინიციატივაზე** დაფუძნებული პირველი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს წინამორბედად ასევე **საზოგადოებრივ ინიციატივაზე** დაფუძნებული ისეთი ორგანიზაციებისა, როგორებიცაა პროფესიული ქართული თეატრი, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „ქართული დრამატიული საზოგადოება“ და სხვ. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ყველა დასახელებული ინიციატივის სათავეებთან ჩვენ ვხედავთ დიმიტრი ყიფიანს – „ტფილისის კერძო სამხანაგო ბიბლიოთეკის“ დაარსების ინიციატორსა და ორგანიზატორს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიბლიოთეკა თა-

ვისი საგანმანათლებლო ხასიათით, ინტერესებითა და მიზანდასახულობით ზუსტად იყო მოქცეული ქართული კულტურის ევროპეიზაციის – ჩვენი მოღვაწეების ნებით განსაზღვრული და იმ დროისთვის უკვე შეუქცევადი პროცესის – კონტექსტში.

აქვე ანბანური რიგით მოგვყავს ცნობები „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი და შემდეგ შემატებული წევრების შესახებ:

1. არზანოვი დავით – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი. 1829 წელს ძმასთან, იაკობ არზანოვთან, ერთად იგი ყიზლარში აარსებს კეთილშობილთა პანსიონს (ვათეიშვილი 1973: 371), ხოლო 1840-იან წლებში მათ უკვე თბილისში აქვთ კეთილშობილთა პანსიონი გახსნილი (ბერძნიშვილი 1980: 152). მანამდე კი, 1837 წელს, არზანოვებმა თბილისში პირველი კერძო სტამბა დააარსეს (გოცაძე 1954: 287-288), ხოლო 1838 წელს ძმებმა არზანოვებმა თხოვნით მიმართეს ხელისუფლებას ქართულ და სომხურ ენებზე არაოფიციალური (კერძო) ჟურნალის გამოცემის ნებართვის შესახებ (თვეში ორი ნომრის პერიოდულობით). ქართული გამოცემის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „აღმოსავლეთის ფუტკარი“ [პეტერბურგში გამომავალი ჟურნალის, „ჩრდილოეთის ფუტკარი“ („Северная почта“), ანალოგიით]. პროგრამა გამოცემისა საკმაოდ ფართო იყო და მას უნდა ჰქონოდა როგორც საინფორმაციო, ისე სალიტერატურო ნაწილები. საკუთარი სტამბა, არზანოვების განცხადებით, ჟურნალის შეუფერხებელი გამოცემის გარანტია იქნებოდა, თუმცა ხელისუფლებამ არზანოვების ეს წამოწყება სათავეშივე ჩაშალა (გოცაძე 1954: 224-226).

დავით და იაკობ არზანოვებს მოსკოვში გამოცემული აქვთ წიგნი სომხეთის ისტორიაზე (არზანოვები 1827). მათვე შეადგინეს და თბილისში დაბეჭდეს სომხური ენის გრამატიკა (ბერძნიშვილი 1980: 152). 1847-1849 წწ. დავით არზანოვი ისტორიას

ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში, ხოლო 1850-იან წწ. კავკასიის სასწავლო ოლქის საცენზურო კომიტეტში მსახურობდა ცენზორად, ამასთანავე, წვერი იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა“ (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

2. ბარათაშვილი ნიკოლოზ – ნ. ბარათაშვილს, გარდა თანამოაზრეობისა, ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დაარსების ინიციატორთან. დიმ. ყიფიანის მეუღლის, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის (1827-1902), თქმით, „ნიკო დიდი მეგობარი იყო დიმიტრისა და დილიდან საღამომდე ჩვენთან რჩებოდა: აქ სადილობდა, აქ ვახშობდა, ეგაა მხოლოდ, ღამეს არ ათევდა ჩვენსას“ (ბარათაშვილი 1922: 298-299). თვითონ დიმ. ყიფიანის უაღრესად საინტერესო ცნობები ნ. ბარათაშვილის შესახებ გამოქვეყნებული აქვს გიორგი ლეონიძეს (ლეონიძე 1940: 409-411).

ნიკოლოზ ბარათაშვილს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1), შეტანილი აქვს 1843 წლის საწვერო თანხა (ყიფიანი 211: 1), 1844 წლის სიაში (ყიფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს, რასაც შ. გოზალიშვილი პოეტის ხელმოკლეობით ხსნის (გოზალიშვილი 1953: 217).

3. ბეზაკი ნიკოლოზ (1804-1879) – კავკასიის მთავარმართების კანცელარიის მმართველი (1830-იანი წწ. – მეუნარგია 1954^ა: 54), ხოლო 40-იანი წწ. დასაწყისში – საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატის თავმჯდომარე (ლომსაძე 1975: 419), 1845 წელს იგი ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრია (კავკაზსკი კალენდარ 1846: 167). ნ. ბეზაკი ავტორი იყო იმ საფინანსო რეფორმისა, რომელსაც 1840-იანი წწ. საქართველო-იმერეთის გუბერნიაში საგადასახადო სისტემა უნდა მოეწესრიგებინა (ყიფიანი 1930: 61-62; ანთელავა 1970: 150-154; ანთელავა 1980: 152-154, 172-194; ლომსაძე 1975: 419-421).

ნ. ბეზაკი ქართველების სიძე იყო – ცოლად ჰყავდა სოფიო ყაფლანის (ივანეს) ას. ორბელიანი, რომელიც ბავშვობაშივე გრიგოლ ორბელიანზე იყო დაწინდული [„ვაპირებ საქართველოში წასვლას, მაგრამ სოფიო გამითხოვდა, ბეზაკმა შეირთო, რომელიც არის პრავიტელი კანცელარიისა. რაი ვჰყო? მეც ვანუგეშებ თავსა ჩემსა მით, რომ არა მართო მე ვარ ამ სოფელში მოტყუებული“, – სწერს 1836 წლის 1 ოქტომბერს გრ. ორბელიანი იმერეთის უკანასკნელ დედოფალს, მარიამ კაცია II დადიანის ასულს (მეუნარგია 1954^ბ: 55)].

ნიკოლოზ ბეზაკს ხელი აქვს მონერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ ნევრობაზე (ციფიანი 219: 1) და შეტანილი აქვს 1843-1844 წწ. საწვერო თანხა (ციფიანი 211: 3, 6).

4. დადიანი კონსტანტინე (1819-1889) – სამეგრლოს მთავრის, დავით დადიანის (1813-1853), ძმა. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის პაჟთა კორპუსი; მონაწილეობდა „კავკასიის“, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 და 1877-1878 წწ. ომებში, „1854 წელს იგი მეთაურობდა სამეგრელოს მთელ მილიციას და განსაკუთრებით გაითქვა სახელი 25 ოქტომბერს ენგურის სანაპიროზე, სოფელ კოკთან, გამართულ ბრძოლაში“ (ავალიანი 1967: 118).

კ. დადიანი იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი (ავალიანი 1967: 118); 1870-იან წწ. გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დატოვა სამხედრო სამსახური; სიცოცხლის ბოლო წლებში სენაკის მაზრაში მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად (ციფიანი 1930: 105).

კ. დადიანი იყო „ქმწნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი (გოდერიძე 1978: 31). მის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა ხაზი გაუსვა განსვენებულის ღვთისმოსაობას, „პატიოსნებითა და ერთგულებით მამულისა და ტახტის“ სამსახურს (გრიგოლ ეპისკოპოსი 1889: 12).

კონსტანტინე დადიანს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყოფიანი 219: 1) და შეტანილი აქვს 1843-1844 წწ. სანევრო თანხა (ყოფიანი 211: 2, 6).

5. ერისთავი ელიზბარ (1809-1871) – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1823-1830 წწ. იზრდებოდა პეტერბურგში: პირველი ორი წელი ოჯახის, შემდეგ კი სახელმწიფო ხარჯით – პეტერბურგის საარტილერიო სკოლაში (გოზალიშვილი 1970: 263), პეტერბურგში ხშირი ურთიერთობა ჰქონდა ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილებთან, აგრეთვე იქ სამხედრო სასწავლებლებში მყოფ ქართველ ახალგაზრდებთან (დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, დავით ჯორჯაძე და სხვ.), შეთქმულებაში კი დიმიტრი ბატონიშვილმა ჩააბა (გოზალიშვილი 1970: 263-264).

პეტერბურგიდან საქართველოში ელიზბარი დაბრუნდა 1830 წლის „მარტის დამლევს“ (გოზალიშვილი 1970: 263), აქტიურად ჩაერთო შეთქმულების ორგანიზებასა და აჯანყების მომზადებაში და მალე „ფარული საზოგადოების“ მეთაურთაგანი გახდა. ალექსანდრე ორბელიანი საგამოძიებო კომისიას უჩვენებს: „ჩვენი ზაგოვორის თავი ელიზბარ იყო, ამისთვის რომ, დიდათ ცდილობდა, და ყოველს ადგილას მიმომსვლელი ის იყო, და შუა კაცი“ (გოზალიშვილი 1935: 339), სხვაგან კი იგივე აღ. ორბელიანი იხსენებს: „ჩემი ამხანაგნი დიდი მცდელნი იყვნენ ამ საქმისა, ნამეტნავად თავადი ელიზბარ შანშესძე ერისთავის შვილი, რომელიც ყოველს ჩვენზე უპირველესი მცდელი ის შეიქმნა“ (გოზალიშვილი 1970: 37).

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრებაში და, განსაკუთრებით, 1804 წლის მთიანეთის აჯანყების ჩახშობაში ლომის წილი ედოთ ქსნის ერისთავებს და ამ საქმეებში ელიზბარის მამაც, შანშე ერისთავი (1765-1831), იყო გარეული, რის გამოც 1832 წლის

შეთქმულების მონაწილეები ელიზბარ ერისთავს დაგვიანებულ საყვედურს ეუბნებოდნენ: „ისინი [რუსები] ერისთავების მოყვანილნი არიანო“, რაზეც საყვედურის ადრესატი უპასუხებდა: „ერისთავებმა მოიყვანეს და ერისთავები გარეკავენო“ (გოზალიშვილი 1970: 38).

შეთქმულების მასალების მიხედვით, ელიზბარ ერისთავს ჰქონდა საიდუმლო მიმოწერა დიმიტრი და ფარნაოზ ბატონიშვილებთან (გოზალიშვილი 1970: 153), თავის ძმასთან – დიმიტრისთან, ერთად მონაწილეობდა „პირველი ღამის განკარგულების“ შემუშავებაში (გოზალიშვილი 1970: 307; გოზალიშვილი 1976: 331, 355), ელიზბარს სპეციალურად შექმნილი შტაბიდან უნდა გაენია საერთო ხელმძღვანელობა აჯანყების გეგმის განხორციელებისათვის (გოზალიშვილი 1970: 38), მისი აქტიური მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქიული მოწყობის პროექტი (გოზალიშვილი: 1970: 38; გოცაძე 1973: 950), მას ალ. ორბელიანის მეშვეობით კავშირი ჰქონდა დამყარებული ირანში გადახვენილ ალექსანდრე ბატონიშვილთან (გოზალიშვილი 1970: 39, 114), საბრძოლო ოპერაციებში ჩასართავად ამზადებდა თბილისში გადმოსახლებულ 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების მონაწილეებს (გოზალიშვილი 1970: 39) და სხვ.

ელიზბარ ერისთავმა შესთავაზა ს. დოდაშვილს აჯანყებისათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადების მიზნით პერიოდული ორგანოს დაარსება (გოზალიშვილი 1970: 205, 247), მანვე დაავალა გრ. ორბელიანს კ. რილეევის „ნალივიაკოს აღსარების“ თარგმნა (გოზალიშვილი 1970: 38-39) და, საერთოდ, ე. ერისთავი აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულთა იმ შეხვედრებში, რომლებზეც ქართველ საზოგადოებაში განათლების გავრცელებასა (მათ შორის, უნივერსიტეტის დაარსებასა) და საამისო პრაქტიკულ ღონისძიებებზე იყო საუბარი (გოზალიშვილი 1935: 153; გოზალიშვილი 1970: 205, 208 და შმდ.). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ე. ერისთავი ქმედითად იყო ჩართული

ს. დოდაშვილის საერთო ხელმძღვანელობით გაშლილი კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ალორძინების პროცესსა და მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებაში.

შეთქმულების ჩავადნის შემდეგ ე. ერისთავს, როგორც „ბოროტგანზრახულობის“ ორგანიზატორთაგანს, მიესაჯა ნოდებრივი პატივის აყრა და სიკვდილი – ოთხად განკვეთა (გოზალიშვილი 1976: 431), მაგრამ შემდეგ სასჯელი შეუცვალეს, მოაქციეს „დამნაშავეთა“ მეორე კატეგორიაში („ვინც იყვნენ შეთქმულების წამომწყებნი და სხვებსაც უბიძგებდნენ შეთქმულებისა და თვით აჯანყებისაკენ“) და ფინეთში მდგარი ერთ-ერთი პოლკის რიგით ჯარისკაცად განაწესეს, კერძოდ, ჰელსინგფორსში (დღევანდელ ჰელსინკში), სადაც გაგზავნეს 1834 წლის ივნისში (გოზალიშვილი 1976: 435, 436; 1832 წლის შეთქმულებაში ელიზბარ ერისთავის მონაწილეობის შესახებ იხ.: აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 37-42; ბერძნიშვილი 1980: 234-235).

სამშობლოში დაბრუნებული ე. ერისთავი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი წევრი ხდება, 1844 წელს კი იგი უკვე გორშია, სადაც უაღრესად საინტერესო, ფართო პროფილის ჟურნალ „სინათლის“ დაარსების ინიციატორთა ჯგუფში ვხედავთ (ჟურნალ „სინათლის“ შესახებ, რომლის გამოცემაც პრაქტიკულად ვერ განხორციელდა, იხ.: ბერძნიშვილი 1948: 80-108; ბერძნიშვილი 1980: 75-85; გოცაძე 1954: 231-247). ე. ერისთავის ლიტერატურული ინტერესების წარმოსადგენად საინტერესო ფაქტია ისიც, რომ მას გორის მაზრაში გასაავრცელებლად გამოუწერია ჟურნალ „ცისკრის“ 20 ეგზემპლარი, რისთვისაც ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლის, ივ. კერესელიძის, საგანგებო მადლობა დაუმსახურებია (კერესელიძე 1860: 53). ერისთავთა ოჯახი გორში იქაური ინტელიგენციის შესაკრები ადგილი და კულტურის საინტერესო კერა იყო (გოგობია 1964: 4-5; სხვათა შორის, ეს ოჯახური ტრადიცია შემდომში ელიზ-

ბარის შვილს, ივანე ერისთავს (1846-1919), გაუგრძელება – ხუციშვილი 1961: 47).

ელიზბარ ერისთავი 1840-იანი წლებიდან იმყოფებოდა სახელმწიფო სამსახურში და კარიერა გორის მაზრის უფროსის თანამდებობაზე დაასრულა პოლკოვნიკის ჩინით (სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოძა); გარდაიცვალა 1871 წელს, გორში, და იქვე, საკრებულო ტაძრის („სობოროს“) გალავანში, დაკრძალეს [იქვეა დაკრძალული მისი მეუღლე ქეთევან შალვას ას. ერისთავიც, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა უძღვნა ლექსი – „ქეთევან“ (საკითხის გარშემო იხ.: აბზიანიძე 1940: 379-381; ჩხეიძე 1997^ა: 214-225; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 226-230). საბჭოთა წლებში „სობორო“ დაანგრიეს და ელიზბარისა და ქეთევანის საფლავები დაიკარგა].

ელიზბარ ერისთავს ახალგაზრდობიდანვე ჰქონია ლიტერატურული ინტერესები. 1830 წლის 13 დეკემბერს იგი სწერს სოლომონ დოდაშვილს – გრეჩის „სიტყვიერება“ გამომიგზავნე, თარგმნას მინდა შევუდგე და, ამას გარდა, თუ ჟუკოვსკის „პროზაული თარგმანები“ გაქვს, იქნებ ისიც მომანოდო [გურგენიძე 1969: 70; ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (№7976-ბ) დაცულია ელიზბარ ერისთავის ორი პოეტური ნაწარმოები: სკაბრეზული ხასიათის ორიგინალური ლექსი „ჩემი ცხენი“ და ჩვენთვის უცნობი რუსი ავტორის ლექსის თარგმანი].

ელიზბარი, ჩანს, სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდა ახალგაზრდობის წლებში განცდილი უმძიმესი მარცხის სიმწარეს და არც სახელმწიფო სამსახურში ყოფნა უნდა ყოფილიყო მისთვის შვების მომგვრელი. ყოველ შემთხვევაში, მისი ქალიშვილი, ელისაბედი, მამის უკანასკნელი წლების შესახებ წერს: „მასხოვს, მამაჩემი დილაობით, სანამ სამსახურში წავიდოდა, ახალუხის ამარა ჩიბუხს ეწეოდა ხოლმე და ჩაის მიირთმევდა გალერეაში. სუყოველთვის დაღონებული მეჩვენებოდა, მოტეხილი ცხოვრებისაგან. რომ მივესალმებოდი ხოლმე, ხელზე

ვაკოცებდი, მეტყოდა რუსულად: „...учись французскому, а то с русским только до Москвы доедешь!“ [„ისწავლე ფრანგული, თორემ რუსულით მხოლოდ მოსკოვამდე თუ ჩააღწევ“ – ერისთავი 13257: 1; იქვე ელისაბედი აღნიშნავს ერთ საგულისხმო დეტალს: „მამაჩემის კაბინეტში იყო მშვენიერი დიდი სურათი – ნაპოლეონი თეთრ ცხენზე“].

ე. ერისთავი ზრუნავდა ქართლში მრენველობისა და მებაღეობის განვითარებაზე. კერძოდ, სოფელ ღვარებში დაარსებული ჰქონდა შუშის ქარხანა და საქმის უკეთ წარმართვის მიზნით საზღვარგარეთაც (ბოჰემიაში) იყო წასული იქაურ სპეციალისტებთან საკონსულტაციოდ (გოზალიშვილი 1970: 40, 41; ბერძნიშვილი 1980: 235; მამისთვალიშვილი 1997: 186-190), უცხოეთიდან მონვეული ჰყავდა მეხილეობის სპეციალისტები (გოზალიშვილი 1970: 40) და სხვ.

ელიზბარ ერისთავი ბებიით ამილახვართა ჩამომავალი იყო: 1780 წელს „სამკვიდრებელთაგან ხვებული“ და იმჟამად კარაღეთს მყოფი „ამილახვრის ასული და ერისთავის სძალი მარიაჲ“ წმ. თევდორეს სწირავს XV საუკუნეში გადანერილ ზატკის „ძისა ჩემისა შანშესა და შემდგომთა ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად და სულისა ჩემისა საოხად“ (A-25, ანდერძი 6 – აღწერილობა 1973: 88).

ელიზბარ ერისთავი პერსონაჟია არაერთი მხატვრული ნაწარმოებისა. ყველა ეს მასალა, ისევე როგორც 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის ე. ერისთავის მიერ მიცემულ ჩვენებათა ერთი ნაწილი, აგრეთვე, ელიზბარზე 1990-იანი წლებისთვის არსებული სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურა იხ. კრებულში „ელიზბარ ერისთავი“ (შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე – ჩხეიძე 1997^ბ).

ელიზბარ ერისთავს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1), შეტანილი აქვს 1843 წლის სანეგრო თანხა (ყიფიანი 211: 3), 1844 წლის სიაში (ყიფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს (როგორც ზემოთ ითქვა, 1844 წ. იგი უკვე გორშია დამკვიდრებული).

6. ერისთავი ზაქარია (1814-1850) – ინფანტერიის გენერლისა და ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალრის, გიორგი იასეს (იესეს) ძე ერისთავისა (1859-1863) და გაიანე გიორგი XII-ის ას. ბატონიშვილის (1780-1820), ვაჟი.

1832 წლის შეთქმულების მასალების მიხედვით, ზ. ერისთავი შეთქმულთა „პეტერბურგის ჯგუფის“ აქტიური წევრია (ამ დროს პეტერბურგის პაჟთა კორპუსში სწავლობს – ბერძნიშვილი 1980: 75). იგი დიმიტრი ბატონიშვილის წრეში ტრიალებდა და აჯანყებასთან დაკავშირებულ საუბრებშიც მონაწილეობდა (გოზალიშვილი 1970: 152, 154, 195...; გოზალიშვილი 1976: 195, 198, 245 და შმდ.). ამის გამო პეტერბურგში დაარსებულმა სპეციალურმა საგამომძიებლო კომისიამ ზ. ერისთავი დასაკითხთა სიაში შეიყვანა (გოზალიშვილი 1976: 188). „იგი ესწრებოდა კრებებს დიმიტრი ბატონიშვილთან, სადაც იმართებოდა აღმამფოთებელი საუბრები საქართველოს განთავისუფლებასა და საამისო საშუალებათა შესახებ“ – ნათქვამია კომისიის დასკვნაში, თუმცა თვითონ ზაქარიამ ეს ყველაფერი უარყო (გოზალიშვილი 1976: 205). კომისია აღარ ჩაეძია საექვო გარემოებებს და ზაქარია გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ერისთავი ეკუთვნოდა შეთქმულთა იმ ნაწილს, რომელიც პოლიტიკური და სამხედრო მუშაობის პარალელურად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოებრივი არსებობისათვის აუცილებელი კულტურულ-იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებასა და ამ მიზნით საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლას (გოზალიშვილი 1970: 154).

საქართველოში დაბრუნებული ზ. ერისთავი სამხედრო სამსახურს გაჰყვა და მალევე მოიხვეჭა სახელი. 1849 წელს მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი კავკასიის მთავარმართებლად ნამყოფ ა. ერმოლოვს სწერს: „[ზ. ერისთავი] ყოველმხრივ შესანიშნავი ადამიანია და დიდსა და პატარა ყაბარდოს ასეთი უფროსი ჯერ არა ჰყოლია“ (ორჯონიკიძე 1992: 203). უკანასკნელად ზ. ერისთავი ჭარ-ბელაქნის უფროსი იყო და პოლკოვნიკის

ხარისხი ჰქონდა. 1850 წლის 4 აგვისტოს იგი ზაქათალა-მულანლოს გზაზე ლეკმა ყაჩაღებმა მოკლეს (ბერძნიშვილი 1980: 189). „ზაქარია ერისთავის სიკუდილი ეხლა შევიტყე; აქამდის მიმალავდნენ. – ოჰ, რა ძლიერ შემანუხა ამ ამბავმა. საბრალო მოხუცი მამა მისი! აქამდის იმიტომ იცოცხლა, რომ უკანასკნელი იმედი თავისი დამარხოს თავის ხელით... ამოიფხვრა ეგ ოჯახიცა!“ – სწერს 1850 წლის 20 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს, ზაქარია ორბელიანის ცოლს, ქეთევან დიმიტრი მესხიშვილის ასულს – ორბელიანი 1936: 209-210; 1851 წლის 13 სექტემბერს იგივე გრ. ორბელიანი თავის ძმას, ილიას, სწერს, რომ ზაქარია ერისთავის მკვლელიც მოკლულია: „ეს გახლავთ ბელაქნელი ყაჩაღი ლალა აბდულ-ქერიმოღლი, ერისთავის მკულელთაგანი, დიდი ვაჟკაცი და ბელადი. აქაურობა აყროლებული იყო ამისაგან. ზაქარიას შინლის ვოროტნიკი თანა ჰქონდა“ – ორბელიანი 1937: 21).

არაერთ ხელნაწერ კრებულში შესული ლექსი „ვიმ რა გვიამას ხმაზედ სათქმელი“ („დავკარგე ფერთა მდიდრად შემკული, ვტირ, მიმეფარა...“) ერთხანს გიორგი იესეს ძე ერისთავს მიენერებოდა (ბერძნიშვილი 1980: 229) და იგი თითქოს ავტორმა შვილის, ზაქარიას, სიკვდილის გამო დაწერა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, სინამდვილეში ლექსის ავტორია გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილი (1774-1837) და ზაქარია ერისთავის დალუპვა აქ არაფერ შუაშია (ქუთათელაძე 1959: 131-137).

ზ. ერისთავი დაკრძალულია იკორთაში (ეპიტაფია იხ. მეგრელიძე 1997: 57-58; ეპიტაფიაში ზაქარიას გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1851 წლის 4 აგვისტო, რაც შეცდომაა. უნდა იყოს: 1850 წლის 4 აგვისტო).

ზაქარია ერისთავს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ ნევრობაზე (ყიფიანი 219: 1), შეტანილი აქვს 1843 წლის სანეწრო თანხა (ყიფიანი 211: 2), 1844 წლის სიაში (ყიფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, სამსახურის გამო ამ დროს ზ. ერისთავი აღარ იმყოფებოდა თბილისში.

7. ვასილკოვსკი სერგეი (გარდ. 1845) – ეროვნებით უკრაინელი. დამთავრებული ჰქონდა (1825) ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1838 წლიდან მსახურობდა კავკასიაში: მთავარმართებლის საგანგებო დავალებათა მოხელედ, საქართველო-იმერეთის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში – მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორად (ბიოგრაფიული ცნობები ს. ვასილკოვსკის შესახებ იხ. აქტები 1884: XVII). ამ უკანასკნელ თანამდებობაზე ყოფნისას იგი უშუალო ხელმძღვანელი იყო დიმ. ყიფიანისა, რომელიც მას ახასიათებს, როგორც „ფრიად საქმის კაცს“, ნიჭიერს, კეთილგანმზრახველს, ოღონდ „გამოთქმის ნიჭს“ მოკლებულ პიროვნებას (ყიფიანი 1930: 23). გარდაცვალების წინა წლებში ს. ვასილკოვსკი ალექსანდრე ჭავჭავაძის ხელმძღვანელობითა და დახმარებით მუშაობდა საქართველოში წოდებრივ ფენათა უფლებრივი ურთიერთმიმართების მოსაწესრიგებელ ღონისძიებათა პროექტზე, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა (ჩხეტია 1950: LXII).

სეგეი ვასილკოვსკის ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1) და შეტანილი აქვს 1843-1844 წწ. სანევრო თანხა (ყიფიანი 211: 3, 6).

8. ზნაჩკო-იავორსკი მიხეილ – უკრაინული წარმოშობის სახელმწიფო მოხელე. 1846-1847 წწ. იგი მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსი ჩინოვნიკია, შემდგომ წლებში სტავროპოლში მსახურობს გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელედ, 1852 წელს კი ერევნის გუბერნიის პროკურორია (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“), 1858-1859 წწ. შემახაში მსახურობს და იქიდან უგზავნის დიმ. ყიფიანს მადლიერებით აღსავსე წერილებს – ჩემი კეთილდღეობა სულ თქვენი წყალობითააო (ყიფიანი 1364-1366).

1880-იან წწ., როცა დიმ. ყიფიანი „მემუარებს“ წერდა, მ. ზნაჩკო-იავორსკი ცოცხალი აღარ იყო (ყიფიანი 1930: 105).

მიხეილ ზნაჩკო-იავორსკის ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ ნევრობაზე (ყიფიანი 219: 1) და შეტანილი აქვს 1843-1844 წწ. სანევრო თანხა (ყიფიანი 211: 3, 5).

9. თუმანიშვილი მიხეილ (1818-1875) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი... ყმანვილობიდანვე ჩაება კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრებაში; 1830-იან წწ., ჯერ კიდევ თბილისის გიმნაზიაში, სადაც ნ. ბარათაშვილთან ერთად სწავლობდა და ახლო მეგობრობაც აკავშირებდა ჩვენს დიდ პოეტთან, იგი თაოსანი იყო მოსწავლეთა ხელნაწერი გამოცემებისა, მათ შორის, ხელნაწერი ჟურნალისა „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ [„Цветок Тифлисской гимназии“ (1835-1836) – საკითხის გარშემო იხ.: ხელთუბნელი 1938: 27-38; ბალახაშვილი 1940: 112-133; გოცაძე 1954: 248-262; ახვერდიანი 1986: 104-109 და სხვ.].

მ. თუმანიშვილი რომანტიზმის სკოლის პოეტიკა (რამიშვილი 1957: 59-82; ჭუმბურიძე 1969: 207-209). მართალია, მისი ლექსები (თუმანიშვილი 1881; ქართული მწერლობა 1992: 625-630) არ არის მოკლებული გარკვეულ პოეტურ ღირსებებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ავტორს არ მოუხდენია რამდენადმე შესამჩნევი გავლენა თავისი დროის ლიტერატურულ პროცესებზე. მ. თუმანიშვილის ლიტერატურული ვინაობა გაცილებით უფრო საინტერესო ჩანს, როგორც ალ. პუშკინის მთარგმნელისა (თუმანიშვილი 1881; ბურჯანაძე 1992: 84-95). იგი საინტერესო ფიგურაა აგრეთვე როგორც ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, თეატრალური კრიტიკოსი (ჭუმბურიძე 1974: 98-106).

მ. თუმანიშვილი დიდხანს მიიჩნეოდა ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სალაყბოს ფურცლების“ ავტორად, მაგრამ გამოიკვავა, რომ იგი სინამდვილეში ყოფილა ავტორი „მოლაყბის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი ერთი (სხვა მონაცემე-

ბით – სამი) „სალაყბოს ფურცლისა“ (საკითხის გარშემო იხ.: კალანდაძე 1984: 148-213; გამეზარდაშვილი 1974: 186-207).

მ. თუმანიშვილი დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე (ხუციშვილი 1961: 131).

მიხეილ თუმანიშვილი დამფუძნებელი წევრი და ერთ-ერთი დირექტორი (დიმ. ყიფიანთან და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად) იყო „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“, თუმცა ამ საქმეს იგი დიდხანს არ შერჩენია; ყოველ შემთხვევაში, 1844 წლის შემოსავალ-გასავლის წიგნში (ყიფიანი 211: 5-6) მისი სახელი არ ჩანს.

10. კოცებუ თედორე (1801-1884) – გერმანული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე. გენარალ-ლეიტენანტი, ინფანტერიის გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1826 წ. დაასრულა ცარსკოე-სელოს ლიცეუმი, მომდევნო წელს კი კავკასიაშია და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში მსახურობს; 1842 წ. დაინიშნა ყუბის მაზრის უფროსად (ბიოგრაფიული ცნობები თ. კოცებუს შესახებ იხ. აქტები 1885: XXIII). ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ის „ლუთერანი პოლკოვნიკი კოცებუ“, რომელიც 1840-იან წლებში ახალციხეშია ჩასული და იძიებს კათოლიკე პატრების წინამძღვარ დამიანე ვიარიჯენილისა და მღვდელ დავით-პავლე შაჰყულიანს (1769-1854) შორის წარმოქმნილ კონფლიქტს (თამარაშვილი 1995: 718-719).

თედორე კოცებუს ხელი აქვს მონერული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1) და შეტანილი აქვს 1843 წლის სანევრო თანხა (ყიფიანი 211: 3), 1844 წლის შემოსავალ-გასავლის წიგნში (ყიფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს.

11. მელიქიშვილი ლევან (1817-1892) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი და კავალერიის გენერალი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი (1883), თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“ (მონაწილეობდა ლუნიბის ალებაში,

სადაც შამილი დაატყვევეს – ბარათაშვილი 1972: 225); 1877 წ. დანიშნეს დაღესტნის ოლქის მმართველად და ჯარების სარდლად, 1880 წ. თბილისში გადმოიყვანეს მეფისნაცვლისა და კავკასიის ჯარების მთავარსარდლის თანაშემწედ (მოადგილედ); 1882 წლიდან – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (ბიოგრაფიული ცნობები ლ. მელიქიშვილზე იხ.: აქტები 1885: XXV; ავალიანი 1967: 123-125). 1887 წელს თბილისში დიდი ამბით იდღესასწაულეს ლ. მელიქიშვილის სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავი (მწყემსი 1887^ა: 12-13; მაჭარაშვილი 1895: 51-54). სამადლობელ სიტყვაში იუბილარმა ასე ჩამოაყალიბა თავისი კრედო: „აზრი ჩემის სამსახურისა და სიცოცხლისა ის იყო, რომ ერთგულად და სიმართლით მემსახურნა ჩემის ხელმწიფისა და მამულისათვის, ჩემის ძალისა და შეძლებისამებრ ვყოფილიყავ სასარგებლო ჩვენის ძვირფასის კავკასიისა“, და დასძინა: მიზანს მივალნიე და „მოხუცებულობის ჟამს მე დამშვიდებით ჩავალ საფლავს“ (მაჭარაშვილი 1895: 53-54).

ლ. მელიქიშვილი გარდაიცვალა 1892 წლის 22 თებერვალს, თბილისში, „ინფლუენციით, რომელსაც ზედ დაერთო ფილტვების ანთება“ (ივერია 1892^ა); დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში (ეპიტაფია იხ. ხუციშვილი 1961: 70).

მიუხედავად არაერთ პატრიოტულ საქმეში განსვენებულის მონაწილეობისა, ქართული სასულიერო წრეები, ჩანს, მაინც არ ყოფილან მისით კმაყოფილნი, რაც გამომჟღავნდა კიდევაც ლ. მელიქიშვილის დაკრძალვისას ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის (1824-1907) მიერ წარმოთქმულ სიტყვაში: „საქებურ-სადიდებელი და პატივ-საცემი კაცი იყავ, მაგრამ უფრო მეტად სადიდებელი იქნებოდი, ეკლესიისა და მონასტრებისათვისაც რომ მიგეხედნა და ამათვისაც გენყალობებინა რამე, როგორც სომეხთა შეძლებულნი კაცნი სჩადიან“ (ივერია 1892^ა).

ლ. მელიქიშვილი სიყრმის მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა (ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში) და ერთადაც მონაწილეობდნენ იმ ლიტერატურული წრის მუშაობაში, რომელიც 1830-იან წწ. ხელნაწერ ჟურნალებს უშვებდა. კერძოდ,

ლ. მელიქიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული „ტფილისის გიმნაზიის ყვავილის“ („Цветок Тифлисской гимназии“ – 1835-1836 წწ.) შედგენაში (ბალახაშვილი 1940: 128) და აქვე, მეოთხე (სამწუხაროდ, დაკარგულ) ნომერში, პროზის განყოფილებაში მოთავსებული ყოფილა მისი თხზულება „წერილები საქართველოდან“ (ბალახაშვილი 1940: 132). პოეტისა და მომავალი გენერლის ახლო ურთიერთობა გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. მათივე თანატოლი და თანამოაზრე კონსტანტინე მამაცაშვილი (1815-1893) მოგვიანებით იგონებს: „იმ დროს ტფილისში არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვექონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები, – ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლ. ი. მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში. – ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა და სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა, ქალაღდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს, ქალაღდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღებშიაც“ (მეუნარგია 1954^ა: 200; ი. მეუნარგიას ამ ნაშრომში უხვად აქვს გამოყენებული ლ. მელიქიშვილის ფაქტობრივი მასალით მდიდარი ზეპირი მოგონებები ნ. ბარათაშვილზე – მეუნარგია 1954^ა: 194, 206-208, 211-212, 217). სხვათა შორის, ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე, ნ. ბარათაშვილის ოჯახში და ლ. მელიქიშვილის მონაწილეობით, იმავე კ. მამაცაშვილის მოგონების მიხედვით, ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიის შედგენა გადაუწყვეტიათ და სამუშაოც გაუწიან იმეორეთ ეპოქების მიხედვით (მეუნარგია 1954^ა: 214). სწორედ ლ. მელიქიშვილმა წაიყვანა 1844 წ. ნოემბერში ნ. ბარათაშვილი თავის

თანაშემწედ ნახიჩევანში, სადაც ისინი მომდევნო წლის მარტამდე დარჩნენ. ნ. ბარათაშვილის ცნობილ ბარათებში მაიკო ორბელიანისადმი (1818-1849) არაერთხელ გვხვდება სახელი ლ. მელიქიშვილისა, რომლის ამაღელვებელი და ტრაგიკულ სასიყვარულო ურთიერთობა მაიკოსთან (იხ. ხომერიკი 1961: 65-71) დიდხანს იყო ქართულ არისტოკრატიულ ოჯახებში მითქმა-მოთქმის საბაზი.

1845 წელს განუყრელი მეგობრის გარდაცვალებით თავზარდაცემული ლ. მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერს (წერილი რუსულ ენაზეა): „მძიმეა, ჩემო გრიგოლ, მძიმეა ისეთი ადამიანის დაკარგვა, რომელიც თავისი თბილი გულითა და სათნო სულით საშუალებას გვაძლევდა, შევგუებოდით ადამიანებს – ამ არარაობებს, ამ უძლურ, გაბოროტებულ, ღვარძლიან არსებებს. ძნელია სულით დაობლება! და განა მარტო მე განვიცადე ასეთი საზარელი დანაკლისი?! საქართველომ მისი სახით დაკარგა ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი პოეტური არსებით უყვარდა სამშობლო და ამ სიყვარულს ყველა ადამიანურ მოვალეობაზე მალლა აყენებდა; დაკარგა ბრწყინვალე ნიჭის საუცხოო ყმანვილი კაცი, რომლისგანაც მოელოდა გაცილებით მეტს, ვიდრე სხვა რომელიმე ახალგაზრდა შვილისაგან. მე შეიძლება ვცოდავდე კიდევაც, მაგრამ არც ამის უთქმელობა შემიძლია: სად არის ის ღვთის სამართალი, რომელზეც განუწყვეტლივ ჩაგვჩინებენ? რისთვის გახდა საჭირო, მეგობრებისთვის ასე ნაადრევად წაერთმიათ მეგობარი, სამშობლოსათვის – მისი მოყვარული და ერთგული, ბრწყინვალე ნიჭის შვილი, მშობლებისთვის – სიცოცხლით სავსე პირმშო და უკანასკნელი დასაყრდენი. მითხარი, სად ხედავ შენ აქ სამართალს?“ (მეუნარგია 1954^ა: 211).

იმავე წერილში ლ. მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერს: რევაზ ანდრონიკაშვილთან შევიკრიბეთ სადილზე და ყაფლანს (ორბელიანს – თ. ჯ.) ვთხოვეთ, „სულო ბოროტო“ ემღერა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც მას და არც საერთოდ არავის იქ მყოფთაგან არ ახსოვდა და არც ჰქონდა ეს შეს-

ანიშნავი ლექსი. მაშინ მიხვდით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ილუპებოდა, ამიტომ პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეკრება და გამოცემა განვიზრახეთო. ფულიც შეუკრებიათ, მაგრამ საქმისთვის თავი ვერ მოუბამთ და ფული პოეტის მამისთვის – მელიტონისთვის – გადაუციათ (მეუნარგია 1954^ა: 211-212).

ლ. მელიქიშვილი ზრუნავდა კულტურისა და განათლების გავრცელებაზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: 1861 წ. მან თემირხანშურაში (ამჟამად ქ. ბუინაქსკი დალესტანში) დააარსა სკოლა პანსიონითურთ (მაჭარაშვილი 1895: 50), იქვე თავისი მეუღლის, ალექსანდრა მამუკა (მაკარ) ორბელიანის ასულის, დახმარებით გახსნა ქალთა სასწავლებელი (მაჭარაშვილი 1895: 50). ლ. მელიქიშვილი დამფუძნებელი წევრი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“; 1880-1883 წწ. კი თავმჯდომარეობდა „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას“ (ივერია 1892^ბ).

ლევან მელიქიშვილს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1), შეტანილი აქვს 1843 წლის სანევრო თანხა (ყიფიანი 211: 2), 1844 წლის შემოსავალ-გასავლის წიგნში (ყიფიანი 211: 5-6) კი იგი არ ჩანს (უნდა ვიფიქროთ, არ იმყოფება თბილისში).

12. ონიკაშვილი ალექსანდრე (გარდ. 1885) – თავის დროზე ცნობილი მწიგნობრისა და კალიგრაფის, იოანე ბატონიშვილის მდივნის, ნიკოლოზ ონიკაშვილის, შვილი (ნიკ. ონიკაშვილი ავტორია საინტერესო სამოგზაურო-მემუარული ხასიათის თხზულებისა – „აღწერა მოსკოვისა, პეტერბურლისა და მას შინა მყოფთა ხილვად საუცხოოთა და ხსოვნისა ღირსთა რაჲმეთა ნივთთა ანუ ხელოვნებათა“, რომელშიც აღწერილია 1801 წელს ავტორის მოგზაურობა თბილისიდან მოსკოვის გავლით პეტერბურგამდე – ტექსტი გამოკვლევითურთ იხ. მეფარიშვილი 1971: 192-236; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: მენაბდე 1995: 64-75).

ალ. ონიკაშვილი და მისი ძმა სოლომონი ნახსენები არიან 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალებში. კერძოდ, იასე ფალავანდიშვილი ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „დეკემბრის 10 რიცხვში ჩემთან მოვიდნენ ალექსანდრე ორბელიანი და მისი ძმა დიმიტრი. ალექსანდრემ მითხრა, რომ მან ეს განზრახვა განუშლავნა შტაბს კაპიტან [სოლომონ] ონიკოვსა და მის ძმას ალექსანდრე ონიკოვს“ [გოზალიშვილი 1970: 517; ს. და ალ. ონიკაშვილებს ჰყავდათ კიდეც ერთი ძმა, **დიმიტრი**, რომელსაც 1860 წელს ლექსი უძღვნა გრიგოლ ორბელიანმა (ორბელიანი 1959^ა: 63-64)].

1844-1845 წწ. ალ. ონიკაშვილი „ქართული მილიციის“ ოფიცერია და ძმასთან, სოლომონთან, ერთად დაღესტანში შამილის წინააღმდეგ იბრძვის (ორბელიანი 1936: 252), 1847 წელს კი იგი წევრია იმ ჯგუფისა (მაკარ ორბელიანი, იაკინთე ალექსი-მესხიშვილი, ალექსანდრე თუმანიშვილი), რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემა აქვს განზრახული (ალექსიევ-მესხიევი 1893).

ალ. ონიკაშვილი დამფუძნებელი წევრი იყო „ქმწ-კგ საზოგადოებისა“ (გოდერიძე 1978: 32). მას დარჩა უძვირფასესი ბიბლიოთეკა (ძველი ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები...). ალ. ონიკაშვილის ერთ-ერთ მემკვიდრეს ეს ბიბლიოთეკა „ფუთობით მიუყიდნია ერთ ვილაც მედუქნისათვის, რომელსაც დაუხვევია ხელნაწერები და წიგნები და პარკები გაუკეთებია მათგან... ვახტანგ მეფისგან გამოცემული „ვეფხვის ტყაოსანი“-ს ფურცლები სულ ქუჩაში ეყარა“ – იუნყებოდა ჟურნალ „მწყემსის“ ანონიმი კორესპონდენტი (მწყემსი 1887^ა: 13).

1850-1860-იან წწ. ალ. ონიკაშვილი პეტერბურგში იმყოფება და ეკატერინე დადიანის გარემოცვის წევრია [იხ. დიმ. ყიფიანის 1860-1861 წწ. წერილები მეუღლისადმი პეტერბურგიდან თბილისში: ქლსმ. №№14779-14782-ბ და შმდ.; აგრეთვე: ალ. ონიკაშვილის წერილები დიმ. ყიფიანისადმი პეტერბურგიდან თბილისში (8.III.1859-19.III.1859) – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ.

№№1555-1558, ფ. 7]. 1860 წელს დიმ. ყიფიანს თბილისში უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანიის დაარსება სურდა და ამ საქმეში ალ. ონიკაშვილი მისი კომპანიონი იყო (კომპანიის წესდება და სხვა დოკუმენტური მასალა იხ.: ყიფიანი 266; აგრეთვე: ყიფიანი 1559), თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ალექსანდრე ონიკაშვილს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1) და შეტანილი აქვს 1843-1844 წლების საწევრო თანხა (ყიფიანი 211: 3, 5).

13. ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – პოეტი, სახელმწიფო, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი (ებოძა 1871 წ.).

გრიგოლ ორბელიანს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1), შემდგომი წლების მასალებში კი მისი სახელი არ ჩანს (ამ დროიდან იგი ავარიის მმართველია და დიდი ხნით სწყდება თბილისს).

14. ორბელიანი ვახტანგ (1812-1890) – პოეტი-რომანტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, გენერალ-მაიორი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი (გადაასახლეს კალუგაში; იქვე იყვნენ გადასახლებულნი თეკლა ბატონიშვილი და უფროსი ძმა ვახტანგისა – დიმიტრი ორბელიანი). „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი (ბიოგრაფიული მასალა ვ. ორბელიანის შესახებ, მათ შორის, ნამსახურობის სია იხ. ტაბლიაშვილი 1971: 3-182).

ვახტანგ ორბელიანს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1)

და შეტანილი აქვს როგორც 1843, ისე 1844 წლების საწევრო თანხა (ყიფიანი 211: 2, 5).

15. ორბელიანი ზაქარია (1806-1847) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომლის ხელმძღვანელობასაც განსაკუთრებული სიბეჯითისთვის 1817 წელს დაუჯილდოებია კიდეც (ხუნდაძე 1951: 10). ზ. ორბელიანი მონაწილეობდა 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში (განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ერზურუმთან გამართულ ბრძოლაში), 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში, „კავკასიის ომში“ და საბოლოოდ პოლკოვნიკის ხარისხს მიაღწია. 1847 წ. 11 ივნისს ქოლერით გარდაიცვალა დაღესტანში (ბიოგრაფიული ცნობები ზ. ორბელიანის შესახებ იხ.: ორბელიანი 1936: 220-221; ბარათაშვილი 1972: 220). დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში (ცინცაძე 1994: 111).

ზ. ორბელიანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულია როგორც ძმის – გრიგოლ ორბელიანისა და დისწულის – ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ადრესატი (ორბელიანი 1936: 15-16, 17-19 და შმდ.; ბარათაშვილი 1972; 123-127, 130-132). გამოქვეყნებულია ზაქარიას ორი ბარათიც გრ. ორბელიანისადმი. აქედან ერთი სრულად (ბალახაშვილი 1939; ბარათში საინტერესო ცნობებია ნ. ბარათაშვილის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ), ხოლო მეორე – ფრაგმენტულად (ენიკოლოფოვი 1962; აქ არის საინტერესო ცნობები მთავარმართებელ გრ. როზენის მიერ გამართულ მეჯლისსა და მასზე წარმოდგენილ „ცოცხალ სურათებზე“, აგრეთვე, ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილების, განსაკუთრებით ნინოს, შეუდარებელ სილამაზეზე; ნინო ჭავჭავაძე ზ. ორბელიანის მხურვალე სიყვარულის საგანი იყო – ბალახაშვილი 1966: 182-186). რაც შეეხება ზ. ერისთავის კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სალიტერატურო ინტერესებს, გარდა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წევრობისა, სხვა მასალა ამ საკითხზე არ მოგვეპოვება. იმის აღნიშვნა

კი შეიძლება, რომ გრ. ორბელიანს თავისი ლექსი „იარალის“ რუსეთიდან თბილისში სწორედ ზაქარიასთვის გამოუგზავნია თხოვნით – „გადაათვალიერე და შენი აზრი მაცნობეო“ (გოზალიშვილი 1970: 63-64). ეს უკანასკნელი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ზ. ორბელიანი არ უნდა ყოფილიყო მოკლებული ლიტერატურულ ინტერესებსა და გემოვნებას, ხოლო რაც შეეხება „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკას“, ზაქარია ორბელიანს ხელი აქვს მონერილი დამფუძნებელ ნევრობაზე (ყიფიანი 219: 1), შეტანილი აქვს 1843 წლის სანევრო თანხა (ყიფიანი 211: 2), 1844 წლის სიაში (ყიფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს.

16. ორბელიანი ივანე (1825-1893) – შვილი მანანა ორბელიანისა (ივანე კერძო მიმონერაში ხშირად „მანანიჩად“ მოიხსენიება). ივანე ორბელიანის ბავშვობის შესახებ ძუნწი ცნობებია მანანას ერთ ბარათში გრ. ორბელიანისადმი: „ივანე პანსიონში მყავს და სწავლობს, რაც შეეფერება. გიორგი ავალოვსა ვსთხოვე მოსკოვში თავის თვალყურის გდება და მიიდა იქ გავგზავნო და ჯერ პასუხი არ მომსვლია. ფრანციცულს კი ლაპარაკობს ცოტად და სწერს, კითხვითაც კითხულობს“ (ბალახაშვილი 1941: 32). რაიმე სხვა ცნობა ი. ორბელიანის სწავლა-განათლების შესახებ ჩვენთვის ცნობილი არ არის. მოგვიანებით მას „კავკასიის ომში“ ვხვდავთ. 1858 წლიდან ი. ორბელიანი მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის (1856-1862) ადიუტანტია [ორბელიანი 1937: 378; „ივანე ორბელიანი ადიუტანტი მიდის ამ დღეებში ჩაჩანში საომრად, – სწერს 1859 წლის 6 იანვარს გრ. ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს (ორბელიანი 1937: 258)].

ივანე ორბელიანს, ჩანს, არ აკლდა საერთოდ მისი წრისთვის დამახასიათებელი კოლორიტულობა. კ. ბოროზდინი თავის მემუარებში ივანეს ახასიათებს, როგორც „ქეიფის მოყვარე კაცს“, რომელიც 1858 წელს ფოთის სანავსადგურო ქალაქად კურთხევის ცერემონიალზე ოფიციალურ პირად იყო მიწვეული და იქ მეზურნეების დასტით გამოცხადდა. „ზურნის ხმა პირვე-

ლად მოეფინა ფოთს, – დასძენს კ. ბოროზდინი, – და ჩვენც, საკმაო შეღვინიანების შემდეგ, საამოდ გვენწეთებოდა ყურში ეს ხმა“ (ბოროზდინი 1934: 313).

ი. ორბელიანი გარდაიცვალა 1893 წელს გენერალ-მაიორის ჩინით. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძრის გალავანში (ცინცაძე 1994: 112).

ივანე ორბელიანს ხელი აქვს მონერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ ნევრობაზე (ყიფიანი 219: 1), შეტანილი აქვს 1843 წლის სანევრო თანხა (ყიფიანი 211: 3), 1844 წლის სიაში (ყიფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს.

17. ორლოვსკი კონსტანტინე (1810-1876) – პოლონური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник). თვალსაჩინო ფიგურა კავკასიის ადმინისტრაციაში; სხვადასხვა წლებში მსახურობდა მთავარსამმართველოს კანცელარიაში, ერევნის მაზრის მოსამართლედ, ერევნის გუბერნატორის მრჩეველად... (იხ. 1840-1850-იანი წწ. „კავკაზსკი კალენდარ“). 1860 წელს დანიშნეს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორად და სიცოცხლის ბოლომდე შერჩა ამ თანამდებობას; გარდაიცვალა 1876 წელს თბილისში. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დროება“ იუწყებოდა: „ამისთანა ჭკვიანი ადმინისტრატორის დაკარგვა ჩვენის ქვეყნისათვის უეჭველს დანაკლისს შეადგენს“ (დროება 1876^ა).

კ. ორლოვსკის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა არაერთ ქართველ მოღვაწესთან (დიმ. ყიფიანი, ელიზბარ ერისთავი და სხვ.). დიმ. ყიფიანის ვაჟი, ნიკოლოზ ყიფიანი, იგონებს: „მახსოვს, გუბერნატორი ორლოვსკი, რაკი რამე ძნელი საგანი შეხვდებოდა თავის გუბერნატორობაში, მოადგებოდა ხოლმე მამაჩემს. თვითონ ძალიან ჭკუიანი და ძალიან გამჭრიახი, ყოვლისფერში გამოცდილი იყო ორლოვსკი (რუსულად რომ იტყვიან – Человек тонкого ума), მაგრამ მაინც უყვარდა თავისი აზრები, თავის სანადელები და პროექტები გაეზიარებია

დომ. ყიფიანისათვის“ (ყიფიანი 1894: 87; ელიზბარ ერისთავთან კ. ვასილკოვსკის ურთიერთობაზე იხ. ერისთავი 1997: 140-141).

კ. ორლოვსკი წევრი იყო რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა“ (კავკაზსკი კალენდარ 1852: 607) და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისა“ (კავკაზსკი კალენდარ 1852: 609).

კონსტანტინე ორლოვსკის ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ყიფიანი 219: 1), შეტანილი აქვს 1843 წლის სანეწრო თანხა (ყიფიანი 211: 3), 1844 წლის სიაში (ყიფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს.

18. ფალავანდიშვილი ზაქარია (1818-1845) – დაიბადა და აღიზარდა მნიგნობრისა და სასულიერო უწყების თარჯიმნის, მიხეილ იოსების ძე ფალავანდიშვილის (გარდ. 1821), ოჯახში. დედის ხაზით იგი ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და მნიგნობრის, ამბროსი ნეკრესელის (1728-1815), შვილიშვილი იყო. ადრე დაობლებული ზ. ფალავანდიშვილი გაზარდა ბიძამ, საქართველოში სახელისუფლებო ელიტის ერთ-ერთმა თვალსაჩინო ფიგურამ, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა (1790-1855), 1832 წლის შეთქმულების გამცემის, იასე ფალავანდიშვილის, ძმამ. ზაქარია ფალავანდიშვილი არ გაჰყვა ბიძების კვალს – თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვში, ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, საიდანაც გადავიდა ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (შარაძე 1987: 93), შემდეგ – პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაამთავრა იგი 1840 წელს (ბერძნიშვილი 1983: 185-186). სამშობლოში დაბრუნებული ზ. ფალავანდიშვილი (1841 წ. იანვარი) ჯერ მსახურობდა სახელმწიფო ქონების საქართველო-იმერეთის პალატაში, შემდეგ – კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში (ბერძნიშვილი 1983: 186) კოლეგიის მდივნის (Коллежский секретарь) ჩინით (იოსელიანი 1845).

1838 წელს ზ. ფალავანდიშვილმა გაიცნო მოსკოვში სამეცნიერო მივლინებით ჩასული მარი ბროსე და მათი ნაცნობობა მეგობრობასა და მჭიდრო თანამშრომლობაში გადაიზარდა. კერძოდ, თბილისში დაბრუნებული ზ. ფალავანდიშვილი მ. ბროსეს სისტემატურად აწვდიდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სიახლეებს, მასალებს საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის საკითხებზე. იგი ფრანგ ქართველოლოგს დაეხმარა ვახუშტი ბატონიშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის დაზუსტება-დადგენაში, აღუწერა ვახუშტის ხელნაწერი კრებული და სხვ. (ზ. ფალავანდიშვილისა და მ. ბროსეს ურთიერთობაზე იხ.: ბერძნიშვილი 1980: 67-68, 71, 74-76; ბერძნიშვილი 1983: 67-68; ბუაჩიძე 1983: 129-143; ცაიშვილი 1948; გურგენიძე 1969: 112-114; ჯოლოგუა 1992: 203-204).

1841 წელს ზ. ფალავანდიშვილი სანქტ-პეტერბურგში გამოავალ „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალის“ („Журнал министерства народного просвещения“) ოქტომბრის ნომერში აქვეყნებს თავის პირველ ნაშრომს – რეცენზიას დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის შესახებ (ფალავანდიშვილი 1841). ნაშრომში ავტორი იძლევა საფუძვლიან შენიშვნებს ლექსიკონში შესული ზოგიერთი სიტყვის განმარტებაზე, ამასთანავე, მიმოიხილავს ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორიას, ს.-ს. ორბელიანის ბიოგრაფიას, მის ლექსიკოგრაფიულ მოღვაწეობასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას...

ზ. ფალავანდიშვილი მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილთან ერთად არის ინიციატორი და ორგანიზატორი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემისა (ბროსე... 1841; გამოცემაში ზ. ფალავანდიშვილის წვლილის შესახებ იხ.: ბერძნიშვილი 1983: 187-188; ბუაჩიძე 1983: 139-142; ყუბანეიშვილი 1966: 46, 48, 53-62; მეგრელიძე 1970: 72). მას განზრახული ჰქონია „ვეფხისტყა-

ოსნის“ თარგმნა ფრანგულ (მეგრელიძე 1970: 72), სხვა ცნობით, რუსულ (ყუბანეიშვილი 1966: 46) ენაზე, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიისა“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) – რუსულ ენაზე [ეს უკანასკნელი საქმე მას პრაქტიკულად დაწყებულიც ჰქონდა (ბერძნიშვილი 1980: 70)], მაგრამ ყველა ამ განზრახულებას ნაადრევმა სიკვდილმა დაუსვა წერტილი. ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცალა ზ. ფალავანდიშვილს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმის ბოლომდე მიყვანა – მეტისმეტად მშრალი და უფერული გაზეთის „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ გადაქცევა ისეთ პერიოდულ გამოცემად, რომელიც დააკმაყოფილებდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. მართალია, აქ ფალავანდიშვილის გვარი მითითებულია როგორც მთარგმნელისა, მაგრამ სინამდვილეში იგი გაზეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო (საკითხის შესახებ იხ. გოცაძე 1954: 281-282). პ. იოსელიანის მიერ დაწერილ და „ზაკავკასკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში ნათქვამია: „ამ წლის დასაწყისიდან გამომავალი ქართული გაზეთი „უწყებანი“ მთლიანად მისი (ზ. ფალავანდიშვილის – თ. ჯ.) შრომის ნაყოფია“ [იოსელიანი 1845; სხვათა შორის, ზ. ფალავანდიშვილი მეგობრებმა გაზეთ „კავკაზშიც“ გამოიგლოვეს – ჩვენ დავმარხეთ გამორჩეული წევრი საზოგადოებისა. ვინ იცის, რამდენი იმედი დაიმარხა მასთან ერთად და სწორედ ამიტომ მოვრწყეთ ცრემლით მისი საფლავიო – კავკაზ 1846].

ზაქარია ფალავანდიშვილი, რომელსაც მარი ბროსეს სიტყვებით, „შეეძლო დიდი სამსახური გაენია თავისი სამშობლოსათვის“ (ბუაჩიძე 1983: 143), სრულიად ახალგაზრდა, 27 წლისა, მოულოდნელად და უცაბედად გარდაიცვალა თბილისში 1845 წლის 10 ივლისს. დაკრძალეს მთაწმინდის სასაფლაოზე. 1930-იან წწ. სასაფლაო პანთეონად გადაკეთდა და ზ. ფალავანდიშვილის საფლავი დაიკარგა.

ზაქარია ფალავანდიშვილი, როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 17), დომ. ყიფიანის შემდეგ მთავარი ფიგურა იყო „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“.

19. ყიფიანი დიმიტრი (1814-1887) – საზოგადო და თეატრალური მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, მკვლევარი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვოლოგდაში), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამაარსებელი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების ინიციატორი, „ქმნ-კვ საზოგადოებისა“ და „ქართული დრამატიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი...

20. ჭავჭავაძე დავით (1818-1884) – გენერალ-ლეიტენანტი და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი (1854 წლიდან), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიანის (გარდ. 1847. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ტაძარში) ვაჟი; სამხედრო განათლება ჰქონდა პეტერბურგში მიღებული (ბიოგრაფიული ცნობები დ. ჭავჭავაძის შესახებ იხ.: ავალიანი 1967: 181-182); მონაწილეობდა „კავკასიის“, აგრეთვე, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომებში. 1854 წელს, როცა შილდას შამილის მოლაშქრეები დაეცნენ, დ. ჭავჭავაძე იქ თავდაცვით ოპერაციას ხელმძღვანელობდა, ამ დროს კი ლეკებმა წინანდალში თვითონ დავითის სახლ-კარი გაძარცვეს და დაწვეს, მისი ოჯახის წევრები კი ტყვედ წაასხეს (დანვრილებით ამ საკითხზე იხ. დრანსე 1978). დ. ჭავჭავაძის მეუღლესთან, ანა ილია ბატონიშვილის ასულთან (1828-1905), შეხვედრა აღწერილი აქვს ალ. დიუმა-მამას (დიუმა 1970: 299-300).

დ. ჭავჭავაძე და მისი მეუღლე დაკრძალულნი არიან კახეთის შუამთაში, ალ. ჭავჭავაძის გვერდით (ხუციშვილი 1961: 115).

დ. ჭავჭავაძის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ 1873 წლის ივლისში წინანდალში, და-

ვითის სახლში და, უნდა ვიფიქროთ, მისივე მონაწილეობით, გამართულა თავადაზნაურობის კრება „საქალებო სასწავლებლის“ გახსნის შესახებ (დროება 1873).

დავით ჭავჭავაძეს ხელი აქვს მონერლი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე (ციფიანი 219: 1), თუმცა ამის შემდეგ „ბიბლიოთეკასთან“ დაკავშირებულ საბუთებში მისი სახელი არ ჩანს.

21. ჯორჯაძე დიმიტრი (1821-1883) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник); 1854-1872 წწ. დაღესტანში მსახურობდა სამოქალაქო საქმეთა მმართველად (ორბელიანი 1937: 316).

1867 წელს დ. ჯორჯაძე აირჩიეს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებელი კომიტეტის წევრად (დროება 1867). იგი დამფუძნებელი წევრი იყო „ქმნ-კგ საზოგადოებისა“ (გოდერიძე 1978: 32); ერთხანს თავმჯდომარეობდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას“ (დროება 1883^ა). დ. ჯორჯაძეს ლექსი უძღვნა ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვამ (ბალახაშვილი 1940: 167).

დიმიტრი ჯორჯაძე გარდაიცვალა კახეთში, მშობლიურ სოფელ ენისელში 1883 წლის 9 ნოემბერს (დროება 1883^ბ; ეპიტაფია იხ. ხუციშვილი 1961: 124; დ. ჯორჯაძის დაკრძალვაზე გრიგოლ არქიმანდრიტის მიერ წარმოთქმული სიტყვა იხ. დროება 1883^ა). დაკრძალულია „გრემის ნაქალაქევს, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში“ (დროება 1883^ბ). „თუმცა შესანიშნავი ადგილი ეჭირა და საზოგადოებისაგან დიდი პატივისცემაც დაიმსახურა, მაგრამ სიამაყე და ამპარტავნობა თავის დღეში მის გულს არ მიჰკარებია და მისი კარი ყოველთვის ღია იყო ღარიბთა და გაჭირვებულთათვის... არავითარ საქველ-მოქმედო საქმე ისე არ ჩაივლიდა, რომ თავის შეძლების კვალობაზედ უფრო მომეტებულად ხელი არ მოემართა განსვენებულს. არც ერთს საქ-

მეში უარის თქმა არ ეხერხებოდა და კიდევ ეს გულ-კეთილობა იყო მიზეზი, რომ დიდი ვალი დაატყდა თავს, თუმცა უკანასკნელ დროს მთავრობისაგან შემწეობა არ აკლდა“, – ნათქვამია „დროებაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში (დროება 1883^ა).

დიმიტრი ჯორჯაძეს ხელი აქვს მონერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ ნევრობაზე (ციფიანი 219: 1), შეტანილი აქვს 1843 წლის სანევრო თანხა (ციფიანი 211: 2), 1844 წლის სიაში (ციფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს.

ნევრები, რომლებიც დაფუძნების შემდეგ შეემატნენ „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკას“:

1. **აბესალომოვი ივანე** – სახელმწიფო მოხელე. 1840-იან წწ. მეფისნაცვლის სამოქალაქო კანცელარიაში მსახურობდა (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“). შესაძლოა, ეს ის „ი. ს. აბესალომოვი“ იყოს (ივ. აბესალომოვი სოლომონის ძე იყო), რომლის სახელობის „სტიპენდიის ვაკანსია“ გახსნილა 1900 წ. თბილისის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების თითო მოსწავლისათვის (სტიპენდიას გიმნაზისტებს ქალაქის გამგეობა ანიჭებდა – ცნობის ფურცელი 1900).

ივანე აბესალომოვს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის სანევრო თანხის ნახევარი (15 მან. ვერცხლით) (ციფიანი 211: 5).

2. **ბელიაევი ვასილ** – მეფისნაცვლის კანცელარიისა და წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ხაზინადარი 1840-1850-იან წწ. (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“). იგი წევრი იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა“ (კავკაზსკი კალენდარ 1852: 606) და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისა“ (კავკაზსკი კალენდარ 1852: 608).

ვასილ ბელიაევს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის სანევრო თანხა (ციფიანი 211: 5).

3. ბორზენკო ალექსი (1806-1867) – უკრაინული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოხელე, მკვლევარი-აღმოსავლეთმცოდნე, ლექსიკოგრაფი; დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტი; კავკასიაში მსახურობდა 1843 წლიდან, 1847-1849 წწ. განყოფილების უფროსია კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“), 1851 წ. კი მას სტავროპოლის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორის პოსტზე ვხედავთ (კავკაზსკი კალენდარ 1852: 575). მანამდე, 1845 წ., ა. ბორზენკო თბილისში დაარსებული რუსული თეატრის დირექციის წევრია (კობიაკოვი 1888: 3), 1847 წელს კი წიგნებს სწირავს მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებულ საჯარო ბიბლიოთეკას (ბერუე 1861: VI).

ალექსი ბორზენკოს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა (ყიფიანი 211: 5).

4. ერისთავი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე (1812-1891) – საზოგადო და სამხედრო მოღვაწე (კავალერიის გენერალი), ქველმოქმედი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ძე), 1829 წლიდან, პეტერბურგის იუნკერთა სკოლის დამთავრების შემდეგ, უნტერ-ოფიცრის ჩინით მსახურობდა ფინეთის პოლკში, მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში (მათ შორის, ვარშავის აღებაში), რისთვისაც მიიღო კორნეტის ხარისხი. 1832 წ. ივლისში შვებულებით ჩამოვიდა თბილისში და აქტიურად ჩაერთო შეთქმულთა საქმეებში. შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ სამხედრო სამსახურში შესვლის უფლებით გადაასახლეს არხანგელსკში (გოზალიშვილი 1976: 428), 1840 წელს „კაპიტნის ჩინით გადმოიყვანეს სამშობლოში“ (ბერძნიშვილი 1980: 231) და ამის შემდეგ მის შთამბეჭდავ სამხედრო კარიერას საფრთხე აღარ შეექმნია; 1840-1851 წწ. მონაწილეობდა „კავკასიის ომში“, 1852 წ. იყო კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი და მართავდა თერგისა და ყუბანის მხარეს (სხვა გიორგი ერისთავებისაგან რომ განესხვავებინათ,

სიცოცხლის ბოლომდე „ატამანს“ ეძახდნენ); 1858-1861 წლებში იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (ბიოგრაფიული ცნობები გ. რ. ერისთავზე იხ.: აქტები 1885: XXXIV; ბერძნიშვილი, 1980: 230-232).

სამსახურის პარალელურად გ. რ. ერისთავმა საკუთარი ადგილ-მამულების მართვის საქმე ისე დააყენა, რომ ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და გავლენიან მემამულედ იქცა მთელს ქართლში და, რაც საგანგებო აღნიშვნის ღირსია, იგი გამოირჩეოდა საქველმოქმედო და კულტურტრეგერული ინტერესებით. ეს უკანასკნელი გარემოება საგანგებოდაა აღნიშნული გ. რ. ერისთავისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში: „თავ. გიორგის დიდად უყვარდა სამშობლო ქვეყნის ისტორია და ყველას ხელს უმართავდა საქართველოს ძველის დიდების შესწავლის საქმეში“ (ივერია 1891); „ეს კაცი, თითქმის აღსავსე ყოველ გვარის ქვეყნიურის სიკეთით, თავის თავს კმაყოფილს ვერა გრძნობდა და გული სტიკოდა, როცა ხედავდა თავის სამშობლოს დაქვეითებას, თავის თანამემამულეთა უსწავლელობას, უკან ჩამორჩენას...“ (კვალი 1893: 2) და სხვ.

გ. რ. ერისთავის პატრიოტული სულისკვეთება საგანგებოდაა აღნიშნული ვალერიან გუნიას მიერ შედგენილ „საქართველოს კალენდარშიც“: „სასიკეთო საქმისათვის მუდამ ხელ-გაშლილი იყო. ბევრი ფული შეუწირავს ქართველთ საქველ-მოქმედო საქმეებისათვის. გამოჩენილის ისტორიკოსის ბაქრაძის ისტორია თავად გიორგის ხარჯზედ დაიბეჭდა“ (საქართველოს კალენდარი 1893: 428; იგულისხმება დიმ. ბაქრაძის მიერ 1885 წელს გამოცემულ ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“. გ. რ. ერისთავმა „100 თუმანი შესწირა ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულს ფონდს“ – ივერია 1891).

გ. რ. ერისთავის ხარჯით დაარსდა კასპში „სასოფლო სკოლა“ (ივერია 1890); იგი იყო ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე 1878 წელს დაფუძნებული „ღარიბ მონაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა“ და

მის ამ ინიციატივას მაღალ შეფასებას აძლევდა ი. ჭავჭავაძე (საკითხის შესახებ იხ. ქაჯაია 1995: 18-20) და სხვ.

გ. რ. ერისთავი გარდაიცვალა 1891 წლის 5 ნოემბერს, თბილისში, საიდანაც წაასვენეს დუშეთის მაზრაში და დაკრძალეს მშობლიურ ოძისში, საგვარეულო აკლდამაში. თბილისიდან მისი გასვენება და ოძისში დაკრძალვა „ივერიაში“ ასეა აღწერილი: „ცხედარს დიდ-ძალი გენერლობა და მრავალი ხალხი მისდევდა უკან. ხალხს უკან ჯარი მიდიოდა სამეგრელოს რაზმისა და ყაზახები ზარბაზნებითურთ. ვერაზედ სამღვდელოებამ ლოცვა გადაიხადა... ჯარმა უკანასკნელ პატივის-საცემლად სამჯერ დასცალა ზარბაზანი“ (ივერია 1891).

გიორგი რევაზის ძე ერისთავს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის სანევრო თანხა (ციფიანი 211: 5).

5. **ზახი** (ზოგან: **ზარხი**) **კონსტანტინე**. 1844 წლის სექტემბერ-ოქტომბერში „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ სალაროში ნაწილ-ნაწილ შეტანილი აქვს წესდებით გათვალისწინებული სანევრო გადასახადის მესამედი – 10 მან. ვერცხლით (ციფიანი 211: 6).

6. **მუხრანბატონი ივანე** (1812-1895) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი), გავლენიანი მემამულე (თბილისის გუბერნიის ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი – ბერძნიშვილი 1983: 111), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და რიგით მეორე თავმჯდომარე (1882-1885), 1885-1891 წწ. იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (ივ. მუხრანბატონზე იხ.: აქტები 1885: XXVI; ავალიანი 1967: 106-109; მეგრელიძე 1979: 151-154; ბერძნიშვილი 1983: 8-10, 111-113); დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში (მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის გარემოებებზე იხ. ივერია 1895^ა; ივერია 1895^ბ; ივერია 1895^გ).

ივანე მუხრანბატონს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის საწვერო თანხა (ციფიანი 211: 5).

7. ნეიდგარტი ალექსანდრე (1784-1845) – ავსტრიული წარმოშობის რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, 1842-1844 წწ. –კავკასიის მთავარმართებელი და განსაკუთრებული კორპუსის მეთაური (ბიოგრაფიული ცნობები იხ. აქტები 1884: XXIV). ალ. ნეიდგარტისა და მისი წინამორბედის, მთავარმართებელ ე. გოლოვინის (1838-1842), დროს დაიწყო საქართველოში მმართველობის გადასვლა სამხედრო რეჟიმიდან სამოქალაქო სისტემაზე და ეს პროცესი მ. ვორონცოვმა დაასრულა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ალ. ნეიდგარტს მთავარმართებლის პოსტზე ყოფნისას არა ჰქონია რამდენადმე შესამჩნევი წარმატებები არც სამოქალაქო-ადმინისტრაციულ და არც სამხედრო სფეროებში. უფრო მეტიც, მან სასტიკი დამარცხება იწვნია შამილთან ბრძოლებში, რის გამოც ნებყოფლობით დატოვა თანამდებობა (ორჯონიკიძე 1992: 172). დიმ. ციფიანის დახასიათებით, ალ. ნეიდგარტი იყო „კაცი უაღრესად სამართლიანი, მაგრამ იქამდე სასტიკი და პუნქტუალი, რომ არავის არასფერში არ აპატიებდა ოდნავ საქმის შეშვებას“ (ციფიანი 1930: 19-20).

უნდა ითქვას, რომ ალ. ნეიდგარტი გარკვეულ ყურადღებას უთმობდა განათლების საქმეს. კერძოდ, მას განზრახული ჰქონდა, თბილისში საქველმოქმედო საწყისებზე დაეარსებინა „საბავშვო თავშესაფარი“ (ციფიანი 1930: 20), 1843 წელს კი მოიარა იმერეთი და კახეთი, დაათვალიერა იქაური სამაზრო სასწავლებლები და იბრუნა ზოგიერთი მათგანის კეთილმოწყობაზე (ხუნდაძე 1951: 45, 48).

ალექსანდრე ნეიდგარტს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1843 წლის საწვერო თანხა (ციფიანი 211: 3), 1844 წლის სიაში (ციფიანი 211: 5-6) კი მისი სახელი არ ჩანს.

8. ნაზოროვი ივანე (გარდ. 1859) – წარმოშობით კოსტრომის გუბერნიიდან იყო; დამთავრებული ჰქონდა (1823) სმოლენსკის კადეტთა კორპუსი, მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში: 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომსა და 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში. 1842 წ. იგი ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრია და განაგებს „კავკასიისა და ამიერკავკასიის საფოსტო ნაწილს“, 1850 წ. კი ერევნის გუბერნატორის პოსტი უჭირავს (ბიოგრაფიული ცნობები ი. ნაზოროვზე იხ. აქტები 1885: XXVI-XXVII).

ი. ნაზოროვი იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა“ (კავკაზსკი კალენდარ 1852: 607) და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ (კავკაზსკი კალენდარ 1852: 608) წევრი.

ი. ნაზოროვი ქოლერამ იმსხვერპლა პეტერბურგში. ამის თაობაზე 1859 წ. 15 მარტს ალექსანდრე ონიკაშვილი პეტერბურგიდან თბილისში სწერს დიმ. ყიფიანს: „[ი. ნაზოროვი] გარდაიცვალა 11 ამ თვეს... დავასაფლავეთ ვოლკოვის სასაფლაოში“ (ყიფიანი 1556: 1). ი. ნაზოროვი და დიმ. ყიფიანი ოჯახური გარემოებითაც იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი – 1845 წლის 22 იანვარს ერთ დღესა და ერთსა და იმავე ეკლესიაში დაინერეს ჯვარი დებზე; დიმ. ყიფიანმა ნინო ჭილაშვილზე, ხოლო ი. ნაზოროვმა – ელისაბედზე (ყიფიანი 1894: 78; ჯორჯაძე 1989^ბ: 479).

ივანე ნაზოროვს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა (ყიფიანი 211: 5).

9. ჭავჭავაძე ალექსანდრე (1786-1846) – პოეტი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ახლო ურთიერთობა აკავშირებდა „ბიბლიოთეკის“ ინიციატორ დიმ. ყიფიანთან (ალ. ჭავჭავაძის ნეკროლოგი, დაწერილი დიმ. ყიფიანის მიერ იხ. ყიფიანი 1846). შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა (ყიფიანი 211: 5).

დასახელებულთა გარდა, კიდევ რამდენიმე პირს გამოუთქვამს „ბიბლიოთეკის“ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი

(ციფიანი 219: 2), მაგრამ ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო ეს სურვილი ვერ განუხორციელებიათ:

1. ანდრონიკაშვილი ივანე (1798-1868) – კავალერიის გენერალი (ბიოგრაფიული ცნობები ივ. ანდრონიკაშვილზე იხ.: ავალიანი 1967: 77-84; მეგრელიძე 1979: 102-111; აქტები 1885: XIII); მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, თუმცა ვერ დაუმტკიცეს და სასჯელი ასცდა (გოზალიშვილი 1970: 379; გოზალიშვილი 1976: 310-313). ივანეს მამა, მალხაზ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილი (გარდ. 1822), თავგამოდებით იბრძოდა რუსების წინააღმდეგ, რის გამოც ერთხანს ლტოლვილობაში იყო სოლომონ II-სთან ერთად (ბერძნიშვილი 1980: 145). ი. ანდრონიკაშვილმა პეტერბურგში მიიღო სამხედრო განათლება, შემდეგ სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებებას აპირებდა, მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის რჩევით ხელი აიღო ამ განზრახვაზე, რის გამოც დედამ, მარიამ (მამია) არჩილ ბატონიშვილის ასულმა (1775-1854), დანყველა ივანე და ოჯახი დატოვა (ანჩისხატს შეაფარა თავი – პაპავა 1990: 316).

1849-1856 წწ. ივანე ანდრონიკაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორი იყო. მის სამხედრო კარიერაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოსმალთა წინააღმდეგ 1853 წლის 14 ნოემბერს ახალციხესთან ჩატარებული ბრწყინვალე სამხედრო ოპერაცია, რომელმაც მტრის გამანადგურებელი შემოსევისგან „იხსნა ახალციხის მხარე და ქუთაისის გუბერნია“ (ბერძნიშვილი 1980: 142).

არსებული მასალები ივანე ანდრონიკაშვილის უდავო პატრიოტობაზე მეტყველებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეებში მისი მონაწილეობის კვალი არ ჩანს.

2. მამაცაშვილი იოსებ (1810-1874) – მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც გადაასახლეს ვიატკაში, სადაც ს. დოდაშვილთან ერთად იხდიდა სასჯელს. სამშობლოში დაბრუნე-

ბული (1836 წ. მარტი) ი. მამაცაშვილი გორში დამკვიდრდა და დიდხანს იმსახურა მაზრის მოსამართლედ. ჰქონდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის (Действительный статский советник) მაღალი ჩინი. ი. მამაცაშვილის ოჯახი კულტურულ-ლიტერატურული ინტერესების მქონე ქართველ მოღვაწეთა (დ. ბაქრაძე, ვ. თულაშვილი, დ. მუსხელიშვილი, ა. ფურცელაძე და სხვ., აგრეთვე, პროგრესულად მოაზროვნე რუსი პედაგოგი სიმონოვიჩი) თავშესაყარი იყო და იქვე დაიბადა ფართო პროფილის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელიც საბოლოოდ „ქმნ-კვ საზოგადოების“ დაფუძნებით დაგვირგვინდა (გოგებაშვილი 1990: 251-253; ი. მამაცაშვილზე იხ. აგრეთვე: ბერძნიშვილი 1983: 82-85; ნანიტაშვილი 1981: 121-136; კალანდაძე 1984: 280-282; სააკაძე 1957).

3. ორბელიანი დიმიტრი. იმ პერიოდში ჩვენთვის ორი დიმიტრი ორბელიანია ცნობილი:

დიმიტრი თამაზის (თომას) ძე (1797-1868) – გენერალ-ლეიტენანტი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს – ბერძნიშვილი 1983: 140), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1839-1855 წწ. (უთურაშვილი 1989: 94).

დიმიტრი ვახტანგის ძე (1808-1882) – ძე თეკლე ბატონიშვილისა, ძმა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებისა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მიესაჯა ადასახლება პენზაში, რომელიც კალუგით შეუცვალეს – ბერძნიშვილი 1983: 137), ბიბლიოფილი (გურგენიძე 1969: 97).

ძნელი სათქმელია, ამათგან რომელს ჰქონდა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წევრობის სურვილი.

4. საგინაშვილი ალექსანდრე (1808-1887) – გენერალ-ლეიტენანტი, „კავკასიის ომის“ მონაწილე. 1831 წ. იგი გრ. ორბელიანს თან ახლდა, როცა ამ უკანასკნელმა კავკასიის კორპუსში შერჩეული ჯარისკაცები ნოვგოროდში წაიყვანა (ორბელიანი

1959^ბ: 163). ალ. საგინაშვილი, ისევე როგორც მისი მეუღლე ბაბაღე სამარაგდონის ას. ორბელიანი, ადრესატია ნ. ბარათაშვილის კერძო ხასიათის წერილისა (ბარათაშვილი 1972: 139-140).

ალ. საგინაშვილი დამფუძნებელი წევრი იყო „ქმნ-კგ საზოგადოებისა“ (გოდერიძე 1978: 32). დაკრძალულია სოფელ კოდაში (ივერია 1887).

1997 წ.

დამონებიანი:

აბზიანიძე 1940: აბზიანიძე გ., ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი. „ლიტერატურის მატიანე“. წგნ. 1-2. 1940.

ავალიანი 1967: ავალიანი გ. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1967.

ალექსიევი-მესხიევი 1893: ალექსიევი-მესხიევი ნ. შესახებ ბ. ნ. ბარათაშვილის ძეგლის დადგმისა. „ივერია“, 22.VI, 1893, №130.

ანთელავა 1970: ანთელავა ი. გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და მათი ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX ს-ის 30-50-იან წლებში (ყირიმის ომამდე). // საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად). ტ. V (ტომის რედაქტორი ი. ანთელავა). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1970.

ანთელავა 1980: მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 41-42. 1980.

არზანოვები 1827: Арзановы. Опыт начертания Царства Армянского. Древняя история, украшенная 26 гравированными картинами. Москва: Тип. С. Селиванского. 1827.

აქტები 1884: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. IX. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1884.

აქტები 1885: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. X. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1885.

- აღწერილობა 1948:** ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები – II კოლექცია). ტ. III. შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1948.
- აღწერილობა 1973:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი სახელმწიფო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ. I₁ (შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით). თბილისი: მეცნიერება. 1973.
- ახვერდიანი 1986:** ახვერდიანი რ. მიხეილ თუმანიშვილის უცნობი ნაწარმოებები. „მნიგნობარი-84“. ნაწ. II. 1986.
- ბალახაშვილი 1939:** ბალახაშვილი ი. სამი შენიშვნა. „ლიტერატურული საქართველო“, 20.VI, 1939, №18.
- ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბლიტგამი. 1940.
- ბალახაშვილი 1941:** მანანა ორბელიანი. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. 1941.
- ბალახაშვილი 1966:** ბალახაშვილი ი., გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1966.
- ბარათაშვილი 1922:** დიმიტრი ყიფიანის ცოლის ნათქვამი. // ნ. ბარათაშვილი. ლექსები. ბედი ქართლისა. წერილები. ს. ფირცხალავას გამომცემა, ი. მეუნარგიას წინასიტყვაობით. ტფილისი: 1922.
- ბარათაშვილი 1972:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. ა. განერელიას და ი. ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1972.
- ბერჟე 1861:** Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки (1846–1861). Составлен и напечатан под редакциею Ад. Берже. Тифлис: Тип. гл. упр. наместн. Кавказа. 1861.
- ბერძნიშვილი 1941:** ბერძნიშვილი მაქს. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941, №2-3.
- ბერძნიშვილი 1948:** ბერძნიშვილი მაქს. ჟურნალ „სინათლის“ განცხადება. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, №4-5, 1948.

- ბერძნიშვილი 1980:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.
- ბერძნიშვილი 1983:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.
- ბოროზდინი 1934:** ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი (1854-1861). მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. ტფილისი: სახელგამი. 1934.
- ბროკჰაუზი-ეფრონი 1908:** Брокгауз и Ефрона энциклопедический словарь. кн. 78. т. XXXIX^A. С.-Петербург: Типография Акц. Общ. Брокгауз-Ефрон. 1908.
- ბროსე... 1841:** ვეფხვის ტყაოსანი. რუსულად Барсова кожа. პოემა დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვანლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილი-სა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ-პეტერბურლი: 1841.
- ბუაჩიძე 1983:** Буачидзе Г. Мари Броссе. Страницы жизни. Тбилиси: Мериანი. 1983.
- ბურჯანაძე 1992:** ბურჯანაძე ქ. მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1992.
- გამეზარდაშვილი 1974:** გამეზარდაშვილი დ. კვლავ „სალაყბო ფურცლებს“ ავტორთა ვინაობის საკითხისათვის. თსუ შრომები. ტ. 154. სერია 3 – „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. III. თბილისი: 1974).
- გერსამია 1950:** გერსამია ს. გიორგი ერისთავის თეატრი. თბილისი: სახელგამი. 1950.
- გოგებაშვილი 1990:** გოგებაშვილი ი. როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება“. // ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი (ხუთ ტომად). III (ტომის შემდგენლები: ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, გ. სიხარულიძე, ლ. ქაჯაია). თბილისი: განათლება. 1990.
- გოგობია 1964:** გოგობია ლ. მარიამ დემურია. თბილისი: ნაკადული. 1964.
- გოდერიძე 1978:** გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის. „საისტორიო მოამბე“. [ტ.]. 37-38, 1978.

- გოზალიშვილი 1935:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.
- გოზალიშვილი 1953:** გოზალიშვილი შ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მ ო ა მ ბ ე. ტ. XVII-ნ. 1953.
- გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.
- გოზალიშვილი 1976:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.
- გოცაძე 1954:** გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.
- გოცაძე 1973:** გოცაძე მ. ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის [XIX ს.] 20-30-იანი წლების მიჯნაზე. // საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად). ტ. IV (ტომის რედაქტორი მ. დუმბაძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.
- გრიგოლ ეპისკოპოსი 1889:** სიტყვა თქმული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორისაგან დროსა უგანათლებულესის კონსტანტინე ლევანის ძის დადიანის დასაფლავებაზე. „მწყემსი“, 1889, №12.
- გურგენიძე 1969:** გურგენიძე ნ. ძველი წიგნსაცავები საქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1969.
- დიუმა 1970:** დიუმა ალ. კავკასია. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, შესავალი წერილები და შენიშვნები ა. განერელიასი. თბილისი: მერანი. 1970.
- დოდაშვილი 1989:** დოდაშვილი ს. მოკლე მიმოხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა. // ს. დოდაშვილი. თხზულებანი. შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თ. კუკავა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989.
- დოდაშვილი 1989:** დოდაშვილი ს. განცხადება. // ს. დოდაშვილი. თხზულებანი. შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თ. კუკავა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989.
- დრანსე 1978:** დრანსე ა. შამილის ტყვე ქალები. თარგმნა და შენიშვნები დაურთო მ. თავდიშვილმა. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1978.

- დროება 1867:** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შეყრილობა-ზედ. „დროება“, 19 (31).V, 1867, №20.
- დროება 1873:** „20 ივლისს სოფელს წინანდალში...“. „დროება“, 10.VIII, 1873, №31.
- დროება 1876:** „დროების“ დღესასწაული ათის წლისა. „დროება“, 7.III, 1976, №24.
- დროება 1876:** დღიური („გუშინწინ, მარტის 8-ს...“). „დროება“, 10.III, 1876, №25.
- დროება 1883:** შინაური ქრონიკა („ამ დღეებში გარდაიცვალა კახეთს, ს. ენისელში...“). „დროება“. 11.XI. 1883, №227.
- დროება 1883:** შინაური ქრონიკა („თ. დიმიტრი ჯორჯაძის გარდაცვალებისა და დასაფლავების თაობაზე გვწერენ...“). „დროება“, 29.XI. 1883, №240.
- დროება 1883:** სიტყვა არხიმანდრიტის გრიგოლისა თქმული თავადი დიმიტრი დავითის ძის ჯორჯაძის დასაფლავებაზედ 1883 წ. 13 ნოემბერს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში სოფელს ენისელს. „დროება“, 1.XII. 1883, №242.
- ენიკოლოფოვი 1962:** ენიკოლოფოვი ი. გრიგოლ ორბელიანის არქივიდან. „ლიტერატურული საქართველო“, 15.VI, 1962, №25.
- ერისთავი 1997:** ერისთავი ელისაბ. მოგონება მამაზე. // ელიზბარ ერისთავი (კრებული). შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე. თბილისი: ლომისი. 1997.
- ერისთავი 13257:** ერისთავი ელისაბედ. [მოგონება]. ქლსმ, №13257-ბ, ფ. 8.
- ვათეიშვილი 1973:** Ватеишвили Д. И. Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века. Москва: Наука. 1973.
- თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბილისი: კანდელი. 1995.
- თუმანიშვილი 1881:** რჩეული თხზულებანი თ[ავად] მ. თუმანიშვილისა. თბილისი: გრ. ჩარკვიანის სტამბა. 1881.
- ივერია 1887:** ახალი ამბავი („შაბათს, 11 აპრილს...“). „ივერია“, 1887, 14.IV, №71.
- ივერია 1890:** ახალი ამბავი [„სოფ. კასპი (გორის მაზრა)...“]. „ივერია“, 6.IV, 1890, №70.

- ივერია 1891:** ახალი ამბავი („5 ამა ნოემბერს ტფილისში გარდაიცვალა...“). „ივერია“, 8.XI, 1891, №238.
- ივერია 1892:** თ. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი. „ივერია“, 23.II, 1892, №41.
- ივერია 1892:** ახალი ამბავი („გუშინ, 27 თებერვალს, დასაფლავეს...“). „ივერია“, 28.II, 1892, №44.
- ივერია 1895:** თავ. ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ მუხრან-ბატონი (ნეკროლოგი). „ივერია“, 14.III, 1895, №56.
- ივერია 1895:** გასვენება ტფილისიდან თ. ბაგრატიონ-მუხრანბატონისა.. „ივერია“, 16.III, 1895, №58.
- ივერია 1895:** ახალი ამბავი („16 მარტს რამდენიმე ათასი კაცი და ქალი გაემგზავრა...“). „ივერია“, 18.III, 1895, №60.
- იოანე შავთელი 1838:** თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა. თქმული ლექსად აბდულ-მესია შავთელისაგან, წელსა ქრისტესითა 1192-სა; აღბეჭდილი პლატონ ეგნატეს ძეს იოსელიანისა-მიერ. ტფილისი: 1838.
- იოსელიანი 1838:** [იოსელიანი, პლატონ]. ანბანი სასარგებლოდ ქართულთა ახალ-მოსწავლე ყრმათა. ტფილისი: 1838.
- იოსელიანი 1840:** იოსელიანი პ. პირუელ-დანყებთნი კანონნი ქართულის გრამატიკისა. შედგენილი პლატონ ეგნატის-ძის იოსელიანისა-მიერ. თფილისი: 1840.
- იოსელიანი 1845:** И. П. [Иоселиани, Платон]. Некрология князя Захария Палавандова. „Закавказский вестник“, 19.VII, 1845, №15.
- კავკაზ 1846:** Монастыр св. Давида. „Кавказ“, 16.II, 1846, №7.
- კავკაზსკი კალენდარ 1846:** Кавказский календарь. განყ. IV. 1846.
- კავკაზსკი კალენდარ 1852:** Кавказский календарь. განყ. IV. 1852.
- კალანდაძე 1984:** კალანდაძე აღ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. II. (1853-1963). თბილისი: განათლება. 1984.
- კერესელიძე 1860:** [კერესელიძე ი.]. რედაქციისაგან. „ცისკარი“, 1860, №5.
- კვალი 1893:** თ. გიორგი რომანოზის ძე ერისთავი. „კვალი“, 1893, №20.
- კობიაკოვი 1888:** Кобяков Д. А. Театр в Тифлисе с 1845-1856 год. Тифлис: Тип. канцелярии главноначальствующего гражд. частию на Кавказе. 1888.
- ლეონიძე 1940:** ლეონიძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო. „ლიტერატურის მატრიანე“, №1-2. 1940.

- ლომსაძე 1975:** ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუანლებიდან XIX ს. შუანლებამდე). თბილისი: მეცნიერება. 1975.
- მამისთვალისვილი 1997:** მამისთვალისვილი ე. ელიზბარ ერისთავი – დიდი მამულიშვილი. // ელიზბარ ერისთავი (კრებული). შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე. თბილისი: ლომისი. 1997.
- მაჭარაშვილი 1895:** აღწერა მთა-წმიდის ეკლესიისა და წმ. დავითის ცხოვრებისა. შედგენილი და გამოცემული მღ. ნესტორ მაჭარაშვილის მიერ. ტფილისი: 1895.
- მეგრელიძე 1970:** მეგრელიძე ი. რუსთველოლოგები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1970.
- მეგრელიძე 1979:** მეგრელიძე შ. ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები. თბილისი: მეცნიერება. 1979.
- მეგრელიძე 1997:** მეგრელიძე ი. სიძველეები ლიახვის ხეობაში (პატარა ლიახვის, ფრონის, ფანისა და ჯეჯორის ხეობები). წგნ. II. თბილისი: გაზეთ „სამშობლო ფორტეს“ გამოცემა. 1997.
- მენაბდე 1995:** მენაბდე დ. ქართულ-რუსული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. „მაცნე“ (ელს), 1995, №1-4.
- მეუნარგია 1954^ა:** მეუნარგია ი. ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით. ტ. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.
- მეუნარგია 1954^ბ:** მეუნარგია ი. ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით. ტ. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.
- მეფარიშვილი 1971:** მეფარიშვილი ლ. რუს და ქართველ ხალხთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ნ. ონიკაშვილის მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე). „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 25-26. 1971.
- მწყემსი 1887^ა:** იუბილური გენერალ-ადიუტანტის თავად ლევან ივანის ძის მელიქოვისა. „მწყემსი“, 1887, №26.
- მწყემსი 1887^ბ:** ახალი ამბები და შენიშვნები („ამ ორის წლის წინად...“). „მწყემსი“, 1887, №21.

- ნანიტაშვილი 1981:** ნანიტაშვილი ლ. იოსებ მამაცაშვილი. // ლ. ნანიტაშვილი. წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1981.
- ორბელიანი 1936:** ორბელიანი გრ. წერილები. ტ. I (1832-1850). ა. განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კ. გორდელაძის წინასიტყვაობით. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1936.
- ორბელიანი 1937:** ორბელიანი გრ. წერილები. ტ. II (1851-1859). ა. განერელიას რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1937.
- ორბელიანი 1959^ა:** ორბელიანი გრ. დიმიტ[რი] ონიკაშვილის დარღები. // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.
- ორბელიანი 1959^ბ:** ორბელიანი გრ. მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის. // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.
- ორჯონიკიძე 1992:** ორჯონიკიძე ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის პირველი ნახევარი). თბილისი: მეცნიერება. 1992.
- პაპავა 1990:** პაპავა თ. იმერეთის უკანასკნელი ამბები და დედოფალი მარიამ. // თ. პაპავა. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გ. შარაძემ. თბილისი: მერანი. 1990.
- რამიშვილი 1957:** რამიშვილი დ. მიხეილ თუმანიშვილი. ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1957.
- სააკაძე 1957:** სააკაძე შ. გერცენის ქართველი მეგობარი. „ლიტერატურული გაზეთი“, 11.XI, 1957, №45.
- საქართველოს კალენდარი 1893:** თავ. გიორგი რომანის ძე ერისთავი. „საქართველოს კალენდარი“. შედგენილი და გამომცემული ვ. გუნიას მიერ. 1893.
- ტაბლიაშვილი 1971:** ტაბლიაშვილი თ. დოკუმენტური მასალა ვახტანგ ორბელიანის შესახებ. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 25- 26, 1971.
- უთურაშვილი 1989:** უთურაშვილი ი. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.
- ვალავანდიშვილი 1841:** Князь П. [Палавандишвили, Захарий]. Грузинско-Русско-Французский словарь, составленный Давидом Чубиновым. „Журнал министерства народного просвещения“. Октябрь. 1841.

- ქართული მწერლობა 1992:** ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. IX (ჯ. ჭუმბურიძის რედაქტორობითა და ბოლოსიტყვით). თბილისი: ნაკადული. 1992.
- ქაჯაია 1995:** ქაჯაია ვ. ნიკო ცხვედაძე – გამოჩენილი განმანათლებელი და მამულიშვილი. // კრბ. „ნიკო ცხვედაძე – 150“ (შემდგენელი ნ. გამყრელიძე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1995).
- ქუთათელაძე 1959:** ქუთათელაძე ლ. ერთი ლექსის ავტორის საკითხისათვის. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XX-B. 1959).
- ყიფიანი 207:** „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდება, დამტკიცებული მთავარმართებელ ე. ა. გოლოვინის მიერ (22.IX.1842). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №207, ფ. 2.
- ყიფიანი 208:** „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისთვის“ წიგნების შესაძენად გაწეული ხარჯების ანგარიში, შედგენილი ზ. ფალავანდიშვილის მიერ (5.II-9.VII. 1843). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №207, ფ. 2.
- ყიფიანი 209:** ხელწერილი ისაკოვის წიგნის მაღაზიაში გაგზავნილი ფულის შესახებ, შედგენილი ზ. ფალავანდიშვილის მიერ (1.III.1843). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №209, ფ. 1.
- ყიფიანი 210:** „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ 1843 წლის მარტში მიღებული წიგნების სია. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №210, ფ. 2.
- ყიფიანი 211:** „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ შემოსავალ-გასავლის წიგნი (1844). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ. 7.
- ყიფიანი 212:** მიმოწერა ანდრეი ივანოვსა და დიმ. ყიფიანს შორის ფულისა და წიგნების გაგზავნა-მიღების შესახებ (4-23.VI.1843). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №212, ფ. 5.
- ყიფიანი 218:** Правила Тифлисской частной библиотеки. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №218, ნაბეჭდი, ფ. 5.
- ყიფიანი 219:** „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრთა სია (უთარილო). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ. 2.
- ყიფიანი 220:** ა. ივანოვის წიგნის მაღაზიის (პეტერბურგი) ანგარიში, წარდგენილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისადმი“ (უთარილო). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №220, ფ. 2.
- ყიფიანი 224:** მეფისნაცვლის კანცელარიის მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი – მაღლიერების გამოხატვა საჯარო ბიბლიოთეკისათვის

- ნიგნების გადაცემის გამო (10.I, 1849). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №224, ფ. 2.
- ყიფიანი 266:** მასალები საკრედიტო-სააქციო კომპანიის დაარსების შესახებ: ა) დიმ. ყიფიანის მიმართვები ალ. ბარიატინსკისადმი, ვ. ინსარსკისა და ალ. ონიკაშვილისადმი; ბ) კომპანიის წესდების პროექტი, შედგენილი დიმ. ყიფიანის მიერ (საერთო თარიღი: 2.VI.1862; ცარსკოე-სელო). ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 8.
- ყიფიანი 1364-1366:** მიხ. ზნაჩკო-იავორსკის კერძო ხასიათის წერილები დიმ. ყიფიანისადმი (1.I.1858; 15.IV.1859; 20.V.1959; შემახიდან თბილისში). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1364-1365, ფ. 4.
- ყიფიანი 1415:** ა. კრუზენშტერნის წერილი დიმ. ყიფიანისადმი ამ უკანასკნელის მიერ საჯარო ბიბლიოთეკისთვის 510 წიგნის გადაცემის შესახებ. (9.X.1859). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1415, ფ. 2.
- ყიფიანი 1556:** ალ. ონიკაშვილის წერილი დიმ. ყიფიანისადმი პეტერბურგიდან თბილისში (15.III.[1859]). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1556, ფ. 2.
- ყიფიანი 1559:** ალ. ონიკაშვილის წერილი დიმ. ყიფიანისადმი თბილისიდან პეტერბურგში (22.VII.1860). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1559, ფ. 2.
- ყიფიანი 1846:** Кипиани Д. „Весть, Выходящая из круга обыкновенных...“ „Кавказ“, 9. XI, 1846, №45.
- ყიფიანი 1894:** ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. ყ. „მოამბე“, 1894, №4, განყ. II.
- ყიფიანი 1899:** Кипиани К. Публичная библиотека в гор. Тифлисе. „Новое обозрение“, 23.III, 1899, №5224.
- ყიფიანი 1930:** ყიფიანი დიმ. მემუარები. ს. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1930.
- ყუბანეიშვილი 1966:** ყუბანეიშვილი სოლ. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII-XIX სს.). თბილისი: მეცნიერება. 1966.
- შარაძე 1987:** შარაძე გ. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტომატრიანე (ორ წიგნად). წგნ. I. თბილისი: ხელოვნება. 1987.
- ჩახრუხაძე 1838:** თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა. თქმული ლექსად ჩახრუხას ძისაგან, წელსა ქრისტესით 1187-სა; აღბეჭდილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის-მიერ. ტფილისი: 1838.

- ჩხეიძე 1997:** ჩხეიძე რ. სახელი ამილბარისა (საიდუმლო ნიკოლოზ ბართაშვილის ლექსისა „ქეთევან“) // ელიზბარ ერისთავი (კრებული). შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე. თბილისი: ლომისი. 1997.
- ჩხეიძე 1997:** ელიზბარ ერისთავი (კრებული). შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე. თბილისი: ლომისი. 1997.
- ჩხეტია 1950:** ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950.
- ცაიშვილი 1940:** ცაიშვილი სოლ., ნ. ბართაშვილის ბიოგრაფიისათვის. „ლიტერატურის მატიანე“, №1-2, 1940.
- ცაიშვილი 1948:** ცაიშვილი სოლ. ზაქარია ფალავანდიშვილი. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 12.IX, 1948, №36.
- ცინცაძე 1994:** ცინცაძე კ. ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში. გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ. თბილისი: კანდელი. 1994.
- ცნობის ფურცელი 1900:** ახალი ამბავი („მკითხველებს ეხსომებათ, რომ...“). „ცნობის ფურცელი“. 17.XII. 1900, №1330.
- ჭუმბურიძე 1969:** ჭუმბურიძე ჯ. მიხეილ თუმანიშვილი (1818-1875). // ქართული ლიტერატურის ისტორია (ექვს ტომად). ტ. III (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1969.
- ჭუმბურიძე 1974:** ჭუმბურიძე ჯ. ქართული კრიტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1974.
- ხელთუბნელი 1938:** ხელთუბნელი მ. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი: ფედერაცია. 1938.
- ხომერიკი 1961:** ხომერიკი ნ. მაიკო ორბელიანი (ლიტერატურული პორტრეტი). // ნ. ხომერიკი. ლიტერატურული ჩანაწერები. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1961.
- ხუნდაძე 1951:** ხუნდაძე ტ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა. 1951.
- ხუციშვილი 1961:** ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი. წგნ. I. შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ხუციშვილი.

ილმა. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემა. 1961.

ჯოლოგუა 1992: ჯოლოგუა თ. „გამორჩეული წევრი საზოგადოებისა“ – ზაქარია ფალავანდიშვილი. „მნიგნობარი-91-92“. 1992.

ჯოლოგუა 1997: ჯოლოგუა თ. ქეთევან ერისთავის საიდუმლო (რამდენიმე სიტყვა როსტომ ჩხეიძის ნაშრომზე – „სახელი ამილბარისა“). // ელიზბარ ერისთავი (კრებული). შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე. თბილისი: ლომისი. 1997.

ჯორჯაძე 1989^ა: ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიიდან. // ა. ჯორჯაძე. წერილები. // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

ჯორჯაძე 1989^ბ: ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატყანე). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

ერთი დაკარგული ალმანახის შესახებ

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, მიხეილ თუმანიშვილის არქივში (საქმე №840. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფურც. 2), დაცულია ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიისდროინდელი ამხანაგისა და ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ავადსახსენებელი ცენზორის, პოეტისა და მემუარისტის, ლუკა ისარლიშვილის (ისარლოვი) (1814-1893), ბარათი მიხეილ თუმანიშვილისადმი, გაგზავნილი ქუთაისიდან თბილისში, დათარიღებული 1841 წლის 15 დეკემბრით. ბარათში საინტერესო ცნობაა 1840-იანი წწ. ქართული სალიტერატურო ცხოვრების შესახებ: „Ты писал ко мне о том, чтобы я внес что-либо литературное в известный Альманах. Я не успел всего переписать გამოცდა¹ Бестужева, который у меня готов; но за всем тем я дал здесь Дмитрию Ивановичу [Кипиани] два стихотворения (элегические) и не знаю, удостоились-ли они чести быть внесёнными в оный;² я по сию пору ничего об этом не знаю. Я просил о тех стихах мнения и суда Дмитрия Ивановича, но он вероятно занят делами более важными и потому совестно мне беспокоить его об этом при его обширных занятиях. А когда кончу გამოცდა³ совсем, я пришлю его тотчас...“³

¹ მიხ. ხელთუბნელისა და ი. ბალახაშვილის პუბლიკაციებში – გამოცდა (ხელთუბნელი 1938: 147; ბალახაშვილი 1940: 179). დედანშია: გამოცდა.

² მიხ. ხელთუბნელის წაკითხვით – „...быть внесёнными в опыт“ (ხელთუბნელი 1938: 147). ეს სიტყვა (опыт) ამგვარადვე წაკითხვა (ან დაიმონმა) ი. ბალახაშვილმა, რამაც მას საფუძველი მისცა დარწმუნებით ეთქვა, რომ ლ. ისარლიშვილს მხედველობაში ჰქონდა „ნაბეჭდი ლიტერატურული ალმანახის“ გამოცემის განზრახვა „ცდის“ („Опыт“) სახელწოდებით (ბალახაშვილი 1940: 179-180).

³ „შენ მწერდი იმის თაობაზე, რომ ცნობილ ალმანახში შესატანად რაიმე ლიტერატურული [მასალა] მომემზადებინა. ვერ მოვასწარი

ლუკა ისარლიშვილის ბარათით ირკვევა, რომ:

ა) 1840-იან წლებში თბილისში განზრახული აქვთ ლიტერატურული აღმანახის შედგენა.

ბ) ამ საქმის ორგანიზებაში ჩაბმულნი არიან მიხეილ თუმანიშვილი და დიმიტრი ყიფიანი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ *აღმანახში* შეიძლება ვიგულისხმოთ „*კრებულიცა*“ და „*ჟურნალიც*“, რამდენადაც მაშინ ამ ტერმინებს დიდად არ განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან (უფრო მეტიც, „*გაზეთი*“ ზოგადად პერიოდიკის მნიშვნელობითაც იხმარებოდა და ზოგჯერ „*გაზეთში*“ „*ჟურნალს*“ გულისხმობდნენ).

1840-იან წლებში ქართული პერიოდული ორგანოს დაარსების რამდენიმე ცდაა ცნობილი: პლატონ იოსელიანის ჟურნალი, რომლის სახელწოდებაც წყაროებში არ ჩანს, იპოლიტე ბარტდინსკის „ივერიის ტელეგრაფი“, აგრეთვე, ჟურნალები: „სინათლე“ და „არე“, მაგრამ ამათგან ლ. ისარლიშვილს ვერც ერთი ვერ ექნებოდა მხედველობაში. საქმე ის არის, რომ პ. იოსელიანს ჟურნალის დაარსების მცდელობისათვის ჯერ კიდევ 1840 წელს მიუწებებია თავი (გოცაძე 1954: 228); ი. ბარტდინსკიმ წერილობითი თხოვნა ჟურნალის გამოცემის შესახებ ხელისუფლებას 1842 წლის 24 მარტს წარუდგინა (გოცაძე 1954: 229) და, ძნელი წარმოსადგენია, პეტერბურგში მცხოვრები ი. ბარტდინსკის ჯერაც ნებადაურთველი გამოცემისთვის თბილისში რამდენიმე

მოლიანად გადამწერა ბესტუჟევის გამოცდა, რომელიც მზად მაქვს. მანამდე მე აქ დიმიტრი ივანეს ძეს (ყიფიანს – თ. ჯ.) გადავეცი ორი ლექსი (ელეგიური ხასიათისა) და არ ვიცი, ერგო თუ არა მათ პატივი მასში მოხვედრისა. ამის შესახებ აქამდე არაფერი ვიცი. იმ ლექსების შესახებ დიმიტრი ივანეს ძეს ვთხოვე, გამოეთქვა აზრი და თავისი მსჯავრიც დაედო, თუმცა, როგორც ჩანს, ის უფრო მნიშვნელოვანი საქმეებითაა დაკავებული. საქმე კი იმდენი აქვს, რომ მერიდება მისი შეწუხება. ხოლო როცა საბოლოოდ მოვრჩები გამოცდას, მაშინვე გამოვგზავნი“.

თვით ადრე დაეწყოთ ლიტერატურული მასალის შეკრება, მით უმეტეს, თვითონ ი. ბარტდინსკი, როგორც ითქვა, იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა და საბოლოოდ არც ის ჰქონდა გადამწყვეტილი, თუ სად გამოეცა ჟურნალი: პეტერბურგშივე, თუ თბილისში. სხვათა შორის, „ეს გაურკვეველი მდგომარეობა გამოდგა იმის ერთ-ერთ ძლიერ არგუმენტად, რომ ბარტდინსკისათვის ჟურნალის გამოცემის ნებართვა არ მიეცათ“ (გოცაძე 1954: 231); „სინათლის“ პროგრამა („გამოცხადება“) დაიწერა 1844 წლის მეორე ნახევარში (ბერძინიშვილი 1980: 76-77) და ამ ინიციატივასთან მხოლოდ გორსა და გორის მაზრაში მცხოვრებ პირთა სახელებია დაკავშირებული (ბერძინიშვილი 1980: 76; გოცაძე 1954: 239), ხოლო რაც შეეხება „არეს“, მისი გამოცემის იდეა კიდევ უფრო გვიან გაჩნდა, თანაც პეტერბურგში, და იგი ჟურნალ „ცისკრის“ წინამორბედი უნდა ყოფილიყო (გუგუშვილი 1941: 107).

ი. ბალახაშვილის აზრით, ლუკა ისარლიშვილის ბარათში ლაპარაკია იმ „ნაბეჭდ ლიტერატურულ აღმანახზე“, რომლის დაარსებაც „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ მესვეურებს ჰქონდათ განზრახული (ბალახაშვილი 1940: 179). მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ასე არაა. თავი დავანებოთ იმ გარემოებას, რომ ი. ბალახაშვილს, როგორც ითქვა, წერილის ერთი ადგილი მცდარად აქვს წაკითხული („...в опыт“, სინამდვილეში კი იქ წერია „... в опын“) და ამის საფუძველზე აღმანახის სახელწოდებასაც კი ასახელებს („ცდა“). მართალია, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ მესვეურებს მართლაც ჰქონდათ განზრახული პერიოდული ორგანოს გამოცემა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, მათ დაეწყოთ პრაქტიკული საქმიანობა ჯერ არარსებული ორგანიზაციის პერიოდული გამოცემის დასაარსებლად – ბიბლიოთეკა ოფიციალურად 1842 წლის სექტემბერში გაფორმდა (ყიფიანი 207), პრაქტიკულად მუშაობას 1843 წლის იანვრიდან შეუდგა (ყიფიანი 210) და მხოლოდ ამის შემდეგ ატყობინებს ზაქარია ფალავანდიშვილი პეტერბურგში მყოფ მარი ბროსეს – შესაძლებელია,

პერიოდული ორგანო დავაარსოთო („Быть может, у нас будет не-
большая газета“ – ბუაჩიძე 1983: 134).

ლუკა ისარლიშვილი, როგორც ვნახეთ, ბარათის ადრესატს
სწერს – არ ვიცი, დიმიტრი ყიფიანისთვის გადაცემულ ჩემს
ელეგიურ ლექსებს ერგო თუ არა ცნობილ ალმანახში შეტანის
პატივიო. ამასთანავე, იგი ჩქარობს – როგორც კი ბესტუფევის
„გამოცდას“ გადავწერ, სასწრაფოდ გამოვგზავნიო. ეს გარე-
მოება, ვფიქრობთ, უეჭველს ხდის, რომ 1841 წლის ბოლოსთვის
ალმანახზე მუშაობა პრაქტიკულად დაწყებულია, რაც, თავის
მხრივ, საბოლოოდ გამორიცხავს ი. ბალახაშვილის მოსაზრებას
და, სხვათა შორის, იმის ალბათობასაც, რომ ლ. ისარლიშვილს
შეიძლებოდა მხედველობაში ჰქონოდა ნებისმიერი ზემოთ ნახ-
სენები ჟურნალი.

ზუნებრივია, დაისმის კითხვა: მაშ, რომელი ალმანახი აქვს
მხედველობაში ლუკა ისარლიშვილს?

ცნობილი ფაქტია, რომ მანანა ორბელიანის სალონის წევ-
რებს შეუდგენიათ და მანანასთვის მიუძღვნიათ ხელნაწერი ლი-
ტერატურული კრებული, რომელიც ამჟამად დაკარგულად ით-
ვლება. ამის თაობაზე 1865 წლის 5 აპრილს დიმიტრი ყიფიანი
თავის შვილს, ნიკოლოზ ყიფიანს, პეტერბურგში სწერს: „ის წრე,
რომელშიაც იგი (ნიკოლოზ ბარათაშვილი – თ. ჯ.) ტრიალებდა...
შესდგებოდა მთლად პოეტებისაგან; მაგრამ მათი ნაწარმოებე-
ბი არ შენახულა, ან შენახულია ერთადერთ ნიგნაკში, სადაც ეს
მათ ჩასწერეს და აჩუქეს, როგორც კრებული, მანანა ორბელინს“
(ლეონიძე 1940: 411). მანანა ორბელიანის სალონის წევრები კი
სხვებთან ერთად დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი და
ლუკა ისარლიშვილიც იყვნენ (ლეონიძე 1940: 412).

ასე იკვრება საკითხის გარშემო წრე და ყოველივე ზე-
მოთქმული გვაფიქრებინებს – ლუკა ისარლიშვილის ბარათ-
ში ნახსენები „ალმანახი“ ის ლიტერატურული ხელნაწერი
კრებული უნდა იყოს, რომელიც ქართველ მწერლებს მანანა
ორბელიანისთვის მიუძღვნიათ და, თუ ეს ასეა, მაშინ ამ კრებუ-

ლის შემდგენელთა შორის დიმიტრი ყიფიანი და მიხეილ თუმანიშვილიც უნდა ვიგულისხმოთ.

1998 წ.

დამონეშებიანი:

- ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბლიტგამი. 1940.
- ბერძნიშვილი 1980:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.
- ბუაჩიძე 1983:** Буачидзе Г. С. Мари Броссе. Страницы Жизны. Тбилиси: Мерани. 1983.
- გოცაძე 1954:** გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.
- გუგუშვილი 1941:** გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. I. თბილისი: სახელგამი. 1941.
- ლეონიძე 1940:** ლეონიძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო (შენიშვნები). „ლიტერატურის მატიანე“. წგნ. 1-2. 1940.
- ყიფიანი 207:** ბიბლიოთეკის წესდება, დამტკიცებული მთავარმართებელ ე. ა. გოლოვინის მიერ (22.IX.1842). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №207, ფ. 2.
- ყიფიანი 210:** ბიბლიოთეკაში 1843 წლის მარტში მიღებული წიგნების სია [1843]. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №210, ფ. 2.
- ხელთუბნელი 1938:** ხელთუბნელი მ. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი: ფედერაცია. 1938.

მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკა“: რაოზა, ძირითადი ასპექტები, შედეგები

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი ნიშანი ის იყო, რომ ახალდაპყრობილი მხარე (*Край*; იმპერიის განაპირა მხარე – *Окраина*) განიხილებოდა ასიმილაციური მანიპულაციების სარეალიზაციო ერთიან ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სივრცედ და იგნორირებული იყო ის არსებითი მნიშვნელობის გარემოება, რომ კავკასია სინამდვილეში სხვადასხვა ისტორიის, კულტურის, განსხვავებული ეროვნული ინდივიდუალობის მქონე ერების სამშობლო იყო. საკუთრივ საქართველოში ზემოხსენებულმა პოლიტიკურმა კურსმა მკაფიო ფორმულირება პოვა „კავკასიური პრობლემისადმი“ მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვის (1816-1827) დამოკიდებულებაში: „არ იარსებებს საქართველო და აღარც კავკასიის საკითხი იარსებებს“ (ივერია 1986: 30). ქართველი ხალხისა და მისი ისტორიისადმი დამოკიდებულება მკაფიოდ ჩანს იმავე ერმოლოვის წერილში გენერალ არსენი ზაკრევსკისადმი: „აქაური მეფეებისა და მთავრების მთელი ჯიში და ჯილაგი ერთ ცოფიან ძალადაც კი არ ღირს“ (ერმოლოვი 1926: 18).

1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამ და მისი მონაწილეების (ქართული პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური ელიტის) რუსეთის გუბერნიებში მიმოფანტვამ საქართველოში პოლიტიკური, კულტურული და მორალური კოლაფსი გამოიწვია. ეს დაადასტურა 1837 წელს საქართველოში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სტუმრობამ, რაც ხელისუფლებამ და ქართველმა საზოგადოებამ უნისონში აღნიშნეს გრანდიოზული ზეიმით (პოტო 1897: 53-54; ისარლოვი 1899: 181-184; მწყემსი 1903; ბალახაშვილი 1940: 134-142; უილბრაჰამი 1990: 39-47). ქართველი

არისტოკრატის (მათ შორის, მისი გუშინდელი ფრონდირებუ-
ლი ნაწილის) „სერვილურმა“ განწყობამ ნიკოლოზ I დაარწმუნ-
და, რომ შესაძლებელი იყო კავკასიაში რუსეთის იმპერიული
პოლიტიკის დასაყრდენად 1832 წლის შეთქმულების ჩავარდ-
ნით დემორალიზებული ქართველი არისტოკრატია გადაექცია.
ამისთვის კი აუცილებელი იყო: ა) მმართველობის სამხედრო
სისტემიდან სამოქალაქო სისტემაზე გადაყვანა და ბ) ქართვე-
ლი თავადაზნაურობისათვის სახელმწიფო სამსახურში კარის
ფართოდ გახსნა. ამ ამოცანის განსახორციელებლად არც პო-
ლიტიკური, არც ადმინისტრაციული და არც დიპლომატიური
რესურსები არ აღმოაჩნდათ მთავარმართველებს ე. გოლოვინსა
(1838-1842) და ალ. ნეიდგარტს (1842-1844). ამასთანავე, გამწვა-
ვდა მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც შამილმა რუ-
სულ ჯარებზე ზედიზედ მოიპოვა შთამბეჭდავი გამარჯვებები
და მიურიდიზმმაც ახალი ძალა და მასშტაბები შეიძინა.

ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა, კავკასიის მართვა ჩაებარები-
ნა ისეთი პიროვნებისათვის, რომელშიც გაერთიანებული იქ-
ნებოდა პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო და დი-
პლომატიური ნიჭი და პრაქტიკული შესაძლებლობები. 1844
წლის დეკემბერში იმპერატორის არჩევანი შეჩერდა უმაღლესი
არისტოკრატული ფენის წარმომადგენელზე – გრაფ მიხეილ
ვორონცოვზე (1782-1856), რომელიც იმ დროისათვის იყო სა-
ხელმძღვანელო გენერალი (მოგვიანებით – გენერალ-ფელდ-
მარშალი),¹ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, პეტერბურ-
გის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ნოვოროსიისა
და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი. ამასთანავე, ვორონ-
ცოვი იყო უაღრესად განათლებული (სხვათა შორის, ცნობი-
ლი ბიბლიოფილი) და დიპლომატიური უნარით აღჭურვილი

¹ ვორონცოვს აღიარებდნენ რუსეთის 1812 წლის სამამულო ომისა და
ვარნის (1828) გამორად. 1814-1818 წწ. იგი იყო საფრანგეთის საოკუპა-
ციო კორპუსის მეთაური და ა. შ.

სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ჯერ კიდევ 1803-1805 წწ. მსახურობდა საქართველოში მთავარმართებელ პავლე ციციანოვთან და იცნობდა ამიერკავკასიასა და მის თავისებურებებს (შჩერბინინი 1858: 8-22; ორჯონიკიძე 1992: 177).² ნიკოლოზ I ვორონცოვს მხოლოდ სამი წლით სთხოვდა კავკასიის მართვას და ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორობასაც უნარჩუნებდა (შჩერბინინი 1858: 213).

თავიდან ვორონცოვი ხანდაზმულობისა და ხანგრძლივი ბრძოლითა თუ შრომით გადაღლილობის გამო ყოყმანობდა (შჩერბინინი 1876: 300), შემდეგ კი მიიღო იმპერატორის წინადადება, თუმცა წამოაყენა აუცილებელი პირობა – კავკასიის გარდაქმნა სამეფისნაცვლოდ და გადაწყვეტილებათა მიღების საგანგებო უფლებების მინიჭება, არსებითად პირდაპირ იმპერატორს დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ავტონომიის შექმნა, რისი სპეციალური ბრძანებით გაფორმებული პირობაც ვორონცოვმა ნიკოლოზ პირველისგან მიიღო კიდევ (შჩერბინინი 1858: 212-215; მაკიევსკი-ზუბოკი 1906: 633-634; ორჯონიკიძე 1992: 186-188. კავკასიაში წამოსვლის წინ პირად საუბარში იმპერატორმა ვორონცოვს უთხრა: „შენ იქნები Alter ego“ – შჩერბინინი 1876: 301).³

ბრიტანეთში განსწავლულ და ბრიტანულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამოცდილებაზე აღზრდილ⁴ მიხეილ ვორონ-

² ყმანვილ ვორონცოვს მამაც ამას ურჩევდა – სამხედრო სამსახურის დაწყებას კავკასიაში და ადგილობრივი ცხოვრების საფუძვლიან შესწავლას (ბრიკნერი 1883: 236).

³ პეტერბურგში მოქმედი „კავკასიის კომიტეტის“ (1840-1882) იმდროინდელ მმართველს, სტატს-სეკრეტარ პოზენს, ნიკოლოზ I-ის ბრძანება რომ წაუკითხავს, თავი ვერ შეუკავებია და აღშფოთებით უთქვამს: „ვორონცოვს სამეფო ძალაუფლების მითვისება სურს!“ (შჩერბინინი 1876: 301).

⁴ ვორონცოვის მამა, გრაფი სიმონ ვორონცოვი (1844-1832) – თავისი დროის თვალსაჩინო რუსი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, 1784-1806 წწ. იყო რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი

ცოვს სწამდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება წყარო იყო იმპერიის ძლიერებისა და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი. იგი კავკასიაში ჩამოვიდა ფართო და საფუძვლიანი რეფორმისტული გეგმით, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, საქართველოს (ზოგადად, კავკასიის) უმტკივნეულო პოლიტიკურ და ეკონომიკურ შერწყმას რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ სხეულში, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას.

ვორონცოვი თბილისში ჩამოვიდა 1845 წლის 25 მარტს (ბიოგრაფები საგანგებოდ აღნიშნავენ – ეს ფაქტი ხარებას დაემთხვაო) და აქედან მოკიდებული ცხრანლიანი მმართველობის პერიოდში, მისივე ინიციატივითა თუ განმსაზღვრელი მნიშვნელობის მხარდაჭერით:

თბილისში დაარსდა რუსული თეატრი (1845), რომლის დასის დასაკომპლექტებლადაც ვორონცოვმა მსახიობები ჯერ სტავროპოლიდან, შემდეგ კი პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ჩამოიყვანა (აქტები 1888: 880-882, 890-893, 900-908; თეატრი თბილისში 1888: 1-10, 38-48, 72-103; გერსამია 1950: 37-42; ჩხაიძე 1986: 86-88).

1850 წელს დაფუძნდა ქართული პროფესიული თეატრი გ. ერისთავის ხელმძღვანელობით (აქტები 1888: 914-921; თეატრი თბილისში 1888: 124-149; მეუნარგია 1954^ა: 254-266; გერსამია 1950; ურუშაძე 1982: 25-32; ორჯონიკიძე 1992: 210-211), რამაც არა მარტო საფუძველი ჩაუყარა პროფესიულ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, არამედ ეროვნული დრამატურგიის

ლონდონში, გადადგომის შემდეგ ინგლისშივე დარჩა და იქვე გარდაიცვალა. დედით დაობლებული მიხეილ ვორონცოვი ერთი წლისა იყო, მამამ ლონდონში რომ წაიყვანა და მან იქვე (რუსეთში ჩამოუსვლელად) გაატარა ბავშვობა, ყრმობა და ლონდონშივე მიიღო ბრწყინვალე განათლება.

განვითარებასაც მისცა სტიმული (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, გ. დვანაძე და სხვ.).

1851 წელს დაარსდა იტალიური ოპერა, სადაც იდგმებოდა როსინის, ბელინის, ვერდის, დონიცეტის, მეიერბერისა და სხვ. საოპერო ნაწარმოებები, მუდმივი დასი კი შედგებოდა იტალიიდან ჩამოსული მომღერლებისაგან (აქტები 1888: 908-914; თეატრი თბილისში 1888: 103-124; გერსამია 1950: 94-98; ჩხაიძე 1986: 89. ვორონცოვი ნიკოლოზ I-ს სწერს: „ბევრი აქაური ახალგაზრდა იტალიური დასის წევრებისაგან სიმღერასა და სამსახიობო ხელოვნებას სწავლობს“ – აქტები 1885: 882). შეიქმნა საბალეტო დასიც, რომლის ხელმძღვანელადაც ვორონცოვმა მოიწვია რუსეთში ცნობილი ბალეტმეისტერი თედორე მანოხინი და 1852 წლიდან თბილისში რეგულარულად იდგმებოდა საბალეტო წარმოდგენები, მათ შორის, ადანის „ჟიზელი“ და „დუნაის ქალწული“ (აქტები 1888: 921-923; თეატრი თბილისში 1888: 149-154; ჩხაიძე 1986: 86-94; გერსამია 1950: 98-100).⁵

⁵ დიდად საინტერესო და საგულისხმოა „ცისკარში“ „მოლაყბის“ ფსევდონიმით მიხეილ თუმანიშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი „სალაყბოს ფურცლის“ მონაკვეთი: „აქეთ-იქიდან ისმოდა მხოლოდ სახელები: როსინისა, ბელინისა, დონიცეტისა, ვერდისა, მეიერბერისა და, ასე გაშინჯეთ, ვაგნერისაც... მეგონა, რო ვიყავ არა გორგ-ასლანის ქალაქში, არამედ მილანაში, ანუ ვენეტიკში. შემხვდა ერთი ჩადრიანი ყმანვილი ქალი, რომელიც მოდიოდა და იძახდა: თქუენის ბელინის მზეს, ჩადრზე ფეხი არ დამიდგათო“ (თუმანიშვილი 1858: 19). ბელინის თაყვანისმცემელი ჩადრიანი ქალი არსებითად არის მეტაფორა, რომლითაც შთამბეჭქდავადა გამოხატული ძირეული ეპოქისეული ცვლილებები – ქართველთა ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის სასიცოცხლო მნიშვნელობის ტრანსფორმაცია და „გამართვა“, ტ. ტაბიძის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, „ევროპის რადიუსით“ (ტაბიძე 1986: 191) [დარწმუნებით უნდა ითქვას – ვორონცოვის მიერ შეთავაზებულმა ცხოვრების წესმა ხალიჩებით განწყობილ სასახლეში მთვლემარე, თარისა და ზურნა-დუდუკის თაყვანისმცემელი ქართველი არისტოკრატი (სხვათა შორის, თარზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსაც დამღეროდნენ), სკუდიერის მიერ

ვორონცოვის ინიციატივით, იტალიელი არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის პროექტითა და დიდვაჭარ გაბრიელ თამამშევის ხარჯით აშენდა და 1851 წლის 12 აპრილს გაიხსნა ბრწყინვალე სათეატრო შენობა, რომელზეც ალ. დიუმა-მამას უწერია: „თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა... ერთ-ერთი საუკეთესო თეატრია დედამინის ზურგზე“ (დიუმა 1970: 274-275. თეატრის შენობასა და მისი აგების ისტორიაზე იხ.: აქტები 1888: 882-890; თეატრი თბილისში 1888: 10-37, 58-72; ვორონცოვის პერიოდის თბილისის თეატრალურ ცხოვრებაზე დოკუმენტური მასალა იხ. აგრეთვე, იოვიძე 1961: 402-437).

1846 წელს თბილისში დაარსდა გაზეთი „კავკაზი“, კავკასიის მთავარი რუსულენოვანი პერიოდული გამოცემა, რომელშიც, გარდა რუსი ავტორებისა, იბეჭდებოდა ქართველ ავტორთა თხზულებებიც საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურაზე. გაზეთი ვრცელდებოდა რუსეთშიც და, ამდენად, ბუნებრივად წარმოადგენდა ქართული კულტურის პოპულარიზატორს იმპერიის მასშტაბით. ეს კი თავისდათავად აბათილებდა იდეოლოგიურ ინსტრუმენტად ქცეული რუსული მეცნიერება-პუბლიცისტიკის მტკიცებას, თითქოს ქართველობა იყო გაუნათლებელი, უკულტურო, უფერული წარსულისა და სამომავლო პერსპექტივას მოკლებული ერი. დაარსდა აგრეთვე „კავკაზსკი კალენდარი“ (1846), რომელშიც, გარდა საცნობარო-კალენდარული ხასიათის ინფორმაციისა, ქვეყნდებოდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მასალა კავკასიისმცოდნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

1846 წელს დაფუძნდა საქართველოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდის დასაკომპლექტებლადაც თვითონ ვორონცოვის ინიციატივითა და, ზოგ შემთხ-

რენესანსის სტილით აგებულ ბრწყინვალე თეატრალურ შენობაში შეიყვანა].

ვევაში, მისივე ხარჯით იძენდნენ წიგნებს საქართველოსა და რუსეთში, უნიკალურ საბიბლიოთეკო კოლექციებს, იღებდნენ შემოწირულებებს, ინერდნენ გამოცემებს პეტერბურგიდან და მოსკოვიდან (აქტები 1885: 856; უზნაძე 1957: 19-22; გურგენიძე 1969: 137-143; ლორია... 1974: 189-194. სხვათა შორის, ვორონცოვს თვითონაც ჰქონდა ქართული წიგნების შთამბეჭდავი კოლექცია – შარაძე 1980: 187-204).

ვორონცოვის ინიციატივით თბილისში გაიხსნა წიგნის მაღაზია, რომელშიც, გარდა ქართულისა და რუსულისა, იყიდებოდა წიგნები ფრანგულ და გერმანულ ენებზე (ჭიჭინაძე 2002).

1848 წელს ვორონცოვის უშუალო ძალისხმევით შეიქმნა კავკასიის სასწავლო ოლქი (თავზიშვილი 1974: 280-300; ჯოლოგუა 2002: 188-190), რომელიც არ ექვემდებარებოდა რუსეთის განათლების სამინისტროს (მაკიევსკი-ზუბოკი 1906: 639) და რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტი“. „კომიტეტს“ ცალკე ჰქონდა ქართული ენის განყოფილება, რომელიც დიმ. ყიფიანის ხელმძღვანელობით შეიმუშავებდა ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლების მეთოდიკასა და სასწავლო პროგრამებს (სხვათა შორის, თბილისის გიმნაზიაში ისწავლებოდა ასეთი საგნები: „ძირითადი გრამატიკული განსხვავებანი ძველ ქართულ მწიგნობრულ ენასა და თანამედროვე ხალხურს შორის“, „სავარჯიშოები ძველი ქართული ენიდან თანამედროვეზე გადმოსაღებად“, „ქართული კილოს მოკლე მიმოხილვა და ძირითადი გრამატიკული სხვაობანი ქართული ენის სხვა კილოებთან“, „ქართველ მწერალთა და ცალკეულ თხზულებათა ისტორიული მიმოხილვა“...). იგივე „კომიტეტი“ ზრუნავდა სამაზრო სკოლათა ბიბლიოთეკების ქართული წიგნებით დაკომპლექტებაზე (ჯოლოგუა 2002: 190-195) და სხვ.

ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინა სასწავლებლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლებამ (თავზიშვილი 1974: 285), მათ შორის, იმ სამხედრო პირთა შვილებისთვისაც, რომლებიც

მხოლოდ დროებით იმყოფებოდნენ საქართველოში (საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 12-13) და ეს მაშინ, როცა „პოლონეთის სკოლებში, გარდა იმისა, რომ საგნების სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, 30-იან წლებში გაუქმებულ იქნა პოლონური ენის სწავლება, რაც თითქოს მემამბოხე „პოლონიზმის სულს“ ნერგავდა ახალგაზრდობაში“ (თავზიშვილი 1974: 280).⁶

ახალგაზრდებისათვის ხაზინის ხარჯზე დაარსდა სტიპენდიები რუსეთში განათლების მისაღებად: „1849 წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კავკასიიდან ყოველწლიურად ხუთის ნაცვლად 160 სტიპენდიანტის გაგზავნა დაანესეს“ (გაფრინდაშვილი 1970: 817).

თბილისში დაარსდა კიდევ ერთი (კომერციული), ხოლო ქუთაისში საგუბერნიო გიმნაზია, გაიხსნა სკოლები (გაფრინდაშვილი 1970: 813; თავზიშვილი 1974: 282, 292-296), მათ შორის, ბიჭვინთაში აფხაზ და მომიჯნავე ტერიტორიებზე მცხოვრებ ნებელდელთა და სვანთა („...сопредельных Цебельд и Сванетии“) (აქტები 1885: 226-227), თიანეთში თუმ-ფშავ-ხევსურთა (თავზიშვილი 1974: 292), ჯავაში ოსთა (აქტები 1885: 856), ქვეშეთში მთიელთა, ონში რაჭველთა, ლეჩხუმელთა და სვანთა (თავზიშვილი 1974: 295) შვილებისათვის და ა. შ.; 1853 წელს ვორონცოვის თბილისში სურდა საარქიტექტურო სასწავლებლის დაარსება, თუმცა ეს საქმე ვერ დაასრულა (თავზიშვილი 1974: 299). მიუხედავად იმისა, რომ „მ. ს. ვორონცოვის მიერ კავკასიის მეფისნაცვლის პოსტის დატოვებამ 1854 წელს უარყოფითი გავლენა მოახდინა განათლების ქსელის გაფართოებაზე“, 1855 წლის მო-

⁶ კავკასიიდან ვორონცოვის ნასვლის შემდეგ დაიწყო სასწავლებლებში ქართული ენის თანდათანობითი შევიწროება და ეს მიზანმიმართული პოლიტიკა დასრულდა 1873 წლის 22 ნოემბრის სპეციალური დებულებით, რომლის მიხედვითაც, ქართული ენის სწავლება მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში დარჩა და ისიც არასავალდებულო საგნად (ხუნდაძე 1951: 27-44).

ნაცემებით, საქართველოში უკვე არსებობდა სხვადასხვა ტიპის „147 სასწავლებელი 6023 მოწაფით“ (თავიშვილი 1974: 298-300).

ვორონცოვმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა ქალთა განათლებაზე – თბილისსა (1846) და ქუთაისში (1847) დააფუძნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები და რეალური შინაარსი და ფუნქცია შესძინა თბილისშივე 1840 წელს დაარსებულ „ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტს“ (აქტიუბი 1885: 856). ქალთა განათლების საქმეს ხელმძღვანელობდა ვორონცოვის მეუღლე ელისაბედ ვორონცოვა⁷ – წმ. ნინოს

⁷ *ელისაბედ ქსავერის ას. ვორონცოვა* (1792-1880) იყო რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ფიგურის, პოლონელი გეტმანისა და რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერლის ქსავერი ბრანიცკის (1731-1819) ასული (ე. ბრანიცკაიამ და მ. ვორონცოვმა ჯვარი დაიწერეს 1819 წ. 20 აპრილს – შჩერბინინი 1858: 164). ე. ვორონცოვა საერთოდ მეტად მაღალი აზრისა იყო ქართველთა ისტორიულ დამსახურებებზე (მახათაძე 1964: 201-202), ხოლო საქართველოში ყოფნისას ეწეოდა ნაყოფიერ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მოღვაწეობას; ამასთანავე, თბილისში ჰქონდა სალონი, სადაც ორშაბათობით თბილისის რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა [ბალახაშვილი 1940: 191-198; დაქვრივებული ე. ვორონცოვას ოჯახში სტუმრობას (ოდესაში) თბილად იგონებს ა. წერეთელი „ჩემ თავგადასავალში“ – წერეთელი 1958: 78-80]. ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მ. ვორონცოვის ყოფნის წლებში (1823-1844) ელისაბედი იყო 1820-1824 წწ. ნოვოროსიაში გამწესებული ალ. პუშკინის (ვორონცოვის კანცელარიის რიგითი მოხელის) მხურვალე ტრფობის საგანი, ლექსებისა და სასიყვარულო ბარათების ადრესატი, რამაც გამოიწვია მ. ვორონცოვის აგდებული დამოკიდებულება პოეტისადმი და, აქედან გამომდინარე – პუშკინის გამანადგურებელი ეპიგრამები მ. ვორონცოვზე (პუშკინი 1985: 308, 309, 339, 592; სხვათა შორის, პუშკინის გალიზიანებას ვორონცოვის ანგლომანიაც იწვევდა – ინტერნ. 1). ელისაბედ და მიხეილ ვორონცოვები გარდაიცვალნენ ოდესაში და იქვე, მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში, დაკრძალეს. 1936 წელს ბოლშევიკებმა ტაძარი დაანგრიეს, მიცვალებულთა სამარხები კი გაძარცვეს და ნაბილწეს. ოდესის მცხოვრებლებმა ვორონცოვების ძვლები მალულად დამარხეს ქალაქის სასაფლაოზე. 2005 წელს ოდესის სასულიერო და საერო ხელისუფლების გადაწყვეტილებით მიხეილ და ელისაბედ

სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“ თავმჯდომარე [„საზოგადოების“ მთავარი მიზანი იყო საქართველოში (საერთოდ კავკასიაში) ქალთა განათლებისათვის ხელის შეწყობა, ამ საქმის კოორდინაცია და სპეციალურად ქალებისათვის სასწავლებლების დაარსება. „საზოგადოების“ წევრები იყვნენ იმ დროის გამოჩენილი ქართველი არისტოკრატი ქალები: ნ. ჭავჭავაძე-გრიბოედოვა, მ. ორბელიანი, ე. ერისთავი, ს. სევარსამიძე, ნ. ჭილაშვილ-ყიფიანი და სხვ. – გოცაძე 1954: 321].

1850 წელს შეიქმნა „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება“ (1852 წლიდან ჰქონდა ყოველწლიური პერიოდული გამოცემა), რომლის „დანიშნულება იყო კავკასიის მხარის სისტემური გეოგრაფიული, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული კვლევა, მისი ფლორისა და ფაუნის შესწავლა, რითაც საფუძველი ჩაეყარა კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებას“ (კაპანაძე 1980: 306). „საზოგადოება“, რომელზეც ვორონცოვს უშუალო მეურვეობა ჰქონდა დაწესებული, „ერთხანს მთლიანად განსაზღვრავდა საქართველოში მეცნიერული კვლევა-ძიების შინაარსს, ხასიათს, მიმართულებას“ და, სხვათა შორის, ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის შეკრებას, პუბლიკაციასა და შესწავლას (ჯაგოდნიშვილი 2004: 155-161).

1852 წელს გამოიცა გ. ერისთავის „ციცკარი“ (მეუნარგია 1954^ა: 267-271; გუგუშვილი 1941: 113-117; გოცაძე 1954: 312-320) – ერთადერთი ქართული პერიოდული გამოცემა იმდროინდელ საქართველოში, რომელმაც „დაუდო დასაბამი იმ საჟურნალო ცხოვრებას, რომელიც მესამოცე წლებიდან არაჩვეულებრივად გაიზარდა და იქცა ქართული საზოგადოებრივი განვითარების მთავარ ფაქტორად“ (კოტეტიშვილი 1965: 175).⁸

ვორონცოვების ნემტები საზეიმო ცერემონიალით მაცხოვრის ფერისცვალების აღდგენილ ტაძარში გადაასვენეს (ინტერნ. 1).

⁸ ვორონცოვი გულწრფელად რომ ზრუნავდა ქართულ კულტურაზე, ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი მოიპოვება, რომელთაგან

1852 წელსვე დაარსდა „კავკასიის მუზეუმი“ უძვირფასესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფონდებით, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა 1919 წელს საქართველოს მუზეუმი – ამჟამად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (ჟორდანია 1951: 14-16).

აქ მხოლოდ ნაწილს დავიმოწმებთ: გ. ერისთავს მთელი თავისი დრო და ენერგია ქართული თეატრისთვის რომ მოეხმარა, ვორონცოვმა მიიღო იგი საგანგებო დავალებათა მოხელედ, ხელფასიც დაუნიშნა, თუმცა სამსახურებრივი მოვალეობებისაგან გაათავისუფლა; უკიდურესი გადატვირთულობის მიუხედავად, ვორონცოვი ესწრებოდა არა მარტო სპექტაკლებს, არამედ რეპეტიციებსაც, მსახიობებს დაუნიშნა მუდმივი ხელფასი და, ამას გარდა, წარმოდგენების შემდეგ ხვდებოდა მათ და გადასცემდა საჩუქრებს (მეუნარგია 1954^ა: 257-261); გ. ერისთავის „გაყრის“ 1850 წლის 2 (14) იანვრის ისტორიული წარმოდგენით გახარებულმა, სპექტაკლის აფიშა გაუგზავნა იმჟამად თემირხანშურაში მყოფ გრ. ორბელიანს (ივერია 1889; ბოცვაძე 1976: 135-138), ხოლო ალექსი ერმოლოვს მოსკოვში გაუგზავნა იმავე გ. ერისთავის პიესა „დავა“, ამ პიესის 1850 წლის 3 (15) მაისის წარმოდგენის აფიშა და ბარათი, რომელშიც ვორონცოვი ადრესატს სწერს: „პირველი რუსული თეატრალური წარმოდგენა 1750 წლის იანვარში შედგა და სცენაზე კადეტები თამაშობდნენ. პირველი ქართული წარმოდგენა 100 წლის შემდეგ განხორციელდა და სხვაობა იმაშია, რომ რუსული თეატრი დაარსებიდან 50 წლის შემდეგაც მეტისმეტად ცუდი სანახავი იყო და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაეტყო წინსვლა, განსაკუთრებით, მსახიობთა ოსტატობის მხრივ. რაც შეეხება ქართულ თეატრს, იგი ფეხის ადგმისთანავე, უბრალოდ, კარგად კი არაა, შესანიშნავად გამოიყურება. შეუძლებელია, განცვიფრება არ გამოიწვიოს იმან, თუ რა კარგად ესმით აქაურ საუკეთესო ოჯახიშვილებს ყველა როლი და რა ოსტატურად თამაშობენ ისინი სცენაზე. ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდება და ზნეობრიობაზეც კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს“ (რუსკი არხივ 1890^ბ: 355; ინტერნ. 3). საგანგებო ყურადღებას იჩენდა ვორონცოვი „ცისკრის“ მიმართაც – არა მარტო უშუალოდ იმპერატორისგან გამოითხოვა ჟურნალის დაარსების ნებართვა, არამედ გ. ერისთავს გადასცა მეფისნაცვლის კანცელარიის ერთ-ერთი სტამბა, გამოიწერა ჟურნალის 100 ნომერი და ამით რედაქტორ-გამომცემელს საქმის მატერიალური მხარეც მოუგვარა (კალანდაძე 1977: 237-238) და ა. შ.

ვორონცოვი მეურვეობდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციას, ისტორიული ძეგლებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციას (ყუბანიშვილი 2005: 382), განაახლა სიონის ტაძარი, ერეკლე II-ის სასახლე, ძველი გავაზის ეკლესია (ბარნაველი 1961: 81, 145) და სხვ.; მის მიერვე მოწვეულ მხატვარ გრ. გაგარინს (რუსეთის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი 1859-1872 წწ.) ბიზანტიური სტილით მოახატვინა თბილისის სიონის ტაძარი (ფერაძე 1964: 41-42), გადააღებინა თამარ მეფის ფრესკა ბეთანიის ეკლესიაში (ივერია 1899), გრ. გაგარინსვე გადააღებინა ალ. ორბელიანის მიერ ვორონცოვისთვის ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ხელნაწერიდან რუსთველის პორტრეტი და თბილისში მყოფ ფრანგ მოგზაურს, ფლერის, ეს პორტრეტი პარიზში გაატანა ლითოგრაფიული წესით დასაბეჭდად და გასამრავლებლად (შარაძე 1980: 118-119, 136; თაყაიშვილი 1968: 313)... ვორონცოვის უშუალო დავალებით დიმი. მელვინეთუხუცესიშვილმა არქეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა უფლისციხე (ხანთაძე 1983: 635; ბერძინიშვილი 1983: 103; ბუაჩიძე 1983: 254-257). ვორონცოვი იწვევდა რუს და უცხოელ მეცნიერებს (მ. ბროსე, გ. აბიხი, ი. ბართოლომეი, ა. მურავიოვი, ნ. ხანიკოვი და სხვ. – ორჯონიკიძე 1992: 209-210), ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ ინტენსიურ მეცნიერულ საქმიანობაში და ა. შ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვორონცოვის ზრუნვა ძველი ქართული ტექსტების გამოცემაზე. პ. იოსელიანი წერს: „მ. ს. ვორონცოვი, ვითარცა მეცენათე ქართუელთა ენისა და მნიგნობრობისა... ზრუნვიდა რათა არა-დაკარგულ იყუნენ წიგნნი და მწერლობა მის მცირედისა ქართუელთა ერისა, რომელიცა იყო ძუელად მეფობითისა პატივისა მექონე და ქრისტიანობისა გამო ზღუდე მტკიცე პირის პირ მაჰმადიანობისა... ამან, აზიისა და ევროპისა შორს მხედველმან კაცმან, დასაცუელად ქართუელთა სახელისა და პატივად ენისა მათისა ძუელისა, ინება და

ბრძანა დაბეჭდვით ქართულთა წიგნთა, არა დაეკარგოს კაცთა ნათესავისა საუნჯე გონებისა უნჯად ისტორიისა და მოსახმარად მეცნიერთა ევროპისა... ესრეთ სურვილისა თვისისა აღსრულებისა, წყურულით, ნამდული წყურულით... მოწადინებან აღმირჩია მე“ (იოსელიანი 1869: 2-3). პ. იოსელიანმა, ვორონცოვისაგან „გამხნეებულმან“, „მისისავე ხარჯითა და ბრძანებით“ 1851-1853 წწ. გამოსცა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“, იონა გედევანიშვილის „მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“, არჩილის „ცხოვრება თეიმურაზ პირველისა“ [ვრცელი მონაკვეთი არჩილის თხზულებისა – „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“], ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა“ (იოსელიანი 1869: 3). 1849 წელს ვორონცოვმა პ. იოსელიანი მიავლინა ათონის მთის ქართველთა მონასტერში, საიდანაც მკვლევარმა ჩამოიტანა მდიდარი მასალა ათონზე დაცული ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ (მახათაძე 1964: 193-202; ბარამიძე... 1978: 116-153).

ვორონცოვი უშუალოდ მონაწილეობდა „...ახალი, ჰერალდიკურად და შინაარსობრივად უფრო გამართული მუნიციპალური გერბების შემუშავების საქმეში. ჰეროლდიის დეპარტამენტისათვის განკუთვნილ მის რჩევებში ხშირად გამოსჭვივის ადგილობრივი, ქართული კულტურისა თუ ისტორიის ცოდნა და მისდამი მონიწეული დამოკიდებულება“ (ასათიანი 2002: 26).

საგულისხმოა, რომ, როდესაც ავადმყოფობის გამო ვორონცოვი იძულებული გახდა, იმპერატორისათვის ხანგრძლივი შვებულება ეთხოვა [თბილისიდან გაემგზავრა 1854 წლის 4 მარტს (აქტები 1885: 100) და ამის მერე ველარც დაბრუნდა კავკასიაში], მან თავის შემცვლელს, გენერალ რეადს, დაუტოვა ვრცელი ინსტრუქცია, რომელშიც სპეციალურადაა აღნიშნული – არ უნდა შენელებულიყო კავკასიის ხელისუფლების საგანგებო ყურადღება ქართული კულტურის მიმართ (აქტები 1885: 99-100).

ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-

წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ (სხვათა შორის, ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო ოჯახის წევრთა მიმართაც⁹).

როგორც ჩანს, *ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ ქართველთა ენობრივი და კულტურული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) თვითმყოფადობა საფუძვლად უნდა დასდებოდა რუსეთის ერთიანი და განუყოფელი იმპერიის ფარგლებში საქართველოს, როგორც ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის, ჩამოყალიბებას.* „მთელი მისი (ვორონცოვის – თ. ჯ.) მოქმედებიდან თითქოს ასეთი დასკვნა გამოდის, რომ ის ამზადებდა ნიადაგს საქართველოს ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის ფარგლებში“ – წერს სარგის კაკაბაძე (კაკაბაძე 1997: 126). უნდა ვიფიქროთ, მკვლევარი აქ გულისხმობს პოლიტიკურ (ან: პოლიტიკური ელემენტების შემ-

⁹ 1845 წელს ვორონცოვი თბილისიდან მოსკოვში სწერს ალექსი ერმოლოვს: „კარგი იქნებოდა, ჩვენს ხელისუფლებას მეტი სამართლიანობა და გულუხვობა გამოეჩინა აქაური სამეფო ოჯახის დარჩენილ წევრთა მიმართ“ (რუსკი არხივ 1890^ა: 175; ინტერნ. 4). ვორონცოვმა დიდი მონდომება გამოიჩინა, რათა ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალს – მარიამს – სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცემოდა [რუსკი არხივ 1890^ა: 175-176; რუსკი არხივ 1890^ა: 351; ინტერნ. 3; ინტერნ. 4 (მარიამ დედოფალი – დაჭრილი და რუსის ჯარით გარშემორტყმული – 1803 წლის 19 აპრილს შვილებთან ერთად გაიყვანეს თბილისიდან, გადაასახლეს კურსკის გუბერნიაში და იქ ბელგოროდის დედათა მონასტერში გამოკეტეს. 1811 წლიდან მარიამი ცხოვრობდა მოსკოვში, სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს 1849 წლის ბოლოს, თუმცა, სანამ საქართველოსკენ გზას დაადგებოდა, იგი მოსკოვშივე გარდაიცვალა. მარიამი ჩამოასვენეს სამშობლოში და 1850 წლის 18 ივნისს დედოფლის საკადრისი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში, გიორგი XII-ის გვერდით – კავკაზ 1850; პაპავა 1956: 240-252)]. ხაზგასმული ყურადღებითა და პატივისცემით ექცეოდა ვორონცოვი თეკლა ბატონიშვილსაც, რომელმაც – სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა – ზიარების შემდეგ სწორედ ვორონცოვსა და მის მეუღლესთან ისურვა პირისპირ შეხვედრა და დიდხანს ესაუბრა კიდევ მათ, თუმცა ამ საუბრის შინაარსი არ არის ცნობილი (ჯოლოგუა 2010: 73).

ცველ) ავტონომიას, რამდენადაც ადმინისტრაციული ავტონომია ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოს (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ფარგლებში) ისედაც ჰქონდა და ეს თვითონ ს. კაკაბაძესაც აქვს აღნიშნული [„როგორც იმპერატორის მოადგილე (ნამესტნიკი), ის (ვორონცოვი – თ. ჯ.) ემორჩილებოდა არა მინისტრებს, არამედ პირდაპირ იმპერატორს და აღჭურვილი იყო განსაკუთრებული უფლებებით კავკასიის საქმეების მოსაგვარებლად“ (კაკაბაძე 1997: 119)].

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ *ვორონცოვის საქართველოს აღორძინების გზად მიაჩნდა ქართული საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ცხოვრების ევროპეიზაცია, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ პოლიტიკას – რუსეთის მონარქია საქართველოში ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ რუსულ კულტურას, ცხოვრებისა და აზროვნების რუსულ წესს მიიჩნევდა*¹⁰ (ჩვენ ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ ვორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკაზე და აღარაფერს ვამბობთ მის ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებმაც ქართველი თავადაზნაურობის უუნარობის გამო მისი, როგორც კლასის, მატერიალური დეგრადაცია გამოიწვია და ხელი შეუწყო საქა-

¹⁰ საქართველოს ევროპეიზაციას ისახავდა მიზნად ვორონცოვის მიერ გატარებული ეკონომიკური და სავაჭრო რეფორმებიც: „ვორონცოვის მმართველობა გარდატეხის ხანას წარმოადგენდა... ამიერკავკასიის სავაჭრო სისტემაში ვორონცოვის მიერ გატარებული ცვლილებების შედეგად საქართველო თანდათან უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა ევროპის ქვეყნებს, რაც მის ეკონომიკურსა თუ კულტურულ განვითარებაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა“ (ორჯონიკიძე 1992: 212-213). ცალკე უნდა აღინიშნოს ვორონცოვის მიერ 1850 წელს დაარსებული „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“, რომელიც მიზნად ისახავდა *ტრადიციულ გამოცდილებაზე დაყრდნობით* სოფლის მეურნეობის ევროპეიზაციას და საამისოდ სპეციალისტებს ძირითადად საზღვარგარეთიდან იწვევდა (გუგუშვილი 1980: 309-310; ჯოლოგუა 2002: 217-218).

რთველოში სომხური ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი ასახულია ქართულ მწერლობაში: გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი... არ ვეხებით აგრეთვე ვორონცოვის პოლიტიკას რელიგიის სფეროში. ორიოდ სიტყვით კი უნდა ითქვას, რომ იგი, ერთი მხრივ, აღიარებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სარწმუნოებრივ და ისტორიულ დამსახურებებს, ხოლო მეორე მხრივ, ისლამისადმი გამოვლენილი იმ დროისათვის უჩვეულო ტოლერანტობით ვორონცოვმა პოლიტიკური რეჟიმისადმი ლოიალურად განაწყო ამიერკავკასიის მუსლიმი მოსახლეობა და ამით შამილსა და ოსმალეთს კავკასიაში პირდაპირ ხელიდან გამოგლიჯა მოკავშირე და დასაყრდენი).

ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შეფასება ქართულ წყაროებსა და ლიტერატურაში დიამეტრულად განსხვავებულია – უაღრესად პოზიტიურიდან **[ვრ. ორბელიანი** (მეუწარგია 1954^ბ: 66-67; დროება 1867^ა), **დიმ. ყიფიანი** (დროება 1867^ბ; ჯოლოგუა 2002: 169-170), **პ. იოსელიანი** (იოსელიანი 1869: 1-3), **ა. ფურცელაძე** (საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 71), **ი. მეუწარგია** (მეუწარგია 1954^ბ: 66; მეუწარგია 1954^ა: 254-256), **ა. ჯორჯაძე** (ჯორჯაძე 1909^ბ; ჯორჯაძე 1989: 103-105, 107), **მიხ. თამარაშვილი** (თამარაშვილი 1995: 125), **კ. მესხი** (ივერია 1900), **შ. ამირეჯიბი** (ამირეჯიბი 1998: 101), **ს. ყუბანეიშვილი** (ყუბანეიშვილი 2005: 378-385) და სხვ.] უკიდურესად ნეგატიურამდე **[ნ. ავალიშვილი** (ცაიშვილი 1955: 59-61), **ვახტ. კოტეტიშვილი** (კოტეტიშვილი 1965: 167-174), **ლ. ასათიანი** (ასათიანი 1940: 49-51), **ს. გერსამია** (გერსამია 1950: 36-39, 72-73, 102), **გ. თავზიშვილი** (თავზიშვილი 1974: 165-168), **ალ. კალანდაძე** (კალანდაძე 1977: 18), **რ. ჩხეიძე** (ჩხეიძე 1996: 263-267), **ნ. ვახანია** (ვახანია 1998: 13-14) და სხვ.¹¹].

¹¹ ჩვენს ზოგიერთ ადრინდელ ნაშრომშიც ვორონცოვი წარმოჩენილია მმართველად, რომელიც „თეატრისა და ჟურნალის დაარსებით, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული საქმიანობის წახ-

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, „ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის ნამესტნიკად (1844 წ.) ფრიად სასარგებლო და გამოსადეგი გახდა ქართულ ახალ კულტურის აღორძინებისათვის. მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამრთელების და განკურნების იმედმა შეიპყრო... ვორონცოვის ხანა შეიქმნა ქართულ კულტურის აღორძინების ხანად... ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინად, არც შემდეგში მის მზგავს მოვლენას არა ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში ამოად ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა, ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ... ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ – ეს ოცნება რეალობად იქცა...“ (ჯორჯაძე 1989: 103-105).

საპირისპიროს ამტკიცებდა ვახტანგ კოტეტიშვილი: „ვორონცოვის ხანა უნდა ჩაითვალოს იმ სისტემატური რეაქციის ეპიზოდად, რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქართველოს მიმართ. ვორონცოვს მხოლოდ ის „დამსახურება“ მიუძღვის, რომ მან გამოიჩინა დიპლომატიური უნარი და მოქნილობა, რის საშუალებითაც თავისი პოლიტიკის ბადეში მოაქცია ქართველი არისტოკრატიის დიდი ნაწილი. ვორონცოვმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთს, მაგრამ რა მფარველობა გაუწია საქართველოს, – არა ჩანს. მართალია, მან ენერგიულად მოკიდა ხელი ჩვენს ქვეყანას, კულტურას თითქოს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ იგი თავის საქმეს აკეთებდა. და თუ ზოგჯერ ქართულ საქმესაც

აღისებით ქართველთა ნაციონალური ღირსების ილუზიას ქმნიდა“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 281).

გადმოხედავდა, ეს იყო თვალის ახვევა და შირმა ... იგი ქმნიდა იმ ცენტრებს, სადაც აჩქარებით და სისტემით ხდებოდა ეროვნული დეგრადაცია ... ვორონცოვმა ქართული ჩვეულებების წინააღმდეგაც გაილაშქრა. იგი შეეჭრა ჩვენს ტრადიციულ ყოფას და ქართველ თავადაზნაურობას აიძულებდა შეეთვისებინა ევროპული ეტიკეტი“ (კოტეტიშვილი 1965: 171-172).

ვორონცოვის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ ნ. ნიკოლაძესა (ნიკოლაძე 1964^ა: 307; ნიკოლაძე 1964^ბ: 266; შდრ.: ნიკოლაძე 1985: 306-307) და, განსაკუთრებით, ალ. ორბელიანს, რომლის თხზულებებში ჩამოყალიბებულია ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი: „[ვორონცოვი], ცფიერულად უაღერსებდა სუბუქ ჭკოვანს ზოგიერთს ქართულებსა ... სხუა წარსული მთავარმართებლები ხომ გუატყუილებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტურათ მძვინვარებდნენ, მაგრამ ის დრო ვარანცოვისა საქართველოში, ჩუენგნით გამოუცდელი სულ სხუა გუარი მოსატყუებელი დრო იყო ... მითამ კაიკაცობას გვაჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ მომატებით, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა ... ვარანცოვამდისინ ქართულები შორს ვიდექით რუსებზე და იმან რუსებში გაგვრია, შეგვაერთა ამ ცფიერმა დიპლომატმა“ (ორბელიანი 1999: 54-57); მეორე მხრივ, ალ. ორბელიანის თქმით, „უგანათლებულესმა კნიაზ მ. ს. ვარონცოვმა ერთი სიტყვა არ იცოდა ქართული, მაგრამ გრძნობით კი დიდად ესიამოვნებოდა. მისთვის მოგვცა ქართული თიატრი და ქართული სალიტერატურო ჟურნალი – „აჰა, მარადის გქონდეთ და თქვენის მამა-პაპის კარგის ენით ისიამოვნეთ“. იმისი აზრი ეს იყო, იმ ღრმა განათლებულის და გამოჩენ[ილ]ის კაცისა. კნიაზ ვარონცოვი იყო დიდი გონების კაცი, სრული განვითარებული და სურდა ჭემმარიტად ჩვენი კეთილი“ (ორბელიანი 1879: 129-130).

ქართულ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი“ ნეგატიურ დამოკიდებულებას საფუძვლად ძირითადად ორი წყარო უდევს:

ა) ალ. ორბელიანის ზემოხსენებული პირველი თვალსაზრისი (თუმცა იგნორირებულია მისივე მეორე – პირველის გამომრიცხავი – შეხედულება), და

ბ) ვორონცოვის მიერ ნიკოლოზ პირველისათვის წარდგენილი 1849-1851 წწ. ანგარიში, რომელშიც ვკითხულობთ: „დაარსდა თეატრი, ლიტერატურა გამოცოცხლდა, წიგნები იბეჭდება, ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა კეთილინებებს და ჩათვლის – ამგვარი შედეგი უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს განათლების გავრცელებაზე, გემოვნების განვითარებაზე, ზნე-ჩვეულებათა დახვეწასა და რუსებში ადგილობრივთა შერწყმაზე“ („...слияние туземцев с русскими“) (აქტები 1885: 881).¹²

¹² ვორონცოვის კრიტიკოსები, ჩვეულებრივ, ციტირებას აქ წყვეტენ, თუმცა იქვე ესეცაა ნათქვამი: „თბილისში უკვე სამი თეატრი გვაქვს. უნდა აღვნიშნო, რომ აქაურ ხალხს არაჩვეულებრივად აქვს განვითარებული მშვენიერების აღქმის უნარი და ამიტომაც აღფრთოვანებით მიიღეს იტალიური ოპერა; პირდაპირ ანთებული არიან როსინის, ბელინისა და დონიცეტის ხელოვნებით. არადა, ცოტა ხნის წინ მათთვის უცხო იყო სხვა მუსიკა, გარდა ნახევრად ბარბაროსული სპარსული ჰანგებისა... წიგნების ბეჭდვა ჯერ კიდევ ვახტანგ მეფემ შემოიღო ასზე მეტი წლის წინ, თუმცა მის დროს წელიწადში ორი-სამი წიგნი თუ გამოიცემოდა. ვახტანგის შემდეგ განუწყვეტელი და ქვეყნის დამაქცევარი არეულობების გამო ეს საქმე შეწყდა, დღეს კი საეკლესიო წიგნები მოსკოვში იბეჭდება და იქიდანვე იგზავნება. მიუხედავად ამისა, საყოველთაო ლტოლვა ლიტერატურული გემოვნებისა და ენის გამშვენიერებისაკენ ქართველებში სულაც არ შენელებულა. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ, ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საუკუნეების განმავლობაში აქაურ ენას არსებითი ხასიათის ცვლილებები არ განუცდია და, შესაბამისად, ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებამ შეინარჩუნა თავისი პირვანდელი თვითმყოფადობა. დაახლოებით 700 წლის წინ, თამარის ეპოქაში დაწერილი დიდებული პოემა („...славная поэма“) „ვეფხისტყაოსანი“ დღესაც საუკეთესო გამოხატულებაა ქართული ენისა. საქართველოში ეს პოემა თითქმის ყველამ ზეპირად იცის. მართალია, იგი ადრე გამოცემულიც იყო, მაგრამ არასრულყოფილად და იმდენად მცირე ტირაჟით, რომ, გარდა რამდენიმე ხელნაწერისა, იშვიათად, საკუ-

ვორონცოვი იმპერატორს, რასაკვირველია, ვერ მისწერდა, რუსებისაგან ქართველების ჩამოშორებას ვაპირებო და, რაც მთავარია, მას არც ჰქონია ამგვარი განზრახვა. პირიქით, ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ მიზანდასახულობა, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ეს იყო – რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია, ოღონდ აუცილებლად ქართველთა ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და აღორძინებით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველი მოღვაწეებისათვის, დროისა და ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სავსებით მისაღები აღმოჩნდა ასეთი პერსპექტივა, მით უმეტეს, **ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის ევროპეიზაციის გზით**. დიმიტრი ყიფიანისადმი – იმდროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მეთაურისა და თვალსაჩინო ევროპეისტისადმი – მიძღვნილ ერთ-ერთ ნაშრომში ა. ჯორჯაძე აღნიშნავს: „დიად, ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი – ჰფიქრობდა ყიფიანი. ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზე. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დანესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლ-

თრად ვინმეს მოეპოვებოდეს. ამასთანავე, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში და დღესაც დიდგვაროვან ოჯახთა შვილები საკუთარ ნიჭს ლიტერატურულ შრომას უძღვნიან – ქმნიან პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებს, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმანებს. აუცილებელი იყო საგანმანათლებლო ცხოვრების წახალისება, მისი პოპულარიზაცია, ხელი უნდა შეგვეწყო ყოველივე ამისათვის და გაგვეფართოებინა მშვენიერებისაკენ სწრაფვის კეთილშობილური ლტოლვა“ (აქტები 1885: 881-882). რაც შეეხება სიტყვას „Туземец“, მან ქართველებისათვის შეურაცხყოფელი (დამამცირებელი) მნიშვნელობა მოგვიანებით შეიძინა, თუმცა თავისთავად ეს სიტყვა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ადგილობრივ მკვიდრს, აბორიგენს, ავტოქტონს [„Туземец – მკუიდრი მის ქუეყნისა, იქაური, მუნებური“ (ჩუბინაშვილი 1973: 568)].

ებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო...” (ჯორჯაძე 1909^ბ).

ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი“ დამოკიდებულება არც რუსეთში იყო ერთგვაროვანი. ვორონცოვის მმართველობის წლებშივე მის კურსს აკრიტიკებდნენ როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ (გერსამია 1950: 161-162), ისე რუსეთის ცენტრალურ მმართველობით სფეროებში (გუგუშვილი 1979: 91-94; ორჯონიკიძე 1992: 192; ინტერნ. 2), ხოლო მოგვიანებით დიდად გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში და არსებითად რუსული დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეოლოგიის მეთაური 1860-1880-იან წლებში მიხეილ კატკოვი ვორონცოვს უწოდებდა ლიბერალიზმის სახელით ნაციონალური ინტერესების უგულვებლმყოფელს, არარუსული თვითშეგნებისა და კავკასიაში სეპარატიზმის (განკერძოებულობის) წამახალისებელ მმართველს და პირდაპირ სდებდა ბრალს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში; ამასთანავე, ამტკიცებდა – სწორედ ვორონცოვის პოლიტიკამ აქცია ადგილობრივთა თვალში რუსი დამცირებულ და შეურაცხყოფილ, არსებითად მეორეხარისხოვან ადამიანადო (კატკოვი 1897: 554). საგულისხმოა ისიც, რომ ვორონცოვის შემცვლელმა, კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა (1854-1856) ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე უპირველეს მიზნად დაისახა მმართველობის ვორონცოვისეული სისტემის გამკაცრება (ნახევრად გასამხედროებული მმართველობის შემოღება) და წინამორბედის კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებების განადგურება, რასაც ქართველთა მძაფრი უკმაყოფილება და მურავიოვის სასწრაფო განვევა მოჰყვა (ორჯონიკიძე 1992: 228-230; ორბელიანი 1999: 59-63; იოვიძე 1961: 440-442; ზისერმანი 1874).

ვორონცოვი თვალსაჩინო ფიგურაა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში (ლექსები, პუბლიცისტიკა, მემუარები, დრამატული პოემა „ვორონცოვი“). აკაკის თხზულებებში ვორონცოვის სახე

წარმოჩენილია როგორც პიროვნებისა და მმართველისა, რომელიც იყო საქართველოში ძმობისა და სიყვარულის დამწერგავი („ბებიას ნაამბობი“), უსამართლობით გატანჯული ერის გულისტივილის გამზიარებელი („ქართველი ძეგლის წინ“¹³), ქართველი ხალხის „მამაშვილურად მოყვარული“, რომლის ხელშიც საქართველომ „სული იბრუნა“ („ვარანცოვის ძეგლი“), „ცით მოვლენილი... ზეკაცი“, რომელმაც საქართველოში გაავრცელა სწავლა-განათლება და „ჩაჰწერგა წრფელი სიყვარული“ („ვორონცოვი“), მმართველი, „რომელსაც აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივს სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა“ („ჩემი თავგადასავალი“), ქართული მწერლობის ქომაგი და მასზე უანგაროდ მზრუნველი („მცირე შენიშვნა“) და ა. შ.; აკაკი ეკამათება იმათ, რომლებიც საქართველოზე ვორონცოვის ზრუნვას ფარისევლობად მიიჩნევდნენ და აღნიშნავს: „ბრალი არა აქვს, სხვის ხელში / მისი ნამყენი თუ გახმა...“ („ვარანცოვის ძეგლი“).¹⁴

¹³ აკაკის შემოქმედებაში არაერთხელ ნახსენები „ძეგლი“ ვორონცოვის ხსოვნის პატივსაცემად თბილისში საზოგადოების ინიციატივითა და ძირითადად მოსახლეობის ნებაყოფლობითი შემოწირულებებით თბილისში ვორონცოვის (შემდომში მარქსის, ამჟამად – ზაარბრიუკენის) მოედანზე დაიდგა 1867 წლის 25 მარტს [პირველი ქანდაკება თბილისში. ავტორი – პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფესორი ნ. პიმენოვი. მისი გარდაცვალების გამო ძეგლი დაასრულა ვ. კრეიტანმა. იდგა ალგეთის ქვის კვარცხლბეკზე (არქიტექტორი ო. სიმონსონი)]. ძეგლის, აგრეთვე, მის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ იხ.: ვორონცოვი 1867; ბერიძე 1977: 209; გერსამია 1984: ფოტო და ანოტაცია №101; დროება 1866; დროება 1867^ა; დროება 1867^ბ; დროება 1867^გ; დროება 1867^დ]. მანამდე, 1963 წელს, ვორონცოვს ძეგლი დაუდგეს ოდესაში. თბილისში „ძეგლი მოხსნეს 1929 წ. მოედნის რეკონსტრუქციის დროს“ (ბერიძე 1977: 209).

¹⁴ ვორონცოვისადმი აკაკის დამოკიდებულების შესახებ ბოლო დროს ორი სპეციალური ნაშრომი გამოქვეყნდა: ყუბანიევილი 2005: 378-395; გაბოძე 2010: 53-64.

აკაკიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა გულწრფელი პატივისცემა ვორონცოვის მიმართ და მანვე მოგვცა, ჩვენი აზრით, ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ ყველაზე ლაკონიური და ზუსტი შეფასება – *ვორონცოვი მომავლის საქართველოს განიხილავდა როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით“* და ამას იგი აკეთებდა *„საევროპიო სწორის გზით“* („ქართული თეატრის დაარსება საქართველოში“ – ნერეთელი 1961^ა: 458). ანალოგიურ თვალსაზრისს ვრცლად იმეორებს ა. ნერეთელი 1912 წელს დაწერილ კიდევ ერთ თხზულებაში „ნარკვევი“ („რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა...“): „ტკბილი, კეთილი და მშვიდობიანი მომავალი, მხოლოდ სწავლა-განათლებით და შრომის ოფლით, უსისხლოდ გამოწვეული და წარსულზე მონაქარგი... ნეტარსხენებულ მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვს, საქართველოს მთავარმართველს, ეს ქართველების იდეალი პროგრამად ეჭირა ხელში. ის სცდილობდა, რომ ხელ-შეუხებელი ყოფილიყო ის ეკლესია, რომელმაც გადაარჩინა ერი მაჰმადიანობას და მეცხრამეტე საუკუნის კარებამდი მიიტანა ქრისტიანობა შეუბილწავად. უნდოდა, რომ ის დედა-ენა, რომლითაც ქართველობა მეოთხე საუკუნიდან ადიდებდა ღმერთს, არ მოსპობილიყო. და მეცადინეობდა, რომ მიწა-წყალი, ის მიწა-წყალი, რომელიც ქართველთა სისხლით იყო მორწყული და მოწამებრივ-თავდადებულ წინაპართა ძვლებით გაპოხიერებული, არ გამოსცლოდათ ხელიდან მკვიდრებს. ამ გვარად ის ჰფიქრობდა ქართველების რუსებთან დაკავშირებას. უნდოდა, რომ ქართველი დარჩენილიყო თავისის ეროვნულის ელფერით, ენით, ეკკლესიით და მიწა-წყლით ისევ ქართველად, მაგრამ პოლიტიკურად რუსი ყოფილიყო...“ – ნერეთელი 1961^ბ: 492).

ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ მიმართ ურთიერთგამომრიცხავ დამოკიდებულებას, ვფიქრობთ, განსაზღვრავს ის, თუ რაზეა ფოკუსირებული მისი მმართველობის შემფასებელი – აკაკის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ქართველების „პოლიტიკურ

გარუსებაზე“, თუ 1850-იანი წლების (და შემდგომი პერიოდისაც) ეროვნული კულტურის აღორძინებასა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების (ზოგადად ეროვნული თვითშემეცნების) სწრაფ და მკვეთრ ევროპეიზაციაზე, რაც, სხვათა შორის, მხოლოდ მ. ვორონცოვის დამსახურებად ვერ ჩაითვლება. ა. ჯორჯაძე წერს: „ექვსე გარეშეა, ვორონცოვი ვერ შეჰქმნიდა ჩვენში ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, თვით საზოგადოებაში რომ არ ყოფილიყო ამისათვის საჭირო ელემენტები“ (ჯორჯაძე 1989: 104).¹⁵ ნაციონალურ-კულტურული აღორძინებისათვის „საჭირო ელემენტები“ 1840-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მართლაც არსებობდა და აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ვოლოგდის გადასახლებიდან ახალდაბრუნებული დიმიტრი ყიფიანის „ეროვნული ხსნის პროგრამა“, რომელიც დაფუძნებული იყო განმანათლებლობის იდეოლოგიაზე და ითვალისწინებდა პოლიტიკური სისტემის, როგორც გარდაუვალი მოცემულობის, აღიარებასა და განათლების გავრცელების გზით რუსეთის იმპერიის ფარგლებშივე ქართული კულტურისა და საერთო-ეროვნული თვითშემეცნების აღორძინებას.* საამისოდ გადადგმული იყო კიდევაც პირველი ნაბიჯები. კერძოდ, 1842 წელს დიმ. ყიფიანმა დააარსა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ – საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული პირველი საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის დამფუძნებელი წევრები იყვნენ: ნ. ბარათაშვილი, გრ. და ვ. ორბელიანები, მ. თუმანიშვილი, ზ. ფალავანდიშვილი და სხვ.; საგან-

¹⁵ საკითხისადმი ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა მაქს. ბერძნიშვილსაც. იგი თვლიდა, რომ 1840-1850 წწ. „ეროვნული კულტურის აღორძინება“ მარტო ვორონცოვის ინიციატივას არ უნდა მიენეროს, რამდენადაც „ამ „რენესანსს“ ნიადაგი უკვე შემზადებული ჰქონდა ვორონცოვის დანიშვნა-ჩამოსვლამდე და ქართველობა კარგა ხნის ამოძრავებული“ იყო“ (ბერძნიშვილი 1980: 6).

* უფრო ვრცლად დიმ. ყიფიანის „ეროვნული ხსნის პროგრამის“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 215-216.

გებოდ უნდა აღინიშნოს მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონი, სადაც წარმოიშვა და დამუშავდა არაერთი ეროვნული მნიშვნელობის იდეა (პროფესიული ქართული თეატრის ჩამოყალიბება, ჟურნალ „ცისკრის“ დაარსება, ორიგინალური და მთარგმნელობითი ლიტერატურული პროცესების ნახალისება და სხვ. – ბალახაშვილი 1940: 181-190; ბალახაშვილი 1941: 25-36. ვორონცოვი იყო სალონის ხშირი სტუმარი და ხელშემწყობი). უნდა აღინიშნოს პ. იოსელიანის სამეცნიერო-საგამომცემლო და ჟურნალისტური საქმიანობაც და სხვ.; ქართველ მოღვაწეთა მონინავე ნაწილისა და ვორონცოვის გეგმები დაემთხვა ერთმანეთს და ამგვარმა უნისონმა კულტურის სფეროში ხელისუფლებისა და საზოგადოების სათანამშრომლოდ შექმნა მყარი საფუძველი მისგან გამომდინარე უალრესად პოზიტიური შედეგებით („ეს პირველი ეტაპი ქართულ კულტურის აღორძინებისა... იყო მთავრობის და საზოგადოების სოლიდარული თანამშრომლობის ეტაპი“ – ჯორჯაძე 1989: 107). უნდა ითქვას, რომ თავისი ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებისას ვორონცოვმა მთავარ თანამშრომლად და დასაყრდენად აირჩია დიმ. ყიფიანი, რომელსაც, ბარონ ალ. ნიკოლაის მიერ იმპერიის უმაღლესი ხელისუფლებისადმი გაგზავნილი კონფიდენციალური მოხსენების მიხედვით, „ავტონომიურ საქართველოზე მეოცნებედ“ მიიჩნევდნენ (საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 227) და ს. კაკაბაძეც მას უწოდებს „ავტონომიის იდეის... თვალსაჩინო მოტრფიალეს“ (კაკაბაძე 1997: 126). დიმ. ყიფიანმა, თავის მხრივ, ამიერკავკასიაში განხორციელებული ძირეული ცვლილებები მაქსიმალურად შეუფარდა ქართველთა ეროვნულ-კულტურულ ინტერესებსა და საჭიროებებს (ჭიჭინაძე 1892: 23-26; ჯორჯაძე 1909^ა; ნიკოლაძე 1964^ა: 307; სახოკია 1969: 12; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 11-13).

მ. ვორონცოვის „კავკასიურ პოლიტიკასა“ და მისგან გამომდინარე პროცესებს – მათ შორის, დიმ. ყიფიანის „ეროვნული ხსნის პროგრამის“ რეალიზაციისათვის ხელსაყრელ გარემოს –

ვფიქრობთ, პირდაპირი კავშირი აქვს 1860-იანი წლების საზოგადოებრივ და სალიტერატურო ვითარებასთან და, ამ მხრივ, მართებული გვგონია ქ. ნინიძის შეხედულება: „ეს (თერგდალეულთა – თ. ჯ.) ფენა ყალიბდება ვორონცოვის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად“ (ნინიძე 2009: 68).

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყველა ის ენობრივი თუ ლიტერატურული პრობლემა, რომლებიც ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა და ამა თუ იმ ფორმით დაამუშავა 1860-იან წლებში, მეტ-ნაკლები სიღრმითა და ინტენსივობით უკვე იყო დასმული წინა ათწლეულში: ამ დროს გააზრებულია ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობა (დიმ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი, ლ. არდაზიანი, დიმ. ბაქრაძე) და ეს პროცესი თანამიმდგრულად მკვიდრდება შემოქმედებით პრაქტიკაში (გ. და რ. ერისთავები, დიმ. ყიფიანი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე...), მკაფიოდაა გამოთქმული თვალსაზრისი ორთოგრაფიული რეფორმის საჭიროებაზე (დ. ჩუბინაშვილი), ისტორია გააზრებულია არა როგორც ჩაკეტილი დრო და სივრცე, არამედ როგორც ანმყოში გამოსაყენებელი გამოცდილება (დიმ. ყიფიანი), იგივე ისტორია წარმოჩენილია ხალხში ისტორიული ერთობის შეგნების ჩამოყალიბებისა და ეროვნული ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად (დიმ. ყიფიანი, ნ. ბერძნიშვილი), მეტ-ნაკლები საფუძვლიანობით შემუშავებულია თვალსაზრისი ცხოვრების რეალისტურად ასახვისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების (მ. თუმანიშვილი, ნ. ბერძნიშვილი), ლიტერატურაში ეროვნული თემატიკისა და პრობლემატიკის პრიორიტეტულობის, ადმოსავლური (კერძოდ, სპარსული) პოეზიის პირდაპირი და ზედაპირული გავლენის აღმოფხვრისა და ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციის აუცილებლობის, სალიტერატურო კრიტიკის, მთარგმნელობითი პოლიტიკის, ჟურნალისტიკის რაობისა და ფუნქციის შესახებ (ნ. ბერძნიშვილი), ჩნდება და ფეხს იკიდებს

პუბლიცისტური აზროვნება (მ. თუმანიშვილი, ივ. კერესელიძე) და სხვ.

ერთი სიტყვით, 1860-იანი წლებისთვის მომზადებულია ნიადაგი ახალი, დროის მოთხოვნათა მიმართ ადეკვატური, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურულ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად.

დიდად საგულისხმოა, რომ ილია, როგორც მოაზროვნე და მესვეური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში მოეწვინა ქვეყანას, როცა წარსულს ბარდებოდა მ. ვორონცოვის მიერ გატარებული ლოიალური, სამოქალაქო ცხოვრებასა და კულტურაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ახალი ფორმებით საქართველოს რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკის განხორციელება. ამგვარ პირობებში კი მეტად ძნელი იქნებოდა (თუ შეუძლებელი არა) ნოვატორული კულტურულ-იდეოლოგიური სისტემების შექმნა ვორონცოვისდროინდელი მონარქისტულ-კონსერვატორული მსოფლმხედველობითა და კულტურულ-ინტელექტუალური რესურსებით. ამდენად, ეროვნულმა ენერგიამ, რომელიც იმ დროისათვის სიცოცხლისა- და მოქმედებისუნარიანი აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე მაინცადამაინც მაშინ წარმოშვა, როცა ამისი სასიცოცხლო აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ილია თავის პროგრამულ თხზულებაში „საქართველოს მოამბეზედ“ ზოგადად ამბობდა: „გენიოსი [წინამძღოლი]... ნაყოფია თავის დროებისაო“ (ჭავჭავაძე 1991: 120), თვითონ ამ სიტყვების ავტორზეც უნდა გავრცელდეს – ილია ჭავჭავაძე ნაყოფია იმ „დროებისა“, რომლის ფესვებიც, გარდა ნაციონალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციებისა, მ. ვორონცოვის „კავკასიურ პოლიტიკასა“ და მასთან ჰარმონიზებულ დიმ. ყიფიანის „ეროვნული ხსნის პროგრამაში“ უნდა ვეძებოთ.

2010 წ.

დამონებიანი:

- ამირეჯიბი 1998:** ამირეჯიბი შ. [თხზულებები]. ნგნ. II. შემდგენელი ლ. ცომაია. თბილისი: დიოგენე; არსი. 1998.
- ასათიანი 1940:** ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბილისი: ფედერაცია. 1940.
- ასათიანი 2002:** ასათიანი თ. ქართული გერბთმცოდნეობა (პერალდიკა). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. 2002.
- აქტები 1885:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. X. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1885.
- აქტები 1888:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. XI. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1888.
- ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბლიტგამი. 1940.
- ბალახაშვილი 1941:** ბალახაშვილი ი. მანანა ორბელიანი. თბილისი: 1941.
- ბარამიძე... 1978:** Барамидзе А. А., Ватейшвили Д. Л., П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности. Тбилиси: Мецниереба. 1978.
- ბარნაველი 1961:** კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961.
- ბერიძე 1977:** ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბილისი: მეცნიერება. 1977.
- ბერძნიშვილი 1980:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.
- ბერძნიშვილი 1983:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.

- ბოცვაძე 1976:** ბოცვაძე ი. წარსულის ფურცლები (გრ. ორბელიანის და მ. ვორონცოვის მიმონერიდან). // ი. ბოცვაძე. პრესა და მწერლობა. თბილისი: განათლება. 1976.
- ბრიკნერი 1883:** Брикнер А. Г. Письма С. Р. Воронцова к сыну графу М. С. Воронцову. „Вестник Европы“, 1883, №3.
- ბუაჩიძე 1983:** Буачидзе Г. С. Мари Броссе. Страницы Жизны. Тбилиси: Мерани. 1983.
- გაბოძე 2010:** გაბოძე ჯ. „ვარანცოვის დრო“ (აკაკის უცნობი ლექსების დათარიღებისათვის). „ნახნავი“ (ფილოლოგიურ კვლევათა წელიწადეული), მ. ღალანდიძის რედაქციით. 2. 2010.
- გაფრინდაშვილი 1970:** გაფრინდაშვილი მ. ქართული კულტურა XIX საუკუნეში. // საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად). ტ. V (საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში). ი. ანთელავას რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1970.
- გერსამია 1950:** გერსამია ს. გიორგი ერისთავის თეატრი. თბილისი: სახელგამი. 1950.
- გერსამია 1984:** გერსამია თ. ძველი თბილისი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984.
- გოცაძე 1954:** გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.
- გუგუშვილი 1941:** გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. I. თბილისი: სახელგამი. 1941.
- გუგუშვილი 1979:** გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. VI. თბილისი: მეცნიერება. 1979.
- გუგუშვილი 1980:** გუგუშვილი პ. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება. // ქსე. ტ. 5. თბილისი: 1980.
- გურგენიძე 1969:** გურგენიძე ნ. ძველი წიგნსაცავები საქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1969.
- დიუმა 1970:** დიუმა ალ. კავკასია (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი). თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა. რედაქცია, შესავალი წერილი და შენიშვნები ა. განერელიასი. თბილისი: მერანი. 1970.
- დროება 1866:** ვარანცოვის ძეგლი. „დროება“, 11.XI.1866, №37.
- დროება 1867:** 25 და 26 მარტი ტფილისში. „დროება“, 7.IV.1867, №14.

- დროება 1867^ა:** უმაღლესი რესკრიპტი. „დროება“, 17.II.1867, №7.
- დროება 1867^ბ:** ვარანცოვის ძეგლის კურთხევა. „დროება“, 24.III.1867, №12.
- დროება 1867^გ:** კნიაზი ვარანცოვის ძეგლის კურთხევა. „დროება“, 31.III.1867, №13.
- ერმოლოვი 1926:** Ермолов А. П. Письма. Предисловие А. Тахо-Годи. Махач-Кала: Издательство Ассоциации Северо-кавказских горских краеведческих организаций. 1926.
- ვახანია 1998:** ვახანია ნ. პროზა ალექსანდრე ორბელიანისა. თბილისი: ლომისი. 1998.
- ვორონცოვი 1867:** Открытие памятника в Тифлисе светлейшему князю Михаилу Семеновичу Воронцову 25-го марта 1867 года. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1867.
- ზისერმანი 1874:** Зиссерман А. Л. По поводу полемики о князе Воронцове и Н. Н. Муравьеве как наместниках Кавказских. „Русский вестник“, 1874, №11.
- თავზიშვილი 1874:** თავზიშვილი გ. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. // გ. თავზიშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ი. ბოცვაძის რედაქციით. ტ. I. თბილისი: განათლება. 1974.
- თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბილისი: კანდელი. 1995.
- თაყაიშვილი 1968:** თაყაიშვილი ე. რჩეული ნაწერები. გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ. თბილისი: მეცნიერება. 1968.
- თეატრი თბილისში 1888:** Театр в Тифлисе с 1845-1856 год. Тифлис: Типография Канцелярии главноначальствующего гражданской частью на Кавказе. 1888.
- თუმანიშვილი 1858:** მოლაყბე [თუმანიშვილი, მიხეილ]. სალაყბოს ფურცელი. „ცისკარი“, 1858, №1.
- ივერია 1889:** ახალი ამბავი („ახალ მიმოხილვის“ რედაქციისათვის ბ-ნს ი. მ. მეუნარგიას მიუტანია...“). „ივერია“, 6.X.1889, №211.
- ივერია 1899:** ახალი ამბავი („ბეთანიის მონასტერი“). „ივერია“, 10.XII.1899, №266.

- ივერია 1900:** მესხი კ. თავ. მ. ს. ვორონცოვი. // ქართული სცენის დაარსებთგან 50 წლის შესრულების დღესასწაული. „ივერია“, 4.I.1900, №2.
- ივერია 1986:** „Ноздрей к ноздре“. По поводу решения „грузинского вопроса“ г. Максимовым. „ივერია“ (პარიზი), 1986, №30.
- იოვიძე 1961:** იოვიძე ა. მასალები თბილისის თეატრების ისტორიისათვის. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 13-14, 1961.
- იოსელიანი 1869:** იოსელიანი პ. სიტყუა საყოველთაოდ საუწყებელი, წიგნთა ქართულთა ბეჭუდისა-გამო. „ცისკარი“, 1869, №3.
- ისარლოვი 1899:** Исарлов Л. С. Письма о Грузии. Тифлис: Издание 3. Чичинадзе. 1899.
- კავკაზ 1850:** Мцхет. „Кавказ“, 21.VI.1850, №48.
- კაკაბაძე 1997:** კაკაბაძე ს. ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921). თბილისი: ნეკერი. 1997.
- კალანდაძე 1977:** კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I (1819-1853). თბილისი: განათლება. 1977.
- კაპანაძე 1980:** კაპანაძე დ. კავკასიის განყოფილება რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა. // ქსე. ტ. 5. თბილისი: 1980.
- კატკოვი 1897:** Катков М. Н. Собрание передовых статей Московских Ведомостей (1865 г.). Москва: Издание С. П. Катковой. 1897.
- კოტეტიშვილი 1965:** კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). // ვ. კოტეტიშვილი. რჩეული ნაშრომები. წგნ. I. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1965.
- ლორია... 1974:** ლორია ალ., გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში (1921 წლამდე). თბილისი: მეცნიერება. 1974.
- მაკიევსკი-ზუბოკი 1906:** Макиевский-Зубок Н. Г. Кавказ и кавказские наместники. „Вестник Европы“. 1906, т. 1, кн. 2.
- მახათაძე 1964:** მახათაძე ნ. პლატონ იოსელიანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები. // კრბ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“ (II. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1964).
- მეუნარგია 1954:** მეუნარგია ი. გიორგი დავითის-ძე ერისთავი. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.

- მეუნარგია 1954^ა:** მეუნარგია ი. ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.
- მწყემსი 1903:** იმპერატორის ნიკოლოზ I მოგზაურობა საქართველოში. „მწყემსი“, 1903, №№12, 13, 15-16.
- ნიკოლაძე 1964^ა:** ნიკოლაძე ნ. დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი. // ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ტ. IV. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1964.
- ნიკოლაძე 1964^ბ:** ნიკოლაძე ნ. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება. // ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ტ. IV. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1964.
- ნიკოლაძე 1985:** ნიკოლაძე ნ. მამულის სიყვარული და მსახურება (შესავალი). // ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ტ. VII. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1985.
- ნინიძე 2009:** ნინიძე ქ. მილიტარისტული ნარატივის მორფოლოგია (ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები). თბილისი: ინტელექტი. 2009.
- ორბელიანი 1879:** ორბელიანი ალ. მე და ის. // თ. ალექსანდრე ჯამ.-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა. გამომცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან. თბილისი: 1879.
- ორბელიანი 1999:** ორბელიანი ალ. რუსების დასი ქართუელები ჩემზედ. // ალ. ორბელიანი. სიტყვა მამულის ტრაპეზზედ. შემდგენელი ნ. ვახანია. თბილისი: ლომისი. 1999.
- ორჯონიკიძე 1992:** ორჯონიკიძე ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი). თბილისი: მეცნიერება. 1992.
- პაპავა 1956:** პაპავა თ. და ა. მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი. ბუენოს აირეს: 1956 (ხელმეორედ უცვლელად დაიბეჭდა თბილისში – თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989).
- პოტო 1897:** პოტო ვ. გენერალი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეს გამო. „მოამბე“, 1897, №11 (განყ. II).
- პუშკინი 1985:** Пушкин А. С. Сочинения (в трех томах). Т. I. Москва: Художественная литература. 1985.

- ჟორდანია 1951:** ჟორდანია გ. კავკასიური მუზეუმის დაარსება (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის შესწავლისათვის). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1951.
- რუსკი არხივ 1890^ა:** Письма князя Михаила Семеновича Воронцова к Алексею Петровичу Ермолову. „Русский архив“, 1890, кн. II.
- რუსკი არხივ 1890^ბ:** Письма князя Михаила Семеновича Воронцова к Алексею Петровичу Ермолову. „Русский архив“, 1890, кн. III.
- საშვილიშვილო მოკავშირე... 1997:** საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. ტ. I. თბილისი: ლომისი. 1997.
- საშვილიშვილო მოკავშირე... 2007:** საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.
- სახოკია 1969:** სახოკია თ. დიმიტრი ყიფიანი. // თ. სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი: ნაკადული. 1969.
- ტაბიძე 1986:** ტაბიძე ტ. ირონია და ცინიზმი. პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში. // ქართული ლიტერატურული ესსე (XX საუკუნის 20-იანი წლები). შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო მ. ხელაიამ. თბილისი: მერანი. 1986.
- უზნაძე 1957:** Узнадзе В. В. История Тифлисской публичной библиотеки (1846-1917 гг.). Тбилиси: Издательство Академии наук Грузийской ССР. 1957.
- უილბრაჰამი 1990:** რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში. ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. მელაძემ. თბილისი: მეცნიერება. 1990.
- ურუშაძე 1982:** ურუშაძე ნ. ქართული თეატრის ამბავი. თბილისი: ნაკადული. 1982.
- ფერაძე 1964:** ფერაძე თ. რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1964.
- ყუბანეიშვილი 2005:** ყუბანეიშვილი ს. მიხეილ ვორონცოვი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში. // „აკაკის კრებული“ (II. მთავარი რედაქ-

- ტორი ი. ეგვენიძე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2005).
- შარაძე 1980:** შარაძე გ. პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი. თბილისი: მეცნიერება. 1980.
- შჩერბინინი 1858:** Щербинин М. П. Биография генерал-фельдмаршала, князя Михаила Семеновича Воронцова. Санкт-Петербург: Типографии Эдуарда Веймара. 1858.
- შჩერბინინი 1876:** Щербинин М. П. Воспоминания. „Русский архив“, 1876, кн. XI.
- ჩუბინაშვილი 1973:** ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.
- ჩხაიძე 1986:** ჩხაიძე აღ. საქართველოში კლასიკური ბალეტის ჩასახვის ისტორიიდან. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986, №7.
- ჩხეიძე 1996:** ჩხეიძე რ. ალექსანდრე ორბელიანი (ბიოგრაფიული რომანი). თბილისი: ლომისი. 1996.
- ცაიშვილი 1955:** ცაიშვილი სოლ. ნიკო ავალიშვილი. თბილისი: ხელოვნება. 1955.
- წერეთელი 1958:** წერეთელი ა. ჩემი თავგადასავალი. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. VII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1958.
- წერეთელი 1961^ა:** წერეთელი ა. ქართული თეატრის დაარსება საქართველოში. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრულის კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961^ბ:** წერეთელი ა. ნარკვევი („რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა...“). // ა. წერეთელი. თხზულებათა სრულის კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი. საქართველოს მოამბეზედ. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. V (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ე. შარაშენიძემ, ლ. მეგრელიშვილმა, ც. ყიფშიძემ, ლ. შავგულიძემ და ლ. ჭრელაშვილმა. ტომის რედაქტორი გ. აბაშიძე). თბილისი: მეცნიერება. 1991.

ჭიჭინაძე 1892: ზ. ჭ. (ჭიჭინაძე, ზაქარია). დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: 1892.

ჭიჭინაძე 2002: ჭიჭინაძე ზ. თბილისში წიგნის მაღაზიების დაარსება 1805 წლიდან 1878 წლამდის. გაზ. „ქართული წიგნი“, 2002, №2.

ხანთაძე 1983: ხანთაძე შ. მეღვინეთუხუცესიშვილი დიმიტრი კონსტანტინეს ძე. // ქსე. ტ. 6. თბილისი: 1983.

ხუნდაძე 1951: ხუნდაძე ტ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა. 1951.

ჯაგოდნიშვილი 2004: ჯაგოდნიშვილი თ. ქართული ფოლკლორის-ტიკის ისტორია. წგნ. I (XIX საუკუნე). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2004.

ჯოლოგუა 2002: ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წწ.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002.

ჯოლოგუა 2010: ჯოლოგუა თ. შეთქმული ქალები. თეკლა ბატონიშვილი. „ქართული მწერლობა“, 2010, №7.

ჯორჯაძე 1909^ა: ჯორჯაძე ა. წარსულის გაკვეთილი. „დროება“. 25.XI.1909. №262.

ჯორჯაძე 1909^ბ: ჯორჯაძე ა. წარსულის გაკვეთილი. „დროება“, 26.XI.1909, №263.

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

ინტერნ. 1: http://ru.wikipedia.org/wiki/Воронцов,_Михаил_Семёнович
(25.IX.2010).

ინტერნ. 2: http://az.lib.ru/o/ogarkow_w_w/text_0030.shtml
(25.IX.2010).

ინტერნ. 3: http://fershal.narod.ru/Memories/Texts/Vorontzov_M_S/Vorontzov_2.htm
(21.X.2010).

ინტერნ. 4: http://fershal.narod.ru/Memories/Texts/Vorontzov_M_S/Vorontzov_1.htm
(21.X.2010).

შეთქმული ქალები

თამარ ბატონიშვილი

თამარ ბატონიშვილი (1791-1857) იყო ასული იულონ ბატონიშვილისა (1760-1816). ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი იულონ ერეკლე II-ის ძე რუსებმა 1804 წელს შეიპყრეს, ხოლო 1805 წელს ცოლშვილიანად გადაასახლეს ტულაში, საიდანაც 1806 წელს ცოლშვილიანადვე გადაიყვანეს პეტერბურგში. ასე მოხვდა თამარ ბატონიშვილი რუსეთის იმპერიის დედაქალაქში, სადაც მან ახალგაზრდობა გაატარა. სილამაზითა და გონიერებით გამორჩეული თამარი, მიუხედავად ხშირი ავადმყოფობისა, 1811 წელს ფრეილინა გახდა და საიმპერატორო კარის ცერემონიალებში უწევდა მონაწილეობის მიღება.

მამით დაობლებულმა თამარ ბატონიშვილმა, რომელსაც 1827 წელს დედაც (სალომე ამილახვარი) გარდაეცვალა, სამშობლოში ცხოვრების უფლება მოიპოვა – 1829 წლიდან იგი თბილისშია [ცხოვრობდა ანჩისხატის ქუჩაზე (ბერძნიშვილი 1983: 31)].

პეტერბურგში თამარი თავისი ძმის, შეთქმულების ინიციატორის, დიმიტრი ბატონიშვილის (1803-1845), წრეში ტრიალებდა და მოსკოვში მცხოვრებ ოქროპირ ბატონიშვილთანაც (1794-1857) ჰქონდა კავშირი.

1829 წლის შემოდგომაზე კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ ჩასული ოქროპირ გიორგი XII-ის ძე ბატონიშვილი, რომელსაც საქართველოში ყოფნა აკრძალული ჰქონდა, მოულოდნელად თბილისში გამოჩნდა. დაბნეულმა ხელისუფლებამ ვითარება აღარ გაამწვავა და არასასურველ „სტუმარს“ აქ 1830 წლის ზაფხულამდე დარჩენის უფლება მისცა. ოქროპირ-

ზე საიდუმლო თვალთვალი იყო დაწესებული, მაგრამ მან მაინც მოახერხა შეხვედრები და საუბრები იმ ადამიანებთან, რომლებმაც შეთქმულებისა და შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება იკისრეს (ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, ე. ერისთავი). ოქროპირი თბილისში მყოფ თამარ ბატონიშვილსაც სტუმრობდა ხოლმე [თავის ჩვენებებში ოქროპირ ბატონიშვილი თამარს უწოდებს „ჩემს დას“ (გოზალიშვილი 1970: 326) და ამბობს – თბილისში მასთან „დავიარებოდიო“ (გოზალიშვილი 1970: 322), თუმცა თავის ჩვენებებში შეთქმულებაში როგორც თავის, ისე თამარის მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს].

შეთქმულების ინიციატორთა და ორგანიზატორთა აზრით, სასურველი იყო, ტახტის აღდგენის მიზნით ამბოხებელ ხალხს აჯანყების სათავეში სამეფო ოჯახის წევრი ეხილა, მაგრამ მამაკაცი ბატონიშვილებიდან არც ერთს არ ჰქონდა სამშობლოში ცხოვრების უფლება. ამიტომაც გამჭრიახობით, გაბედულებით, პოლიტიკური და დიპლომატიური ნიჭით აღჭურვილ თამარ ბატონიშვილს ჰქონდა დაკისრებული აჯანყების საერთო ხელმძღვანელობაცა და განთავისუფლებული საქართველოს დროებითი მართვაც. ალექსანდრე ორბელიანი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს: „ჩვენ გვსურდა ესრეთ, როდესაც აქ აღრეულობა მომხდარიყო, მაშინ თამარ ბატონიშვილი უნდა გამოგვეყვანა და ხალხისათვის გვექადაგნა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონთ ქალი, თამარ, რომელიც ყველანი ამას უნდა მორჩილებდეთ და რაც გვიბრძანოს უნდა აღვასრულოთ, ამას უნდა ზარების რეკა მოჰყოლოდნენ და სიონის სამრეკლოზე სამი კაცი უნდა ასულიყვნენ და იქიდგან ეყვირნათ თავისუფლება და სიხარული ყოველსა ერსა ზედა“ (გოზალიშვილი 1935: 365). აჯანყების მეთაურად და საქართველოს მომავალ მმართველად თამარს ასახელებს ელიზბარ ერისთავიც (გოზალიშვილი 1970: 365, 610; გოზალიშვილი 1976: 15, 17, 23), რომელიც, სხვათა შორის, ნატრობდა ხოლმე – „ნეტავი ეგ კი მამაკაცად იყოს დაბადებულიო“ (გოზალიშვილი 1970: 336; გოზალიშვილი 1976:

23). იასე ფალავანდიშვილის ჩვენებით, თამარ ბატონიშვილს ელიზბარ და გიორგი რევაზის ძე ერისთავებისა და ვახტანგ ორბელიანისთვის უთქვამს: „როცა აქ აღრეულობა დაიწყება, მამაკაცის ტანისამოსს გადავიცვამ და ხალხს წარუდგებიო“ (გოზალიშვილი 1970: 332), ალ. ორბელიანი კი ს. დოდაშვილს ეუბნება: „თამარ ბატონიშვილი იწვის აჯანყების მოხდენის სურვილითაო და თვით დედაკაცები დაიწყებენ, თუ მამაკაცები არ მოისურვებენ“ (გოზალიშვილი 1935: 397).

ვფიქრობთ, **თამარ ბატონიშვილის საქართველოში დაბრუნებას ჰქონდა კონკრეტული პოლიტიკური მიზანი და იგი დიმიტრი ბატონიშვილის მიერ (უნდა ვიფიქროთ, ოქროპირ ბატონიშვილის მიერაც) საქართველოში აჯანყების ორგანიზებისა და მეთაურობის სპეციალური მისიით იყო გამოგზავნილი.*** ამასვე უნდა ადასტურებდეს ის გარემოება, რომ თბილისში მცხოვრებ თამარს კავშირი და მიმონერა ჰქონდა როგორც დიმიტრი, ისე ოქროპირ ბატონიშვილებთან, აგრეთვე, ფარნაოზ და სალომე ბატონიშვილებთანაც [რუსეთიდან მიღებული წერილების ნაწილს (კერძოდ, იმ ნაწილს, რომელიც კონფიდენციალურ ცნობებს შეიცავდა) თამარ ბატონიშვილი წვავდა (გოზალიშვილი 1976: 37), ოჯახური ურთიერთობის ამსახველ წერილებს კი ინახავდა. შემდეგ ეს გადარჩენილი წერილები საგამომძიებლო კომისიის ხელთ აღმოჩნდა (გოზალიშვილი 1970: 514), მაგრამ კომისიამ ამით დიდი ვერაფერი ხიერი ნახა. დიმიტრის წერილები თამარ ბატონიშვილისადმი იხ. გოზალიშვილი 1935: 105-109)]. შეთქმულების საგამომძიებლო კომისია, თავის მხრივ, მივიდა დასკვნამდე – თამარს თბილისში დიმიტრი ბატონიშვილის მაგივრობა უნდა გაეწიაო [„...заместила своего брата и советами своими руководствовала действия заговорщиков“ („...შეენაცვლა საკუთარ ძმას და თავი-

* 1832 წლის შეთქმულების ინიციატორთა და ორგანიზატორთა პერსონალურ ვერტიკალზე იხ. აქვე, გვ. 152-153, 257-258.

სი რჩევა-დარიგებებით შეთქმულთა მოქმედებებს ხელმძღვა-
ნელობდა“ (აქტები 1881: 401)].

პირველი ჩვენება საგამომძიებლო კომისიამ თამარ ბატონიშვილს 1833 წლის 22 თებერვალს ჩამოართვა (გოზალიშვილი 1935: 373-379). ამ ჩვენებაში თამარი უარყოფს შეთქმულებაში რაიმე ფორმით მონაწილეობას და აღნიშნავს: „მიზეზი არა მქონია რა, რათა ვემდუროდე მთავრობას...“ (გოზალიშვილი 1935: 374).

მართალია, შეთქმულთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფდა თამარის მონაწილეობას ფარული საზოგადოების საქმეებში (ან მოხერხებულად უვლიდა გვერდს ამ თემას), მაგრამ სხვა პატიმართა ჩვენებებით თანდათანობით სულ სხვა რამ გამოირკვა. კერძოდ:

1. თამარ ბატონიშვილი იცნობდა ფილადელფოს კიკნაძის „აკტი გონიურს“ (გოზალიშვილი 1970: 336), „პირველი ღამის განკარგულებასა“ და აჯანყების ღამის დეტალებს (გოზალიშვილი 1970: 365; გოზალიშვილი 1976: 17), საქართველოს დროებითი მმართველობის პროექტს (გოზალიშვილი 1976: 17), კითხულობდა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ სპარსეთიდან გამოგზავნილ წერილებს (გოზალიშვილი 1970: 365; გოზალიშვილი 1976: 15, 35) და სხვ.

2. 1831 წელს თამარ ბატონიშვილს რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად დაგეგმილი ჰქონდა იერუსალიმში წასვლა წმინდა ადგილების მოსალოცავად, თუმცა ნამდვილი მიზანი, როგორც ეს ალ. ორბელიანის ერთ-ერთი ჩვენებით ირკვევა, სხვა იყო – გზად „პილიგრიმები“ ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა შეხვედროდნენ (გოზალიშვილი 1935: 364-365). ცხადია, ამ შეხვედრის მიზანი შეთქმულებასა და მომავალ შეიარაღებულ აჯანყებასთან დაკავშირებული გარემოებების განხილვა იქნებოდა. ბოლო მომენტში თამარმა ამ გეგმაზე უარი თქვა – ალ. ორბელიანის იმავე ჩვენებით, „ალარ მოგვიხდა წასვლა და ველარ გაბედა თამარ ბატონიშვილმა წასვლა ამისთვის, რომ

ექვს შემოიტანს მთავრობაო და ვაითუ ავად მოგვიხდეს საქ-
მეო“ [გოზალიშვილი 1935: 365; საკითხის გარშემო იხ. აგრეთ-
ვე: გოზალიშვილი 1970: 95, 333; გოზალიშვილი 1976: 9-10, 36;
თამარ ბატონიშვილის განზრახვა, შეხვედროდა ალექსანდრე
ბატონიშვილს, საგამომძიებლო კომისიის მასალებშიც აი-
სახა: „Тамара Юлоновна... имела даже намерение отправиться
за границу на свидание с царевичем Александром под видом
богомолья в Иерусалим, но удержана была от сего опасениями
подозрений от правительства“ („თამარ ბატონიშვილს საზღ-
ვარგარეთ წასვლაც კი სურდა, თითქოს იერუსალიმის მოსა-
ლოცავად, სინამდვილეში კი – ალექსანდრე ბატონიშვილთან
შესახვედრად, თუმცა თავი შეიკავა იმის შიშით, რომ მთავრობა
ექვს აიღებდა“ – აქტები 1881: 401)].

3. ჯერ კიდევ 1831 წელს, პოლონეთის აჯანყების ჩახშობამ-
დე, თამარ ბატონიშვილი დაბეჯითებით ამბობს: „ამაზე უკეთე-
სი დრო საქართველოში აჯანყების მოსახდენად აღარ იქნებოა“
და შეთქმულებს აცნობს აჯანყების გეგმას, რომელიც ძირი-
თადად ემთხვევა 1832 წელს შედგენილ „პირველი ღამის გან-
კარგულებას“ (გოზალიშვილი 1970: 610; აგრეთვე, პაპავა 1990:
47-49; მოსკოვში ანალოგიური გეგმა ოქროპირ ბატონიშვილმა
დიმიტრი ორბელიანს გააცნო – გოზალიშვილი 1976: 388), მა-
გრამ რუსებმა პოლონელთა ამბოხება გაანადგურეს და ქართ-
ველთა აჯანყების ვადამაც გადაინია.

4. შეთქმულთა ჩვენებების მიხედვით, როგორც ზემოთ ით-
ქვა, აჯანყების ღამეს თამარ ბატონიშვილს მამაკაცის ტანსაც-
მელი უნდა ჩაეცვა და სათავეში ჩასდგომოდა ამბოხებას.

მას შემდეგ, რაც შეთქმულებაში თამარ ბატონიშვილის ად-
გილი და როლი მკაფიოდ გამოიკვეთა და ეს ყველაფერი ფა-
ქტებით დადასტურდა, იგი უკვე იძულებული ხდება აღიაროს,
რომ შეთქმულების კურსში იყო: „მეუბნებოდნენ თავისუფლება
გვინდაო, ყოველთვის უშლიდი და ვამხილებდი, როგორ წინა-
აღმდეგი იყო ღვთისა ამისთანა განზრახვა“ (გოზალიშვილი

1935: 437), „სრულებით არაფრად მიმაჩნდა მათი ლაპარაკი... თვით დიდებულმა იმპერატორმა რომ ინებოს საქართველოს სამეფო სახლის აღდგინება, მე არავინ ვიცი, რომ ღირსი იყოს რომელიმე ჩვენი სახლის შვილი მეფობისა და ამის და გარდა ამთენს საშინელს გარშემო მტრებს რით ალუდგეს წინ, თუ რუსეთის იმპერატორის საფარველი არ ექნება... მარტო ლეკი ეყოფა მოსაოხრებლათ... თუ დამიჯერებთ, კარგია, თუ არადა, თქვენი ნება არის“ (გოზალიშვილი 1976: 33-36; საინტერესოა, რომ თამარ ბატონიშვილი, შეთქმულთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ჩვენებებს მაინცადამაინც ქართულად წერს).

თამარ ბატონიშვილი „მმართველობის ევროპულ წესებში გათვითცნობიერებული იყო“ (სურგულაძე 1968: 305) და მისი განზრახვა დასავლეთევროპულ სახელმწიფოებთან (განსაკუთრებით, საფრანგეთთან) კავშირების დამყარებისა, უნისონში იყო დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილების ევროპულ ორიენტაციასთან და, რაც მთავარია, 1831 წელს პოლიტიკურ წრეებთან მოსალაპარაკებლად თამარი თვითონაც აპირებდა საზღვარგარეთ (საფრანგეთი, ინგლისი) გამგზავრებას (გოზალიშვილი 1935: 365); ამასთან, იგი დარწმუნებული იყო – „სპარსეთი და თურქეთი დახმარებაზე უარს არ გვეტყვიან“ (გოზალიშვილი 1970: 610). ადვილი შესაძლებელია, თამარ ბატონიშვილს რაიმე ფორმით ურთიერთობა ჰქონოდა თბილისში საფრანგეთის საკონსულოს მდივანთან, ვიქტორ ლეტელიესთან, რომლის კავშირიც შეთქმულებასთან ეჭვს არ ინგევს [ლეტელიე, სხვათა შორის, ლაპარაკობდა ქართულად და ქართულ ხელნაწერთა საყურადღებო კოლექციისაც ფლობდა (ბერძინიშვილი 1983: 79-81)].

საერთოდ, თამარ ბატონიშვილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებ შეთქმულების მასალებში მწირი მასალაა წარმოდგენილი, მაგრამ აქა-იქ საინტერესო ცნობებს მაინც ვპოულობთ. ასე, მაგალითად, ელიზბარ ერისთავის ნათქვამზე – კარგი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფო ისე მოგვეწყო, „როგორც შვეიცარია არისო და ან სოიუზნი შტატიო“, თამარს

უპასუხია: „[ჩვენთან] არც ხალხია იმისთანა და არც გარემოება აქვს, ამთენი საშინელნი მტრები გარს ახვევიან და არ მოასვენებენ“ (გოზალიშვილი 1976: 33).

თამარ ბატონიშვილი იყო მართლმორწმუნე, ჰქონდა ლტოლვა ასკეტური ცხოვრებისაკენ და ამქვეყნიური პატივიც არაფრად მიაჩნდა, ახალგაზრდობაშივე აღთქმა ჰქონდა დადებული, არ გავთხოვდებო (კავკაზ 1857), ეს აღთქმა შეასრულა კიდევაც და, ზოგი ცნობით, მონაზვნად აღკვეცაც სურდა (გოზალიშვილი 1970: 333). ჩანს, ეს გარემოებებიც იყო მიზეზი იმისა, რომ იგი მხოლოდ დროებითი მმართველის თანამდებობაზე თანხმდებოდა, მანამ, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ხოლო მისი უარის შემთხვევაში – ოქროპირ ან დიმიტრი ბატონიშვილები (გოზალიშვილი 1935: 366; გოზალიშვილი 1970: 610; გოზალიშვილი 1976: 15, 17 23, 224). ამ მხრივ, საინტერესოა ოქროპირ ბატონიშვილის ერთ-ერთი ჩვენებაც: „ჩემი და თამარ ბატონიშვილი... ადამიანთა ყოველგვარ დიდებას არარად თვლის“ (გოზალიშვილი 1970: 326).

თამარ ბატონიშვილი დააპატიმრეს 1833 წლის 24 თებერვალს (გოზალიშვილი 1935: 436), იმავე წლის მაისში კი იგი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო მუხროვანში გადაიყვანეს – 11 მაისს მთავარმართველი გრ. როზენი რუსეთის სამხედრო მინისტრ ა. ჩერნიშოვს სწერს: „მისი (თამარ ბატონიშვილის – თ. ჯ.) ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არის და მისთვის საჭიროა სუფთა ჰაერით სარგებლობა. ამიტომ მე მას ვგზავნი მუხროვანში, თბილისიდან 30 ვერსტით როა დაშორებული, გრენადერთა ქართული პოლკის შტაბ-ბინაში, სადაც იგი იქნება სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ...“ (გოზალიშვილი 1976: 461). 1833 წლის აგვისტოში თამარს „მისი სქესისადმი შემწყნარებლობის გამო“ თბილისში ცხოვრების ნებას აძლევენ „იქამდე, ვიდრე მის მიმართ საბოლოო განაჩენი იქნება გამოტანილი“ (გოზალიშვილი 1976: 398). განაჩენის გამოტანამდე კი დადგა საკითხი – ბატონიშვილების თბილისში გასამართლება

ხომ არ გაამწვავებდა ვითარებას. ამის თაობაზე როზენი იმავე ჩერნიშოვს სწერს: „ყოფილ სამეფო სახლის წევრთა თვით თბილისში გასამართლებასთან არა თუ არ არის დაკავშირებული რაიმე არსებითი უხერხულობანი, არამედ, პირიქით, ეს სასარგებლოა, რადგან ეს გააღრმავებს ჭკუის სასწავლო მაგალითის ძალას, რაც საჭიროა საქართველოს მომავალი კეთილდღეობისათვის. ამას შეუძლიან შთააგონოს თვითონ ყოფილ სამეფო სახლის წევრთ, რომ უნდა გამოეთხოვონ ფუქსავატსა და დამღუპველ იმედებს, რომლებსაც ისინი დღემდე აშკარად ატარებენ მათი საქართველოში სამფლობელოდ დაბრუნების შესახებ და დაედება საბოლოოდ ზღვარი ესოდენ უტიფარ, მაგრამ ამ ქვეყანაში ჭეშმარიტად უკვე მავნე ოცნებას ბატონიშვილთა მეტოქეობაზე იმპერატორის ხელისუფლებასთან“ (გოზალიშვილი 1976: 456).

საგამომძიებლო კომისიამ თამარ ბატონიშვილი მიაკუთვნა „დამნაშავეთა“ მესამე კატეგორიას („ვინც შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა და ეთანხმებოდა აჯანყების იდეას“) და სიმბირსკში გადასახლება მიუსაჯა (გოზალიშვილი 1976: 428), მანამდე კი მას ბატონიშვილის („Царевна“) ტიტული ჩამოართვეს (აქტები 1881: 216-217). სიმბირსკში გადასახლებული თამარ ბატონიშვილი იქიდან 1836 წლის „ავვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში“ გამოემგზავრა საქართველოსკენ (ცერცვაძე 2011: 24). სამშობლოში დაბრუნებული, იგი „განაგრძობდა ასკეტურ ცხოვრებას“ (ბერძინიშვილი 1983: 31). თამარ ბატონიშვილს აღექსანდრე ჭავჭავაძე უძღვნის რამდენიმე ლექსს და ეს ლექსები „ადამიანის სულთა ძვრის ერთ-ერთი უდიდესი გამომხატველია“ (გრიშაშვილი 1952: 89).

მოგვიანებით ხელისუფლებამ თამარს აღუდგინა ბატონიშვილის შესაფერისი პენსია, რომელსაც იგი მთლიანად სულის სარგო საქმეებს ახმარდა – ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების მორთვა-შემკობაზე (მათ შორის, საკუთარი ნაქარგობებითაც – კავკაზ 1857), 1840 წელს ანჩისხატს შესწირა „ბარძიმი

ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, ფინიკტებით გარს ციმბირის ქვებით“ (კარბელაშვილი 1902: 34), როგორც ითქვა, ორჯერ იყო იერუსალიმში [ჯვრის მონასტერში ნამყოფი ერთი უცხოელი პილიგრიმის ჩანაწერის მიხედვით, 1847 წელს „ნათესავი მრავალნაქები ქართველი მეფის ერეკლესი, დედოფალი თამარ მოვიდა საქართველოდან, რათა ელოცა წმინდა ადგილებში“ (ფერაძე 1995: 68)].¹

უკანასკნელად თამარ ბატონიშვილი იერუსალიმში იყო 1856 წლის გაზაფხულზე (სხვა ცნობით, 1857 წლის გაზაფხულზე – ბერძნიშვილი 1983: 31), მოილოცა მაცხოვრის საფლავი და სხვა წმინდა ადგილები, იქიდან დაბრუნებულს კი ავადმყოფობა გაურთულდა: უჩიოდა სისუსტეს, შემდეგ კი ღრძილები დაუსივდა, საშინელ ტანჯვას განიცდიდა და ამ ტანჯვაში დაღია სული, – ნერს გაზეთ „კავკაზში“ ანონიმი ავტორი (კავკაზ 1857).

თამარ ბატონიშვილი გარდაიცვალა თბილისში, 1857 წლის 6 ოქტომბერს, ნაშუადღევს 3 საათზე. 8 ოქტომბერს მისი ცხედარი დაასვენეს სიონის ტაძარში და ნირვა-პანაშვიდის შემდეგ მცხეთაში წაასვენეს. უკანასკნელ გზაზე ბატონიშვილი გააცი-

¹ 1838 წელს „იმჟამად მოსკოვში მცხოვრები“ თამარ ბატონიშვილის („Грузинская царица Тамара“) ინიციატივითა და შეწევნით მოსკოვის მახლობლად აშენდა წმ. სამების ქალთა მონასტერი (Троице-Одигитриевский женский монастырь – ინტერნ 1). ვინაიდან 1830-იან წლებში **თამარ იულონის ასულის** მოსკოვში ცხოვრება დოკუმენტურად არ დასტურდება, უნდა ვიფიქროთ, „Грузинская царица Тамара“ არის **თამარ გიორგი XII-ის ასული ბატონიშვილი** (1788-1851), რომელიც დედასთან – მარიამ დედოფალთან და და-ძმებთან ერთად 1803 წლის აპრილში გადასახლეს ბელგოროდში, უღელტეხილის გადალახვისას ფეხები მოეყინა და სამუდამო ხეიბრად დარჩა. თამარ გიორგი XII-ის ასულმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი მოსკოვში გაატარა, 1850 წელს საქართველოში ცხოვრების უფლება მოიპოვა, 1851 წლის გაზაფხულზე საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ გზაში (ვორონეჟის ქალთა მონასტერში) გარდაიცვალა, იქვე დაკრძალეს და მის ძვლებს მხოლოდ 1851 წლის ივლისში ელირსა სამშობლოს მიწა (დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში – ბერძნიშვილი 1983: 29-30).

ლა უამრავმა ადამიანმა, რომელთა შორის იყვნენ მეფისნაცვალ-
ლი ნიკოლოზ მურავიოვი და ეგზარქოსი ისიდორე (ნიკოლსკი).

თამარი დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში პაპის (ერეკ-
ლე II), ბიძისა (გიორგი XII) და ნათესავების გვერდით („...подле
царственных могил деда, дяди и других родственников“ – კავკაზ
1857), საფლავის ქვაზე კი ამოკვეთეს ეპიტაფია, რომელიც,
სხვათა შორის, ფაქტობრივ შეცდომებს შეიცავს (თამარი გარ-
დაიცვალა 6 და არა 5 ოქტომბერს, გარდაცვალებისას იგი 65
წლისა იყო)²:

„მეფის ერეკლეს ძის იულონის ასულმან თამარ შემწირ-
ველმან თვისის ქვეყნიურის ცხოვრებისა ქალწულობისასა და
მყუდროებისა ღვთის მსახურებისადმი განისვენა ნუთისოფლით
საუკუნოდ დღ[64] წლისამან ჩყნზ[1857]-სა წელსა ოქტომბრის
ქ[5]-სა დღესა“ (დოდაშვილი 1961: 414).

2010 წ.

დამონემიბანი:

აქტები 1881: Акты, собранные Кавказской археографической комиссией.

Т. VIII. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказ-
ского. 1881.

ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირ-
ველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II.
თბილისი: მეცნიერება. 1983.

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I.
თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.

² თამარ ბატონიშვილის დაბადების თარიღის შესახებ სხვადასხვა წყარო
სხვადასხვა ცნობას იძლევა. ჩვენ ვეყრდნობით თვითონ თამარის
მონაცემს: 1833 წელს იგი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს – 42
წლისა ვარო [გოზალიშვილი 1935: 374; ამავე თარიღს უჭერს მხარს
მაქს. ბერძნიშვილი (ბერძნიშვილი 1983: 31)].

- გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.
- გოზალიშვილი 1976:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.
- გრიშაშვილი 1952:** გრიშაშვილი ი. ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა. // ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1952.
- დოდაშვილი 1961:** დოდაშვილი ს. თხზულებანი. ს. ხუციშვილის რედაქტორობით, შენიშვნებითა და კომენტარებით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961.
- კავკაზ 1857:** Кавказская летопись. „Кавказ“, 10.X.1857, №79.
- კარბელაშვილი 1902:** კარბელაშვილი პ. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში. ტფილისი: 1902.
- პაპავა 1990:** პაპავა თ. ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება. // თ. პაპავა. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გ. შარაძემ. თბილისი: მერანი. 1990.
- სურგულაძე 1968:** სურგულაძე ა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა (ისტორიული ნარკვევი). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1968.
- ფერაძე 1995:** ფერაძე გრ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ. თბილისი: კანდელი. 1995.
- ცერცვაძე 2011:** ცერცვაძე მ. „წარავლინეს ექსორიად ციმბირსკისა ქალაქსა შინა“ (თამარ ბატონიშვილი სიმბირსკში). „ჩვენი მწერლობა“, 5.VIII, 2011, №16.

ინტერნ. 1: <http://www.pravenc.ru/text/200057.html>

(17.III.2010)

თეკლა ბატონიშვილი

თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი (1776-1846) ერეკლე II-ისა და დარეჯან (დარია) გიორგი დადიანის ასულის ნაბოლარა ქალიშვილი იყო, სიმკვირცხლის გამო პატარაობისას „თეკლა ბიჭს“ ეძახდნენ და ეს მეტსახელი ოთხიოდე წლისას ერეკლე II-მ სახალისოდ გაცემული და ბეჭედდასმული სიგელით „დაუმკვიდრა“ კიდევ: „გიბოძეთ ეს სიგელი შენ ჩვენს ქალს თეკლას ბიჭს. თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერითგან გინყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველა შენს ძმებს და დებს ამიერიდან გინოდონ თეკლა ბიჭი“. სიგელს „ამტკიცებენ“ თეკლას ბიძა ანტონ კათალიკოსი და ძმა იულონ ბატონიშვილი (კაკაბაძე 1914: 133). შემორჩენილია აგრეთვე ერეკლე II-ის რამდენიმე წერილი თეკლასადმი, რომლებშიც ჩანს მამის განსაკუთრებული სითბო და მზრუნველობა გამორჩეულად საყვარელი ასულის მიმართ: „თეკლას, მამისა და დედის სიხარულს მადლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მიერ...“, „ჩემო შინაგან გულისა ნათელო თეკლავ...“, „დიად მეჯავრება შენი მოშორება და კინალარ ვერც გამიძლია და ღვთით ამ ორს დღეში გნახავ...“ და ა. შ. (კაკაბაძე 1914: 135-136). თვითონ თეკლა, მამის გარდაცვალებით შეძრული, 1798 წლის 15 მაისს თელავიდან პეტერბურგში სწერს გარსევან ჭავჭავაძის მეუღლეს მარიამ (მაია) ავალიშვილ-ჭავჭავაძეს: „მე გტკიოდე, მე გენყალოდე, მე მიწუხე, მე შემიბრაღე...“ და ა. შ. (ცისკარი 1860: 443).

თეკლა ბატონიშვილი ყმანვილობიდანვე შესანიშნავად ხმარობდა თოფ-იარაღს, იყო განთქმული მოჯირითე და, ვაჟურად გამოწყობილი, თავის სახელოვან მამას ზოგჯერ ნადირობასა და ლაშქრობებშიც ახლდა ხოლმე; მამამვე 1796 წელს დანიშნა ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანზე (უთურაშვილი 1991: 14). ერეკლე II-ის სიკვდილის შემდეგ თეკლა გიორგი XII-ის თანხმობითა და კურთხევით დაქორწინდა თავის დანიშნულზე [პ. იოსელიანის მიხედვით, 1799 წლის 7 სექტემბერს (იოსელიანი 1936: 203);

გენერალი ივ. ლაზარევი სხვა თარიღს ასახელებს – 1800 წლის 7 სექტემბერს. ეს უკანასკნელი თარიღი 1800 წლის 8 სექტემბერს შედგენილ ოფიციალურ წერილში გვხვდება და, ამდენად, უფრო სწორი ჩანს: „Вчерашний день совершился брак царевны Фекли... за к. Вахтанга Орбелиани“ („გუშინ მოხდა შეუღლება თეკლა ბატონიშვილისა ვახტანგ ორბელიანზე“ – აქტები 1866: 150); თეკლას მზითვად ერგო „მთელი სოლოლაკი, სადაც მეორმოცე წლებში მან დაიდგა სასახლე და ცხოვრობდა მშვიდობიანათ“ (წერეთელი 1897: 110); ნამზითვ მამულში თეკლამ გააშენა შესანიშნავი ბაღი და, სხვათა შორის, ამ ბაღში 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე. თეკლას სახლი კი იდგა პოლიციის, ამჟამად ერეკლე II-ის, მოედანზე].

უმამაცესი მეომარი ვახტანგ ორბელიანი (წყაროებში ყაფლანიშვილადაც იხსენიება), რბილად რომ ვთქვათ, წინააღმდეგობრივი ბუნების ადამიანი იყო და, რაც მთავარია, ტახტის ერთგულებით არ გამოირჩეოდა არც მანამ და არც მას მერე, რაც სამეფო ოჯახის სიძე გახდა. მას ერთობ საძრახისი როლი აქვს შესრულებული თავისი სიდედრის, დარეჯან დედოფლის, გადასახლების მოგვარებაში – მთავარმართველ პავლე ციციანოვის დავალებით დარეჯანი რუსეთში წასვლაზე სწორედ ვახტანგ ორბელიანმა დაიყოლია, მოხუცებული და ავადმყოფი დედოფალი 1803 წლის შემოდგომაზე ამალითურთ მუხრანიდან მოზდოკში ჩაიყვანა და ამ დავალების „კეთილსინდისიერად“ შესრულებისათვის პოლკოვნიკის ხარისხი და დიდი ჯამაგირიც მიიღო, რასაც ციციანოვი საგანგებოდ აუწყებს იმპერატორ ალექსანდრე I-ს (აქტები 1868: 90; ბერძნიშვილი 1983: 143). 1812 წლის მარტში რუსების მხარდამხარ მეგრძოლი 43 წლის პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი აჯანყებულმა გლეხებმა სოფელ ჩუმლაყთან მოკლეს [ალ. ორბელიანის ვერსიით, გაორებული სინდისით განამებულმა ერთ-ერთ აჯანყებულს თავი შეგნებულად შეაკლა (ორბელიანი 1992: 165-172; ბერძნიშვილი 1983: 144)].

ვახტანგის ხსოვნა მტკივნეულად შემორჩა მის შთამომავლობას. ამ მხრივ, საგულისხმოა ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავის მემუარების ერთი მონაკვეთი: „ერთხელ შევედი მასთან (მარიამ ორბელიანი, უფროსი ვახტანგის შვილიშვილი და პოეტ ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილი – თ. ჯ.) და ვნახე თეკლე ბატონიშვილის დიდი სურათი მოლბერტზე თირმალამით მორთული და მისი მეუღლე კი სხვა ოთახში იყო ჩამოკიდებული. მე უთხარი მასას: რა არის მეთქი, რომ პაპაშენი ეგრე გათახსირებულ გყავს მეთქი, რა დაგიშავა? იმან მითხრა: – სამშობლოს ღალატობდაო!“ (ერისთავი 13480: 3).

თეკლა ბატონიშვილზე ილია ჭავჭავაძე წერს: „...ზედმინვენით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა, სამღთო წერილისა, კარგად განათლებული მაშინდელ კვალობაზე, ჭკუით, სიბრძნით და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი“ და იქვე იმონებებს გიორგი იასეს ძე ერისთავის მიერ არაერთგზის ნათქვამს – ერეკლე II ხშირად ამბობდაო: „ჩემს ვაჟიშვილებს ჩემის თეკლეს სიკეთე რო სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდით“ (ჭავჭავაძე 1953: 236). საქართველოში 1812 წელს მყოფ გერმანელ დიპლომატს ვილჰელმ ფონ ფრაიგანგს (1783-1845) კი უწერია: „მათში (ქართველ არისტოკრატ ქალთა შორის – თ. ჯ.) ყველაზე უფრო **უშესანიშნავესად** მე მიმაჩნია სახელოვან მეფის ირაკლის ქალი თეკლა... ის მართლაც ამტკიცებს თავისის მაგალითით – თუ რა ჯიშისა და მოდგმისაც არის“ (პაპავა 1990: 26).

1832 წლის შეთქმულებაში თეკლას მთელი ოჯახი მონაწილეობდა – არა მარტო შვილები: ალექსანდრე (1802-1869; გადაასახლეს ორენბურგში), დიმიტრი (1808-1882; გადაასახლეს კალუგაში) და ვახტანგ (1812-1890; გადაასახლეს კალუგაში) ორბელიანები, არამედ რძალიც (ალექსანდრეს ცოლი) – ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილი (1807-1873; დაკრძალულია სიონის ტაძარში, მეუღლის გვერდით), რომელსაც შეთქმულთაგან ბაირალის შეკერვა ჰქონდა დავალებული [„ჩემი კატინაც ერია ჩვენს საქმეში,

სხვანი ქართველნი ქალებიც ბევრი, რომელთაცა ჩემს კატინას ვალათ დასდეს რევალუციის ბაირახი შეეკერა – ამბობს ერთ თავის მოგონებაში ალ. ორბელიანი (გოზალიშვილი 1935: 123)].

ერთი სიტყვით, პატრიოტულად განწყობილ საზოგადოებაში არცთუ მოსაწონი რეპუტაციის მქონე ვახტანგ ორბელიანის ქვრივს, თეკლა ბატონიშვილსა და მის ოჯახს ქართლ-კახეთის ტახტის აღდგენისათვის თავი ჰქონდათ გადადებული, მაგრამ ამ სასიქადულო სურვილსა და განზრახულებას იასე ფალავანიშვილის ღალატმა დაუსვა წერტილი – 1832 წლის 11 დეკემბრის ღამეს თეკლა ბატონიშვილის სახლში თბილისის კომენდანტი და პოლიცმაისტერი რუსი ჯარისკაცების თანხლებით მივიდნენ და ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანს, აგრეთვე, მათთან მყოფ გიორგი რევაზის ძე ერისთავს გამოუცხადეს – მთავარმართებელი როზენი გიბარებთ და, ამას გარდა, რაც რამ ქალღებები მოგეძევათ, თან უნდა წავილოთო (გოზალიშვილი 1935: 122-123; გ. რ. ერისთავი იყო თეკლას დისშვილი, პეტერბურგში ადრევე გადასახლებული ანასტასია ბატონიშვილის ძე, რომელიც შეთქმულებაში მონაწილეობისათვის არხანგელსკში განაწესეს).

დიდი მიხვედრა არ დასჭირდებოდა იმას, რომ შეთქმულება გაცემული იყო და თეკლა ბატონიშვილმაც შვილები და დისშვილი ოჯახიდან ამ სიტყვებით გაისტუმრა: „მაგისთანა პატიოსანს განზრახვასთან სანაწურად ნულარ მიგაჩნდებათ თავი. შენი ცოლშვილებისთვის (ალექსანდრეს მიმართვას – თ. ჯ.) შენ ნულარას ინაღვლი. მე იმათი მომვლელი და პატრონი ვიქნები, ოღონდ რაც უბედურება მოგადგესთ, მოთმინებით მიიღეთ. კარგი. წადი. ღვთისათვის მიმიბარებიხართ ერთობ თქვენა“ (გოზალიშვილი 1935: 124).

შეთქმულებაში თეკლას კვალი საგამომძიებლო კომისიამ მალევე აღმოაჩინა. 1832 წლის 13 დეკემბერს ზაქარია ჩოლოყაშვილმა თავის პირველ ჩვენებაშივე აღიარა: „სალამოს წავედი თ[ავად] ალ. ორბელიანოვთან და რადგან ადრე მივედი, მასთან

დამხვდნენ თეკლა ბატონიშვილი და ალექსანდრეს მეუღლე... ბატონიშვილმა ინება ჩვენთვის ეთქვა, რომ ჩვენს მსახურებთან ფრთხილად იყავით, იმათ რუსულად ყველაფერი ესმითო; მაშ ასე, იყავით ფრთხილადო... ბატონიშვილის მიერ ნათქვამმა სიტყვებმა ძლიერ გამაკვირვა და განმიმტკიცა ის აზრი, რომ ისიც მონანილეა ან, უკიდურეს შემთხვევაში, იცის ყველაფერი ის, რაც მე გავიგონე“ (გოზალიშვილი 1935: 146).

მოგვიანებით, სხვა ჩვენებაში, იგივე ზ. ჩოლოყაშვილი ამბობს – შეთქმულების შესახებ ალ. ორბელიანმა გამომიცხადა და იმათ შორის, ვინც აჯანყებას ამზადებდა, თეკლა ბატონიშვილიც დაასახელაო (გოზალიშვილი 1970: 242). ანალოგიური ჩვენება მისცა ლუარსაბ ორბელიანმაც [ალ. ორბელიანმა მითხრა – დედაჩემიც შეთქმულების წევრიაო (გოზალიშვილი 1970: 384), თვითონ ალექსანდრემ კი ეს ყველაფერი კატეგორიულად უარყო: „დედა ჩემ თეკლა ბატონიშვილთან ამაზე ლაპარაკს ვერც გავბედავდი“ (გოზალიშვილი 1970: 92).

საგამომძიებლო კომისია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შეთქმულთა ჩვენებებში არსებულ შეუსაბამობებს მაინცადამაინც სიღრმეში არ მიჰყვებოდა, თითქოს ამას უნდა დასჯერებოდა, მაგრამ ვითარება გაართულა გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენებამ: „ერთხელ თეკლა ბატონიშვილთან შევედი და იქ დამხვდნენ თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და თავადი ბიძინა ერისთოვი. თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა ბატონიშვილს, ჩვენი განზრახვა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს უნდა გამოვუცხადოთო და არ ვიცი, თანახმა შეიქმნება თუ არაო. ბატონიშვილმა კი უპასუხა, სჯობია ასეთ სისულელეს ნუ იზამთ, არც თავადი ჭავჭავაძე შეიქმნება თანახმაო... მე მგონია, მან (თეკლამ – თ. ჯ.) ეს უნინაც იცოდა“ (გოზალიშვილი 1970: 430-431).

ყოველივე ამას დაერთო კომისიის ეჭვი, რომ თეკლა სპარსეთში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერაში მონანილეობდა. კერძოდ, ლუარსაბ ორბელიანმა უჩვენა: „ალ.

ორბელიანოვმა განაცხადა, რომ დედამისს თეკლასაც აქვს მიმონერა ალ. ბატონიშვილთანაო“ [გოზალიშვილი 1935: 188; ამ შეხვედრის მონაწილე ელიზბარ ერისთავი ამას უარყოფს (გოზალიშვილი 1976: 404-405)], მთავარმართველი გრიგოლ როზენი კი რუსეთის სამხედრო მინისტრს ალ. ჩერნიშოვს ოფიციალურად აცყობინებს: ალექსანდრე ბატონიშვილისთვის მიწერილი წერილებიდან პირველი „მიაგავს თეკლა ბატონიშვილის ხელით ნაწერს“ [გოზალიშვილი 1976: 451; გ. გოზალიშვილის აზრით, „პირველი წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მართლა თეკლა ბატონიშვილს დაუწერია, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანი თვითონ იბრალებს ამას, რათა თეკლას მონაწილეობა შეთქმულებაში დამალოს“ (გოზალიშვილი 1976: 451)]. საგამომძიებლო კომისიამ ზემოაღნიშნულ ჩვენებებს ეს ეჭვიც შეუკეცა და 1833 წლის 8 სექტემბერს ოფიციალურად მოახსენა გრ. როზენს: „ქართველი ბატონიშვილი თეკლა ირაკლის ასული ქართველთა დანაშაულებრივი შეთქმულების მონაწილეა, მაგრამ საგამომძიებლო კომისია არ სთვლის აუცილებლად, ამ საქმის გასარკვევად, რაც უკვე საკმარისად არის გამოძიებული, დაკითხულ იქნას ბატონიშვილი თეკლა“. როზენი კომისიის ამ მოსაზრებას დაეთანხმა (გოზალიშვილი 1976: 410).

ასე იყო თუ ისე, თეკლა ბატონიშვილი შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ დაკითხვის გარეშე და საქმის გაურთულებლად „დამნაშავეთა“ მეშვიდე კატეგორიაში მოაქცია („ვინც იცოდა შეთქმულების შესახებ, მაგრამ არ ეთანხმებოდა“), თუმცა სასჯელი მესამე კატეგორიის მიხედვით განუსაზღვრა („შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა და ეთანხმებოდა აჯანყების იდეას“), საბოლოოდ კი დაასკვნა: „თეკლა ბატონიშვილი გაძევებულ იქნას საქართველოდან სამუდამოდ ქალაქ კალუგაში“ (გოზალიშვილი 1976: 429).

1834 წლის 21 აგვისტოს თეკლა შვილთან, ვახტანგთან, ერთად თბილისიდან გაიყვანეს. გადასახლებულები 9 ოქტომბერს ჩავიდნენ კალუგაში, სადაც მათ დახვდა უფრო ადრე კალუგა-

შივე გამწვანებული კიდევ ერთი ვაჟი თეკლა ბატონიშვილისა – დიმიტრი [„ნეტავ თქვენ, რომ კახურ ღვინოსა სვამთ... აქაურ ღვინოებს ვერ შევეჩვიე და ყველაფერიც დიდად ძვირია“ – სწერს თეკლა თავის რძალს კატინას კალუგიდან თბილისში (უთურაშვილი 1991: 42)]. ნიკოლოზ I-მა, რომელსაც ქართული არისტოკრატიის გულის მოგება სურდა და ამიტომაც შეთქმულთა თანდათანობითი შეწყალება ჰქონდა გადაწყვეტილი, 1834 წლის დეკემბერში თავისი „კეთილმოსურნე“ მზერა თეკლა ბატონიშვილსაც მიაპყრო – მას სამშობლოში დაბრუნების ნება დართო, მაგრამ მკაცრი ზამთრის გამო თეკლამ მხოლოდ 1835 წლის 8 მაისს დატოვა კალუგა, ხოლო თბილისში იმავე წლის 6 ივნისს ჩამოაღწია (ბერძნიშვილი 1983: 38).

თეკლა ბატონიშვილმა ხანდაზმულობაშიც შეინარჩუნა გამჭრიახი გონება და შესანიშნავ ჩუბინად და მოჯირითედაც დარჩა. მისი შვილიშვილი მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი თვითმხილველის ნაამბობზე დაყრდნობით წერს, თუ როგორ მოატანინა ახლობელთა დაჟინებული თხოვნით მოხუცებულმა თეკლამ სოლოლაკის ბაღში თოფი და როგორ ჩამოაგდო ჩიტი ერთი გასროლით [ორბელიანი 1949: 66; იმავე ისტორიას გადმოგვცემს გიორგი წერეთელიც, ოღონდ მას „ჩიტის“ ნაცვლად „ნიშანი“ უწერია: „...ესროლა და კიდევ მარჯვეთ მოახვედრა ნიშანს“ (წერეთელი 1897: 110)].

თეკლა ბატონიშვილს პოეტური ნიჭიც ჰქონდა და რომანტიკული განწყობილებისა და სულისკვეთების ლექსებს თხზავდა: „ჰე გულო, რად გაქუს ესდენ წყინება, / მარად სისხლისა ცრემლთა დინება, / გუშაგთ სიმრავლით თუალთა შინება, / მათგან უწყალოდ ჭირთა ჰსმინება? / რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება, / კრძალვით ითმინე სახმილთ გზნებანი...“ – ლექსად სწერდა თეკლა თავის დას, ქეთევან ბატონიშვილს, თვითონაც პოეტსა და საინტერესო ლექსების ავტორს [თეკლას ესა და კიდევ ორი ლექსი შემოგვინახა დავით რექტორის (ალექსი-მესხიშვილის) მიერ 1815 წელს გადაწერილმა კრებულმა. ამ

ლექსების პუბლიკაცია იხ.: ასათიანი 1935: 453-456; კალუგაში დანერილი თეკლას ლექსი „იანბიკო ლუთისმშობლისადმი“ ივანე კერესელიძემ გამოაქვეყნა „ცისკარში“ (თეკლა ბატონიშვილი 1860: 63-66)]. თეკლა ბატონიშვილს ქეთევან და მარიამ ბატონიშვილებთან ერთად ვახტანგ კოტეტიშვილი საქართველოში „პატრიოტული რომატიზმის“ სათავეებთან აყენებს (კოტეტიშვილი 1965: 47-48).

თეკლა ბატონიშვილი გარდაიცვალა 1846 წლის 11 მარტს თბილისში. მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის თაოსნობითა და მონაწილეობით იგი ბატონიშვილის შესაფერისი პატივით (ხელისუფლების ფართო წარმომადგენლობით, ჯარით, გრენადერთა პოლკის სასულე ორკესტრითა და სხვ.) გაასვენეს სიონის ტაძრიდან და სვეტიცხოველში, 1807 წლის 8 ნოემბერს პეტერბურგში გარდაცვლილი და პეტერბურგშივე, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრის ხარების ეკლესიაში, დასაფლავებული დარეჯან დედოფლისათვის განკუთვნილ სამარხში, დაკრძალეს [სხვათა შორის, თეკლა ბატონიშვილმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ეზიარა, შემდეგ კი მასთან მ. ვორონცოვისა და მისი მეუღლის, ელისაბედ ვორონცოვას, მისვლა ითხოვა, დაახლოებით ერთი საათი ესაუბრა მათ, თუმცა ამ საუბრის შინაარსი ჩვენთვის არ არის ცნობილი. ეს ფაქტი და თეკლას გასვენებასთან დაკავშირებული ამბები იხ.: შემეიოტი 1846; თარგმანი – ცისკარი 1869: 96-102; აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეკლას დაკრძალვის ხარჯები მთლიანად ვორონცოვმა გაისტუმრა მის ხელთ არსებული ექსტრაორდინარული თანხიდან (აქტები 1888: 625)].

თეკლა ბატონიშვილის საფლავის ქვაზე – უნდა ვიფიქროთ, შვილებმა – ასეთი ეპიტაფია ამოაკვეთინეს: „აქა განისუენებს საქართულოს მეფისა ირაკლი მეორისა ასული თეკლა, მეუღლე ვახტანგ დიმიტრის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა, რომელიც იშუა კ[20] სეკდემბერს ჩლოვ[1776] წელსა და აღსრულდა ია[11] მარტს ჩყმვ[1846] წელსა. აჰა ესე რა ღმერთი შემწე ჩემდა და

უ[ფალ]ი შემწყნარებელი სულისა ჩემისა“ (ხუციშვილი 1961: 52; უთურაშვილი 1991: 6-7). ყოფილა ეპიტაფიის სხვა ვარიანტიც, რომელზეც ოჯახს რატომღაც უარი უთქვამს: „აჰა ამომან და ტკბილმწარემან სოფელმან, ნასესხი ვალი თჳსი მე, სამეოცდა ათსა წელიწადსა მყოფსა მთხოვა: რ[ომე]ლიცა სწრაფათ და განსვენებულის გულით მივეცი, გარნა მონიჭებული სული ღ[მერ]თსავე მივართვი სიხარულით და უკანასკნელი ხორცი ამა საფლავსა დავმინე საუკუნოთ. – კაცო წარმავალო, ნურა-რაათა ნუ გაამაყდები: სიმდიდრე, პატივი და დიდება ყოველი სიკვდილთანვე ჩაგივლის ამოდ, უკეთუ კეთილად არ მოიხმარებ მათ. კეთილითა შეიძინებ კაცთა და უფროს ღ[მერ]თსა მისის ზეციურის უკვდავების დიდებითა!“ [ხუციშვილი 1961: 53; უთურაშვილი 1991: 130-131; დედანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S-1658: 1; აღწერილობა იხ. აღწერილობა... 1963: 124-125; ვიმონებთ დედნიდან) და დართული აქვს აღ. ორბელიანის მინაწერი: „ბატონიშვილის დედი ჩემის საფლავის ეპიტაფია, მაგრამ ველარკი დავაწერეთ“].

2010 წ.

დამონებიანი:

- ასათიანი 1935:** ასათიანი ლ. ძველი საქართველოს პოეტიკა-ქალები. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“. წგნ. I. 1935.
- აქტები 1866:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. I. Напечатан под редакцию председателя комиссии Ад. Берже. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1866.
- აქტები 1868:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. II. Издан под редакцию председателя комиссии Ад. Берже. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1868.
- აქტები 1888:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. XI. Издан под редакцию председателя комиссии Дм. Кобякова.

Тифлис: Типография канцелярии главноначальствующего гражданской частью на Кавказе. 1888.

აღწერილობა... 1963: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ. III (შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1963.

ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.

გოზალიშვილი 1970: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.

გოზალიშვილი 1976: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.

ერისთავი 13480: მოგონება ელისაბედ ელიზბარის ასულის ერისთავისა. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. №13480.

თეკლა ბატონიშვილი 1860: უცხოებაში მყოფი საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასული თეკლა. იანბიკო ღვთისმშობლისადმი. „ცისკარი“, 1860, №1.

იოსელიანი 1936: იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი: ფედერაცია. 1936.

კაკაბაძე 1914: კაკაბაძე ს. ერეკლე მეფის სამი წერილი თეკლა ბატონიშვილისადმი. // ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. ნგნ. I. თბილისი: 1914.

კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). // ვ. კოტეტიშვილი. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1965.

- ორბელიანი 1949:** ჯამბაკურ-ორბელიანი მ. მოგონებანი. „ლიტერატურის მატრიანე“. წგნ. 5. ნაკვ. I. 1949.
- ორბელიანი 1992:** ორბელიანი ალ. მოგონება. // ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. IX (ტომის რედაქტორი ჯ. ჭუმბურიძე). თბილისი: ნაკადული. 1992.
- პაპავა 1990:** პაპავა თ. მეფე ერეკლეს ქალები. // თ. პაპავა. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გ. შარაძემ. თბილისი: მერანი. 1990.
- უთურაშვილი 1991:** უთურაშვილი ი. თეკლა ბაგრატიონი. თბილისი: მეცნიერება. 1991.
- შემიოტი 1846:** Шемидт В. Тифлис, 14 Марта. „Кавказ“, 16.III, 1846, №11.
- ცისკარი 1860:** ბატონის-შვილის თეკლასაგან მიწერილი წიგნი გარსევან ჭავჭავაძის მეუღლესთან კნ. მაიასთან, რომლისაგანაც მიუღია სამძიმრის წიგნი და რომელსაცა ჰსწერს პასუხს. „ცისკარი“, 1860, №11.
- ცისკარი 1869:** საქართველოს მეფის ირაკლის ასულის თეკლას გარდაცვალებაზე და დასაფლავებაზე რამდენიმე სიტყვა. „ცისკარი“, 1869, №9.
- წერეთელი 1897:** წერეთელი გ. თეკლე ბატონიშვილი. „ეკალი“, 1897, №5.
- ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი. მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურ-ორბელიანისა. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. V (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ე. შარაშენიძემ, ლ. მეგრელიშვილმა, ც. ყიფშიძემ, ლ. შავგულიძემ და ლ. ჭრელაშვილმა. ტომის რედაქტორი გ. აბაშიძე). თბილისი: მეცნიერება. 1991.
- ხუციშვილი 1961:** ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი. შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ხუციშვილმა. წგნ. I. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემა. 1961.

მანანა ორბელიანი

მანანა ორბელიანი (1808-1870) იყო პოდპოლკოვნიკ მირმანოზ ქსნის ერისთავის ასული და მეუღლე პოდპორუჩიკ (ზოგ წყაროში – „სოვეტნიკ“) დავით ივანეს ძე ორბელიანისა [გარდ. 1830; დავითის გარდაცვალებას გრიგოლ ორბელიანი გამოეხმაურა ლექსით – „დავით ორბელიანზე“ (ორბელიანი 1959: 11).

დავით ორბელიანი იყო ძმა შეთქმულების აქტიური წევრის – ლუარსაბ ორბელიანისა. 1833 წლის თებერვლის დასაწყისში ლუარსაბი შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომლის მიხედვითაც, მისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ძმის, პოდპორუჩიკ დავით ორბელიანის, ცოლი მანანა სამი შვილით: 8 წლის ივანეთი, 7 წლის ანასტასიათი და 5 წლის ალექსანდრეთი (გოზალიშვილი 1970: 256). 22 თებერვალს მიცემულ ჩვენებაში კი ლუარსაბ ორბელიანი შეთქმულთა შორის უკვე მანანა ორბელიანსაც ასახელებს: „1832 წელს ჩემმა რძალმა... მანანამ იცოდა განზრახულება საქართველოს განთავისუფლების შესახებ, და მგონია, რომ მას ელიზბარ ერისთავმა უთხრა... ელიზბარს ხშირად ჰქონია მასთან საუბარი“ (გოზალიშვილი 1970: 342).

მანანას მონაწილეობა შეთქმულებაში დაადასტურეს იასე ფალავანდიშვილმა, სოლომონ დოდაშვილმა, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი რევაზის ძე ერისთავებმა...

მანანა ორბელიანი არ ყოფილა აჯანყებისათვის მზადების პასიური მაცურებელი – იასე ფალავანდიშვილი უჩვენებს: „როგორც ელიზბარმა გადმოცა, მანანას თანდასწრებით ამკარად ყოფილა საუბარი აჯანყებაზე... ელიზბარი მეუბნებოდა, რომ ლუარსაბ ორბელიანს უთქვამს მისთვის, რათა თავადები არჩევნებისათვის შეიკრიბნენ არა ლუარსაბის, არამედ მისი [ელიზბარ ერისთავის] სიძის მელნიკოვის სახლში, სადაც ქართლის ზოგიერთ საპატიო თავადს მანანა და ელიზბარი გაუმჟღავნებენ შეთქმულებასაო“ (გოზალიშვილი, 1976: 103). შეთქმულების მასალების მიხედვით, მანანამ, სულ ცოტა, იცო-

და „პირველი ღამის განკარგულებისა“ და საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტის არსებობის შესახებ (გოზალიშვილი 1970: 393).

რაც შეეხება მანანას შეთქმულთა წრეში შესვლის თარიღს, შეთქმულნი 1832 წლის შემოდგომას ასახელებენ, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ამ თარიღში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა:

1831 წლის გაზაფხულზე მანანა თავის შვილებთან ერთად თბილისიდან ქართლში ძმასთან გაემგზავრა და იგი ქალაქიდან გააცილეს ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ლუარსაბ და ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანებმა, ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთავებმა. ლუარსაბ ორბელიანისა და გიორგი ერისთავის ჩვენებებით, მათ გზაში „პოლონეთზე“ [პოლონეთის 1829-1830 წწ. აჯანყებაზე] და თავიანთ „განზრახულებაზე“ [შეთქმულებაზე] უსაუბრიათ (გოზალიშვილი 1970: 396-397, 430, 434), მაგრამ შეთქმულთა ჩვენებებიდან მკაფიოდ არ ჩანს, მონაწილეობდა თუ არა ამ საუბარში თვითონ მანანა და, საერთოდ, იცოდა თუ არა მან ამ დროისათვის შეთქმულების არსებობა.

თვითონ მანანა ორბელიანი 1833 წლის 25 თებერვალს წერილობით განმარტებას აძლევს კავკასიის მთავარმართებელს, გრაფ როზენს: „მე ვარ... რძალი ნამსახური და ერთგულის სახლისა და კმაყოფილი ჩემის ცხოვრებისა და მთავრობისაგან. მაშ რა მიზანი მექნებოდა, რომ გამებედნა და შევსულიყავ მთავრობის წინააღმდეგ საქმის მოქმედებაში, მაგრამ თუმცა ზოგიერთი მთავრობის წინააღმდეგი ჰაზრი ჩემის ნათესავებისაგან შეტყობილი მქონდა და, ვითარცა კანონის უცოდინარმა დედაკაცმა, შიშითა და სირცხვილითა და ნათესაობის მიზეზით ვერ გავბედე, რომ პირველადვე მოენე შევექმნილიყავი. ახლა, რადგანაც თითონ იმათაც უღიარებიათ, ამისათვის მე ამას ვბედავ ჩემის ერთგულებითა, რწფელის სვინდისით და დაუფარავი მინდობით თქვენის მაღალაღმატებულობისა, ვითარცა მამა მზრუნველი უბედურთა, აღვიარებ, რაც გამიგონია და მათ

ეთქვათ ჩემთვისა“ (გოზალიშვილი 1970: 342-343). ამის შემდეგ მანანა საუბრობს ისეთ ფაქტებზე, რომლებიც საგამომძიებლო კომისიისათვის ისედაც ცნობილი იყო: შეთქმულება გამიმულავნა გიორგი რევაზის ძე ერისთავმა, ამ თემაზე მისაუბრია ელიზბარ ერისთავთან, ლუარსაბ ორბელიანთან და ზაქარია ჩოლოყაშვილთან, გიორგი რევაზის ძე ერისთავისგან გამიგონია, რომ შეთქმულების სათავეებთან ოქროპირ ბატონიშვილი დგას და დიმიტრი ბატონიშვილიც „ჩვენი ამ საქმეში ამხანაგიაო“, ოქროპირი მზადაა, საფრანგეთში წავიდეს და იქიდან დაგვეხმაროსო, „ბატონიშვილ თეკლეს შვილებიც ჩვენი თანახმანი არიანო და შემწეობასაც გვაძლევენო“ (გოზალიშვილი 1970: 343).

1833 წლის 7 ივლისს მანანა ორბელიანი უკვე საგამომძიებლო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომელშიც აღიარებს: 1832 წლის ნოემბრის დამდეგს ელიზბარ და გიორგი [რევაზის ძე] ერისთავებმა მითხრეს, „რომ გვსურს თავისუფალნი შევიქნათ“, მაგრამ მე არათუ დავთანხმდი, პირიქით, ისინი დავტუქსე და ამის მერე მე შეთქმულებაში არც არა მონაწილეობა მიმიღია და არც არაფრის კურსში ვარ, გარდა იმისა, რაც გრაფ როზენს წერილობით უკვე ვაცნობეო (გოზალიშვილი 1976: 295-298).

საგამომძიებლო კომისია, რომელიც არ იყო დაინტერესებული შეთქმულების ჭეშმარიტი მიზანდასახულობისა და მასშტაბების წარმოჩენით, მანანას ჩვენებას დასჯერდა, გაათავისუფლა იგი პასუხისმგებლობისაგან, თუმცა საჭიროდ ჩათვალა მისთვის სასტიკი მეთვალყურეობის დაწესება („ქვრივი მანანა ორბელიანოვი... დარჩეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ“ – გოზალიშვილი 1976: 430; ბერძნიშვილი 1983: 155).

ალექსანდრე ორბელიანის ერთი მოგონების მიხედვით, „ზოგიერთმა ყმანვილმა დედაკაცებმა ბაირაღებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს“ (ბალახაშვილი 1941: 15). დოკუმენტურად არ დასტურდება, იყო თუ არა ამ „ყმანვილ დედაკაცებს“ შორის მანანა ორბელიანი, თუმცა არისტოკრა-

ტიულ წრეებში ასეთი გადმოცემა მართლაც არსებობდა – რევაზ შალვას ძე ერისთავის ასული ანასტასია ამილახვარი ერთ თავის მოგონებაში წერს: „[შეთქმულებაში] ერივნენ ქალებიც, ბატონიშვილი თამარ, იულონის ასული და პაპიდა მანანაც [ორბელიანი], რომელიც ჰქარგავდა საქართველოს აღდგენის დრომას, როდესაც მოსპეს შეთქმულობა და დამნაშავენი გაგზავნილ იქმნენ სხვა და სხვა რუსეთის ქვეყნებში“ (ამილახვარი 8995: 13), ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავის გადმოცემით კი – „მანანაზე, ვგონებ, ცნობილია, რომ თავისუფლების დრომას საქართველოსი ჰკერამდნენ ელენე და მანანა“ (ერისთავი 13481: 4; ავტორი აქ გულისხმობს ელენე ერისთავს – ლუარსაბ ორბელიანის ასულს, 1850 წელს ყაჩაღების მიერ მოკლული ზაქარია ერისთავის მეუღლეს, თუმცა შეთქმულებასთან რაიმე ფორმით ელენე ერისთავის კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა ჩვენ არ მოგვეპოვება).

1840-იანი წლებიდან მანანა ორბელიანი თბილისის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში მოექცა. მას ჰქონდა სალონი, სადაც თავს იყრიდნენ თბილისში მყოფი ქართველი მწერლები და რუსეთიდან თუ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები, კითხულობდნენ ახალ ორიგინალურ ნაწარმოებებს, თარგმანებს, მსჯელობდნენ ქართული კულტურის აწმყოსა და მომავალზე (სალონის ხშირი სტუმარი იყო მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი). სწორედ მანანას სალონში დაიბადა და ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული თეატრისა და ყურნალ „ცისკრის“ დაარსების იდეა (ბალახაშვილი 1941: 25-42). ყოველივე ამის გამო იონა მეუნარგია მანანას „ჩვენებურ მადამ რეკამიეს“ უწოდებს (მეუნარგია 1954: 203).

დიმიტრი ყიფიანის ცნობით, 1840-იანი წლების დასაწყისში იმ ქართველ პოეტებს (მათ შორის, ნ. ბარათაშვილს), რომლებიც მანანა ორბელიანის სალონში ტრიალებდნენ, შეუდგენიათ მანანასადმი მიძღვნილი ხელნაწერი პოეტური კრებული, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება (ლეონიძე 1940: 411). მა-

ნანა ორბელიანის სალონის წევრმა დიმ. ყიფიანმა თავისი პირველი თარგმანი შექსპირის „რომეო და ჯულიეტასი“ (1841 წ.) უძღვნა მანანას – უცნობი ხელით გადანერილ ერთ-ერთ ხელნაწერს ამ თარგმანისას აქვს მინაწერი: „რუსულიდგან კნეინა **მანანა ორბელიანისთვის** ქართულსა ენაზედ გარდმოღებული **ყიფიანის** მიერ **ტფილისს** აპრილის დღესა წელსა“ (შექსპირი S-2677: 2) (ეს თარგმანი სწორედ მანანას სალონში იქნა წაკითხული, ისევე როგორც ნიკ. ბარათაშვილის ამჟამად დაკარგული თარგმანი ი. ლაიზევიცის ტრაგედიისა „იულიუს ტარენტელი“ – ბარათაშვილი 1972: 111).

მანანა ორბელიანი 22 წლისა დაქვრივდა, ქმრის საფლავზე აღთქმა დადო – „აღარ გავთხოვდებიო“ (ბალახაშვილი 1941: 9) და ეს აღთქმა აღასრულა კიდევაც, თუმცა მუდამ თაყვანისმცემლებით იყო გარშემორტყმული.

1835 წელს ლუარსაბ ორბელიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანი მანანას სწერს: „უბედნიერესნი ჩემნი დღენი წარვიდნენ თქუენს ოჯახში საყუარელს დავითთან და ლუარსაბთან, რომელთა სიკუდილით დამემწარა სრულებით სიცოცხლე და გამოცხადდა ჩუენს გვარზე რისხუა ღვთისა. – მანანაე! ვინძლო უბედურებამან არ გძლიოს შენ, არა დაეცე სულითა. გარდამეტებული მწუხარება არის წინააღმდეგ ღვთისა. მიჰხედე შენ წვრიშვილებს, რომელთაცა მფარველად დაჰშთი მხოლოდ შენ ამ სოფელში. მათთვის უნდა იცოცხლო, მათთვის უნდა მოითმინო ყოველგვარი უსიამოვნება და ტანჯვა; თვითეული ჟამი, თვითეული დღე შენისა სიცოცხლისა უნდა უმსხვერპლო მათ“ (ორბელიანი 1936: 38).

გრიგოლ ორბელიანის მიერ აქ ნახსენები „წვრიშვილები“ არიან:

1. ივანე ორბელიანი (1825-1893) – გენერალ-მაიორი, მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის ადიუტანტი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, დიმ. ყიფიანის თაოსნობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი,

თავისებური ხასიათისა და მეტად კოლორიტული პიროვნება, რომლის შესახებაც გრიგოლ ორბელიანი 1846 წლის თებერვალში თემირხანშურადან ირონიული ტონით სწერს მანანას: „მაგის ამბავი სულ წვრილად ვიცი: ეგ გამხდარა აკტრისების ლომი... სადაც შეუტევს, ბრეს გაადენს. სწორედ მოგახსენოთ, კარგი გზა აურჩევია სადიდებლად თავის გვარისა და საკეთილდღეოდ თავის ოჯახისა... ნეტავი იმათ (ივანეს წინაპრებს – თ. ჯ.), რომ მაგისთანა დიდებული, ჩინებული, პატივცემული შვილისშვილი გამოუვიდათ, რომლისა სახელი გარდამატებს მათ სახელთა“ (ორბელიანი 1936: 120). 1847-1850 წლებში ივანე ორბელიანი თითქოს შამილის წინააღმდეგ კი იბრძოდა გრიგოლ ორბელიანის სამხედრო ნაწილში, მაგრამ ძირითადად დროს გარე-გარე სიარულში, ქეიფსა და დროსტარებაში ხარჯავდა, რასაც ივანეს ცხოვრების წესით შეწუხებული გრიგოლ ორბელიანი ხშირ-ხშირად ატყობინებდა თბილისში თავის ნათესავ-მეგობრებს. „ქაჩალი ივანე, ჩამომავლობით ღონენა, წამოვიდა დედის გასახარებლად. ვნახოთ რა დიდი ბედნიერება მიეცემა მაგის ნახვითა“ – სწერს ივანეს მოშორებით შვებამოგვრილი გრიგოლ ორბელიანი 1850 წლის 6 დეკემბერს ილია ორბელიანს (ორბელიანი 1936: 212).

ივანე ორბელიანი დაქორწინებული იყო შალვა რევაზის ძე ერისთავის ქალიშვილზე – სოფიოზე (1833-1887). „[მანანას] სიკვდილის შემდეგ მისი შვილი ივანე გადიყვანეს დაღისტანში მართველათ და ცოლ ქმარნი წავიდნენ გუნიბში, საიდანაც ზაფხულში მამიდა ჩემი სოფიო გვენვეოდა ხოლმე კარალეთში, თავის სამშობლოში“ – იგონებს ანასტასია ამილახვარი (ამილახვარი 8995: 14). სოფიო ერისთავ-ორბელიანი არის ადრესატი გიორგი ერისთავის ლექსისა „კნიაჟნა სოფიო ერისთავისას“ (ერისთავი 1966: 54).

ივანე და სოფიო ორბელიანები დაკრძალულნი არიან ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში (ცინცაძე 1994: 112).

2. ანასტასია (ტასო) ორბელიანი-გაგარინა (1826-1907) – ცოლი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, კონსტანტინე (მურ-ზაყან) დადიშქელიანის მიერ მოკლული ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინისა (1801-1857). დაქვრივებული ანასტასია დასახლდა ყირიმში, ქუჩუქ-ლამბათში (ამჟამად – უტიოსი), ქმრის მამულში, სადაც სიკვდილის წინ, 1907 წელს, მისი თაოსნობითა და არქიტექტორ ნ. კრასნოვის პროექტით აშენდა ქუჩუქ-ლამბათის შესანიშნავი სასახლე. მანამდე კი, 1901 წელს, ანასტასია გაგარინამ ანჩისხატის იატაკი მოაგებინა მოზაიკით [ბერძნიშვილი 1983: 154; უფრო ადრე, 1829 წელს, თვითონ მანანას შეუწირავს ანჩისხატისთვის „პირი ბეთანიის ღვთის მშობლის ხატისა, ოქროცურვილი ვერცხლით და თვლებით შემკობილი“ (კარბელაშვილი 1902: 26)]. მანანა ორბელიანი ცხოვრების ბოლო წლებს ძირითადად ქალიშვილთან ატარებდა ყირიმში (ბალახაშვილი 1941: 46-47).

ანასტასია და ალექსანდრე გაგარინები უშვილოდ გადაეგნენ.

3. ალექსანდრე ორბელიანი (1828-1869) – გენერალ-მაიორი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1858-1864 წლებში. ანასტასია ამილახვრის მოგონების მიხედვით, „ალექსანდრემ შეირთო მდიდარი რუსის ქალი – სომოვისა“ (ამილახვარი 8995: 13); „ალექსანდრეს ყავდა ერთი ქალი მარიამ, რომელიც სილამაზით მოგაგონებდათ თავის ბებიას მანანას“ (ერისთავი 13257: 8). ცხოვრების უკანასკნელი წლები ალ. დ. ორბელიანმა გაატარა პეტერბურგში, სადაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამაღლაში ირიცხებოდა ფლიგელ-ადიუტანტის ჩინით. გარდაიცვალა იალტაში (მნათობი 1869: 11-12).

მანანა, მისი მეუღლე დავით ორბელიანი და შვილი ალექსანდრე დაკრძალულნი არიან კუმისის წმ. სამების ეკლესიაში [ბალახაშვილი 1941: 48; კუმისის ეკლესია ორბელიანთა საგვარეულო სამარხი იყო: 1847 წლის დეკემბერში გრიგოლ ორბე-

ლიანი თავისი ძმის, ყაჩაღების მიერ მოკლული ზაქარიას, დაკრძალვასთან დაკავშირებით თემირხანშურადან ქეთევან ორბელიანს სწერს: ჯობს, ზაქარია კუმისის სამებაში დამარხოთ, „იქ უნდა იყოს უკანასკნელი ჩვენი სადგური... დამიჯერეთ, კუმისის სამებაში დაასვენეთ და მეც იქ დამმარხეთ“ (ორბელიანი 1936: 159); რამდენიმე დღის შემდეგ კი გრიგოლი უკვე ილია ორბელიანს სწერს: „ჩვენი კუმისის სამება ჰსჯობს ჩვენთვის, ამიტომ რომ ეს არის საკუთარი ჩვენი სასაფლაო...“ (ორბელიანი 1936: 161). სხვათა შორის, ახლობლებმა გრიგოლის რჩევა არ გაითვალისწინეს და ზაქარია ორბელიანი ქაშვეთის ტაძარში დაკრძალეს (ცინცაძე 1994: 111)].

2010 წ.

დამონებიანი:

ამილახვარი 8995: ამილახვარი ანასტ. აღწერა ჩემი ცხოვრებისა ბავშვობიდან. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. №8995-ბ.

ბალახაშვილი 1941: ბალახაშვილი ი. მანანა ორბელიანი. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. 1941.

ბარათაშვილი 1972: ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. ა. განერელიასა და ი. ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1972.

ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.

ბოროზდინი 1934: ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1934.

გოზალიშვილი 1970: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.

გოზალიშვილი 1976: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.

- ერისთავი 1966:** ერისთავი გ. თხზულებანი. ტექსტი დაადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1966.
- ერისთავი 13481:** ერისთავი ე. მოგონება მანანა ორბელიანზე. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. №13481-ბ.
- ერისთავი 13257:** ერისთავი ე. მოგონებანი. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. №13257-ბ.
- კარბელაშვილი 1902:** კარბელაშვილი პ. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში. ტფილისი: 1902.
- ლეონიძე 1940:** ლეონიძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო. „ლიტერატურის მატინე“, წგნ. 1-2, 1940.
- მეუნარგია 1954:** მეუნარგია ი. ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვი და შენიშვნებით. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.
- მნათობი 1869:** ნეკროლოგი. „მნათობი“, 1869, №11-12.
- ორბელიანი 1936:** ორბელიანი გრ. წერილები. ა. განწერელის რედაქციით და შენიშვნებით. კ. გორდელაძის წინასიტყვაობით. I. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1936.
- ორბელიანი 1959:** ორბელიანი გრ. [დავით ორბელიანზე]. // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განწერელისა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.
- შექსპირი S-2677:** შექსპირი უ. რომეო და ჯულიეტა. ქართულსა ენაზედ გარდმოღებული [დიმიტრი] ყიფიანის მიერ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. S-2677.
- ცინცაძე 1994:** ცინცაძე კ. ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში. გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ. თბილისი: კანდელი. 1994.

იასე ფალავანდიშვილი თბილისსა და უსტ-ცილგაში

1832 წლის 9 დეკემბერს, ნაშუადღევს, კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, გენერალ ვლადიმერ ვოლხოვსკისთან, გამოცხადდა სამსახურიდან გასული დაბალი ჩინის მოხელე (კოლეგიის რეგისტრატორი) იასე ფალავანდიშვილი და გენერალს გამოუცხადა – საქართველოდან რუსების განდევნის მიზნით ქართველები ამ დღეებში აჯანყებას აპირებენო, მოგვიანებით კი (11 დეკემბერს) დასმენის ვრცელი ტექსტიც დაწერა:

„შესაკრები ადგილი იყო თათრის მოედანი, სადაც უნდა დაეკრა აზიურ მუსიკას და სადაც უნდა ყოფილიყვნენ თავადები: ლუარსაბ ორბელიანოვი, მარშალი დიმიტრი და მამუკა ორბელიანოვები, ალექსანდრე ორბელიანოვი, ასლან ორბელიანოვი და სხვა ორბელიანოვები, თავადი ელიზბარ ერისთოვი; აქვე უნდა ყოფილიყვნენ, გარდა ადგილებზე დანიშნულისა, ყველა ამ საქმის მონაწილენი. აგრეთვე აქ უნდა შეყრილიყვნენ პოლონელი თავადაზნაურნიცა და დაბალი წოდებისანიც და ისე ემოქმედათ, როგორც თვითონ საჭიროდ დაინახავდნენ.

აქ აღნიშნულ პირთ ევალეობდათ:

1. შეეკრიბათ ქალაქში ხალხი.
2. ეკლესიებში აეტეხათ ზარების რეკა.
3. მათვე უნდა გამოეტანათ სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი, აგრეთვე სომხების ფეთხანის ეკლესიიდან ღვთისმშობლისავე ხატი, რომლებიც უნდა ხელში მღვდლებსა და ბერებს სჭეროდათ და ეძახნათ საქართველოს განთავისუფლებისათვის ჩვენ თავს ვწირავთ...“ (გოზალიშვილი 1935: 137) და სხვ.

გენერალმა ვოლხოვსკიმ ეს ამბავი, რასაკვირველია, მაშინვე აუწყა მთავარმართველ გრიგოლ როზენს. 11 დეკემბერს (უფრო ზუსტად, 10-11 დეკემბრის ღამეს) დაიწყო დაპატიმრებები, შეატყობინეს პეტერბურგს, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის განკარგულებით სასწრაფოდ შეიქმნა სპეციალური საგამომძიებლო კომისია (გზადაგზა კომისიამ შეთქმულების 145 მონაწილე გამოავლინა), ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ შედგა სამხედრო სასამართლო, რომელმაც მუშაობა 1834 წლის თებერვალში დაასრულა და შეთქმულების ყველაზე აქტიური ნაწილი, მაშინდელი საქართველოს საუკეთესო შვილები, რუსეთის შორეულ გუბერნიებში მიმოფანტეს. მკვეთრად შეიცვალა საქართველოს ისტორიის მსვლელობა და ამ ცვლილების მთავარი „შემოქმედი“ იასე ფალავანდიშვილი იყო.

იასე ფალავანდიშვილი ცნობილ და გავლენიან ოჯახში დაიბადა. იგი დედის მხრიდან შვილიშვილი იყო თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწის, მქადაგებლისა და მწიგნობრის, ამბროსი ნეკრესელისა (მიქაძის; 1728-1815; დაკრძალულია სიონის ტაძარში). სასულიერო პირი (დეკანოზი) იყო იასეს მამაც – იოსებ ფალავანდიშვილი (გარდ. 1831; დაკრძალულია სიონის ტაძრის ეზოში).¹ 1795 წელს იოსები თავის სამ ვაჟიშვილთან – მიხეილთან, ნიკოლოზთან და ზებედექსთან – ერთად ალამაჰმად-ხანის მიერ წასხმულ ტყვეთა შორის მოხვდა, მაგრამ როგორღაც ტყვეობას თავი დააღწია და მიხეილთან და ნიკოლოზთან ერთად თბილისში დაბრუნდა, ზებედექს კვალი კი დაიკარგა.²

¹ ერთ-ერთი ვერსიით, იასეს წინაპარი ყორჩიბაში ყოფილა და მისი შთამომავლებიც წყაროებში ყორჩიშვილებად/ყარჩიშვილებად იხსენიებიან, ფალავანდიშვილობა კი ყორჩიშვილებს გვიან მიუღიათ – ბერძნიშვილი 1983: 190-191.

² გამოქვეყნებულია იასეს დედის, თინათინ მიქაძის, „წარწერა ერთს ხუცუურად დაბეჭდილს სახარებაზე“: „ოდეს მსჯავრითა, სამართლად ცოდვათა ჩვენთათვის მხილებაითა, ქალაქი ტფილისი ყოველითურთ

იასეს ერთ-ერთი ძმა – მიხეილი (გარდ. 1821) – სასულიერო უწყების თარჯიმნად მსახურობდა და მნიგნობრულ-მთარგმნელობითი ინტერესებიც ჰქონდა. მიხეილის შვილი იყო ზაქარია ფალავანდიშვილი, უაღრესად საინტერესო მოღვაწე – ჟურნალისტი, მეცნიერი, ბიბლიოფილი, 1841 წელს მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი (ზაქარია 27 წლისა გარდაიცვალა 1845 წელს, მშობლებთან ერთად ემარხა მთანმინდის სასაფლაოზე, მაგრამ მთანმინდაზე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დაარსების შემდეგ მათი საფლავები დაიკარგა). მეორე ძმა იასე ფალავანდიშვილისა – ნიკოლოზი – თანამედებობებითა და გავლენით თავისი დროის ერთი უპირველესი ქართველთაგანი იყო.³

იასემ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაამთავრა (ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა და წარჩინებული სწავლისათვის 1817 წელს გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებთან ერთად სასწავლებლის დირექციამ დააჯილდოვა კიდეც – ხუნდაძე 1951: 10; შდრ.: ბერძნიშვილი 1983: 191). ამის შემდეგ იგი თარჯიმნად მოაწყვეს საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიაში, თუმცა თვითონ სამხედრო სამსახურზე ოცნებობდა და ხან მამასა და ხანაც ძმას ფულსა და ნებართვას ევედრებოდა, რათა რუსეთში წასულიყო სასწავლებლად. ორი-

იავარ იქმნა. და წარვიტყვევებით, უსჯულოსა აღამახმადისაგან. მაშინ ნეკრესთა ღვთისმშობლის მადლითა, ღირს ვიქმენ თავყვანისცემად, შილდის ყ[ოვლად] წმიდისა ღვთის მშობლისა. ეკლესიისა და შევსწირე წმიდა ესე სახარება: მიქაძემ ნეკრესელის ამგროსის ასულმან თინათინ: და ამის პირველ შევსწირე, წმიდის ტრაპეზზედ დასასვენებელი ჯვარი წმიდა, ხისა ბერძული, მოჭედილი ვეცხლ ოქრო ფერ ჯაჭვილითა. საოხად სულისა ჩემისა, და ძეთა ჩემთა აღსაზრდელად, მიხაილისა და ნიკოლოზისა: და გამოსახსნად ძისა ჩემისა ზებედესა უსჯულოთა მათ ხელთაგან: ფებერვალს. კჳ. ქ. კს უჰდ [1796] (შილდეელი 1895: 24).

³ ბიოგრაფიული ცნობები ფალავანდიშვილთა შესახებ ძირითადად აღებული გვაქვს ნიგნიდან – ბერძნიშვილი 1983: 185-196.

ვესგან გადაჭრილი უარი რომ მიიღო, იასე ოსმალეთში გაიქცა, ახალციხეში ჩასულს ჯაშუშობა დასწამეს, მაგრამ იქ მყოფმა იმერელმა ბატონიშვილმა ვახტანგმა მისი ქართველობის გამო გამოიხსნა და ტრაპიზონში წაიყვანა. იქიდან იასემ გზა სტამბოლისკენ გააგრძელა, იქ 1826 წლის 10 მაისს ჩავიდა, ხოლო 15 მაისს სტამბოლში (საბუთებში – კონსტანტინოპოლი) ოტომანის პორტასთან რუსეთის წარმომადგენელ მატვეი მინჩაკს ეახლა და გამოუცხადა: სანამ ახალციხეში ჩავიდოდი, გზაზე ყაჩაღებმა გამძარცვეს, ყველაფერი წამართვეს, მათ შორის – საბუთებიც. რუსულად ვიყავი ჩაცმული და ამიტომ ახალციხეში ჯაშუშად მიმიჩნიეს, მაგრამ ჩემი ქართველობა ვახტანგ ბატონიშვილმა გაიგო, ფაშა დაარწმუნა – ეს ჯაშუში კი არა, რუსეთის მტერიაო. ამით ვახტანგმა უეჭველ სიკვდილს გადამარჩინა, ახლა კი ოდესაში უნდა გამიშვათ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლოება ვიცი და იქ უნდა განვაცხადოო.

ოდესაში ჩასულმა იასე ფალავანდიშვილმა დასმენის ქალღი დაწერა: სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანსა და ოსმალეთში გაქცეულ ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილს ერთმანეთთან მიმონერა აქეთ, რუსების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებენო და საბუთად ლევან დადიანის წერილიც დადო (იასეს სხვის ნაწერთან ზედმიწევნითი კალიგრაფიული მიმსგავსების უნარი ჰქონდა). საქმემ მიაღწია იმპერატორ ნიკოლოზ პირველამდე, რომელმაც სასწრაფო გამოძიება დანიშნა. გამოიკვია, რომ დამსმენი ცრუობდა და ეს მას ერთი წლის პატიმრობად დაუჯდა (აქტები 1874: 638-643; ბერძნიშვილი 1983: 192-193; მოგვიანებით, 1828 წლის დეკემბერში, იასე ფალავანდიშვილმა კიდევ ერთხელ სცადა ოსმალეთში გაქცევა, ახლა უკვე გურიის გზით. მისი ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა და ამჯერად სასჯელს გადაურჩა – გოზალიშვილი 1970: 625-627).

იასე ფალავანდიშვილმა, ამ ავანტიურისტული ბუნების, ზნეობისაგან სავსებით დაცლილმა ადამიანმა, შეთქმულება რომ გასცა, ეს არ არის გასაკვირი; გასაკვირი ის არის, შეთქმულებმა, რომლებიც საზოგადოების „მორალურ განახლებას“

მიიჩნევდნენ „როგორც მოსამზადებელ საფეხურს პოლიტიკური განთავისუფლებისათვის“ (პოლიევკტოვი 1927: 111), იგი ისე რატომ დაიხსლოვებს, რომ იასე, ფაქტობრივად, „ფარული საზოგადოების“ ერთ-ერთ წარმმართველ ფიგურად იყო ქცეული [„შესახედება ჰქონდა ძალიან რიგიანი, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, გარეგნობა ატყუებსო. ეს, შესახედავთ ასეთი მორიდებული, სათნო ადამიანი, დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა ყოველი წესწყობილებისა და ამასთან ისეთი სისხლისმსმელი ადამიანი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ არ შემხვედრია“ – წერს თავის „მემუარებში“ დიმიტრი ყიფიანი (ყიფიანი 1930: 128). იასე ფალავანდიშვილი მართლაც „სისხლისმსმელი ადამიანი“ რომ იყო, ამ ფაქტიდანაც ჩანს – იგი შეთქმულთა შეკრებებზე დაბეჯითებით მოითხოვდა, აჯანყების ღამეს ჩემი ძმა უნდა მოკვდეს და, თუ თქვენ არ იზამთ, ამ საქმეს მე თვითონ ვიკისრებო, თანაც, ღვიძლ ძმას ნაირგვარ აღსასრულს უმზადებდა: მოკვლას, საიქიოს გასტუმრებას, მონამვლას... – გოზალიშვილი 1935: 157; გოზალიშვილი 1970: 458; გოზალიშვილი 1976: 72, 73, 86, 87].

„ფარულ საზოგადოებაში“ იასე ფალავანდიშვილის ადგილისა და როლის შესახებ შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალებში ურთიერთსანინააღმდეგო ცნობებია მოცემული. ბუნებრივია, უკრიტიკოდ ვერც მძიმე სასჯელის წინაშე მდგომი იასეს ჩვენებებს დავეყრდნობით. ნამდვილი ან მეტ-ნაკლებად ზუსტი ვითარების დასადგენად საჭირო გახდა შეთქმულთა ჩვენებების ამ კუთხით სპეციალური შესწავლა და მათი შეჯერება. გამოიკვავ, რომ:

1. შეთქმულთა ნაწილი (ძირითადი ბირთვი) თავის ჩვენებებში იასე ფალავანდიშვილს აჯანყებისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებების მეთაურად (ან: ერთ-ერთ მეთაურად) ასახელებს:

ალექსანდრე ორბელიანი: „კომისიასა შინა იასე ფალავანდოვმა პრისუსტვით ღენერლებთან აღიარა, ვითომც ის ყოფი-

ლიყოს შპიონი, და ჩვენი ყოველი განზრახვა უნდა შეეცყო, მაშინ, როდესაც რომ ჩვენი საზოგადოება მას პირველს ჩლენად რაცხდნენ, და დიდათაც პატივსაც ვცემდით, იქამდისინ, რომ თუ სადმე შევიყრებოდით ჩვენ ხოლმე და იასე ფალავანდოვი იქ არ იქნებოდა ხოლმე, მაშინ ჩვენი საზოგადოების რომელიმე უნდა წასულიყო ერთ ერთი, რომ ბიჭს არა ვკადრებდით ხოლმე, რომ ისე უნდა მოგვეწვია ... იასე ფალავანდოვი არამც შპიონი ყოფილიყოს, არამედ ჩვენი პირველი ჩლენი იყო 1832 წელს, ზაგოვორისა“ (გოზალიშვილი 1935: 389, 392).

ელიზბარ ერისთავი: „ანტონ აბხაზოვთან ვახშამზე თვით აბხაზოვი ავირჩიეთ უფროსად, მაგრამ მან უარი თქვა. მერე ავირჩიეთ იასე ფალავანდოვი, მაგრამ მას უარი არ უთქვამს“ (გოზალიშვილი 1976: 379).

დიმიტრი ერისთავი: „[აჯანყების დღედ] დანიშნა ნოემბრის 20 რიცხვი იასე ფალავანდოვმა... წინადადება იქნა შემოტანილი, რადგან აფხაზოვი წასული იყო, მეთაურად ყოფილიყო იასე ფალავანდოვი, რომელიც ჯერ უარზე იდგა, მაგრამ აღარ მოეშვნენ და დაითანხმეს“ (გოზალიშვილი 1970: 289, 296).

დიმიტრი ორბელიანი: „[აჯანყების ღამისათვის] განაწილებას ფალავანდოვი ახდენდა საერთო თანხმობით... შესაკრებ პუნქტზე [თათრის მოედანზე] უნდა შეგროვილიყვნენ ჩემი ძმა ალექსანდრე, ჩოლოყაევი, ელიზბარ ერისთავი, ფალავანდოვი და დოდაევი, საიდანაც უნდა გაეცათ განკარგულებები“ (გოზალიშვილი 1970: 157-158) და სხვ. (სხვათა შორის, ლუარსაბ ორბელიანის ჩვენების მიხედვით, იასე ფალავანდიშვილს ეკუთვნის იდეა „ამ მოქმედების [აჯანყების] დასრულების შემდეგ დაგვეარსებია დავით მეფისა და წმ. ნინოს ორდენი, რაც ყველამ მოიწონა“ – გოზალიშვილი 1935: 188; ლუარსაბ ორბელიანის ეს ჩვენება დაადასტურა ელიზბარ ერისთავმა – გოზალიშვილი 1976: 349; თვითონ იასემ კი თავის ჩვენებებში პატივი ორდენტა „დაარსების“ ინიციატივისა ალექსანდრე ორბელიანს „არგუნა“ – გოზალიშვილი 1935: 229; გოზალიშვილი 1970: 306-307).

2. აჯანყების პირველი ღამის სამოქმედო გეგმა („პირველი ღამის განკარგულება“), რომლის შინაარსი იასე ფალავანდიშვილმა თავის დასმენის ტექსტში აღწერა, *ძირითადად* თვითონ იასეს მიერ იყო შედგენილი. მართალია, იასე თავის ჩვენებებში ხან ამბობს – სხვა შეთქმულებმა მიკარნახეს და მე მხოლოდ ქალღმერთზე გადავიტანეო (გოზალიშვილი 1935: 134; გოზალიშვილი 1976: 331), ხანაც საქმეში სხვა შეთქმულებსაც რევეს, განსაკუთრებით, დიმიტრი ერისთავს (გოზალიშვილი 1935: 323; გოზალიშვილი 1970: 307, 538; გოზალიშვილი 1976: 131 და სხვ.), მაგრამ საბოლოოდ იძულებული ხდება აღიაროს: „განკარგულება არ არის დიმიტრი ერისთავის მიერ შეთხზული“ (გოზალიშვილი 1976: 331). კომისია ამ საკითხს ჩაუღრმავდა და მიიჩნია, რომ „პირველი ღამის განკარგულება“ იასე ფალავანდიშვილის მიერ იყო დაწერილი (გოზალიშვილი 1970: 555-556), რაც, ბოლოს და ბოლოს, თვითონ იასემაც აღიარა: „ალექსანდრე ორბელიანი ამბობს, რომ განკარგულება ჩემი დაწერილია. მართლაც მე დაწერე...“ (გოზალიშვილი 1970: 425) და ეს ფაქტი სხვა შეთქმულებმაც (ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი...) დაადასტურეს. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ „განკარგულების“ ავტორობას თავის ერთ-ერთ ჩვენებაში დიმიტრი ერისთავიც აღიარებს (გოზალიშვილი 1970: 433, 568). საბოლოოდ, საგამომძიებლო კომისიამ „პირველი ღამის განკარგულებასთან“ დაკავშირებით ასეთი დასკვნა შეიმუშავა: გეგმას სახელწოდება („Распоряжение на первую ночь бунта“) ელიზბარ ერისთავმა მისცა, ხოლო რაც შეეხება „განკარგულების“ ტექსტს, იგი „თავიდან მოკლედ დაწერა დიმიტრი ერისთავმა იასე ფალავანდიშვილის კარნახით, ხოლო შემდეგ, რადგანაც ერისთავმა ნაწერი დანვა, ფალავანდიშვილმა თავიდან დაწერა გავრცობილი სახით“ (აქტები 1881: 405). საგამომძიებლო კომისიის ეს დასკვნა, აგრეთვე, შეთქმულთა დასახელებულ და სხვა ჩვენებათა შეჯერება საბოლოოდ ასეთ სურათს იძლევა: ყველა შემთხვევაში „პირველი ღამის განკარ-

გულების“ საბოლოო რედაქცია ჩამოყალიბებულია იასე ფალავანდიშვილის მიერ, რომელსაც, თავის მხრივ, გამოუყენებია დიმიტრი ერისთავის მიერ შედგენილი (ან: იასეს მიერ დიმიტრი ერისთავისთვის ნაკარნახევი) ვარიანტი, ხოლო გეგმის დახვეწა-კორექტირებაში სხვა შეთქმულებსაც (ალ. ორბელიანი, ზ. ჩოლოყაშვილი, ე. ერისთავი და სხვ.) მიუღიათ მონაწილეობა.

3. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა, რომ „ბოროტგანზრახულობის“ ინიციატორები იყვნენ რუსეთში მცხოვრები ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები და შეიყვანა ისინი „დამნაშავეთა“ პირველ კატეგორიაში, ხოლო მეორე კატეგორიაში („ვინც შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა და აჯანყებას ეთანხმებოდა“) ოთხი შეთქმული მოაქცია: ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, იასე ფალავანდიშვილი და სოლომონ დოდაშვილი (გოზალიშვილი 1935: 37).

ასე რომ, 1832 წლის შეთქმულების უშუალო ხელმძღვანელთა აქამდე ცნობილ სამეულს (ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი) მეოთხეც უნდა დაემატოს – იასე ფალავანდიშვილი. შეთქმულების ინიციატორ-ორგანიზატორთა ვერტიკალი კი ჩვენ ასე წარმოგვიდგენია:

ა) ინიციატორები და იდეოლოგიური მეთაურები შეთქმულებისა იყვნენ პეტერბურგში მცხოვრები დიმიტრი ბატონიშვილი (1825) და მოსკოვში მცხოვრები ოქროპირ ბატონიშვილი (1826) (გოზალიშვილი 1935: 15-18, 37 და შმდ.).

ბ) საქართველოში შეთქმულებას საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევდა თამარ ბატონიშვილი, რომელსაც, თავის მხრივ, კავშირები ჰქონდა დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებთან და რომელიც აჯანყების შემდეგ ბაგრატიონთა აღდგენილ ტახტზე დროებით უნდა ასულიყო (გოზალიშვილი 1935: 365; გოზალიშვილი 1970: 365, 610; გოზალიშვილი 1976: 15, 17, 23 და შმდ.).

გ) შეთქმულებასა და აჯანყების მომზადებასთან დაკავშირებულ საქმეებს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, იასე ფალავანდიშვილი და ძირითადად მათს მხრებზევე უნდა გადასულიყო აჯანყების წარმატებით დასრულება და ტახტზე დროებით მეფედ თამარ ბატონიშვილის აყვანა [უნდა ითქვას, რომ მკვლევარი გრიგოლ თოდუა „შეთქმულთა ფარული საზოგადოების სულისჩამდგმელებად და ორგანიზატორებად“ ოქროპირ ბატონიშვილთან და ელიზბარ ერისთავთან ერთად სპეციალური მსჯელობისა და წყაროების მითითების გარეშე იასე ფალავანდიშვილსაც მიიჩნევს (თოდუა 1983: 68)].

რამ აიძულა იასე ფალავანდიშვილი, გამცემის როლი ეკისრა?

თვითონ იასე თავის ჩვენებებში რამდენჯერმე ამბობს – შეთქმულების ყოველი წვრილმანის გაგება მინდოდა, რათა შემდეგ ეს ყველაფერი ხელისუფლებისათვის შემეტყობინებინაო (სხვათა შორის, შეთქმულებაში თავის მონაწილეობას ასეთი „არგუმენტი“ სხვა შეთქმულებიც ამართლებდნენ: ზ. ჩოლოყაშვილი, ს. რაზმაძე და სხვ.): „რასაც მელაპარაკებოდნენ, როდესაც წავიდოდნენ, მაშინათვე დავეჯდებოდი რას თვეში და ან რომელს რიცხვში რას მელაპარაკებოდნენ ან ადრე რა ჰქონდათ დანყობილება, ამას ვნიშნავდი, რომ არ დამავინწყდეს და ვაცნობო, ვითარცა ერთგულმა ხელმწიფე იმპერატორის ყმამ, სადაც ჯერ იყოს“ – წერს იასე თავის ერთ-ერთ ჩვენებაში (გოზალიშვილი 1935: 258). სხვა ჩვენებაში კი იგი ამბობს: „სხვა არაფერი განმალავიძებელი მიზეზი არა მქონია რა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იმის მეტი, რომ ყველაფერი დანვრილებით შემეტყო და მთავრობისათვის მეცნობებინა, რაც კიდევაც შევასრულე“ (გოზალიშვილი 1970: 310) და ა. შ.; ალექსანდრე ორბელიანთან დაპირისპირებისას იასემ მას პირში მიახალა: „მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავი თქვენში. რაც თქვენში განზრახვა იყო, უნდა

შემეტყო და გამამეცხადებინა...” (გოზალიშვილი 1935: 127). მაგრამ ასეთი და ამის მსგავსი გატრაფარეტული „ვერსიებისა“ არც ალ. ორბელიანს სჯეროდა და, რაც მთავარია – არც საგამომძიებლო კომისიას, რომელმაც, თავის მხრივ დაასკვნა და მთავარმართებელ გრ. როზენის პირით 1833 წლის თებერვალში რუსეთის სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვს აცნობა: „[იასე ფალავანდიშვილისთვის შეთქმულების] გაცემა უნდა აეძულებინა ბორჩალოს თათართა შორის გავრცელებულ ხმებს ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმონერის თაობაზე, რამაც შეაშინა იგი, ამ შემთხვევით მთავრობას შეთქმულება არ აღმოეჩინა“ (გოზალიშვილი 1976: 455).

საგამომძიებლო კომისიის მასალები, ჩვენი აზრით, ადასტურებს ამ უკანასკნელი ვერსიის საფუძვლიანობას – იმისათვის, რომ ხალხმრავალ შეკრებაში ხელისუფლებას რაიმე საეჭვო არ დაენახა, შეთქმულთ განზრახული ჰქონდათ, აჯანყება დაემთხვიათ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობისათვის, რომელიც 1832 წლის 20 ნოემბერს უნდა გამართულიყო. ასეთ ყრილობებზე, ჩვეულებრივ, ქართლ-კახეთის რჩეული არისტოკრატია იკრიბებოდა და გუბერნიისა და ცალკეული მაზრების წინამძღოლებს („მარშლებს“) ირჩევდა. არჩევნებთან დაკავშირებულ და იმავე საღამოს გამართულ საზეიმო ნადიმზე, ლუარსაბ ორბელიანის სახლში, რუსი და ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო ხელისუფალნი უნდა მოენვიათ, ყველანი დაეპატიმრებინათ და სპეციალურ ნიშანზე (შუშხუნების გასროლაზე) აჯანყებაც უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ყრილობა რამდენჯერმე გადაიდო და, შესაბამისად, რამდენჯერმე გადაიდო აჯანყების დღეც, საბოლოო თარიღად კი 20 დეკემბერი დადგინდა. ამასობაში ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი შიკრიკი ჩავარდა ბორჩალოში და იქ მაშინვე ხმა გავრცელდა მოსალოდნელი არეულობების შესახებ. ამ ხმამ თბილისში სწრაფად ჩამოაღწია და შეთქმულთა საქმიანობაში დეზორგანიზაცია შეიტანა. იასე ფალავანდიშვილმა გადანყვი-

ტა, აჯანყების საქმე განწირულიაო და, თავი რომ გადაერჩინა, გამოცხადდა გენერალ ვოლხოვსკისთან, გასცა შეთქმულების ამბავი, დანერა დასმენის ტექსტი და ა. შ.⁴

ავლაბრის ყაზარმებში იასე ფალავანდიშვილი სხვა შეთქმულთაგან განცალკევებით ჩასვეს და ეზოში სასეირნოდაც მარტოდმარტო გამოჰყავდათ (დაპატიმრებული დიმიტრი ყიფიანი კონსპირაციულად ეკითხება სხვა საკანში მყოფ დიმიტრი ერისთავს: „იასე ფალავანდოვი (საკანში – თ. ჯ.) ისევ მარტო ზის?“ – გოზალიშვილი 1976: 307). მიუხედავად ამისა, ჩანს, პატიმრები მაინც ახერხებდნენ, გამცემისთვის ხმა მიეწვდინათ – 1833 წლის 2 აგვისტოს იასე საგამომძიებლო კომისიასთან ჩივის: „ამ სამი თუ ოთხი თვის წინათ, ერთხელ, სეირნობის დროს, საპირფარეშოს სარკმლის თავზე, კედელზე შევნიშნე შავი, ნახშირით დაწერილი სტრიქონი, სადაც მე მაგინებდნენ და კედელზე ეწერა, რომ მე გავეცი... ეზოში ვიპოვე ჭუჭყიანი ქალაღი, რომელშიაც აგრეთვე ჩემი გინება ეწერა, მაგრამ მე იგი დავხვი“ (გოზალიშვილი 1976: 357) და სხვ.; უფრო ადრე, 1833 წლის 22 იანვარს, იასე საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში საუბრობს იმ საფრთხეებზე, რომლებიც მას ემუქრება და დაცვის სათანადო ზომების მიღებას ივედრება: „მე ვსთხოვ ამა კომისიასა შემდგომად გამოძიებისა ამის არა დავშთე საქართველოსა შინა ანუ საცა დავშთე, აქ ვიყო ყარაულით. მაგათ მრავალჯერ უთქვამთ, უკეთუ ვინმე გაგვცემს, ანდერძათ დაუდებთ ჩვენ შვილებს, თუ

⁴ გავრცელებული ვერსია, რომ იასე საკუთარმა ძმამ, ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა, აიძულა, გაეცა შეთქმულება, დოკუმენტურად არ დასტურდება. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთ-ერთ ჩვენებაში იასე საგამომძიებლო კომისიას უხსნის მიზეზს, თუ რატომ არ გაუმყლავნა საკუთარ ძმას, იმდროინდელ „ღრაჟდანსკი ლუბერნატორ“ ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, შეთქმულების ამბავი (გოზალიშვილი 1935: 258). შესაბამისად, დასმენა იასეს ინდივიდუალური გადაწყვეტილება იყო (უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2013: 200-202).

ჩვენ არ მოვესწარი, იმათ მოკლან ის გამცემი“ (გოზალიშვილი 1935: 259).

შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ, როგორც ითქვა, იასე ფალავანდიშვილი ე. ერისთავთან, ალ. ორბელიანთან და ს. დოდაშვილთან ერთად „დამნაშავეთა“ მეორე კატეგორიაში მოაქცია და საქართველოდან სამუდამო გადასახლება გადაუწყვიტა (თავიდან უნტერ-ოფიცრის ჩინით ჰელსინგფორსში, დღევანდელ ჰელსინკიში, განლაგებულ დისციპლინარულ ბატალიონში უნდა ემსახურა – გოზალიშვილი 1976: 428). გამცემს მხოლოდ ის შეღავათი მისცეს, რომ სამხედრო სასამართლოზე არ გაიყვანეს და უკვე ფიქციად ქცეული თავადური წოდებაც შეუნარჩუნეს (გოზალიშვილი 1976: 428). ოფიციალურ საბუთებში კი იასე ფალავანდიშვილის დასჯა ასეა მოტივირებული: სინამდვილეში თავის გადარჩენა სურდა, თორემ ბოროტგანზრახულობის გამომჟღავნების სურვილი რომ ჰქონოდა, ამას ორი წლის წინაც მოახერხებდაო (აქტები 1881: 407).

ამის შემდეგ იასე ფალავანდიშვილი გაქრა ქართველი საზოგადოების მხედველობის არედან (რალაც ცნობები კი ჰქონიათ: გამცემი არხანგელსკში დაიღუპაო, გაკვრით ამბობს 1880-იან წლებში დანერჩილ „მემუარებში“ დიმ. ყიფიანი – ყიფიანი 1930: 14).

1887 წელს ჟურნალ „რუსკაია მისლში“ („Русская мысль“) გამოქვეყნდა რუსი მწერლისა და ეთნოგრაფის, სერგეი მაქსიმოვის, მოგონება „პეჩორის თავადი“ („Печорский князь“ – მაქსიმოვი 1887: 168-208). მოგონების ავტორი 1856-1857 წლებში, რუსეთის შორეული ჩრდილოეთის ევროპულ ნაწილში მოგზაურობისას, არხანგელსკის გუბერნიაში, პეჩორის მხარეში, სოფელ უსტ-ცილმაში შეხვედრია იქ მცხოვრებ იასე ფალავანდიშვილს და მრავლისმნახველ მწერალსა და მოგზაურზე იასეს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. ს. მაქსიმოვის მოგონებაში ჩვენ უკვე ვხედავთ უცნაურად (მეტი რომ არა ვთქვათ) სახეცვლილ იასე ფალავანდიშვილს: ღვთისმოსავს, პეჩორის

ლატაკ მოსახლეობაზე გადაგებულს, კეთილშობილებით, ურყევი ავტორიტეტითა და ყოვლად უმნიკვლო რეპუტაციით გამოირჩეულსა და სახელმწიფოებრივად; კაცს, რომელსაც პეჩორაში ადამიანის იდეალად აღიარებდნენ და რომლის სიტყვასაც ხმის ამოუღებლად ემორჩილებოდნენ, ამასთანავე – ცოდვამონანიებულსა და სამშობლოს მონატრულს.

ჩვენ არ მოგვეპოვება საკმარისი მასალა საიმისოდ, რომ იასე ფალავანდიშვილის ასეთი მეტამორფოზის ახსნა ვცადოთ, ხოლო ამ საკითხზე ს. მაქსიმოვის ვარაუდი ასეთია: ეს იყო შურისძიება საკუთარ წარსულსა და სასტიკ ბედისწერაზეო (ჯოლოგუა 2013: 81).

ორიოდე სიტყვა იასე ფალავანდიშვილის დაბადება-გარდაცვალების თარიღებზე...

საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ 1833 წლის 10 თებერვლის ჩვენებაში იასე ფალავანდიშვილი მიუთითებს – 30 წლისა ვარო (გოზალიშვილი 1970: 296). ამდენად, იგი 1803 წელს ჩანს დაბადებული (სხვათა შორის, იასე ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათლული იყო – გოზალიშვილი 1935: 257). რაც შეეხება მისი გარდაცვალების თარიღს, აქ საქმე უფრო რთულადაა. ს. მაქსიმოვი იასე ფალავანდიშვილს უკანასკნელად 1857 წლის იანვარში (ან თებერვალში) შეხვდა, მოგონება მასზე 1887 წელს გამოაქვეყნა და რამდენიმე წლის შემდეგ ეს მოგონება არხანგელსკის გუბერნიაში თავისი მოგზაურობის ამსახველი წიგნის – „ერთი წელიწადი ჩრდილოეთში“ („Год на Севере“) – მეოთხე, შევსებულ, გამოცემაში ცალკე თავად შეიტანა (მაქსიმოვი 1890: 430-449). ამასთანავე, ავტორმა წიგნს მოკლე წინათქმა დაურთო (К 4-му изданию) და იქ აღნიშნა: იასე ფალავანდოვზე მოგონება ამ წიგნის ადრინდელ გამოცემებში [1859, 1864, 1871 წწ.] იმიტომ ვერ მოხვდა, რომ ეს შესანიშნავი ადამიანი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო („Печорский князь“ задержано было личными отношениями к тому замечательному лицу, которое было ещё в живых“ – მაქსიმოვი 1890: 1).

უნდა ითქვას, რომ ს. მაქსიმოვის ეს არგუმენტი მაინცადა-ამაინც დამაჯერებელი არ ჩანს (ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ უნდა სწყენოდა იასე ფალავანდიშვილს მასზე დაწერილი აპოლოგია), თუმცა, ამჯერად მთავარი მაინც ისაა, რომ ამ კონკრეტული მონაცემის მიხედვით, 1871 წლისთვის (ანუ ს. მაქსიმოვის წიგნის ბოლოსწინა გამოცემისთვის) იასე ფალავანდიშვილი ცოცხალი ჩანს, ხოლო 1890 წლისთვის, როცა ავტორმა თავისი წიგნი მეოთხედ გამოაქვეყნა, იასე გარდაცვლილია. მეტი სიზუსტისათვის გასათვალისწინებელია მონაცემი დიმ. ყიფიანისა – თავისი „მემუარების“ პირველ ნაწილში („სკოლა სულისა“), რომელიც 1884 წელს დაიწერა (ყიფიანი 1930: V) და 1886 წელს გამოქვეყნდა, ავტორს იასე დაღუპულად ჰყავს მოხსენიებული (ყიფიანი 1886: 529; ყიფიანი 1930: 14). ასე რომ, ამ მონაცემთა მიხედვით, იასე ფალავანდიშვილის გარდაცვალების თარიღი 1871-1884 წლებს შორის არის საძიებელი. დასასრულ, ს. მაქსიმოვი ამბობს, რომ იასე ფალავანდიშვილმა უსტ-ცილმელებს თავისი ცხოვრების ოცდახუთ წელიწადზე მეტი მიუძღვნაო. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1840-იანი წლების დასაწყისში იასე უკვე უსტ-ცილმაშია (ლატკინი 1853: 12, 91, 104), გამოდის, რომ იგი 1860-იან წლებში გარდაცვლილა.

ასეა თუ ისე, იასეს გარდაცვალების თარიღი (ისევე, როგორც უსტ-ცილმაში მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებთან დაკავშირებული სხვა გარემოებები) 1860-1880 წლების არხანგელსკის პერიოდულ გამოცემებშია საძიებელი – ასეთი პოპულარული, საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი ადამიანის გარდაცვალებას იქაური პრესა, უნდა ვიფიქროთ, რაიმე ფორმით გამოეხმაურებოდა, მით უფრო, როგორც ეს ს. მაქსიმოვის მოგონებიდან ჩანს, იასეს თვით საგუბერნიო ცენტრში (არხანგელსკში) მრავლად ჰყოლია პატივისმცემელი და დამფასებელი.

დასანანია, რომ ს. მაქსიმოვი იასე ფალავანდიშვილის სიკვდილის მიზეზზე არაფერს ამბობს. ფრთხილი ვარაუდით კი იმის თქმა შეიძლება, რომ იასე ბუნებრივი სიკვდილით არ უნდა იყოს მკვდარი: დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“, როგორც ზემოთ ითქვა, გაკვრით ახსენებს იასეს და მასზე „მოკვდაო“ კი არ წერს, არამედ – „დაიღუპაო“ ([„1837 წელს] გუბერნატორად დამხვდა თ-დი ფალავანდიშვილი, ძმა შემდეგში არხანგელსკში დაღუპული დამბეზღებლისა 1832 წელს“ – ყიფიანი 1930: 14; დედანში: „...погибшего впоследствии в Архангельске“ – ყიფიანი 1886: 529).

განსხვავებული ცნობები გვაქვს იასე ფალავანდიშვილის დაკრძალვის ადგილის შესახებაც: ს. მაქსიმოვის მიხედვით, „უსტ-ცილმაში, შემალღებულზე, მდინარის მიერ ჩაშლილი და ჩარეცხილი ნასაყდრალის კლდოვან ნაწილზე საფლავის ბორცვი მოჩანს. აქ განისვენებს თავადი...“ (მაქსიმოვი 1887: 208). ეკატერინე ოსტაშოვას მიხედვით კი უსტ-ცილმაში გარდაცვლილი იასე იქვე, წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესიაში, საკურთხევის მახლობლად დაუკრძალავთ („...как почетный житель, был похоронен возле алтаря местного Никольского собора“), 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს ეკლესია კლუბად გადაუკეთებიათ, შემდეგ საერთოდ დაუნგრევიათ, მის ადგილზე კულტურის ცენტრი აუშენებიათ, ხოლო საფლავის ქვებით ამ ახალი შენობის საძირკველი გაუმაგრებიათ. „ასე წაიშალა თავად ფალავანდოვის პეჩორაში ცხოვრების დამადასტურებელი უკანასკნელი კვალი“ – წერს ე. ოსტაშოვა (ინტერნ. 1). როგორც არ უნდა იყოს, იასე ფალავანდიშვილის საფლავი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც დღეს უსტ-ცილმაში არც ს. მაქსიმოვის მიერ ნახსენები „ნასაყდრალის... საფლავის ბორცვი“ არსებობს და არც – ე. ოსტაშოვას მიერ ნახსენები ეკლესია.

იგივე ე. ოსტაშოვა წერს (და ეს ცნობა სხვა ინტერნეტწყაროებითაც დასტურდება), რომ იასე ფალავანდიშვილს 1855

ნელს მონაწილეობა მიუღია ინგლისურ-ფრანგული სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოსალოდნელი თავდასხმისგან პეჩორის დაცვის ორგანიზებაში – ადგილობრივ მცხოვრებთაგან შეუდგენია შეიარაღებული რაზმი, მოუწყვია ქვემეხებით აღჭურვილი სანგრები, თუმცა თავდასხმა არ მოხდა და, შესაბამისად, არც იასე ჩართულა ბრძოლაში. იასე ფალავანდიშვილის თავგამოდება მაინც დაფასდა და 1856 წელს ალექსანდრე II-ის ბრძანებულებით იგი წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა (ინტერნ. 1).

რაც შეეხება იასე ფალავანდიშვილზე დაწერილი მოგონების ავტორს, *სერგეი ვასილის ძე მაქსიმოვს*, იგი 1831 წლის 7 ოქტომბერს დაიბადა რუსეთის მიყრუებულ პროვინციაში – კოსტრომის გუბერნიის კოლოგრივის მაზრაში, თვალუნვდომელ ტყეებში ჩაკარგულ და ლატაკებით დასახლებულ დაბა პარფენტიევში, ადგილობრივი ფოსტმაისტერის ოჯახში. დედა ორი წლისას გარდაეცვალა და დედინაცვლის ხელში გაიზარდა. მაქსიმოვების ოჯახთან მეგობრობდა ახალგაზრდობის წლებში პუშკინთან და გრიბოედოვთან დაახლოებული, შემდეგ კი ხელისუფლების მიერ შერისხული და კოლოგრივის მაზრაში, საკუთარ საგვარეულო მამულში მუდმივად და გამოუსვლელად მცხოვრები მწერალი-დეკაბრისტი პავლე კატენინი (1792-1853). კატენინის, მშვენიერი ბალადების ავტორის, გამახვილებული ინტერესის საგანი იყო უბრალო რუსი ხალხის ყოფა, რუსი გლეხის ფსიქოლოგიისა და ყოფით თავისებურებათა მხატვრული ასახვა. ამიტომაც, სერგეი მაქსიმოვის შემოქმედების მკვლევრები ვარაუდობენ – მომავალი მწერალ-ეთნოგრაფის ინტერესების ჩამოყალიბებაში კატენინთან მის ბავშვობისდროინდელ ურთიერთობასაც უნდა მოეხდინა კეთილისმყოფელი გავლენა.

სერგეი მაქსიმოვმა პირველდაწყებითი განათლება პარფენტიევშივე მიიღო, შემდეგ კოსტრომის გიმნაზია გამორჩეული მოსწავლის სახელით დაამთავრა და 1850 წელს მოსკოვში გაემგზავრა – იქაური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტე-

ტზე სურდა სწავლა, მაგრამ მისი ეს ცდა წარუმატებელი გამოდგა. 1848 წელს ევროპაში განვითარებული რევოლუციური მოვლენებით დამფრთხალმა რუსეთის საიმპერატორო კარმა მკვეთრად შეამცირა უნივერსიტეტში მისაღები კონტინგენტი, ხოლო ფილოლოგიის ფაკულტეტი, როგორც თავისუფალი აზრის დაუმორჩილებელი და, ამდენად, სახიფათო, კერა საერთოდ დახურა. ასე მოხვდა ფილოლოგიურ განათლებას მონყურებული პროვინციელი ჭაბუკი მოსკოვის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, უნივერსიტეტშივე არსებულ ხალხური შემოქმედების შემსწავლელ წრეში გაერთიანებულიყო. ს. მაქსიმოვმა ჯიუტად გაიკვლია გზა მოსკოვის ლიტერატურული პრესის რედაქციებისკენ და ცნობილ მწერლებსა და ლიტერატორებსაც დაუახლოვდა (ა. ოსტროვსკი, ა. მაიკოვი, ა. პისემსკი...). 1852 წელს მან კიდევ ერთხელ სცადა ბედი – პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შესვლა მოინდომა, მაგრამ ბედის ირონიით ისევ სამედიცინოზე (ამჯერად, პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში) ჩარიცხეს. განბილებულმა სტუდენტმა მალე მიატოვა აკადემია და ამის შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე აღარც უფიქრია.

1854 წელს პეტერბურგის ჟურნალებში ზედიზედ დაიბეჭდა სერგეი მაქსიმოვის ნიჭიერად დაწერილი ნარკვევები, რომლებშიც უბრალო ხალხის ყოველდღიური ყოფა იყო აღწერილი. ლიტერატურულ წრეებში ამ ნარკვევებს ინტერესით კითხულობდნენ. ივანე ტურგენევის შექებით ნახალისებულმა ახალბედა მწერალმა, ტურგენევის რჩევითვე, 1855 წელს მოიარა ვლადიმირის, ნიჟნი-ნოვგოროდისა და ვიატკის გუბერნიები და, იქიდან დაბრუნებულმა, ეთნოგრაფიული ხასიათის შთამბეჭდავი წერილები გამოაქვეყნა. იმავე წელს დიდი მთავრის, კონსტანტინე ნიკოლოზის ძის (ნიკოლოზ I-ის შვილის), ინიციატივითა და მონდომებით რუსეთის განაპირა გუბერნიების ეთნოგრაფიული შესწავლა გადაწყდა, სპეციალური ექსპედიც-

იებიც შეიქმნა და ი. პანაევის რეკომენდაციით სერგეი მაქსიმოვს რუსეთის შორეული ჩრდილოეთის ევროპული ნაწილის გამოკვლევა მიანდეს.

1856 წლის თებერვალში ახალგაზრდა მწერალი-მოგზაური მარტოდმარტო დაადგა ჩრდილოეთის გრძელ და ხიფათიან გზას, მოიარა არხანგელსკის გუბერნია, იქ ერთი წელიწადი დაყო და პეტერბურგში დაბრუნებისთანავე შეუდგა მუშაობას წიგნზე, რომელიც 1859 წელს ორ ტომად გამოსცა სათაურით – „ერთი წელიწადი ჩრდილოეთში“ („Год на Севере“). წიგნის გამოსვლას როგორც ფართო საზოგადოებრივ, ისე სამეცნიერო და სალიტერატურო წრეებში დიდი რეზონანსი მოჰყვა (აღფრთოვანებული გამოხმაურებები და რეცენზიები, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების“ ოქროს მედალი, სახელისუფლებო წრეების ხაზგასმული მოწონება და სხვ.). უკვე აღიარებულმა მწერალმა და ეთნოგრაფმა ამის შემდეგ რუსეთის იმპერიის კიდევ რამდენიმე გუბერნია მოიარა და იქ შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით არა ერთი და ორი თავის დროზე გახმაურებული წიგნი დაბეჭდა (ს. მაქსიმოვის თხზულებები 1908-1913 წლებში სანქტ-პეტერბურგში 20 ტომად დაიბეჭდა სერიით – „მსოფლიო ბიბლიოთეკა. სახელგანთქმული რუსი და უცხოელი მწერლების თხზულებათა კრებულები“. ამავე სერიით გამოიცა, სხვათა შორის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, დიკენსის, მოპასანისა და სხვ. ტომეულები; ხოლო მანამდე მწერალ-ეთნოგრაფის გულწრფელი პატივისმცემელი და დამფასებელი მიხეილ სალტიკოვ-შჩედრინი წერდა: „მაქსიმოვის უძვირფასესი ღირსება ისაა, რომ იგი ზედმინევნით იცნობს ხალხს, მის ყოფას, მატერიალურ თუ სულიერ მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს. ამ მხრივ, მისი ნაწერები დალის, მელნიკოვის, იაკუშკინისა და სხვების ნაშრომებთან ერთად სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს იმ მკვლევართათვის, რომელთაც ყოველივე რუსულის შესწავლა და გამოკვლევა აქვთ გადანყვეტილი“).

სერგეი მაქსიმოვის ნაწერებიდან საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებენ წიგნს – „ციმბირი და კატორღა“ („Сибирь и каторга“). 1860-1861 წლებში მწერალმა იმოგზაურა ციმბირში, მოიარა კატორღის ადგილები, შეხვდა და ესაუბრა კატორღელებს და კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით წარმოაჩინა რუსული კატორღის – ამ შემზარავი, ადამიანის უფლებებისა და ღირსების უარმყოფელი მოვლენის – ისტორიული ფესვები, თანადროული მდგომარეობა და ფსიქოლოგიური ბუნება. ცენზურასთან დაახლოებით ათწლიანი „ომის“ შემდეგ ამ წიგნის გამოცემა მხოლოდ 1871 წელს მოხერხდა (სამ ტომად). „აუცილებლად უნდა წაიკითხოთ მაქსიმოვის განთქმული „ციმბირი და კატორღა“. როგორი შემადრწუნებელია ადამიანის ბუნება და საქციელი! პირუტყვიც კი არ იზამს იმას, რასაც ჩვენი ხელისუფლება სჩადის“ – წერდა ლევ ტოლსტოი და დასძენდა: ეს წიგნი საუცხოო სიუჟეტებითაა სავსეო (მაქსიმოვის წიგნიდან აღებული ერთ-ერთი სიუჟეტი ტოლსტოის გამოყენებული აქვს კიდევაც თავის მოთხრობაში – „რისთვის?“). „ციმბირი და კატორღა“ გამოსვლისთანავე იქცა ნ. ნეკრასოვის, ალ. ოსტროვსკის, მიხ. სალტიკოვ-შჩედრინის არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებით წყაროდ თუ იმპულსად (ა. სკაბიჩევსკი მაქსიმოვის ამ წიგნს რუსული კატორღის „ილიადასა“ და „ოდისეას“ უწოდებდა).

სერგეი მაქსიმოვის სამეცნიერო-შემოქმედებით ცხოვრებაზე (და კერძო ცხოვრებაზეც) ნეგატიური გავლენა იქონია მისმა ფარულმა და შემდეგ გამომჟღავნებულმა კავშირმა „ლონდონელ ემიგრანტებთან“ ა. გერცენთან და ნ. ოგარიოვთან. მწერალმა დაკარგა რუსეთის სახელისუფლებო წრეების კეთილგანწყობა, რაც მისთვის აუცილებელი იყო შორეული და ხანგრძლივი მოგზაურობების ოფიციალური ნებართვისა და მატერიალური უზრუნველყოფისათვის (ს. მაქსიმოვზე ორი წლის განმავლობაში პოლიციის ფარული თვალთვალი იყო დაწესებული). ამ გარემოებამ, ერთი მხრივ, და, ამასთანავე,

ოჯახის შენახვის საჭიროებამ ს. მაქსიმოვი იძულებული გახადა, მისთვის შეუფერებელი, კაბინეტური და რუტინული საქმისათვის მოეკიდა ხელი – 1868 წლიდან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე (1898 წლამდე) რედაქტორობდა გაზეთს „Ведомости СПб градоначальной и городской полиции“ („სანქტ-პეტერბურგის საქალაქო მმართველობისა და დედაქალაქის პოლიციის უწყებანი“), თუმცა არც სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობა შეუწყვეტია (ცხადია, არა ადრინდელი ენერგიულობითა და პროდუქტიულობით).

1900 წელს ანტონ ჩეხოვის წინადადებით რუსული ენისა და ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის სერგეი მაქსიმოვს სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება მიანიჭეს. ცხოვრებისაგან გატეხილი და უკურნებელი ქლექისაგან გატანჯული მწერალი ასეთ გამორჩეულ პატივსა და აღიარებას უხალისოდ და ირონიით შეხვდა („საპატიო აკადემიკოსობის მონიჭება მავალდებულებს, თეთრი ჰალსტუხი გავიკეთო, შავი ფრაკი ჩავიცვა, [დიდ მთავარ] კონსტანტინე კონსტანტინეს ძესთან მიღებაზე გამოვცხადდე, დაავადებული ყელიდან ამოსული ხავილით მას ჩემი თავი წარვუდგინო, მდიდარი მოსკოველი ვაჭარით ორივე ხელი მუცელთან მივიტყუპო და, წელში მოხრილმა, მდაბლად იქამდე ვუქნო თავი, სანამ თვალეებში სისხლი არ ჩამექცევა“ – სწერდა ს. მაქსიმოვი თავის კოსტრომელ მეგობარს).

სერგეი მაქსიმოვის უკანასკნელი ოცნება იყო თავის მეგობართან, ანტონ ჩეხოვთან, ერთად იალტაში დასახლება, მაგრამ მან ეს ოცნება, ისევე, როგორც მშობლიური პარფენტიევის ნახვის ნატვრა და ამ ნატვრისაგან აღძრული გაუნელებელი სევდა, საფლავში ჩაიტანა, 1901 წლის 16 ივნისს პეტერბურგში გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე, მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა პანთეონში (ამჟამად მუზეუმ-ნეკროპოლი) – „Литераторские мостки“, სადაც რუსული კულტურის არაერთი თვალ-

საჩინო წარმომადგენელი განისვენებს (ბ. ბელინსკი, ი. ტურგენევი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი, ა. ბლოკი, დ. მენდელეევი, ა. იოფე, ი. კრაჩკოვსკი და სხვ.).

სერგეი მაქსიმოვის შემოქმედების მკვლევრები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ, გარდა საკუთრივ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობისა, მაქსიმოვის ნიგნები რუსული ლიტერატურისათვის იმითაც არის ფასეული, რომ მათში ნიჭიერი ბელეტრისტის ტალანტია აღბეჭდილი; ამასთან, საგანგებო ყურადღებას ამახვილებენ ს. მაქსიმოვის არაჩვეულებრივად მდიდარ ენაზე („მის თხზულებებში რუსული ენა მთელი თავისი სიღრმით, ფერადოვნებითა და დიდებულებითაა წარმოჩენილი“, „მისი პროზა ნამდვილი შხამსანინააღმდეგო საშუალებაა ჩვენი ენობრივი უკულტურობის საერთო ფონზე“ – ასეთ ან ამის მსგავს არაერთ შეფასებას ნახავთ ს. მაქსიმოვის შემოქმედებაზე დაწერილ ნაშრომებში).

საბჭოთა პერიოდში სერგეი მაქსიმოვისა და მისი ნაწერებისადმი ინტერესი ჯერ შენელდა, შემდეგ – თითქმის გაქრა (საკმარისია ითქვას, რომ მისი სახელი შეტანილი არ არის 1970-1978 წლებში გამოცემულ „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“), თუმცა 1980-იანი წლებიდან რუსეთის სამეცნიერო-სალიტერატურო წრეებში კვლავ იღვიძებს ინტერესი ამ უსამართლოდ მივიწყებული მწერლისა და ეთნოგრაფისადმი: მოსკოვში გამოიცა ს. მაქსიმოვის „რჩეული“ (1981), „რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად“ (1987), დაიბეჭდა მისი ცალკეული თხზულებები, სტატიები და გამოკვლევები მწერლის შემოქმედებაზე და სხვ.

ჩვენი ინტერესის საგანი კი ამჟამად სერგეი მაქსიმოვის მოგონებაა იასე ფალავანდიშვილზე – ამ ბედკრულ ადამიანზე, რომელიც საკუთარ ცოდვას ქვეყნის დასალიერში გაჰქცევია და რომელზეც მწერალი დიდი ხნის შემდეგაც ღრმა სიყვარულითა და გულწრფელი პატივისცემით წერს.

მაინც რატომ მიუბრუნდა მაინცადამაინც 1887 წელს ს. მაქსიმოვი 30 წლის წინანდელ ამბავს?

როგორც ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული, 1890 წელს გამოცემულ წიგნში „ერთი წელიწადი ჩრდილოეთში“ ავტორი ამ ფაქტს ასე ხსნის: წინა გამოცემების დროს ეს შესანიშნავი ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო; ხოლო მანამდე, ჟურნალ „რუსკაია მისლში“ გამოქვეყნებული პირველნაბეჭდის სქოლიოში, კიდევ უფრო ბუნდოვნად და მიკიბულ-მოკიბულად მიუთითებს: ზოგჯერ ისე მოხდება ხოლმე, რომ მოგზაურობასთან დაკავშირებული ესა თუ ის ეპიზოდი ამა თუ იმ გარემოების გამო ვერ მოხვდება ტექსტში – ან პერიოდული გამოცემის სპეციფიკური პროფილის გამო, ან სხვა რამ მიზეზი გამოჩნდება, ან კიდევ სულაც სიჩქარეში თავიდან ამოგივარდება და მერე იძულებული ხდები, დაკლებულ მასალას ისევ მიუბრუნდე. ასე მოხდა მაშინაც, როცა ვწერდი წიგნს „ერთი წელიწადი ჩრდილოეთში“. ამ წიგნს დააკლდა მთელი რიგი მონაკვეთებისა მაშინდელი საცენზურო პირობების გამო (მაგალითად, საეკლესიო განხეთქილებასთან – „რასკოლთან“ – დაკავშირებული ამბები), ხოლო რაც შეეხება იასე ფალავანდოვის შესახებ წინამდებარე მოგონებას, ამ შემთხვევაში ხელისშემშლელი გარემოება ჩემი პირადი ურთიერთობა იყო იმ ადამიანთან, ვისაც ეს მოგონება ეძღვნებაო (მაქსიმოვი 1887: 168).

იასეზე მოგონების 1887 წელს გამოქვეყნების ნამდვილი მიზეზი, შესაძლებელია, სულ სხვა რამ ყოფილიყო. კერძოდ:

1886 წელს, როგორც ზემოთ ითქვა, ჟურნალ „რუსკაია სტარინაში“ გამოქვეყნდა დიმიტრი ყიფიანის მემუარების პირველი ნაწილი, რომელშიც ნათქვამია: 1837 წელს ვოლოგდიდან (სადაც დიმიტრი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იყო გადასახლებული) თბილისში რომ დავბრუნდი, „გუბერნატორად დამხვდა იგივე თ[ავ]ადი ფალავანდიშვილი, ძმა შემდეგში არხანგელსკში დალუპული დამბეზღებლისა 1832 წელს“ (ყიფიანი 1930: 14; დედანში: „Губернатором застал здесь всё того же Палавандова, брата, погибшего впоследствии в Архангельске, доносчика 1832 г. – ყიფიანი 1886: 529). „რუსკაია

სტარინა“ იყო პოპულარული გამოცემა და მას მთელს რუსეთში კითხულობდნენ. ამდენად, იასე ფალავანდიშვილის გამცემლობის ამბავი საქვეყნოდ გამომჟღავნდა. ვფიქრობთ, ს. მაქსიმოვს თავისი მოგონების გამოქვეყნებით სურდა, სირცხვილი ჩამოერეცხა იმ ადამიანის ხსოვნისათვის, ვისი გულწრფელი პატივისმცემელიც იყო.

ამასვე უნდა ადასტურებდეს კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება: ს. მაქსიმოვი „პეჩორის თავადში“ საგანგებოდ მსჯელობს 1832 წლის შეთქმულების შესახებ და გადმოსცემს ამ მოვლენის ძირითად (არსებითი მნიშვნელობის) მომენტებს. საამისოდ მას უსარგებელია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“ გამოქვეყნებული მასალით (აქტები 1881: 391-423). „აქტების“ ეს თავი (Дело о грузинском заговоре) კი რუსეთის სამხედრო მინისტრისადმი მთავარმართებელ როზენის მიმართვით იწყება: 9 დეკემბერს გენერალ ვოლხოვსკისთან საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ძმა, იასე ფალავანდიშვილი, გამოცხადდა და საქართველოდან რუსების განდევნის მიზნით შეთქმულების შესახებ განაცხადაო („...подал донос о существовании заговора для изгнания русских из Грузии“ – აქტები 1881: 391-392). შესაბამისად, ს. მაქსიმოვმა ჩინებულად იცოდა შეთქმულების ჩავარდნაში იასე ფალავანდიშვილის საძრახისი (მეტი რომ არა ვთქვათ) როლი. მიუხედავად ამისა, მწერალს მაინც უღალატა არაერთი რეცენზენტისა თუ მკვლევრის მიერ ნაქებმა ობიექტურობამ და ისტორიული ფაქტი გააყალბა. ჯერ ერთი, შეთქმულების გაცემა ყრუდ და ბუნდოვნად ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს დაუკავშირა (აქტები 1881: 406) და, ამას გარდა, თვითონ იასეზეც მიუთითა – იგი შეთქმულებაში „არსებით მონაწილეობას არ იღებდაო“ (მეტი დამაჯერებლობისათვის ავტორს ეს ფრაზა ბრჭყალებში აქვს ჩასმული, თითქოს „აქტებიდან“ იმონებდეს ციტატას. „აქტებში“ კი მკაფიოდ და გარკვევით წერია – ფალავანდოვი შეთქმულებაში არსებითი

ხასიათის მონაწილეობას იღებდაო: „...в заговоре принимал он самое живое и деятельное участие“ – აქტები 1881: 396).

და მაინც, ს. მაქსიმოვმა თავისი მოგონების გამოქვეყნებით მიზანს მიაღწია – იასე ფალავანდიშვილის ხსოვნა დღესაც ცოცხალია პეჩორაში. ინტერნეტწყაროების მიხედვით: მას მიიჩნევენ ყველაზე ცნობილ, პატივსაცემ და მადლისმყოფელ პიროვნებად იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე უსტ-ცილმასა და მის მიდამოებში უცხოვრია, უწოდებენ ღვანლმოსილ ადამიანს, პეჩორაში პირველ ეკოლოგს, იასეს შესახებ ცნობებს ეძებენ პეჩორის „ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრის“ წევრები, საუბარია მემორიალური ფორმით მისი სახელის უკვდავყოფაზე და სხვ.; სწორედ ს. მაქსიმოვის მოგონების წყალობით მოხვდა იასე ფალავანდიშვილი ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიაში (ბროკჰაუზი-ეფრონი 1897: 600).

სერგეი მაქსიმოვის მოგონება გაკვრითა და საგანგებო ყურადღების გარეშე არაერთ ქართველ მკვლევარს აქვს დამოწმებული (ბერძნიშვილი 1983: 195; ხაჭაპურიძე 1950: 416; ბალახაშვილი 1966: 137; ხუციშვილი 1990: 168 და სხვ.). „პეჩორის თავადის“ ქართული თარგმანი წინასიტყვით, შენიშვნებითა და კომენტარებით ჩვენ მიერ გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (2007, №№8, 16-18). პუბლიკაციას გამოხმაურება მოჰყვა (ვახანია 2007: 27-28; ვახანია 2009: 281-287; ჯანელიძე 2008), ხოლო როსტომ ჩხეიძემ ს. მაქსიმოვის მოგონება უხვად გამოიყენა იასე ფალავანდიშვილზე დაწერილ თავის მრავალმხრივ საყურადღებო და საინტერესო ბიოგრაფიულ რომანში „იასე იანუსი“ (ჩხეიძე 2008). მიუხედავად ამისა, იასე ფალავანდიშვილის ადგილი და როლი 1832 წლის შეთქმულებაში, აგრეთვე, მისი ცხოვრება თბილისსა თუ პეჩორაში, ის მეტამორფოზა, რომელიც იასეს ჰელსინგფორსსა და უსტ-ცილმაში განუცდია და სხვ., ვფიქრობთ, დამატებითი წყაროების გამოვლენასა და კვლევას მოითხოვს.

2013 წ.

დამონებიანი:

- აქტები 1874:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. VI. Ч. I. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1874.
- აქტები 1881:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. VIII. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1881.
- ბალახაშვილი 1966:** ბალახაშვილი ი. გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1966.
- ბერძნიშვილი 1983:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.
- ბროკჰაუზი-ეფრონი 1897:** Палавандов (князь Евсейий Осипович). // Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. т. XXII^a, [кн.] 44. С.-Петербург: Типо-Литография И. А. Ефрона. 1897.
- გოზალიშვილი 1935:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.
- გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.
- გოზალიშვილი 1976:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.
- ვახანია 2007:** ვახანია ნ. ორი იასეს გამოცანა. „ჩვენი მწერლობა“, 2007, №17.
- ვახანია 2009:** ვახანია ნ. ერთი ყლუპი ჰაერი (ესეები. რეცენზიები. პორტრეტები. გამოსმაურებანი). თბილისი: 2009.
- თოდუა 1983:** თოდუა გრ. XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. ნაწ. I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1983.
- ლატკინი 1853:** Дневник Василия Николаевича Латкина во время путешествия на Печору в 1840 и 1843 годах. Ч . II. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии наук. 1853.
- მაქსიმოვი 1887:** Максимов С. В. Печорский князь. „Русская мысль“, 1887, №12.
- მაქსიმოვი 1890:** Максимов С. В. Год на Севере. Четвёртое, дополненное издание. Москва: Издание П. К. Прянишникова. 1890.

- პოლიევკტოვი 1927:** პოლიევკტოვი მ. საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში. „საქართველოს არქივი“. წგნ. II. ტფილისი: 1927.
- ყიფიანი 1886:** Записки Дмитрия Ивановича Кипиани (с 1820 г.). // „Русская старина“. [Кн. 3]. Март. 1886.
- ყიფიანი 1930:** ყიფიანი დიმ. მემუარები. სიმ. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1930.
- შილდელი 1895:** შილდელი ე. [მირიანაშვილი, ესტატე]. შილდა (არქეოლოგიური წერილი). „მომამბე“, 1895, №4.
- ჩხეიძე 2008:** ჩხეიძე რ. იასე იანუსი (ბიოგრაფიული რომანი). თბილისი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. 2008.
- ხაჭაპურიძე 1950:** Хацапуридзе Г. В. К истории Грузии первой половины XIX века. Тбилиси: Заря Востока. 1950.
- ხუნდაძე 1951:** ხუნდაძე ტ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა. 1951.
- ხუციშვილი 1990:** ხუციშვილი ს. შენიშვნები. // დიმ. ყიფიანი. მემუარები. რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელების საძიებელი ს. ხუციშვილისა. თბილისი: საქართველო. 1990.
- ჯანელიძე 2008:** ჯანელიძე თ. როსტომ ჩხეიძე: „იასე ფალავანდიშვილი – გამცემი საქართველოში, წმინდანი რუსეთში“ [ინტერვიუ]. გაზ. „რეზონანსი“, 22.XII.2008, №350.
- ჯოლოგუა 2013:** ჯოლოგუა თ. პეჩორის თავადი – მოგონება იასე ფალავანდიშვილზე. თბილისი: არტანუჯი. 2013.

ინტერნ. 1: <http://www.gazeta-respublika.ru/article.php/47419>

(5.IV.2013).

**ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა
ურთიერთმიმართების საკითხისთვის ქართულ
ჟურნალისტიკაში –
XIX საუკუნის გამოცდილება**

ერისა და ეროვნულ ღირებულებათა რაობაზე მსჯელობისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით ქართული ნაციონალიზმისა და ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის („ნაციონალური ლიბერალიზმის“ – ჯორჯაძე 1989: 392) ფუძემდებლის, ილია ჭავჭავაძის, შეხედულებებს.¹

ილია ჭავჭავაძის (ზოგადად თერგდალეულების: ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.) ღირებულებათა სისტემაში უპირველესი ადგილი უჭირავს **„სამშობლოს“, „მამულს“**. ილიას ეროვნული თვითშემეცნება ფოკუსირებულია სიტყვებში: **„...ქვეყნად ცასა, ღვთად მოუცია მარტო მამული“** (ჭავჭავაძე 1951: 136), რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ამქვეყნიური (მინიერი) ცხოვრების უზენაესი ინტერესი და მიზანი („ამქვეყნიური ღმერთი“) არის მამული და ეს არის არა ადამიანის არჩევანი, არამედ განგების („ცის“)

¹ **„ნაციონალიზმში“** ვგულისხმობთ იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც, „ერი“/„ნაცია“ არის საზოგადოებრივი ერთობისა და თანაცხოვრების ფუნდამენტი და ერის საერთო ინტერესი მალა დგას ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ ინტერესებზე. ამასთანავე, ამგვარი გაგება ნაციონალიზმისა თავისუფალი უნდა იყოს რადიკალიზმის, უმცირესობათა ასიმილაციისა და ეთნოცენტრისტული „მინარევებისაგან“, მით უფრო, მისი ისეთი უკიდურესი გამოვლინებებისგან, როგორებიცაა შოვინიზმი, ქსენოფობია და სხვ.; „ლიბერალიზმს“ კი ვიყენებთ კლასიკური მნიშვნელობით, რომლის მიხედვითაც პიროვნების თავისუფლებას, როგორც უზენაეს ღირებულებას, თან ახლავს თანაზომადი პასუხისმგებლობა და მოვალეობა პირველ რიგში იმ ღირებულებათა მიმართ, რომლებზეც აქ გვაქვს საუბარი.

ნება. შესაბამისად, როდესაც ადამიანი ემსახურება მამულს, ის იმავდროულად განგების ნებასაც აღასრულებს. ამით, სხვათა შორის, ილიას მოხსნილი აქვს ცნობილი თეოლოგიური და-პირისპირება სააქაოსა (ხილულს, ხორციელს, ემპირიულს) და საიქიოს (უხილავს, სულიერს, ტრანსცენდენტურს) შორის.

ამ კონცეფციის მიხედვით, „**სოფელი**“ (ქვეყანა) ბოროტებისა და ამაოების სადგური კი არ არის, არამედ ადამიანის მიერ თავისი უზენაესი ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების სარეალიზაციო სივრცეა და ეს, ვიმეორებთ, თვით განგების მიერ ადამიანისათვის გაჩენილი ღვთაებრივი წესია. ამ მხრივ, დიდად საგულისხმოა, რომ საქართველოს ეკლესიისა და ქართველი სამღვდელოების ისტორიულ დამსახურებებზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე, როგორც წესი, საგანგებოდ აღნიშნავს ეკლესიისა და სამღვდელოების **მამულიშვილურ** ღვანლს: „მამული და ეროვნობა მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნობასა, და ეგრედ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა. ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვანლია და დამსახური **ქვეყნის** (კურსივი აქ და ქვემოთ ჩვენია – თ. ჯ.) წინაშე“ (ჭავჭავაძე 1888). სხვა წერილში ილია აღნიშნავს: „საქართველოს ეკლესია... ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავინყებას არ აძლევდა“ (ჭავჭავაძე 1955^ა: 180).²

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი ერის რაობაზე უნისონშია ერის რაობის ნაციონალისტურ გაგებასთან, რომლის მიხედ-

² საკითხისადმი ანალოგიური დამოკიდებულება უხვად გვხვდება ილიას თანამედროვეთა – მაგალითად, აკაკი წერეთლის – ტექსტებში: „ეს პატარა საქართველო / მითი იყო დიდებული, / რომ მას ჰქონდა რჯულთან ერთად / ეროვნება გადაბმული“ (წერეთელი 2014: 411) და სხვ.

ვითაც, ერი სოციალური ინდივიდია (საზოგადოებრივი პიროვნებაა, კოლექტიური პერსონაა), რომელიც სხვათაგან განსხვავებული და, ამდენად, უნიკალური ენის, ისტორიისა და კულტურის შემოქმედია. მიხაკო წერეთლის სიტყვებით, „ილია ჭავჭავაძისათვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი **პიროვნება** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) იყო, ერთი მრთელი რამ, რომლის ნაწილთა შორის ვერავითარი განსხვავება მას ვერ შლის და არც უნდა დაშალოს იგი. დასაბამითგან დღემდე ცხოვრება ქართველი ერისაც მუდამ ცვალებადი იყო, ხოლო თვით იგი იმავე პიროვნებად დარჩა“ (წერეთელი 1996: 166-167).³

რა არის, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ეროვნული თვითცნობიერების (იდენტობის) განმსაზღვრელი ფაქტორები?

ილიას მიერ 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ ვკითხუ-

³ ალ. მანველიშვილის შეხედულებითაც, ილია ჭავჭავაძისათვის „ერი არის გარკვეული პიროვნება, ისე, როგორც ინდივიდი; დამთავრებული ბუნებრივი ქმნილება, რომლის განვითარება და ამაღლება მოითხოვს თავისუფლებას. ადამიანის არსებობის მიზანი ამ ქვეყნად არის მუდმივი წინსვლა, განვითარება, სრულყოფა მისი ნივთიერი არსებობის პირობებისა და სულიერი და ზნეობრივი გაფაქიზება, რათა ამ დაუსრულებელი ლტოლვით ღვთაებამდე ამაღლებისა, შეასრულოს თავისი ადამიანური მისია, რომელიც არის მთავარი პრინციპი მთელი სამყაროისი, განსაკუთრებით კი სიცოცხლისა და მისი უმაღლესი გამომჟღავნების – ადამიანისა. ეს ბუნებრივი სვლა ხდება ბრძოლითა და შემოქმედებით. ბრძოლა თავისუფლებისათვის – შემოქმედება თავისუფლების ნიადაგზე. ერი, როგორც ინდივიდი, შემქმნელია ყველაფრის. კულტურა იქმნება მხოლოდ ინდივიდუალურ, ეროვნულ ნიადაგზე. ხოლო რაკი შემოქმედება მხოლოდ თავისუფლების ნიადაგზეა შესაძლებელი – ერის თავისუფლების პრინციპი გამომდინარეობს მისი სოციალური ბუნებიდან: „თავისუფლებავ შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, / შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საფარი, / შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, / შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“ (მანველიშვილი 1996: 188).

ლობთ: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება“. დღემდე ეს სიტყვები მიიჩნეოდა და მიიჩნევა ილიას მიერ ჩამოყალიბებულ არა მარტო ეროვნული თვითცნობიერების გამომხატველ ძირითად კომპონენტებად („ტრიადად“), არამედ სამოქმედო პროგრამადაც, თუმცა იგნორირებული იყო და არის ის არსებითი მნიშვნელობის გარეშეობა, რომ შემდგომი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე არ იმეორებს ამ „ტრიადას“.

ილია ჭავჭავაძის ღირებულებითი სისტემის ცალკეულ კომპონენტთა ურთიერთმიმართება და ურთიერთგანსაზღვრულობა მკაფიოდ ჩანს მის მიერ ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ-კლასობრივ ფენათა შეთანხმების [„საერთო ნიადაგის“, „წოდებათა შერიგების“, „წოდებათა თანხმობის“, „სოციალური ზავის“, იასონ ლორთქიფანიძის ფორმულირებით – „ეროვნული ერთიანი ფრონტის“ (ლორთქიფანიძე 2012: 165)] კონცეფციაში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ **„ნაციონალური კონსოლიდაციის კონცეფციას“** და რომელშიც ერთი განმსაზღვრელი იდეის გარშემო პოლიფონიურადაა შერწყმული ავტორის პოლიტიკური და სოციალური იდეები თუ შეხედულებები (უფრო ვრცლად საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2013: 361-370).

ილია ჭავჭავაძეს არ გამორჩენია ქართული „სალიტერატურო ენის ყოფიერების არც ერთი არსებითი საკითხი“ (ჩიქობავა 1988: 273), მაგრამ მისი ყურადღება ძირითადად ფოკუსირებულია ენაზე, როგორც ეროვნული **თვითმყოფადობისა** და **ერთიანობის** განმაპირობებელ ფაქტორზე. ილიას თვალსაზრისით, „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა“ (ჭავჭავაძე 1953^ბ: 206); „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა“ (ჭავჭავაძე 1955^ბ: 80); „უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“ (ჭავჭავაძე 1955^ბ: 30). ენის რაობისა და ფუნქციის განსაზღვრისას იგი

ემყარება ვილჰელმ ჰუმბოლდტის კონცეფციას: „ერის სული (გონი) არის მისი ენა...“ (ჯორბენაძე 1987: 18).

ეროვნული ერთიანობის კონტექსტში მსჯელობდა ილია ჭავჭავაძე სარწმუნოებრივ საკითხებზეც: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტიკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა... ქართველი ერი ამისათვის უფროთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დულაბობას უწევდა ერთობასა“ (ჭავჭავაძე 1955^ა: 65-66); „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას“ (ჭავჭავაძე 1888) და სხვ.

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, საკუთარი ისტორიის დავიწყება ერის დეგრადაციისა და მისი სასიცოცხლო ენერჯის დაშრეტის ნიშანია. „დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“ (ჭავჭავაძე 1955^ა: 200) და ამ თვალსაზრისს ი. ჭავჭავაძე სხვადასხვა ფორმითა თუ რაკურსით აღრმავებს არაერთ პუბლიცისტურ თხზულებაში („აი ისტორია“, „ქვათა ლაღადი“, „გაზეთი „კავკაზი“ და ქართველი ხალხი“ და სხვ.).

ილია ჭავჭავაძის მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების, აგრეთვე, ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების შესწავლა და ანალიზი ასეთ სუ-

რათს იძლევა: ილია ჭავჭავაძე ადამიანის უზენაეს ინტერესად და ღირებულებად მიიჩნევდა სამშობლოს, აღიარებდა მამულის „ყოვლად-მპყრობელ“ მნიშვნელობას, ხოლო ეროვნული თვითცნობიერების (იდენტობის) განმსაზღვრელ ფაქტორებად თვლიდა ენას, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ისტორიას (ისტორიულ ერთობას) და მათი ერთობლიობით განსაზღვრულ სპეციფიკურ (ინდივიდუალობით აღბეჭდილ) კულტურას როგორც ერის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაყოფს⁴.

ნებისმიერ ეროვნულ კულტურას გააჩნია ტიპოლოგიური სპეციფიკა და თანაარსებობისა და სამომავლო განვითარების პრიორიტეტულად განსაზღვრული არეალი. მიუხედავად ადვილად შესამჩნევი აღმოსავლური შენაკადებისა, რამაც ჩვენი კულტურის არსებითად სინთეზური ბუნება განაპირობა, ჩვენთვის ასეთი არეალი იყო და არის ევროპა იმდენად, რამდენადაც ქართული კულტურა ტიპოლოგიურად იმთავითვე ევროპული ხასიათისა და ევროპული კულტურული სივრცის ნაწილი იყო (ადრეული შუა საუკუნეების „ბიზანტინიზმი“, ტაო-კლარჯეთისა და ათონის კულტურულ-სალიტერატურო სკოლები, გელათის აკადემია...).

ევროპეიზმის რაობის განსაზღვრისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით ფრიდრიხ ნიცშეს თვალსაზრისს: „ევროპა, როგორც კულტურის აღმნიშვნელი ტერმინი, გულისხმობს იმ ხალხებს, რომლებსაც აქვთ საერთო წარსული ბერძნულ-რომაული სამყაროს, ბიბლიისა და ქრისტიანობის სახით“ (ნიცშე 1901: 299).

⁴ „კულტურას“ ჩვენ აქ ვხმარობთ ფართო მნიშვნელობით ანუ კულტურას, როგორც „საზოგადოების ან სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელ სულიერ, მატერიალურ, ინტელექტუალურ და ემოციურ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომელიც ხელოვნებასა და ლიტერატურასთან ერთად მოიცავს ცხოვრების სტილს, ერთად ცხოვრების უნარს, ფასეულობათა სისტემებს, ტრადიციებსა და რწმენებს“ (ინტერნ. 1).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გელათის აკადემია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, მოაზრებული იყო „მეორედ იერუსალემად“ და „სხუად ათინად“ [„...ან წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად“ (ქართლის ცხოვრება 1955: 330-331)]. იდეა გელათისა თუ აქ, ერთი მხრივ, გულისხმობს სულისა და ინტელექტის ორგანულ კავშირს, მეორე მხრივ, იგი ანტიკურ და ქრისტიანულ კულტურათა მემკვიდრეობით ურთიერთმიმართებაზეც მიუთითებს.

ანტიკურ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ ძირებთანაა დაკავშირებული გელათი იოანე შავთელის „აბდულმესიანშიც“:

ახლო რომო, შენტვის თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა.

(იოანე შავთელი 1964: 152).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და იოანე შავთელის მიერ გელათის იდეაში ჰარმონიზებულია ევროპულ მსოფლმხედველობრივ-ღირებულებით და ესთეტიკურ პრინციპებზე დაფუძნებული სულიერი („მეორე იერუსალემი“), სამეცნიერო-საგანმანათლებლო („სხუა ათინა“) და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური („ახალი რომი“) ელემენტები. ამას გარდა, „ჩვენს კულტურას, ევროპული კულტურის მსგავსად, ძველი ბერძნული განათლება უძევს საფუძვლად და ჩვენც ევროპელებთან ერთად რაინდობისა და ფეოდალური წესწყობილების საფეხური განვვლეთ“ (ქიქოძე 2003: 185) და სხვ.

XV საუკუნეში კონსტანტინოპოლის დაცემით გამოწვეულმა კატასტროფამ საქართველო მის მიმართ აგრესიულად განწყობილ ისლამურ ალყაში მოაქცია, მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითარსებობას და,

ამასთანავე, გადაჭრა ის სულიერი და კულტურულ-საგანმანათლებლო არტერიები, რომლებითაც საქართველო ისტორიულად იყო ევროპასთან შეკავშირებული. „ხელახალი ევროპეიზაციის“ (რევოლუციური სირაძისეული ფორმულირება) პროცესი **სისტემური** სახით თავიდან ე. წ. „გარდამავალი ხანის“ (XVIII ს. დასასრული-XIX ს. დასაწყისი) ქართულ მწერლობაში გამომჟღავნდა (სირაძე 1987: 193-204) და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ცხოვრების ყველა სფეროში გაიშალა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ **ჩვენი მოღვაწეებისთვის ევროპეიზმი არსებითად იყო არა პოლიტიკური ორიენტაციისა თუ კულტურული ვექტორის საკითხი, არამედ ქართული კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: ლიტერატურა, ხელოვნება, ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლები, ფასეულობათა სისტემა, თანაცხოვრების უნარი, რწმენა-წარმოდგენები და სხვ.) დაბრუნება მშობლიურ წიაღში, მშობლიურ საარსებო და სააზროვნო სივრცეში, განვითარების (პროგრესის) ბუნებრივი გზის აღდგენა.**

საქართველოს ევროპულ სივრცეში დაბრუნების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკური კურსიც. საქმე ისაა, რომ უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურულ-ინტელექტუალური, დემოგრაფიული პრობლემების წინაშე მდგარი, მეზობელთა განუწყვეტელი მუქარებითა და „ლეკიანობით“ განამებულ მიწვევ ქართლ-კახეთისა, სწორედ ევროპული სახელმწიფოების მფარველობასა და მოკავშირეობაში ხედავდა გადარჩენისა და განვითარების პერსპექტივას. ნიკო ბერძენიშვილი იძლევა ერეკლე II-ის პოლიტიკური მიზნის ლაკონიურ, მაგრამ სიღრმისეულ ფორმულირებას: **„რუსეთის გზით ევროპასთან“** (ბერძენიშვილი 1965: 229).⁵

⁵ ამ მხრივ საგულისხმოა 1780-იანი წწ. დასაწყისში ერეკლე II-ის კარზე რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის, ს. ბურნაშოვის, სიტყვები: „[ერეკლე II] ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“ (ბერძენიშვილი 1965: 228).

ამიტომაც, სანამ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატს გააფორმებდა, ერეკლე II ეძებდა (ძირითადად საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერების მეშვეობით) ევროპული სახელმწიფოების: გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, ინგლისის, სარდინიისა და ნეაპოლის სამეფოების, ვენეციის რესპუბლიკის, ვატიკანის მფარველობასა და მათთან მოკავშირეობას, თუმცა ამოდ (საკითხის გარშემო იხ.: თამარაშვილი 1995: 119, 697-699; ტაბალუა 2000: 41-42; ჭიჭინაძე 1895: 19, 37-38, 43-46; ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ რუსეთზე ორიენტაციის აღების განმაპირობებელ ფაქტორებზე იხ.: ჭავჭავაძე 1955⁹: 207-210; ბერძენიშვილი 1965: 229-230).

რაც შეეხება რუსეთის „კავკასიურ პოლიტიკას“, მას ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული აგრესიული იდეოლოგიური ხასიათი. რუსეთმა კავკასიასა და, პირველ რიგში, საქართველოში სცადა ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ მის მიერ შემოტანილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და იდეოლოგიური სისტემები დაემკვიდრებინა და ამით ხელსაყრელი ნიადაგი მოემზადებინა თავისი ასიმილაციური მიზნების განსახორციელებლად. სწორედ ამას დაუპირისპირდნენ ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც უპირველესი რიგის ამოცანად დაისახეს არა რუსული, არამედ უშუალოდ ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო პროცესების შესწავლა-ათვისება და ქართულ ნიადაგზე გადმოტანა, ოღონდ **არა მექანიკურად, არამედ ადგილობრივი ტრადიციების, თანადროული პირობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება:

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მოხდა უაღრესად მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობრივი, იდეოლოგიური და ღირებულებითი ტრანსფორმაცია. ესაა ე. წ. „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა, რომელშიც

ერთმანეთს შეეჯახა ძველი თაობის მონარქისტულ-კოსერვატორული და ახალი თაობის ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები. მიუხედავად მწვავე შეტაკებისა, იყო საკითხები, რომლებშიც „მამებსა“ და „შვილებს“ თანხმობა ჰქონდათ და ერთი ამგვარი საკითხთაგანი იყო ევროპეიზმი. მაგალითად, „მამების“ თაობის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი დიმიტრი ყიფიანი 1864 წელს წერს: „ყოველივე მზათა გვაქვს – ევროპელებისაგან მოფიქრებული, გაკეთებული და საქმეში შემოტანილი. ჩვენდა, რომელთაც არაფერზე შრომა არა გაგვიწევია-რა, გვრჩება მხოლოდ, რომ ეს მზათ შემუშავებული მივითვისოთ ჩვენ სასარგებლოდ. ჩვენ მოგვინდება არც მესადე იმ შრომისა, რომელიც ევროპეელთ გასწიეს“ (ყიფიანი 1995: 11). ამასთანავე, დიმიტრი ყიფიანი იქვე ჩამოთვლის, პირველ რიგში, რა უნდა ავითვისოთ ევროპელებისაგან: მამულისმოყვარეობა, მაღალი სამოქალაქო თვითშეგნება, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესთა და საჭიროებათა ჰარმონიზაცია, ცოდნაზე დაფუძნებული შრომის სიყვარული, განათლების პრიორიტეტულობა... თანამიმდევრული ევროპეისტი იყო აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანი: „ევროპია არის ლამპარი მთელი ქვეყნისა, განმანათლებელი კაცის გონებისა, მეცნიერება მოსწავლეთა, სიბრძნე გამგეთა, და სიკეთილე კაცობრიობისა“ (ორბელიანი 1861: 211) და სხვ.

რაც შეეხება „შვილების“ პოზიციას, დავასახელებთ ორიოდ მაგალითს:

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „ყმანვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმინვენილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს“ (ჭავჭავაძე 1955ვ: 97-98). ნიკო ნიკოლაძის აზრითაც, საქართველოში პროგრესის მიღწევის გზა „ევროპული წესისა და ცხოვრების“, ევროპული მეცნიერება-განათლების ათვისებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე

გადის: „ევროპული წესი და ცხოვრება ჩვენ სამაგალითოთ უნდა მივიჩნიოთ... ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რა ნაირათ და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა [ევროპელმა] ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და განყოფილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლათ და გასაძლიერებლათ“ (ნიკოლაძე 1960: 394-395). ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ქართველებმა ევროპელებს ამაში უნდა მივბაძოთ: განათლების გავრცელებაში, მეცნიერების ათვისებაში, სამართლიანობის დამკვიდრებაში, ზნეობრიობის გაუმჯობესებაში, გონების გახსნაში, პატიოსან ალებ-მიცემობაში...

XIX საუკუნის ქართველ პუბლიცისტებს (ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ალ. ცაგარელი, ივ. მაჩაბელი და სხვ.) ეროვნული საკითხები ვინროდ კი არ ჰქონდათ შემოფარგლული, არამედ ნაციონალურ პრობლემატიკას ფართო (ზოგადსაკაცობრიო) კონტექსტში განიხილავდნენ და აღიარებდნენ ნაციონალურ და საკაცობრიო ღირებულებათა ჰარმონიზაციისა და განუყოფლობის აუცილებლობას. ამ მხრივ დამახასიათებელია ალ. ცაგარლის მიერ 1870 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხი ლიტერატურული პროცესების ფონზეა დასმული: „ლიტერატურა უნდა იყოს **ნაციონალური**... რამდენათაც თხზულება ნაციონალურია, იმდენათ უფრო დიდი ღირსება აქვს: **ხელოვნებაშიაც** მალლა სდგას და **სარგებლობის** მოტანაშიაცა. ამავე დროს ნამდვილ-ნაციონალური თხზულებები არამთუ ცალკე ხალხს, ან კაცობრიობას არ ეკუთვნიან და არ შეეხებიან, არამედ **რომელსამე თხზულებას მაშინ ექმნება კოსმოპოლიტური, საზოგადო მსოფლიო კაცობრიული ინტერესი, როდესაც ნამდვილი ნაციონალური იქნება**... ნაციონალური თვისება არამ თუ არ უმლის კოსმოპოლიტურ თვისებასა, არამედ უიმისოდ ეს შეუძლებელია: თხზულება, რომელსაც არავინა ჰყავს სახეში, არც არავის ეკუთვნის, და ყველას ყოლა – არ

ყოლას უდრის“ (ცაგარელი 1870). ნიკო ავალიშვილი კი თავის სტატიაში „პატრიოტობა თუ კოსმოპოლიტობა?“ საგანგებოდ აღნიშნავს: „მამულიშვილობა, პატრიოტიზმი, ისევე ბუნებითი გრძნობაა, როგორც ოჯახის სიყვარულია ბუნებითი... მაგრამ ამ სიყვარულს სულაც არ მოსდევს სხვა ერის უარყოფა და სიძულვილი. პირიქით, მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალული ადამიანისათვის სხვა ერის სიყვარული აუცილებელიც არის. ესეც არ იყოს, ადამიანის ბუნებითი თვისება – სიყვარულია და ეს თვისება თავისთავად უარჰყოფს სხვისა სიძულვილს... მამულიშვილი სხვა ერის სიკეთეშიც ხედავს თავისი ერის სიკეთეს, და თუ იმისი მამულიშვილობა ყალბი არ არის, მის გულში სხვა ერის სიძულვილსაც ადგილი არა აქვს“ (ცაიშვილი 1955: 89).

ქართველ პუბლიცისტთა მიხედვით, ღირებულებითი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით **ჭეშმარიტად ეროვნული (ნაციონალური) არის ის, რაც იმავდროულად ზოგადკაცობრიულიცაა...**

დასასარულ, დავიმონწმებთ ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართებაზე XIX საუკუნის გამოცდილების დამაგვირგვინებელ ტექსტს, ვაჟა-ფშაველას სტატიას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის ... ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ (ვაჟა-ფშაველა 1961: 213, 215).⁶ იგივე

⁶ ვაჟა-ფშაველა, ისევე როგორც ადრე დამონწმებული ალ. ცაგარელი და ნ. ავალიშვილი, გულისხმობენ „კოსმოპოლიტიზმის“ ადრინდელ (ერთაშორის, ინტერ-ნაციონალურ) გაგებას. თანამედროვე მნიშვნელობით კი „კოსმოპოლიტიზმი“ ისეთი მსოფლმხედველობაა, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს ზოგადკაცობრიულსა და ნაციონალურს.

თვალსაზრისია ჩამოყალიბებული აკაკი წერეთლის მიერ 1909 წელს პარიზის ქართველი სტუდენტების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში: „ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელ-ფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა!..“ (წერეთელი 1961: 346).

ილია ჭავჭავაძისთვის (ზოგადად, თერგდალეულებისთვის, ისევე როგორც მათი წინამორბედი ს. დოდაშვილისა და დიმ. ყიფიანისათვის) ისტორია თვითკმარი ღირებულება ან ჩაკეტილი დრო კი არ არის, არამედ ცოცხალი ორგანიზმია. ისტორია ანმყოში გამოსაყენებელი გამოცდილებაა, გაკვეთილია, მწვრთნელია („ერი თავის გამირებში ჰპოულობს... თავის მწვრთნელსა“ – ჭავჭავაძე 1955^ა: 180). უფრო მეტიც, ისტორიის მიმართ დამოკიდებულება გარკვეულწილად ერის სიცოცხლისა- და მოქმედებისუნარიანობის მაჩვენებელი და საზომია („[ისტორია] გვაჩვენებს იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“ – ჭავჭავაძე 1955^ა: 179)... ამასთანავე, ერის, როგორც სოციალური ინდივიდის (საზოგადოებრივი პიროვნების, კოლექტიური პერსონის) ყურადღება მაქსიმალურად უნდა იყოს კონცენტრირებული ანმყოზე და **განვითარების პერსპექტივა აქვს მხოლოდ იმ ერს, რომელსაც გააზრებული აქვს ისტორიაზე დაფუძნებული ანმყოსა და ანმყოზე დაფუძნებული მომავლის ორგანული მთლიანობა**. ილია ჭავჭავაძის მიერ 1863 წელს დაწერილი პროგრამული ხასიათის პუბლიცისტური ტექსტი „საქართველოს მოამბეზედ“ ასე იწყება: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალეზედ ჩამოფარებული არა აქვს რა,

ლურს და ამ დაპირისპირებაში უპირატესობას ზოგადკაცობრიულს ანიჭებს, ხოლო პიროვნებას (ინდივიდს) მიიჩნევს არა ამა თუ იმ ერის (ნაციის) კულტურის პირმშოდ და დამცველად, არამედ – მსოფლიო მოქალაქედ.

ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველის ფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“ (ჭავჭავაძე 1953^ბ: 56). მომავალი ეკუთვნის იმ ხალხს, რომელიც აღლოს აულებს ცხოვრების ახალ მოთხოვნებსა და საჭიროებებს, არ დაკარგავს იმედს და მომზადებული შეხვდება დროის ცვლილებებს: „...იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა – შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!..“ (ჭავჭავაძე 1953^ბ: 58); ის ხალხი კი, რომელსაც დაქვეითებული აქვს აქტიური ცხოვრების უნარი და ნება, აგრეთვე, „გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა“, ავტორის შეხედულებით, „მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამინის ზურგიდამ“ (ჭავჭავაძე 1953^ბ: 59).

დღეს ჩვენ, როგორც კაცობრიობის ნაწილი (შემადგენელი), ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში. გლობალიზაციას აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. თუ იგი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ინტეგრაციის გზით ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ. კავშირების გაღრმავებასა და განმტკიცებას, ქმნის ნიადაგს ურთიერთშემავსებელი და ურთიერთგამამდიდრებელი ურთიერთობებისა და კულტურათა „დიალოგისათვის“ (პოზიტიური მხარე), მეორე მხრივ, იგი ხელს უწყობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შესუსტებასა და ნიველირება-გაერთსახოვნებას, ე. წ. „დომინანტი სახელმწიფოებისა“ და „დომინანტი კულტურების“ გაბატონებას (ნეგატიური მხარე). რომელი მიმართულება გაიმარჯვებს საქართველოში, ეს, პირველ რიგში, დამოკიდებულია

ჩვენზე – ჩვენს პოლიტიკურ გამჭრიახობაზე, კულტურულ-აღმშენებლობითი ცხოვრების ინტენსივობაზე, შრომისმოყვარეობასა და სწავლისმოყვარეობაზე; ერთი მხრივ, ეროვნული ინდივიდუალიზმის შენარჩუნებისაკენ მიმართულ ძალისხმევასა, ხოლო მეორე მხრივ, თანადროული საკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ ღიაობაზე, საერთაშორისო პროცესებში სრულფასოვან ჩართულობაზე... და ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტიკას (უფრო ფართო გაგებით – მედიაკომუნიკაციებს). ამ მხრივ ჯერჯერობით, ჩვენი აზრით, არცთუ სასურველი ვითარება გვაქვს. 1990-იან წლებში, როცა ქართული ჟურნალისტიკა გათავისუფლდა კომუნისტური რეჟიმის მარწმუნებისაგან, იგი იმდროინდელ საქართველოში სარეკლამო ბაზრის ფაქტობრივი არარსებობისა და, შესაბამისად, ფინანსური დამოუკიდებლობის შეუძლებლობის გამო პოლიტიკური ძალების ხელში აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით ეხება ტელემედიაციებს, როგორც **დღესდღეობით** ჩვენში ინფორმირების, საზოგადოებრივი აზრის, განწყობების, ღირებულებათა სისტემისა და მენტალური ტრანსფორმაციის ყველაზე ეფექტურ საშუალებას. ქართული ჟურნალისტიკა და, კერძოდ, საქართველოს ტელევიზორცე დღეს, სამწუხაროდ, კონსოლიდაციისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებზე დისკუსიის ადგილი კი არ არის, არამედ არსებითად გადაქცეულია „გლადიატორთა ბრძოლის“ არენად, სადაც დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები მიზანმიმართული პროპაგანდით, მანიპულაციებით, „ყველაფერი დასაშვებია“ პრინციპით ებრძვიან ერთმანეთს და, შესაბამისად, დღეს ქართული ჟურნალისტიკა არსებითად ძალაუფლების შენარჩუნების ან ძალაუფლების მოპოვების „ინსტრუმენტადაა“ გადაქცეული. მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა გამაერთიანებელი კი არ არის, არამედ – გამთიშველია.

რას გვასწავლის ასეთ პირობებში XIX საუკუნე, ზოგადად ჩვენი ისტორია როგორც „**გამოცდილება**“, როგორც „**გაკვეთილი**“ და როგორც „**მწვრთნელი**“?

ჩვენი ადგილი ევროპულ ოჯახშია და მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი უზენაესი მიზნისა და ინტერესის მიღწევა. უზენაესი მიზანი და ინტერესი კი არის ეროვნული თვითარსებობის, თვითმყოფადობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა. მიზნის მიღწევის საშუალებებია: პიროვნების უფლებათა პატივისცემა და დაცვა, პროგრამულ დონეზე გაცნობიერებული „მამულის-მოყვარეობა“, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესთა შეკავშირება, საზოგადოებრივი თვითორგანიზაციისა და კონსოლიდაციის უნარი, განათლების პრიორიტეტულობის აღიარება და დამკვიდრება, მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული შრომა, რწმენისა და მეცნიერების თავსებადობა, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა, ნაციონალური და საკაცობრიო ღირებულებების ჰარმონიზაცია...

ზოგადად – და განსაკუთრებით, დღევანდელ გლობალისტურ მსოფლიოში – გადარჩენისა და განვითარების პერსპექტივა აქვს მხოლოდ იმ კონსოლიდირებულ ერს, რომელიც ინტერესთა და ღირებულებათა ამგვარ ჰარმონიზაციასა და მის საფუძველზე საერთაშორისო ცხოვრებაში სრულფასოვან ჩართულობას შეძლებს.

2014 წ.

დამონებიანი:

ბერძენიშვილი 1965: ბერძენიშვილი ნ. საქართველო XVIII საუკუნეში.

// ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. II. თბილისი: მეცნიერება. 1965.

ვაჟა-ფშაველა 1961: ვაჟა-ფშაველა. კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. // ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული (ხუთ ტომად).

- ტ. V. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ე. შარაშენიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბილისი: კანდელი. 1995.
- იოანე შავთელი 1964:** იოანე შავთელი. აბდულმესიანი. // ძველი ქართველი მეხოტბენი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. წგნ. II. თბილისი: მეცნიერება. 1964.
- ლორთქიფანიძე 2012:** ლორთქიფანიძე ი. დღიური (1915-1932) // XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები. შეადგენა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ინტელექტი. 2012.
- მანველიშვილი 1996:** მანველიშვილი ალ. ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძღვრება. // კრბ. „ილია ემიგრანტთა თვალთ“ (შემდგენელ-რედაქტორები: დ. სინჯარაძე, ნ. ბებიაშვილი. ტ. I. თბილისი: ლომისი. 1996).
- ნიკოლაძე 1960:** ნიკოლაძე ნ. „კრებულის“ დანიშნულებაზე. // ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. ტ. II (ტომი დასაბეჭდად მოამზადა, შენიშვნები, კომენტარები და სახელთა საძიებელი დაურთო ი. ბოცვაძემ). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1960.
- ნიცშე 1901:** Ницше Ф. Переоценка всего ценного (Человеческое, слыш-ком человеческое). // Ф. Ницше. Собрание сочинений. Т. 5. Москва: издание книгопродавца М. В. Клюкина. [1901].
- ორბელიანი 1861:** ჯ[ამბაკურ]-ორბელიანი ალ. ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად. „ცისკარი“, 1861, №11.
- სირაძე 1987:** სირაძე რ. რამდენად განეკუთვნება ახალ ქართულ მწერლობას ე. წ. „გარდამავალი ხანა“? // რ. სირაძე. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები. თბილისი: განათლება. 1987.
- ტაბალუა 2000:** ტაბალუა ი. ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. თბილისი: ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 2000.

- ქართლის ცხოვრება 1955:** ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი: სახელგამი. 1955.
- ქიქოძე 2003:** ქიქოძე გ. ჯვარედინ გზაზე. // გ. ქიქოძე. პატარა ერის ხედვრი. შემდგენლები: მ. ქიქოძე, ლ. ასათიანი, ე. კოდუა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003.
- ყიფიანი 1995:** ყიფიანი დიმ. ჩვენი ნაცარქექიები. // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1995.
- ჩიქობავა 1988:** ჩიქობავა არნ. ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი. // კრბ. „ილიას სამრეკლო“ (შემდგენლები: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა. თბილისი: განათლება. 1988).
- ცაგარელი 1870:** [ცაგარელი ალ.]. ჩვენი უბედური მნიგნობრობა ამ საუკუნეში. „დროება“, 15.1, 1870, №2.
- ცაიშვილი 1955:** ცაიშვილი სოლ. ნიკო ავალიშვილი. თბილისი: ხელოვნება. 1955.
- წერეთელი 1961:** აკაკის სიტყვა პარიზში. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1996:** წერეთელი მიხ. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. // კრბ. „ილია ემიგრანტთა თვალთ“ (შემდგენელ-რედაქტორები: დ. სინჯარაძე, ნ. ბებიაშვილი. ტ. I. თბილისი: ლომისი. 1996).
- წერეთელი 2014:** წერეთელი ა. ასის წლის ამბავი. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. IV (პოემები). ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, კომენტარები და საძიებლები დაურთო ჯ. გაბოძემ. თბილისი: საქართველოს მაცნე. 2014.
- ჭავჭავაძე 1888:** ჭავჭავაძე ი. წმინდა ნინო საქართველოს განმანათლებელი. „ივერია“, 14.1, 1888, №9.
- ჭავჭავაძე 1951:** ჭავჭავაძე ი. აწრდილი. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1951.

- ჭავჭავაძე 1953^ა:** ჭავჭავაძე ი. წერილები ქართულ ლიტერატურაზე. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. III. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1953.
- ჭავჭავაძე 1953^ბ:** ჭავჭავაძე ი. საქართველოს მოამბეზედ. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. III. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1953.
- ჭავჭავაძე 1955^ა:** ჭავჭავაძე ი. დავით აღმაშენებელი. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.
- ჭავჭავაძე 1955^ბ:** ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მარტი. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. V. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.
- ჭავჭავაძე 1955^გ:** ჭავჭავაძე ი. აი ისტორია. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.
- ჭავჭავაძე 1955^დ:** ჭავჭავაძე ი. ერი და ისტორია. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.
- ჭავჭავაძე 1955^ე:** ჭავჭავაძე ი. ასის წლის წინათ (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში). // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.
- ჭავჭავაძე 1955^ვ:** ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მაისი. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. V. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.
- ჭიჭინაძე 1895:** ჭიჭინაძე ზ. საქართველოს შესახებ ევროპიელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები (ვახტანგ მეფის წერილები

საფრანგეთის მეფესთან და მეფის ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან). თბილისი: 1895.

ჯოლოგუა 2013: ჯოლოგუა თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი: არტანუჯი. 2013.

ჯორბენაძე 1987: ჯორბენაძე ბ. ქართული ენის დიდი მოამაგე. // კრბ. „ილია ჭავჭავაძე – 150“ (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1987).

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდათიანნი“ (მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

ინტერნ. 1: კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს 2001 წლის 2 ნოემბრის საყოველთაო დეკლარაცია. http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/diversity/pdf/declaration_cultural_diversity_ka.pdf

დიმიტრი ყიფიანი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

1883 წლის თებერვალში გაიმართა „კავკასიის იურიდიული საზოგადოების“ სხდომა, რომელზეც განიხილეს თბილისელი იურისტის, ვლადიმერ სმიტენის (1847-1911), რეფერატი სიკვდილით დასჯის შესახებ. რეფერატის ავტორი ამტკიცებდა რუსეთში სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობას, თუმცა მძიმე კრიმინალური ვითარების გამო გამონაკლისის სახით სასჯელის ეს ზომა უნდა დარჩენილიყო კავკასიაში (განსაკუთრებით, ყაჩაღების წინააღმდეგ).

იმავე სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ბაქოელი ნაფიცი ვექილი თედორე ბიკოვი, რომლის შეხედულებითაც:

„1. დროა, რუსეთმა გადადგას კიდეც ერთი ნაბიჯი წინ და სასჯელთა სახეებიდან საბოლოოდ ამოიღოს სიკვდილით დასჯა.

2. უნდა ვალიაროთ, რომ კავკასიაში არ არსებობს არავითარი ისეთი განსაკუთრებული ვითარება, რომელიც აქ სიკვდილით დასჯას გაამართლებდა“.

„კავკასიის იურიდიული საზოგადოების“ ზემოხსენებული სხდომა თბილისში გაიმართა 5 თებერვალს, 8 თებერვალს სხდომის ანგარიში გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა (კავკაზ 1883^ა), ხოლო 9 თებერვალს დიმიტრი ყიფიანი თ. ბიკოვს ქვიშხეთიდან თბილისში უგზავნის მხარდაჭერის გამომხატველ წერილს. ამ წერილს იგივე „კავკაზი“ აქვეყნებს სრულად (კავკაზ 1883^ბ), ხოლო გაზეთი „დროება“ – მის შემოკლებულ თარგმანს (დროება 1883).

თ. ა. ბიკოვს¹

„მონყალეო ხელმწიფეც,

თქვენმა სიტყვამ, იურიდიული საზოგადოების მე-4 სხდო-
მაზე სიკვდილით დასჯის შესახებ წარმოდგენილ რეფერატთან
დაკავშირებით წარმოთქმულმა, როგორც ამას „კავკაზის“ 31-ე
ნომერი იუნყება, საერთო მონონება დაიმსახურა.

ნება მიბოძეთ, საერთო მონონებას კიდევ ერთი ხმა შე-
ვუერთო – ხმა სოფლის მყუდროებაში განმარტოებული კერძო
პირისა.

აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც თქვენს წინააღმ-
დეგ ილაპარაკებენ, მაგრამ თქვენ მხარს გიჭერენ სოლიდური
ძალები. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თქვენს მხარეზეა ქრი-
სტეს ეკლესია, ეკლესია სიყვარულისა და გულმონყალებისა.
არაფერს ვამბობ-მეთქი, რადგან არიან მოაზროვნეები, რომ-
ლებიც უარყოფენ ყოველგვარ ეკლესიას, ყოველივე ღვთაე-
ბრივს. მაგრამ თქვენს მხარესაა თანამედროვე ცივილიზაცია,
რომელიც სჯის სისხლიან შურისგებას აქ, ვენდეტას სხვაგან
და ამ სასჯელს იყენებს როგორც უფლებას, დაწესებულს სა-
ზოგადოებრივი სამსჯავროს არარსებობის გამო; თქვენს მხა-
რეზეა პოლიტიკური ეკონომია, რომელიც გამოხსნას სასარგებლო
მწარმოებელი ძალის მოსპობას; თქვენს მხარესაა, ბოლოს და
ბოლოს, ვნებებისა და წინასწარგანზრახული მანკიერებებისა-
გან თავისუფალი საკაცობრიო ადამიანური შეგნება, რომელიც
მიიჩნევს – სიკვდილით დასჯა მკვლევლობაა, მით უფრო და-
საძრახი, რამდენადაც მკვლევლობას მართლმსაჯულების სახე-
ლით სჩადიან.

¹ სრულად ვიმეორებთ „კავკაზის“ პუბლიკაციას (თარგმანი ჩვენია).
სიტყვები: „თ. ა. ბიკოვს“ და „მონყალეო ხელმწიფეც“ არ არის
„კავკაზის“ პუბლიკაციაში, თუმცა არის ხელნაწერში.

თ. ჯ.

სამწუხაროდ, პირადად არ გიცნობთ. თუმცა, როგორც საზოგადო მოღვაწეს, წრფელი გულით გილოცავთ – თქვენ თქვენმა სიმამაცემ პირუთვნელი მართლმსაჯულების დიად სანყისთა სიმადლებზე დაგაყენათ.

აღვასრულებ რა თქვენ წინაშე ვალს საზოგადოების წევრისას, მაქვს პატივი და სხვ.

დიმიტრი ყიფიანი

9 თებერვალი. 1883 წელი.

სოფ. ქვიშხეთი“

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია თ. ბიკოვის პასუხი დიმ. ყიფიანისადმი, გაგზავნილი თბილისიდან ქვიშხეთში 1883 წლის 12 თებერვალს. წერილის ავტორი ადრესატს სწერს: არავისგან მხარდაჭერა არ იქნებოდა ჩემთვის ისეთი ძვირფასი, როგორც თქვენგან – ყველასგან ღრმად პატივცემული კავკასიელი მოღვაწისა და კავკასიასთან დაკავშირებული გარემოებების საფუძვლიანი მცოდნისაგან. თქვენი მხარდაჭერა დასტურია იმისა, რომ მე მართალი ვარ. კავკასიაში სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ გამოდინ ხელისუფლების გავლენიანი წარმომადგენლები და ამგვარ ვითარებაში თქვენი, როგორც გამოცდილი კავკასიელი საზოგადო მოღვაწისა და, თანაც არაიურისტის, პოზიციას განუზომელი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ამასთანავე, წერილის ავტორი დიმ. ყიფიანს უგზავნის ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ 1883 წლის 98-ე ნომერს, რომელშიც თ. ბიკოვის სიტყვა სრულადაა დაბეჭდილი (იურიდიჩესკოე ობოზრენიე 1883: 178-188) და ამ თავის წერილს ვ. სმიტენის რეფერატის ტექსტსაც ურთავს (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1639. რუსულ ენაზე. ფ. 2; დაცულია მხოლოდ თ. ბიკოვის წერილი და მას არც ჟურნალი და არც ვ. სმიტენის რეფერატის ტექსტი არ ახლავს).

რაც შეეხება დიმ. ყიფიანის მიერ თ. ბიკოვისადმი გაგზავნილ წინამდებარე წერილს, ავტოგრაფული ხელნაწერი დაცუ-

ლია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (№14755-ბ. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: უთურაშვილი 1989: 121-122).

დასასრულ, ორიოდე სიტყვა თედორე ბიკოვის (Фёдор Александрович Быков) შესახებ. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, იყო ნაფიცი ვეჟილი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник). მსახურობდა კავკასიაში (ბაქო, თბილისი...). 1897-1899 წლებში იყო თბილისის გუბერნატორი. გარდაიცვალა ბაქოში 1915 წელს.

2015 წ.

დამონემიბანი:

დროება 1883: დღიური („დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია...“). „დროება“, 12.II, 1883, №31.

იურიდიჩესკოე ობოზრენიე 1883: К вопросу о смертной казни. „Юридическое обозрение“, 1883, №98.

კავკაზ 1883: Хроника („4-е заседание Кавказского Юридического Общества...“). „Кавказ“, 8.II, 1883, №31.

კავკაზ 1883: Хроника („Д. И. Кипиани обратился к Ф. А. Быкову с следующим письмом...“). „Кавказ“, 11.II, 1883. №34.

უთურაშვილი 1989: უთურაშვილი ი. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.

სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის დასაზუსტებლად

გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ: ა) სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე არსებითი გავლენა იქონია დეკაბრისტულმა იდეებმა და ბ) იგი რესპუბლიკელი იყო და 1832 წლის შეთქმულების მცირერიცხოვან რესპუბლიკელთა ჯგუფში შედიოდა. აქედან არც პირველი თვალსაზრისი ჩანს სწორი და არც – მეორე.

დეკაბრიზმთან სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობრივი მიმართების გასარკვევად, პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: როგორ წარმოედგინათ დეკაბრისტებს მონარქიის დამხობის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკა?

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, დავიმონმებთ დეკაბრისტთა „სამხრეთის საზოგადოების“ მეთაურის, პავლე პესტელის, მიერ შემუშავებულ კონსტიტუციას. აქ არის პარაგრაფი „კავკასიის ხალხები“ („Народы Кавказские“) და ამ პარაგრაფში ნათქვამია:

„კავკასიის ხალხთა საცხოვრისი ძველთაგანვე ცნობილია, როგორც კურთხეული მხარე ... დღეს იგი გაპარტახებულია და არავისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან ეს ყოვლადმშვენიერი ქვეყანა ნახევრად ველურ ხალხებს აქვთ დასაკუთრებული ... [კავკასიის] მდებარეობას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ აზიასთან ენერგიული და უაღრესად სარფიანი სავაჭრო ურთიერთობისათვის და, მამასადამე, სახელმწიფოს გამდიდრებისათვის. ეს შესაძლებლობა კი სავსებით იკარგება იმის გამო, რომ კავკასიის ხალხები არა მარტო სახიფათო და მოუსვენარი მეზობლები არიან, არამედ

გაუტანელი და უფარგისი მოკავშირეებიც ... დროებით უმაღლეს მმართველობას ნება ეძლევა: ... დაყოს კავკასიის ყველა ხალხი ორ ჯგუფად: მშვიდობიანებად (Мирные) და შფოთიანებად (Буйные). პირველნი დატოვოს თავისსავე საცხოვრისში და დაუმყაროს მათ რუსული მმართველობა და წყობილება, ხოლო მეორენი ძალდატანებით გადაასახლოს შიდა რუსეთში, დაყოს მცირე-მცირე ნაწილებად და დაფანტოს სხვადასხვა რუსულ ვოლოსტებში ... შემოიყვანოს კავკასიაში რუსი მოსახლეობა და დაურიგოს გასახლებულთა მიწები. ამგვარი საშუალებით ნაშალოს ყოველგვარი ნიშანწყალი ახლანდელი მკვიდრი მოსახლეობისა და გადააქციოს ეს მხარე წყნარ და კეთილმონყობილ რუსულ ოლქად“ (პესტელი 1906: 47-48).¹

ასე რომ, რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხების სრული ასიმილაცია დეკაბრისტებს აუცილებელ პროცესად მიაჩნდათ და გადაუდებელ ამოცანადაც ჰქონდათ დასახული. სწორედ აქ არის ის უფსკრული, რომელიც შეუძლებელს ხდის ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობრივ და იდეოლოგიურ დაკავშირებას დეკაბრიზმთან: ჩვენი მოღვაწისათვის მთავარი და არსებითი მიზანი სუვერენული უფლებების აღდგენა, თვითარსებობის განვითარება და ეროვნული კულტურის აღორძინება იყო და მისთვის, ბუნებრივია, არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა (ვერ ექნებოდა!), თუ როგორი რუსეთი შთანთქმავდა საქართველოს – მონარქისტული თუ რესპუბლიკური.

აღსანიშნავია, რომ ს. დოდაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში (დოდაშვილი 1989: 247-324) არსად არ არის ნახსენები 1825 წლის დეკემბრის ამბები, არ მოიპოვება დეკაბრისტებთან

¹ დეკაბრისტთა „ჩრდილოეთის საზოგადოების“ მეთაურის, ნიკიტა მურავიოვის, კონსტიტუციაში ნაციონალური საკითხისადმი მიდგომა უფრო რბილია, თუმცა იქაც რუსეთის სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი რუსადაა მიჩნეული, ხოლო საქართველოს (უფრო ზუსტად, კავკასიას) ნამეტნისკის მმართველობის ქვეშ მყოფი რიგითი ოლქის (Держава) ადგილი აქვს მიკუთვნებული (დრუჟინინი 1985: 267-272).

(მათ შორის, საქართველოსა და, კერძოდ, თბილისში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან) მისი დაახლოების – მით უმეტეს, პოლიტიკური კეთილგანწყობის – დამადასტურებელი ფაქტები და მთელი მისი კავშირი დეკაბრიზმთან იმითლა ამოიწურება, რომ ს. დოდაშვილს თავისი პეტერბურგელი თანაკურსელისა და მეგობრისგან, იაკობ კრუპსკისგან,² გადმოუწერია კონდრატი რილეევის მიერ ჩამოხრჩობის წინ საპყრობილიდან გაგზავნილი და მთელს რუსეთში გავრცელებული ბარათი მეუღლისადმი (ეს ბარათი საბოლოოდ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის ხელში მოხვდა და ს. დოდაშვილს მოუწია კომისიისთვის განემარტა, თუ როგორ აღმოჩნდა იგი მის ქალაქებში – გოზალიშვილი 1935: 62; გოზალიშვილი 1970: 436).³

² 1828 წლის 25 ოქტომბერს ს. დოდაშვილი თბილისიდან პეტერბურგში სწერს იონა ხელაშვილს: „აღამ ღირსიევეს მოვიკითხავ დიდის სიყვარულით და ვჰსთხოვ უმდაბლესად რათა შეიტყოს უნივერსიტეტში – იაკობ კრუპსკი, რომელიც იყო სტუდენტად, სადა არს, ვითარ სცხოვრებს და რატომ წიგნს არა მწერს? ხომ არ მიდის ფრანციაში? და ვითარება მისი წვლილად, რომელსაცა ფრიად დაუმაძღვებ. მშობელნი მისნი მშვიდობით არიან“ (დოდაშვილი 1989: 307). ი. კრუპსკი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კალუგის გიმნაზიაში მასწავლებლობდა და იქვე, კალუგაშივე, გარდაიცვალა (დოდაშვილი 1989: 445).

³ ს. დოდაშვილის ბინის ჩხრეკისას მის ქალაქებში კომისიამ იპოვა კ. რილეევის კიდევ ერთი ტექსტი – ფრაგმენტი პატრიოტული სულისკვეთებისპოემისა „ნალივაიკო“, კერძოდ, „ნალივაიკოს აღსარება“ (XVI ს. უკრაინელ კაზაკთა ანტიფეოდალური აჯანყების მეთაურის, თანამებრძოლთა მიერ გაცემული სევერინ ნალივაიკოს, აღსარება). ეს არის ელიზბარ ერისთავის თხოვნით გრიგოლ ორბელიანის მიერ თარგმნილ-გადმოკეთებული ლექსი, რომლისთვისაც მთარგმნელს სხვა სათაური მიუცია – „გივი ამილახერის აღსარება“. იგი უნდა გამოქვეყნებულიყო ს. დოდაშვილის ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ და, როგორც ჩანს, დოდაშვილის ქალაქებშიც ამ გზით მოხვდა (საკითხის შესახებ იხ.: გოზალიშვილი 1935: 412; გოზალიშვილი 1970: 436; გოცაძე 1954: 204-206; გრ. ორბელიანის თარგმანი სათაურით „აღსარება“ იხ. ორბელიანი 1959: 111-112).

დეკაბრისტულ მოძრაობასთან ს. დოდაშვილის ასეთი ხელოვნური დაკავშირება, ვფიქრობთ, გამოხატულებაა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტენდენციისა, რომლის მიხედვითაც XIX საუკუნის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ყველა ქართველ მოღვაწეს უსათუოდ უნდა განეცადა ამა თუ იმ რუსული მოძრაობის „კეთილისმყოფელი“ გავლენა.

თვალსაზრისს სოლომონ დოდაშვილის რესპუბლიკელობის შესახებ საფუძვლად უდევს 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის ვახტანგ ორბელიანის მიერ მიცემული ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „1832 წელს დოდაშვილისაგან გავიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი, მან მითხრა – დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ“ (გოზალიშვილი 1935: 92; გოზალიშვილი 1970: 362). სხვა წყაროს, დამადასტურებელს იმისა, რომ ს. დოდაშვილი (ან სხვა ვინმე) რესპუბლიკელი იყო, ჩვენ არ ვიცნობთ.

საკმარისია თუ არა ეს საკმაოდ ბუნდოვანი ფრაზა („რესპუბლიკის მაგვარი სახელმწიფო“) იმისათვის, რომ ვინმეს რესპუბლიკელობა ვამტკიცოთ?

1832 წლის შეთქმულების ინიციატორებსა და იდეოლოგებს საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად კონსტიტუციური მონარქია (ორპალატიანი მმართველობითი სისტემით) ჰქონდათ განზრახული. ეს გეგმა მკაფიოდ ჩანს ი. ფალავანდიშვილის, გ. რ. ერისთავისა და სხვათა ჩვენებებში (გოზალიშვილი 1935: 92-93, 134, 167). ერთ-ერთი შეთქმულის, ზ. ავთანდილოვის, ჩვენების მიხედვით, „აჯანყების მეორე დღეს უნდა დაეარსებინათ სეიმი და, *ვიდრე მეფეს აირჩევდნენ*“ (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) საქართველოს მმართველობა

უნდა ჩაებარებინათ სეიმის წევრებისათვის, რომლებსაც საზოგადოება აირჩევდა“ (გოზალიშვილი 1970: 254). რაც მთავარია, არსად ჩანს, რომ შეთქმულების რომელიმე მონაწილე წინააღმდეგი იყო კონსტიტუციურ-მონარქისტული წყობისა. ამ მხრივ ჩვენ შეთქმულთა ჩვენებებში სრულ უნისონს ვხედავთ.

ამ საკითხზე მსჯელობისას კახა კაციტაძე, ჩვენი აზრით, მართებულად დაასკვნის: „ამ ეპოქაში (XIX ს. პირველ ნახევარში – თ. ჯ.) სიტყვა „რესპუბლიკა“ (სიტყვასიტყვით: საზოგადო, სახალხო საქმე) იხმარებოდა იმის აღსანიშნავად, რასაც ჩვენ წარმომადგენლობით სახელმწიფოს ვუწოდებთ და არა მონარქიის ანტიპოდს... რესპუბლიკა, როგორც წარმომადგენლობითი ხელისუფლება, უპირისპირდება აბსოლუტურ ხელისუფლებას და არა მონარქიას საზოგადოდ. კონსტიტუციური მონარქია კი თვითონ არის წარმომადგენლობითი ხელისუფლების სახე და ექცევა „რესპუბლიკის“ გარკვეულ გაგებაში“ (კაციტაძე 1997).

რაც შეეხება **წარმომადგენლობით** ელემენტებს სახელმწიფოებრივ წყობაში, შეთქმულების ორგანიზატორებს ეს ასე წარმოედგინათ: ზედა პალატაში მეფე და მინისტრთა კაბინეტი მეფის ხელმძღვანელობით (კაბინეტი შედგენილი იყო პერსონალურ დონეზე), ქვედა პალატაში არჩეული დეპუტატები მაზრების მიხედვით და თვითონ მაზრებში – თვითმმართველობის გარკვეული ხარისხით აღჭურვილი სამდივნოები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნებოდნენ: თავადაზნაურობა, „საერო ხალხი“, სამღვდელთა... (გოზალიშვილი 1935: 92-93, 134, 167; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: სურგულაძე 1968: 303-305; ბენდიანიშვილი 1980: 111-112). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შეთქმულების ინიციატორი და იდეოლოგი დიმიტრი ბატონიშვილი პეტერბურგში მყოფ ქართველ ახალგაზრდებს, შეთქმულ დავით ჯორჯაძის თქმით, სწორედ შეზღუდული მონარქიის შესახებ ესაუბრებოდა (გოზალიშვილი 1970: 479).

ასე რომ, სოლომონ დოდაშვილის დაკავშირება რესპუბლიკურ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) იდეებთან

მოკლებულია საფუძველს. მაშ, საიდან მომდინარეობს დაბეჭდილებული სურვილი ს. დოდაშვილის რესპუბლიკელად გამოცხადებისა? უნდა ვიფიქროთ, ამით ამ თვალსაზრისის ავტორებს (შემდეგ – გამზიარებლებს) ს. დოდაშვილის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, პროგრესული აზროვნების წარმოჩენა სურდათ. დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ კონსტიტუციური მონარქიის იდეა XIX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში ისედაც უაღრესად პროგრესული (და დროის მოთხოვნათა ადეკვატურიც!) მოვლენა იყო.

1992-2015 წწ.

დამონებიანი:

- ბენდიანიშვილი 1980:** ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. თბილისი: მეცნიერება. 1980.
- გოზალიშვილი 1935:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.
- გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.
- გოცაძე 1954:** გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.
- დოდაშვილი 1989:** დოდაშვილი ს. თხზულებანი. შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თ. კუკავა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989.
- დრუჟინინი 1985:** Дружинин Н. М. Декабрист Никита Муравьев. // Дружинин Н. М. Избранные труды. Революционное движение в России в XIX в. Ответственный редактор С. С. Дмитриев. Москва: Наука. 1985.
- კაციტაძე 1997:** კაციტაძე კ. ესეი ქართულ პოლიტიკურ რომანტიზმზე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 15-22.VIII, 1997, №33.
- ორბელიანი 1959:** ორბელიანი გრ. აღსარება (მიბაძვა კონდ. რილევის ლექსისა: „ნალივაიკოს აღსარება“). // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის

შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი:
საბჭოთა მწერალი. 1959.

პესტელი 1906: Пестель П. Русская Правда. Наказ временному Верховному правлению. С.-Петербург: Культура. 1906.

სურგულაძე 1968: სურგულაძე ა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა.
თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1968.

ცხოვრება და ღვანელი დიმიტრი ყიფიანისა

დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 (26) აპრილს გორის მაზრის სოფელ მერეთში.¹ მამა დიმიტრისა, აზნაური ივანე (ქოჩო) ყიფიანი, ერთხანს აბაშიძეების მოურავი იყო ქვიშხეთში,² მაგრამ თავის ბატონთან მწვავე კონფლიქტის გამო

¹ ჩვენ აქ ანგარიშს ვუწვევთ ტრადიციას და ვიმეორებთ წყაროებსა და ლიტერატურაში – მათ შორის, დიმ. ყიფიანის ნაწერებში – დამკვიდრებულ თარიღს, რომელიც სწორი არ ჩანს. მეტრიკის მიხედვით, დიმ. ყიფიანი 1811 წლის 14 აპრილსაა დაბადებული, ხოლო იმავე წლის 4 ივლისს იგი მერეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მოუნათლავს მღვდელ იოსებ ფურცელაძეს (სეა. ფონდი 2. აღწ. 1. საქ. №2357, ფ. 150; დანელია 1993-1994: 424-425). მიზეზი თარიღის გადაკეთებისა უნდა იყოს შემდეგი გარემოება: ძმამ, ქაიხოსრო ყიფიანმა, დიმიტრი თბილისის სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში 1823 წლის 1 სექტემბერს შეიყვანა (დანელია 1993-1994: 417). ამ დროს დიმიტრი მეცამეტე წელიწადში იქნებოდა გადამდგარი, სასწავლებელში კი 8-10 წლის ასაკის ყმაწვილებს იღებდნენ. ძმისთვის მომავალი რომ არ დაეკარგა, ქაიხოსრო იძულებული იქნებოდა, მისთვის რამდენიმე წელიწადი ჩამოეკლო, რაც მან, როგორც ჩანს, დაბადების მონმობის გადაკეთებით მოახერხა. შემდგომში კი ოფიციალურად დადასტურებული თარიღის კვლავ გადაკეთება დიმ. ყიფიანს აღარ უცდია (საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2002: 30-33; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 238-240). უნდა ითქვას, რომ დიმ. ყიფიანის დაბადების თარიღთან დაკავშირებული შეუსაბამოა შენიშნული აქვს ისტორიკოს მაქს. ბერძნიშვილს, რომელიც თვლიდა, რომ დიმიტრი 1811 წელსაა დაბადებული (ბერძნიშვილი 1983: 209). ბოლო დროს გ. ყორანაშვილმაც დიმიტრი ყიფიანის დაბადების თარიღად 1811 წელი მიიჩნია (ყორანაშვილი 2009: 42-44).

² იმერელი აბაშიძეების სამფლობელო ქართლის ნაწილზეც ვრცელდებოდა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ქაიხოსრო და ვახტანგ ბატონიშვილების წყალობის სიგელი ვახუშტი ლევანის ძე აბაშიძისადმი (დათარიღებულია 1711 წლის 10 მაისით), რომლის მიხედვითაც, ქვიშხეთი, ტაშისკარი, ტეზერი და ქართლის ზოგიერთი

გაეცალა სააბაშიო ტერიტორიას, გადავიდა სოფელ მერეთში, ცოლად შეირთო აზნაურ ქაიხოსრო ფურცელაძის ქალიშვილი ბარბარე და იქვე, მერეთშივე, დამკვიდრდა.

ივანე (ქოჩო) ყიფიანი³ პირდაპირი შთამომავალი იყო იმ **ყიფიანისა**, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაში შეყვანილია როგორც „თავადის აბაშიძის აზნაური“ (სამართლის ძეგლები 1965: 489). ნიკ. ყიფიანის დახასიათებით, ივანე ყიფიანი იყო „წყნარი და მშვიდობიანი ხასიათისა, ჩხუბს და დავიდარაბას ყოველთვის ერიდებოდა“ (ყიფიანი 1894: 70), თუმცა წყაროები სულ სხვა სურათს იძლევა. შემორჩენილია იოანე ევგენის ძე აბაშიძის ბარათი თავისი აზნაურის – ივ. ყიფიანისადმი, რომელშიც ბარათის ავტორი ადრესატს „მამის ჩემის მამთხრელს და მისი შვილების ძელების მჭამელს“ უწოდებს და „მუხლისჩოქით“ ევედრება, დამეხსენ, რომ არ მოგკლაო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1898, ფ. 1).⁴ 1810 წელს ივ. ყიფიანი

სხვა სოფელი სააბაშიო მამულადაა დამტკიცებული (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1913, ფ. 2).

³ არ არის სწორი ნიკ. ყიფიანის ცნობა, თითქოს დიმ. ყიფიანს მამის სახელი ქოჩო ივანედ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში გადაუკეთეს (ყიფიანი 1894: 75). სინამდვილეში ივანე (იოანე) ნათლობის სახელი იყო ქოჩო ყიფიანისა (იხ. დიმ. ყიფიანის მიერ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენება – გოზალიშვილი 1970: 249). ეს რომ მართლაც ასეა, დოკუმენტურადაც დასტურდება; კერძოდ, 1830 წელს შედგენილ ერთ-ერთ ოფიციალურ საბუთში, რომელშიც დიმ. ყიფიანის წინაპართა გენეალოგიური შტოა წარმოდგენილი, დიმიტრის მამის სახელი ასეა ჩაწერილი: „ქოჩო ანუ იგივე იოანე“ [სეა. ფონდი №213 (I აღნ.), საქ. №414, ფ. 11]. ამიტომაცაა, სხვათა შორის, რომ საბუთების ნაწილში „ივანეს ძედ“ იხსენიება დიმიტრის ძმაც – ქაიხოსრო ყიფიანი (ხეც. დ. ყ. არქ., №521 და სხვ.).

⁴ მიუხედავად იმისა, რომ ყიფიანები აბაშიძეთა აზნაურები იყვნენ, მათ შორის იშვიათი არ ყოფილა სისხლისმღვრელი შეტაკებები (ერთმანეთის ხოცვა, ციხეების წართმევა, ახალციხეში მონად გაყიდვა და სხვ.). საკითხის გარშემო მეტად საინტერესო საბუთი აქვს გამოქ-

იმერეთში ოკრიბის მოურავადაა დანიშნული (აქტები 1870: 258); გარდაიცვალა 1814 წელს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №511, ფ. 2). დაკრძალულია სოფ. მერეთის „წმ. გიორგის“ ეკლესიის კარებთან“ (გომართელი 1966: 117).

დედა დიმიტრი ყიფიანისა, ბარბარე ფურცელაძე, ნიკ. ყიფიანის ცნობით, „გარდაიცვალა, როდესაც დიმიტრი შვიდი ან რვა წლისა იქნებოდა“ (ყიფიანი 1894: 70). სინამდვილეში ბარბარე ფურცელაძე 1834 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია – ა. ჯორჯაძეს სრულად აქვს დამონმებული მისი ბარათი ვოლოგდაში გადასახლებული შვილისადმი, რომელიც ჩყლდ [1834] წლის ე [5] თებერვლითაა დათარიღებული (ჯორჯაძე 1989^ა: 108-109; ბარათის დედანი, რომლის კონვერტზეც დიმ. ყიფიანის მინანერია „Моя СВЯТЫНЯ“ [„ჩემი წმიდათაწმიდა“] ამჟამად ქართული ლიტერატურის მუზეუმშია დაცული – ქლსმ. №14936-ბ). ამის შემდეგ ბარბარე ფურცელაძის კვალი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ ჩანს და, ამდენად, არც ის ვიციით, დახვდა თუ არა 1837 წლის თებერვალში გადასახლებიდან დაბრუნებულ დიმიტრი ყიფიანს დედა ცოცხალი [უფრო ვრცლად ბარბარე ფურცელაძისა და

ვეყნებული ი. დოლიძეს (სამართლის ძეგლები 1977: 309-311). აბაშიძეთა და ყიფიანთა შორის ატეხილი ერთ-ერთი კონფლიქტის მოგვარებაში თვით ერეკლე II-ის ჩარევა გამხდარა საჭირო (იხ. ერეკლე II-ის წერილი სახლთუხუცეს გიორგი აბაშიძისადმი – საქართველოს სიძველენი 1910: 171-172). 1807 წელს ყიფიანთა ივანეს (ქოჩოს) შტომ საბოლოოდ დაიხსნა თავი აბაშიძეების ბატონობისაგან – ამ წლიდან ისინი „სახელმწიფო გასამყრელოთ“ არიან აყვანილნი და გორის მაზრის სახაზინო აზნაურებად ირიცხებიან [საე. ფონდი №213 (I აღნ.), საქ. №414, ფ. 7; ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №511, ფ. 1; დანელია 1993-1994: 464, 467].

სხვათა შორის, თუ დავაკვირდებით ხსენებულ ყიფიანთა ისტორიებს, გამოვაკლებთ მათს სისასტიკესა და შურისმაძიებლობას, ადვილად დავინახავთ დიმ. ყიფიანის გენეტიკურ კავშირს თავის წინაპრებთან და ადვილადაც ავხსნით იმ მტკიცე ხასიათს, გამახვილებულ თავმოყვარეობასა და შეურყეველ ნებას, რომლებიც დიმ. ყიფიანისათვის ორგანულად იყო დამახასიათებელი.

ივანე (ქოჩო) ყიფიანის შესახებ იხ. საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 236-237, 243-244].

თბილისში დიმიტრი ყიფიანი იზრდებოდა ნათესავის, მარიამ ყიფიანისა და მისი მეუღლის, პრაპორშჩიკ ნიკიფორე ფიოდოროვის, ოჯახში. შემდგომში მათ დიმიტრი ყიფიანი იწოდებოდა: „მე ვიზრდებოდი ტფილისის ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში პროპ. ნიკიფორე ფიოდოროვისა და მისი მეუღლის აზნაურ მარიამ ყიფიანოვის ასულის მეცადინეობით, რომლებმაც მე მიშვილეს, რადგან თვითონ უშვილონი იყვნენ“ – წერს დიმიტრი ყიფიანი 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში (გოზალიშვილი 1970: 250; მარიამ ყიფიანსა და ნიკიფორე ფიოდოროვზე იხ. საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 7-8, 15, 244, 246).

ბარბარე ფურცელაძესა და ივანე (ქოჩო) ყიფიანს ეყოლა თბილისში შვილი, რომელთაგან დიმიტრი ნაბოლარა იყო. მამით დაობლებული დიმიტრის აღზრდა-პატრონობა თავს იდევს უფროსმა ძმამ, ქაიხოსრო ყიფიანმა (1795-1866), რომელმაც 1823 წელს დიმიტრი თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში მიაბარა, 1824 წელს დიმიტრი სამაზრო სემინარიაში გადაიყვანეს (დანელია 1993-1994: 417; ხუნდაძე 1951: 177), ხოლო 1825 წელს ნიკიფორე ფიოდოროვმა იგი „სასულიერო სასწავლებლიდან სტიპენდიის დანიშვნით კეთილშობილთა სასწავლებელში მიაღებინა“ (ხუნდაძე 1951: 9; დასვეს მეორე კლასში – ჭავჭავაძე 1887; ჭიჭინაძე 1892: 10; ჯორჯაძე 1909^ა).

1830 წელს დიმიტრი ყიფიანმა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაამთავრა, იმავე წელს სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, მაგრამ იგი „ხელმოკლეობის გამო გიმნაზიის კლასებში ვერ გადავიდა“ (ხუნდაძე 1951: 9). გიმნაზიის ხელმძღვანელობას კი, თავის მხრივ, არ უნდოდა ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდის დაკარგვა. 1830 წლის ნოემბერში სათანადო გამოცდის შემდეგ დიმიტრი გიმნაზიაში მასწავლებლად მიიღეს, ხოლო 1831 წლის თებერვალში ამ თანამ-

დებობაზე ოფიციალურად დაამტკიცეს (დანყებით კლასებში ასწავლიდა არითმეტიკას, გეოგრაფიას, ქართულ და რუსულ ენებს, სუფთა წერას). რამდენიმე თვის შემდეგ (არა უგვიანეს 1831 წლის შუახანისა) საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსული დიმიტრი ყიფიანი ცნობილ შეთქმულებაშია ჩართული და აჯანყებისთვის ემზადება. აქედან მოკიდებული 1887 წლის შემოდგომამდე, როცა სტავროპოლში მოკლეს, დიმ. ყიფიანი საქართველოში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თითქმის ყველა საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის საქმის განხორციელებაში მონაწილეობდა ან როგორც იდეის ავტორი თუ ინიციატორი, ან კიდევ – მნიშვნელოვანი ფიგურა: საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება, პროფესიული ქართული თეატრის დაარსება, ეროვნული ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაფუძნება და სხვ.; ამიტომაც უწოდებდნენ დიმიტრი ყიფიანს „ჩვენს ხუროთმოძღვარს“ (ი. ჭავჭავაძე. იხ. ყიფიანი 1940: 141), „მალღობს ცხებულ და ქვეყნისადმი მიჩენილ მადლიან არსებას ... სულიერად საშვილიშვილოდ მოკავშირეს, ჩვენს დიდებულ მოძღვარს“ (წერეთელი 1961^ა: 274; წერეთელი 1997: 124), „მედგარს, ენერგიულსა და პატიოსნების იშვიათ განსახიერებას, მეტისმეტად დიდი ჭკუის, განუზომელი უნარის პატრონს... მთლიან, ნათელ ნატურას, ურყევს პირველი დღეებიდანვე უკანასკნელ დღემდე“ (ნიკოლაძე 1964: 311-312), „[მოღვაწეს, რომლის] სახელი აღბეჭდილია ქართულ ეროვნულ შემეცნების ისტორიაში“ (ჯორჯაძე 1989^ა: 585), „უაღრეს პატრიოტს... ფხიან მუშაკს და მეთაურს ქართული საქმეებისა“ (თაყაიშვილი 1968: 332) და სხვ.

არსებითი მნიშვნელობის თვისებები დიმ. ყიფიანის ხასიათისა, შორსმჭვრეტელობა და უკლებლივ ყველა სასარგებლო საქმისადმი თანაბრად გამახვილებული ყურადღება, შენიშნული აქვს აკაკი წერეთელს: „ყოველდღიურ ავსა და კარგს უყუ-

რადღებოთ არ სტოვებდა!.. არც ერთ სასარგებლო საქმეს არ ერიდებოდა! ეს პატარაა, ეს გარეულია, ეს არ მეკადრება, ეს ბევრს არ მოეწონებაო და სხვანი არ იცოდა. ყოველგან მონაწილე იყო თუ საქმით, თუ სიტყვით და რჩევით. ზოგიერთებსავით იწრით არ ჰქონდა შემოფარგლული სარბიელი! ყოველი მხრით ეჭირა თვალ-ყური!.. თუ პირად ვეღარ მიწვდებოდა, ხმას მაინც მიანვდენდა! ამას რომ არ სჯერდებოდა. გონების თვალს უჭრიდა, მომავალშიაც გადადიოდა. ამ თავითვე წარმოიდგენდა ხოლმე, მომავალში რა იყო საჭირო და რაზედ უნდა გვეზრუნა...“ (წერეთელი 1961⁵: 274-275).

თანამედროვენი დიმიტრი ყიფიანს მიიჩნევდნენ არა მარტო დიდ მოღვაწედ და მამულიშვილად, არამედ შეუდრეკელი რწმენის, მტკიცე ნებისა და კრისტალური პატიოსნების მაგალითადაც [„ადამიანი ჯერ პატიოსანი უნდა იყოს და მერე ამ გრძნობას დაუმორჩილოს ყველა თავისი ადამიანური მოვალეობა“, – სწერს დიმ. ყიფიანი მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს (ქლსმ. №14802-ბ); მეუღლისადმი გაგზავნილ სხვა წერილში ამბობს: „პატიოსანი სახელის მეტს ვერაფერს დავუტოვებ ჩემს შვილებს. და სანამ ჩემზეა დამოკიდებული, ამ სახელს არ გავცვლი არც ჯამაგირზე, არც ჩინებსა და ორდენებზე“ (ქლსმ. №14785-ბ), კიდევ ერთ წერილში იმავე ნ. ჭილაშვილ-ყიფიანს პეტერბურგიდან სწერს: „უმნიკვლო ურთიერთობისა აქ არავის სჯერა. ზნეობრივი სინძინდე აქ ანაქრონიზმია, დრომოჭმული გადმონაშთია!!.. საწყალი ხალხი!..“ (ქლსმ. №14782-ბ) და სხვ.]

დიმიტრი ყიფიანმა გამოცადა ხელისუფლების აღიარებაცა და დევნა-შევიწროებაც, სამი შვილისა და შვილიშვილის დაკარგვის სიმწარე, განუწყვეტელი ხელმოკლეობა, ორჯერ იწვნია სამშობლოდან გადასახლების სუსხი...და, მიუხედავად ამისა, მისი მტკიცე ნება და სტოიციზმი არ შერყეულა.⁵ საქვეყნო სა-

⁵ დიმ. ყიფიანის მტკიცე და შეურყეველი ნების შესახებ არჩილ ჯორჯაძე წერდა: „დიმიტრი დასაფლავებულია მთანძინდაზე, – იქ, სადაც

ქმეებს გადაგებული, საქვეყნო საქმეებშივე პოვებდა სულიერ საყრდენსა და წონასწორობას. „თუკი ჩემი სამსახური სასარგებლო იქნება, პირველ რიგში იგი სასარგებლო უნდა იყოს ჩემი სამშობლოსათვის“, – სწერს 1860 წელს ცარსკოე-სელოდან დიმიტრი თავის მეუღლეს (ქლსმ 14794-ბ: ფ. 1). სამშობლოსთვის იღვწოდა, მისი ინტერესებისთვის იბრძოდა დიმიტრი ყიფიანი მთელი სიცოცხლე; მასვე შესწირა ნიჭი, ცოდნა, შრომა, ფიზიკური თუ ინტელექტუალური ენერგია, სამსახურებრივი კარიე-

ილიაც განისვენებს ამ ჟამად. ეს ორი მოღვაწე, სხვა და სხვა გზით მოსიარულე, ერთ შესაფარში მეზობლად დააბინავა ქართველმა ერმა. და ეს შემთხვევით არ მოხდა ასე, ამას დიდი და ღრმა აზრი უდევს საფუძვლად. ორივენი საქართველოს გენიის სხვა და სხვა სახით გამომსახველნი იყვნენ. ილია თითქოს ჭმუნვისა და ფიქრის სიმბოლოა, დიმიტრი სიმბოლო ნებისა და მოქმედების. ილია პოლიტიკურ აზროვნების მხრივ ახალი დროის კაცი იყო, თუმცა ძველი დროის და ნააზრევის კვალი მის გულში ნაშლილი არ იყო. დიმიტრი ამ მხრივ სავსებით ძველი ეპოქის კაცი იყო. სამაგიეროდ მასში ამ ეპოქის ძლიერი ნების-ყოფა იყო ჩანერგილი, რომელიც ამოძრავებდა მის მოღვაწეობას, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანაში. ილია, თუმცა არსებითად ოპტიმისტი, რეფლექსიით იყო შებოჭილი და მის მოქმედებას მთლიანობა და პირდაპირობა აკლდა. დიმიტრი მთელი, მაგარი და მთლიანი იყო, როგორც ბუნების ნიაღში ნაპოვნი ტინი და მის ყოველ გადაწყვეტილებას შეურყევლობის სიმაგრე ჰქონდა... დიად, შემთხვევით არ არიან დიმიტრი და ილია იმ მშვენიერ მაღლობზე, უძველეს ტაძრის გვერდით, საიდანაც ეს ძველისძველი ტანჯული, ხოლო გულ-გაუტეხავი დედა-ქალაქი ასე ლამაზად იშლება მთების დაქანებულ ფერდობებზე და დაბლა ნელად მღვლეარე მტკვრის ორივე ნაპირებზე...“ (ჯორჯაძე 1989: 583). დიმ. ყიფიანის ნების სიმტკიცე ა. ჯორჯაძისთვის გაგზავნილ ბარათში საგანგებოდ აქვს აღნიშნული გრ. რობაქიძეს: „დიმიტრი ნების მომენტის პიროვნებაა და გმირულს ტიპს ეკუთვნის. ეს ტიპი ისტორიაში განსაკუთრებულია; შესაძლოა, სრულებით არ ვეთანხმებოდეთ გმირის მსოფლიო მხედველობას, მაგრამ ამასთანავე ისიც შესაძლებელია, რომ ასეთი ადამიანი ძალზე გვატყვევებდეს. აზრი, სიტყვა ასეთს პიროვნებაში სულ სხვა ძალას ჰპოულობს; არსებობს „პირადი ენერგია“, გამოუთქმელი, თანდაყოლილი, სასწაულმოქმედი“ (საშვილიშვილი მოკავშირე... 2011: 251-252).

რა, ოჯახური სიმშვიდე და კეთილდღეობა და, ბოლოს, სიცოცხლეც...

ეროვნული მნიშვნელობის პირველი საქმე, რომელშიც დიმიტრი ყიფიანი მონაწილეობდა, როგორც ითქვა, 1832 წლის შეთქმულებაა. უკანასკნელი დროის კვლევებმა დაადასტურა, რომ დიმიტრი შეთქმულების რიგითი ან შეთქმულთა მხოლოდ „ლიტერატურული ჯგუფის“ წევრი კი არ იყო, როგორც ეს ადრე მიიჩნეოდა, არამედ მონაწილეობდა მომავალ აჯანყებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა არსებითი საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში და ენერგიულად უჭერდა მხარს სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეიარაღებული აჯანყების გზით; ამასთანავე, ქმედითად იყო ჩართული 1820-1830-იანი წლების მიჯნის იმ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ქართული კულტურის გამოცოცხლებასა და აღორძინებას, მის ევროპეიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, აჯანყებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებას (იხ. აქვე, გვ. 250-252; ვრცლად – ჯოლოგუა 2002: 54-73).

ავლაბრის სამხედრო ყაზარმებში (და არა მეტეხის ციხეში, როგორც ეს ზოგიერთ წყაროსა თუ სხვა ტიპის ტექსტშია) პატიმრობის⁶ შემდეგ, 1834 წლის იანვარში, დიმიტრი ყიფიანი გადაასახლეს რუსეთში, ქალაქ ვოლოგდაში, საიდანაც სამშობლოში სამიოდე წელიწადში დაბრუნდა; დაბრუნდა სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს იმპერიასთან ღია დაპირისპირება, მით უმეტეს, მასთან იარაღის ენით საუბა-

⁶ საინტერესო შტრიხები დიმიტრი ყიფიანის ხასიათისა: საკანში დამწყვდეული, იგი გულმოდგინედ სწავლობდა ფრანგულ ენასა (ყიფიანი 1894: 74) და თანამესაკნეებს ვიოლინოზე დაკვრითაც ართობდა [იხ. ალექსანდრე ორბელიანის წერილი თავისი მეუღლის, ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანისადმი (ქლსმ. 16312-ბ. ფ. 1)].

რი, არა მარტო უპერსპექტივო საქმე, არამედ დამლუპველიც იქნებოდა საქართველოს მომავლისათვის.

გადასახლებაში ყოფნისას დიმ. ყიფიანმა, ჩანს, საფუძვლიანად გაიაზრა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უკიდურესად ტრაგიკულ შედეგებთან ერთად (სახელმწიფოებრიობის მოსპობა, ავტოკეფალიის გაუქმება, ეროვნული ინსტიტუტების შევიწროება-აღმოფხვრა, ოფიციალურ ენად რუსულის დამკვიდრება და ა. შ.) პოზიტიური ელემენტები და ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციის მეშვეობით რეალურად შესაძლებელი სასიკეთო პერსპექტივებიც დაინახა: გადაულახავი, თავისი ხასიათით დამანგრეველი პარტიკულარული მისწრაფებების აღმოფხვრა და ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიანება, ამ გზით საუკუნეთა განმავლობაში დაშლილი საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენა, გარეშე მტერთა თარეშისა და სისხლიანი შინააშლილობების აღკვეთა, მშვიდობიან პირობებში კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინება და განვითარება, აგრესიულად განწყობილი მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევა და ევროპულ სამყაროსთან კონტაქტების აღდგენა, შესაბამისად, რამდენიმესაუკუნოვანი იზოლაციისაგან თავის დაღწევა და საზოგადოებრივ-კულტურული და სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ევროპეიზაცია, დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივა... ამიტომაც გადასახლებიდან დაბრუნებული ახალგაზრდა დიმ. ყიფიანი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და არაჩვეულებრივი გონიერების, გამჭრიახობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით იმდენად დანინაურდა, რომ 1850-იან წლებში მეფისნაცვლის საბჭოს წევრი გახდა, ანუ იგი შედიოდა იმ სახელისუფლებო ელიტაში, რომელიც კავკასიას მართავდა.

არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ დიმიტრი ყიფიანის – თხემით ტერფამდე მონარქისტის – ლოიალურ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა გიორგი XII-ის „სათხოვართა

პუნქტები“, რომლითაც ქართლ-კახეთის კანონიერი („ღვთი-
ვკურთხეული“, „მირონცხებული“) მეფე უარს ამბობდა გეორ-
გიევსკის ტრაქტატით გარანტირებულ დამოუკიდებლობაზე სა-
შინაო ცხოვრებაში და თავის სამეფოს (ტახტის ფორმალური
შენარჩუნების პირობით) არსებითად რუსეთს უქვემდებარებდა
(ტექსტი „სათხოვართა პუნქტებისა“ იხ. იოსელიანი 1936: 92-93).
შესაბამისად, რუსეთის სახელმწიფოებრიობის ფარგლებში ქარ-
თველთა ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნება და განვითარ-
ება, დიმი. ყიფიანის აზრით, იყო არა მარტო **სამართლიანო-
ბის**, არამედ რუსული სახელმწიფოს **პასუხისმგებლობისა** და
მოვალეობის საკითხი, ხოლო ეროვნული თვითმყოფობის შე-
ნარჩუნება-განვითარება – არა მარტო სურვილი და ნება ქარ-
თველი ხალხისა, არამედ მისი ხელშეუვალი **უფლებაც**. სწორედ
ეს არის დიმი. ყიფიანისთვის ასიმილაციური პოლიტიკის წინა-
აღმდეგ ბრძოლის **ლეგიტიმური** და **ლეგალური** საფუძველი.⁷

⁷ საყურადღებოა, რომ თვით რუსეთის იმპერიისა და მისი პოლიტიკის მიმართ ისეთი უკიდურესი რადიკალიზმით გამსჭვალული პოლიტიკური ფიგურაც კი, როგორც შალვა ამირეჯიბი იყო, დიმი. ყიფიანის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას ასე ახასიათებდა: „როცა უკვირდებოდა მის მოღვაწეობას, იძულებულნი ვართ გამოვტყდეთ, რომ მის მოქმედებაში ერთგვარი პოლიტიკური სიბრძნე იყო, გარდმოცემული მრავალ სახელმწიფოთა პრაქტიკისაგან. – დიმიტრი ყიფიანი კავურის თანამედროვეა. ამ დიდებული იტალიელის ლოზუნგი მასაც გაზიარებული ჰქონდა: „იტალია ან უნდა მეგობრობდეს ავსტრიას, ან უნდა ეომებოდესო“. სხვა მდგომარეობა შეუძლებელი იყო. და ამის შემდეგ აღარ უნდა იყოს გასაკვირველი ის მოთმინება, რომელსაც ქადაგებდა დიმიტრი ყიფიანი. იგი, როგორც დაჩაგრულ ერის მოღვაწე, ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ამ სკოლისა და რადგანაც ზედმინევენით იცოდა საქართველოს მდგომარეობა, მისი სისუსტე, იგი მოუწოდებდა ხალხს კულტურულ და ეკონომიურ მუშაობისაკენ. მაშინდელ საქართველოს არ შეეძლო სხვანაირად მოქცევა, სხვა გზას ვერ დაადგებოდა და დიმიტრი ყიფიანიც ქადაგებდა მეგობრობას და მოთმინებას. ასე აზროვნებდა იგი, როგორც წინამძღოლი ხალხისა“ (ამირეჯიბი 1997: 48-49); საგულისხმოა დიმი.

ორიოდე სიტყვა იმ საჯარო სიტყვის შესახებ, რომელიც დიმ. ყიფიანმა 1848 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში გამართულ ნადიმზე წარმოთქვა: „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომით და მოძმეთა ენით. საჭიროა ნაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვათა შორის არის გადებული, საჭიროა ორი სიტყვიდან – რუსი და ქართველი – ერთი სიტყვის შემუშავება, მათი მნიშვნელობის შედუღება ერთ მცნებაში, სიტყვითა და საქმით, საჭიროა აგრეთვე ამ შედუღებულ სიტყვის აღბეჭდვა როგორც მთავრობის, ისე ჩვენი ხალხის შემეცნებაში“ (ხუნდაძე 1936: 30).

თუ დიმ. ყიფიანის ამ სიტყვებს ისტორიული კონტექსტიდან ამოვიღებთ,⁸ იგი ქართველთა დენაციონალიზაციის მომხრე

ყიფიანის შვილიშვილის, ნინო ნიკოლოზის ას. ყიფიანის, მიერ ა. ჯორჯაძისთვის მიწერილი წერილიც – სიცოცხლის ბოლო წლებში დიმ. ყიფიანი ოჯახურ წრეში ამბობდაო: „*ჯერჯერობით* (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) ჩვენი გაძლიერებისთვის საჭიროა, რო ვემორჩილებოდეთ მთავრობას, რო არ გაგვსრისოს ერთობით...“ (ხეც. ა. ჯორჯაძის არქ., საქ. №137. ფ. 2). დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ დიმ. ყიფიანის ბოლოდროინდელ ტექსტებში შეფარული მუქარის ტონი ისმის: „საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მრთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია... ასე ვართ ქართველები და ასე ვიქნებით, *მანამდისინ* (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) ჩვენი ხალხოსნობა დაცული გვექნება...“ (ყიფიანი 1995⁹: 35-36) და სხვ.

⁸ 1848 წელს მ. ვორონცოვის ინიციატივით კავკასიის სასწავლო ოლქის დაარსება გადაწყდა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საიმისოდ, რომ განათლების საქმის კოორდინაციასთან (მათ შორის, ახალი სასწავლებლების დაარსებასთან) დაკავშირებული საკითხები აქვე, თბილისშივე, გადანყვეტილიყო [მანამდე ჩვენში არსებული სასწავლო დაწესებულებები ხან ხარკოვის უნივერსიტეტზე იყო მიწერილი, ხანაც – ყაზანის სასწავლო ოლქზე (თავზიშვილი 1974: 227)]. დებულების თანახმად, სასწავლო ოლქი არა რუსეთის განათლების სამინისტროს, არამედ კავკასიის მეფისნაცვალს უნდა დაქვემდებარებოდა (მოგვიანებით ასეც მოხდა – იხ. მაკიევსკი-ზუბოკი 1906: 639). მთავარი და არსებითი კი ის იყო, რომ დებულება

გამოდის, თუმცა, ცხადია, ეს ასე არ არის. დიმ. ყიფიანი ამ სიტყვებით არსებითად ერთგულებას უცხადებს მ. ვორონცოვის „კავკასიურ პოლიტიკას“ [საქართველო – „პოლიტიკურად გარუსებული, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით“ და პროცესების წარმართვა „საევროპო სწორის გზით“ (წერეთელი 1961^ბ: 458)]. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ თვალსაზრისი სიმონ ხუნდაძისა, რომლის სიტყვებითაც, „ჩვენ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ დ. ყიფიანი ქართველი ერის დენაციონალიზაციისა და რუსებში გათქვეფის მომხრე ყოფილიყოს, ყიფიანის პოლიტიკა და აზროვნება არსებითად ეწინააღმდეგებოდა ამგვარ დასკვნებს. მისი მთავარი მიზანი იყო დაცვა ამ ორი პრინციპისა, **დაცვა ქართული ეროვნული ინტერესებისა და ინდივიდუალობის რუსეთის მონარქიზმის ჩარჩოებში, მისი მფარველობის ქვეშ** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.)... რომ დიმიტრი ყიფიანი დენაციონალიზაციის მტერი იყო და პრინციპიალური მომხრე ქართული ნაციონალიზმისა, ამას ამტკიცებს მთელი მისი მოღვაწეობა და ბოლოს 80-იან წლებში შეტაკება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რასაც მოყვა მისი ტრაგიკული დაღუპვა“ (ხუნდაძე 1936: 30). არსებული პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემისადმი დიმ. ყიფიანის ლოიალობის შესახებ ა. ჯორჯაძე შენიშნავს (კურსივი ჩვენია): **„ლოიალიზმი ამ (დიმ. ყიფიანის – თ. ჯ.) შემთხვევაში პოლიტიკური ფორმულაა. იგი თავისთავად კი არ არის აბ-**

უზრუნველყოფდა ქართული ენის სავალდებულო სწავლებას გიმნაზიებსა და სამაზრო თუ სხვა ტიპის სასწავლებლებში (თავზიშვილი 1974: 285) და ყოველივე ამას დიმ. ყიფიანი სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდა. სასწავლო ოლქის დაარსების გადწყვეტილებასთან დაკავშირებით თბილისის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა ნადიმი, რომელსაც კავკასიის მმართველობის პირველი პირები – მათ შორის, მ. ვორონცოვი – ესწრებოდნენ და რომელსაც, სხვათა შორის, დიმიტრი ყიფიანი თამადაობდა. დიმ. ყიფიანის ეს სიტყვები ხსენებულ ნადიმზე ითქვა (ავტოგრაფული ტექსტი სიტყვისა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №138).

სოლუტური ღირებულება, არამედ დროებითი, როგორც იარაღი ეროვნების დაცვისათვის“ (ჯორჯაძე 1989^o: 423).

პოლიტიკური სისტემის მიმართ დიმ. ყიფიანის ლოიალობის შესახებ მსჯელობისას ის არსებითი მნიშვნელობის გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, მისი შეხედულებით, რუსეთის სახელმწიფოებრივი ორბიტიდან მონყვეტის შემთხვევაში საქართველო ისევ მტრულ სამეზობლო გარემოცვაში, ფაქტობრივად, ალყაში, აღმოჩნდებოდა, რაც ქვეყნისთვის ცივილიზებული სამყაროსგან იზოლაციასა და გადარჩენა-განვითარების პერსპექტივის მოსპობას ნიშნავდა.

დიმიტრი ყიფიანის „ფსიხიკაში და აზროვნებაში ძველი ტიპის მამულიშვილის მოტივები სჭარბობდნენ“ (ჯორჯაძე 1989^o: 425). მის, მონარქისტისა და კონსერვატორის, შეგნებას განსაზღვრავდა „ძველი ტიპის მამულიშვილის“ სახელმძღვანელო პრინციპი: ღმერთი, ხელმწიფე, მამული. „ხალხს, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი სასახელო ისტორია, შეუძლებელია მოვთხოვოთ მისი დავიწყება, ხოლო ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი ისტორიის ანდერძია: ღვთის რწმენა, ხელმწიფე-იმპერატორის ერთგულქვეშევრდომობა და მამულისთვის თავდადება“ (ყიფიანი 1995^o: 80), – ასე მეტყველებს დიმიტრი ყიფიანი 1880-იან წლებშიც კი, როცა საბედისწერო ბრძოლა აქვს გაჩაღებული რუსეთის მონარქიის ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბოლოს და ბოლოს, დიმიტრი ყიფიანი აყალიბებს შეხედულებას: იმ უკუღმართობებში, რომლებიც საქართველოში ხდება და მიმართულია ქართველი ერის ეროვნული თვითმყოფობის წინააღმდეგ, დამნაშავეა არა ღვთივკურთხეული მონარქი, რომელიც შეუძლებელია უსამართლო იყოს, არამედ მისი გარემოცვა, საქართველოში კი დამნაშავე ადგილობრივი ბიუროკრატიაა. დიმ. ყიფიანი თავის მახვილს უყუყმანოდ მიმართავს სწორედ ადგილობრივი, არსებითად რუსული ბიუროკრატის წინააღმდეგ და ამით თავგანწირვით იცავს როგორც საკუთარ

სამშობლოს, ისე, სხვათა შორის, ღირსებას „მოტყუებული“ მონარქისას, რომელიც, თავის მხრივ, როგორც ეს მის ხელმწიფურ დიდებას შეშვენიის, თანაბრად ზრუნავს იმპერიაში შემავალ ყველა – მათ შორის, ქართველ – ხალხზე. ეს იყო მძაფრი ტრაგიზმით აღბეჭდილი მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა და დიმიტრი ისე ჩავიდა (ჩაიყვანეს) სამარეში, რომ ეს წინააღმდეგობა ვერ დასძლია.

დიმიტრი ყიფიანის ნააზრევსა და ნამოღვანარზე მსჯელობისას საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს **ეროვნული ხსნის პროგრამას**, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1840-იანი წლების დასაწყისში – ჩვენი ისტორიის ამ უმძიმეს მონაკვეთში, როცა საქართველოს „პოლიტიკურად დასწეულეული სხეული დასწეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც. ორმოციანი წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“ (ჯორჯაძე 1989^ბ: 103).

ეროვნული ხსნის დიმიტრი ყიფიანისეულ პროგრამას საფუძვლად უდევს განმანათლებლობის იდეოლოგია, რომელსაც იგი თანამიმდევრულად ავითარებდა და ნერგავდა კიდევაც პრაქტიკული მოღვაწეობით.

დიმიტრი ყიფიანის შეხედულებით, არსებულ ვითარებაში საჭირო იყო **პოლიტიკური სისტემის ფარგლებშივე** ინტენსიური და მიზანმიმართული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა და ამ გზით ქართველი ხალხის საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენა და განვითარება. „განათლებალა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი!“ (ყიფიანი 1864: 16), – ამ სიტყვებით „გაფორმდა“ მოგვიანებით ის უნივერსალური ფორმულა, რომელიც 1840-იან წლებშივე დაუდო საფუძვლად დიმ. ყიფიანმა თავის სამოქმედო პროგრამას და რომელშიც ზედმიწევნით იყო გათვალისწინებული იმდროინდელი პოლიტიკური რეალობა (მიხ. გაფრინდაშვილის შეხედულებით, XIX საუკუნეში დიმიტრი ყიფიანი „იყო ქართული პოლიტიკური

რომანტიზმის უკანასკნელი იდეოლოგი და პოლიტიკური რეალიზმის უპირველესი დამფუძნებელი“ – გაფრინდაშვილი 1988: 68). აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ **დიმ. ყიფიანის მიერ პოლიტიკური სისტემისადმი გამოცხადებული ლოიალობა არ ყოფილა უპირობო:** „ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი, ჰფიქრობდა ყიფიანი. ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარესზე. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო...“ (ჯორჯაძე 1909⁹).

⁹ იმის ნათელსაყოფად, რომ სახელმწიფო სამსახურში დიმ. ყიფიანი პატრიოტულ მიზნებს ემსახურებოდა, მრავალთაგან აქ მხოლოდ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ – კავკასიის ხელისუფლებაში გავლენიანი ფიგურა, იმჟამად მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი 1856 წლის 17 თებერვალს თავის ძმას, გენერალ-ლეიტენანტ ლეონტი ნიკოლაის, სწერს (საქმე ეხება დიმ. ყიფიანის დანიშვნას მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად): „მისი დანიშვნა მიმაჩნია ქმედებად, როცა სახელმწიფოს ინტერესები პირად შეხედულებებს ენირება. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ბარონ როზენის მთავარმართველობისას (დიმ. ყიფიანი – თ. ჯ.) ქართველთა შეთქმულებაში მონაწილეობდა და ამის გამო რუსეთში იყო გადასახლებული. უნდა ვალიაროთ, რომ ეს ფაქტი თავისთავად შეუძლებელს ხდის, იგი სამოქალაქო საზოგადოების არბიტრი იყოს. მისი ნათესაური კავშირები, აზროვნების წესი, ხასიათი ამ თანამდებობისთვის შეუფერებელია... მისი დანიშვნა ახალი, წმიდა წყლის აბორიგენტთა, ეპოქის დასაწყისია ამ ქვეყნის სამოქალაქო მმართველობაში... ეს ფაქტი სამწუხაროდ მიმაჩნია და გამოგიტყდები, რომ ასეთი არჩევანი სევდიან ფიქრებს მგვრის“ (ტექსტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მოგვანოდა ც. ბიბილეიშვილმა).

განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება დიმ. ყიფიანის პროგრამის პრაქტიკული ხორცშესხმისთვის შეიქმნა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მმართველობის პერიოდში (1844-1854). ბრიტანულ დიპლომატიაზე აღზრდილი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი მ. ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება წყარო იყო იმპერიის ძლიერებისა და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი. იგი საქართველოში ფართო რეფორმისტული გეგმით ჩამოვიდა და ამ გეგმაში შედიოდა, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური შერწყმა-ასიმილაცია, ხოლო მეორე მხრივ, ქართული კულტურისათვის ხელის შეწყობა. ამასთანავე, მ. ვორონცოვი, თავისი წინამორბედებისა თუ მემკვიდრეებისაგან განსხვავებით, საგანგებო პატივისცემას გამოხატავდა ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ (მ. ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. აქვე, გვ. 79-105).

მ. ვორონცოვმა თავის უახლოეს თანამშრომლად შეარჩია დიმიტრი ყიფიანი – ახალგაზრდა, მაგრამ დიდად ნიჭიერი და უნარიანი სახელმწიფო მოხელე. და, ვინაიდან ახალი მეფისნაცვლის პოლიტიკა იძლეოდა საამისო საშუალებას, დიმიტრი ყიფიანმაც შესანიშნავად ისარგებლა შექმნილი ვითარებით. იგი ენერგიულად შეუდგა საკუთარი პროგრამის განხორციელებას – აღნიშნულ პერიოდში დიმ. ყიფიანი ზრუნავდა საზოგადოებაში მნიგნობრული ინტერესების გაღვივებაზე, ეროვნული ჟურნალისტიკის აღორძინებაზე, პროფესიული ქართული თეატრის დაარსებაზე, განათლების სისტემის მოწესრიგებასა და გაუმჯობესებაზე, ისტორიული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაზე, მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, იცავდა ქართული ენის – ეროვნული თვითშეგნების ამ საფუძველთა საფუძვლის – ინტერესებს, იღვწოდა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისათვის,

თარგმნიდა დასავლეთევროპულ მხატვრულ ლიტერატურას და ა. შ.

ერთი სიტყვით, 1840-1850-იან წლებში დიმიტრი ყიფიანმა, როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, იდეურად და პრაქტიკული საქმიანობით განმსაზღვრელი როლი შეასრულა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ეროვნული მიმართულებით წარმართვაში, მის ევროპეიზაციაში.¹⁰ დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ დიმიტრი

¹⁰ XIX ს. საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცნობიერების – ზოგადად კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) – ევროპეიზაციის პროცესში დიმიტრი ყიფიანის ადგილი და როლი ცალკე მსჯელობის საგანია. აქ მხოლოდ ცალკეულ ფაქტებს დავასახელებთ: ა) 1864 წელს ჟურნალ „ცისკარში“ „მყვირალა (ქართლელი)“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ დიმიტრი ყიფიანის წერილში „ჩვენი ნაცარქექები“ ვკითხულობთ: „ჩვენ ვხედავთ, როგორათაც ევროპეელებსთ უყვარსთ თავიანთი მშობელი მამული და ცდილობენ მისს ამაღლები-სათვის, ძლიერებისათვის და დიდებისათვის; ვხედავთ, როგორათაც ისინი მოუღალავად მიეღებენ გონების განათლებასა, გულის განვითარებასა, ხელოვნების გამშვენიერებასა, და როგორათაც, ამიტომ შეუბოვრად და თავმწირულობით ებრძვიან ბუნებასა, გამოიკვლევენ იმისს კანონებსა და, ჰპოებენ რა იმისს საიდუმლოებასა, გაავრცელებენ მით სწავლასა. სწავლა ნათელია და გვიჩვენებს კაცის დიდს დანიშნულებასა... ევროპეელების მაგალითი გვასწავლის, რომ კაცმა უნდა მოუღალავად ამუშაოს გონება და ხელი, და უფრო საზოგადო სარგებლობისათვის. ნურავინ შეშინდება ფიქრით, რომ ისი დაჰკარგავს საკუთარს სარგებლობასა, თუ საზოგადო სარგებლობისათვის დევანლს დასდებს. არა, ეგრე არ არის! ნაყოფი ერთის მხრით დიდად შეამატება მამულსა, მეორეს მხრით გადიქცევა პატრონისვე საკუთრებად და მით ისარგებლებს ისი. ყოველივე მზათა გვაქვს ევროპეელებისაგან მოფიქრებული, გაკეთებული და საქმეში შემოტანილი. ჩვენდა, რომელთაც არასფერზე შრომა არა გავგინევიარა, გვრჩება მხოლოთ, რომ ეს მზათ შემუშავებული მივითვისოთ ჩვენსასარგებლოთ...“ (ყიფიანი 1995^ა: 10-11); ბ) 1863 წელს საგლეხო რეფორმის მის მიერ შემუშავებულ პროექტში დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავს: „ევროპამ ახლანდელს თავისს მოქალაქეობამდინ ექვსასი წელიწადი იარა სწორეთ იმ ფეოდალურის მდგომარეობიდამ, რა მდგომარეობაშიაც ჩვენი ქვეყანა აქამომდე იმყოფება; და ამდენი ხანი იარა

ყიფიანი ღირსეული მემკვიდრე იყო სოლომონ დოდაშვილისა (კერძოდ, დოდაშვილის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკისა) და წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **დიმიტრი ყიფიანის აზროვნება, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათი და მიზანდასახულობა წარმოადგენს პოლიტიკურად ტრანსფორმირებულ, მაგრამ საზოგადოებრივ-კულტურული თვალსაზრისით შემაკავშირებელ ეტაპს, ამასთანავე, მსოფლმხედველობრივ და იდეოლოგიურ „ხიდს“ ოცდათორმეტიანელებსა და თერგდალეულებს შორის.**

დიმიტრი ყიფიანის აზროვნება, მისი პოლიტიკური, საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობის ხასიათი, მიმართულება და შედეგები არათუ შეესაბამება XIX საუკუნის ფუნდამენტურ ეროვნულ იდეას, ქართველი ხალხის ეროვნულ, სოციალურ და კულტურულ კონსოლიდაციას, არამედ დიმიტრი ყიფიანი თვითონ წარმოგვიდგება ამ სასიცოცხლო იდეის ერთ-ერთ დამფუძნებლად. თერგდალეულთა გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე დიმიტრი ყიფიანისეული პროგრამის უდავო გამარჯვება იყო და ამიტომაც იგი მაშინვე „ჩაირიცხა

სისხლის ღვრითა და ამბოხებითა; ჩვენ ეს ექვსასი წელიწადი ამ სამს-ოთხს წელიწადს გამოვირბინეთ ღირსებითა და აქამომდე მაინც უშფოთველად. ამაზედ უმეტესი აჩქარება კაცობრივს მოსაქმობაში ყოვლად დაშლილი (დაუშვებელი – თ. ჯ.) არის გონიერებისაგან, რომელიც ითხოვს ყოველს საქმეში აუჩქარებლობასა და გამოცდილებასა“ [ჩხეტია 1950: 225; საგულისხმოა, რომ, სანამ საგლეხო რეფორმის პროექტის წერას შეუდგებოდა, დიმიტრი ყიფიანი, პირველ რიგში, სწორედ ევროპულ (ინგლისი, შოტლანდია, ესპანეთი...) გამოცდილებას გაეცნო – იხ.: ხეც. დიმიტრი ყიფიანის არქ., საქ. №336; ქლსმ. №№14751-ბ. ფ. 24); გ) „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ 1856 წლის 27 დეკემბრის კრებაზე წაკითხულ მოხსენებაში დიმიტრი ყიფიანი ჩვენში სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების ტრანსფორმაციის საგანგებო მნიშვნელობის საქმეში წარმატების გზად ევროპული გამოცდილების ათვისებასა და გადმონერგვას მიიჩნევს (ყიფიანი 1857).

ახალ მოღვაწეებში, სიტყვით, კალმით, საქმით, სულითა და გულით მათთან იყო“ (წერეთელი 1958: 121).

1857 წლის აპრილში დიმიტრი ყიფიანი ეკატერინე დადიანის თხოვნითა და მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის დავალებით სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის, ნიკოლოზ დადიანის (შემდგომში – დადიან-მინგრელსკის), ადგილ-მამულისა და ქონების მეურვედ („ოპეკუნად“) დაინიშნა. ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა, პეტერბურგში განვეული მცირეწლოვანი მთავარი კერძო მემამულის მდგომარეობამდე ჩამოექვეითებინა, რაც ახლო მომავალში სამეგრელოს სამთავროს გაუქმებით უნდა დასრულებულიყო, თუმცა დიმ. ყიფიანი, „როგორადაც ეგ მის მთლიან და გაბედულ პიროვნებას შეეფერებოდა, კანონიერების დარაჯად დადგა“ (ჯორჯაძე 1989^ა: 446-447). მეურვესა და კავკასიის ხელისუფლებას შორის წარმოიშვა მწვავე კონფლიქტი. როცა ადგილზე ყველა საშუალება ამონურა, დიმ. ყიფიანმა პეტერბურგში უშუალოდ იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან დაიცვა საკუთარი სიმართლე და მთავრის კანონიერი ინტერესები. საბოლოოდ კი ეს ყოველივე იმით დასრულდა, რომ ამ საქმეში დამარცხებულმა ალ. ბარიატინსკიმ 1862 წლის 21 ივნისს დიმ. ყიფიანი დემონსტრაციულად დაითხოვა სამსახურიდან. ამის შემდეგ დიმ. ყიფიანი სიცოცხლის ბოლომდე სახელმწიფო თანამდებობაზე არ ყოფილა – მთელი თავისი დრო და ენერგია მან საზოგადოებრივი ასპარეზისკენ მიმართა. სხვადასხვა დროს ქართველი საზოგადოების მიერ იგი არჩეული იყო თბილისისა (1864-1870) და ქუთაისის (1885-1886) გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“), თბილისის ქალაქისთავად (1875-1879) და სხვ.

სხვადასხვა წლებში დიმ. ყიფიანი მონაწილეობდა როგორც საიმპერიო, ისე კავკასიური მასშტაბით მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში: 1851 წლიდან იყო „რუსეთის საიმპერა-

ტორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრი (1856 წლიდან – განმკარგულებელი კომიტეტის წევრი), „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ჯერ მმართველი საბჭოს წევრი (1850 წლიდან), შემდეგ კი (1860-იან წწ.) „საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების“ წევრი (1864 წლიდან), „თბილისის მუსიკალური საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი,¹¹ „კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების“ მმართველობის დამფუძნებელი წევრი (1877 წლიდან) და სხვ.; აგრეთვე: „თბილისის საპატიმროებზე მზრუნველი კომიტეტის“ წევრი (1860-1870-იანი წწ.), „მეომართ ცოლ-შვილისთვის საზრუნველი საზოგადოების“ თავმჯდომარე (1877-1878) და სხვ.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის თხოვნით დიმ. ყიფიანმა შეადგინა საგლეხო რეფორმის პროექტი, რომლის საფუძველზეც (თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებებით) იმპერატორმა ალექსანდრე II-მ 1864 წელს ბატონყმობა გააუქმა აღმოსავლეთ საქართველოში. დიმ. ყიფიანი პრინციპულად მხარს უჭერდა გლეხებისთვის თავისუფლების მინიჭებას, თუმცა მიწაზე საკუთრების უფლების გარეშე, ხოლო გლეხთა გაპროლეტარების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიიჩნევდა მათ გადაყვანას ხიზანთა იურიდიულ მდგომარეობაში.

საგლეხო რეფორმის დიმ. ყიფიანისეული პროექტის შესახებ არჩილ ჯორჯაძე წერს: „მას ასულდგმულებდა ორი აზრი, – ერთის მხრით იგი აღფრთოვანებული იყო ადამიანის თავისუფლების იდეით, მეორეს მხრით, ამ დიდი იდეის განხორციელება ისე უნდოდა, რომ არ შერყეულიყო სოციალური წყობილების

¹¹ დიმ. ყიფიანი იყო ნამდვილი მელომანი – კლასიკური მუსიკის, განსაკუთრებით, საოპერო ხელოვნების საფუძვლიანი მცოდნე და თავისმცემელი და, სხვათა შორის, თვითონაც უკრავდა ფორტეპიანოსა და, როგორც ზემოთ ითქვა, ვიოლინოზეც.

მშვიდობიანობა და მემამულენი ძალიან არ დაზარალებულიყვნენ. უფლებრივი თავისუფლება, ხოლო ეკონომიური დამოკიდებულება – აი ფორმულა დ. ყიფიანის პროექტისა“ (ჯორჯაძე 1989: 442).

ეროვნული მნიშვნელობის პირველი წამოწყება, რომელსაც უშუალოდ დიმიტრი ყიფიანმა ჩაუყარა საფუძველი, იყო **„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“** (1842-1848). იგი იყო „ბიბლიოთეკის“ დაარსების ინიციატორიც, ორგანიზატორიც, უშუალო ხელმძღვანელიც, ხოლო ამ საქმეში მისი თანამდგომნი (დამფუძნებელი წევრები) იყვნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, მიხეილ თუმანიშვილი, ზაქარია ფალავანდიშვილი და სხვ.; ბიბლიოთეკა დაკომპლექტებული იყო რუსეთიდან გამოწერილი, საქართველოშივე მოპოვებული თუ შემონირულებებით მიღებული ქართული, რუსული, დასავლეთევროპული (ძირითადად ფრანგული) წიგნებითა და პერიოდული გამოცემებით. ბიბლიოთეკის წესდების, აგრეთვე, წევრთა მიმონერიდან ირკვევა, რომ დიმ. ყიფიანსა და მის თანამოაზრეებს საბიბლიოთეკო ცენტრის შექმნაზე უფრო დიდი და შორს გამიზნული ამოცანები ჰქონიათ დასახული: ძველი ქართული ხელნაწერების მოძიება, თავმოყრა და დაცვა, მათი შესწავლა და პუბლიკაცია, პერიოდული ორგანოს დაარსება, მთარგმნელობითი და საკვლევადიებო საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და სხვ.; ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული იყო ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სალიტერატურო ცენტრის ჩამოყალიბება.

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკამ“ მკვეთრად გამოაცოცხლა იმდროინდელი საზოგადოების მნიგნობრული და საგანმანათლებლო ინტერესები, თუმცა კარგად დანყებულმა საქმემ შესაფერისი განვითარება ვერ პოვა: ვერ მოხერხდა „ბიბლიოთეკის“ საქმიანობით საზოგადოების ფართო ფენების დაინტერესება,

„ბიბლიოთეკის“ არაერთი ნევერი სამსახურებრივმა ვალდებულებამ აიძულა, დაეტოვებინა თბილისი და სხვ.

მართალია, მაშინ ვერ მოხერხდა თბილისში საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის შენარჩუნება, რისი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოება მოუმზადებელი აღმოჩნდა ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციისა და ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად მიზანმიმართული საქმიანობისათვის, მაგრამ დიმ. ყიფიანის ამ მცდელობას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია – „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ XIX საუკუნის საქართველოში პირველი ცდაა **საზოგადოებრივ ინიციატივაზე** დაფუძნებული ეროვნული მიზანდასახულობის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის დაარსებისა და ამ მხრივ იგი წინამორბედი ქართული თეატრისა, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“ და სხვ.

დიმიტრი ყიფიანი **თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის** დაარსების ინიციატორია. 1864 წელს საქართველოში საგლეხო რეფორმასთან (ბატონყმობის გაუქმებასთან) დაკავშირებით დიმ. ყიფიანმა სპეციალურად მიმართა ქართველ თავადაზნაურობას და სთხოვა, იმ ფულიდან, რომელსაც თავადები და აზნაურები ყმების გათავისუფლების საკომპენსაციოდ მიიღებდნენ, მეხუთედი სათავადაზნაურო ბანკის დასაარსებლად გადაედოთ:

„ყოველთავე თავად-აზნაურთ მოგმართავთ ჩვენის საზოგადოების ნევრთა, რომელთაც შეგიძლიანთ ნათელის გონიერებითაც ცხადად დაინახოთ და განწმენდილის გულითაც კარგად ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გაქვესთ წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, თუ დღევანდელი ნიჭი უნაყოფოდ მოიხმარეთ... და თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე

ნაწილი ჩვენის შვილებისა და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ, მაშინ, – გთხოვთ, კარგად დაუფიქრდეთ ამას, – რაოდენ შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივს ვალდებულებასა და რაოდენ ხელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოების განათლებასა!! ხომ კარგათ იცით, რომ დღეიდან განათლებალა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი!..“ (ყოფიანი 1864: 11-16).

თავიდან დიმი. ყოფიანი თავადაზნაურობის გავლენიანი ნაწილის წინააღმდეგობას ნააწყდა. მაშინ მან „აილო ხელში ყავარჯენი, ფეხთ ჩაიცვა, როგორც ჩვენი ხალხი იტყვის, რკინის ქალამნები, და ასე per pedes apostolorum (ფეხით, მოციქულთა მსგავსად) გაუდგა გზას. გადადიოდა სოფლიდან სოფელში, როგორც ძველ დროს ბერები დადიოდნენ სოფელ-სოფელ კალმასობაზე...“ (მანსვეტაშვილი 1985: 139-140).

ხანგრძლივი და ინტენსიური მუშაობის შემდეგ დიმი. ყოფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბანკის წესდება, რომელიც რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ არ დაამტკიცა. 1870-იანი წლებიდან ბანკის დაარსების საქმეს სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა, ურთულესი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ წარმატებით დაავიკრავინა იგი და საბოლოოდ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი ფართო დიპაზონის საკრედიტო და საქველმოქმედო დაწესებულებად აქცია – ათეული წლების განმავლობაში ბანკი აფინანსებდა ქართულ გიმნაზიას, სკოლებს, ქართულ თეატრს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ქართველ სტუდენტობას რუსეთსა და ევროპაში და ა. შ.; 1880-იან წლებში ბანკის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის გარშემო გაიმართა მწვავე პოლემიკა დიმი. ყოფიანსა და ი. ჭავჭავაძეს შორის და, მიუხედავად პოლემიკის სიმწვავისა, ილიამ თავისი წერილების სერია ამ სიტყვებით დაასრულა: „უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენს მიერ, რომ არა ვსთქვათ, რა სამსახური გაუწია ბ-ნმა დიმიტრი ყოფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველ მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვაწლი, დიდი მხნე-

ობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის... მან მარტომ იდვა ეგ კისრად და მარტომ შეასრულა თვისის სახელის სასიქადულოდ... ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყები, მეთაური და შესაძლოდ მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქმნება მის სახელთანა“ (ჭავჭავაძე 1956: 418; საკითხის გარშემო იხ.: ასათიანი 1979: 31-93; ასათიანი 1994: 38-99; თელია 1989: 8-31; ყურული 1912; ყურული 2011: 83-91; უთურაშვილი 1989: 97-113; ხუნდაძე 1936: 152-177; ჯორჯაძე 1989: 490-506).

განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა დიმიტრი ყიფიანის წვლილი **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** დაარსებაში. თავდაპირველად ამ ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების შექმნის იდეა დაიბადა თვალსაჩინო მოღვაწისა და კულტურტრეგერის, იოსებ მამაცაშვილის, ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ და ქვეყნის ბედსა და მომავალზე მსჯელობდნენ: იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნიკო ცხვედაძე, მარიამ ჯავახიშვილი, დიმიტრი და ანა მუსხელიშვილები და სხვ. საბოლოოდ ამ ჯგუფმა საქმის ორგანიზება დიმიტრი ყიფიანს სთხოვა და მასვე ჩააბარა მეთაურობა. დიმ. ყიფიანმაც მისთვის ჩვეული ენერგიულობით უხელმძღვანელა ამ საქმეს, თანამოაზრეებთან ერთად გადალახა ხელისუფლების წინააღმდეგობა, 1879 წლის 31 მარტს დაამტკიცებინა წესდება, ხოლო იმავე წლის 15 მაისს შედგა დამფუძნებელი სხდომა, რომელმაც „ქმნ-კგ საზოგადოების“ თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი, ხოლო მის ამხანაგად (მოადგილედ) ილია ჭავჭავაძე აირჩია.

დიმ. ყიფიანი „საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდა 1879-1882 წლებში. შემდეგ იგი შეცვალა ივანე მუხრანბატონმა, 1885 წლიდან კი „საზოგადოებას“ სათავეში ჩაუდგა ილია ჭავ-

ჭავაძე, რომლის ხელშიც იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა უპირველეს ეროვნულ დაწესებულებად, „ჩვენს ეროვნულ თავშესაფრად“, როგორც მას თანამედროვენი უწოდებდნენ (საქართველოს კალენდარი 1904: 275) – „ქმნ-კგ საზოგადოება“ აარსებდა სკოლებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (ვლადიკავკაზი, მოზდოკი, ბაქო...), ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს, იდეურად და მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ თეატრს, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის წიგნებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს, ზრუნავდა ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაზე, ხელს უწყობდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და პუბლიკაციას, ეროვნული მუსიკისა და მხატვრობის განვითარებას, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს, იცავდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, სტიპენდიებს უნიშნავდა რუსეთსა და ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას და ა. შ. („ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსებასა და მუშაობაში დიმ. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ იხ.: გოგებაშვილი 1990: 251-258; თულაშვილი 1895: 49-52; უთურაშვილი 1989: 117-121; ჯორჯაძე 1989: 532-539).

დიდი ღვაწლი დასდო დიმიტრი ყიფიანმა **ქართულ თეატრს**. იგი იყო გიორგი ერისთავის პროფესიული ქართული თეატრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, მან გამოსთხოვა მეფისნაცვალ ვორონცოვს თეატრის ჩამოყალიბების ნებართვა, მისი ინიციატივით ჩაუყენეს ამ საქმეს სათავეში გ. ერისთავი. ამას გარდა, დიმიტრი ყიფიანმა მეფისნაცვალს რუსულ ენაზე უთარგმნა გ. ერისთავის „გაყრა“ და ითამაშა კიდევაც (ივანეს როლი) 1850 წლის 2 (14) იანვრის ისტორიულ წარმოდგენაში.

1860-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ხელისუფლების მიერ ქართული თეატრი უკვე გაუქმებული იყო, დიმ. ყიფიანი სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრეს და თბილისში რამდენიმე სპექტაკლი წარმოადგინა (მოგვი-

ანებით ერთ-ერთი წევრი ამ წრისა, ანტონ ფურცელაძე, დაწერს: „ჩვენი გამოუცდელი ბიჭუნებისგან დიმიტრი ყიფიანმა ნამდვილი მსახიობები შექმნა“ – ფურცელაძე 2007: 72). 1867 წლიდან დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა ნიკო ავალიშვილი, ხოლო 1871 წლიდან ინიციატივა ისევ დიმიტრიმ აიღო და ი. მამაცაშვილთან ერთად თბილისის თეატრალურ ცხოვრებას მეტ-ნაკლებად სისტემური სახე მისცა. დიმ. ყიფიანი სათავეში ედგა იმ მოძრაობას, რომელიც 1881 წელს „ქართული დრამატული საზოგადოების“ შექმნით დაგვირგვინდა; „საზოგადოებისა“, რომელიც დაარსების დღიდანვე ეროვნული თეატრალური ხელოვნებისა და ზოგადად საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მძლავრ კერად იქცა. ა. ფურცელაძის თქმით, „დიმიტრი ყიფიანს სცენა ძლიერ უყვარდა და თვალს ადევნებდა თეატრალურ ცხოვრებას არა მარტო თბილისში, არამედ – იმპერიის დედაქალაქში და თვით პარიზშიც კი. უფრო მეტიც, იგი იკვლევდა კიდევაც სახელგანთქმული მსახიობების: ტამბერლიკის, ადელინა პატისა და სხვათა შემოქმედებას“ (ფურცელაძე 2007: 72).

დიმ. ყიფიანი თვითონაც გამოდიოდა სცენაზე, დგამდა სპექტაკლებს (შექსპირი, მოლიერი და სხვ.), რეპეტიციების ჩასატარებლად თავის საცხოვრებელს უთმობდა უბინაოდ დარჩენილ დასს, დეკლამაციით გამოდიოდა სალიტერატურო თუ თეატრალიზებულ სადამოებზე, სცენაზე გამოჰყავდა საკუთარი ოჯახის წევრები და ა. შ. (დიმ. ყიფიანის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: გერსამია 2011: 125-136; ჯოლოგუა 2002: 206-214; ფურცელაძე 2007: 71-73; გაბაშვილი 1925: 3-4).

დიმიტრი ყიფიანის განუწყვეტელი ზრუნვის საგანი იყო **სასკოლო განათლება**. 1840-იან წლებში მან არსებითი ხასიათის მონაწილეობა მიიღო წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის დაარსებაში, 1840-1850-იან წლებში სახელმწიფო

თანამდებობების პარალელურად დიმ. ყიფიანი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს წევრი და „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების“ თავმჯდომარე. უნდა ითქვას, რომ 1850-1860-იან წლებში თბილისის გიმნაზიაში ქართული ენა დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი პროგრამით ისწავლებოდა და ამ პროგრამაში მკაფიოდ იყო ასახული შემდგენლის სურვილი – მოსწავლეები ღრმად დაუფლებოდნენ მშობლიური ენის საფუძვლებს.¹²

დიმიტრი ყიფიანი ზრუნავდა ქართული სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიების შედგენაზე, სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ქართული წიგნებით დაკომპლექტებაზე, 1851-1864 წლებში იგი საზოგადოების მიერ ზედიზედ ოთხჯერ იყო არჩეული თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად. მართალია, ამის შემდეგ ხელისუფლებამ იგი ჩამოაშორა სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეს, თუმცა ამით სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი დიმ. ყიფიანის ყურადღება არ შენელებულა. განსაკუთრებით ეს ეხება სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლების საკითხს, რომელიც 1870-1880-იან წლებში დიმ. ყიფიანის პუბლიცისტიკის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა. საქართველოში (ზოგადად კავკასიაში) განათლების მზრუნველის, კირილე იანოვსკის, ხელით განხორციელებულ პოლიტიკას დიმ. ყიფიანმა „ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყარო“

¹² დიმ. ყიფიანის მიერ 1854 წლის მარტში შედგენილი პროგრამის მიხედვით, თბილისის გიმნაზიაში ისწავლებოდა საგნები: „ნაბეჭდი ხუცურის კითხვა“, „ძირითადი გრამატიკული განსხვავებანი ძველ მნიგნობრულ ენასა და თანამედროვე ხალხურს შორის“, „სავარჯიშოები ძველი [ქართული] ენიდან თანამედროვე ენაზე გადმოსაღებად“, „ქართლური კილოს მოკლე მიმოხილვა და მისი ძირითადი გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებები“ და სხვ. (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №252, ფ. 4; ჯოლოგუა 2002: 192-194).

უნოდა (ყიფიანი 2014). საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ 1880-იან წლებში კავკასიის სახელისუფლებო წრეებთან დიპ. ყიფიანის შეტაკების ძირითადი მიზეზი სასწავლებლებში ქართული ენის აღმოფხვრის მცდელობა იყო, ხოლო რაც შეეხება ეგზარქოს პავლესადმი გაგზავნილ ცნობილ წერილს, იგი მხოლოდ საბაბად იქნა გამოყენებული. სტავროპოლში დიპ. ყიფიანის გადასახლების ნამდვილი მიზეზები მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ დიპ. ტოლსტოისადმი გაგზავნილ კონფიდენციალურ მიმართვაში ასეა მოტივირებული: „მან უკვე მეტისმეტად აშკარად და მკვეთრად გააძლიერა აგიტაცია ამჟამად აქ მოქმედი ... საგანმგებლო სისტემისა და, განსაკუთრებით, სასწავლო უწყების წინაშე დასახული ამოცანების წინააღმდეგ“ (ჯოლოგუა 1997: 15; განათლების სფეროში დიპ. ყიფიანის მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ხუნდაძე 1936: 220-228; კეკელიძე 1953: 43-48; უთურაშვილი 1989: 241-253; ჯოლოგუა 2002: 186-206).

დიმიტრი ყიფიანი თვალსაჩინო ფიგურაა *ქართული ჟურნალისტიკის* ისტორიაში. მანანა ორბელიანის სალონის წევრთა თხოვნით, მან გამოსთხოვა მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს გიორგი ერისთავის ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) გამოცემის ნებართვა, მასვე ეკუთვნის ივ. კერესელიძის მიერ აღდგენილი იმავე სახელწოდების, თუმცა, ფაქტობრივად, ახალი „ცისკრის“ (1857-1875) უაღრესად საინტერესო და მკაფიოდ გამოხატული ეროვნული მიზანდასახულობის პროგრამა, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმა ვერ მოხერხდა და სხვ. (დიპ. ყიფიანის, როგორც ქართული პრესის ორგანიზატორის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2013: 111-112, 142-147).

დიპ. ყიფიანის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით საინტერესოა პოლემიკური ხასიათის წერილები, რომლებშიც ავტორი მწვავედ უპირისპირდება რუსიფიკატორულ პოლიტიკასა

და ამ პოლიტიკის რეალიზატორებს (მ. კატკოვი, კ. იანოვსკი...), იცავს ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და ისტორიით განმტკიცებულ უფლებებს. ამასთანავე, საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ქართული სახელმწიფოს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ დამსახურებებზე და ჩვენი ნაციონალური თვითმყოფობის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს მიიჩნევს დანაშაულად არა მხოლოდ საკუთრივ ქართველი ხალხის, არამედ – კაცობრიობის წინაშე (იხ.: ყიფიანი 1865; ყიფიანი 1995^ბ: 30-38; ყიფიანი 1995^ა: 39-48; ყიფიანი 2014: 38-45).

დიმიტრი ყიფიანს **ლიტერატურული შემოქმედებისთვის** ნაკლები დრო და ენერგია რჩებოდა, თუმცა მან ამ სფეროშიც დატოვა კვალი – იგი აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს, სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ტექსტებს, მემუარებს, თარგმნიდა უცხოურ ლიტერატურას... დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თარგმანები (შექსპირი, მოლიერი, ბომარშე და სხვ.). იგი შექსპირის პირველი („რომეო და ჯულიეტა“, 1841 წ.) და მოლიერის ერთ-ერთი პირველი („ცოლის შერთვევინება“, 1861 წ.) მთარგმნელია ქართულ ენაზე. დიმიტრი ყიფიანს თარგმნილი აქვს ინგლისურიდან: შექსპირის „ორი ვერონელი აზნაური“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ტყუილ-უბრალოდ ვაი-ვაგლახი“ (გ. გაჩეჩილაძის თარგმანში – „აურზაური არაფრის გამო“); ფრანგულიდან: შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ (თარგმნა ორჯერ – ჯერ რუსულიდან 1841 წ., ხოლო მეორედ ფრანგულიდან 1859 წ.¹³), ფრანგული ენიდან: მოლიერის „ცოლის შერთვევინება“, „სიყვარული მკურნალობს“, „სიყვარული მხატვრობს“,

¹³ 1860-1861 წწ. პეტერბურგში მყოფმა დიმიტრი ყიფიანმა იქაურ უნივერსიტეტში ინგლისური ენის სპეციალური კურსი გაიარა (ქლსმ, №14802-ბ) და, სრულყო რა თავისი ცოდნა ინგლისური ენისა, ამის შემდეგ იგი უკვე უშუალოდ დედნის ენიდან თარგმნიდა შექსპირს.

„ჩინებული სასიძონი“, „ავათა ვარო დაუჟინია“; ბომარშეს „სევილიელი დალაქი ანუ ამაო გაფრთხილება“, „ფიგაროს ქორნილი“; ა. მიუსეს „ბაბალეს თითის ტარი“; მ. ჟანლისის „ზვიმა. ქინაქინის ამბავი“ („გამოკრებილი“ თარგმანი), ო. ფეიეს „ლარიბის ყმანვილი კაცის რომანი“, ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტიდამ“ (ნაწყვეტები); რუსულიდან: ევალდის „ზნეობითისა აღზრდისათვის“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ივ. მარკოვის „გალობა კავკასიის მხედართა“,¹⁴ ო.-მ. მიტჩელის „ზეციერი მნათობები“ (I ლექცია), სავარაუდოდ – მ. გამაზოვის „XIX საუკუნის ქართველები ანუ მარჯვე ნიშნობა“; ქართულიდან რუსულად: „ნინო – საქართველოს განმანათლებელი“ („ქართლის მოქცევის“ ე. წ. ვახტანგ მეექვსისეული რედაქცია), გ. ერისთავის „გაყრა“ (დიმ. ყიფიანის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: ჯოლოგუა 2002: 157-179).

მართალია, დიმ. ყიფიანის თარგმანთა უმრავლესობას დღეს უფრო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ლიტერატურული, მაგრამ ისიც უდავო ფაქტია, რომ ამ თარგმანებმა თავის დროზე თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების აღორძინებაში, იმდროინდელი საზოგადოების ლიტერატურული ორიენტაციის, ინტერესებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, თეატრალური რეპერტუარის გამდიდრებაში. ამასთანავე, დიმიტრი ყიფიანი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, თარგმნიდა დასავლეთევროპულ ავტორებს, რითაც ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციას...

¹⁴ ეს არის პროპაგანდისტული ხასიათის ტექსტი, დაწერილი და თარგმნილი „კავკასიის ომში“ რუსი მხედრობის გასამხნეველად და მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე დიმ. ყიფიანმა, უნდა ვიფიქროთ, იგი ხელისუფალთა თხოვნითა თუ დავალებით თარგმნა (რუსულ-ქართული ტექსტები თბილისში ერთ ბროშურად გამოიცა 1848 წელს – მარკოვი 1848).

დიმიტრი ყიფიანი საინტერესო ფიგურაა *ქართულ ისტორიოგრაფიაში*. მის საისტორიო ნაშრომებში (1840-1850-იანი წწ.) დამუშავებულია ქართველთა ეთნოგენეზის, სახელმწიფოებრიობის, აღმსარებლობის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ქართული ენის, დამწერლობის, ლიტერატურის, განათლებისა და სხვ. საკითხები. გარდა მეცნიერული ინტერესებისა, ამ ნაშრომებს მკაფიოდ გამოკვეთილი პატრიოტული მიზანდასახულობა ჰქონდა: ერთი მხრივ, ავტორი რუს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ მოხელეებს – საერთოდ, რუსულენოვან მკითხველს (აქაც და რუსეთშიც) – უსაბუთებდა, რომ მათ საქმე ჰქონდათ არა უნარსულო და უმომავლო, გაუნათლებელ და უკულტურო ხალხთან, არამედ ისეთ ხალხთან, რომელიც შემოქმედია ძველი, უაღრესად საინტერესო და ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი კულტურისა. მეორე მხრივ, ისტორიული წარსულის შესწავლა-პოპულარიზაციით ავტორი ცდილობდა იმ დროის საქართველოში ფეხმოკიდებული ეროვნული ნიჰილიზმის აღმოფხვრას, თანამემამულეების დარწმუნებას, რომ ისინი შთამბეჭდავი პოლიტიკური, რელიგიური, კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეები იყვნენ. დიმ. ყიფიანის აზრით, ეს იყო შესანიშნავი საშუალება ქართველთა მოდუნებული ეროვნული თვითშეგნებისა და ენერგიის გამოცოცხლებისა და ამოძრავებისათვის.¹⁵

¹⁵ დიმ. ყიფიანი თანამედროვეთა შორის ითვლებოდა ზოგადად საქართველოს ისტორიისა და, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ საუკეთესო მცოდნედ. ამ მხრივ საგულისხმოა მის ბებუთოვის მიერ დიმ. ყიფიანისადმი მოსკოვიდან 1884 წლის 10 თებერვალს გამოგზავნილი ბარათი, რომელშიც ბარათის ავტორი ადრესატს უწოდებს „ქართული პატრიოტიზმის მამას“ და ატყობინებს – ჩემი და ილია სერეზრიაკოვის (ოქრომჭედლიშვილის) აზრია, საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღოთ „ქართლის ცხოვრება“ და, თუ თქვენ ამას იკისრებთ, წიგნის გამოცემის ხარჯს სერეზრიაკოვი გაიღებსო (ხეც. დიმ. ყიფიანია არქ., საქ. №1045; ჩხეტია 1947: 394).

დიმ. ყიფიანის შეხედულებით, ისტორია ისეთი კი არ არის, როგორც ჩვენ გვინდა, რომ იყოს, არამედ იგი მაინცადამაინც ისეთია, როგორც სინამდვილეში არის და ისტორიის გაყალბება ინყება მაშინ, როცა ჩვენ მას საკუთარ სუბიექტურ მიმართებებს, ადამიანურ განცდებსა თუ ფანტაზიას მოვახვევთ თავს: „ისტორიას აქვს თავისი სიმართლე და მას სრულებით არ აინტერესებს ჩვენი სურვილები თუ წარმოდგენები. იგი დაუნდობელია ჩვენი მიკერძოებული გრძნობებისა და დამოკიდებულებების მიმართ. მარტივი მსჯელობითაც კი ხდება შეცვლა და უკუგდება ყოველივე იმისა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს“ (ყიფიანი 1854: 5-6); ისტორია შესწავლილ უნდა იქნეს ცივი გონებით, წინასწარგანზრახული ჰეროიზაციისა და პოეტიზაციის გარეშე [„პოეტიზებული ისტორია უმეტესწილად კარგავს თავის ნამდვილობას“, – შენიშნავს ერთგან დიმ. ყიფიანი (ჯოლოგუა 2016: 12)]. ავტორის აზრით, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ „ნამდვილი ისტორიაა“ გამოსადეგი, როგორც გამოცდილება ანმყოფი არსებული პრობლემების გასააზრებლად და დასაძლევად.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დიმ. ყიფიანის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჯერ კიდევ 1850-იან წლებში მან:

ა) მარი ბროსეს შემდეგ პირველმა დასვა და დაასაბუთა ქართული საისტორიო წყაროების **კრიტიკული ათვისების** აუცილებლობის საკითხი.

ბ) ჩამოაყალიბა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ისტორია შესწავლილი უნდა იყოს არა იზოლირებულად, არამედ **საერთაშორისო კონტექსტში**.

გ) დიმ. ყიფიანი გარკვეული უნდობლობით უყურებდა მითოლოგიური თუ ფოლკლორული მონაცემების საისტორიო წყაროებად გამოყენებას და, ამ მხრივ, სხვებსაც მოუწოდებდა სიფრთხილისაკენ... (დიმ. ყიფიანის საისტორიო შეხედულებები იხ. ჯოლოგუა 2016).

ზოგადად მშობლიურ ენას დიმიტრი ყიფიანი ადამიანის თვითშემეცნების განმსაზღვრელ ფაქტორად და ეროვნული კულტურის საძირკვლად, ხოლო საკუთრივ **ქართულ ენას ქართველი ერის ნაციონალური თვითარსებობისა და თვითყოფადობის შენარჩუნება-განვითარებისა და კულტურულ-იდეოლოგიური აღორძინების უმთავრეს საშუალებად მიიჩნევდა**. მისი შეხედულებით, უსათუოდ გადაგვარდება, ღმერთიც ხელს აალებს და საკაცობრიო ცხოვრების ასპარეზიდან პირნმინდად აღიგვება ხალხი, „რომელიც თავისის ენისათვის არასაჭზრუნავს“ (ყიფიანი 1995¹⁶: 7).

დიმ. ყიფიანი თანამედროვეებს თვითონვე აძლევდა „ენისათვის ზრუნვის“ საუკეთესო მაგალითს: იკვლევდა ქართული ენისა და დამწერლობის გენეზისს, სალიტერატურო ქართულის დემოკრატიზაციისა და სხვა კარდინალურ საკითხებს. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი თხზულებები ქართული გრამატიკის საკითხებზე. ამ სფეროში მრავალწლიანი შრომა დიმ. ყიფიანმა დააგვირგვინა 1882 წელს სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი წიგნით – „ახალი ქართული გრამმატიკა“, რომელიც „ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით წინანდელ გრამმატიკებზე უფრო მალლა დგას და მათ შორის დ. ჩუბინაშვილისაზედაც“ (შანიძე 1998: 305) და „ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი დაწერილა ამ დარგში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში“ (ჩიქობავა 1998: 309;¹⁶ დიმ. ყიფიანის გრამმატიკული შეხედულებების შესახებ იხ.: ჩიქობავა 1998: 306-

¹⁶ დიმ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკის“ შეფასებისას არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „ეს გრამმატიკა ობიექტურად, მართლაც, ახალი გრამმატიკაა ... სამწუხარო ისლაა, რომ არც ნ. მარს, არც მათ, ვისაც შემდეგში ქართული ენის აგებულებისა და, კერძოდ, ქართული ზმნის უღვლილების პრობლემებზე მუშაობა უხდებოდათ, არსად, ერთის სიტყვითაც არ მოუხსენებიათ ის შესანიშნავი ნაშრომი, რომელშიაც უკვე ამოცნობილი იყო ძირითადი თვისება ქართულის ზმნისა – მიმართვითი ფორმების არსებობა“ (ჩიქობავა 1998: 309, 314).

314; ჩიქობავა 2008: 302-307; შანიძე 1998: 303-305; ლეჟავა 1986: 60-90; ლეჟავა 2004: 6-18). ვფიქრობთ, საგულისხმოა ის თვალსაზრისი, რომელიც დიმ. ყიფიანს ქართული ენის ტიპოლოგიურ ბუნებაზე მსჯელობის შემდეგ დასკვნის სახით აქვს ჩამოყალიბებული: „ქართულმა ენამ – მიიღო და შეითვისა რა სპარსული, არაბული, ბერძნული, ლათინური, თურქული და, ბოლოს, სლავური თუ რუსული სიტყვები – უძველესი დროიდანვე შეინარჩუნა საკუთარი ბუნება. იგი დღემდე რჩება თვითმყოფ ენად და პირდაპირი ნათესაობით არ არის დაკავშირებული არც ერთ იმ ენასთან, რომელზეც ლაპარაკობდნენ ან ლაპარაკობენ არათუ დაშორებული ქვეყნების, არამედ თვით კავკასიის ხალხებიც კი“ (ყიფიანი 1854: 25; ჯოლოგუა 2016: 91).

ჯერ კიდევ 1840-1850-იანი წლებიდან დიმ. ყიფიანი პრაქტიკულად ამკვიდრებდა (თარგმანები) და თეორიულადაც ასაბუთებდა ქართული სალიტერატურო ენის ხალხის მეტყველებასთან დაახლოების აუცილებლობას. ამ მხრივ იგი დგას იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის ენობრივი რეფორმის – სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის – სათავეებთან,¹⁷ რომლის გაფართოება, მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნება და სამწერლობო პრაქტიკაში დამკვიდრება 1860-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის (ზოგადად თერგდალეულთა) სახელთანაა და-

¹⁷ 1850-იანი წწ. დასაწყისში დიმ. ყიფიანი საგანგებოდ შენიშნავს: „დღეს შექმნილი ენობრივი ვითარება იძლევა უკმაყოფილების საფუძველს: ზეპირი მეტყველება – მოქნილი, მწყობრი, ლალად მდინარი, ქალაქებზე გადატანისას რაღაცნაირად ბლანტი, მძიმე და არაბუნებრივი ხდება, გადის თვით სასულიერო და ბელეტრისტული ტექსტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ჩარჩოებიდან, ანუ ჩამორჩება ცოცხალი სასაუბრო ენის განვითარებას და მიემსგავსება იმგვარ მთვლემარე ენას, დღეს რომ „მნიგნობრულს“ უწოდებენ“ (ყიფიანი 2016: 92).

კავშირებული (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2002: 125-133).

იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის (1881 წ. მარტი) შემდეგ რუსეთის იმპერიაში დაუფარავი, შოვინიზმით აღბეჭდილი პოლიტიკის განხორციელება ახალ ფაზაში შევიდა, ხოლო 1882 წლიდან, კავკასიის მთავარმართებლად ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნის შემდეგ, ამ პოლიტიკამ საქართველოში „ნაციონალისტურ კაციჭამიობის“ (ჯორჯაძე 1989: 514) სახე მიიღო.

80-იანი წლების რეაქცია თანამიმდევრულად ამსხვრევდა რამდენიმე თაობის ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ ეროვნულ-კულტურულ მონაპოვრებს და, ამასთანავე, ამსხვრევდა თვითონ დიმი. ყიფიანის მრწამსსაც – საჭიროა ლოიალობა პოლიტიკური სისტემის მიმართ, რადგანაც შესაძლებელია „ჩვენი ხალხოსნობის“ შენარჩუნება და განვითარება ამ სისტემის ფარგლებშივე.

მოქმედების ორნით შეპყრობილმა მოღვაწემ ეროვნული ინტერესების დასაცავად და საკუთარი მრწამსის გადასარჩენად დატოვა თავდაცვითი პოზიცია, რომელზეც იგი 1860-1870-იანი წლებში იდგა და, ერთადერთმა მაშინდელ საქართველოში, ბრძოლის ასპარეზი პრესის ფურცლებიდან უშუალოდ ადმინისტრაციულ სფეროებში გადაიტანა, კერძოდ, დაუპირისპირდა საქართველოში ასიმილაციური პოლიტიკის სამ ბურჯს: მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს, ეგზარქოს პავლესა და განათლების მზრუნველ კ. იანოვსკის.

ამ ყოვლად უთანასწორო და ტრაგიკული თავგანწირულებით აღბეჭდილი ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგა, როდესაც საქართველოში მოხდა გაუგონარი ამბავი – მწყემსმთავარმა დასწყველა თავისი სამწყსო.

1886 წლის 24 მაისს თბილისის სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა შურისძიების ნიადაგზე ხანჯლით მოკლა

სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. მოკლულის პანაშვიდზე თბილისში, ხალხით გაჭედილ ალექსანდრე ნეველის ტაძარში, ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) მკრეხელური სიტყვები წარმოთქვა: „დაინყევლოს სამუდამოთ შენი მკვლელიცა და ის ოჯახიცა, რომელმაც შობა იგი, დაინყევლოს ის წრე და ის ერი, რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელი“ (ციფიანი 1912).

საქართველოში ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა და ამ სიჩუმეში გაისმა დიმიტრი ციფიანის ხმა. მან წერილი მისწერა ეგზარქოსს და მოსთხოვა საქართველოს დატოვება [„თუ ყველაფერი ეს მართალია, მეუფეო, თქვენი წოდებრივი ღირსების გადარჩენა ამასღა შეუძლია – შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილი ქვეყნიდან“ (ციფიანი 1995: 82)].

ხელისუფლება აქამდე იძულებული იყო, ანგარიში გაენია იმ გარემოებისათვის, რომ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას დიმიტრი ციფიანი წინამძღოლად ჰყავდა არჩეული; ანგარიში გაენია აგრეთვე საზოგადოებაში დიმიტრი ციფიანის პატიოსანი სახელისა და ურყევი ავტორიტეტისათვის. ახლა კი ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა „მეამბოხისათვის“ ანგარიშის გასასწორებლად. ალ. დონდუკოვ-კორსაკოვმა კონფიდენციალური წერილით მიმართა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ დიმიტრი ტოლსტოის: „წლებმა და გამოცდილებამ ვერ დააცხრობ-ნი ციფიანის ავადმყოფური ლტოლვა – გაითამაშოს ქართული ნაციონალიზმის მონინავე ქომაგის როლი და ამგვარი პირფერობით მოიხვეჭოს პოპულარობა ადგილობრივი თავადაზნაურობის ფრონდირებულ ნაწილში... მან უკვე მეტისმეტად აშკარად და მკვეთრად გააძლიერა აგიტაცია ამჟამად აქ მოქმედი – მისი უდიდებულესობის უზენაესი ნებით დამკვიდრებული – მხარის საგანმგებლო სისტემისა და, განსაკუთრებით, სასწავლო უწყების წინაშე დასახული ამოცანების წინააღმდეგ. ხოლო უკანასკნელი მოქმედებით ბ-ნ ციფიანს სურს შეარყიოს

გავლენა ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლისა, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობს უმეცარ და მყარ ზნეობრიობას მოკლებულ ქართველ სამღვდელოებაში ვითარების გაუმჯობესებას. ეს ყოველივე მაყენებს სამწუხარო აუცილებლობის წინაშე, განვაცხადო: მართებლობისთვის საზიანოდ მიმაჩნია ბ-ნი ყიფიანის დატოვება არა მარტო თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე, არამედ საერთოდ იმ მოსახლეობაში, რომელიც მიჩვეულია, მის პიროვნებაში ხედავდეს ხალხის ყალბად გაგებულ ინტერესებზე მზრუნველს... მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეებას, მოახსენოს ეს ყოველივე ხელმწიფე-იმპერატორს და გამოითხოვოს უზენაესი ნებართვა, რომ ყიფიანი დათხოვნილ იქნეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან და საცხოვრებლად მიეჩინოს ქალაქი სტავროპოლ-კავკაზსკი. მისთვის უცხო და უცნობ ეროვნულ გარემოში ყიფიანი მოკლებული იქნება საშუალებას, გააგრძელოს თავისი საძრახისი საქმიანობა“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 15).

იმპერატორ ალექსანდრე III-ის განკარგულებით, 1886 წლის 4 აგვისტოს დიმიტრი ყიფიანი გადააყენეს წინამძღოლობიდან, ხოლო იმავე წლის 27 ოქტომბერს მსცოვანი მოღვაწე ბადრაგის თანხლებით სტავროპოლის გზას გაუყენეს.

სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ სამშობლო ქვეყნის ინტერესთა დაცვა მისგან მაინცადამაინც სიცოცხლის გაღებას მოითხოვდა. და, მიუხედავად ამისა, იგი ოჯახის წევრებს კატეგორიული ტონით სწერდა: „ამის იმედი მაინც მაქვს, რომ შეწყალებაზე არსად, არასოდეს არავითარი ლაპარაკი არ იქნება, რამდენადაც შეწყალებას, გარდა ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრებისა, მხოლოდ დამნაშავეები ითხოვენ“ (ყიფიანი 1995³: 106).

მოხუცებულსა და ავადმყოფ დიმიტრი ყიფიანს არც სტავროპოლში დაუყრია ფარ-ხმალი: „მე თვითონ უნდა ავხადო სიმართლეს ფარდა, – სწერს იგი სტავროპოლიდან მეუღლეს, –

მე თვითონ უნდა ვთქვა სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი! ჩემ გარდა ეს არავის ძალუძს!“ (ყიფიანი 1995⁹: 108).

„მწარე სიმართლის“ სათქმელად დიმ. ყიფიანმა რუსეთის იმპერატორთან შეხვედრა გადანყვიტა. იგი იცნობდა საიმპერატორო ოჯახის წევრს, კავკასიის მეფისნაცვალს 1862-1881 წლებში, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომლის მეშვეობითაც, გავრცელებული ხმებით, მოიპოვა ალექსანდრე მესამესთან აუდიენციის უფლება. თავის მხრივ, კავკასიის ხელისუფლებამაც იგრძნო საშიშროება და გადანყვიტა, ხიფათისათვის სასწრაფოდ დაესვა წერტილი – 1887 წლის 25 ოქტომბრის დილას დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში, იაფფასიან კერძო სასტუმრო სახლში, სადაც იგი ცხოვრობდა, საწოლში იპოვეს ხელფეხშეკრული და ტვინდანთხეული. სტავროპოლის სასულიერო სემინარიის მოსწავლე ალ. ლეონიძე მოგვიანებით გაიხსენებს: „დილაადრიან მთავარ ქუჩაზე მივეშურებოდი. შორიდანვე დავინახე, დიმიტრი ყიფიანის სადგომთან აუარებელი ხალხი ირეოდა. მაშინვე ვიგრძენი, რაშიაც იყო საქმე... ერთი წუთის შემდეგ მე აღელვებული და ცრემლმორეული ვიდექი დიმიტრის საწოლის გვერდით. თოვლივით სპეტაკ საწოლში და საცვლებში დიმიტრი იწვა პირსახოცით ფეხებ და ხელებშეკრული. საფეთქელში ჰქონდა დაკრული გირი ან მრგვალი რამ. ჩაჭეჭილიდან ტვინი და სისხლი გადმოხეთქოდა სპეტაკ ჭალარაზე“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 154-155).

„ივერიაში“ ზედიზედ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილები, რომლებშიც ავტორმა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების წესსა და მის ნამოღვაწარზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ზოგადი ტიპი დიდბუნებოვანი, ურყევი პრინციპებისა („ხასიათიანი“) და მადლისმქმნელი მამულიშვილისა:

„რომ მე მართლა-და ჭემმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერი იყვნენო“, – ამბობს ერთი მეცნიერი. მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის. ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღვწის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეუ-

ლი არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია. ამ გაერთებისათვის დიდის ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც-კი ეგ ღონე და შეძლება აქვს, იგი მით ნაწილია ყველასი, – ჩემიც, თქვენიც და სხვისაც, იმიტომ, რომ იგი ჩემს, თქვენს და სხვის ბედნიერებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავის საკუთარ ბედნიერებას და, მაშასადამე, იმისი ბედნიერება და უბედურობა – ჩემი, თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურობა უნდა იყოს. ეს ისეთი ძნელი გასადები ხი-დია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითოეული ბიჭი ღვანლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვანლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამი-ტომაც გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია გაოცებამდე, გა-კვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმა-ც-კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს. – როცა ამისთანა კაცი მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილად-ხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ვგრძ-ნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთ, და ამის შემდეგ რალა საკვირველია, რომ მივტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა“ (ჭავჭავაძე 1955: 226).

სტავროპოლიდან ვლადიკავკაზის გზით წამოსვენებული ცხედარი დიმიტრი ყიფიანისა რამდენიმე დღე მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარში იყო დასვენებული. ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნა იყო მიცვალებულის მცხეთიდან ქვიშხეთში გადასვენება (თბილისში შეუსვლელად) და იქ დასაფლავება, საზოგადოება კი კატეგორიულადვე მოითხოვდა მიცვალებულის დაკრძალვას თბილისში, მთანმინდაზე, მამადავითის ეკლესიის გალავანში, საბაბად კი იმას იშველიებდა, რომ იქ დი-მიტრის ორი მცირეწლოვანი შვილი იყო დაკრძალული.

საბოლოოდ ხალხმა მაინც თავისი გაიტანა და დიმიტრი ყიფიანი თბილისისკენ წამოასვენა. საბურთალოსთან კუბო ბაღდახინიდან ჩამოიღეს და მგალობელთა თანხლებით გააგრძელეს გზა „ცინკში ჩაჭედოლი კუბო გადმოვიღეთ და საკაცეზე დავდეთ. ხალხი მყისვე შეება საკაცეს და ერთმანეთს გლეჯდნენ ხელიდან. ძლივს აღვადგინეთ წესრიგი...“ – დაწერს მოგვიანებით ვ. გუნია (გუნია 1922)]. მრავალრიცხოვან პროცესიას, რომელშიც მონაწილეობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვალერიან გუნია, გიორგი შარვაშიძე და სხვები, წინ მიუძღოდა ქართველი სამღვდლოება ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის მეთაურობით. სამგლოვიარო მსვლელობა თანდათანობით მძლავრი საპროტესტო გამოსვლის სახეს იღებდა. მაშინ ხელისუფლებამ ქალაქში პოლიცია და ჟანდარმერია გამოიყვანა და გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე გზა სასწრაფოდ შეკრა.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და შეტაკებაც თითქოს გარდაუვალი ჩანდა. მაგრამ ამ დროს სასიქადულო თავგამოდება გამოიჩინა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელმაც ჯვარი ზეალმართა და შეძახილით – „გზა მიეცით ჯვარს!“ – პოლიციის რიგებში ჯიქურ შევიდა. პოლიციამ მღვდელმთავრის შეჩერება ვეღარ გაბედა და ძალაუნებურად დერეფანი გახსნა. ხალხმა ამით ისარგებლა, გაარღვია პოლიციისა და ჟანდარმერიის რაზმები და გოლოვინის პროსპექტზე გაიშალა. კუბო ცოტა ხნით მთავარმართებელ დონდუეკოვ-კორსაკოვის სასახლის წინ დაასვენეს, იქ მიცვალებულს დემონსტრაციულად პანაშვიდი გადაუხადეს, ამის შემდეგ სოლოლაკის გზით ცხედარი მამადავითზე აასვენეს და მთანმინდის მიწას მიაბარეს (დოკუმენტური მასალა დიმიტრი ყიფიანის გადასახლებისა და მკვლელობის შესახებ, აგრეთვე, ხელისუფლების, საზოგადოებისა და პრესის რეაქცია დიმიტრის მკვლელობაზე იხ. ჩხეტია 1947: 329-539; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997).

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის თვითმხილველი, იმჟამად თბილისის გიმნაზიის მოსწავლე არჩილ ჯორჯაძე მოგვიანე-

ბით დანერს: „ეს დღე ქართულ ეროვნულ თვითშემეცნების ისტორიაში ისტორიულ დღედ დარჩება... მწუხარებამ შეგვიძინა ახალი ძალა, ახალი შემეცნება, ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მწუხარებამ ჭეშმარიტებისა და სამართლის გრძნობა გააკაჟეს ჩვენს გულში... ერთი საფეხურით წინ წავდექით, ჩვენდა მოულოდნელად ერთად ვიგრძნევით ჩვენი თავი, თვით-შემეცნე და თვით-შემგნე ერად. ეს სასწაული დიდის ხნობით მზადდებოდა... ილიას, აკაკის და სხვათა ძახილზე ვილაცის მოლოდინში გაოცებულის სიხარულით გავყურებდით ამ ჩვენ დამშვენებულ ქვეყანას და ახლა იმ მოხუცის წყალობით, მთაწმინდაზე რომ მიწას აბარია, გადაჭრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგან“ (ჯორჯაძე 1989^ა: 583-585).

1899 წლის 24 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა დიმიტრი ყიფიანს საფლავზე ძეგლი დაუდგა (მოქანდაკე – ფელიქს ხოდოროვიჩი). ძეგლი აკურთხა იმჟამად ალავერდის ეპისკოპოსმა, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ.

2007 წლის 26 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით დიმიტრი ყიფიანი შეირაცხა წმინდანთა დასში და ეწოდა „წმინდა დიმიტრი (ყიფიანი) – სამშობლოსათვის წამებული“.

დასასრულ, შემოკლებულად დავიმონებთ თვალსაჩინო ქართველი ლიტერატორისა და მოაზროვნის, კიტა აბაშიძის, წერილს „გმირი – პროტესტანტი“:

„ჩვენი ერის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ მეობას ამშვენებს სახელები, რომლის წინაშე ყოველი ქართველი დიდის სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ქედს უნდა ჰხრიდეს.

მეცხრამეტე საუკუნე ქართველ ერის არსებობაში დიდ პიროვნებათა, დიდ ადამიანთა ეპოქათ უნდა ჩაითვალოს.

დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე – ეს ორი ბურჟი ჩვენი ეროვნებისა, ამაყად გამოიყურებიან XIX საუკუნის უიმედო და უნუგეშო სინამდვილიდან...

ხმის ამაღლება, სადაც ეს საჭიროა და აუცილებელი, გულის წყრომის გამომჟღავნება, როდესაც ამას მოითხოვს ერის ინტერესები, გმირული იქნება ყოველთვის. დიმიტრი პირველი ქართველი პროტესტანტია, რომელმაც ხმა აღიმადლა მაშინ, როდესაც გარშემო დუმილით იყო მოცული. ამ საშინელ თავდამცირების ხანაში ყიფიანის სიტყვა მკვეთრი იყო, ვით მოღერებული ხმალი და თავზარდამცემი, როგორც მოულოდნელი თავდასხმა.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ყოველთვის შეუძლიან იამაყოს დიმიტრი ყიფიანის გმირული თავდადებით. და ჩვენც, თანამედროვე ქართველნი, ღრმა პატივისცემით მოვიხსენიებთ იმას, ვინც ერის ტკივილებს განიცდიდა, ხალხის საიდუმლო ზრახვას გრძნობდა.

დღეს, როდესაც საქართველოს ასე ესაჭიროება განწირული სიტყვა და ღრმა აზრი; დღეს, როდესაც ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს სიცარიელეს და უდიდეს სულიერ კარჩაკეტილობას განიცდის, აუცილებელია საჭიროა მოგონება და პატივისცემა ადამიანისა, რომელიც თავგაჩეხილი სწორედ ამ გაბედულ სიტყვისთვის მსხვერპლად შეეწირა ჩვენი ერის უფლებების და თავმოყვარეობის დაცვის საქმეს“ (აბაშიძე 1922).

2016 წ.

დამონეშებიანი:

აბაშიძე 1922: აბაშიძე კ. გმირი – პროტესტანტი. „ლომისი“, 12.XI, 1922, №11.

ამირეჯიბი 1997: ამირეჯიბი შ. დიმიტრი ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკური კრედო). // შ. ამირეჯიბი [თხზულებები]. შემდგენელი ლ. ცომაია. წგნ. I. თბილისი: დიოგენე. არსი. 1997.

- ასათიანი 1979:** ასათიანი ი. თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება (1864-1875 წწ.). თბილისი: მეცნიერება. 1979.
- ასათიანი 1994:** ასათიანი ი. ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. თბილისი: მეცნიერება. 1994.
- აქტები 1870:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. IV. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1870.
- ბერძნიშვილი 1983:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.
- გაბაშვილი 1925:** გაბაშვილი ე. ქართული თეატრის ბუდე. „თეატრი და ცხოვრება“, 1925, №6.
- გაფრინდაშვილი 1988:** გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები. III. თბილისი: 1988.
- გერსამია 2011:** გერსამია ს. დიმიტრი ყიფიანი და ქართული თეატრი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... III. თბილისი: ნეკერი. 2011.
- გოგებაშვილი 1990:** გოგებაშვილი ი. როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება“. // ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი (ხუთ ტომად). ტ. III. თბილისი: განათლება. 1990.
- გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.
- გომართელი 1966:** გომართელი ივ. კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი. // ივ. გომართელი. რჩეული თხზულებანი (ორ ტომად). შეადგინა, ნარკვევი „ივ. გომართელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ და ბიბლიოგრაფია დაურთო ვ. ნონელიამ. ტ. II. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1966.
- გუნია 1922:** გუნია ვ. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა (მოგონება 35 წლის თავზე). „ლომისი“, 1922, №11.
- დანელია 1993-1994:** დანელია ფ. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“. დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994.
- თავზიშვილი 1974:** თავზიშვილი გ. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში.

- // გ. თავიშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ი. ბოცვაძის რედაქციით. ტ. I. თბილისი: განათლება. 1974.
- თაყაიშვილი 1968:** თაყაიშვილი ე. მოგონებანი. // ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ. ტ. I. თბილისი: მეცნიერება. 1968.
- თელია 1989:** თელია ა. ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე. თბილისი: განათლება. 1989.
- თულაშვილი 1895:** თულაშვილი ვ. შენიშვნა (ბ-ნ ნ. დ. ყიფიანის წერილის გამო: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“). „მოამბე“, 1895, №5, განყ. II.
- იოსელიანი 1936:** იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი: ფედერაცია. 1936.
- კეკელიძე 1953:** კეკელიძე მიხ. დიმიტრი ყიფიანი. // კრბ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“ (თბილისი: 1953).
- ლეჟავა 1986:** ლეჟავა ლ. დიმიტრი ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა“. // კრბ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (XXV. 1986).
- ლეჟავა 2004:** ლეჟავა ლ. მეტყველების კულტურის საკითხები დიმიტრი ყიფიანის „ახალ ქართულ გრამატიკაში“. // ლ. ლეჟავა. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები. თბილისი: 2004.
- მაკიევსკი-ზუბოკი 1906:** Макиевский-Зубок Н. Г. Кавказ и кавказские наместники. „Вестник Европы“. 1906, т. 1, кн. 2.
- მანსვეტაშვილი 1985:** მანსვეტაშვილი ი. მოგონებები (ნახული და გაგონილი). ლ. ასათიანის წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ს. ხუციშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1985.
- მარკოვი 1848:** Марков И. Песнь кавказских воинов. С переводом на грузинский язык Дм. Кипиани. Тифлис: Военно-походная типография. 1848.
- ნიკოლაძე 1964:** ნიკოლაძე ნ. დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი. // ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ტ. IV (ტომი დასაბეჭდად მოამზადა და სახელთა საძიებელი დაურთო მ. კანდელაკმა). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1964.

- ჟურული 1912:** Г. Ж. [Журули, Георгий]. Светлой памяти славного грузина. Д. И. Кипиани (1814-1887). გაზ. „Закавказье“, 13.V, 1912, №107; 19.V, 1912, №111.
- ჟურული 2011:** ჟურული გ. სახელოვანი ქართველის ნათელ სსოვნას. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. III. თბილისი: ნეკერი. 2011.
- სამართლის ძეგლები 1965:** ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II [საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.)]. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება. 1965.
- სამართლის ძეგლები 1977:** ქართული სამართლის ძეგლები (სასამართლო განჩინებანი. XVIII-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. VI. თბილისი: მეცნიერება. 1977.
- საქართველოს კალენდარი 1904:** საქართველოს კალენდარი (1905 წლისა). გამომცემელი ვ. გუნია. ტფილისი: 1904.
- საქართველოს სიძველენი 1910:** საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. III. ტფილისი: 1910.
- საშვილიშვილო მოკავშირე... 1997:** საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. I. თბილისი: ლომისი. 1997.
- საშვილიშვილო მოკავშირე... 2007:** საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.
- საშვილიშვილო მოკავშირე... 2011:** საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... III. თბილისი: ნეკერი. 2011.
- უთურაშვილი 1989:** უთურაშვილი ი. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.
- ფურცელაძე 2007:** ფურცელაძე ა. ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები და მათში ვახტანგ თულაშვილის მონაწილეობა. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი: 2007.

- ყიფიანი 1854:** Кипиани Д. Несколько мыслей о материалах для истории Грузии. Тифлис: Типография Канцелярий Наместника Кавказского. 1854 [ყდაზე გამოცემის წლად მითითებულია 1855].
- ყიფიანი 1857:** Кипиани Д. О путях к достижению цели Общества. [Тифлис: 1857].
- ყიფიანი 1864:** ყიფიანი დიმ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის აზრი, შესახებ თავად-აზნაურობის ბანკისა. „ცისკარი“, 1864, №11.
- ყიფიანი 1865:** Кипиани Д. Ещё по поводу передовой статьи 194 № „Моск. Ведомостей“. „Кавказ“, 24.X-5XI, 1865, №83.
- ყიფიანი 1894:** ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. „მოამბე“, 1894, №4, [განყ.] X.
- ყიფიანი 1912:** ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელი დღენი. „თემი“, 1912, №95.
- ყიფიანი 1940:** ყიფიანი ნ. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. „ლიტერატურის მატიანე“. წგნ. 1-2. თბილისი: 1940.
- ყიფიანი 1995^ა:** ყიფიანი დიმ. ორი მიმართვა პავლე ეგზარქოსისადმი. // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. გ. ალხაზიშვილისა და რ. ჩხეიძის რედაქციით. თბილისი: ლომისი: 1995.
- ყიფიანი 1995^ბ:** ყიფიანი დიმ. ბატონი იანოვსკის ორგვარი შეცოდება. // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? თბილისი: ლომისი: 1995.
- ყიფიანი 1995^გ:** ყიფიანი დიმ. ჩვენი ნაცარქექიები. // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? თბილისი: ლომისი: 1995.
- ყიფიანი 1995^დ:** ყიფიანი დიმ. ბატონ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს. // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? თბილისი: ლომისი. 1995.
- ყიფიანი 1995^ე:** ყიფიანი დიმ. ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ! // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? თბილისი: ლომისი. 1995.
- ყიფიანი 1995^ვ:** ყიფიანი დიმ. 20 ბარათი გადასახლებიდან. // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? თბილისი: ლომისი. 1995.
- ყიფიანი 2014:** ყიფიანი დიმ. ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყარო. თარგმანი და პუბლიკაცია თ. ჯოლოგუასი. უ. „NAEC.ge“, ივლისი, 2014.
- ყიფიანი 2016:** ყიფიანი დიმ. რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე. // თ. ჯოლოგუა. დიმიტრი ყიფიანის ორი

- საისტორიო თხზულება. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2016.
- ყორანაშვილი 2009:** ყორანაშვილი გ. დიმიტრი ყიფიანი ახალი დიმიტრი თავდადებული. თბილისი: ინოვაცია. 2009.
- შანიძე 1998:** შანიძე ა. დიმიტრი ყიფიანი, როგორც გრამატიკოსი. პუბლიკაცია მოამზადა თ. ჯოლოგუამ. // კრბ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ (VII. 1998).
- ჩიქობავა 1998:** ჩიქობავა არნ. დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი. // კრბ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ (VII. 1998).
- ჩიქობავა 2008:** ჩიქობავა არნ. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბილისი: უნივერსალი. 2008.
- ჩხეცია 1947:** ჩხეცია შ. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947.
- ჩხეცია 1950:** ჩხეცია შ. საგლახო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950.
- წერეთელი 1958:** წერეთელი ა. ჩემი თავგადასავალი. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. VII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1958.
- წერეთელი 1961^ა:** წერეთელი ა. ფიქრები ბუხრის წინ. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961^ბ:** წერეთელი ა. ქართული თეატრის დაარსება საქართველოში (სიტყვა, წარმოთქმული მ. საფაროვის ქალის პატივსაცემად გამართულ „დილაზე“ 1912 წლის 15 იანვარს). // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1997:** სიტყვა აკაკისა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. [ტ.] I. თბილისი: ლომისი. 1997.

- ჭავჭავაძე 1887:** ჭავჭავაძე ი. ყრმობა დიმიტრი ყიფიანისა (მისს საკუთარ ნაწერთაგან). „ივერია“, 1.XI, 1887, №228.
- ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. დიმიტრი ყიფიანი. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.
- ჭავჭავაძე 1956:** ჭავჭავაძე ი. ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან). // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. VII. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1956.
- ჭიჭინაძე 1892:** ზ. ჭ. [ჭიჭინაძე, ზაქარია]. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: 1892.
- ხუნდაძე 1951:** ხუნდაძე ტ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა. 1951.
- ხუნდაძე 1936:** ხუნდაძე სიმ. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1936.
- ჯოლოგუა 2002:** ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წწ.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002.
- ჯოლოგუა 2013:** ჯოლოგუა თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი: არტანუჯი. 2013.
- ჯოლოგუა 2016:** ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანის ორი საისტორიო თხზულება. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2016.
- ჯორჯაძე 1909:** ჯორჯაძე ა. ნარსულის გაკვეთილი. „დროება“, 25.XI, 1909, №262.
- ჯორჯაძე 1909^ა:** ჯორჯაძე ა. ნარსულის გაკვეთილი. „დროება“, 26.XI, 1909, №263.
- ჯორჯაძე 1989^ა:** ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატთანე). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.
- ჯორჯაძე 1989^ბ:** ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიიდან (ნაწილი პირველი). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

1832 წლის შეთქმულების რაობისათვის

1832 წლის შეთქმულება ქართული რომანტიზმისთვის არსებითი მნიშვნელობის ფაქტორი იყო. ვახტანგ კოტეტიშვილის შეხედულებით, „მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის [ქართველი] მწერლები, თითქმის ყველა, შეთქმულთა საიდუმლო საზოგადოებიდან გამოვიდნენ და მათი პოეზია თითქოს გაცრუებული იმედების კომპენსაცია იყო“ (კოტეტიშვილი 1965: 58; საკითხის გარშემო იხ. აგრეთვე: აბაშიძე 1962: 44; ქიქოძე 1963: 79; ინგოროყვა 1963: 272-273, 279; განერელია 1978: 120-125 და სხვ.). შესაბამისად, 1832 წლის შეთქმულების რაობის შესაძლებელი სიზუსტით დადგენა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკუთრივ ისტორიის, არამედ ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ტიპოლოგიური ბუნების განსაზღვრისათვის.

1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით დღემდე გავრცელებულია ოფიციალური, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის პოლიტიკური ნებით განსაზღვრული, თვალსაზრისი შეთქმულების არასერიოზულობის, მცირე მასშტაბის, არაორგანიზებულობისა და, ამდენად, უპერსპექტივობის შესახებ. რა მიზანი ამოძრავებდა ხელისუფლებას, ამაზე მოგვიანებით ვიტყვით, ჯერჯერობით კი მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ ხსენებული თვალსაზრისის დამკვიდრება, ჩვენი აზრით, **ძირითადად** კვლევის მცდარი მეთოდოლოგიითაა განპირობებული – მკვლევრები უმეტესწილად ეყრდნობოდნენ თვითონ შეთქმულთა ჩვენებებს და არსებითად უგულებელყოფილი იყო ჩვენებათა ურთიერთმეჯერების პრინციპი.

აქ დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ, დი. ყიფიანთან დაკავშირებულ, მაგალითს. ითვლებოდა, რომ იგი შემთხვევით მოხვდა რეჟიმით უკმაყოფილოთა წრეში, ეკუთვნოდა შეთქმულთა ე. წ. „ლიტერატურულ ჯგუფს“, მისთვის მიუღებელი იყო შეიარაღე-

ბული აჯანყების იდეა, ხოლო როცა დარწმუნდა, რომ სისხლისღვრა გარდაუვალი იყო, ჩამოშორდა შეთქმულთა წრეს (აბაშიძე 1905: 35; აბაშიძე 1998: 406; ჯორჯაძე 1989: 405; ხუნდაძე 1936: 61 და სხვ.). თვითონ დიმიტრი ყიფიანის ჩვენებების მიხედვით მართლაც ასე გამოდის, მაგრამ სხვა შეთქმულთა ჩვენებების ურთიერთმეჯერებამ რადიკალურად განსხვავებული სურათი მოგვცა; კერძოდ, გამოიჩინა, რომ დიმიტრი ყიფიანმა იცის ფილადელფოს კიკნადის მიერ შემუშავებული საიდუმლო ანბანი (გოზალიშვილი 1935: 33), ერთ-ერთი პირველი ეცნობა „აკტი გონიურს“ (გოზალიშვილი 1935: 248-249; გოზალიშვილი 1970: 379, 380), დებს ერთგულების ფიცს (გოზალიშვილი 1935: 409; გოზალიშვილი 1970: 380; გოზალიშვილი 1976: 47), მონაწილეობს იმ გეგმის განხილვაში, რომლის მიხედვითაც რუსებს 1831 წელს აჯანყებული ვარშავა უნდა აეღოთ (გოზალიშვილი 1970: 301), ესწრება საუბარს, როცა სპარსეთში მიმავალ სოლ. რაზმაძეს ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირს ავალებენ (გოზალიშვილი 1970: 129, 218; გოზალიშვილი 1976: 380), მზად არის, წავიდეს რუსეთში და შეხვდეს შეთქმულების ინიციატორებსა და იდეურ ხელმძღვანელებს, დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებს (გოზალიშვილი 1970: 186, 187; გოზალიშვილი 1976: 49), მას ს. დოდაშვილსა და ი. მამაცაშვილთან ერთად ავალებენ აჯანყების ღამეს გასაჯრცელებელი პროკლამაციის შედგენას (გოზალიშვილი 1970: 126, 210, 219), მისი მონაწილეობით მუშავდება აჯანყების ღამეს ყაზარმების, არსენალის, ჰაუპტვახტის, ხაზინისა და სასურსათო ობიექტების ხელში ჩაგდების გეგმა (გოზალიშვილი 1970: 128, 216, 251, 287; გოზალიშვილი 1976: 75-76, 86, 325, 332, 348) და შეთქმულნი დიმიტრი ყიფიანის თანდასწრებითვე მსჯელობენ იმაზე, თუ რა საქმე ჩააბარონ მას აჯანყების ღამეს (გოზალიშვილი 1970: 307; გოზალიშვილი 1976: 75; უფრო ვრცლად საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2002: 54-73); შესაბამისად, შეთქმულთა ჩვენებების ურთიერთმეჯერება ადასტურებს, რომ დიმიტრი ყიფიანი შეთქმულების შემთხვევითი წე-

ვრი კი არ იყო, არამედ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა „ფარულ საზოგადოებაში“. წინასწარი დაკვირვება ანალოგიურ სურათს იძლევა სხვა შეთქმულებთან დაკავშირებითაც (თამარ და თეკლა ბატონიშვილები, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი დავითის ძე და გიორგი რევაზის ძე ერისთავები და სხვ.).

ასე რომ, ვიმეორებთ, სასჯელის წინაშე მდგარ შეთქმულთა მიერ საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებები ვერ იქნება სანდო მასალა და შეთქმულებასთან თუ მის ცალკეულ მონაწილეებთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა (ან მეტ-ნაკლებად რეალური სურათის მიღება) მხოლოდ ჩვენებების ურთიერთშეჯერებითაა შესაძლებელი; ამასთანავე – ეს ხაზგასმით უნდა ითქვას – **სავსებით გასაგები და ბუნებრივია შეთქმულთა ხშირი და გატრაფარეტული უარყოფანი, როცა მათ სხვა შეთქმულთა ჩვენებებზე დაყრდნობით უყენებენ ბრალს და, შესაბამისად, საკითხის კვლევისას ეს უარყოფანი ანგარიშგასაწევ არგუმენტად არ გამოდგება.**¹

¹ იასე ფალავანდიშვილიმა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, გენერალ ვლ. ვოლხოვსკის, შეთქმულების შესახებ 1832 წლის 9 დეკემბერს, ნაშუადღევს, გამოუცხადა (აქტები 1881: 391-392; გოზალიშვილი 1935: 9; დასმენის ტექსტი იასეს მოგვიანებით, 11 დეკემბერს, დაანერინეს – გოზალიშვილი 1935: 130-138). ამბავი იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო [„თავიდან ეჭვის თვალით შევხედე“, – სწერს მთავარმართებელი გრ. როზენი სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვს (გოზალიშვილი 1935: 9)], რომ ი. ფალავანდიშვილი არ დაუპატიმრებიათ. 10 დეკემბრის დილას იასეს მონათხრობი მის მიერ დასახელებულ ერთ-ერთ შეთქმულთან, ანტონ ახზთან, გადაამონმეს (გოზალიშვილი 1935: 9); კონსპირაციული ორგანიზაციის წევრებისთვის, რასაკვირველია, მაშინვე ცხადი გახდებოდა, რომ შეთქმულება გაცემული იყო და, თუ რამდენიმე წლის წინ დეკაბრისტების – რუსეთის თვალსაჩინო არისტოკრატიულ ოჯახთა შვილების – მიმართ ნიკოლოზ I-ის მიერ გამოჩენილ სისასტიკეს (ჩამოხრჩობა, კატორღაში გაგზავნა, რიგით ჯარისკაცებად გამწვებება...) გავითვალისწინებთ, შეთქმულნი ქართული არისტოკრატიული და ინტელექტუალური ელიტის განადგურების, შესაბამისად, ეროვნული პერსპექტივის მოსპობის საფრთხესაც დაინახავდნენ. და-

1832 წლის შეთქმულების რაობის განსაზღვრისთვის აუცილებელია გაირკვეს: შეთქმულების შემადგენლობა, გეოგრაფიული არეალი, ორგანიზაციული სტრუქტურა, საერთაშორისო კავშირები, სახელმწიფოებრივი მონყობის გეგმა და სხვ.

სანამ ამ საკითხებზე ვიმსჯელებდეთ, აუცილებელია აღინიშნოს რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის გარემოება:

1. 1832 წლის შეთქმულება თავისუფლად შეიძლება იქნეს განხილული იმდროინდელ ევროპაში (საბერძნეთი, სერბია, იტალია, პოლონეთი, ბელგია და ა. შ.) მიმდინარე განმათავისუფლებელ მოძრაობათა კონტექსტში (აქ, ცხადია, იგულისხმება *იდეური* და არა *ორგანიზაციული* კავშირები). ჯერ კიდევ 1920-იან წლებში მიხ. პოლიევქტოვი აღნიშნავდა: „თავისი

პატიმრების პირველ ტალღამდე (10-11 დეკემბრის ღამე) დარჩენილი იყო მთელი დღე და ამ დროში შეთქმულების ძირითადმა ბირთვმა არა მარტო მტკიცებულებათა განადგურება მოასწრო (მხოლოდ რამდენიმე წერილობითი მტკიცებულება გადარჩა შემთხვევით), არამედ, როგორც ჩანს, თავდაცვის ტაქტიკა და სტრატეგიაც შეიმუშავა: „დანაშაულის“ აღიარება, „გულწრფელი“ მონანიება, უკვე გამომჟღავნებულ მონანილეთა დასახელება, „ფარული საზოგადოების“ სულისკვეთების, მიზნებისა და მასშტაბის დაკნინება, მტკიცება იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლებისა და პოლიტიკურ სისტემის წინააღმდეგნი კი არ იყვნენ, არამედ – ადგილობრივი მმართველობისა და სხვ. [გ. გოზალიშვილის თქმით, „საფიქრებელია, რომ მთავარ შეთქმულთ უკვე მოასწრეს მოლაპარაკება, რაც ამკარად ეტყობა მათ პირველ ჩვენებებს...“ (გოზალიშვილი 1935: 9; ვრცლად საკითხის შესახებ იხ. გოზალიშვილი 1935: 9-14)]. ისიც უნდა ითქვას, რომ შეთქმულები საპატიმროშიც ახერხებდნენ კონტაქტსა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას (საკნინდან საკანში გადაძახება, მიმონერა, რომელსაც საპირფარეოში, სპეციალურ სამალავში ტოვებდნენ, გადალაპარაკებები დერეფნებსა და სასაიროდ გამოყვანისას და სხვ.). ზემოხსენებული შეთანხმების არსებობაზე უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ შემდგომში როგორც გათავისუფლებულ, ისე გადასახლებულებიდან დაბრუნებულ შეთქმულთა უმრავლესობას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კომისიისთვის მიცემულ ჩვენებათა გამო ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ ჰქონიათ (ცხადია, აქ ი. ფალავანდიშვილი არ იგულისხმება).

გარეგანი ფორმების მიხედვითაც კი 1832 წლის შეთქმულება... გვაგონებს იმ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომლებითაც ასე მდიდარია ამავე ეპოქის ევროპული ქვეყნების ისტორია“ (პოლიევქტოვი 1927: 111). კ. კაციტაძის შეხედულებით, ქართველმა შეთქმულებმა „მრავალსაუკუნებრივი იძულებითი „შესვენების“ შემდეგ საქართველო ჩართეს გლობალური ხასიათის ისტორიულ პროცესში“ (კაციტაძე 1997). სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეთქმულების ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა საქართველო ევროპული პროცესების „ველში“ შეიყვანეს და ამით ხანგრძლივი იზოლაციის შემდეგ ქვეყანა საერთო-ევროპულ პოლიტიკურ კონტექსტში მოაქციეს.

2. შეთქმულების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს გააზრებული ჰქონდათ, რომ სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისთვის სუვერენულ უფლებებთან ერთად კულტურის სისტემური განვითარებაც იყო აუცილებელი. ფარულ შეკრებებზე ისინი მსჯელობდნენ ახალგაზრდობის მიერ დროის შესაფერისი განათლების მიღებასა და ამ მიზნით „უნივერსიტეტის, სამხედრო კორპუსებისა და სხვა სასწავლებლების“ დაარსების საჭიროებაზე (გოზალიშვილი 1935: 153), სამაზრო სკოლისათვის შენობის აგებაზე (გოზალიშვილი 1970: 209), ღარიბ მოსწავლეთა აღსაზრდელად თანხის შეგროვებაზე (გოზალიშვილი 1970: 208), განათლების გასავრცელებლად გაზეთის ან ჟურნალის გამოცემაზე (გოზალიშვილი 1970: 205, 247; გამოსცემდნენ კიდევ ლიტერატურულ ჟურნალს „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომლის ძირითადი დანიშნულება მხატვრული თუ საისტორიო-სალიტერატურო ტექსტების მეშვეობით საზოგადოებაში პატრიოტული გრძნობების გაღვივება და აჯანყების წარმატებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი სულისკვეთებისა და განწყობების ფორმირება იყო – ჟურნალის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2013⁹: 53-81), ლიტერატურული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე (გოზალიშვილი 1970: 205), პატრიოტული მიზანდასახულობის

მხატვრული ნაწარმოებების (ორიგინალურის, ნათარგმნის) შექმნა-გავრცელებაზე (გოზალიშვილი 1970: 61-65, 187; ხუნდაძე 1936: 59-61), თეატრალური ტრადიციის აღორძინებაზე (გოზალიშვილი 1935: 153, 407; გოზალიშვილი 1970: 550; ყიფიანი 1930: 137; ბალახაშვილი 1940: 102-103), ბიბლიოთეკის დაარსებაზე (გოზალიშვილი 1970: 209), სტამბის შექმნაზე (გოზალიშვილი 1970: 206, 208) და სხვ.; ჯერ კიდევ 1905 წელს კიტა აბაშიძემ „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“ გამოქვეყნებულ უაღრესად მწირ და ტენდენციურად შერჩეულ მასალაზე (აქტები 1881: 391-423) დაყრდნობით აღნიშნა, რომ „ეს იყო შეთქმულება საზოგადოების განათლებულის წრისა“ (აბაშიძე 1905: 14; აბაშიძე 1998: 394). კ. კაციტაძის შეხედულებით, შეთქმულების ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა „რუსეთის ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა პოლიტიკური პროგრამის დონემდე აიყვანეს... [მათ] მოქმედების წინასწარგანზრახული პროგრამა ჰქონდათ“ (კაციტაძე 1997). კულტურის აღორძინება ამ გეგმის ორგანული ნაწილი იყო. საგულისხმოა მის. პოლიევქტოვის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, შეთქმულნი საზოგადოების „მორალურ განახლებას“ მიიჩნევდნენ „როგორც მოსამზადებელ საფეხურს პოლიტიკური განთავისუფლებისათვის“ (პოლიევქტოვი 1927: 111). შემთხვევითი არ არის დიმიტრი შველიძის თვალსაზრისი, რომ 1825-1832 წწ. კონსპირაციულ მოვლენებს უნდა ეწოდოს არა „შეთქმულება“, არამედ „შეთქმულებრივი მოძრაობა“ (რუსული „Заговорческое движение“-ს ანალოგიით) (შველიძე 2014: 3-41) და, მიუხედავად ტერმინოლოგიური მოუხერხებლობისა („შეთქმულებრივი მოძრაობა“), ამ მოსაზრებას, ვფიქრობთ, სერიოზული საფუძვლები გააჩნია.

3. საფუძველსაა მოკლებული თვალსაზრისი, თითქოს 1832 წლის შეთქმულებას თავადაზნაურული (ან: ფეოდალური) ნაციონალიზმის ხასიათი ჰქონდა, იგი ჩაკეტილი იყო წოდებრივ ჩარჩოებში და კავშირი არ ჰქონია ხალხთან. 1832 წლის

შეთქმულება თავისი ბუნებით უდავოდ და უეჭველად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისაა (საკითხის ისტორიო-გრაფიული მიმოხილვა იხ. სურგულაძე 1968: 269-291), ხოლო რაც შეეხება ხალხთან შეთქმულთა კავშირს, საგამომძიებლო კომისიის მასალებში უხვად მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაერთოთ აჯანყებაში მოსახლეობის ყველა ფენა, მათ შორის, გლეხობა და მსჯელობდნენ იმაზე, რა მასშტაბით, ფორმებითა თუ საშუალებებით განეხორციელებინათ ეს (გოზალიშვილი 1935: 77-81 და შმდ.; იხ. აგრეთვე: შველიძე 2014: 15-19) [მრავლისმეტყველია მთავარმართებელ გრ. როზენისადმი პოლკოვნიკ ვ. ცებრიკოვის მიმართვა, რომელიც დამონმებული აქვს პ. ინგოროყვას: „ყველა ქართული სოფელი აპირებდა ამბოხებას იმ განზრახვით, რომ რუსეთის ჯარების ნაწილი ამოეჟლიტათ, ნაწილი კი განედევნათ საქართველოდან“ (ინგოროყვა 1963: 278; მიმართვის პუბლიკაცია იხ. გოზალიშვილი 1935: 83). „შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ გაბმული სოფლად ქართლის რაიონებში, შიდა-კახეთში, ქიზიყში, ნაწილობრივ იმერეთში“, – დასძენს პ. ინგოროყვა (ინგოროყვა 1963: 278); სხვათა შორის, შეთქმულთა „არსენალში“ პროპაგანდისტული ხერხებიც შედიოდა; მაგალითად, ასეთი: მათ უნდა გაეგრცვლებინათ ხმები, თითქოს მთავრობა აპირებს გლეხების „საღდათად“ განვევას (გოზალიშვილი 1935: 81), რასაც გლეხობის აღშფოთება და მასობრივი გამოსვლები უნდა მოჰყოლოდა, უნდა გაეგრცვლებინათ, აგრეთვე, ხმები, რომ საუკეთესო თავადიშვილებს („დიდრონს კაცებს“) რუსეთში უპირებდნენ „გადარეკვას“ (გოზალიშვილი 1935: 400) და სხვ.]

შეთქმულების ინიციატორი იყო დიმიტრი იულონის ძე ბატონიშვილი (პეტერბურგი. 1825 წ.); 1826 წელს ოქროპირ გიორგი XII-ის ძე ბატონიშვილი უკვე მოსკოვში აყალიბებს შეთქმულთა ჯგუფს, საკუთრივ საქართველოში კი ამ მიმართულებით მუშაობა სავარაუდოდ უკავშირდება 1827 წელს ს. დოდაშვილის ჩამოსვლას პეტერბურგიდან თბილისში (მოსკო-

ვის გავლით, სადაც ს. დოდაშვილი ხვდება ოქროპირ და თამარ ბატონიშვილებს – გოზალიშვილი 1935: 326, 430-431), 1829 წლის შემოდგომისთვის მთავრდება წინასწარი სამზადისი და იწყება „ფარული საზოგადოების“ სტრუქტურული ჩამოყალიბება, „რასაც ამ საქმისათვის რუსეთიდან ჩამოსული ოქროპირ ბატონიშვილი (1829 წ.) და ელიზბარ ერისთავი (1830 წ.) აგვირგვინებენ 1830 წლის დასაწყისში“ (გოზალიშვილი 1935: 26).

მმართველობით-ორგანიზაციული ვერტიკალის შესახებ შეთქმულთა ჩვენებების შეჯერებამ ტრადიციული შეხედულებებისგან განსხვავებული სურათი მოგვცა (კერძოდ, ეს ეხება თამარ ბატონიშვილის როლს შეთქმულებაში და პრაქტიკულ მოქმედებათა ხელმძღვანელ „სამეულს“, რომელიც სინამდვილეში „ოთხეული“ აღმოჩნდა):

ა) შეთქმულების სათავეებთან, როგორც ითქვა, დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები იდგნენ. ისინი, განსაზღვრავდნენ რა „ფარული საზოგადოების“ ხასიათსა და მიზანდასახულობას, პირადი კონტაქტებისა და კონფიდენციალური (მათ შორის, კრიპტოგრაფიული) მიმონერის მეშვეობით წარმართავდნენ შეთქმულთა მუშაობას.

ბ) „ფარულ საზოგადოებას“ საქართველოში ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევდა ინიციატორთა მიერ რუსეთიდან 1829 წელს სპეციალურად ამ მისიით წარმოგზავნილი თამარ ბატონიშვილი (მამაკაცი ბატონიშვილების საქართველოში ცხოვრება ხელისუფლებას დაუშვებლად მიაჩნდა – მათ შეიძლება ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე გასჩენოდათ პრეტენზია). თამარს, თავის მხრივ, კავშირები ჰქონდა რუსეთში მცხოვრებ დიმიტრი და ოქროპირ, აგრეთვე, ფარნაოზ და სალომე ბატონიშვილებთან. აჯანყების შემდეგ ბაგრატიონთა აღდგენილ ტახტზე დროებით თამარ ბატონიშვილი უნდა ასულიყო (საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2013^ბ: 179-183). მოგვიანებით იგი უნდა შეეცვალა ალექსანდრე ბატონიშვილს, მაგრამ, რადგან იგი ყოყმანობდა (გოზალიშვილი 1935: 54; გოზალიშვი-

ლი 1970: 594-595), ალექსანდრეს უარის შემთხვევაში – ოქრო-პირ ან დიმიტრი ბატონიშვილებს (გოზალიშვილი 1935: 365-366; გოზალიშვილი 1976: 17, 23, 224).

გ) აჯანყების მომზადებასთან დაკავშირებული საქმეების ხელმძღვანელთა ცნობილ „სამეულს“ (ელიზბ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი) უნდა დაემატოს იასე ფალავანდიშვილი [საკმარისია ითქვას, რომ: ა) აჯანყებისთვის საჭირო პრაქტიკულ მოქმედებათა მეთაურად (ან: ერთ-ერთ მეთაურად) იასე ფალავანდიშვილს ასახელებს შეთქმულთა ძირითადი ბირთვის ნაწილი: ალ. ორბელიანი (გოზალიშვილი 1935: 389, 392), ელიზბ. ერისთავი (გოზალიშვილი 1976: 379), დიმ. ერისთავი (გოზალიშვილი 1970: 289, 296), დიმ. ორბელიანი (გოზალიშვილი 1935: 229; გოზალიშვილი 1970: 306-307)]; ბ) აჯანყების პირველი ღამის სამოქმედო გეგმა („პირველი ღამის განკარგულება“) დაწერილია იასე ფალავანდიშვილის მიერ (ან: მისი არსებითი ხასიათის მონაწილეობით და მასვე ეკუთვნის „განკარგულების“ საბოლოო რედაქცია – გოზალიშვილი 1970: 425, 555-556 და შმდ.; აქტები 1881: 405) და სხვ. (ვრცლად საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2013^ბ: 10-14). ძირითადად ამ „ოთხეულის“ მხრებზე უნდა გადასულიყო აჯანყების წარმატებით დასრულება და ტახტზე დროებით მეფედ თამარ ბატონიშვილის აყვანა.

შეთქმულების ძირითად ბირთვს (იდეურადაც, ორგანიზაციულადაც, რაოდენობრივადაც) ქართლ-კახეთის ბატონიშვილები და თავადაზნაურობა შეადგენდა, თუმცა მასში ჩართულნი იყვნენ **იმერლები**: იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყების აქტიური მონაწილე და ამის გამო ერთხანს ოსმალეთში (ახალციხე, ტრაპიზონი, კონსტანტინოპოლი) გადახვეწილი თ. ლორთქიფანიძე (გოზალიშვილი 1935: 71-76, 409; გოზალიშვილი 1970: 370, 381, 406, 517; გოზალიშვილი 1976: 429; ბერძნიშვილი 1980: 203), აგრეთვე: ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიჯავაძე, ზ. ჩახუნაშვილი და სხვ. (გოზალიშვილი 1935: 75-76, 445-448; გოზალიშვილი 1970: 371 და შმდ.). შეთქმულებაში იმერელთა მონაწილეობის შესა-

ხებ გ. გოზალიშვილი წერს: „იმერეთთან ურთიერთობა შედარებით მკრთალად არის მასალებში წარმოდგენილი, თუმცა საფიქრებელია, რომ იმაზე მეტი უნდა ყოფილიყო, რასაც ჩვენ აქ ვცycობილობთ. როგორც სხვა ბევრი რამის დაფარვა მოახერხეს შეთქმულთ, უეჭველია, რომ აქაც ბევრი რამ დამალეს“ (გოზალიშვილი 1935: 71); **სამეგრელოს** სამთავრო ტახტის მემკვიდრე დავით დადიანი (გოზალიშვილი 1970: 367-368, 378); **აფხაზეთის** სამთავრო ოჯახის წევრი (მთავრის ძმა) კონსტანტინე შარვაშიძე, რომელიც აფხაზეთიდან რუსების განდევნის, შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთის ჩაკეტვის, ხოლო აჯანყებისთვის თბილისში 300 (სხვა ცნობით – 500) აფხაზის ჩამოყვანის პირობას იძლეოდა (გოზალიშვილი. 1970: 363-364; გოზალიშვილი 1976: 366); ფილადელფოს კიკნაძის მიხედვით, „მიერიდგან იყო აბელ [ჩოლოყაშვილი] იმ თადარიგში, რომ **ფშავ-ხევსურეთის** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) ხალხი უნდა მოეპირნა... თოფის წამლისთვისაც ფული გაუგზავნა აბელმა მთაში“ (გოზალიშვილი 1935: 31-32); საგანგებოდ უნდა აღინიშნოს (ფუნქციურადაც, რაოდენობრივადაც, ერთგულების ხარისხითაც) **ბორჩალოელი მუსლიმების** მონაწილეობა შეთქმულებაში (მოლა ზამანა, ბალა მაჰმადა, შიხილ ალია, ალავერდა და სხვ. – გოზალიშვილი 1935: 39, 55-56 და შმდ.; აგრეთვე: ბერძნიშვილი 1983: 27; შეთქმულნი ბორჩალოდან „რამოდენიმე ასეულ თათართა ცხენოსანს“ ელოდნენ – გოზალიშვილი 1935: 79); **სომხები**: ზ. ავთანდილოვი, ზ. ყორღანოვი... [გოზალიშვილი 1935: 132, 152-164 და შმდ.; აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 134-136 და შმდ.; ბერძნიშვილი 1980: 101-104). ი. ფალავანდიშვილის დასმენის ტექსტის მიხედვით, აჯანყების ღამეს ღვთისმშობლის ხატები უნდა გამოეგანათ როგორც სიონის, ისე სომეხთა ფეთხანის ეკლესიებიდან, ეს ხატები ქართველ და სომეხ მღვდლებსა და ბერებს უნდა სჭეროდათ და „ეძახნათ, საქართველოს განთავისუფლებისათვის ჩვენ თავს ვწირავთ“ (გოზალიშვილი 1935: 137; აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 306); საინტერესოა ისიც, რომ

ხუთი მინისტრიდან ერთი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნებით სომეხი გენერალი ვასილ ბებუთოვი უნდა ყოფილიყო – გოზალიშვილი 1935: 92); **რუსები**: დუშეთის სამაზრო პოლიციის უფროსი („ისპრავნიკი“) დიმ. პაუშენკო, თბილისის პოლიცმეისტერი ა. მელნიკოვი (გოზალიშვილი 1935: 63-70 და შმდ.; აგრეთვე: ბერძნიშვილი 1983: 102, 161-162); **პოლონელები**: სამოქალაქო გუბერნატორი პ. ზავილეისკი (გოზალიშვილი 1935: 47-53 და შმდ.; ბერძნიშვილი 1983: 26-27; ნიკოლაიშვილი 1967: 71-75), მისი ძმა მ. ზავილეისკი (გოზალიშვილი 1970: 368, 415; გოზალიშვილი 1976: 425), აგრეთვე, 1830-1831 წწ. აჯანყებაში დამარცხებული და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელები [საუბარია აჯანყებაში რამდენიმე ასეული (დაახლოებით 500) პოლონელის ჩართვაზე, რომელთა ერთი ნაწილი აჯანყების ღამეს „თათრის მოედანზე“, შეთქმულთა შტაბთან, უნდა გამოცხადებულიყო – გოზალიშვილი 1935: 137; შეთქმულებაში პოლონელთა მონაწილეობის შესახებ იხ.: გოზალიშვილი 1935: 58-61; ნიკოლაიშვილი 1967: 65-81; საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ, **ზოგიერთი მონაცემით, შეთქმულებს ჯერ კიდევ 1831 წელს, პოლონეთის ამბოხების პარალელურად, ჰქონდათ გადანყვებილი აჯანყება, თუმცა პოლონელთა მარცხმა ეს განზრახულება ჩაშალა** – გოზალიშვილი 1935: 61, 85-86; ვარშავა ი. პასკევიჩმა 1831 წლის 8 სექტემბერს აიღო, რაც თბილისში იმავე წლის 24 სექტემბერს საგანგებო ზეიმითა და ზარბაზნების სროლით აღნიშნეს. აღ. ორბელიანის ერთ-ერთი ჩვენების მიხედვით, როცა თბილისში პოლონეთზე გამარჯვების ნიშნად „ზარბაზნები დაცალეს“, ი. ფალავანდიშვილთან სადილად მყოფმა ოთხმა ქართველმა თავადიშვილმა „იტირეს და ისე წავიდნენ“ – გოზალიშვილი 1935: 212); **ფრანგები**: საქართველოს საკონსულოს მდივანი ვიქტორ ლეტელიე, რომელსაც ქვემოთ ცალკე შევსებებით, აგრეთვე, სავარაუდოდ: თბილისში ტრაქტირის მფლობელი, ნაპოლეონის არმიასი ნაბრძოლი ოდიე (გოზალიშვილი 1935: 203; გოზალიშვილი 1970: 320-321,

328-330, 348-350; ბერძნიშვილი 1983: 123), არქიტექტორი რიპარი [გოზალიშვილი 1970: 97, 329; სხვადასხვა წყაროში: ბიპერი, ბიპარი, რიპარდი. იხ. მასზე: ბერიძე 1963: 177), პრაპორშნიკი ლოპლელი (გოზალიშვილი 1970: 329), მასწავლებელი პერუე (გოზალიშვილი 1970: 329); შეთქმულნი აჯანყებაში **ლეკების** ჩართვასაც გეგმავდნენ (სურგულაძე 1968: 258; ალ. ორბელიანი ერთ-ერთ ჩვენებაში აღწერს თამარ ბატონიშვილთან თათბირს. ბატონიშვილს უთქვამს: „კაცნი უნდა გყვანდეთ, რომ ლეკებში გაგზავნოთ და ჯარი მოიწვიონ ალექსანდრე ბატონიშვილის სახელზედაო“ – გოზალიშვილი 1935: 86); ფილადელფოს კიკნაძის მიხედვით, „ნოდარ ჯორჯაძე გამზადებული თავის სამოურაო ხალხის დიდებით, რომ ისინი **დალესტანსაც** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) აურევდენ“ (გოზალიშვილი 1935: 32); შეთქმულთ დამუშავებული ჰქონდათ ოფიცრებისა და ჯარის ნაწილების მოსყიდვა-გადმობირების გეგმა და „ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადაუდგამთ კიდევ. ქართველი ოფიცრებისათვის თავიანთ განზრახვა გაუნდვიათ და გადაუბირებიათ. ანტონ აბხაზი თავის ჩვენებაში აცხადებდა: „ალექსანდრე ორბელიანი ამბობდა, რომ სამოსწავლო ბატალიონის ყველა ოფიცერი (იგულისხმება ქართველი ოფიცრობა – თ. ჯ.) მოსყიდული იყო და ჩვენმა ნათესავმა ნათალიშვილმაც, რომელიც ამ დროს ამ ბატალიონში იყო, ეს იცოდა“ (სურგულაძე 1968: 256-257; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 385, 387 და შმდ.).

გ. გოზალიშვილის დასკვნით, „ტფილისის ცენტრი აერთიანებდა შეთქმულთა სხვადასხვა ჯგუფებს და საზოგადოებებს, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო მოწყობილი“ (გოზალიშვილი 1935: 33). ეს „ჯგუფები“ და „საზოგადოებები“, თავის მხრივ, დაყოფილი იყო მცირე-მცირე ჯგუფებად („უჯრედებად“), რომელთა რიგით წევრებსაც არ ჰქონდათ უშუალო კავშირი სხვა „უჯრედებთან“ (არც იცოდნენ მათი შემადგენლობა) და ცენტრს ან სხვა ჯგუფებს თავ-თავიანთი ხელმძღვანელების მეშვეობით უკავშირდებოდნენ (გოზალიშვილი 1935: 7).

რაც შეეხება შეთქმულთა რაოდენობას, საგამომძიებლო კომისიამ 145 შეთქმული გამოავლინა (გოზალიშვილი 1935: 37; ბერძნიშვილი 1980: 9), თუმცა ეს მონაცემი სწორი არ ჩანს. ალ. ორბელიანი ერთ თავის გვიანდელ მოგონებაში ამბობს: „ბევრი კარგები ერივნენ ჩვენ საქმეში, მაგრამ ვისიც ამბავი და სახელი იასემ იცოდა, იმათი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა რა, **უფრო მომეტებულია** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.), იმათი არა გამოჩნდა რა, ისე დაფარულად დარჩა იმათი საქმე“ (გოზალიშვილი 1935: 7; ორბელიანი 1992: 185; დ. შველიძე ვარაუდობს, რომ შეთქმულების მონაწილეთა რაოდენობა „500 კაცამდე მაინც აღწევდა“ – შველიძე 2014: 10).

სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად შეთქმულებს კონსტიტუციური მონარქია ჰქონდათ შერჩეული – ტახტის უფლებები წარმომადგენლობით ორგანოს უნდა შეეზღუდა. განზრახული იყო ორპალატიანი მმართველობა. ზედა პალატაში უნდა ყოფილიყვნენ მეფე და მინისტრთა საბჭო მეფისავე თავმჯდომარეობით, ქვედა პალატაში – არჩეული დეპუტატები მაზრების მიხედვით, ადგილებზე კი უნდა შექმნილიყო სამდივნოები (ერთგვარი თვითმმართველობის ორგანოები), რომლებშიც საზოგადოებრივ ფენებს (თავადაზნაურობა, „საერო ხალხი“, სამღვდელოება) თავ-თავიანთი წარმომადგენლები ეყოლებოდათ (გოზალიშვილი 1935: 92-93, 134, 167; სურგულაძე 1968: 304; ბენდიანიშვილი 1980: 111-112; საინტერესო დეტალი: დიმიტრი ბატონიშვილი პეტერბურგში თავის ახალგაზრდა თანამოაზრეებს საფრანგეთის მაგალითზე შეზღუდული მონარქიის შესახებ ესაუბრებოდა – გოზალიშვილი 1970: 479)].

ამ, ერთი შეხედვით ცხად, სურათში თითქოს დისონანსი შეაქვს ვახტანგ ორბელიანის ჩვენებას: „1832 წელს სოლომონ დოდაშვილისაგან გავიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი, მან მითხრა, დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ

მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს **რესპუბლიკისმაგვარ** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) სახელმწიფოდ“ (გოზალიშვილი 1935: 92; გოზალიშვილი 1970: 362).

ვ. ორბელიანის ამ ჩვენებაზე დაყრდნობით დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ ოქროპირი, ისევე, როგორც ს. დოდაშვილი, რესპუბლიკელები იყვნენ და, შესაბამისად, შეთქმულთა შორის იყო რესპუბლიკის მომხრეთა ჯგუფი. თუმცა განსხვავებული (ჩვენი აზრით, მართებული) შეხედულებაც არსებობს: „ამ ეპოქაში (XIX ს. პირველ ნახევარში – თ. ჯ.) სიტყვა „რესპუბლიკა“ (სიტყვასიტყვით: საზოგადო, სახალხო საქმე) იხმარებოდა იმის აღსანიშნავად, რასაც ჩვენ წარმომადგენლობით სახელმწიფოს ვუნოდებთ და არა მონარქიის ანტიპოდს... რესპუბლიკა, როგორც წარმომადგენლობითი ხელისუფლება, უპირისპირდება აბსოლუტურ ხელისუფლებას და არა მონარქიას საზოგადოდ. კონსტიტუციური მონარქია კი თვითონ არის წარმომადგენლობითი ხელისუფლების სახე და ექცევა „რესპუბლიკის“ გარკვეულ გაგებაში“ (კაციტაძე 1997; უფრო ადრე იმავე საკითხზე თ. პაპავას უნერია: „მართალია, შეთქმულთა წრეში... ზოგი მათგანი, იმდროინდელ რევოლიუციების გავლენით რესპუბლიკანური იდეებისაკენ იხრებოდა, მაგრამ განა საფრანგეთის ივლისის რევოლიუციამ ლიუდოვიკე ფილიპე ორლეანელი მეფედ არ გამოაცხადა? ეტყობა, მაშინდელი რესპუბლიკანელები მოლიბერალო მონარქიზმსაც ეგუებოდნენ...“ – პაპავა 1990: 49).

ოქროპირ ბატონიშვილსა და ს. დოდაშვილს „რესპუბლიკა“ (უფრო ზუსტად – „რესპუბლიკისმაგვარი სახელმწიფო“) ისე რომ ესმოდათ, როგორც ეს კ. კაციტაძის მსჯელობაშია წარმოდგენილი, ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ საგამომძიებლო კომისიის მასალების მიხედვით, კონსტიტუციური მონარქია, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, შეთქმულთა შორის არ გამხდარა რამდენადმე სერიოზული დისკუსიის საგანი (საკითხთან დაკავშირებით საგუ-

ლისხმობა მხოლოდ თამარ ბატონიშვილის ერთ-ერთი ჩვენება – ელიზბარ ერისთავმა მითხრაო: კარგი იქნებოდა, საქართველოს სახელმწიფო ისე მოგვეწყო, „როგორც შვეიცარია არისო და ან სოიუზნი შტატიო“, რაზეც ვუპასუხეო: „[ჩვენთან] არც ხალხია იმისთანა და არც გარემოება აქვს, ამთენი საშინელნი მტრები გარს ახვევიან და არ მოასვენებენ“ – გოზალიშვილი 1976: 32-33).

შეთქმულები, როგორც ჩანს, არ აპირებდნენ რუსეთთან კავშირის განწყვეტას. მათი მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე (სურგულაძე 1968: 293-297; ბენდიანიშვილი 1978: 553; ბენდიანიშვილი 1980: 100, 104-106; მხედველობაშია მისაღები ის არსებითი მნიშვნელობის გარემოებაც, რომ სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ისეთ თავდადებულ და უკომპრომისო მებრძოლს, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილი იყო, რუსეთთან ურთიერთობა სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში ჰქონდა წარმოდგენილი²).

² ალექსანდრე ბატონიშვილისთვის ზოგადად მისაღები იყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, ოღონდ იგი ვერ ეგუებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობას და იბრძოდა იმისათვის, რომ ტრაქტატისთვის რეალური ხასიათი და შინაარსი მიეცა [„ცხოვრება ესე ჩემი არა არს ცხოვრებად წოდებად, არამედ განგრძელებული ტანჯვა მამულისა ჩემისათვის“, – სწერს ალექსანდრე ბატონიშვილი 1813 წლის 15 თებერვალს საქართველოს მთავარმართებელ ნიკ. რტიშჩევს და დასძენს: „ვითხოვ მიხილოთ, ვითარცა რა კეთილ მზრუნველმან და მართლმადიდებელმან ქრისტიანემან და ყოველივე გამომიცხადოს მაღალაღმატებულესობამან თქვენმან, რათა შემეძლოს... მეცა ვეგო მარადის ერთგულად მათის იმპერატორობითის დიდებულებისა ვიდრე უკანასკნელად სისხლთაცა ჩემთა დათხევამდე და მაშინ სცნობთ სამსახურისა ერთგულებასა და შეძლებასა“ (ორჯონიკიძე 1999: 92-93); 1816 წლის 27 ნოემბერს კი ალექსანდრე ბატონიშვილი გენერალ ივ. დელპოცოს სწერს: „[სპარსელებმა] რაგინდ მრავალი ხაზინანი გამომიგზავნონ, ჩემი კეთილი აზრი არ შეიცვლება და ვერცა ვინ გულს შემიცვლის მისის მონარხის საფარველსა შინა შევრდომასა“ (ორჯონიკიძე 1999: 111); საკითხის საფუძვლიანი კვლევის შემდეგ ე. ორჯონიკიძე დაასკვნის: „ალექსანდრე ბატო-

შეთქმულთა მიზანი და განზრახულება იყო, აჯანყება საერთო-კავკასიურ წინააღმდეგობაში გადაზრდილიყო. ალ. ორბელიანის მიხედვით, „ეს შეთქმა ასე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა“ (გოზალიშვილი 1935: 87, 128; სურგულაძე 1968: 248).

შეთქმულებს დამუშავებული აქვთ დარიალისა და შავი ზღვის ზოლის ჩაკეტვის გეგმა, აგრეთვე, რუსეთის ჯარის კასპიისპირეთიდან შემოჭრის სანინაღმდეგო ღონისძიებები (გოზალიშვილი 1935: 86-87, 200), დეტალურადაა დამუშავებული აჯანყების პირველი ღამის მოქმედებები (რუსი სამხედრო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელების, აგრეთვე, ანტაგონისტი ქართველების ერთ შენობაში თავმოყრა და ნეიტრალიზება, ციხის, ყაზარმების, არსენალის, ხაზინის, კვების ობიექტებისა და სხვ. ხელში ჩაგდება, ხალხის ქუჩაში გამოყვანა და სხვ. – გოზალიშვილი 1935: 137-138; აქვთ პაროლიც: „რუსების ნყვეტა“ – გოზალიშვილი 1935: 84, 147; გოზალიშვილი 1970: 544), გააზრებულადაა შერჩეული აჯანყების დრო [თავიდან გვიანი შემოდგომა (20 ნოემბერი – გოზალიშვილი 1935: 87), საბოლოოდ – ზამთარი (20 დეკემბერი – გოზალიშვილი 1935: 88), როცა საქართველოში რუსული სამხედრო კონტიგენტი შემცირებული იყო, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯარების გადმოსროლა ბუნებრივი პირობების (თოვლის) გამო ვერ მოხერხდებოდა.

შეთქმულთა ჩვენებებში მიმოფანტული ცალკეული ცნობების თავმოყრით ირკვევა, რომ შეთქმულების ორგანიზატორებს

ნიშვილი ბოლომდე ამ მოთხოვნის (ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების – თ. ჯ.) ერთგული დარჩა და მთელი მისი ძალისხმევა უმთავრესად იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე აეძულებინა რუსეთი, შეესრულებინა 1783 წლის ტრაქტატის პირობები“ (ორჯონიკიძე 1999: 9; იხ. აგრეთვე: ბერძნიშვილი 1980: 107)].

ჰქონდათ საერთაშორისო კავშირები, მათ შორის, საფრანგეთი-სა და ინგლისის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებთან:

1831 წელს თამარ ბატონიშვილი შეთქმულთა ერთ ჯგუფთან ერთად იერუსალიმის მოსალოცად აპირებდა წასვლას, გზად იგი ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა შეხვედროდა, იერუსალიმში ქრისტეს საფლავის თაყვანისცემის შემდეგ პარიზში გამგზავრებულიყო, იქ პოლიტიკურ წრეებს შეხვედროდა, იქიდანვე ინგლისში ჯერ ნიადაგის მოსამზადებლად თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა, შემდეგ კი თვითონაც იქ ჩასულიყო. ორივეგან თამარს რუსებისგან გათავისუფლებაში დახმარება უნდა ეთხოვა, თუმცა გამჟღავნების შიშით მოგვიანებით გეგმა უარყოფილ იქნა [(გოზალიშვილი 1935: 365; საკითხის გარშემო იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 95; III: 9-10; თამარ ბატონიშვილი „მმართველობის ევროპულ წესებში გათვითცნობიერებული იყო“ (სურგულაძე 1968: 305) და მისი განზრახვა დასავლეთევროპულ სახელმწიფოებთან (განსაკუთრებით, საფრანგეთთან) კავშირების დამყარებისა უნისონში იყო დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილების ევროპულ ორიენტაციასთან; აღსანიშნავია ისიც, რომ თამარ ბატონიშვილს საქართველოში ფრანგების მოწვევა იმისთვისაც უნდოდა, რომ „ფრანციცები დიახ კარგად დააწყობენ საქართველოში რიგსაო“ (გოზალიშვილი 1935: 87; ე. ი. ქვეყნის მმართველობითი სისტემის გამართვაში დაგვეხმარებიანო – თ. ჯ.)].

აჯანყების შემდეგ ოქროპირ ბატონიშვილი პარიზში უნდა წასულიყო და თანამემამულეებს იქიდან დახმარებოდა („...ფრანციაში უნდა წასულიყო და იმას იქიდგან ესაქმა. დოდაევმა მითხრა, თუ აქ მოხდა რამეო, ოქროპირ პარიჟში წავაო“ – გოზალიშვილი 1935: 366; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 155; ზოგი ცნობით, საზღვარგარეთ ოქროპირთან ერთად დიმიტრი ბატონიშვილიც უნდა წასულიყო – გოზალიშვილი 1976: 388).

დიმიტრი ბატონიშვილს მიაჩნდა, რომ გარეშე ძალის გამოყენებით (ინგლისი, საფრანგეთი...) შესაძლებელი იყო, ზე-

გავლენა მოეხდინათ რუსეთზე, რათა იგი დათანხმებულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას 1783 წლის ტრაქტატის „უფლებრივ ნორმათა საფუძველზე“ (ბენდიანიშვილი 1978: 553);

ს. რაზმაძის ჩვენებით, „ფიქრობდნენ... თუ ინგლისი ან საფრანგეთი დახმარებას აღმოუჩინებდა, საქმე წარმატებით დასრულდებოდა“ (გოზალიშვილი 1970: 275). თვითონ ს. რაზმაძეს, როგორც ირანში რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრის, გრაფ ივ. სიმონიჩის, თანამშრომელს, დავალებული ჰქონდა „დაემყარებინა ურთიერთობა ალექსანდრე ბატონიშვილთან და თავრიზში მყოფ ინგლისელებთან“ (გოზალიშვილი 1976: 444; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1955: 55, 450), თუმცა ამ საქმის შემდგომი მსვლელობა (ინგლისელებთან ს. რაზმაძის კავშირი) მასალებში არ ჩანს.

შეთქმულების მასალებში გვხვდება მარი ბროსეს სახელი. ამ მხრივ საინტერესოა მიმოხილვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კ. ნესელროდესა და კავკასიის მთავარმართებელ გრ. როზენს შორის. კერძოდ, კ. ნესელროდე სწერს მთავარმართებელს: „პარიზიდან მიღებული ცნობების თანახმად, სომხური ენის პროფესორს ლევალიანს [უნდა იყოს: ლევაიანი (იხ. ბუაჩიძე 1983: 41)] და ვინმე ბროსეს განზრახული ჰქონიათ **საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) სომხეთსა და საქართველოში ვითომდა სამეცნიერო მოგზაურობა, რომლის ნამდვილი მიზანია ამ ქვეყნებში აღრეულობის თესლის მიმოხილვა და ჯაშუშური მოღვაწეობა“ (გოზალიშვილი 1935: 38). საინტერესოა ისიც, რომ მარი ბროსეს ურთიერთობა ჰქონდა თავშესაფრის საძებნელად პარიზში გადახვენილ ვახტანგ და ტარიელ იმერეთის ბატონიშვილებთან. იმავე კ. ნესელროდეს მიხედვით, „ბ-ნი ბროსე თავის სიტყვებში არა ჰმაილავს, რომ იმერელ თავადებთან ურთიერთობა მისი პოლიტიკის გარეშე არ დგას. ის მათ ქართულ ენაზე აცნობებდა რუსეთისათვის არახელსაყრელ ცნობებს იმათ სამშობლოში აღრეულობის დროს და, ამასთანავე, აიძულებდა მათ, რომ დაუბრუნდებოდათ

სამემკვიდრეო მამული საფრანგეთის მთავრობის გავლენით...“ (გოზალიშვილი 1935: 39; საკითხის გარშემო იხ. აგრეთვე: ბუაჩიძე 1983: 40-44; მ. ბროსესა და იმერელი ბატონიშვილების ურთიერთობის შესახებ იხ.: ხანთაძე 1966: 25; ბუაჩიძე 1983: 33-36).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საფრანგეთის საკონსულოს მდივნის, ვიქტორ ლეტელიეს, კავშირი შეთქმულებასთან. დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ლეტელიეს აქტიური კონფიდენციალური ურთიერთობა აქვს შეთქმულებთან როგორც საქართველოში, ისე რუსეთში [გოზალიშვილი 1935: 45-47; გოზალიშვილი 1970: 43-44, 350 და შმდ.; ბერძნიშვილი 1983: 79-81; სურგულაძე 1968: 253-254; ოქროპირ ბატონიშვილის ახლო ურთიერთობის შესახებ ვ. ლეტელიესთან იხ.: გოზალიშვილი 1976: 178, 180, 221; ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილებთან – გოზალიშვილი 1935: 45; გოზალიშვილი 1976: 236; საინტერესოა ისიც, რომ ლეტელიე საუბრობდა ქართულად (გოზალიშვილი. 1935: 46), ფლობდა ქართულ ხელნაწერთა კოლექციას (ბერძნიშვილი 1983: 80-81; თაყაიშვილი 1933: 22-23, 47, 50), კავშირი ჰქონდა მარი ბროსესთან და, სხვათა შორის, მარი ბროსეს მიერ 1830 წელს პარიზში გამოცემული ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ ხელნაწერი სწორედ ვ. ლეტელიემ ჩაუტანა მ. ბროსეს 1826 წელს პარიზში (ხანთაძე 1966: 20); ვ. ლეტელიეს ურთიერთობაზე, მაგალითად, ალ. ჭავჭავაძესთან იხ.: გოზალიშვილი 1935: 45-47; გოზალიშვილი 1970: 152, 155-156, 162, 317, 352-353; გ. რ. ერისთავთან – გოზალიშვილი 1970: 152, 154, 162-163, 352-353; დიმ. ორბელიანთან – გოზალიშვილი 1935: 46; გოზალიშვილი 1970: 485; გოზალიშვილი 1976: 451-452]. შეთქმულების ჩავარდნისას ვ. ლეტელიე პეტერბურგში იმყოფებოდა (ბერძნიშვილი 1983: 80) და შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე დატოვა რუსეთი (სამშობლოში გაემგზავრა – გოზალიშვილი 1935: 45; გოზალიშვილი 1976: 206); საგამომძიებლო კომისია, თავის მხრივ, არ ჩაეძია ამ ამბავს, ვ. ლეტელიე შეიყვანა VIII კატეგორიაში იმათ შორის, „ვიზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა, რომ მათ ან

იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ან მას თანაუგრძნობდნენ“ (გოზალიშვილი 1935: 38) და იგი სასჯელის გარეშე დატოვა.

ჩვენ არ ვიცით, უცხოეთთან კიდევ რა კავშირები იმალება ჩვენ მიერ დამოწმებული ცნობების მიღმა, რადგანაც, ჯერ ერთი, შეთქმულნი ცდილობდნენ ამ კავშირების დამალვას და, მეორეც, ამას ხელს უწყობდა საგამომძიებლო კომისია, რომელსაც, თავის მხრივ, უცხოეთთან და უცხოელებთან შეთქმულთა კავშირების „ნაშლა“ – უკიდურეს შემთხვევაში, გაუბრალოება – სურდა.

ასეა თუ ისე, უდავოდ გასათვალისწინებელია გ. გოზალიშვილის შეხედულება: „თუ ამ ცნობას (შეთქმულთა ურთიერთობას ლეტელიესთან – თ. ჯ.), აგრეთვე მ. ბროსეს ქართველ შეთქმულებთან დამოკიდებულებას ღრმად ჩავეუკვირდებით, აგრეთვე, თუ მოვიგონებთ თავრიზში ალექსანდრე ბატონიშვილის ინგლისის წარმომადგენლებთან ურთიერთობას და ელიზბარ ერისთავის არაერთხელ ნათქვამს მოსალოდნელი დახმარების შესახებ, – შეიძლება ვაღიაროთ, რომ შეთქმულება ევროპის დიპლომატების გავლენას თუ მათს ნაქეზებას მოკლებული არ უნდა ყოფილიყო“ (გოზალიშვილი 1970: 163; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: სურგულაძე 1968: 257-258, 296-297). ჩვენ ვფიქრობთ, შეთქმულების მასალები იძლევა საშუალებას, გ. გოზალიშვილის მიერ მეცნიერული სიფრთხილით ფორმულირებული ეს მოსაზრება გავალრმავოთ და უფრო თამამად ვთქვათ, რომ *შეთქმულებს ჰქონდათ კავშირები ევროპის (საფრანგეთი, ინგლისი) პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებთან და მოელოდნენ კიდევაც მათგან დახმარებას*. ამ მხრივ საგულისხმოა სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვისადმი მთავარმართებელ გრ. როზენის კონფიდენციალური მიმართვა, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ ბატონიშვილებს (დემიტრის, ოქროპირსა და სხვ. – თ. ჯ.), რომლებიც განათლებულნი არიან, ალბათ, არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ მათი განზრახვები განუხორციელებელი იქნებოდა, თუ არა ჰქონდათ გარედან რამე დახმარების იმედი“ (გოზალიშვილი 1976: 451). ზოგადად უცხოეთის დახმა-

რებაში კი, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ პოლიტიკური და დიპლომატიური დახმარება, განსაკუთრებით, რუსეთთან ურთიერთობაში. ანალოგები იყო: საერთაშორისო მხარდაჭერით ამ დროს კონსტიტუცია და სეიმი ჰქონდათ რუსეთის იმპერიაში შემავალ ფინეთსა და პოლონეთს (იხ. სურგულაძე 1968: 296-297; შეთქმულთა საერთაშორისო კავშირებზე იხ. აგრეთვე: შველიძე 2014: 42-58).

დასასრულ, დავიმონმებთ კ. კაციტაძის მოსაზრებას: „[შეთქმულებს] სწორად ჰქონდათ ნავარაუდევია, რომ ე. წ. აღმოსავლეთის საკითხი აუცილებლობით გადაიზრდებოდა ომში, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, ინგლის-საფრანგეთს შორის. ისინი მხოლოდ ომის თარიღის განსაზღვრაში შეცდნენ. ყირიმის ომის სახელით ცნობილი კონფლიქტი 1853-1856 წლებში მიმდინარეობდა და რუსეთის სამხედრო კრაზით დასრულდა“ (კაციტაძე 1997; საინტერესოა ჩვენება ი. ფალავანდიშვილისა, რომელიც წერს: „სოვეტნიკი [ალ. ორბელიანი] მეუბნება, რაზმადე სპარსეთიდან კარგ ამბებს გვატყობინებს, თითქოს ინგლისელები რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებას აპირებენო“ – გოზალიშვილი 1970: 309; ალ. ორბელიანი კომისიას უჩვენებს: „იასე ფალავანდოვმა გვითხრა, ეხლა რუსებს ფრანცუზებთან აშლა ექნებათო...“ – სეა. ფონდი 1457. რვეული 3. ფურც. 438; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 136). უნდა ვიფიქროთ, შეთქმულების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს სურდათ, საქართველო ხსენებული დაპირისპირების არეალში მოექციათ და მიზნის მიღწევა ამ ფონზე ეცადათ.

შეთქმულები გარკვეულ იმედებს უკავშირებდნენ ეგვიპტის ფაშას, მუჰამად ალის, რომელსაც იმ დროს (1831-1833) ოსმალეთთან ომში გამარჯვების რეალური პერსპექტივა ჰქონდა, კონსტანტინოპოლთან იყო მისული და საბოლოოდ ოსმალეთი გამანადგურებელი მარცხისგან რუსეთის ენერგიულმა დახმარებამ იხსნა. შეთქმულთა ჩვენებებში ამ მხრივ საინტერესო ცნობებია დაცული (გოზალიშვილი 1935: 136, 325, 457; გოზა-

ლიშვილი 1970: 454, 559; გოზალიშვილი 1976: 43, 340, 373 და შმდ.; სურგულაძე 1968: 258). შეთქმულთა განზრახვა, მოეპოვებინათ მუჰამად ალის მხარდაჭერა, სწორად გათვლილი ნაბიჯი იყო. ოსმალეთის დამარცხებისა და საქართველოში შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში ჩნდებოდა ალბათობა, საქართველოს სახელმწიფო კავკასიაში მუჰამად ალის მოკავშირედ ქცეულიყო, რაც ქართველებისთვის პერსპექტივაში ხელსაყრელი არგუმენტი იქნებოდა რუსეთთან მომგებიანი პოზიციის მისაღწევად. უაღრესად საინტერესოა, რომ მუჰამად ალიმ სცადა ჩრდილოკავკასიელ ხალხებში ალექსანდრე ბატონიშვილის ავტორიტეტის გამოყენება – 1832 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი კისრულობს ეგვიპტის ფაშას შუამავლობას შამილის წინამორბედ ყაზი-მოლასთან, ხოლო ალექსანდრეს მიერ ყაზი-მოლასთან საიდუმლო დავალებით გაგზავნილი სამი პირიდან ერთ-ერთი, ბალა მაჰმადა, სპეციალურად თბილისში ჩამოდის და შეთქმულების ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ალ. ორბელიანს, ხვდება, აქედან კი ალექსანდრე ბატონიშვილთან ალ. ორბელიანის წერილი მიაქვს (გოზალიშვილი 1935: 55-56; გოზალიშვილი 1970: 109-110; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 216).

შეთქმულნი ირანის მხარდაჭერასაც ვარაუდობდნენ (სურგულაძე 1968: 258). გ. გოზალიშვილის აზრით, „ალ. ბატონიშვილთან [შეთქმულთა] ურთიერთობა თვით სპარსეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობას გულისხმობს, რადგან... ალექსანდრე სპარსეთის ხელისუფლების სურვილითა და ხელის შეწყობით მოქმედებდა რუსეთის წინააღმდეგ“ (გოზალიშვილი 1935: 57).

შეთქმულებს ურთიერთობა აქვთ ოსმალეთის ელჩთან – ლუარსაბ ორბელიანის ერთ-ერთი ჩვენების მიხედვით, 1831 წელს ალ. ორბელიანს მისთვის უთქვამს, რომ „ის დაიარება აქ ოსმალეთის ელჩთან და აქვს ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი“ (გოზალიშვილი 1935: 57); თვითონ ალ. ორბელიანიც ადასტურებს, რომ ერთხელ, ს. დოდაშვილის სახლში მისულს, იქ „ოსმალის პოსლანიკი“ დახვდა და მალე იქ ელიზბარ ერისთავი

და ვახტანგ ორბელიანიც მივიდნენ (გოზალიშვილი 1935: 57); ს. დოდაშვილიც, თავის მხრივ, აღიარებს, ოსმალეთის ელჩთან „ხშირად დავიარებოდი... ერთ საღამოს კი ჩაიზე მოვიწვიე“ (გოზალიშვილი 1935: 57); ვ. ორბელიანი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს: „გავიგონე დოდაშვილისაგან 1831 წ., რომ ოსმალეთის ელჩი ერთ საღამოს მასთან იყო“ (გოზალიშვილი 1935: 58).

ასე რომ, 1832 წლის შეთქმულება კარგად იყო ორგანიზებული, გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით, მოიცავდა ყველა სოციალურ ფენას, ჰქონდა ფართო (კავკასიური) მასშტაბი და მიზანდასახულობა, გეგმა აჯანყებისა დეტალურად იყო დამუშავებული, არსებობდა საერთაშორისო კავშირები და, რომ არა ი. ფალავანდიშვილის გამცემლობა, **შეთქმულების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს ჰქონდათ აჯანყების წარმატებით დასრულების რეალური შანსი** (რა შანსები ჰქონდათ გამარჯვების **შენარჩუნებისა**, ეს სხვა საქმეა და ამ საკითხზე მსჯელობა ვარაუდების სფეროშია შესაძლებელი. ამ მხრივ საინტერესოა ი. ფალავანდიშვილის ერთ-ერთი ჩვენება: „[ალ.] ჭავჭავაძემ თქვა, რომ, თუმცა შეიძლება რუსების საქართველოდან გაყვანა, მაგრამ ძნელი იქნება შემდგომში მათთან ბრძოლა“ – გოზალიშვილი 1935: 136).

დავუბრუნდეთ საკითხს: რა მიზანი ამოძრავებდა ხელისუფლებას (იმპერატორიდან მოკიდებული საგამომძიებლო კომისიის ჩათვლით), როცა მან მიჩქმალა შეთქმულების ნამდვილი მიზნები და მასშტაბი, ხოლო ინიციატორები, ორგანიზატორები თუ მონაწილეები შედარებით მსუბუქად დასაჯა – 145 გამოვლენილი მონაწილიდან 47 უდანაშაულოდ იქნა ცნობილი (გოზალიშვილი 1935: 38; ბერძნიშვილი 1980: 9), დანარჩენი „დანაშაულის“ ხარისხის მიხედვით სხვადასხვა კატეგორიაში გადაანაწილეს (გოზალიშვილი 1935: 37-38, 500-502; გოზალიშვილი 1976: 427-431, 435-437), სამხედრო სასამართლოზე მხოლოდ 13 შეთქმული გაიყვანეს (გოზალიშვილი 1976: 428, 434; სურგულაძე 1968: 264) და ამათგანაც ზოგიერთი (ლ. ორბელიანი,

ივ. ერისთავი) საერთოდ გაათავისუფლეს (გოზალიშვილი 1976: 435), საბოლოოდ რუსეთის გუბერნიებში დაახლოებით 35-მდე შეთქმული გადაასახლეს, თანაც სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურის უფლებით (გოზალიშვილი 1976: 427-437), საქართველოში დატოვებული „დამნაშავეების“ უმრავლესობას კი პოლიციური მეთვალყურეობა აკმარეს (გოზალიშვილი 1976: 430). 1835 წლიდან დაიწყო იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ შეწყობულ და შენდობილ შეთქმულთა თანდათანობითი დაბრუნება საქართველოში,³ სხვადასხვა მიზეზით მხოლოდ რამდენიმეს ვერ ეღირსა სამშობლოს ხილვა (ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე, ი. ფალავანდიშვილი, მოლა ზამანა; რა ბედი ეწიათ თ. ლორთქიფანიძესა და გრ. ტალიაშვილს, ჩვენ ეს ვერ გამოვარკვეით).

შეთქმულების მასალებზე ზერელე დაკვირვებითაც კი აშკარაა, რომ საგამომძიებლო კომისია არ არის დაინტერესებული, საფუძვლიანად გამოარკვიოს მოვლენების არსი, ხშირად თვალს ხუჭავს შეუსაბამობებზე შეთქმულთა ჩვენებებში, უყურადღებოდ ტოვებს ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებს და ა. შ.; გ. გოზალიშვილის დაკვირვებით, „კომისიის შეკითხვები ბრალდებულთა მიმართ ისეა ფორმულირებული, რომ ბრალდებულს უადვილდება მათზე ნებისმიერი, არაარსებითი, ან სრულიად უარყოფითი პასუხი გასცეს. კომისიის ამგვარმა მუშაობამ ხელი შეუწყო ბრალდებულთ თავიანთი საქმიანობის არა ერთი მომენტის დასაფარავად“ (გოზალიშვილი 1976: 185). იგივე გ.

³ თბილისიდან ტამბოვში 1834 წ. 18 იანვარს (გრიშაშვილი 1940: XLVIII) გასტუმრებულ ალ. ჭავჭავაძეს კიდეც უფრო ადრე ეპატია „დანაშაული“ – მთავარმართებელ გრ. როზენის მიერ რუსეთის სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვისადმი 1834 წლის 30 აგვისტოს გაგზავნილი მიმართვიდან ირკვევა, რომ ალ. ჭავჭავაძე იმპერატორ ნიკოლოზ I-ს პეტერბურგში ხაზგასმული კეთილგანწყობით მიუღია, სუფრაზე მიუწვევია და უთქვამს – რაც წარსულში იყო, დავიწყებას მივცეთო [აქტები 1881: 423; პეტერბურგში ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების (1834-1837 წწ.) შესახებ იხ. მახათაძე 1996: 120-128].

გოზალიშვილი, ეყრდნობა რა მთავარმართებელ გრ. როზენისა და სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვის მიმონერას, დაასკვნის: „არც რუსეთის ხელისუფლება იყო დაინტერესებული, შეთქმულებისთვის სერიოზული ხასიათი მიეცა და მისი ნამდვილი ბუნება გამოემჟღავნებინა; მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო, გარკვეულ მოსაზრებათა გამო, ეს ამბავი ზოგიერთი დარდი-მანდი ქართველ თავადიშვილების ახალგაზრდათა ერთი ჯგუფის ფუქსავატურ ოცნებად გაესაღებინა. მთავრობამ განგებ მიჩქმალა ქართველთა შეთქმულების ამბავი, რათა იგი საზოგადოებრივი აზრის მსჯელობის საგანი არ გამხდარიყო“ (გოზალიშვილი 1935: 5). რაც მთავარია, თვითონ შეთქმულნიც ხვდებოდნენ, რომ მათ გარშემო უჩვეულო ვითარება იყო შექმნილი. ალ. ორბელიანის ერთ-ერთი მოგონების მიხედვით, „ყველას ათქმევინეს შეთქმულებს და სხვანიცა მრავალნი ალაპარაკეს, რომ **რაც მოხდა, ეს მამულის გამოხსნის შეთქმა არ არის** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.), სხვას მნიშვნელობას აძლევდნენ, რაღაც სხვა მიზეზებს. ეს რუსეთის მთავრობის საიდუმლო არის, რომელიცა იმან უნდა იცოდეს და სხვამ არავინ, რაისათვისაც სდებდა სხვა მიზეზებსა“ (გოზალიშვილი 1935: 6).

მართლაც, ხელისუფლებისთვის არ იყო სასურველი (არც შინ, მით უმეტეს – არც საზღვარგარეთ), გამჟღავნებულიყო არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმით საყოველთაო უკმაყოფილება „ნებაყოფლობით შეერთებულ“ ქვეყანაში.⁴ მეორეც, რუსეთს გაჩაღებული ჰქონდა სისხლისმღვრელი ომი ჩრდილოეთ კავკასიაში და, ცხადია, არ სურდა სერიოზული კონფლიქტი ამ ომის პლაცდარმად ქცეულ საქართველოში. ამას გარდა, ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ არ იყო ჩანყნარებული რუსეთის მიერ პოლონეთის 1830-1831

⁴ ასე, მაგალითად, მთავარმართებელი გრ. როზენი წინააღმდეგი იყო, შეთქმულთა საქმე რუსეთის მმართველ სენატს (Правительствующий сенат) განეხილა, რადგან შიში ჰქონდა – „სენატი გაზეთში გამოაცხადებსო“ (გოზალიშვილი 1935: 5).

ნლების აჯანყების ჩახშობისა და აჯანყებულ პატრიოტთა ხოცვა-ჟლეტის გამო (ამ საკითხზე იხ. სურგულაძე 1968: 266-268). ჩვენი აზრით, უსათუოდ გასათვალისწინებელია ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოებაც – რუსეთის მონარქიას განზრახული ჰქონდა, საქართველოში (საერთოდ კავკასიაში) თავისი პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი თავადაზნაურობა გადაექცია და მისთვის, ცხადია, უფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნებოდა, ურთიერთობა ჰქონოდა არა **დასჯილ**, არამედ **შენყალბულ** ფენასთან [„ყველანი მადლობას ამბობდნენ ხელმწიფე იმპერატორისას, რო ასე სუბუქად დააბოლოვა ჩვენი საქმე და არაფრად მიიღო“, – წერს ერთ თავის მოგონებაში ალ. ორბელიანი (ორბელიანი 1992: 190)].

შედეგი ნიკოლოზ I-მა სულ მალე საკუთარი თვალთ იხილა – 1837 წლის ოქტომბერში იგი ეწვია საქართველოს და წარჩინებული წოდება მას გულწრფელი აღტაცებით, გრანდიოზული ნადიმითა და პომპეზური დღესასწაულით შეხვდა (ისარლოვი 1899: 181-184; ბალახაშვილი 1940: 134-142; უილბრაჰამი 1990: 39-47 და სხვ.). რუსეთის მონარქი დარწმუნდა – დამდგარი იყო ქართველი თავადაზნაურობის იმპერიის სამსახურში ჩაყენების დრო და, აქედან მოკიდებული, **ჩვენი თავადაზნაურობა თანდათანობით კავკასიაში რუსეთის მონარქიული ტახტის დასაყრდენ ფენად ტრანსფორმირდება.**⁵

2017 წ.

⁵ იმპერატორის პირველ ვიზიტს საქართველოში ერთი პოზიტიური შედეგი მოჰყვა. ნიკოლოზ I-მა, დარწმუნდა რა წამყვანი ფენის, თავადაზნაურობის, სრულ ლოიალიზმში, გადანყვიტა, ამიერკავკასია სამხედრო რეჟიმიდან მმართველობის სამოქალაქო წესზე გადაეყვანა. ეს კი, თავის მხრივ, ობიექტურად გაცილებით უკეთეს გარემოს ქმნიდა საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების მოწესრიგებისათვის, ხოლო პატრიოტულად განწყობილ ინტელექტუალურ ელიტას ეროვნული იდეოლოგიის შექმნისა და განხორციელების

დამონებიანი:

- აბაშიძე 1905:** აბაშიძე კ. პოლიტიკური რომანტიზმი. „მომამბე“, 1905, №1 (განყ. II).
- აბაშიძე 1962:** აბაშიძე კ. გრიგოლ ორბელიანი. // კ. აბაშიძე. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1962.
- აბაშიძე 1998:** აბაშიძე კ. პოლიტიკური რომანტიზმი. გ. აბაშიძის პუბლიკაცია მისივე შესავალი წერილით „კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმი“. „ლიტერატურული ძიებანი“. XIX. 1998.
- აქტები 1881:** Дело о грузинском заговоре. // Акты, собранные Кавказской археографической комиссией. т. VIII. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1881.
- ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბლიტგამი. 1940.
- ბენდიანიშვილი 1978:** ბენდიანიშვილი ალ. დიმიტრი ბატონიშვილი (ბაგრატიონი). // ქსე. [ტ.] 3. თბილისი: 1978.
- ბენდიანიშვილი 1980:** ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. თბილისი: მეცნიერება. 1980.

უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. ცოტა ხანში გამოჩნდა პირველი საიმედო ნიშანი – 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით დაარსდა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ (1842-1848), *საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული* პირველი მნიგნობრულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის გარშემოც თავი მოიყარეს იმდროინდელი საქართველოს საუკეთესო შვილებმა (ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ, ვახტანგ, ზაქარია ორბელიანები, ალექსანდრე და დავით ჭავჭავაძეები, ზაქარია ფალავანდიშვილი, ელიზბარ ერისთავი, მიხეილ თუმანიშვილი, კონსტანტინე დადიანი და სხვ. – ბიბლიოთეკის შესახებ იხ. აქვე, გვ. 7-73). დაიწყო უაღრესად საინტერესო, კულტურასა და განათლებაზე ორიენტირებული პრაგმატული პოლიტიკა, რომელმაც 1860-იან წლებში თერგდალეულთა დიდი თაობა წარმოშვა, თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

- ბერიძე 1963:** ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება (1801-1917 წლები). II. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.
- ბერძნიშვილი 1980:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.
- ბერძნიშვილი 1983:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.
- ბუაჩიძე 1983:** Буаჩидзе Г. Мари Броссе. Страницы жизни. Тбилиси: Мериანი. 1983.
- განერელია 1978:** განერელია ა. ნიკოლოზ ბარათაშვილი. // ა. განერელია. რჩეული ნაწარები (სამ ტომად). ტ. II. თბილისი: მერანი. 1978.
- გოზალიშვილი 1935:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.
- გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.
- გოზალიშვილი 1976:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.
- გრიშაშვილი 1940:** გრიშაშვილი ი. ალექსანდრე ჭავჭავაძე. // ალ. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით. თბილისი: ფედერაცია. 1940.
- თაყაიშვილი 1933:** თაყაიშვილი ე. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. პარიზი: 1933.
- ინგოროყვა 1963:** ინგოროყვა პ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. // პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული (შვიდ ტომად). ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.
- ისარლოვი 1899:** Исарлов Л. Письма о Грузии. Тифлис: Издание 3. Чичинадзе. 1899.
- კაციტაძე 1997:** კაციტაძე კ. ესეი ქართულ პოლიტიკურ რომანტიზმზე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 15-22.VIII, 1997, №33.
- კოტეტიშვილი 1965:** კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). // ვ. კოტეტიშვილი. რჩეული ნაწარები (ორ ნიგნად). დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1965.

- მახათაძე 1996:** მახათაძე ნ., ალ. ჭავჭავაძე პეტერბურგში. // ნ. მახათაძე. „უწყება“ და „ვსენება“. თბილისი: მეცნიერება. 1996
- ნიკოლაიშვილი 1967:** ნიკოლაიშვილი ნ. 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყება და საქართველოს მოწინავე საზოგადოება. „მაცნე“, 1967, №2.
- ორბელიანი 1992:** ორბელიანი ალ. ჭეშმარიტი სიყვარული. // ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. IX (ტომის რედაქტორი ჯ. ჭუმბურიძე). თბილისი: ნაკადული. 1992.
- ორჯონიკიძე 1999:** ორჯონიკიძე ე. ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები. თბილისი: მეცნიერება. 1999.
- პაპავა 1990:** პაპავა თ. ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება. // თ. პაპავა. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გ. შარაძემ. თბილისი: მერანი. 1990.
- პოლიევქტოვი 1927:** პოლიევქტოვი მ. საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში. // საქართველოს არქივი. წგნ. 2. ტფილისი: ცენტრარქივი. 1927.
- სურგულაძე 1968:** სურგულაძე ა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1968.
- უილბრაჰამი 1990:** რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში. ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. მელაძემ. თბილისი: მეცნიერება. 1990.
- ქიქოძე 1963:** ქიქოძე გ. რომანტიკოსთა თაობა. // გ. ქიქოძე. რჩეული თხზულებანი (სამ ტომად). ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.
- ყიფიანი 1930:** ყიფიანი დიმ. მემუარები. ს. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1930.
- შველიძე 2014:** შველიძე დ. 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან. თბილისი: უნივერსალი. 2014.
- ხანთაძე 1966:** ხანთაძე შ. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1966.
- ხუნდაძე 1936:** ხუნდაძე ს. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1936.

- ჯოლოგუა 2002:** ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წწ.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002.
- ჯოლოგუა 2013^ა:** ჯოლოგუა თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი: არტანუჯი. 2013.
- ჯოლოგუა 2013^ბ:** ჯოლოგუა თ. „პეჩორის თავადი“ – მოგონება იასე ფალავანდიშვილზე. თბილისი: არტანუჯი. 2013.
- ჯორჯაძე 1989:** ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მათიანი). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

აკაკი წერეთლის „განთიადის“ დათარიღებისათვის

„განთიადის“ დღემდე ცნობილი არც ერთი ხელნაწერი არ არის დათარიღებული (წერეთელი 1950: 510; წერეთელი 2011: 505), რამაც შემდგომში არაერთი გაუგებრობა წარმოშვა. დღესდღეობით ლექსის დაწერის თარიღის შესახებ სამეცნიერო თუ მემუარულ ლიტერატურაში ორი თვალსაზრისია გამოთქმული:

ა) აკაკიმ „განთიადი“ დაწერა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის დღეებში და წარმოთქვა იგი დალუპულის დაკრძალვაზე, ე. ი. 1887 წლის 8 ნოემბერს (ძვ. სტ). ამ თვალსაზრისს დასაბამი მისცა სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებამ, რომელსაც ქვემოთ დავიმოწმებთ.¹ აკაკის მიერ დიმ. ყიფიანის დაკრძალვაზე ლექსის წარმოთქმას ზ. ჭიჭინაძე (ჭიჭინაძე 1892: 41) და დ. დავითაშვილიც (დავითაშვილი 2007: 176-177) ახსენებენ, თუმცა ზ. ჭიჭინაძე არ ასახელებს ლექსის სათაურს, დ. დავითაშვილს კი მოჰყავს ფრაგმენტი ა. წერეთლის მიერ 1888 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებული ლექსისა – „ქართველი უცხოეთში“ [წერეთელი 2011: 160-161; „ივერიის“ პუბლიკაციაში – „ქართველი სპარსეთში“ (წერეთელი 1888)].

ბ) „განთიადი“ მოგვიანებით, კერძოდ, 1892 წელს დაიწერა, ხოლო გამოქვეყნდა იგი 1893 წლის 3 იანვარს, გაზეთ „კვალის“ პირველ ნომერში (წერეთელი 1893: 11-12). იმავე წელს აკაკიმ „განთიადი“ შეიტანა თავის კრებულში „სალამური“, რომლის დაბეჭდვაზე ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წ.

¹ ს. მგალობლიშვილის მოგონებაზე დაყრდნობით ჯ. დადიანმა ივარაუდა: „როგორც ჩანს, აკ. წერეთელს „განთიადი“ დაუწერია 1887 წლის ოქტომბრის დასასრულს ამ იმავე წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში“ (დადიანი 1959).

12 დეკემბერს (წერეთელი 1893^ბ: 2) და, მაშასადამე, ამ დროისთვის ლექსი დაწერილია, ავტორს შეტანილი აქვს კრებულში და – წარდგენილი ცენზურისთვის.

სოფრომ მგალობლიშვილის მიხედვით, „დიმიტრი ყიფიანი აკაკის ძალიან უყვარდა, დიდს პატივსა სცემდა... დიმიტრის დასაფლავებაზე მან წარმოსთქვა თავისი ლექსი „განთიადი“. ამ ლექსის კითხვის დროსაც აკაკის გული აუდუღდა, ცრემლები წასკდა თვალთაგან და ტირილით გაათავა ლექსი“ (მგალობლიშვილი 1938: 184-185). საკითხის გარშემო სხვა წყაროს ჩვენ არ ვიცნობთ. არადა, დიმ. ყიფიანის ცხედართან აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ, რომელიც, უცნობი ხელით გადაწერილი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (№18541-ბ) და რამდენჯერმეა გამოქვეყნებული (უთურაშვილი 1989: 311; წერეთელი 1997: 123-124), საკმაო მასალა მოგვეპოვება. დავიმონუმებთ ზოგიერთ მათგანს: „[პროცესია] ქალაქის მთავარი ქუჩებით დაიძრა და კრძალვის ადგილისკენ, სადაც ქართველი პოეტისა და სასაფლაოების ნაფიცი ორატორის, წერეთლის, მოკლე **სიტყვის** (კურსივი აქ და ქვემოთ ჩვენია – თ. ჯ.) შემდეგ დასაფლავეს კიდევ მიცვალებული. წერეთლის ეს „ღირსშესანიშნავი“ **სიტყვა** გამოირჩეოდა განსვენებულის პირადი თვისებებისა და საზოგადოებრივი დამსახურების უსაშველო გაზვიადებით“ (კავკასიის მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის კონფიდენციალური წერილიდან რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ დიმ. ტოლსტოისადმი – ჩხეტია 1947: 514; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 133); „ცნობილმა ქართველმა პოეტმა, თავადმა ა. წერეთელმა, ქართულ ენაზე წარმოთქვა მოკლე და ამალეღვებელი **სიტყვა**“ (ტიფლისკი ლისტოკ 1887; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 121), „განსვენებულის საფლავზე ბ. აკაკი წერეთელმა წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე **სიტყვა**“ [მწყემსი 1887: 2; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 122; საყურადღებო ვითარებაა: დიმ. ყიფიანის დაკრძალვის დღეებში ამ

მოვლენის ამსახველ არც დოკუმენტურ მასალაში (მათ შორის, პოლიციისა თუ ჟანდარმერიის მიერ შედგენილ ანგარიშებში), არც საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციებში არსად არ არის აღნიშნული დაღუპულის ცხედართან აკაკის მიერ **ლექსის** ნაკითხვის ფაქტი და იგი მოგვიანებით დაწერილ – ძირითადად მემუარულ – ტექსტებში გვხვდება]. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც დიმიტრი ციფიანის დამკრძალავი კომისიის წევრი და, შესაბამისად, ამ ფაქტის თვითმხილველი და მონაწილე იყო, საგანგებოდ აღნიშნავს – აკაკის იმ დროს „განთიადი“ ჯერ არ ჰქონდა დაწერილი: „საფლავზე პირველი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ციფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად და, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ის ცნობილი მშვენიერი ლექსი რომა აქვს, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“, მაშინ არ უთქვამს, მერმე დაწერა, დიმიტრი ციფიანს კი გულისხმობდა შიგ!“ [თაყაიშვილი 1968: 242; ძნელი წარმოსადგენია, მოგონების ავტორს აქ შეცდომა მოსვლოდა. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ იგი ხანდაზმულობაშიც საღი მხესიერებით გამოირჩეოდა (თაყაიშვილი 1968: 178), გასაგებ მიზეზთა გამო, აკაკის ამ ლექსისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა – ხანგრძლივი ემიგრაციიდან დაბრუნებულ ე. თაყაიშვილს თბილისის აეროპორტში, მისივე თქმით, თვითმფრინავიდან რომ გადმოდგა ფეხი, სწორედ „განთიადის“ სტრიქონები „მოადგანაზე“ (თაყაიშვილი 1968: 347)].

ჩვენ საგანგებოდ გავეცანით დიმიტრი ციფიანის დაკრძალვის ამსახველ წყაროებს (გამოქვეყნებულსაც, საარქივო ფონდებში დაცულსაც), რომლებშიც წავაწყდით თბილისში დიმიტრი ციფიანის ჩამოსვენების, საპროტესტო მანიფესტაციისა და მთაწმინდაზე დაკრძალვის მონაწილე მრავალი პირის სახელს, მაგრამ მათ შორის სოფრომ მგალობლიშვილი არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, თავისთავად უაღრესად საინტერესო „მოგონებანის“ ავტორი არ ყოფილა თვითმხილველი დიმიტრი ციფიანის დაკრძალვისა და

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მას ან მცდარი ინფორმაცია მიუღია, ან კიდევ თვითონ შეუთხზავს დაღუპული მოღვაწის ცხედართან „განთიადის“ წაკითხვის ისტორია.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „განთიადი“ შეტანილი არ არის აკაკი წერეთლის სიცოცხლეში გამოცემულ თხზულებათა ორტომეულში, რომელიც, მართალია, 1893 წელს გამოიცა, მაგრამ მასზე ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წლის დეკემბერში და, შესაბამისად, კიდევ უფრო ადრე იქნებოდა შედგენილი (მომდევნო კრებულებში ლექსი შეტანილია). მიზეზი უბრალო ჩანს – 1892 წლამდე „განთიადი“ არ დაწერილა.

ასე რომ, „განთიადი“ აკაკის არ წაუკითხავს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე. ლექსი მოგვიანებითაა დაწერილი, კერძოდ, 1892 წელს და ამ თარიღის გადასინჯვის არავითარი საფუძველი, ვფიქრობთ, არ არსებობს.²

1999-2020 წწ.

დამონებიანი:

გაბოძე 2001^ა: გაბოძე ჯ. როდის შეიქმნა და ვის მიეძღვნა აკაკის „განთიადი“? გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 11-18.V, 2001, №19.

გაბოძე 2001^ბ: გაბოძე ჯ. როდის შეიქმნა და ვის მიეძღვნა აკაკის „განთიადი“? „ლიტერატურული ძიებანი“. XXII. 2001.

გაბოძე 2003^ა: გაბოძე ჯ. „განთიადი“ – აკაკის ანდერძი! 1892 წელი! „ლიტერატურული საქართველო“, 28.II.-6.III.2003, №9.

გაბოძე 2003^ბ: გაბოძე ჯ. „განთიადი“ – აკაკის ანდერძი! 1892 წელი. „კალმასობა“, 2003, №2.

დადიანი 1959: დადიანი ჯ. როდის დაიწერა აკაკის „განთიადი“. „სახალხო განათლება“, 4.XI, 1959, №45.

² პოლემიკა საკითხის გარშემო იხ.: მთვარელიძე 1988; მთვარელიძე 2002; მთვარელიძე 2003; გაბოძე 2001^ა; გაბოძე 2001^ბ: 364-370; გაბოძე 2003^ა; გაბოძე 2003^ბ.

- დავითაშვილი 2007:** დავითაშვილი დ. დიმიტრი ყიფიანი როგორც ქართველი პატრიოტი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი. ტ. II. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ზეკარი. 2007.
- თაყაიშვილი 1968:** თაყაიშვილი ე. რჩეული ნაშრომები. ტ. I. გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ. თბილისი: მეცნიერება. 1968.
- მგალობლიშვილი 1938:** მგალობლიშვილი ს. მოგონებანი. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი: ფედერაცია. 1938.
- მთვარელიძე 1988:** მთვარელიძე მ. თარიღის დასაზუსტებლად... „ლიტერატურული საქართველო“, 6.V, 1988, №19.
- მთვარელიძე 2002:** მთვარელიძე მ. აკაკის „განთიადი“ და დიმიტრი ყიფიანი, 1887 წელი. გაზ. „კალმასობა“, ოქტომბერი, 2002, №8.
- მთვარელიძე 2003:** მთვარელიძე მ. დიმიტრი ყიფიანი, 1887 წელი და აკაკის „განთიადი“. „ლიტერატურული საქართველო“, 10-16.I, 2003, №2.
- მწყემსი 1887:** დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის დასაფლავება. „მწყემსი“, 1887, №2.
- საშვილიშვილო მოკავშირე... 1997:** საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. I. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1997.
- ტიფლისკი ლისტოკ 1887:** Похороны Д. И. Кипиани. „Тифлисский листок“, 10.XI, 1887, №250.
- უთურაშვილი 1989:** უთურაშვილი ი. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.
- ჩხეტია 1947:** ჩხეტია შ. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947.
- წერეთელი 1888:** წერეთელი ა. ქართველი სპარსეთში. „ივერია“, 29.I, 1888, №21.

- წერეთელი 1893^ა:** აკაკი [წერეთელი, აკაკი]. განთიადი. „კვალი“, 3., 1893, №1.
- წერეთელი 1893^ბ:** აკაკი [წერეთელი, აკაკი]. სალამური (სასიმღერო ლექსები). ქუთაისი: 1893.
- წერეთელი 1950:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. II. გ. აბზიანიძის რედაქტორობით. თბილისი: საქართველოს სსრ. სახელმწიფო გამომცემლობა. 1950.
- წერეთელი 1997:** სიტყვა აკაკისა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ. // საშვილიშვილო მოკავშირე... ტ. I. თბილისი: ლომისი. 1997.
- წერეთელი 2011:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. II (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს: ჯ. გაბოძემ, რ. კუსრაშვილმა, ც. ყიფშიძემ). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2011.
- ჭიჭინაძე 1892:** ზ. ჭ. [ჭიჭინაძე, ზაქარია]. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: 1892.

ლიტერატურული
კონსტრუქციები

გრიგოლ დადიანი

გრიგოლ დადიანი დაიბადა 1814 წლის 6 ოქტომბერს ზუგდიდში, სამეგრელოს მთავრის, ლევან V დადიანის (1791-1846), ოჯახში. 1827 წელს გრიგოლი რუსეთის საიმპერატორო სახლის პაჟად ჩარიცხეს და პეტერბურგს უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ცოტა ხანში რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო და 14-15 წლის ყმანვილს ჯერ კინტრიშთან, შემდეგ კი მუხაესტატესთან გამართულ ბრძოლებში ვხედავთ მამის გვერდით.

გრიგოლ დადიანს მაინც არ ასცდა ცხოვრება პეტერბურგში, სადაც ჯერ ლაიბგრენადერთა, შემდეგ კი პრეობრაჟენსკოეს პოლკებში მსახურობდა. 1845 წელს იქვე დაქორწინდა გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია V გურიელის, ასულ ტერეზიაზე (1825-1871). ჯვრისწერასა და ქორწილს დაესწრო იმპერატორი ნიკოლოზ I. „გრიგოლის მხრით დედ-მამად იყვნენ ნინო დედოფალი, ბებია გრიგოლისა და მემკვიდრე ცესარევიჩი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე. ჯვარი დასწერა ხელმწიფის მოძღვარმა ბაჟანოვმა სასახლის ეკლესიაში“ (ი. მეუნარგია). პეტერბურგშივე დაუახლოვდა გრიგოლ დადიანი იქ მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს, რომელთაგან განსაკუთრებული მეგობრობა თეიმურაზ ბატონიშვილთან აკავშირებდა. მამის გარდაცვალების შემდეგ გრიგოლ დადიანი სამშობლოში დაბრუნდა, ერთხანს ძმას, სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს (1813-1853), ეხმარებოდა სამთავროს მართვაში, დავითის გარდაცვალების შემდეგ კი მას განუწყვეტლივ ომის ველზე ვხედავთ – იბრძოდა სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშას წინააღმდეგ და რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა (ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლებს), მონაწილეობდა ე. წ. „კავკასიის ომში“, მათ შორის, ღუნიბშიც, სადაც შამილი დაატყვევეს, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში და, საბოლოოდ, შთამბეჭდა-

ვი სამხედრო კარიერა გენერალ-ადიუტანტისა და ინფანტერიის გენერლის ხარისხით დაასრულა.

გრიგოლ დადიანი საზოგადო საქმეებშიც მონაწილეობდა. კერძოდ, იგი დამფუძნებელი წევრი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, 1880-იან წლებში მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში... საერთოდ, „ვეფხისტყაოსანი“ გრიგოლ დადიანის გაუნელებელი სიყვარულის საგანი იყო. მან დიდი ამაგი დასდო პოემის ი. ბარტდინსკისეულ რუსულ თარგმანს (მთარგმნელს უწევდა კონსულტაციებს, უკეთებდა პნკარედს...); იყო ბრწყინვალე დეკლამატორი და, თანამედროვეთა გადმოცემით, იშვიათი ოსტატობით კითხულობდა გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის ქადაგებებს („არც ლექსის მკითხველი, არც პროზისა, მისებრ მოხდენილი მე არ მინახავს ჩვენს ენაზე“, – აღნიშნული აქვს იონა მეუნარგიას, რომელსაც ბევრი დიდებული დეკლამატორი ჰყავდა ნანახიცა და მოსმენილიც); სკეპტიკურად უყურებდა ახალ დროებას და დღენიადაგ ამტკიცებდა – ძველი დრო ჯობდა ახლანდელსო; აღმერთებდა მშობლიურ ენას და წუხდა ახალთაობის მიერ მისი „გამარტივება-გაუბრალოების“ გამო, თუმცა შემოქმედებითი ცხოვრების მიწურულს თვითონაც ვერ ასცდა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის შეუქცევად პროცესს; იყო ქველმოქმედი (სიკვდილის წინ ქონება და მდიდარი ბიბლიოთეკა უანდერდა „ქმნ-კვ საზოგადოებას“, შესწირა ფული სხვადასხვა სასკოლო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დაანესა პრემია „საუკეთესო თხზულებისათვის ქართულ ენაზე“, საგანგებოდ დატოვა თანხა ქუთაისის ღარიბ მოსახლეობაში დასარიგებლად...); ჰქონდა ფართო ინტერესები და სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა თაყვანისცემა ნაპოლეონის სამხედრო და პოლმორფის საჭადრაკო ხელოვნებისადმი...

გრიგოლ დადიანს, ჩანს, ადრევე დაუწყია ლექსთა თხზვა. ყოველ შემთხვევაში, 22 წლისა იგი უკვე პოემის ავტო-

რად გვევლინება. ესაა „რუხის ბრძოლა (ცხოვრება დიდის მეფის სოლომონისა)“, რომელიც გრიგოლს „იოანე გეგეჭკორის“ ფსევდონიმით დაუწერია პეტერბურგში 1836 წელს და რომელშიც აღწერილია ჩვენს ისტორიაში ცნობილი ბრძოლა მეგრულ-იმერელთა გაერთიანებული ჯარისა აფხაზთა და კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. პოემა თავის დროზე პოპულარული იყო და იგი, მიუხედავად, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე მაღალი პოეტური ღირსებებისა, დავით ჩუბინაშვილს „ქართული ქრისტომატიის“ 1863 წლის გამოცემაში აქვს შეტანილი.

გრიგოლ დადიანი ქართულ პრესაში („ცისკარი“, „დროება“, „შრომა“ და სხვ.) აქვეყნებდა ლექსებსა თუ გალექსილ იგავ-არაკებს [უმეტესად „კოლხიდელის“ ფსევდონიმით. ნიგინც ამ ფსევდონიმით აქვს გამოცემული – ლექსთა კრება კოლხიდელისა (ქუთაისი: 1901). მისი ფსევდონიმებია აგრეთვე: „მეგრელი“, „კ“, „გ. კ.“ და სხვ].

გრიგოლ დადიანმა თავისი ლიტერატურული ნიჭი და ტემპერამენტი, სამწუხაროდ, კლასიციზტურ არტახებსა და სქოლასტიკურ ენობრივ ჩარჩოებში გამოამწყვდია. მისი პოეზიისათვის დამახასიათებელია რიტორიკული მაღალფარდოვნება, მძიმე და გაბუნდოვანებული მეტყველება, რაც მეტისმეტად აძნელებს უდავოდ საინტერესო პოეტური სახეების ძალდაუტანებელ აღქმას. თუმცა მოგვიანებით გრიგოლ დადიანის ენა და პოეტური აზროვნება მეტ სინათლესა და ფერადოვნებას იძენს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „აკაკის“, რომელშიც ავტორი ძველი და ახალი თაობების შერიგების მომხრედ და მამულის სასიკეთოდ მათი ცოდნა-მისწრაფებების გაერთიანების მქადაგებლად გვევლინება, და სწორედ ამ ლექსშია მკაფიოდ ჩამოყალიბებული გრიგოლ დადიანის ლიტერატურული და პატრიოტული თვითშეგნება:

სიტყვიერება

არს მამულისა სიცოცხლის კმევა.

მხცოვანმა მოღვაწემ, გენერალმა და პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლეჩხუმში გაატარა, სადაც, საზოგადოებას გარიდებული, განმარტოებით ცხოვრობდა ცაგერთან ახლოს, მამისეულ სასახლეში.

გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა 1901 წლის 24 დეკემბერს, ქუთაისში. დაკრძალულია მარტვილის საკათედრო ტაძარში.

2003 წ.

ზურაბ ანტონოვი

ზურაბ ანტონოვი დაიბადა 1820 წლის 9 თებერვალს, გორში, წვრილი ვაჭრის, ნაზარ ანტონოვის, ოჯახში (ანტონოვები თავიდან მეჩითიშვილები ყოფილან და მოგვიანებით გადაუკეთებიათ გვარი), სწავლობდა გორის სამაზრო სასწავლებელში, სადაც განსაკუთრებული ნიჭიერებითა და სიბეჯითით გამოირჩეოდა, მაგრამ მამამ სწავლისათვის მაინც დაანებებინა თავი. ამის შემდეგ მომავალმა დრამატურგმა თვითგანათლებას მიჰყო ხელი, 18 წლისამ კი გორის სამაზრო სამმართველოში დაიწყო სამსახური მდივნად, 1842 წელს მამა გარდაეცვალა, უსიხარულო და დამორგუნველ სამსახურს თავი დაანება და ძმასთან ერთად მამისეულ დუქანში დაიწყო ვაჭრობა, თუმცა აქაც ხელი მოეცარა – ძმები გაკოტრდნენ და უკიდურეს სიღატაკეში ჩაცვივდნენ.

1851 წელს ზურაბ ანტონოვს თბილისში, გიორგი ერისთავის თეატრის დასში, ვხედავთ, მაგრამ თავიდან არც აქ გაუმართლა – მსახიობად ვერ ივარგა და პიესების წერას მიჰყო ხელი. მისმა პირველმა პიესამ „მე მინდა კნეინა გავხდე“ წარმატება მოიპოვა სცენაზე და ავტორი ერთბაშად შესამჩნევ ფიგურად აქცია თეატრითა და, ზოგადად, კულტურული საქმიანობით დაინტერესებულ წრეებში.

1854 წლის ნოემბერში ზურაბ ანტონოვი თეატრიდან წასული გიორგი ერისთავის ადგილზე დანიშნეს მსახიობთა დასის დირექტორად, მაგრამ ამ თანამდებობაზე მუშაობა დიდხანს არ დასცალდა – მის თეატრალურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ნაადრევმა სიკვდილმა დაუსვა წერტილი.

ზურაბ ანტონოვი მნიშვნელოვანი ფიგურაა XIX საუკუნის ქართული დრამატურგიის ისტორიაში. მისი თექვსმეტამდე ორიგინალური თუ გადმოკეთებული პიესიდან ჩვენამდე შვიდმა მოაღწია („მე მინდა კნეინა გავხდე“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქმარი ხუთი

ცოლისა“, „ქორწილი ხევსურთა“, „ქოროლი“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“), რომელთა ერთი ნაწილი ავტორის სიცოცხლეშივე დაიდგა სცენაზე და ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა პროფესიული ქართული თეატრალური ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ზურაბ ანტონოვი მონაფე იყო გიორგი ერისთავისა, მისი ლიტერატურული და თეატრალური პრინციპების მიმდევარი. მისმა მახვილმა თვალმა შენიშნა, რომ ქართველმა არისტოკრატებმა, როგორც საზოგადოებრივ-წოდებრივმა კლასმა, დაკარგა მისთვის საუკუნეობრივი ისტორიით განსაზღვრული სახელმწიფოებრივი და სოციალური ფუნქციები. ამ ფონზე კი უფრო მკაფიოდ და რელიეფურად იკვეთება ცხოვრების ასპარეზზე ახალგამოსული ფენის – სავაჭრო ბურჟუაზიის – საზოგადოებრივი და ზნეობრივი ფიზიონომია; ფენისა, რომელიც ამკვიდრებს ქართული საზოგადოებრივი მორალისთვის მანამდე უცხო და მიუღებელ პრინციპებს, დაფუძნებულს ფულზე, როგორც ცხოვრებისეულ კერპზე, საერთოდ, მატერიალურ კეთილდღეობაზე. ამ გარემოში ყველა და ყველაფერი ვაჭრობის საგნადაა ქცეული, ადამიანისა და ადამიანურობის საზომი აქ ისევ და ისევ ფულია, როგორი უღირსი გზებითა და საშუალებებითაც არ უნდა იყოს იგი მოპოვებული. საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ განხეთქილებას ის გარემოებაც აღრმავებდა, რომ ახალგაჩენილი ფენა არაქართველი ელემენტებისგან შედგებოდა და მას კავშირი არ ჰქონდა ქართულ კულტურასთან, მის ინტერესებსა და განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებებთან. შესაბამისად, საქართველოში არისტოკრატებმა და ბურჟუაზიამ ვერ მონახეს საერთო ენა, საერთო ინტერესები, როგორც ეს ევროპაში მოხდა.

როცა ვამბობთ, ზურაბ ანტონოვის პიესებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული დრამატურგია და ხელი შეუწყო ჩვენში ინტენსიური თეატრალური ცხოვრების გაშლა-განვითარებასო, პირველ რიგში ვგულისხმობთ კომედიას „მზის დაბნელება საქართველოში“, რომელშიც ავტორმა მხატვრულად ასახა,

ერთი მხრივ, ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის მატერიალური და გონებრივი სილატაკე, მეორე მხრივ კი სომეხი ვაჭრის სიძუნწე და სულიერი უბადრუეობა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ღრმად და საინტერესოდ გააზრებულ სათაურშივე მკაფიოდ ჩანს 1850-იანი წლების საქართველოში მიმდინარე სოციალური პროცესების განზოგადებული ავტორისეული ხედვა. პიესა არაერთხელ დაიდგა სცენაზე (თბილისი, ქუთაისი... 1879 წელს ქართველმა სტუდენტებმა იგი პეტერბურგშიც წარმოადგინეს), მათ შორის, ქართული თეატრის დიდი რეფორმატორის, კოტე მარჯანიშვილის, მიერ.

მართალია, ზურაბ ანტონოვს დრამებიც უწერია („ქორნილი ხევსურთა“, „ქოროლი“), მაგრამ მონოდებით იგი მაინც კომედიოგრაფი იყო. მის პიესებში თავად-აზნაურთა, ვაჭართა, მოსამსახურეთა, სახელმწიფო მოხელეთა გვერდით გლახებსაც ვხედავთ. მოქმედება ხდება როგორც სოფლად, ისე ქალაქად. უფრო მეტიც, სწორედ ზურაბ ანტონოვმა აქცია პირველად ქართულ დრამატურგიაში ქალაქის ქუჩები მხატვრული ასახვის ობიექტად; მანვე მოგვცა პირველი დრამატული სურათები საქართველოს მთის ცხოვრებიდან („ქორნილი ხევსურთა“). ჩანს, ზემოაღნიშნული სიახლეები ჰქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა აღნიშნავდა: „ზურაბ ანტონოვმა „თავის ოსტატს (გიორგი ერისთავს – თ. ჯ.) გაასწრო, მის ვინრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ წოდებულ მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგია-ნობა, მისი ზნე-ჩვეულებები ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა“.

ზურაბ ანტონოვი გარდაიცვალა 9/13 დეკემბერს თბილისში. გარდაცვალების მიზეზზე სხვადასხვა წყარო სხვადასხვა ცნობას იძლევა: ერთი ვერსიით იგი ცოფიან ძაღლს დაუკბენია, მეორით – დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე გორელ მევახშესთან, მირონ ამიროვთან, პირად მტრობას უმსხვერპლია. დაკრძალეს თბილისშივე, ვერაზე, ნმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. ამჟამად საფლავი დაკარგულია.

2003 წ.

მამია გურიელი

მამია გურიელი დაიბადა 1836 წლის 16 იანვარს გურიის სოფელ ლესაში. მამამისი, დავითი, გურიის სამთავრო ოჯახის წევრი იყო. უკანასკნელი მთავრის, მამია V გურიელის (1789-1826) გარდაცვალების შემდეგ ავტონომიური უფლებების მქონე გურიას დაქვრივებული დედოფალი სოფიო გიორგი ნულუკიდის ასული განაგებდა, მაგრამ რუსებისაგან უკიდურესად შევიწროებული დედოფალი იძულებული გახდა, ოსმალეთში გადახვეწილიყო იმ იმედით, რომ რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომს რუსები წააგებდნენ და სოფიო ოსმალთა დახმარებით სამთავროს მართვის უფლებას დაიბრუნებდა. დედოფალს დევნილობაში თან ახლდა გურიის წარჩინებულთა ერთი ნაწილი და, მათ შორის, მამა პოეტისა – დავით გურიელი. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: ომში რუსეთმა გაიმარჯვა, გამარჯვებულმა გურიის სამთავრო საერთოდ გააუქმა, სასოწარკვეთილი სოფიო ემიგრაციაშივე აღესრულა, დავით გურიელს კი იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ამნისტიის წყალობით მხოლოდ 1832 წელს ელირსა სამშობლოში დაბრუნება. მამია V-ის მემკვიდრის, დავით მამიას ძის, გარდაცვალების (1839) შემდეგ სამთავრო ტახტი ფორმალურად ჩვენი პოეტის მამას ეკუთვნოდა, მაგრამ ისტორიის ჩარხის შემობრუნება უკვე აღარაფერს შეეძლო და პოეტსაც ისლა დარჩენოდა, სევდანარევი ირონიით გამოეგლოვა დაკარგული ტახტი და დიდება:

მე სახელ-გვარად,
ვინ იყო მთავრად,
მპყრობი გურიის, ჩაქვ-აჭარისა,
ვგავარ მას, მარა
არვინ მამთავრა,
არცა ვარ მეფე ზღვა-ლაშქარისა! –

სწერდა იგი ერთ თავის პოეტურ ეპისტოლეში ბიძას, პეტრე დადიანს [მამიას დედა, ეკატერინე, ასული იყო პოლიტიკური მოღვაწისა და ისტორიკოსის, ნიკო დადიანისა (1780-1834), „დიდი ნიკოს“ სახელით რომ შემორჩა შთამომავლობის მეხსიერებას].

მამია გურიელის მამა არისტოკრატიზმით, გრანდიოზული ნადიმებითა და ვაჟკაცობით განთქმული კი იყო, მაგრამ, ჩანს, სწავლა-განათლების ფასი მაინცადამაინც არ უნდა ჰქონოდა შეგნებული. ყოველ შემთხვევაში, სანამ მამია თხოთმეტი წლისა არ გახდა, სასწავლებელში მის მიბარებაზე არავის უფიქრია. 1851 წელს იგი ქუთაისის ახალგახსნილ გიმნაზიაში შეიყვანეს და აქედანაც ორი წლის შემდეგ გადაიყვანეს თბილისში, სადაც სამხედრო სამსახურში უნდა შესულიყო. მამია გურიელის თბილისში ჩამოსვლა რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წლების ომს დაემთხვა და გრენადერთა პოლკის ახალგამომცხვარ უნტერ-ოფიცერს ფიცხელ ომში უკრეს თავი. მომავალი პოეტი მონაწილეობდა ბაშკადიკლარის, ქურუქ-დარის, ყარსის ცნობილ ბრძოლებში (ყარსთან დაიჭრა კიდევც). შემდგომში იგი ხანგამოშვებით „კავკასიის ომშიც“ იბრძოდა, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომშიც მონაწილეობდა, მაგრამ თავი მაინცადამაინც არსად მოუკლავს და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნადიმ-ქეიფებთან დაკავშირებულ და რომანულ ფათერაკებს, ერთობ უღიმღამო სამხედრო კარიერა 1878 წელს კაპიტნის ჩინით დაასრულა. საერთოდ მამია გურიელი სამხედრო წრეებში გამუდმებული საქეიფო განწყობით უფრო იყო ცნობილი და კიდევ იმით, რომ თავის ხელქვეითებს მუქარით აიძულებდა ღვინის უზომოდ სმას. ილია ჭყონიას თქმით, მას ერთ-ერთი ომიანობის დროს მამია გურიელი მოუნახულებია. „ომის ამბები რომ მოვიუბნეთ ცოტაოდნად“, მამიამ სიტყვა სმასა და ქეიფზე ჩამოაგდო. ი. ჭყონიას შეკითხვაზე – ეს ხომ ომის შემდეგაც მოესწრებაო, მეომარ პოეტს ყოვლად სერიოზული ტონით უპასუხია – არა, სმავი პირველი საქმეაო!

და სწორედ „სმამ“, როგორც „პირველმა საქმემ“, ცხოვრების ბოჰემურმა წესმა შეასრულა საბედისწერო როლი მამია გურიელის, თავის დროზე პოპულარული პოეტის, ბრწყინვალე დეკლამატორის, შესანიშნავი არისტოკრატისა და მეტად კოლორიტული პიროვნების ცხოვრებაში.

მამია გურიელი უაღრესად მტკივნეულად განიცდიდა ძველი, მისთვის საოცნებო, საქართველოს რღვევას, კარიერიზმის სენით შეპყრობილი არისტოკრატული წრეების ზნეობრივ დაქვეითებას. პოეტს ცხოვრებაზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული და ღვინოც, ჩანს, მისთვის რეალობიდან გაქცევის საშუალება იყო. გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებით, მამია გურიელი „სვამდა ღვინოს, თუმცა ლოთი არ იყო. სვამდა მისთვის, რომ თავდავიწყებას მისცემოდა, რომ გალუცინაციებში შეჭრილიყო... შეიძლება იმიტომაც, რომ ამით მოესპო სიცოცხლე და ფორმალური თვითმკვლევლობით გამოწვეულ სკანდალებს აცილებოდა, ვინ იცის!“, მაგრამ, გალაკტიონის სიტყვებითვე, „მამია გურიელს ჰქონდა თავისი საათი უმაღლესი სილამაზისა და აყვავების“. ხოლო „ეს უმაღლესი სილამაზე“ იყო პოეზია – მამია გურიელის სულიერი და ინტელექტუალური თავშესაფარი.

მამია გურიელის, როგორც პოეტის, სახელი ქართულ პრესაში 1860 წლიდან ჩანს. ამ წელს ჟურნალ „ცისკარში“ მან გამოაქვეყნა ლექსი „ფარვანა“ და აქედან მოკიდებული „ფაზელის“ ფსევდონიმით პრესაში („ცისკარი“, „დროება“, „მნათობი“, „კრებული“, „ივერია“...) ხშირად აქვეყნებდა როგორც ორიგინალურ პოეტურ თხზულებებს, ისე თარგმანებს (ჯ. ბაირონი, ალ. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ტ. შევჩენკო... თარგმნილი აქვს აგრეთვე გ. ლესინგის, რ. ბერნსის, ტ. მურის, ჰ. ჰაინესა და სხვათა თხზულებები). მას სატრფიალო ლექსებიც უწერია („უცხო ქვეყნელს“, „პირობის მომცემს“, „ვერ დამივიწყებ“, „მადლობელი ვარ“...), მისი კალამი სოციალურ თემატიკასაც შეეხო („ქობულეთური ყანის სიმღერა“...), თავის დროზე დიდად პოპულარული იყო მამია გურიელის პატრიოტული სულისკვეთების

პოეტური ნაწარმოებები („ჩემი ალავერდი“, „შოშია“, „საქართველოს მზეს“, „რაშიდ ვარდან-ოღლი“...), ხოლო გვირგვინად მამია გურიელის შემოქმედებისა ითვლება ლექსი „ადამიანი“, რომელიც გამოირჩევა მაღალი ჰუმანისტური პრინციპებით და არსებითად ზოგადკაცობრივ ზნეობრივ და ეთიკურ „კოდექსს“ წარმოადგენს. ძირითადი, განმსაზღვრელი ნიშანი კი ზოგადკაცობრივი არსისა, პოეტის შეხედულებით, სამშობლოს სიყვარულია, მამულიშვილობაა:

ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუ კი გასურს გახდე ადამიანად!

უნდა ითქვას, რომ მამია გურიელს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, გარკვეულ მსოფლმხედველობრივ სისტემაზე დაფუძნებული ლიტერატურული პრინციპები არც ჰქონია. ამიტომაც მისი შემოქმედების მკვლევართაგან პოეტს ერთნი გვიანი რომანტიზმის წარმომადგენლად მიიჩნევენ, მეორენი – რეალისტად (თერგდალეულთა სკოლის პოეტად), სხვანი კი რომანტიკოსადაც და რეალისტადაც, ხოლო XX საუკუნის 10-იან წლებში „ცისფერყანწლებმა“ მამია გურიელი ქართველ სიმბოლისტთა წინამორბედად გამოაცხადეს და ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად „მარტოობის ორდენის პირველი კავალრის“ „ტიტული“ უბოძეს.

მამია გურიელის უდავო პოეტური ნიჭი მოუნესრიგებელმა ყოფამ, სიღარიბემ, უიღბლო ქორწინებამ (ჯვარი დაინერა მარიამ ყორხმაზ მელიქიშვილის ასულზე, მაგრამ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ შეეწყო და მალევე განქორწინდნენ), ერთი სიტყვით, მძიმე და ტრაგიკულმა ცხოვრებამ ჩაკლა. ერთადერთი, რაც უკანასკნელ წლებში პოეტს რეალობასთან აკავშირებდა, მამისერთა და სათაყვანებელი ვაჟიშვილი იყო, რომელსაც მშვენიერი ლექსიც უძღვნა („ჩემს შვილს კახაბერს“):

მსურს, ზედ დააკვდე შენს მამულსა, რომ ის არ მოჰკვდეს და შემდეგ ხალხმა ქართლოსისამ გინყოს სიმღერა. –

მაგრამ კახაბერმა მამულს კი არ დააკლა თავი, როგორც მამას სურდა, არამედ, ფუქსავატურ ცხოვრებას გადაყოლილმა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა და ამის შემდეგ უბედურებით განადგურებულ მამია გურიელს დიდხანს არ უცოცხლია. იგი ჭლექით იყო დაავადებული და ეს დიდებული არისტოკრატი, რომლის ძარღვებშიც დიდგვაროვანი წინაპრების – გურიელების, დადიანების, შარვაშიძეების, ორბელიანების, დადიშქელიანების – სისხლი ჩქეფდა, სრულ სილატაკესა და უკიდურეს სასონარკვეთილებაში გურიელთა ყოფილი მოსამსახურის, ერთი უთვისტომო დედაკაცის, ბაბაღე ჭყონიას, ბნელ ფიცრულში გარდაიცვალა.

ეს მოხდა ქუთაისში, 1891 წლის 25 ივლისს. პოეტი ქუთაისშივე, წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში, დაკრძალეს.

2003 წ.

გიორგი შარვაშიძე

გიორგი შარვაშიძე დაახლოებით 1846 წელს უნდა იყოს დაბადებული. იგი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის (1811-1865), მემკვიდრე იყო. მომავალი მწერლის ბავშვობა და ყრმობა აფხაზეთის სამთავროს აგონი-ასთანაა გადაჯაჭვული. 1863 წელს მძიმე ავადმყოფობისაგან დაუძღურებულმა მიხეილ შარვაშიძემ გადაწყვიტა, სამთავროს მართვა-გამგეობა მემკვიდრისთვის გადაეცა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ, რომელსაც ავტონომიური უფლებების მქონე აფხაზეთის სამთავროს გაუქმება ჰქონდა გადაწყვეტილი, საქმე არ გაირთულა, მიხეილის თხოვნა არ დააკმაყოფილა, მომდევნო წელს კი ღალატის საბაბით მთავარი დააპატიმრა და რუსეთში, ქალაქ ვორონეჟში, გადაასახლა. ასე მოელო ბოლო აფხაზეთის სამთავროს, მაგრამ ეს საქმე უსისხლოდ არ დასრულებულა. 1866 წლის ივლისში აფხაზეთში აჯანყებამ იფეთქა და აჯანყებულთა მთავარი მოთხოვნა სამთავროს აღდგენა და მთავრად გიორგი შარვაშიძის დამტკიცება იყო. პირველი შეტაკება სოფელ ლიხნში, ყოფილი მთავრის ყოფილ რეზიდენციაში, მოხდა და ეს სისხლის კალო გიორგის თვალწინ დატრიალდა. ლიხნში რეჟიმით უკმაყოფილონი შეხვდნენ აფხაზეთის ადმინისტრაციის მეთაურს, პოლკოვნიკ კონიარს და მას თავიანთი მოთხოვნები წარუდგინეს. როცა აჯანყებულებმა კონიარისგან მუქარით შეზავებული კატეგორიული უარი მიიღეს, ჯერ ყაზახები დახოცეს, შემდეგ – აფხაზეთის ადმინისტრაციის წევრები, რომელნიც პოლკოვნიკს თან ახლდნენ, ბოლოს შიშით ბუხარში დამალული კონიარიც გამოათრიეს და დახოცილებს ისიც ზედ დააკლეს, გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად გამოაცხადეს, ერთგულება შეჰფიცეს და სოხუმისკენ დაიძ-

რნენ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ და დაიფანტნენ, გიორგი კი დააპატიმრეს და რუსეთში გადასახლეს.

ცნობები გიორგი შარვაშიძის გადასახლებაში ყოფნის პირველ ხანებზე არ მოგვეპოვება. რამდენიმე წლის შემდეგ კი მას, პატიებულსა და შენდობილს, პეტერბურგში ვხედავთ, სადაც ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს რუსეთის ტახტის მემკვიდრესთან, შემდგომში იმპერატორ ალექსანდრე მესამესთან, რომლის მეშვეობით საიმპერატორო ოჯახშიცაა მიღებული. იმ დროის კვალობაზე დიდად ნაკითხსა და განათლებულს, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, ლათინური ენების შესანიშნავ მცოდნეს, ფრანგული პოეზიის თაყვანისმცემელსა და ალფრედ დე მიუსესა და ვიქტორ ჰიუგოს ლექსების დედნის ენაზე ჩინებულ დეკლამატორს, არისტოკრატიული ბუნებისა და გამორჩეული გარეგნობის გამო პატივისცემითა და აღტაცებით გარემოსილ გიორგი შარვაშიძეს სატახტო ქალაქში ბრწყინვალე კარიერა ელოდა, მაგრამ ფუფუნებაში უზრუნველი ცხოვრების ცდუნებასა და ადამიანურ პატივმოყვარეობას ღირსების გრძნობამ სძლია – გიორგი შარვაშიძემ მიატოვა რუსეთი და ქუთაისში დამკვიდრდა, მოგვიანებით კი დემონსტრაციულად მოიშორა იმპერიის უმაღლესი საკარისკაცო ტიტული – იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტობა და საერთოდ განწყვიტა ურთიერთობა სახელისუფლებო წრეებთან. ერთი მისი თანამედროვის გადმოცემით, „გიორგის ყმანვილობიდან ეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა“ და ამიტომაც „ორი ქცევა მიწა ენატრებოდა თავის სამშობლოში“, აფხაზეთში ხანგრძლივად ყოფნაც აკრძალული ჰქონდა და მხოლოდ 1905 წლიდან „შესძლო დაუბრკოლებლად აქ ცხოვრება“. გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მას სოხუმში შეხვედრია გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ალფრთოვანებული დარჩენილა აფხაზეთის სამთავრო სახლის იმ დროს უკვე მსცოვანი მეთაურის გარეგნობითა და აზროვნების თავისუფლებით. „მთელი საუკუნოებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა

შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშობოს“, – აღნიშნავს გრ. რობაქიძე და დასძენს: „ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილის: – მოგვემორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი“.

გარდაცვალებით კი გიორგი შარვაშიძე 1918 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა სოხუმში. დაკრძალულია მოქვის ტაძარში, თავისი ბედკრული მამის გვერდით.

გიორგი შარვაშიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უმეტესი ნაწილი დაკარგულად ითვლება. რაც მოღწეულია, იმათგანაც არაერთი საოჯახო ალბომებმა თუ მისი ნიჭის პატივისმცემელმა თანამედროვეებმა გადაარჩინეს. საერთოდ გიორგი შარვაშიძეს საკუთარ მოწოდებად მწერლობა არ მიაჩნდა და ამიტომ ოციოდე ნაწარმოები თუ ექნება გამოქვეყნებული (ფსევდო: „პონტოქსელი“, „გარდახვენილი“, „გარდანახვენი“). მას პოემაც უწერია, პიესებიც, პუბლიცისტური წერილებიც, თეატრალური რეცენზიებიც, მაგრამ გიორგი შარვაშიძის სახელი ქართული მწერლობის ისტორიას მაინც ლირიკოსად შერჩა. იგი თანამოაზრე იყო თერგდალეულებისა და, გარდა მეგობრული და ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობისა, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მესვეურებთან საერთო ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი პრინციპებიც აკავშირებდა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.; საგულისხმოა, რომ გიორგი შარვაშიძის რამდენიმე ლექსის ავტოგრაფი ილიას პირადმა არქივმა შემოგვინახა):

ჩემს ქნარს მას ვერ დავმღერ,
რაც მე კერძოდ შემეხება!
იმის სიმნი, იმის ჰანგი
ერთისთვის არ დაიკვრება!..
მარა როცა ჩემს ყურს ესმის
ჩაგრულ ხალხის მწუხარება,
მიწას ალბობს უმართლობით

დანადენი მდულარება,
როცა მესმის მისი კვნესა,
სულის მქენჯი, გულის მდაგი, –
მაშინ მხოლოდ, მხოლოდ მაშინ
დაიკვნესებს ჩემი ჩანგი!

(„ჩემი ჩანგი“)

ძნელი არ არის, დამონმებულ ლექსში თერგდალეულთა ლიტერატურული პრინციპების ანარეკლი დავინახოთ. გიორგი შარვაშიძემ ჩინებული ლექსი უძღვნა დიდი მასწავლებლის, აკაკი წერეთლის, ხსოვნას („აკაკის“).

სიმონ ჯანაშიას – გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევრისა და მწერლის თხზულებათა შემკრებ-გამომცემლის – დაკვირვებით, „გიორგი შარვაშიძე მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს უკავშირდება... ქართული ენა გიორგისთვის არის არა მარტო კულტურის მთავარი იარაღი, არამედ სიყვარულის განსაკუთრებული საგანიც... ამასთანავე, გიორგი ამჟღავნებს თავის კუთვნილებას გარკვეული ქართული სამნიგნობრო სკოლისადმი, რომლის პრინციპების შეგნებულ დამცველად გამოდის“.

საქართველოს ისტორიას გიორგი შარვაშიძე განიცდიდა, როგორც საკუთარ ისტორიას და იგივე ისტორია იყო მისი მოქალაქეობრივი თვითშეგნების საძირკველიცა და სიამაყის წყაროც: „მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშემდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიალ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ, იღბალის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე, როგორც

იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მივიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა!“ და ა. შ.

გიორგი შარვაშიძის მხატვრული შემოქმედების ის ნაწილი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, მოცულობით არ არის დიდი (50-მდე ლექსი, სამი პიესა, ერთი პოემა, ორიოდე თარგმანი), მაგრამ მათში რამდენიმე ისეთი ლექსი მოიპოვება („ვარადა“, „ფშაურ ხმაზედ“, „შენ იცნობ ძმაო...“, „ნეტამც ვინმემ დამკლას დანით...“, „ერთხელ ვიხილე ჩემს სამშობლოში...“), რომლებიც ავტორს საკუთარ ადგილს უმკვიდრებს XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მათში პოეტურ ტალანტთან ერთად მკაფიოდაა აღბეჭდილი ავტორის მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი თვითშეგნება, ზნეობრივი მთლიანობა, დემოკრატიზმი...

გიორგი შარვაშიძეს, როგორც პოეტსა და მამულიშვილს, კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ლიტერატურული მოღვაწეობისას არასოდეს უღალატია მაღალი პრინციპებისათვის და, მიუხედავად მძიმე ბედისა, „სამარის კარამდე შერჩა თავის კეთილშობილსა და ამაყ პოზიციას“ (ს. ჯანაშია).

2003 წ.

გიორგი ჭალადიძელი

გიორგი ქორაქიძე-ჭალადიძელი 1847 წლის 15 ივნისს დაიბადა დედუღეთში, იმერეთის სოფელ ფერსათში, აღზრდით კი სამეგრელოს სოფელ ჭალადიძში, მამისეულ ოჯახში, აღიზარდა. პოეტის მამა, თავადი მაქსიმე ქორაქიძე, საინტერესო ფიგურაა XIX საუკუნის სამეგრელოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყმანვილობისას იგი საფრანგეთის კონსულ ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833) ახლდა, როცა ეს უკანასკნელი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა და ფრანგი დიპლომატის, ნეგოციანტისა და მოგზაურისაგან, გარდა სავაჭრო საქმეებისა, გამართული ფრანგულიც ისწავლა, რაც იმდროინდელ სამეგრელოში იშვიათობა იყო. საერთოდ თავისი დროის კვალობაზე მაქსიმე ქორაქიძე განათლებული პიროვნება, კარგი ორატორი და ჭკვიანი მოხელე ჩანს (დაახლოებული იყო სამეგრელოს მთავარ დავით დადიანთან და ერთხანს მისი წარმომადგენელიც იყო თბილისში) და, რაც მთავარია, ბევრი თანამედროვისაგან განსხვავებით, მას საფუძვლიანი სწავლა-განათლების ყადრი და მნიშვნელობაც სცოდნია; ამიტომაც ადგილობრივ სასწავლებლებს არ დასჯერდა და გადაწყვიტა, გიორგი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის პანსიონში მიეზარებინა. თუმცა, როგორც გამოიჩვენა, კანონი კრძალავდა ამ პანსიონში მეგრელ (სამეგრელოს სამთავროს) თავად-აზნაურთა შვილების სახელმწიფო ხარჯით შენახვას და, ამდენად, მაქსიმე ქორაქიძე იძულებული გახდა, არჩევანი ქუთაისის გიმნაზიაზე შეეჩერებინა.

მომავალი პოეტი ქუთაისის გიმნაზიაში 1859-1869 წლებში სწავლობდა, რის შემდეგაც მის წინაშე სწავლის გაგრძელების საკითხი დადგა. არჩევანი კი ასეთი იყო: რუსეთი ან დასავლეთი ევროპა. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს მაშინდელი საზოგადოებრივი აზრი ძირითადად აღიქვამდა როგორც ჩი-

ნოვნიკ-მოხელეთა გამომზრდელ კერებს და ამიტომ ქართველი ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ევროპეიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობა, ისწრაფოდა, უშუალოდ დასავლეთ ევროპის სასწავლებლებში მიეღო საფუძვლიანი განათლება. გიმნაზიადამთავრებულ გიორგი ჭალადიდელსაც ევროპაში სურდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ ამ ოცნებას უსახსრობამ შეაკვეცა ფრთები და ისიც, ბოლოს და ბოლოს, პეტერბურგს გაემგზავრა. იქ მას ჯერ სატყეო ინსტიტუტში უნდოდა შესვლა, მაგრამ დაბადების მოწმობა თან არ აღმოაჩნდა და ამის გამო უარით გამოისტუმრეს. და აი, მაშინ მიიღო მან საბედისწერო გადაწყვეტილება – პეტერბურგშივე შესულიყო სამხედრო სასწავლებელში, რათა იქიდან სხვაგან გადასულიყო, მაგრამ ეს უკანასკნელი განზრახვა ველარ განახორციელა და სამუდამოდ შერჩა სამხედრო სამსახურს.

მართალია, გიორგი ჭალადიდელის კარიერა საკმაო წარმატებული გამოდგა (მიალნია პოლკოვნიკის ხარისხსა და არტილერიის დივიზიონის მეთაურობას, დაიმსახურა არა ერთი და ორი ჯილდო...), მაგრამ სამხედრო ასპარეზზე წარმატებებს მისთვის არ მოჰქონდა სულიერი წონასწორობა და კმაყოფილება და, რაც მთავარია, სამსახურმა იგი სამშობლოს მოსწყვიტა. სწორედ სამშობლოსგან შორს – უცხო ხალხში, უცხო გარემოში – ყოფნა იყო ძირითადი წყარო პოეტის ცხოვრებისეული ტრაგედიისა, რასაც ინტიმურ ცხოვრებაში უიღბლობაც დაერთო. გიორგი ჭალადიდელს თავდავიწყებით უყვარდა ნიკო ნიკოლაძის და, თავის დროზე ცნობილი საზოგადო მოღვაწე და თეატრალი ანასტასია (ანა) (1847-1931), რომელსაც ლექსებსაც უძღვნდა („ჩემი ანა“, „ვუძღვნი ა. ნ-ს“, „მაშინ, როდესაც მე უიმედოდ“...; შემორჩენილია გიორგი ჭალადიდელის რამდენიმე ბარათიც ანასტასია ნიკოლაძისადმი, რომლებშიც ჩანს, ერთი მხრივ, ღრმა სულიერებით აღბეჭდილი მხურვალე სიყვარული და რაინდული ბუნება პოეტისა, ხოლო მეორე მხრივ, მისი

სატრფოს ქედმაღლობა და ჭირვეული ხასიათი). პირველ და ყველაზე ნრფელ სიყვარულში ხელმოცარული პოეტი მოგვიანებით მაინც მოეკიდა ოჯახს – 1884 წელს დაქორწინდა პეტერბურგელი ნაფიცი ვექილის, სტეფანე ეზერსკის, ქალიშვილზე – ანაზე, მაგრამ სიმამრის დესპოტურმა ხასიათმა და ანას მორჩილებამ მამისადმი ეს ოჯახი მალე დაანგრია. გიორგი ჭალადიდელის ერთადერთი შვილი ბორის ქორაქიძე გარუსდა და რუსეთშივე დარჩა სამუდამოდ (შეენირა კომუნისტურ რეპრესიებს – 1942 წელს გაასამართლეს, მიუსაჯეს 10 წელი და ამის შემდეგ მისი კვალი იკარგება).

მძაფრი და მტკივნეული ნატვრა სამშობლოს ხილვისა, ტრაგიკული სიყვარული, უიღბლო ქორწინება – აი, ამგვარი ყოფიერებითაა ნასაზრდოები გიორგი ჭალადიდელის შემოქმედების უმეტესი ნაწილი. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ჭალადიდელის პოეტური ოსტატობის ერთი უმთავრესი და განმსაზღვრელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ მის ლექსებში ავტორის ცხოვრებისეული ტრაგედიები უაღრესად სადა, ნათელი სევდით აღბეჭდილ პოეტურ სახეებშია კრისტალიზებული და აქ ვერ შეხვდებით სანტიმენტალურ, პროვინციულ მოთქმა-გოდებასა და წუთისოფლის ზერელე გმობას. პირიქით, პოეტმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ქრისტიანული მორალით ნაკვები სიყვარული მოყვასისა, ღრმა პატივისცემა მშრომელი ადამიანისადმი, შეგნება პიროვნების უპირველესი ვალისა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

სიცოცხლის ბოლო წლებში გიორგი ჭალადიდელს გადამწყვეტილი ჰქონდა სამსახურისათვის თავის დანებება და სამშობლოში დამკვიდრება, მაგრამ მის ამ განზრახვას სიკვდილმა დაუსვა წერტილი.

გიორგი ჭალადიდელი გარდაიცვალა მინსკში, ასთმისაგან, 1898 წლის 1 აპრილს. პოეტის ცხედარი სამშობლოში ჩამოასვენეს და ჭალადიდის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს და, ვინაიდან მისმა პოეტურმა ნააზრევმა გაუძლო ყველაზე მკაცრ

და მოუსყიდველ სამსჯავროს – დროის გამოცდას, 1940 წელს გადაასვენეს სენაკში, დაკრძალეს ქალაქის ბაღში და საფლავზე ძეგლიც დაუდგეს.

გიორგი ჭალადიდელის სახელი პრესაში პირველად 1869 წელს გამოჩნდა „დროების“ ფურცლებზე. ეს იყო გიმნაზიის წლებში დანერილი ლექსი „იმედი (მიბაძვა შილერისა)“ და, აქედან მოკიდებული, მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა იმავე „დროებაში“, „სასოფლო გაზეთში“, „მნათობში“, „კრებულში“, „მომამბეში“, „ივერიაში“... ამას გარდა, იგი „ქიშვარდიანისა“ და „სირიაჩქონელი ქიშვარდიანის“ ფსევდონიმებით „დროებაში“ პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა.

ლიტერატურულ ცხოვრებაში გიორგი ჭალადიდელის გამოჩენა მეტად ეფექტური იყო და იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი მას აკაკი წერეთლის მემკვიდრედ მიიჩნევდა (საერთოდ, ჭალადიდელის ლირიკას ატყვია აკაკის პოეზიის კეთილისმყოფელი გავლენა, მაგრამ ეს გავლენა ბრმა მიმბაძველობაში არ გადზრდილა. თავის მხრივ, აკაკიც აფასებდა თანამოკალმის მწერლურ ოსტატობას, თუმცა სინანულით დასძინდა: „მისი პირველი ბიჯის გადმოდგმა ლიტერატურაში ძლიერი და საიმედო იყო, მაგრამ დღეს სად არის? ზარბაზნის კომლში გამოახვია ის ნიჭი“).

გიორგი ჭალადიდელი თერგდალეულთა სკოლის მწერალია. მისი შეხედულებით, მწერლობას ზოგადად და, კერძოდ, პოეზიას, გარდა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებისა, საზოგადოებრივი დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. „ლიტერატურას მაშინ შეუძლია თავისი დანიშნულება შეასრულოს, როდესაც შეებრძოლება სიბნელეს და კარს გაუღებს სინათლეს“, – აღნიშნავს ერთგან იგი. ხოლო სიბნელე, პოეტის აზრით, ნაციონალური დვრიტის დაკარგვა, უმეცრება, მცონარობა, ფუქსავატი ცხოვრება; სინათლე კი სამშობლოს სამსახურია, მუხლჩაუხრელი შრომაა, ძმობა-ერთობისა და უფლებრივი თანასწორობის დამკვიდრება:

ვინც უნდა იყო, მწერალო ჩემო,
მიყვარს მე შენი გამოთქმა გულის:
შენა გაქვს გრძნობა, შენა გაქვს გემო
ერთობის, ძმობის და სიყვარულის!
(„მწერლისადმი“)

ანდა:

ამფერუმ ყოველ შრომას,
ქება ყოველს ოფლის ნვეთს,
ქება მუშის მუშურს ხმას
და მისს მარტოხელა ბედს!
(„ქება შრომას“)

გიორგი ქალადიდელის პოეტური მეტყველება უაღრესად სადაა, სახეები – მსუბუქი და გამჭვირვალე, ტონი – უშუალო და გულწრფელი, მაქსიმალურად დემოკრატიზებული და ამის გამოცაა, მისი ზოგიერთი ლექსი სიმღერად რომ იქცა („მოგონება“, „ფაცხა“...) და ეს სიმღერები პოპულარული იყო მთელს საქართველოში.

„მოგონება“ ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა სასკოლო სახელმძღვანელოში და მასზე ქართველ ყმანვითა მრავალი თაობაა აღზრდილი. გურამ ასათიანი „მოგონებას“ უწოდებს „მე-19 საუკუნის ქართული დიდაქტიკური პოეზიის შედეგს“ და დასძენს: „ეს არის ერთ-ერთი შესანიშნავი დოკუმენტთაგანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული ისტორიული პროცესისა, რომლის გაღვივებას და მსვლელობას მოახმარეს მთელი თავიანთი ძალა და ღონე ქართველმა სამოციანელებმა. ამ ლექსში პოვა თავისებური გამოხატულება ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებამ, მისწრაფებამ სინათლისაკენ, სულიერი განახლებისა და კულტურული აღორძინებისაკენ“.

ქართველი საზოგადოების „სულიერი განახლებისა და კულტურული აღორძინების“ ყველაზე ეფექტური იარაღი კი იყო

ნიგნი, სწავლა, საერთოდ, საგანმანათლებლო მოძრაობა. გიორგი ქალადიდელი ამ ლექსშიც ინარჩუნებს თხრობის ბუნებრიობასა და უშუალოებას – „მოგონება“ თავისუფალია ზოგადად დიდაქტიკურ-მორალისტური პოეზიისათვის დამახასიათებელი რიტორული სიმშრალისაგან. შთამბეჭდავია დედის უკანასკნელი რჩევა-დარიგება, რომლითაც იგი სასწავლებლად შორ გზაზე მიმავალ შვილს ემშვიდობება და რომელშიც ჰუმანისტური და პატრიოტული ფასეულობები ორგანულადაა შეზავებული:

ეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა, –
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა, –
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
არ დაივინყო სამშობლო ენა...
გეზარებოდეს ყველასთან შური
და როცა შეგხვდეს კაცი უძლური,
იცოდე, რომ ის შენი ძმა არი,
არ დაუკავო ღვინო და პური...
გიყვარდეს შენი მოძმე კეთილი
და მისთვის მუდამ გენოდეს გული, –
შენ მოძმეთ შორის და შენს მინაზე
გერჩიოს იყო შენ დამარხული:
ტანი უსულო და უგრძნობარე
თუ გინდ შინ იყოს და თუნდა გარე,
მაგრამ როგორღაც, დედაშვილობამ,
სანატრელია სამშობლო მხარე.

ბედის უკუღმართობით სამშობლოს მონყვეტილი ადამიანის გაუნელებელი ნაღველითაა აღბეჭდილი გიორგი ქალადიდელის პატრიოტული ლექსები: „სიმღერა გარდახვეწილისა“, „დილა ფინლანდიაში“, „გორდის მთაზე“... ამ ლექსების გარეგნული სისადავისა და უბრალოების მიღმა ადვილად იკითხება პოეტის სულიერი დაძაბულობა და გრძნობათა სიღრმე:

ჩემს სამშობლოს ვიგონებ,
ნახვას ველირსებოდე...
მომცა ფრთა, ჩიტი ვიყო,
მალ-მალ გავფრინდებოდე!..
მომკალ, ნუ გეცოდები,
არც მსურს გენალვლებოდეს!..
გამაცოცხლე, მანატრე,
თუნდ საფლავში ვდნებოდე,
აყვავებულ სამშობლოს
თუკი მოვესწრებოდე!..

(„სიმღერა გარდახვენილისა“)

გიორგი ჭალადიდელისთვის არც სატირული კილო იყო უცხო („კარგი ცოლის პატრონი“, „საზანდრული“, „დახლიდარის ანგარიში“, „ვის რა უჯის?“, „სიზმარი“...), მაგრამ აქაც პოეტი უფრო მსუბუქ ირონიას ამჯობინებს. იგი ამხელს ზოგიერთი თანამედროვის ფუქსავატობას, სამშობლოს ბედისადმი გულგრილობას, უზნეო საშუალებებით კარიერისტულ საფეხურებზე დანინაურებას, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ლექსები მოკლებულია საერთოდ სატირული პოეზიისათვის დამახასიათებელ სარკასტულ სიმწვავეს და თავისი ლირიკული გმირების მიმართ პოეტი ნალვლიანი ირონიითა განწყობილი.

გიორგი ჭალადიდელს პოემებიც უწერია („უბედურნი“, „ალავერდი“), პიესაც („ესაა მისი პატიოსანი სიტყვა?!“), მცირემცირე სცენებიც („რუსულის მცოდნე“, „ვისი კაცი ხარ?“ და სხვ.), მაგრამ იგი პირველ რიგში ლირიკოსია. მას ვრცელი მემკვიდრეობა არ დარჩენია და აქ – სამართლიანობისათვის ესეც უნდა ითქვას – არც ისე იშვიათად შეგხვდებათ უფერული სახეები, გაუმართავი ფრაზები, სუსტი რითმები... ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად შენიშნავდა თავის დროზე ივანე გომართელი: „უმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა ვერ გაგაკვირვებთ ენის სიმდიდრითა და სილამაზით, მხატვრული სახეებისა

და ფერადების შეწყობითა და მრავალგვარობით, აზრის ორიგინალობა-თავისებურობით, ან ფანტაზიის სიუხვით, მაგრამ არის შიგ ისეთი მარგალიტებიც, რომელთა შექმნა მხოლოდ ქემმარიტ ხელოვანს შეუძლია... ამ ლექსების დანერა შეუძლებელია, თუ ღვთიური ცეცხლი გულში არ ღვივის“.

„ღვთიური ცეცხლით“ შექმნილმა სწორედ ამ რამდენიმე „მარგალიტმა“ დაუმკვიდრა გიორგი ჭალადიდელს მოკრძალებული, მაგრამ საკუთარი ადგილი ეროვნულ მწერლობაში.

2003 წ.

დავით ერისთავი

დავით ერისთავი დაიბადა 1847 წლის 28 აგვისტოს გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში, ქართული პროფესიული თეატრის ხელმძღვანელისა (1850-1854) და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემლის (1852-1853), გიორგი ერისთავის, ოჯახში. მომავალი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ჯერ გორის, 1860 წლიდან კი ოდესის კერძო პანსიონში სწავლობდა, მაგრამ 1864 წელს მამის გარდაცვალების გამო სწავლა შეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა. 1867 წელს დავით ერისთავი კვლავ წავიდა ოდესაში და ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, საიდანაც იმავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე გადავიდა, მაგრამ მალე ამასაც მიაწეა თავი და სწავლა პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში გააგრძელა, თუმცა არც ეს სასწავლებელი დაუმთავრებია (ამის გამო, სხვათა შორის, დავით ერისთავის ბიოგრაფი იონა მეუნარგია წერდა: „ის გამოვიდა სკოლიდან დილეტანტი, ყველაფრის ცოტ-ცოტად მცოდნე, წმინდა საჩვენო, საგაზეთო კაცი“). პეტერბურგში დავით ერისთავი ავად გახდა და სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა, მოიარა ევროპის ქვეყნები (საფრანგეთი, შვეიცარია და სხვ.) და 1871 წელს საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში, თბილისში დამკვიდრდა და შეუდგა ნაყოფიერ ჟურნალისტურ, პუბლიცისტურ, ლიტერატურულ, თეატრალურ მოღვაწეობას...

დავით ერისთავი თანამშრომლობდა როგორც ქართულ („დროება“, „კრებული“, „ივერია“...), ისე რუსულ („ტიფლისკი ვესტნიკ“, „ფალანგა“ და სხვ., აგრეთვე, „კავკაზ“, რომელსაც 1882-1884 წლებში რედაქტორობდა კიდევ) პრესაში, აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ტექსტებს, თარგმანებს (ფსევდ.: „დ. ე.“, „ბარძიმი“, „გლუხარჩი

II“, „Наследственный поэт“), მონაწილეობდა ეროვნული მიზანდასახულობის საზოგადოებრივ საქმეებში: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და „ქართული დრამატული საზოგადოების“ დაფუძნებაში, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, რეჟისორობდა და თვითონაც თამაშობდა სცენაზე, დეკლამაციით გამოდიოდა ლიტერატურულ ღონისძიებებში... ქართული მწერლობის ისტორიაში კი იგი შევიდა, როგორც უცხოელ ავტორთა დრამატული ნაწარმოებების ქართულ ენაზე გადმომღებ-გადმომკეთებელი, რომელთაგან ერთ-ერთმა, „სამშობლომ“, დავით ერისთავს ზოგადად ქართული კულტურის ისტორიაში დაუმკვიდრა ადგილი.

„სამშობლოს“ („Patrie“) ავტორია ფრანგი დრამატურგი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ვიქტორიენ სარდუ (1831-1908). პიესაში ასახულია ფლანდრიის განმათავისუფლებელი ბრძოლა ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მოქმედება კი ხდება 1568 წელს, ბრიუსელში. „Patrie“ დაინერა 1869 წელს და მამინვე დიდი წარმატებით დაიდგა ფრანგულ სცენაზე (ზედიზედ წარმოდგენილ იქნა ოთხასჯერ, ხოლო 1886 წელს მისი დადგმა განახლდა).

დავით ერისთავმა დიდხანს უტრიალა სარდუს პიესას, ერთხანს მის თარგმნა-გადმოკეთებას დიმიტრი ყიფიანს სთავაზობდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა, უნდა ვიფიქროთ, იმის გამო, რომ დიმ. ყიფიანი ზოგადად სხვა მთარგმნელობითი მეთოდის (ზუსტი თარგმანის) მიმდევარი იყო. საბოლოოდ დავით ერისთავმა თვითონ მოჰკიდა საქმეს ხელი – პიესა გადმოაქართულა, მოქმედება მთლიანად ქართულ გარემოში გაშალა, ამბავი XVI საუკუნის ბრიუსელიდან XVII საუკუნის თბილისში გადმოიტანა და შაჰ-აბასის შემოსევას დაუკავშირა, ბუნებრივია, პერსონაჟთა სახელებიც შეცვალა...

„სამშობლოს“ პრემიერა (რეჟისორი – მიხეილ ბებუთაშვილი) 1882 წლის 20 იანვარს შედგა და სპექტაკლს ჩვენში მანამდე არნახული რეზონანსი მოჰყვა. მან ქართველ საზოგადოებაში პა-

ტრიოტული გრძნობების ნამდვილი აფეთქება გამოიწვია. ილია ჭავჭავაძე წერდა: „სამშობლომ“ არა მარტო თეატრი დააყენა ცოტად თუ ბევრად ფეხზე, არამედ თვით საზოგადოებაც გამოაფხიზლა და რამდენისამე საფეხურით ასნია მისი ეროვნული ცნობიერება, მისი გრძნობა მამულისმოყვარეობისა“.

თვითმხილველთა გადმოცემით, მაყურებელთა აღტაცება უკიდურეს ზღვარს აღწევდა მესამე მოქმედებაში, როდესაც სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირული გმირები ქართულ დროშას გაშლიდნენ (ეს დროშა ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის ოჯახში, იყო შეკერილი). ეკატერინე გაბაშვილი იგონებდა: „საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ სასწაულმოქმედებად აღიბეჭდა მსმენელებზე. მთელი საზოგადოება, პარტერის წინა რიგებიდან დაწყებული გალიორკის უკანასკნელ რიგამდე, ფეხზე იდგა და, სასოებით გამსჭვალული, მზად იყო მუხლი მოედრიკა ეროვნული დროშის წინ, რომ თეატრი გაჭედ-ილი არ ყოფილიყო და მუხლის მოსადრეკი ადგილი ჰქონოდა“.

„სამშობლომ“ ტრიუმფით მოიარა ქუთაისი, ფოთი, ბათუმი... (ქუთაისში ხალხი იერიშით იღებდა თეატრის სალაროს და ბილეთებს იტაცებდა. „დ. ერისთავის „სამშობლო“ თავბრუს გვახვევდა“ – მოიგონებს მერე ქუთაისის გიმნაზიის ნამონაფარი გიორგი ლასხიშვილი). ყოველივე ამას რუსეთის რეაქციული პრესის მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. კერძოდ, შოვინისტურმა გაზეთმა „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“, რომელსაც მიხეილ კატკოვი რედაქტორობდა, გამოაქვეყნა თბილისიდან გაგზავნილი წერილი და ამ წერილში იყო რჩევა – სპექტაკლის ხარჯის ასანაზღაურებლად ეგ თქვენი ქართული დროშა გოდფრუას ცირკს მიჰყიდეთო (მოგვიანებით გაირკვა, რომ წერილის ავტორი იყო სტეფანე რიჟოვი – საქართველოში მცხოვრები რუსი პედაგოგი და პუბლიცისტი). ცნობილია ილია ჭავჭავაძის წერილი „კატკოვის პასუხად“. ამას გარდა, „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ ცინიკურ გამოხდომას საჯაროდ უპასუხა თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა ლუარსაბ (შაქრო)

მაღალაშვილმა, რომელმაც პეტერბურგში გამოშვებულ გაზეთ „გოლოსში“ გამოაქვეყნა პოლემიკური წერილი და ხაზგასმით აღნიშნა: „დედამინაზე არ მოიპოვება ბარბაროსი, რომელიც პატივს არ სცემდეს იმ საერო წმიდანს (იგულისხმება ეროვნული დროშა – თ. ჯ.), რომელიც წარმომადგენელია, ემბლემაა ერის სახელისა და ნაციონალურ ღირსებისა“.

მართალია, მაშინ კატკოვმა გაჩუმება ამჯობინა, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ „სამშობლოს“ წარმოდგენა მაინც აიკრძალა. მისი აღდგენა მხოლოდ 1891 წელს მოხერხდა და ამის შემდეგ წლების განმავლობაში თბილისისა და ქუთაისის ქართული თეატრები სწორედ ამ სპექტაკლით ხსნიდნენ სეზონს.

დავით ერისთავი გარდაიცვალა 1890 წლის 11 ოქტომბერს, თბილისში, დაკრძალეს კალოუზნის წმ. გიორგის ტაძრის გალავანში (იქ, სადაც დღეს რუსთაველის სახელობის კინოთეატრია) და საფლავზე ძეგლიც დაუდგეს (მოქანდაკე – ფელიქს ხოდოროვიჩი). 1920-იან წლებში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ტაძარი ააფეთქა. ამის შემდეგ მწერლის ნეშტი მთაწმინდაზე გადაასვენეს და ძეგლიც იქ გადაიტანეს. და სწორედ ამ ძეგლზე ამოკვეთილ აკაკი წერეთლისეულ ეპიტაფიაშია ყველაზე ლაკონიურად დახასიათებული დავით ერისთავის მთავარი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე:

ძღვნად და საკურთხად სამარადისოდ
საიმქვეყნიო და საამსოფლო,
ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა,
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.

2003 წ.

იოსებ დავითაშვილი

იოსებ დავითაშვილი 1850 წლის 1 ივნისს დაიბადა გორის მაზრის სოფელ გარდატენში ყმაგლეხის, სვიმონ დავითაშვილის, ოჯახში, 11 წლისა დაობლდა, ერთხანს სოფელ დოესში მებატონეს ხელზე ემსახურებოდა, ბავშვობიდანვე ამყლავნებდა სწავლის წყურვილს, თუმცა „გარემო პირობები ბავშვის მისწრაფებათა ბორკილად გამოდიოდა“ (ლ. მინაშვილი). ამ მდგომარეობიდან უფროსმა ძმამ გამოიხსნა, თბილისში ჩამოიყვანა და ერთ რუს მეჩუქურთმეს მიაბარა შეგირდად; ერთხანს ზეიცერის ავეჯის ქარხანაში იმუშავა ჩუქურთმის მჭრელად, მაგრამ მუშათა გაფიცვაში მონაწილეობისათვის ქარხნიდან დაითხოვეს. იოსებ დავითაშვილს ლუკმა-პურის ძებნაში თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა მოვლილი, სიკვდილმა კი 1887 წლის 13 მარტს თელავში უსწრო (გარდაიცვალა ფილტვების ანთებით. დაკრძალეს თელავის საქალაქო სასაფლაოზე, საიდანაც 1939 წელს ერეკლე II-ის სასახლის გალავანში გადაასვენეს).

იოსებ დავითაშვილის გარდაცვალებას ქართველ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ილია ჭავჭავაძემ ამ სამწუხარო ფაქტს უძღვნა „ივერიის“ მონინავე წერილი, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა იოსებ დავითაშვილის პოეტურ მემკვიდრეობას: „ეს აზრები, ეს გრძნობა, ეს სიტყვა ქარით მობერილი არ არის. ეს მარგალიტები იმ ზღვიდამ არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი, არაფერია განგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი. აქ თავის დიდებას, თავის დიდ-ბუნებოვანობას, სულგრძელობას თითონ ერი მეტყველობს, თითონ ერი ჰღადადებს ერთის თავის ჭემმარიტის შვილის ბავითა!“

იოსებ დავითაშვილის გარდაცვალებას საგაზეთო წერილებითა თუ ლექსით გამოეხმაურნენ გრიგოლ ყიფშიძე, პეტრე

უმიკაშვილი, შიო მღვიმელი და სხვ.; თბილისში, კალოუზნის ეკლესიაში, პოეტის სულის მოსახსენებელ პანაშვიდზე, რომელსაც, სხვათა შორის, დიდძალი საზოგადოება დაესწრო, გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. და სწორედ აქ, აკაკი წერეთლის სიტყვაშია, ჩვენი აზრით, გასაღები ქართული კულტურის იმდროინდელ მესვეურთა ასე ერთსულოვნად აღტაცებული დამოკიდებულებისა იოსებ დავითაშვილის მიმართ: „შემცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ მარტო მოლექსეობისათვის ვსცემდეთ მას პატივს. დაბალ-წოდებაში ნიჭი იშვიათი არ არის და არც მოშაირობაა განსაკუთრებითი მოვლინება. განსვენებული იმითი იყო შესანიშნავი უფრო, რომ თავის პირადობაზე იმდენად არა ჰფიქრობდა, რამოდენადაც საზოგადოებაზე. მისი გრძნობა-გონება იმაზე იყო მიპყრობილი, რომ მოძმეების კეთილდღეობას მოსწრებოდა, მათი სწორ-წარმატება ენახა. ეს სურვილი სიტყვად ჰქონდა გადაქცეული და სიტყვაც საქმედ შეძლებისდაგვარად“.

სამოციანელთათვის იოსებ დავითაშვილის ლექსები, გარდა ამ ლექსებიდან ზოგიერთის უდავო პოეტური ღირსებებისა, იმითაც იყო ძვირფასი, რომ მათი ავტორი უბრალო, მშრომელი ხალხის წიაღიდან იყო გამოსული და მის პოეტურ ნააზრევში, ცხოვრებისა თუ აზროვნების წესსა და მიმართულებაში საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების მესვეურებმა თავიანთი დაუცხრომელი საგანმანათლებლო გარჯის კეთილი ნაყოფი იხილეს. იოსებ დავითაშვილის, ამ „დემოსის ნატეხის“ (ვ. კოტეტიშვილი), შემოქმედებაში „დემოსისვე“ მეტყველებასთან დაახლოებული პოეტური ენითა და გამომსახველობითი საშუალებებით შემდეგი პრინციპებია ჩამოყალიბებული: სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება, მისი თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის საზოგადოების ყველა ფენის მისწრაფებათა გაერთიანება, შრომისა და მშრომელი ადამიანის მიმართ ღრმა პატივისცემა, ქრისტიანული სიყვარული მოყვასისადმი, დაუოკებელი ღტოლვა სწავლისაკენ და განათლების

დასახვა პიროვნულ, სოციალურ თუ ეროვნულ სატკივართა უებარ წამლად... ვახტანგ კოტეტიშვილის დაკვირვებით, იოსებ დავითაშვილი „იმ ისტორიული მომენტის წარმომადგენელია, რომელსაც ეწოდება ხალხის შეგნების დასაწყისი“.

მართალია, იოსებ დავითაშვილის ლექსების უმრავლესობა არ გამოირჩევა ლიტერატურულ-ესთეტიკური დახვეწილობით, ფორმის ორიგინალურობით, რითმათა სიმდიდრით, მაგრამ ამ ლექსებში ავტორის სათქმელი გადმოცემულია არაჩვეულებრივი გულწრფელობითა და უშუალობით, უაღრესად დემოკრატიზებული ენით, პოეტურ ფორმათა სისადავით, გამჭვირვალე, ხშირად მომხიბვლელ გულუბრყვილობამდე მისული ლირიკული განცდებით. აქ ცხოვრების უსამართლობაზე მჭმუნვარე ფიქრსაც შეხვდებით და იმავე ცხოვრების მშვენიერებით ტკობასაც, ყალბ სენტიმენტალობას მოკლებულ სატრფიალო გრძნობებსაც, მინის შვილის ჯანსაღ ოპტიმიზმსაც, სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეულ გულისტკივილსაც, უკეთესი მომავლის იმედსაც:

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.
დაპურდი, ჩემო ნუგეშო,
იზარდე თანდათანაო;
ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,
მზემ შუქი გფინოს თანაო.
ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყერმა მოგძახოს ნანაო;
იზარდე, გაახარევი
ყმანვილი ჩემისთანაო...

(„ჯეჯილი“)

ანდა:

კარებზედ წაუნერია:
დედავ, გიკვდები შვილიო,
აღარ დამატკობოხს ჰაერი,
რიონის სიო, ჩრდილიო;
შუქს ველარ მომფენს მზე, მთვარე,
მინა დამფარავს გრილიო;
მშვიდობით, დედავ-სამშობლო,
აგცილდეს გასაჭირიო.

(„კარებზედ წაუნერია...“)

და მაინც, იოსებ დავითაშვილის პოეტურ და მოქალაქეობრივ თვითშეგნებას ყველაზე ზუსტად მისივე სიტყვები გვიხსნიათ: „ნუ დაივინყებთ, რომ ზღვაზე დიდი გემების გარდა პატარა ნავებიც დაცურავენ და ემსახურებიან კაცს გაჭირვებაში... მკითხველმა გასინჯოს და დააფასოს იმის ავკარგიანობა, თუ რამდენად შეუძლიან ნავობის ასრულება ზღვაში კი არა, ამ ჩვენ ბრძოლის შეუპოვარ და მრავალჯერ თავგატეხილს და სისხლით შეღებილ სამშობლოში და რა ტანჯვასა და წვალებას გამოვივლიდი ამ ნავის ამგები, თითქმის უპატრონო და უსახლკარო დღიური მუშა“.

2003 წ.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი

ნიკოლოზ ბერძნიშვილი (რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში: ბერძენოვი, ბერზენოვი) 1829 წლის 4 სექტემბერს დაიბადა ჩრდილოეთ ოსეთში, არდონში, სადაც მამამისი, მღვდელი გიორგი ბერძნიშვილი, მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა. ნ. ბერძნიშვილმა დაამთავრა ვლადიკავკაზისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლები, 1850 წლიდან გამოჩნდა სალიტერატურო ასპარეზზე და მთელი თავისი ცოდნა, ნიჭი და ენერგია სრულად და უანგაროდ ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების აღორძინებას მოახმარა.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი იყო:

ისტორიკოსი და ეთნოგრაფი (აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის, ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, ყოფითი ეტიკეტისა და სხვ. საკითხებზე; თანავტორია 1870 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოცემული წიგნისა „თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“ (რუსულ ენაზე), რომლის საისტორიო ნაწილის ავტორია დიმიტრი ბაქრაძე, ხოლო ეთნოგრაფიული ნაწილისა – ნ. ბერძნიშვილი);

ჟურნალისტი (1850-იან წწ. იყო გაზეთ „კავკაზის“ წამყვანი თანამშრომელი, 1856 წელს – ფაქტობრივი რედაქტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული კავკასიის ამ მთავარ რუსულენოვან გამოცემაში ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი განყოფილების გაფართოება და გამრავალფეროვნება, ისტორიული, ეთნოგრაფიული და სხვ. მასალების ბეჭდვა);

ფოლკლორისტი (აქვეყნებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს: შრომის სიმღერების ტექსტებს, სანესჩვეულებო ჰოეზიას, ისტორიულ, რელიგიურ და მითოლოგიურ გადმოცემებს,

ზღაპრებს, ლეგენდებს. ბევრ პუბლიკაციას ახლავს მისივე წინასიტყვაობა და კომენტარები);

არქეოგრაფი [სიცოცხლის ბოლო წლებში იყო „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის“ თავმჯდომარის, ადოლფ ბერჟეს, ფაქტობრივი მოადგილე (დ. ბაქრაძესთან ერთად). ფასდაუდებელი ამაგი დასდო „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მრავალტომეულის გამოცემას];

გამომცემელი [1870 წელს გამოსცა დ. გურამიშვილის „დავითიანი“ (პ. უმიკაშვილთან და გ. წერეთელთან ერთად), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ალ. დიუმას „კავკასიის“ პ. რობოროვსკისეული რუსული თარგმანის გამოცემაში].

ნ. ბერძნიშვილი საფუძვლიანად იცნობდა ოსი ხალხის კულტურას და დიდი ამაგი მიუძღვის ოსური ეთნოგრაფიის შესწავლასა და პოპულარიზაციაში. ამ სფეროში მის ნაშრომებს ეყრდნობოდნენ, იყენებდნენ ან იმონებდნენ აღიარებული მეცნიერები: მ. კოვალევსკი, ვ. მილერი, ნ. დუბროვინი და სხვ.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დანიელ ჭონქაძემ თავისი ჩანაწერები (ეთნოგრაფია, ფოლკლორისტიკა, ლექსიკოლოგია...) ანდერძით დაუტოვა ნიკოლოზ ბერძნიშვილს – სიყრმის მეგობარსა და თანამოაზრეს. შემდგომში ნ. ბერძნიშვილმა მთელი ეს მასალა მოაწესრიგა და გადასცა პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას (ნაწილი პეტერბურგშივე რუსულ ენაზე გამოაქვეყნა აკადემიკოსმა ა. შიფნერმა, ნაწილი ითარგმნა და გამოიცა ფრანგულ და გერმანულ ენებზე).

1857 წლიდან ნიკოლოზ ბერძნიშვილი ჟურნალ „ცისკარსა“ და გაზეთ „კავკაზში“ ზედიზედ აქვეყნებს კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს. იგი ივანე კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით მსჯელობს სინამდვილის რეალისტურად ასახვის, მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულების, ეროვნული თემატიკისა და პრობლემატიკის პრიორიტეტულობის, ტიპურობის, აღმოსავ-

ლური (კერძოდ, სპარსული) პოეზიის პირდაპირი და ზედაპირული გავლენების აღმოფხვრისა და ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციის აუცილებლობის, ძველ ქართულ ლიტერატურაში დრამატურგიის არარსებობის გამომწვევი მიზეზებისა და სხვ. არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე.

ზოგადად ნ. ბერძნიშვილის კრიტიკულ-ლიტერატურული ნააზრევი დაფუძნებულია ორ ძირითად პრინციპზე:

ა) ლიტერატურაში მთავარი და არსებითი ეროვნული თემ-ატიკა და პრობლემატიკაა და, ამასთანავე, ლიტერატურული აზროვნება ეროვნულ ისტორიულ-კულტურულ მონაპოვრებზე უნდა იყოს დაფუძნებული („ჯერ არც ერთ ხალხს არ უთქვამს უარი საკუთარ წარსულზე, ხოლო ისტორია ქართველებისა ისეთია, როგორითაც ერთობ ცოტა ქვეყანას თუ შეუძლია თავი მოიწონოს. ქართული ჟურნალი უნდა იყოს ამსახველი ქართველთა წარსულისა და აწმყოსი“).

ბ) ქართული კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების განვითარებისათვის სასიცოცხლი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მწერლობის ევროპეიზაციას („დაე, ჩვენი მშობლიური წიადის დამუშავებას თან სდევდეს მაცოცხლებელი სხივი ევროპული განათლებისა“).

ნ. ბერძნიშვილი ურჩევს ჟურნალის რედაქტორს, ივანე კერესელიძეს, „პირველ რიგში, ხელი მოკიდოს მშობლიური ცხოვრების ასახვას, ჩვენი დიდი პოეტების: რუსთაველის, ჩახრუხაძის შესწავლას, ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის დამუშავებას და სწორედ ეს მოუტანს უეჭველ გამარჯვებას მის მიერ არჩეულ ასპარეზზე“.

ნ. ბერძნიშვილმა საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია მთარგმნელობითი პოლიტიკის საკითხი და ამ კუთხით განიხილა ფრანგი მწერლის, მარმონტელის, „მეუდაბნოენის“ სარდიონ ალექსი-მესხიშვილისეული თარგმანი. რეცენზენტის შეხედულებით, ქართულ ენაზე უნდა ითარგმნოს ისეთი უცხოური ტექსტები, რომლებიც უპასუხებს ქართველი მკითხველის

ლიტერატურულ-ესთეტიკურ და ზნეობრივ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ხელს შეუწყობს საქართველოში სამწერლობო პროცესების გამდიდრებას და ამ მხრივ – ნ. ბერძნიშვილის თვალსაზრისით – სრულებით არ იყო საჭირო თარგმნა და ერთადერთ ქართულ ჟურნალში გამოქვეყნება იმ ავტორისა, რომელიც საკუთარ სამშობლოშიც კი ძლივს ახსოვთ („მარმონტელი არ იმსახურებს იმას, მკითხველისათვის საზღვარგარეთული ლიტერატურის გაცნობა მისი შემოქმედებით დავიწყოთ. ბევრი მისი ნაწარმოები მოკლებულია ზნეობრიობას და ამ მხრივაც იგი ვერ უძლებს კრიტიკას“).

ნ. ბერძნიშვილი ერთ-ერთი პირველი ლიტერატორია, რომელმაც, მართალია, მოკლედ, მაგრამ არსებითად მართებულად შეაფასა ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც გარკვეული ლიტერატურული სკოლის (რომანტიზმის) წარმომადგენლის, შემოქმედება („მის ნიჭს აზის ბეჭედი იმ იმედგაცრუებისა და უკმაყოფილებისა, იმ უნუგემო მელანქოლიისა, რომლითაც გამოირჩევა ლერმონტოვისა და ბაირონის სკოლის სხვა ავტორთა პოეზია“). იგი ილია ჭავჭავაძის პირველი რეცენზენტია (შეაფასა „ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული ილიას ორიგინალური ლექსი „ჩიტი“, რომელიც, რეცენზენტის თქმით, გამოირჩევა „ბუნების უზადო აღქმით, პოეტური თხრობის სიმსუბუქითა და მელოდიურობით“) და სხვ.

ნ. ბერძნიშვილს გამოუჩნდნენ ოპონენტები (ლ. არდაზიანი, ალ. სავანელი, ს. ალექსი-მესხიშვილი და სხვ.), რომლებმაც „ცისკრის“ ფურცლებზევე გამართეს პოლემიკა ნ. ბერძნიშვილის ცალკეული მოსაზრებების წინააღმდეგ. არსებითად ჩვენში ამ პოლემიკამ დაუდო სათავე მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მეტ-ნაკლებად საფუძვლიან და სისტემურ ანალიზს და მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა კიდევაც ლიტერატურული ცხოვრება. გაფართოება, შემდგომი გაღრმავება და დასაბუთება პრობლემათა იმ რიგისა, რომელიც ნიკოლოზ ბერძნიშვილის ნაწერებშია მოცემული, ორგანულად უკავშირ-

დება ილია ჭავჭავაძის სახელს და, ამდენად, ბერძნიშვილი განმსაზღვრელი მნიშვნელობის ფიგურაა იმ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც ლიტერატურული ნიადაგი მოუმზადეს ი. ჭავჭავაძის – საერთოდ თერგდალეულთა – ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, შეხედულებებსა და პოზიციას.

ნ. ბერძნიშვილის, როგორც მკვლევრის, ღვაწლზე საუბრისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „კავკაზსკი კალენდარში“ (1869) გამოქვეყნებული ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში XVIII ს. დასაწყისში – რომის პროპაგანდა საქართველოში“ (რუსულ ენაზე), რომელშიც მიმოხილულია ს.-ს. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ხოლო მის მიერ კათოლიკობის მიღების ფონზე განხილულია კათოლიკური რომის პროპაგანდა საქართველოში.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი იყო პირველი ქართველი ავტორი, რომელმაც იმსჯელა ჟურნალისტიკის რაობასა და ფუნქციაზე. 1857 წელს გაზეთ „კავკაზში“ (№4) გამოქვეყნებულ სტატიაში „Несколько слов о грузинской литературе...“ [„ორიოდე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ...“] იგი წერს:

„განუწყვეტელი მოძრაობითა და წინმსვლელობით აღბეჭდილ ჩვენს ეპოქაში ჟურნალისტიკამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. არ არის დარჩენილი ადამიანური მოღვაწეობის არც ერთი სფერო, რომელზეც თანამედროვე ჟურნალისტიკა არ ახდენდეს პირდაპირ თუ ირიბ ზეგავლენას. მისი საშუალებით გამოიხატება და მკვიდრდება მძლავრი პოლიტიკური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სამრეწველო იდეები – ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რითაც თანამედროვე განათლებული მსოფლიოა გამსჭვალული, რაც განაპირობებს კაცობრიობის გონებრივ განვითარებას და რამაც, თავის მხრივ, ჩვენს დროში მანამდე არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ნულარაფერს ვიტყვით ისეთ იშვიათ გამონაკლისებზე, როდესაც ჟურნალისტიკა გარკვეული პარტიების ხელში არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გადაიქცევა ხოლმე, მაგალითად, ინგლისში

და თვალი მივაპყროთ ე. წ. „ახალ სამყაროს“ ანუ ამერიკას. ყველამ, ვინც კი რამეს კითხულობს, იცის, თუ როგორი სისწრაფით აღმოცენდებიან იქ ქალაქები, მივარდნილ-მიყრუებული ადგილები გადაიქცევიან დასახლებებად და სიცოცხლე დულს და გადმოდის იქ, სადაც ცოტა ხნის წინ უშენი ტერიტორიები და გაუვალი ტყეები იყო. – და რითი ინყებენ იქ ახალი ქალაქის დაარსებას? – ხეთა ტოტებისაგან სახელდახელოდ შეკონინებული ქობმახში დადგამენ საბეჭდ დაზგას და ინყებენ ჟურნალისა თუ გაზეთის გამოცემას. მერე რა, რომ ამ ჟურნალებისა თუ გაზეთების მკითხველთა წრე თავიდან მხოლოდ მისივე თანამშრომლებით (შესაძლოა, შემთხვევით შემოხეტებული თავგადასავლების მაძიებლებითაც...) შემოიფარგლება?! გაივლის რამდენიმე თვე და სწორედ ამ ქობმახის ირგვლივ ჩნდება ჯერ ქუჩები, შემდეგ – უბნები, ხოლო ორ-სამ წელიწადში შენდება მთელი ქალაქი, რომელიც სულ მოკლე ხანში იძენს სავაჭრო, სამრეწველო, სალიტერატურო და სხვ. მნიშვნელობას. ასე და ამგვარად, ამერიკაში გაზეთი ან ჟურნალი იქცევა იმ შუქურად, რომლის გარშემოც შემოიკრიბება მოსახლეობა, ინყებს მრავალმხრივსა და მრავალფეროვან საქმიანობას, ხოლო ეს საქმიანობა დაფუძნებულია განუწყვეტელ მოძრაობასა და წინმსვლელობაზე...

ჟურნალისტიკა განსაკუთრებით ლიტერატურის განვითარებაზე ახდენს პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას. პირველი მეორისათვის თავისებური ბირჟაა, რომელსაც ევროპაში სამართლიანად უწოდებენ საზოგადოებრივი განვითარების გამომხატველ მაჯისცემას. ჟურნალისტიკით განისაზღვრება მოცემული ეპოქის გონებრივი მიმართულება, ნიშანდობლივი ხასიათი, ღირსებები თუ ნაკლოვანებანი, მოძრაობაში მოდის სიტყვიერებითი კაპიტალი ამა თუ იმ ქვეყნისა, ამა თუ იმ ხალხისა. ამასთანავე, ჟურნალისტიკა ყველაზე სანდო, ყველაზე ერთგული წინამძღვარია ახალ-ახალ იდეათა წარმოშობისას, აზრთა გაცვლა-გამოცვლისას. იგი გადაშლის სივრცეებს განსხვავებულ აზრთა შეჯახებისათვის, რომლის გარეშეც ვერ

ნარმოიშობა ჭეშმარიტება, როგორც ამას მართებულად ამბობდა ერთი მოაზროვნეთაგანი“.

კერძო ცხოვრებაში ნ. ბერძნიშვილი იყო მორიდებული, ჩუმი და უპრეტენზიო ინტელიგენტი, თუმცა ეს ყველაფერიო, საგანგებოდ აღნიშნავს დიმიტრი ბაქრაძე: „ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო შეურიგებელი მტერი პირმოთნეობისა. უცხოთა შორის იგი სიტყვაძუნნი იყო, ახლობელთა წრეში კი მისი საუბრები გამსჭვალული იყო სითბოთი, სიცოცხლის სიყვარულითა და იუმორით“.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი გარდაიცვალა 1874 წლის 4 სექტემბერს, 45 წლისა, ფიზიკური გამოფიტვით: „გარდაიცვალა უკიდურეს სიღატაკეში, დატოვა რა გამოუვალ მდგომარეობაში ცოლი და ხუთი მცირეწლოვანი შვილი“ (დიმ. ბაქრაძე); დაკრძალეს თბილისში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. ამჟამად მისი საფლავი დაკარგულია.

2019 წ.

ილია ჭავჭავაძე

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..

მე ვარო შენი თანამდევნი უკვდავი სული.

შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი ანმყო, შენი წარსული.

ილია ჭავჭავაძე („აჩრდილი“)

ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი იყო მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი, მთარგმნელი), პუბლიცისტი, ისტორიკოსი, იურისტი, სოციოლოგი, ეკონომისტი, ბანკირი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე: თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველი (1875-1905), „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ თავმჯდომარე (1885-1907), „ქართული დრამატიული საზოგადოების“ თავმჯდომარე (1881-1907), ჟურნალ-გაზეთების („საქართველოს მოამბე“, „ივერია“) რედაქტორ-გამომცემელი, ქართული ენის რეფორმატორი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი. ილია ჭავჭავაძის ნააზრევში სინთეზური სახით აღბეჭდილია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ინტელექტუალური გამოცდილება.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს კახეთში, სოფელ ყვარელში, ძველ და სახელოვან, თუმცა დროთა განმავლობაში გაღარიბებულ თავადურ ოჯახში. მამა ილია ჭავჭავაძისა, გრიგოლ ჭავჭავაძე, სამხედრო პირი იყო – მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1831 წწ. ომში, „კავკასიის ომში“ შამილის წინააღმდეგ. 1845 წელს იგი შტაბს-კაპიტანის ჩინით თადარიგში გავიდა, ყვარელში დამკვიდრდა და იქვე

გარდაიცვალა 1852 წელს. დედა ილია ჭავჭავაძისა, მაგდან ბე-
ბურიშვილი (1818-1848), დაიბადა და გაიზარდა თბილისში, გრი-
გორიანულ ოჯახში, თუმცა გათხოვების შემდეგ მართლმადი-
დებლობა მიიღო და სახელიც შეიცვალა – მარიამი გახდა. 1848
წელს დედით დაობლებული ილია მამამ თბილისში კერძო პან-
სიონში მიაბარა. 1852-1856 წლებში ილია ჭავჭავაძე სწავლობდა
თბილისის გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგ პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

1861 წლის აპრილში ივანე კერესელიძის ჟურნალ „ცისკარ-
ში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგიდან გამო-
გზავნილი კრიტიკულ-ლიტერატურული წერილი „ორიოდე სი-
ტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან
„შეშლილის“ თარგმნაზედა“, რასაც მალევე მოჰყვა მისივე „პა-
სუხი“. ილია ჭავჭავაძემ პრინციპულად დასვა ლიტერატურისა
და ცხოვრების ურთიერმიმართების (ცხოვრების რეალისტურად
ასახვისა და მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულების), ლი-
ტერატურული კრიტიკის რაობისა და ფუნქციის, მთარგმნელო-
ბითი პრინციპებისა და სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხე-
ბი. ავტორის ყურადღება საგანგებოდ იყო ფოკუსირებული ერ-
თიანი და დემოკრატიზებული ქართული სალიტერატურო ენის
ჩამოყალიბების პრობლემაზე. „ხალხია ენის კანონის დამდები
და არა ანბანთ თეორეტიკა“ – ეს არის ის ფუნდამენტური
მნიშვნელობის საკითხი, რომელიც ი. ჭავჭავაძემ წამოჭრა. წე-
რილმა რეტროგრადულად განწყობილი უფროსი თაობის ლიტე-
რატორთა უმწვავესი რეაქცია გამოიწვია და მალე მსოფლმხე-
დველობრივ და იდეოლოგიურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.
ეს პროცესი, რომელიც „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის
სახელით არის ცნობილი, საბოლოოდ დასრულდა 1870-იანი
წლების დასაწყისში და დასრულდა იგი „მამების“, ანუ რეტრო-
გრადულ-მონარქისტული ძალების, დამარცხებით.

1861 წლის მაისში ისე, რომ სრული საუნივერსიტეტო კურ-
სი არ დაუმთავრებია, ილია ჭავჭავაძე სამშობლოში დაბრუნდა,

გარს თანამოაზრეები შემოიკრიბა და ქართველი ერის კულტურულ-იდეოლოგიური და ღირებულებითი ტრანსფორმაციის პროცესს ჩაუდგა სათავეში.

1863 წელს ილია ჭავჭავაძე მის მიერვე დაარსებულ ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ აქვეყნებს პროგრამულ წერილს „საქართველოს მოამბეზე“, რომელშიც ავტორი „საზღვრავს თავისი სამოღვაწეო, შესაბამისად, სააზროვნო საგნის რაობას: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ (მ. ნანიშვილი). იმავე წერილში ილია ჭავჭავაძე აყალიბებს კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, მომავალი ეკუთვნის იმ ხალხს, რომელიც ალღოს აუღებს ცხოვრების ახალ მოთხოვნებს და იპოვის ადეკვატურ პასუხებს დროით განპირობებულ გამოწვევებზე. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „თვითმოქმედების ძალა“ (თვითორგანიზაციისა და თვითრეგულაციის უნარი) არის ის საყრდენი, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზმისა და, პირველ რიგში, ერის შეუქცევად პროგრესს.

იმავე 1860-იან წლებში ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით დაიწყო და ფორსირებულად დასრულდა კიდევ ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესი: არისტოკრატიის წიაღში იშვა ახალი საზოგადოებრივი ფენა – ინტელიგენცია, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ქართველი ერის თვითარსებობის, მისი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების გარანტორის მისია.

„პოლიტიკური სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა გამოისახება ეროვნული ცხოვრების აღორძინების საჭიროებაში“ (ა. ჯორჯაძე). ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ერი ცოცხალი სოციალური ინდივიდია (საზოგადოებრივი პიროვნებაა, კოლექტიური პერსონაა), რომელიც სხვათაგან განსხვავებული და, ამდენად, უნიკალური ენის, ისტორიისა და კულტურის შემოქმედია და, რადგან ერი შემოქმედია, მას სჭირდება თავისუფლება, როგორც შემოქმედებითი აქტის აუცილებელი პირობა და უზენაესი მიზანი.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური იდეალი იყო თავისუფალი, სუვერენული უფლებების მფლობელი საქართველო და მისი ეს იდეალი გამოხატულია „მგზავრის წერილების“ პერსონაჟის, ლელთ ღუნიას, სიტყვებში: „ადრიდა ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნეს“. მაგრამ ერთია ის, თუ რა არის პოლიტიკური იდეალი, ხოლო მეორე – რის საშუალებას იძლევა არსებული ვითარება. ვინაიდან რადიკალური მეთოდებით ბრძოლა რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, წინააღმდეგ მოკლებული იყო პერსპექტივას, ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა პოლიტიკური პოზიცია, რომელიც ჩამოჰგავს ჯერ კიდევ 1840-იან წლებში დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ პროგრამას – ქართველთა ეროვნული თვითარსებობისა და თვითმყოფადობის გადარჩენასა და გაძლიერებას არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის ფარგლებშივე, ამ მიზნის გარშემო საზოგადოების ყველა ფენის კონსოლიდაციასა და მიზნის მიღწევას მშობლიური ენის შენარჩუნების, განათლების გავრცელებისა და კულტურის აღორძინების მეშვეობით.

ამასთანავე, ილია ჭავჭავაძისათვის აშკარა იყო ის საფრთხეც, რომელსაც რუსეთის იმპერიის ასიმილაციური პოლიტიკა უქმნიდა საქართველოს ნაციონალურ თვითარსებობას. მისი აზრით, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აყვანილი ასიმილაციური მიზანი იყო როგორც რუსეთის იმპერიის, ისე მასში შემავალი ხალხების ტრაგედიის საფუძველი: „რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი... ეროვნობის და სახელმწიფოს არსებითნი მოთხოვნილებანი უნდა ერთმანეთს შეეფარდოს და თვითოეულს მათგანს მისი საკუთარი სარბიელი შემოეხაზოს“. ამ მხრივ საინტერესოა სიტყვა, რომლითაც 1895 წელს ილია ჭავჭავაძემ თბილისში ჩამოსულ რუს პოეტსა და მთარგმნელს, ვასილ ველიჩკოს, მიმართა: „არც პუშკინი, არც ლერმონტოვი და არც სხვები მათი მიმყოლნი არ შეხე-

ბიან საქართველოს ერის გულს, არ ჩაუხედნიათ მისი გულის სიღრმეში, თუ რა ძვირფასი მარგალიტები ბრწყინავენ შიგ... შეისწავლეთ ქართველი ერის ბუნება, გააცანით იგი თქვენს ხალხს და აი, ნამდვილი პატივისცემა, მეგობრობა და ძმობა მაშინ დაარსდება ამ ორ ერთა შორის“.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაში აღიარებულია, რომ ქართული კულტურა (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: ლიტერატურა, ხელოვნება, ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლები, ფასეულობათა სისტემა, თანაცხოვრების უნარი, რწმენა-წარმოდგენები და სხვ.) ქრისტიანიზმითაა განსაზღვრული, თუმცა იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით ყოველგვარი გაუცხოებისა, მით უმეტეს – დისკრიმინაციისა: „ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვყვედრებენ. სხვა ქვეყნებში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი აქ, ჩვენში, ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელ საგანესა და სინიდისის თავისუფლებასა“.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში საგანგებო ყურადღება ეთმობა დროთა კავშირს. მის ნაწერებში ისტორია მოკლებულია დეკორაციულობას და მას პრაგმატული ფუნქცია აქვს მინიჭებული – ისტორიული გამოცდილება გვეხმარება აწმყოში არსებული პრობლემების გააზრებასა და დაძლევაში და მომავლის კონსტრუირებაში. ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, დამოკიდებულება საკუთარი ისტორიული წარსულისადმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ერის სიცოცხლისა- და მოქმედებისუნარიანობას.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს მომავალს ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ღირებულებით სივრცეში

ხედავდა. ამ მხრივ იგი აგრძელებს და აღრმავებს წინამორბედთა (პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებული თეიმურაზ, იოანე, დავით და სხვ. ბატონიშვილები, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი) მაგისტრალურ ხაზს. ევროპა და ევროპული განათლება – ეს არის ილია ჭავჭავაძისათვის, ერთი მხრივ, ეროვნული თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების, ხოლო, მეორე მხრივ, საკაცობრიო ცხოვრებაში ჩართულობის ყველაზე სწორი და ისტორიული თვალსაზრისითაც გამართლებული გზა.

ილია ჭავჭავაძის ყურადღების საგანი იყო ქალთა უფლებებისა ზოგადად და, კერძოდ, ქალთა განათლების საკითხი. თავის პუბლიცისტურ წერილებში იგი ხაზს უსვამდა ქალთა ემანსიპაციასთან (მათ შორის საარჩევნო უფლებასთან) დაკავშირებულ პროგრესს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ილია ჭავჭავაძე პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა საერთაშორისო მოვლენების მიმოხილვებს. ფაქტობრივად, მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რომელიც გავლენას ახდენდა ევროპის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაზე (ბალკანეთი და ახლო აღმოსავლეთი ევროპულ პოლიტიკაში, უილიამ გლადსტონისა და ოტო ფონ ბისმარკის პოლიტიკა, ირლანდიელი ხალხის ბრძოლა ავტონომიისათვის და სხვ.). ილია ჭავჭავაძე შეშფოთებას გამოხატავდა ევროპაში (განსაკუთრებით – ავსტრიასა და გერმანიაში) გაძლიერებული ანტისემიტიზმის გამო და ვარაუდობდა ამ პროცესის დრამატულ განვითარებას, მით უმეტეს, რომ ანტისემიტიზმმა ისტერიამ იქ სტუდენტობასა და განათლებულ წრეებში მოიკიდა ფეხი. ილია ჭავჭავაძის ყურადღების საგანი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები. იგი აღნიშნავდა ვაჭრობისა და მრეწველობის სწრაფ განვითარებას ამერიკაში, რასაც, გარდა სხვა მიზეზებისა, ევროპასთან შედარებით მილიტარიზაციის დაბალი დონით ხსნიდა და ფიქრობდა, რომ შორს არ იყო

დრო, როცა „ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკურად ერთიანად დაიმორჩილებს ევროპას“.

ილია ჭავჭავაძე ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის („ნაციონალური ლიბერალიზმის“ – ა. ჯორჯაძე) ფუძემდებელია საქართველოში, თუმცა მას შემდეგ, რაც ლიბერალიზმი მოწყდა თავის კლასიკურ საწყისებს, იქცა პოლიტიკის იარაღად და განსხვავებული შეხედულებებისა თუ პოზიციების დათრგუნვის მანიპულაციურ ინსტრუმენტად, ილია ჭავჭავაძე დაუპირისპირდა ლიბერალიზმის პროფანატორებს: „თუ ჩვენებურ ლიბერალებს გამვლელ-გამომვლელი თავს არ დაუკრავს და მუხლს არ მოუყრის, ყველანი უვიცები და რეტროგრადები ჰგონიათ ... დროა ჭკუას მოვიდეთ და არ შევეშინდეთ ამ ცრუპენტელა ლიბერალებს, ამ ჭეშმარიტის ლიბერალობის ბერიკებს, რომელნიც პირში ბურთსა გვჩრიან, რომ თავიანთი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიაფუჩიონ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადააფარონ“.

ილია ჭავჭავაძე ათეული წლების განმავლობაში მართავდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს, რომლის შემოსავალი მთლიანად საზოგადოებრივ საქიროებებს, მათ შორის, კულტურისა და განათლების განვითარებას, ხმარდებოდა. ბანკი ფინანსურად ეხმარებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელსაც ილია ჭავჭავაძე 1885 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ეს საზოგადოება საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთაც: ვლადიკავკაზი, მოზდოკი, ბაქო...) ხსნიდა ქართულ სკოლებს, აარსებდა ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს, მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ თეატრს, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის წიგნებსა და სახელმძღვანელოებს, ზრუნავდა ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაზე, ხელოვნებაზე (მუსიკა, მხატვრობა...), ხელს უწყობდა ზეპირსიტყვიერების შეკრებას, გამოქვეყნებასა და შესწავლას, ქმნიდა ძველი

ქართული ხელნაწერების კოლექციებს, იცავდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, სტიპენდიებს უნიშნავდა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტობას და სხვ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ილია ჭავჭავაძის ხელში იქცა კულტურის წარმმართველად, „ეროვნულ თავშესაფრად“, როგორც მას თანამედროვენი უწოდებდნენ.

ილია ჭავჭავაძე მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული თეატრის ისტორიაში. ეროვნული თეატრის შესახებ მის პროგრამულ წერილში ნათქვამია: „ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვანლსა ვსთხოვთ. პირველი, რომ გამწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე – იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენიებითა და სიმდიდრითა...“ 1881 წელს შეიქმნა ქართული დრამატული საზოგადოება, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა და მოკლე ხანში იგი საქართველოში თეატრალური ცხოვრების მაკოორდინირებელ და წარმმართველ ორგანიზაციად აქცია.

შემოქმედების ბოლო პერიოდში ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი ლიტერატურული და პუბლიცისტური გამოცდილების საფუძველზე ჩამოაყალიბა ნაციონალური კონსოლიდაციის კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ერის თითოეული შვილის, მიუხედავად მათი წოდებრივი თუ კლასობრივი კუთვნილებისა, პერსონალური მოვალეობა და პასუხისმგებლობა საერთო-ეროვნული მიზნებისა და ამოცანების წინაშე: „ყველამ ერთად და თვითულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მთელის ერის კეთილდღეობაში“. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, მხოლოდ კონსოლიდირებულ ერს შეუძლია ნაციონალური თვითგადარჩენისა და განვითარების იდეის პრაქტიკული განხორციელება, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა მას (ერს) დაკარგული აქვს სუვერენული უფლებები და ჩამოშორებულია მართვის სადავეებს.

სწორედ ეს კონცეფცია იყო ძირითადი დაბრკოლება 1890-იანი წწ. დასაწყისში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოჩენილი ახალი ძალისთვის – სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის. კლასობრივ ანტაგონიზმსა და რევოლუციურ პროგრამაზე დაფუძნებული მარქსისტული პარტიის მთავარ სამიზნედ ილია ჭავჭავაძე იქცა. 1890-1900-იანი წწ. მიჯნაზე ყველა მნიშვნელოვანმა პროცესმა ილია ჭავჭავაძისა და მისი გაზეთის, „ივერიის“, გარშემო მოიყარა თავი. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის დამსახურებისა და ავტორიტეტის უკიდურესი დაკნინება, მისი, როგორც პიროვნების, მორალური განადგურება დაისახეს მიზნად. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკური ფრაქცია. ილია ჭავჭავაძე უიმედოდ ჩამორჩენილ რეტროგრადად, პროგრესის მუხრუჭად, სასტიკ ბანკირად, გლეხების მტანჯველ უბოროტეს მემამულედ გამოცხადდა.

ხანგრძლივი ბრძოლით დაღლილმა, გულით დაავადებულმა ილია ჭავჭავაძემ 1902 წელს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობა ალექსანდრე სარაჯიშვილს გადასცა, 1905 წელს დატოვა ბანკი; ავადმყოფობის გამო იშვიათად ესწრებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი და დრამატული საზოგადოებების სხდომებს; 1905 წლის ივნისში დაწერა ანდერძი, რომლის მიხედვითაც, მთელი მისი ქონება მის მეუღლეს, ოლღა გურამიშვილს, ოლღას გარდაცვალების შემდეგ კი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უნდა გადასცემოდა.

მიუხედავად ამისა, ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ არ შენელებულა, პირიქით – ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ფილიპე მახარაძის, ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გაძლიერდა, საბოლოოდ კი ეს მორალური ტერორი ილია ჭავჭავაძის ფიზიკური განადგურებით დასრულდა. 1907 წლის 30 აგვისტოს ილია თბილისთან ახლოს, წინამურში, მოკლეს. ზერელე გამოძიების შემდეგ მკვლელები სიკვდილით დასაჯეს, ხოლო რაც შეეხება ამ ტერორისტული აქტის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს, მათი ვინაობა დღემდე უცნობია.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს გადანყვეტილებით ილია ჭავჭავაძე დაკრძალეს მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიის გალავანში.

1987 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე „წმინდა ილია მართლის“ სახელით წმინდანად შერაცხა.

1990-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ილია ჭავჭავაძის ნააზრევმა, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ნაციონალური და ლიბერალურ-დემოკრატიული იდეები, ახალი სიცოცხლე შეიძინა. იგი საფუძვლად დაედო თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას, ხოლო მიზანი ამ იდეისა არის ბუნებით განსაზღვრული და ისტორიით დამსახურებული ადგილის დამკვიდრება დასავლურ ცივილიზაციურ სივრცეში და ამ გზით – საერთო-საკაცობრიო ცხოვრებაში.

2021 წ.

პუბლიკაციები

ვასილ კირვალიძე

აკაკი

ვასილ კირვალიძე (1864-1933) სხვადასხვა წლებში მოსამსახურედ იდგა თბილისის სასტუმროებსა თუ კერძო პირებთან, მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში (იყო სოციალ-დემოკრატთა თანამდგომი) და მწერლობა კიდეც – პრესაში („კვალი“, „თეატრი და ცხოვრება“...) აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ლექსებს, მოგონებებს... 1900 წელს, როგორც „თფილისის [ხელზე] მოსამსახურეთა წარმომადგენელმა“, სიტყვა წარმოთქვა გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე, ზიზლით მოიხსენია გაზეთი „ივერია“ (კირვალიძე 1900: 62) და ამ ფაქტს მოჰყვა მწვავე პოლემიკა (გ. ლასხიშვილი, ნ. ყორღანია, ა. ახნაზაროვი...), მათ შორის, ი. ჭავჭავაძის პასუხიც: „საქართველოს ხალხს თავისი წარმომადგენელი ჰყოლია და იგი წარმომადგენელი ვიღაც კირვალიძეა თურმე... ეგრე იარეთ მცხეთამდე („კვალის“ რედაქციას მიმართავს – თ. ჯ.), ჩვენნო ბრძენ-ფილოსოფოსნო, და მცხეთას კი გაგივაკდებათ და მერე დაექანებით...“ და ა. შ. (ჭავჭავაძე 1900; საკითხის გარშემო იხ. აბაშიძე 1991: 38-39, 44-51).

ვ. კირვალიძე, როგორც მისივე ნაწერებიდან ჩანს, მშრომელი, მწიგნობრობის მოყვარული ადამიანი იყო და სამშობლოც გულწრფელად უყვარდა, მაგრამ ზერეულად გაგებულმა მარქსიზმმა გაიტაცა, ქართველი სოციალ-დემოკრატები ქვეყნისა და ხალხის მსხნელებად მიიჩნია და „მესამედასელთა“ მიერ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გაჩაღებულმა პოლიტიკურმა და მორალურმა ბაკქანალიამ ჩაითრია.

ვ. კირვალიძის მწერლობა-პუბლიცისტობა სათქმელადაც არა ღირს, თუმცა მან საინტერესო მოგონებები დატოვა ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე: დიმ. ყიფიანზე, ა. წერეთელზე, ი. მაჩაბელზე, ალ. ყაზბეგზე. მოგონება ივ. მა-

ჩაბელზე ავტორმა გამოაქვეყნა 1914 წელს (კირვალიძე 1914: 5-6), ალ. ყაზბეგზე – 1923 წელს (კირვალიძე 1923: 10-11), ხოლო მოგონება დიმ. ყიფიანზე გამოაქვეყნებულია ჩვენ მიერ (კირვალიძე 2007: 160-162). რაც შეეხება წინამდებარე მოგონებას აკაკიზე, იგი არასრულად (ბოლონაკლულად) დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ (კირვალიძე 1926) და ამის შემდეგ მისი განმეორებითი პუბლიკაცია ჩვენ არ შეგვხვედრია.

ყველა ზემოხსენებული მოგონება (ხელნაწერი) თავმოყრილია რვეულში, რომელიც დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (№13427-ბ, ფ. 45) და ახლავს გ. ლეონიძის „შენიშვნა“:

„ეს რვეული ჩვენი თხოვნით შეადგინა მოხუცმა სახალხო მწერალმა ვასილ კირვალიძემ. უკანასკნელად პაპიროსით ვაჭრობდა (პროფსაბჭოს წინ, რუსთაველის პრ.). 1933 წ. თებერვლის ბოლო რიცხვებში უცნობმა ბოროტგამზრახველებმა მოჰკლეს ღამე, თავის ბინაში (საბა-სულხანის ქ.) – დანით. 1933. მარტის 6. გ. ლეონიძე“.

იმავე რვეულში ვ. კირვალიძეს ჩაწერილი აქვს ი. ჭავჭავაძის მზარეულის ივ. დოკვაძის მოგონებები ილიაზე („რამოდენიმე ამბავი ილია ჭავჭავაძის ოჯახური ცხოვრებიდან. ყოფილი მზარეულის ივანე დოკვაძის ნაამბობი“). მართალია, აქ არ ჩანს თვითონ ჩამწერის დამოკიდებულება ი. ჭავჭავაძისადმი, მაგრამ ფაქტები ისეა შერჩეული, რომ მკაფიოდ იკვეთება ვ. კირვალიძის პოზიტიური დამოკიდებულება ილიას მიმართ.

მე შევუდექი დიდი მგოსნის მოგონების წერას. ვბედავ ამას ორი მოსაზრებით: ერთი იმითი, რომ არ მინდა სამარეში თან ჩავიტანო ყველა ის პირადი ნახული და ნასმენი, რაც კი ვიცი საყვარელი მგოსნის ცხოვრებიდან და, მეორე ის, რომ იქნება ქართველ მკვლევარს გამოადგეს რაიმეთ ჩემი ნაამბობი. შეიძლება ჩემი მოგონებით ვისმე რამე ვანყენინო, ამაზე წინდანი ბოდის ვიხდი. აგრეთვე დავამშვიდებ, რომ თვით ჩემ თავსაც არ დავინდობ რაიმე დანაშაულის გამოაშკარავებაში.

ჯერ კიდე პატარა ვიყავი, როცა აკაკის სახელი შევიყვარე, შევითვისე. იმხანათ, 1878 წ., მე ვკითხულობდი გაზეთ „დროებას“.¹ როგორც კი გაზეთს ჩავიგდებდი ხელში, მაშინავე ძებნას დავუწყებდი, იყო რამე თუ არა მოთავსებული აკაკისა. თუ მისი ლექსი ან „ცხელ-ცხელი ამბები“ იქნებოდა მოთავსებული, ეს გაზეთი საუნჯეთ მიმაჩნდა. მე ამ დღიდან აკაკის ნახვა მენატრებოდა. სიმართლე უნდა მოგახსენოთ, რომ ქართული მწერლობა შემაყვარა აკაკის და ალ. მოჩხუბარიძის (ყაზბეგი)² ნაწერებმა. ამათგან დავინწყე და აღარ დამრჩენია არც ერთი ქართველი მწერლის ნაწარმოები გადაუკითხავი.

ოთხმოციან წლებში სასტუმრო „ლონდონში“ ვმსახურობდი. ამავე წელს მე თვითონ დავინწყე ლექსების წერა. ხსენებულ წელს „სურამის ციხე“ უნდა დაედგათ ქართულ თეატრში.³ იმდენათ თეატრის ნახვა არ მაინტერესებდა, რამდენადაც აკაკისა.

მე გავეშურე თეატრში იმ იმედით, რომ ვნახავდი აკაკის. ქანდარის პირველ რიგში ვიჯექი. ჩემს გვერდში ისხდნენ სემინარიელები. ამათ დამანახვეს პარტერში თავისი გაჩეჩილი თმით აკაკი. წარმოდგენა თავდებოდა, მე მივატოვე და მალე დან დირს ჩამოვირბინე. აკაკი გამოვიდა. მე შორიასლოს გავყევი და მივაცილე ბინამდის. ეს იყო პირველი ჩემი ნახვა საყვარელი მგოსნის.

1886-87 წლებში თბილისის ხელზე მოსამსახურეთა შორის დაიწყო ჩუმი მოძრაობა. მართალია, კავშირები არ იყო და არც პოლიტიკურად იყვნენ მომზადებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩუმ კრებებს მაინც ვმართავდით. ჩვენი სურვილი იყო, დაგვეარსებია ურთიერთ შორის დამხმარე „საზოგადოება“.⁴ მიზანი მეტად კარგი იყო... ეს გაეგო აკაკის და დაგვიბარა რამდენიმე კაცი თავისთან. ძმები სოსიკო⁵ და ნოშრევან⁶ მერკვილაძეები, მართალია, ჩვენს პროფესიას არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ ისინი მუდამ ტრიალებდნენ ჩვენ შორის და მნიგნობრობას ავრცელებდნენ. რადგანაც სოსიკო დაახლოვებული იყო

აკაკისთან, წავიმძღვარეთ წინ და მივედით აკაკისთან სასტუმრო „პარიზის“ ნომრებში.

ჩვენი მისვლა ძალიან ესიამოვნა აკაკის. ყველას ხელი ჩამოგვართვა. მე მოვინდომე ხელზე კოცნა, მაგრამ მან არ დამანება. აკაკიმ გამოგვკითხა ვინაობა და ჩვენი მოძრაობის მიზეზები. ჩვენ ვუამბეთ ყოველივე. მეტად მოეწონა სურვილი და შეგვპირდა დახმარებას ამ საქმეში, მოგვცა შესაფერი დარიგება. აგრეთვე აკაკიმ იკისრა წესდების შედგენა... თავისი სისადავით და ტკბილი ოხუნჯობით მოგვხიბლა, შეგვაყვარა თავი. ეს იყო მეორე შეხვედრა, მაგრამ პირადი გაცნობა საყვარელი მგოსნის.

აკაკიმ წესდება შეგვიდგინა: ფართე შინაარსის მეტად ფანტაზიური. ის რომ განხორციელებულიყო, დღეს ვერც ერთ მამაკაცს ვერ ნახავდით ხელზე მოსამსახურეს. წესდება არ დაგვიმტკიცა მთავრობამ, რადგანაც ნებადაურთველ კრებებს ვმართავდით ხელზე მოსამსახურეთათვის წესდების გასაცნობათ. რამდენიმე კაცი ამის გამო ციხეშიაც ჩავგყარეს. მთავრობა ეძებდა დამწერს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას არ ვეცყოდით.

ამის შემდეგ კარგა ხანს აკაკი აღარ მინახავს. 1894 წელს სასახლის ქუჩაზე⁷ გრიგოლ დიასამიძემ⁸ მითხრა: „აკაკი გიბარებს და ნახეო“. ამ დროს აკაკი „გრანდ-ოტელში“ ცხოვრობდა. მეც მივედი მასთან. თავაზიანათ მიმიღო და მთხოვა დამეწერა რამე ხელზე მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. მე უკვე დაწერილი მქონდა ერთი დიდი ლექსი, რომელიც ძლიერ მოეწონა.

ამ დროს მე ვმსახურობდი მდიდარ არაფელოვის⁹ ოჯახში. მე ამ ოჯახში ცხრა წელიწადი ვიმსახურე და მეძლეოდა თვეში სამი თუმანი. ზაფხულში ბორჯომში წავედით. აქ მივიღე აკაკის მონერილობა. აკაკი მთხოვდა, შემოდგომაზე მასთან გადავსულიყავი, რადგანაც ის აპირებდა სტამბოლში წასვლას.¹⁰ მე მთხოვდა, გავყოლოდი თან. მეორეთ სიტყვიერად დაებარებია ნ. ნიკოლაძის დისათვის,¹¹ რომ უსათუოდ მენახა. მე პასუხი გავეცი და წერილით ვაცნობე ჩემი სურვილი.

1887 წელს გაზეთ „ივერიაში“¹² ფელეტონები იწერებოდა ვინმე ე. ვაშაკიძის¹³ (ვგონებ, ექიმის). ვაშაკიძე დაახლოებით ამ აზრს ატარებდა: აკაკი, როგორც მგოსანი, კარგია, ხოლო როგორც მოქალაქე – არაო. ამ სტრიქონებმა მეტათ დამალონა და ამიტომ უფრო მინდოდა აკაკისთან დაახლოება. ეს სურვილიც ამისრულდა. მიუხედავად ამისა, რომ არაფელოვთან სამი თუმანი მქონდა ჯამაგირი, აკაკისთან თვეში თუმნათ მივედი. ამ დროს აკაკი ცხოვრობდა ნიკო დიასამიძის¹⁴ ოჯახში.

დიასამიძის ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ჩემს სიცოცხლეში ბევრი ქართველის ოჯახი გავიცანი, მაგრამ ისეთი ქართული ოჯახი არ შემხვედრია, როგორც დიასამიძის ოჯახი იყო. ზოგიერთ გადაგვარებულებს არ მიაგავდა. აქ ყველაფერი ქართული იყო, მიუხედავად იმისა, რომ დიასამიძის მეუღლე ეროვნებით ქართველი არ ყოფილა.¹⁵ ამ ოჯახში აკაკის ყველა მოწინებით ევლებოდა თავს.

ერთხელ დიასამიძის ოჯახს შორიდან დიდი ხნის უნახავი სტუმრები ეწვიენ. სტუმრებმა სიხარულით ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი. დიასამიძემ სტუმრები დააჩუმა, რადგანაც აკაკი იწვა მახლობელ ოთახში. ერთი სიტყვით, ყველა სცდილობდა აკაკის სიამოვნებას. არათუ აკაკის, რადგან მე აკაკის ვახლდი, მეც პატივისცემით მეპყრობოდენ.

ზამთარში აკაკიმ გამგზავნა თავის სოფელ სხვიტორში. მან მითხრა: „მე მყავს იქ კანდელაკი,¹⁶ მყვანდენ სხვებიც, მაგრამ გაკეთების მაგიერათ ჩემი ცხოვრება გაანიავესო“. მე მივედი სხვიტორში. გადავეცი წერილი აკაკის დას, ანა როსტომის ასულს.¹⁷ წერილი გადაიკითხა და დამიწყო ცქერა:

- შენ სადაური ხარ?
- რაჭველი გახლავარ, ბატონო!
- რამდენი ხანია ჩემ ძმასთანა ხარ?
- სამი თვე, ბატონო!
- რას გაძლევს ჯამაგირს?
- ერთ თუმანს, ბატონო!

– ერთი თუმანი რას გაგიხდება, ბეჩა, ცხოვრებაში? კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენს ოჯახში, მაგრამ მიკვირს ჩემი ძმის საქციელი, ჯერ ერთი არ მოუშორებია და მეორეს მიგზავნის.

სხვიტორში აკაკის მალლა-გორაზე ორსართულიანი ქვის სახლი ჰქონდა, რომელიც ციხე-კოშკს წააგავს. აკაკის სახლს ამშვენებდა ეზო-გარემო. აქვე იყო აშენებული კარის ეკლესია. ერთი სიტყვით, ადგილმდებარეობა მოსაწონი და თვალწარმტაცი, მაგრამ მზრუნველის ხელი არ ეტყობოდა. ეზო-გარემოც დაპარტახებული იყო.

ამ ციხე-დარბაზში ზედა სართული თავისუფალი იყო. ერთ პატარა ოთახში ელაგა მრავალი წიგნები, არეულ-აფორიაქებული. ეს იყო აკაკის წიგნთსაცავი. სხვა ოთახებში ავეჯი ელაგა. მთელი ოთახები უყურადღებოთ იყო მიტოვებული და ყველაფერს დასდებოდა მტვერი. ქვედა სართულში ერთი დიდი ოთახი ეჭირა აკაკის დას, მეორე ოთახში საჭმელი მზადდებოდა, მესამე, დიდი დარბაზი, საესე იყო სხვადასხვა ბალახეულობით, რომელიც ხმებოდა წამლებისათვის (აკაკის დას მკურნალობა დედისაგან ჰქონდა შესწავლილი). გარდა იმისა, რომ ეს ქალი ექიმობაში ფულს იღებდა, ოჯახის მთელ შემოსავალსაც ის იყო დაპატრონებული. მიუხედავად იმისა, რომ ფეხი სტკიოდა და ძლივს დაიარებოდა, არსად არაფერი გამოეპარებოდა, მაგრამ რა დღეს რომ ათასი მანეთი ჰქონებოდა, ხვალ კაპეიკიც აღარ გააჩნდა, რადგანაც დღე და ღამე ნარდისა და კარტის თამაშში იყო გართული. ერთ ოთახში უსახლკარო გლეხი იყო მოთავსებული ცოლ-შვილით. ესენი იყვნენ ოჯახის მოსამსახურენი. ისე იყვნენ გაზარმაცებული ცოლიცა და ქმარიც, რომ, მიუხედავად იმისა, ახალგაზდები იყვნენ, ხელის განძრევა ეზარებოდათ.

კანდელაკს არ ესიამოვნა ჩემი მოსვლა, რადგანაც მისი ადგილი მე უნდა დამეჭირა. ჩვენ ერთათ მოგვიხდა ცხოვრება. ასე რომ, ერთსა და იმავე დროს ოთხს ალაგას გვენთო ცეცხლი და ერთი ღერი შეშის მარაგი კი არა ჰქონდათ. გლეხი ზარმაცობდა, კანდელაკი არა კადრულობდა და მე მიხდებოდა ტყიდან ნედლი შეშის ზურგით მოზიდვა.

კანდელაკი ახალგაზდა კაცი იყო, აზნაური და მასთან ლამაზი შეხედულების. ის გაცნობილი იყო წერეთლებში და, როცა კი ფულს მოიგებდა ხელში, ისიც ნარდისა და კარტის თამაშში იხრჩობოდა... ასე რომ, აკაკისათვის არაფერი არა კეთებოდა ამ სახლში. ესენი აკაკიდან ელოდებოდნენ ფულს და აკაკი კი ამათგან. მე გამეზავნა აკაკიმ მიტომ, რომ ცოტა რამე გამეყიდა და ცოტაოდენი ფული გამეგზავნა თბილისში. აკაკის მთელ ცხოვრებას დაპატრონებოდა მისი დაი და კანდელაკიც, როგორც ახალგაზდა, ჩაეთრია ადგილობრივ საზოგადოებას – ერთიცა და მეორეც უფრო ზრუნავდნენ კარტ-ნარდის თამაშობისათვის, ვიდრე გაჭირვებული მგოსნისათვის. მე დავაპირე სიმინდის გაყიდვა და ნება არ მომცა აკაკის დამ. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ნასვლას ვერა ვებდავდი და იქ დარჩენაც ზედმეტი იყო.

როგორც იქნა, გაჭირვებით გავატარე ზამთარი, გამოვნახე საშვალეობა, აკაკის შეძლებულ ნაყმევს გამოვართვი ფული, სამაგიეროთ მომავალი წლის ჭირნახულს აღარ გადაიხდიდა. წამოველი თბილისში. მივუტანე ფული აკაკის. ეს იყო და ეს. დავინყველე თავი, რომ ფეხი აღარ გამედგა საჩხერისაკენ. მიუხედავად ამისა, აკაკი ზაფხულში თვითან წავიდა და მეც თან წამიყვანა. აკაკი გვერდიდან არ მიშორებდა და ყველას აცნობდა ჩემ თავს, როგორც მის პირად მეგობარს და მუშა-მწერალს...

ჭიათურაში ეტლი დავიქირავეთ და საჩხერეში ბეჟან წერეთლისას¹⁸ მივედით. ბეჟან წერეთელს დაფუძნებული დოვლათიანი ოჯახი ჰქონდა. თუ სხვებს თავისი გაეფლანგათ, ამ კაცს ახალი ცხოვრება შაეძინა... ბეჟან წერეთლისას აკაკის მისვლა ძლიერ გაეხარდათ. მწვანით მოსილ დიდ ეზოში გამოეგებნენ. აქვე იყო მეტად თავაზიანი დიდი მოღვაწე ივანე მაჩაბელი.¹⁹ მე მას კარგათ ვიცნობდი და მეც თანაგრძნობით მომესალმა. იმ ღამეს წერეთლისას დავრჩით. მეორე დღეს გავედით სხვიტორში.

მთელი ზაფხული მოსვენება არა ჰქონდა აკაკის, არ აძლევდნენ საშვალეობას წერისას... სხვადასხვა მნახველებიც მოდიოდ-

ნენ. სხვათა შორის კიტა აბაშიძემაც²⁰ ინახულა. ამავე ზაფხულში გარდაიცვალა კუნტი გიგო წერეთელი.²¹ აკაკისა სთხოვეს – სიტყვა სთქვიო. აკაკიმ ცივი უარი შეუთვალა ჭირისუფლებს. აკაკი ამბობდა: „რა შემძლია ვსთქვა იმ კაცზე, რომელსაც ბევრი კარგის გაკეთება შეეძლო და ამის ნაცვლად ბევრი ცუდი მიუძღვის ცხოვრებაში“. რადგან არ ეშვებოდნენ, წინადადება მისცა, გაეღოთ რამე საქველმოქმედო მიზნით. ჭირისუფლებმა ასი თუმანი გამოიღეს. აქედან ოცი თუმანი ზეპირსიტყვაობის სასარგებლოთ გადაეცა. ყველას კარგათ მოეხსენება, თუ როგორი თავგამოდებით ცდილობდა ზეპირსიტყვაობის შეგროვებას აკაკი. ეზოში გამოასვენეს მიცვალებული. სიტყვა სთქვა აკაკიმ და მისი სიტყვა დაბოლოვდა ამ შესანიშნავ. ეს დაედვა სარჩულათ, თორემ სიტყვას არ იტყოდა... გიგო კუნტის გასვენება და ტირილი სწორეთ რომ მეფური გასვენება იყო. ვინ იცის, რამდენი ასი თუმანი არ დაიხარჯა. კიდე კარგი, რომ მგოსანმა ასი თუმანი მაინც გამოაღებინა საქველმოქმედო მიზნისათვის.

როგორც იქნა, ზაფხული გავატარეთ. დადგა შემოდგომა. ბავშვები ემზადებოდნენ სკოლებში წასასვლელად. ერთ დღეს ვინღაც დედაკაცი მოვიდა პატარა ბავშვით აკაკის სანახავათ. მგოსანი შეუძლოთ იყო და დედაკაცს უარი ვუთხარი. მან მართო წუნწინი და მემუდარებოდა, მაჩვენეო. ეს გაიგონა აკაკიმ და დამიძახა და მკითხა – ვინ არისო. მე მოვახსენე. მითხრა – „დაუძახეო“. დედაკაცი შევიყვანე:

– ვინა ხარ, დაო, ან რა გაგჭირვებიაო? – ჰკითხა აკაკიმ.

– მე სომეხი გახლავართ, ქვრივ-ოხერი. ბავში მრჩება უსწავლელი. მივიყვანე კლასში, მაგრამ ყარამან ჩხეიძემ²² არ მიიღო, უარი მითხრაო.

– ნუ ტირი, დაო. ახლავე წერილს მივწერ ყარამანს და ჩემს თხოვნას არ გატეხავსო.

ბავშვი მოიხმო აკაკიმ, თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

– ბიჭიკო, გინდა სწავლა?

ბავშვმა სხარტათ მიუგო – კი მინდაო.

– ძალიან გულით გინდა?

– ძალიან.

აკაკიმ უკანასკნელი ფული ორი აბაზი აჩუქა შემდეგი სიტყვებით:

– აი გროში. იყიდე დედაენა და ჩემიდან დაიწყე სწავლაო.

მე წერილი დამანერინა და მე თვითან გამგზავნა მასწავლებელ ყარამან ჩხეიძესთან. ჩხეიძემ წერილი წაიკითხა და შენუხდა. დედაკაცს შენიშვნა მისცა: „რათ შეანუხეო“. აკაკის შემოუთვალა ჩემი პირით: „ვეცდები, თქვენი თხოვნა შევასრულოვო“. ერთი კვირის შემდეგ სომხის დედაკაცი მოვიდა სხვიტორში, თან მოიტანა ძღვენი, მადლობა გადაუხადა აკაკის. დედაკაცმა მოიყვანა კარგი მოზდილი დედალი, ჩურჩხელები და სხვა... აკაკი შენუხდა და მითხრა მე – მხოლოდ ჩურჩხელები აიღე შენთვის, დანარჩენი უკან წაიღოს, თვითან მოიხმაროს, წიგნები უყიდოს პატარა ბიჭსაო.

სხვიტორში, როცა თავისუფალი ვიყავით, შევუდგებოდით წერას. აკაკის ამ დროს დანყებული ჰქონდა „ბაში-აჩუკი“, „მე-დია“ და „პატარა-კახი“. ესენი აკაკის კარნახით ჩემი დანერილია... რაც საქართველოში ვერ მოვასწარი, რუსეთში განვაგრძეთ წერა. უნდა ითქვას, რომ აკაკის წერის პირობები არსად არა ჰქონდა კარგი. ერთადერთი სასტუმრო იყო, მაგრამ აქაც ან მნახველები არ ასვენებდენ, ან რომელიმე ოჯახში სადილათ უძახოდნენ. რომ არ წასულიყო, არ იქნებოდა, რადგანაც მატერიალური მდგომარეობა ნებას არ აძლევდა სასტუმროში პური ეჭამა.

ღვინობისთვის გასულს თბილისში ჩამოვედით და შევუდექით სამზადისს რუსეთში წასასვლელად. აკაკიმ იყიდა კარგი ფარდაგი, აგრეთვე ორი პატარა კასრებით თეთრი და წითელი ღვინო. მე მაყიდვინა ღომი, ბროწეული და სხვა. ესენი ყველა საჩუქრათ მიჰქონდა ცოლ-შვილთან. ყველას გამოემშვიდობა და ქრისტეშობისთვის გასულს საქართველოს სამხედრო გზით წავედით.

კავკაზში ჩვენ მივედით ალექსი ჭიჭინაძის²³ ოჯახში. ამ ოჯახში დიდი სიყვარულით მიიღეს აკაკი. ჩვენ დავრჩით ერთი დღე და ღამე. გულუხვმა მასპინძელმა კარგი პატივი გვცა. მეორე დღეს ავიღეთ სამგზავრო ბილეთები და გავუდექით გზას. მიუხედავად იმისა, რომ მე მესამე კლასის ბილეთი მქონდა, აკაკი არ მიშორებდა და ხშირათ პირველი კლასის ვაგონში ვიყავი მასთან. მგზავრებში ყველაზე უფრო დაუახლოვდა ერთი პოლონელი ლენერალი²⁴ და მასთან საუბრობდა მეტი წილი.

სამკურნალო წყლების სადგურზე რომ მივედით, მე ძირს ჩამოვედი და ბუფეტში შევედი. ერთი ნაცნობი ვნახე. მისალმების შემდეგ მე ვუთხარი, აკაკის მივყვები ხარკოვში-თქვა. ამ კაცმა ხელად დაურბინა და ყველას გააგებინა, რომ აკაკი იმყოფება პირველი კლასის ვაგონშიო. ბუფეტში ყველანი ქართველები იყვნენ. შეიქნა ერთი ჩოჩქოლი და სიხარული. ყველას უნდოდა, თავისი თვლით ენახა საყვარელი მგოსანი. თვით ბუფეტის პატრონი სამი კაცით შევიდა ვაგონში. ყველა სიყვარულით მიესალმა აკაკის და უსურვა მშვიდობით მგზავრობა. ის იყო, ვაგონი უნდა დაძრულიყო, რომ ბუფეტის მსახურმა კ. მეტრეველმა²⁵ შემოიტანა ყვავილებით მორთული ხონჩა („პოდნოსი“), სავსე სხვადასხვა სანოვაგეთი და შამპანურით და კახური ღვინით. ქართველები გარეთ ჯგუფათ იდგნენ. აკაკიმ ძლივს მოასწრო ფანჯარიდან სალამის მიცემა, რომ მატარებელი დაიძრა. აკაკიმ მოინდომა ფულის გადახდა. მსახური არ ღებულობს და აცხადებს: „მეორე სადგურამდი უნდა გიახლოთო“. ყველას უკვირს ეს ამბავი. განსაკუთრებით განცვიფრებულია პოლონელი ლენერალი. მეორე სადგურში მივედით. აკაკიმ მოისურვა მეტრეველის დასაჩუქრება, მაგრამ ის არ ღებულობს. აკაკიმ გადაკოცნა ბუფეტის მსახური და უთხრა: „გადაეცი ჩემი უღრმესი მადლობა როგორც ბუფეტის პატრონს, ისე მთელ ქართველობასო...“.

აკაკიმ მიიწვია ლენერალი და შევუდექით პურის ჭამას. ლენერალმა პირველი ჭიქით ადღეგრძელა მგოსანი, აგრეთვე

საქართველო და ქართველი ერი. მახსოვს ლენერლის სიტყვები: „მე ვიცნობ საქართველოს და ქართველ ხალხს. როგორც ქართველები, ასეთი ხალხი ჩემს სიცოცხლეში მე არ შემხვედრია არსად და ასეთი ხალხი იცოცხლებს და არც მოკვდება არასოდესო. პატივცემულო მგოსანო! თქვენ ბედნიერი ხართ, რადგანაც დაგიმსახურებიათ თქვენი ერის სიყვარულიო“.

ოცდათერთმეტ დეკემბერს* 1895 წ. ჩავედით ხარკოვში. სადგურზე შეგვხვდა აკაკის ვაჟი ალექსი²⁶ და ქართველი სტუდენტები. აკაკის მეუღლე²⁷ თავისი დით (ერისთავის მეუღლე²⁸). შვილებით ყველანი ერთად სცხოვრობდენ სუმსკის ქუჩაზე, პროფესორ გორშმანის²⁹ სახლებში. აკაკის მისვლა ძლიერ გაეხარდათ, ნამეტნავად ერისთავის ბავშვებს. მე რომ გავეცანი იმათ ცხოვრებას, თვალწინ წარმომიდგა ძველი, ფეოდალური ოჯახი. იმდენი ხალხი იყვნენ დაბუდებული იმათ ოჯახში, იკითხავს ცნობისმოყვარე მკითხველი – რათი, რა საშვალეებითო? იმ დროს აკაკის მეუღლეს და მის დას მამის ქონებიდან თითოეულს ეძლეოდა პენსია ოცდახუთი თუმანი თვეში. ალექსი აკაკის ძე ხარკოვის დრამატიული თეატრის გამგე-დირექტორი იყო.

პირველად რომ თეატრში წავედით, თეატრი სავსე იყო მაცურებლებით. ვილაცამ სცენიდან განაცხადა: „დღეს აქ თეატრში ბრძანდება ქართველების პუშკინი, თავადი აკაკი წერეთელი, მამა თეატრის დირექტორისაო“ და მიუთითა ლოჟაში. საზოგადოებამ პატივი სცა აკაკის და აკაკიმაც მადლობა მოიხადა.

ხარკოვში მოდიოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები. გავიგეთ, რომ მწერალი ველიჩკო³⁰ ჩამოვიდა საქართველოში. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ზეიმი გაუმართა ველიჩკოს. სიტყვა უთხრა ნინო ყიფიანმა,³¹ დიმიტრი ყიფიანის³² რძალმა. ქართველი ქალის სიტყვამ მოხიბლა ველიჩკო. როდესაც მე წავუკითხე ეს

* დედანში ლაფსუს კალამია: „*ოცდათექვსმეტ დეკემბერს*“; პირველ პუბლიკაციაში ასეა: „*ოცდათერთმეტ დეკემბერს*“ (კირვალძე 1926). უნდა იყოს: „*23 დეკემბერს*“ (კვალი 1896: 112).

შეხვედრა [აკაკის], მან ხელი ჩაიქნია და სთქვა: „ყველა ჩვენ გვზიბლავს, ყველა ჩვენ გვატყუებს – ეს კაცი საკეთილთ არ ჩამოსულა ჩვენში“. რამდენიმე ხნის შემდეგ ველიჩკო ჩამოვიდა ხარკოვში, აკაკი ინახულა. ალექსი აკაკის ძემ სადილათ მოიწვია ველიჩკო. ველიჩკო აქებდა საქართველოს და ქართველებს და აძაგებდა სომხებს... ველიჩკო რომ წავიდა, აკაკიმ კიდევ სთქვა: „მე ხომ ვსთქვი, არ არის კაი კაცი ველიჩკო. მაგას უნდა ჩვენ და სომხები გადაგვკიდოს ერთმანეთსაო“. გადაკიდებისა რა მოგახსენოთ... ველიჩკო რომ მთავრობის აგენტი იყო და ეროვნებათა შორის შუღლის ჩამომგდები, ეს კი დამტკიცდა მისი მოქმედებით.

ერთხელ ჩვეულებრივ წერას შევუდექით. აკაკიმ მითხრა:

– კაცო, შენ ჩემს ნაწერებს წუნობ, ყველას აფურთხებ და რაღა გულით განწერინოვო?

მე გამიკვირდა. გაოცებული ყურება დავუწყე და მოვახსენე:

– ბატონო, მე როგორ შემიძლია თქვენი ნაწერების დაწუნება ან დაფურთხებას რად შეგკადრებთ-თქვა.

მოვიდა და მაჩვენა ის ადგილი, სადაც სიტყვების ბოლოში, რომლებიც „ბ“[-თი] უნდა დასრულებულიყო, მე სულ „ფ“ და „ფ“-ს ვწერდი. ამ შენიშვნის მერე აღარ მომსვლია შეცდომა.

აკაკის კარნახით მე ვწერდი კიბა აბაშიძის საპასუხო წერილს: „აღუ-ღუ“.³³ ამ დროს შემოვიდა აკაკის მეუღლე, მაგიდიდან წამართვა ნახევრათ დაწერილი ქაღალდი, დახია და გადაყარა. ფრანგულათ რაღაცა სთქვა და გავიდა მეორე ოთახში. მე ავღელდი, ჯავრი მომივიდა და აკაკი კი თავისებურათ იღიმებოდა. მომიკიდა ხელი, სარკის წინ მიმიყვანა და მითხრა – ჩაიხედე სარკეში, ჩაიხედე, რასა გეცხარო. ჩემო რაჭველო, შენშიაც მოვტყუვდი... მე არ მომდის ჯავრი და შენ რა გაჯავრებსო.

მე ვკითხე აკაკის – ფრანგულათ რა თქვა-მეთქი. მიპასუხა: „ჩემთან წამოდი ოთახში და გემუსაიფებო“. მე უნებლიეთ წამოვისროლე ასეთი ფრაზა: „ესეც მეორე ქეთევანი-მეთქი“. აკა-

კიმ გადიხარხარა: „ვინ ქეთევანი? „სამშობლოს“³⁴ გმირი ქალი, სვიმონს რომ ეუბნება: „მე ქალი ვარ და სიყვარული მინდა-აო?“. აკაკიმ ამაზე ბევრი იცინა. მე მითხრა: „ახლა შევისვენოთ და ხვალ განვაგრძოთ წერაო“. მეორე დღეს დავწერეთ ცნობილი კიტას საპასუხო წერილი, რომელიც „კვალში“ იყო მოთავსებული.

სამ იანვარს ხარკოვის ქართველებმა ვახშამი გაუმართეს აკაკის.³⁵ სანამ სუფრაზე დასხდებოდნენ, სტუდენტებმა აკაკი შუაში ჩაისვეს, გარშემო შამოუსხდნენ და სხვადასხვა შეკითხვებით აღარ ასვენებდნენ. ყველას პასუხს აძლევდა თავისებური ოხუნჯობით. ყველას უხაროდა აკაკისთან საუბარი. სხვათა შორის, აკაკიმა სთქვა: „თავად მეშერსკიმ³⁶ თავის გაზეთში საქართველოს შესახებ ყალბი ინფორმაცია მოათავსაო. მე მივედი მასთან და მოგვიხდა ცხარე კამათიო“. სტუდენტმა ჭიჭინაძემ³⁷ შენიშნა: „ძალიან გადარჩენილხარო“. „მე კი გადურჩი, მარა შენ რომ ყოფილიყავ, ველარ გადურჩებოდიო“ – უპასუხა აკაკიმ. ამ პასუხზე ბევრი იცინეს ახალგაზდებმა.

ვახშამზე სამი ქართველი მანდილოსანი იყო. მრავალი სიტყვა წარმოითქვა. ერთმა მანდილოსანმა, ჯაფარიძისამ, მშვენიერი სიტყვა უთხრა აკაკის.³⁸ ამ მხიარულებით და ზეიმით მეც გავთამამდი და სიტყვა და ლექსი ვუთხარი მასპინძელ ქართველობას. აკაკიმ მომაცხა: „შენ ყველას გვაჯობეო“.

აკაკიმ დაიპატიჟა რამდენიმე ახალგაზდობა, მზარეულ ქალს შეუკვეთა ღომი და საცივის დამზადება, მაგრამ აკაკი მოულოდნელათ ავათ გახდა, ხველებასთან სისხლი ამოუვიდა გულიდან. ამან ყველა შეგვაშინა და დაგვალონა. მოვიწვიეთ ექიმები. ექიმებმა გასინჯეს მგოსანი. აუკრძალეს მნახველები და ლაპარაკი. აკაკის ავანტიურობამ საერთო მწუხარება ჩამოაგდო ოჯახში. ჩემს მწუხარებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. მე ვუვლიდი თავდადებით დღე და ღამე, რადგან არავის არ ვენდობოდი. აკაკიც არ მიშორებდა ერთი წუთით. ორი კვირე მძიმე ავად იყო, მერე მოიკეთა, მაგრამ ფეხზე მაინც ვერ დადგა. როცა კარგათ შეიქნა, შევუდექით წერას.

გიორგი წერეთელი³⁹ ჩამოვიდა ხარკოვში და ინახულა აკაკი, მაგრამ სამწუხარო ამბავიც მოგვიტანა – გაბრიელ ეპისკოპოსი⁴⁰ გარდაიცვალაო.

აკაკის მეუღლეს ჩვეულებათა ჰქონდა – სამ ფინჯან ჩაის რომ დალევდა, სამიც დაშაქრული ცივი წყლის მაგივრათ ჰქონდა. ერთხელ ჩვეულებრივათ თეატრში წავიდნენ. ჩვენ, მოსამსახურეები, სახლში დავრჩით. მე ძილი ვარჩიე მოსამსახურეებთან ლაპარაკს, მით უფრო, რომ თეატრიდან მოსვლა უნდა გამეგო, რომ აკაკისათვის ტანთ და ფეხთ გამეხადნა.

თეატრიდან რომ დაბრუნდნენ, პირველათ იმ ოთახში შევიდნენ, სადაც ცივი ჩაი ეგულეობდათ. აკაკის მეუღლემ ფინჯანი აიღო ხელში და იმწამსვე დადგა მაგიდაზე. ჩაის რალაც შენიშნა თავზე (საზოგადოთ გაცივებულმა ჩაიმ იცის თავზე წინწკლების მოდება). ქალმა დაიჟინა: „ჩაი მოწამლულიაო“. აკაკი ეკითხება: „ვინ მოწამლავდაო?“. ის უპასუხებს: „შენი ბიჭიო“. აკაკის ძლიერ ეწყინა ასეთი პასუხი. შეიქნა ჯინჯგალი და ხმამაღლა ლაპარაკი. რუსულიდან ფრანგულზე გადავიდნენ. მე კარიდორის კარებთან ვიდექი და ყოველივე მეყურებოდა. დავრწმუნდი, რომ იერიში ჩემზე იყო მოტანილი. აკაკი ეფიცებოდა ჩემს პატიოსნებაზე, რომ მე საიმედო კაცი ვიყავი. გაანჩხლებულს და ეჭვიან ქალს ვერაფერი არწმუნებდა. მეორე დღეს მოსამსახურე ქალს გადაედვარა ჩაი... აკაკის მეუღლეს სდომებოდა ჩაის ლაბორატორიაში გაგზავნა. ჩაის გადაქცევამ უფრო გაართულა საქმე და ქალი მეორე დღესაც არ ისვენებდა. მე ველარ ავიტანე ასეთი დამცირება და ბრალდება. გიჟივით ქუჩაში გამოვვარდი. მთელი დღე სამკითხველოში ვიყავი. აკაკი მეტათ შეწუხებულიყო ჩემს გამო. საძებრათ გამოეგზავნა მსახურები. მე მოვერიდე მეტ ბრალდებას, თორემ საქართველოში წამოვიდოდი. საღამო ჟამს მოვედი სახლში. აკაკიმ მომცა შესაფერი დარიგება და მანუგეშა მითი, რომ მალე წავალთ აქედანაო.

მარტის პირველ რიცხვებშივე გავხდი ძლიერ ავად. შემეშინდა იქ სიკვდილის და ვთხოვე აკაკის, გამოვეგზავნე კავკავამდი, რადგანაც იქ მეგულეობდა მახლობელი ნათესავი. შემეშინდა

მისთვის, რომ საბრალო დედაჩემს თორმეტ შვილში ორიღა ვყავდით ცოცხალი. აკაკიმ ჩემი თხოვნა არ შეასრულა, მიტომ, რომ მძიმე ავად ვიყავი და ჩემი მგზავრობა არ შეიძლებოდა. მარტის ბოლო რიცხვებში ქუთათური ებრაელები მოდიოდენ და, რადგანაც უკეთ შევიქენი, ამათ ჩააბარა ჩემი თავი და გამომგზავნა საქართველოში. მაღლიანმა ებრაელებმა ისე მომიარეს, რომ გზაში არაფერი გაჭირვება მიგრძენია. ნოვიროსეისკიდან დეპეშით აცნობეს აკაკის ჩემი უკეთ ყოფნა. ქუთაისში ბიძაშვილებთან ვინექი, სადაც დედაც ჩამომივიდა. აკაკის წერილი მივწერე და ვთხოვდი, რომ უფრო საიმედო ოთახში მოთავსებულყო, რადგანაც მის სანოლ ოთახს დასაკეტი კარი არა ჰქონდა. ყველა ამის შემდეგ აკაკიც მალე დაბრუნდა სამშობლოში.

მე ჩემი წამოსვლით დიდ დანაშაულს ვგრძნობ. იქვე რომ მომკვდარიყავი სჯობდა, თავი კი არ უნდა დამენებებია აკაკისათვის. მაგრამ ჩვენში ვიტყვით ხოლმე: „სული ტკბილიაო“ და ჩემზედაც გამართლდა ეს თქმულება. უნდა მოგახსენოთ, რომ სტამბოლში წასვლის მაგიერათ, ორივემ უსიამოვნება ვიგემეთ ხარკოვში.

მე და აკაკი ხშირათ ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის ბედზე... წარსულში ქართველებს ქებით იხსენიებდა, აწმყოთი არ იყო კმაყოფილი და მომავალს იმედით შეჰყურებდა. მოწინებით იხსენიებდა დიმიტრი ყიფიანს, ქებას ასხამდა მოხუცის გამბედაობას და თავის დადებას... იტყოდა ხოლმე: „ყოველ ათ წელიწადში თითო ასეთი მსხვერპლი უნდა შეინიროს სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოთაო“.⁴¹

ერთხელ გავბედე და მოვახსენე: – ბატონო, თქვენ სოციალისტი არა ბრძანდებით და სოციალისტები კი მოგწონს-მეთქი. მიპასუხა: „ჩემო რაჭველო, ჯერ შენ არ იცი ამ ჩვენი დროის ამოცანები. მე მომწონს მაგათი გულწრფელი მოღვაწეობა, გამბედაობა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა... ეგენი ნიკოლოზის⁴² მთავრობას ძირს უთხრიან და, თუ ოდესმე დაემხო მეფის ტახტი, მაშინ იმედს ვისახავ ჩვენი ქვეყნის ხსნისა

და აყვავებისასაო“. აკაკი აგრეთვე ქებით იხსენიებდა გოგებაშვილს⁴³ და ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.⁴⁴ იტყოდა: „ესენი ბურჯნი არიან ჩვენი ქვეყნისაო“.

1902 წელს მე ჩავვარდი ოჯახურ გაჭირვებაში, მით უფრო, რომ ერთის მხრით „ხაზინები“ აღარა მღებულობდნენ სამსახურში (უფრო კი – სასტუმროებში), მეორე მხრით, მთავრობა მდევნიდა, როგორც მოსამსახურეებში „ბუნტოვშიკს“. ამ გაჭირვების დროს მგოსანმა დახმარების ხელი გამომიწოდა. ის დამეხმარა როგორც სულიერად, ისე მატერიალურად. მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ხელმოკლეობას განიცდიდა.

ორი წლის უსაქმოდ ხეტიალის დროს ხშირათ ვიყავი მასთან. – ცხრაასის წლის „ივერიაში“ „ახალმოსულის“ საპასუხო წერილის გამო⁴⁵ აკაკიმ მისაყვედურა: „შენ თავხედური პასუხი გაეცი ილია ჭავჭავაძესაო“. მე მოვახსენე: „ბატონო, ილია ჭავჭავაძე და მისი გაზეთი უდიერათ მოექცა მშრომელ ხალხს: ჩემს გამო მოხდა მთელი ალიაქოთი და ხალხისა და ჩემი დამცირება ველარ ავიტანე-თქო“. „კი მარა, ყველას ხელწამოსაკრავი არ არის ილია ჭავჭავაძე. ის ჩვენს ცხოვრებაში სულ სხვა კაციაო“.

ცხრაას ოთხში ჩემი პატარა პოემა-ნიგნაკი „გამწარებული მოხუცი“ მიუზტანე აკაკის. მე იქვე ვიყავი, რომ გადაიკითხა. შევატყვე, რომ მოეწონა. მე მაინც მითხრა: „ჩვენ უნდა ვეცადოთ, გზა და ხიდი გავდვათ წოდებათა შორის. შენი ნიგნაკი კი მძულვარებას გამოიწვევსო“. მე მოვახსენე: „ჩვენ გვინდა სარკეში ჩავახედოთ თავად-აზნაურები და დავანახოთ თავისი წარსული მოქმედებანი, რომ მომავალში აღარ გაბედონ და მოინანიონ-მეთქი“. აკაკიმ გაიღიმა და თქვა: „ვაი თავად-აზნაურების ბრალიო“.

1908 წ. ქუთაისში აკაკი წერეთელს გაუმართეს იუბილეი.⁴⁶ მიუხედავად სუსხიანი ამინდისა (ზამთარი იყო) და გლახა გუბებისა, რაჭიდან ჩამოვედი და მეც მივულოცე. გლეხობის დავალებით სიტყვა და ლექსი ვუთხარი, რომელიც „სავაჭრო გაზეთში“⁴⁷ იყო მოთავსებული და ამის შემდეგ აღარ მინახავს.

აკაკი ხშირად საუბრობდა ჩემთან გლეხების შესახებ და მის საუბარში მე ვამჩნევდი, რომ გლეხოზა მას უყვარდა. სწუხდა იმაზე, რომ გლეხოზა ჩამორჩენილი იყო სწავლას. აკაკის რომ აქამდე ეცოცხლნა, მე დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი იქნებოდა, რადგანაც ეხლა სოფელში სწავლა-ცოდნა შესამჩნევად გავრცელდა, სახელმწიფოს მიერ ზომებია მიღებული, რომ ყველამ იცოდეს წერა-კითხვა.

ერთხელ სხვიტორში აკაკისთან მოვიდნენ მოხუცი გლეხები. მათ რაღაც საერთო საქმე ჰქონდათ. გლეხები შევიყვანე აკაკისთან. თავაზიანად მიიღო. ყველას ხელი ჩამოართვა. ერთმა გლეხმა ხელის მიცემა ვერ გაბედა. აკაკიმ გაიღიმა და უთხრა: „შე კაცო, ნუ გეშინია, მგონი, არა მჭირსო“. გლეხმა ერთობ უხერხულად იგრძნო თავი. აკაკიმ განაგრძო: „დასდევით პატივი თქვენს თავს. თქვენ პატივისცემის ღირსნი ხართ, რადგან როგორც თქვენ, ისე მთელი მშრომელი ხალხი თავისი მარჯვენით ასაზრდოებს კაცობრიობასო“. აკაკიმ მოსულებს [მიმართა]: „ეხლა მიბრძანეთ, რით შემიძლია გემსახუროთო?“. გლეხები სდუმან, ხან მე შემომხედავენ და ხან აკაკის. „ნურაფრის გერიდებათ, თქვით და მე მოგისმენთო“. გლეხებმა მოითხოვეს ჩემი გარედ გასვლა. აკაკიმ იოხუნჯა: „ჩემი მოკვლა თუ გინდათ, სულ ერთია, მაგას მაინც ვერ გადურჩებით და მაგასთან დასაფარი არაფერი მაქვსო“. გამოვედი გარედ. რამოდენიმე წუთის შემდეგ დამიძახა აკაკიმ. როცა შევედი, სიცილით მომმართა:

– ამ კაცებმა შეურაცხყოფა მომაყენეს და შენ რას იტყვიო.

– მე რა უნდა მოგახსენოთ, თქვენ უკეთ იცით. როგორც სტუმრებს, ვაპატიოთ-მეთქი.

გამოირკვა, რომ გლეხებმა ფული შეაძლიეს და რაღაც საქმე დაავალეს. აკაკიმ მათგან ფული არ აიღო და საქმე კი გაუკეთა.

ერთ მახლობელ სოფელში ორი ძმა გაყრილიყო. ერთმანეთის ჯიბრზე მოხუცი დედა არც ერთს მიეღო, არც მეორეს.

საბრალო მოხუცს მადლიანი მეზობლები აჭმევდნენ ლუკმას, მაგრამ როდემდე? იმედდაკარგული მოხუცი შვილების მახლობლად (შუა შარაზე) იჯდა და მოსთქვამდა თავის ბედს. აკაკის ვუამზე მოხუცის უმწეო მდგომარეობა. ძლიერ შეწუხდა და გამგზავნა მოსაყვანად. როცა სახლში მოვიყვანე, აკაკიმ გამოკითხა დაწვრილებით ვითარება და იმედი მისცა, ანუგეშა. მეც ცოტა გროში მივეცი. პური ვაჭამეთ და, რადგანაც დარჩენა არ ისურვა, უკან წავიყვანე, მეზობლისას შეაფარა თავი. აკაკიმ ამ მოხუცის შვილები დაიბარა და ესენიც მოვიდნენ. მათ უსაყვედურა დედისადმი ასეთი მხეცური მოქმედება და შესაფერი დარიგება მისცა, მაგრამ ერთი მათგანი, რომელიც ავაზაკს უფრო მოაგავდა, ვიდრე ადამიანს, ჯიუტობდა და აკაკის რჩევა-დარიგებას არ ისმენდა, არ იკარებდა. აკაკი გაუჯავრდა, დაჭერით დაემუქრა... ეს რომ შენიშნა, მეორე ძმამ უთხრა აკაკის: „პირობას დავსდებ თქვენს წინაშე, სანამ დედაჩემი ცოცხალი იქნება, პატივით შევინახავო, მიუხედავად იმისა, ჩემი ძმა მომცემს რამეს თუ არაო“. აკაკიმ მრისხანედ მიუგო: „თვალეები უნდა დაითხაროს და უნდა მოგცეს ხვედრი საზრდო, რადგანაც შეძლება ხელს უწყობსო. არ მოგცემს და ციხე და მისი ჯანი“. ამ სიტყვით გაისტუმრა გლეხები. ასეთი გაჯავრებული არასოდეს არ მინახავს აკაკი. ჩემ გულში მისადმი სიყვარული გაასკეცდა, რადგანაც დაჩაგრულ მოხუცს ასე გულწრფელად გამოესარჩლა. მართლაც უნდა მოგახსენოთ, რომ აკაკიმ გულის მოსვლა, გაჯავრება არ იცოდა. მე კიდევაც გამიკვირდა მისი ასეთი საქციელი, მაგრამ გასაკვირალი არ იყო – ასე რომ არ მოქცეულიყო, არაფერი არ გაკეთდებოდა და მოხუციც ისევე უმწეო მდგომარეობაში დარჩებოდა.

1902 წლის დასაწყისში ბანკის ბაღში ვმსახურობდი ცნობილ გიორგი სხირტლაძესთან.⁴⁸ უფლებისათვის ბრძოლის სურვილი მე გავალღივე მრავალრიცხოვან მოსამსახურეებში. ისეთი შეუბრალებელი და ექსპლოატატორი არავინ არ იყო თბილისში, როგორც იყო სხირტლაძე. ერთხელ შეამჩნია, ვილაცას ვაზზე

ორი კუფხალი ყურძენი მოენყვიტა. დაბრალდა პატარა ბიჭებს და ჯამაგირმიუცემლად ორივე დაითხოვა. ასე რომ, ხუთ-ხუთი თვის ოცდახუთი მანეთი დაიკავა. მომხდარი ამბავი გაზეთში მოვათავსე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გვარი არ ეწერა, მე მაინც დამითხოვა – იმან იცოდა, რომ მე იმ დროს გაზეთებში ვწერდი, როგორც ახლა იტყვიან, მუშკორი⁴⁹ ვიყავი. დათხოვნას ვინ სჩივის, დამაბეზლა კიდევაც და, უამისოდაც შემჩნეული, ეხლა დევნილი შევიქენი. სახლში უსიამოვნებამ, გარედ მუდამ შიშმა კინალამ სულიერად დამცა. შეგნებული ამხანაგები მანუგეშებდნენ, მაგრამ მე მაინც დიდ გაჭირვებას განვიცდიდი. სწორედ ამ დროს ჩემს მფარველად და იმედად შეიქნა აკაკი. ის მანუგეშებდა და ნივთიერადაც მეხმარებოდა.

აკაკი ცხოვრობდა სასახლის ქუჩაზე – „პალე-როიალში“. დღისით ხშირად მასთან ვიყავი. ერთხელ სხვაგან წავიდა და ოთხი დღე არ დაბრუნებულა. ნომრის გასაღები ჩემთან იყო და ყოველდღე ნომერში მივდიოდი. ამ დროს ნომერში თარხნიშვილის ასული⁵⁰ მოვიდა. რადგანაც აკაკი არ დაუხვდა, აკაკიზე გადასაცემად მე გადმომცა ოცი მანეთი, მაგრამ ეს ფული მე შემომეხარჯა და ამით მეორე დანაშაული ჩავიდიხე აკაკის წინაშე, რომლის გამართლებაც არ შეიძლება. მონივნებით მოვახსენე აკაკის ეს ჩემი დანაშაული. მან მითხრა: „თუ აუცილებელ საჭიროებისათვის მოიხმარე – გეპატიება, და თუ რამ უბრალოზე დახარჯე, ამისი პატიება არ შემიძლია“. ასეთი ლმობიერი და ღვთიური ადამიანი იყო აკაკი.

ერთხელ შევურჩიე დრო, კარგ ხასიათზე იყო აკაკი. შევეკითხე მე:

– ბატონო, თქვენ, როგორც პატრიოტმა და სახელოვანმა მგოსანმა, როგორ მოხდა, რომ შეირთეთ რუსის ქალი-მეთქი?

– ჩემო რაჭველო, მაგაზე რომ კითხვა არ დაგესვა, ჯობდა... მაგრამ რადგანაც მკითხე, უნდა გიპასუხო: სიყვარულთან ერთად სწორედ მაგ პატრიოტობამ და სამშობლოს სიყვარულმა შემართვევინა მდიდარი რუსის ქალი. მე მინდოდა, რომ იმ ფულებით,

რომელიც მე მომცეს, ჩვენში დამენყო ისეთი საქმე, სადაც რამოდენიმე ასი კაცი იმუშავებდა. დავინყე კიდევაც, მაგრამ ნახევარი მილიონი ჩავტოვე. შენ ხომ იცი ჭიათურის შავი ქვა. აქ, ამ უღრან ადგილას, პირველად მე დავინყე შავი ქვის ამოღება და წინად „შავ-ქვაში“ წასვლა თუ წყევლა იყო, ეხლა სასარგებლო გავხადე. იმ დროს ჩემთან ყოფილი ნალბანდი დღეს უზომო მდიდარია. მე კი სიმდიდრეთ ის მიმაჩნია, რომ ჩემგან დაწყებულ საქმეში ათი ათასი მუშახელი ტრიალებს და ჭიათურის ცხოვრება სდულს და გადმოდულს. ჩემი განზრახვა სულ სხვა იყო. მე მივლოდა, რომ ჭიათურის შავი ქვა ადგილობრივ დამუშავებულ იყო და ის ბლვიერ-ბლვიერ სხვაგან არ გაეტანათ.

– კი მაგრამ, ამისათვის ხომ დიდი ფული და ფაბრიკა-ქარხნები იყო საჭირო? – შევეკითხე მე.

– ხელი რომ არ შეეშალათ, ეგეც მოხერხდებოდა, რადგანაც მოლაპარაკება მქონდა კაპიტალისტებთან, – სთქვა აკაკიმ.⁵¹

აკაკის განსაკუთრებით უყვარდა სამი ოჯახი: ივანე ელიაშვილის,⁵² ნიკო დიასამიძის და ვანო მაჩაბლის. ამ ოჯახებში ხშირად დაიარებოდა. როცა რომელიმე ოჯახში წასვლას დააპირებდა, ბავშვურ სიხარულს ვამჩნევდი, იმიტომ, რომ ამ ოჯახების მოზარდი თაობა (ყმაწვილები) გატაცებით უყვარდა; ხშირად მათით სიამოვნებდა. ივანე მაჩაბლის დიდი პატივისმცემელი და მოყვარული იყო, მოსწონდა მისი შრომა და მისი თარგმანები. იტყოდა ხოლმე: „ივანე მაჩაბელი კარგი პიროვნებაა და დიდი ქართველი არისო. ქართველთ ცხოვრებაში, როგორც უმნიშვნელო მოღვაწე, დიდი კაცი შეიქნებაო“. მწუხარებით იტყოდა: „ვანო მაჩაბლის და ილია ჭავჭავაძის ბრძოლა⁵³ სამწუხარო მოვლენა არისო. ძალთა განწყობილება სულ სხვა არის და ვანო მაჩაბელი ამ ბრძოლაში დამარცხდებო“ (არკი დამარცხდა*). ასეთი შეხედულების იყო ვანო მაჩაბელზე აკაკი.

* ჩანს, ლაფსუს კალამია. ალბათ უნდა იყოს: „აკი დამარცხდა“ (იხ. კომენტ. 52). თ. ჯ.

საკვირველი თვისება ჰქონდა წერის დროს აკაკის. როცა მიკარნახებდა, ხან დიდხანს შევყურებდი და ხან წერას ვერ ვასწრებდი, ხან ერთბაშით მომაცახებდა – მოიცა, მოიცაო და ხან ოხუნჯობდა. კარნახის დროს უკან ხელეშემომწყობილი დადიოდა, ხან მწოლიარე იყო, ზოგჯერ მთელ დაწერილს წამაშლევინებდა. როცა მთლიანად მოსაწონი იქნებოდა, ხუმრობა-ოხუნჯობას დაიწყებდა.

ერთხელ, „ბაში-აჩუკის“ წერის დროს, როცა მოკლული ქალის მაგიერ ტყეში აბდუშაილს მეორე ცოცხალი ქალი შეხვდებოდა, მე გამიკვირდა და გაკვირვებით შევხვდე აკაკის. ის მიმიხვდა და შემეკითხა: – რა იყო?

– ბატონო, ეგ ხომ მკვდარი იყო და როგორ შეიძლება მკვდარის გაცოცხლება-მეთქი?

აკაკიმ გაიცინა და ამიხსნა, რომ მოკლული ქალის მეორე და – ნამდვილი მზგავსი – მონასტრიდან ტყეში გამოსულიყო. მე კი ეს აღარ მახსოვდა.

რალაც მიზეზით აკაკის მეუღლეს პენსია მოუსპეს მამის ქონებიდან. იმ დღიდან მგოსანი ჩავარდა დიდ განსაცდელში. მეუღლიდან მოდიოდა წერილები და დეპეშები, სადაც ის უთვლიდა – გამოგზავნე ფული. ყველა წერილის და დეპეშის მიღების დროს აკაკი შესაბრალებელი იყო. ხანდახან გაფითრდებოდა და კანკალს დაიწყებდა.

ერთხელ წერაში ვიყავით გართული, როდესაც მან დეპეშა მიიღო. წაიკითხა და გულშეღონებული ლოგინზე დაეცა... ძლივს მოვაბრუნე... აკაკის ყოველთვის თან ქონდა პატარა ხელის ყუთი სხვადასხვა სამკურნალო წვეთებით. ეს იყო მისი საკუთარი აფთიაქი, რომელიც დიდად ემსახურებოდა, როცა შეუძლოდ გახდებოდა. როგორც იქნა, დეპეშა ჩავიგდე ხელში: „ფული გამომიგზავნე, თორემ ლოლია თავს იკლავსო“, – სწერდა მეუღლე. ეს იყო მიზეზი გულის შეღონებისა. აკაკის უყვარდა თავისი ერთადერთი შვილი – ალექსი, მაგრამ ის დედას არ შორდებოდა და ამიტომ დაშორებული იყვნენ ერთმანეთს.

მეუღლის განზე განდგომამ და ოჯახურმა უსიამოვნებამ გატეხა მგოსანი და დააუძლურა. ასეთმა სამწუხარო ცხოვრებამ ჩააგდო სიღამბლემში, რასაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა.⁵⁴

გარდაცვალების გამო დეპეშა მივიღე რაჭიდან: „სხვებთან შენც არჩეული ხარ სამაზრო კრებისაგან დელეგატთა აკაკის დასაფლავებაზედაო“. მე ჩამოვედი ბაქოდან და უკანასკნელათ საყვარელ მგოსანს ხელზე ვეამბორე.

უნდა მოგახსენოთ, რომ აკაკი კეთილი ადამიანი და ნამდვილი მოქალაქე იყო. არ ვიცი, ამის შემდეგ ე. ვაშაქიძე რატომ წერდა 1887 წელს „ივერიაში“ აკაკის მოქალაქეობაზე.

მგოსანი არ მომკვდარა. ის არც მოკვდება საუკუნოების განმავლობაში. მან დაიმსახურა და დაიდგა უკვდავი ძეგლი თავისი საყვარელი ერის გულში და ეს ძეგლი სამარადისო სახსოვარი იქნება ყოველი ქართველისათვის.

1926 წ.

კომენტარები:

1. „დროება“ (1866-1885) – ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ყოველდღიური (1877 წლიდან) გაზეთი. რედაქტორები: გ. წერეთელი (1866-1869), ს. მესხი (1869-X.1873, X.1874-1882), კ. ლორთქიფანიძე (X.1873-X.1874), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880-1881), ივ. მაჩაბელი (1883-1885), გამომცემლები: ს. მელიქიშვილი (1866-1882), გ. ქართველიშვილი (1883-1885). პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომელიც ხელისუფლებამ „მავნე მიმართულების“ გამო საცენზურო კომიტეტის მეშვეობით დახურა (რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის სპეციალურ განკარგულებაში ნათქვამია: „გაზეთი „დროება“ აკრძალულ იქნა სამუდამოდ, როგორც სეპარატულ-ტენდენციური იდეების მქადაგებელი ორგანო“ – ხურცილავა 1980: 74).

2. ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1893) – მწერალი, თეატრალური მოღვაწე. „ჩემ თავგადასავალში“ აკაკი წერს: „როდესაც მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა და, როგორც მწყურვალნი წყაროს, ისე ეწა-

ფებოდნენ მის ნაწერებს, ის სამხედრო ჰომოპიტალში იწვა ავადმყოფი, დიდ გაჭირვებაში. სიკვდილის შემდეგ კი შეინანა საზოგადოებამ, მის კუბოს მზე და მთვარეც დაახალეს, მაგრამ რალა დროს?“ (წერეთელი 1958: 116; იხ. აგრეთვე: წერეთელი 1961^ა: 83-84). 1893 წლის 19 დეკემბერს, ყაზბეგის ცხედრის თბილისიდან ხევში წასვენების დღეს, აკაკიმ გარდაცვლილის კუბოსთან წარმოთქვა სიტყვა (წერეთელი 1961^ა: 88-91) და ლექსი – „ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზე“ (წერეთელი 1950^ა: 282). მანამდე კი, 1881 წელს, ალ. ყაზბეგმა „დროებაში“ გააკრიტიკა ა. წერეთლის ლექციები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (მოჩხუბარიძე 1881), რასაც აკაკიმ მოკლე პასუხი გასცა და კრიტიკოსის შენიშვნებს „თავი დამ ბოლომდე ცილის წამება“ უწოდა (წერეთელი 1960^ა: 113-114).

3. „სურამის ციხე“ უნდა დაედგათ...“ – დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ დავით მესხისეული ინსცენირება („დრამა 5 მოქმედებად“) დაიდგა 1882 წლის 17 ნოემბერს (დროება 1882^ა; სპექტაკლისათვის მზადების შესახებ იხ. დროება 1882^ბ). წარმოდგენა გაიმართა გრ. არწრუნის (1845-1892) ქარვასლაში („არწრუნის თეატრში“). მთავარ როლებს ასრულებდნენ: ნ. გაბუნია, კ. ყიფიანი, კ. მესხი, ავქს. ცაგარელი.

4. „ურთიერთ-შორის დამხმარე საზოგადოებასა“ და მის დასაარსებლად ჩატარებულ მუშაობაში საკუთარ წვლილს (წესდების შედგენას) აკაკი ახსენებს 1889 წელს „ივერიაში“ (15.VIII, №173) გამოქვეყნებულ წერილში „სიტყვა იმერლებზე“. აკაკის მიხედვით, „საზოგადოებას“ პოლიტიკური ხასიათი არ გააჩნდა და მიზნად ისახავდა იმერეთიდან თბილისში ჩამოსულ (ან სხვადასხვა არაკეთილსინდისიერი გზებით ჩამოყვანილ) ხელზე მოსამსახურეებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ზრუნვას (იხ. წერეთელი 1960^ა: 365-369).

5. იოსებ (სოსიკო) მერკვილაძე (1854-1934) – ჟურნალისტი, ფოლკლორისტი, ბუკინისტი, თბილისში გამომცემლობისა და წიგნის მაღაზიის (ორივეს „ცოდნა“ ერქვა) მფლობელი [მაღაზია მდებარეობდა ქაშვეთის ეკლესიასთან, წმ. გიორგის (ამჟამად ა. ჯორჯაძის) ქუჩაზე – გერსამია 1984: ფოტო №94], გაზეთების „სავაჭრო გზა“ (1908), „ჩვენი ხმა“ (1909) და „ცოდნა“ (1911; გამოვიდა ერთი ნომერი) რედაქტორ-გამომცემელი, პრესაში (ძირითადად „ივერიაში“) გამოქვეყნებული აქვს წერილები საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის საკითხებზე; ხშირი მასპინძელი იყო აკაკისა და ერთი ოთახი მისთვის ჰქონდა დათმობილი (ეძახდნენ „აკაკის ოთახს“,

სადაც პოეტს არაერთი ნაწარმოები აქვს დაწერილი ან დამუშავებული. 1882 წელს ს. მერკვილაძეს აკაკი მიგზავნილი მკვლელისგან გადაურჩენია (მერკვილაძე 1990: 311-315; ს. მერკვილაძის მონათხრობი 1908 წელს, აკაკის სიცოცხლეში, გამოქვეყნდა, რაც დამაჯერებელს ხდის მოგონებაში აღწერილ ფაქტს). 1913 წელს აკაკიმ ს. მერკვილაძეს ნოტარიული წესით სამუდამოდ დაუმტკიცა თავისი ნაწერების გამოცემის უფლება (საკითხის გარშემო იხ. გაბოძე 2009: 240-264; აკაკის წერილები ს. მერკვილაძისადმი იხ. წერეთელი 1963: 277-290; წერეთელი 2010: 313-322). ზოგიერთი მემუარისტის თხზულებაში ისიცაა ნათქვამი – ს. მერკვილაძე აკაკის ნდობით არც ისე კეთილსინდისიერად სარგებლობდაო (ზამბახიძე 1990: 159; გაჩეჩილაძე 1990: 164-165; ელიაშვილი 1990: 137). ს. მერკვილაძეს ბებია იაპონელი ჰყავდა, თვითონაც იყო იაპონიაში ნამყოფი და იქიდან ჩამოტანილი გალანტერიისა და სუვენირების გაყიდვით დაიწყო ქონების დაგროვება (მარკოზაშვილი 1990).

6. ნოშრევან მერკვილაძე (1861-1921) – სოსიკო მერკვილაძის ძმა, მარქსიზმით გატაცებული ხელოსანი, თერძი (ქართულ ჩოხებს კერავდა) და პოეტი, რომელსაც პრესაში „ივერია“, „კვალი“, „ნიშადური“ და სხვ.; ფსევდ.: „ნოშრევანიძე“) გამოქვეყნებული აქვს ლექსები, მათ შორის, აკაკის 1908 წლის იუბილესთან დაკავშირებითაც (მერკვილაძე 1908); გ. წერეთლის დაკრძალვაზე ნარმოთქმულ ლექსში ხალხის ინტერესების უგულვებლყოფა დასწამა ი. ჭავჭავაძეს, თუმცა კრიტიკის ობიექტი პირდაპირ არ დაუსახელებია (აბაშიძე 1991: 39-40, 48).

7. სასახლის ქუჩა – მონაკვეთი კალოუზნის ეკლესიიდან (ამჟამად ამ ადგილას დგას კინოთეატრი „რუსთაველი“) პასკევიჩ-ერივანსკის მოედნამდე (დღეს – თავისუფლების მოედანი). ქუჩას ასე იმიტომ ეწოდებოდა, რომ აქ კავკასიის „ნამესტნიკის“ (ყოფილი პიონერთა, ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის) სასახლე მდებარეობს.

8. გრიგოლ დიასამიძე (1870-1960) – იურისტი, მეცნიერი, ჟურნალისტი (გაზეთ „თემის“ რედაქტორ-გამომცემელი 1911-1915 წწ.; 1912 წლის ივნისიდან სექტემბრის დასაწყისამდე გაზეთს სოფრომ მაგლობლიშვილი რედაქტორობდა), პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, თითქმის 40 წელიწადი (1921-1960) იცხოვრა ემიგრაციაში (საფრანგეთი, გერმანია, აშშ), სიცოცხლის ბოლო წლებში იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ გამგეობის წევრი და ამერიკის ქართული სათვისტომოს საპატიო

თავმჯდომარე. გარდაიცვალა ნიუ-იორკში. იქვეა დაკრძალული (შარაძე 1993: 186-224). გრ. დიასამიძე იყო ა. წერეთელთან დაახლოებული პირი და 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში აკაკის ცნობილი მოგზაურობის ერთ-ერთი ორგანიზატორი (შარაძე 2006^ა). გრ. დიასამიძე აკაკიმ დაასახელა თავისი ანდერძის ერთ-ერთ აღმსრულებლად (წერეთელი 1961^ა: 590). გრ. დიასამიძე იყო ა. წერეთლის დამკრძალავი კომიტეტის წევრი (შარაძე 2007: 79).

9. **გრიგოლ არაფელოვი** – ნავთობის მრეწველი, I გილდიის ვაჭარი.

10. **„...აპირებდა სტამბოლში წასვლას“** – პოლიტიკურ ნიადაგზე თურქეთში გადახვეწილი მწერლისა და პუბლიცისტის, იოსებ მეხუზულას (1860-1919; ფსევდ. „იასე რაჭველი“), მეშვეობით 1890-იან წლებში აკაკი აპირებდა სტამბოლში დაეარსებინა ჭიათურის მარგანეცის შემსყიდველი კომპანია, ამ მიზნით რამდენჯერმე დააპირა კიდევაც სტამბოლს წასვლა, მაგრამ ხან ავადმყოფობის, ხანაც უფულობის გამო ეს ვერ მოახერხა (კოჭლავაშვილი 1958: 70-71, 198, 204). საბოლოოდ, 1897 წლის 10 მაისის წერილით ი. მეხუზულამ აკაკის სინანულით აცნობა – უსახსრობის გამო თქვენს „წინადადებას“ ველარ შევასრულებო (კოჭლავაშვილი 1958: 207).

11. **„...დაებარებია ნ. ნიკოლაძის დისათვის“** – ნიკო ნიკოლაძის დებიდან აკაკის ახლო მეგობრობა აკავშირებდა **ანასტასიასა** (1847-1931; აკაკის წერილები ა. ნიკოლაძისადმი იხ. წერეთელი 1963: 186-202; წერეთელი 2010: 275-286) და **ეკატერინესთან** (1852-1931; აკაკიმ უძღვნა ლექსი „ახალი სამართალი“ – წერეთელი 1950^ბ: 243-254, 465). ძნელი სათქმელია, ამათგან რომელს გულისხმობს ვ. კირვალიძე.

12. **„ივერია“** (1877-1906) – ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გამოცემა (1877-1878 – ყოველკვირეული გაზეთი, 1879 – ყოველთვიური ჟურნალი, 1880 – სამთვიური აღმანახი, 1881-1885 – ყოველთვიური ჟურნალი, 1886-1905 – ყოველდღიური გაზეთი, 1906 – ყოველკვირეული გაზეთი). დამაარსებელი, რედაქტორი (1877-1901; 1880-1881 – ს. მესხთან ერთად; 1882-1884 – ივ. მანაბელთან ერთად) და გამომცემელი (1877-1902) ი. ჭავჭავაძე. ბოლო წლებში „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ: ალ. სარაჯიშვილი (1902-1903), გრ. ყიფშიძე (1903-1905), ფ. გო-

გიჩაიშვილი (1905-1906). გამომცემლები: ალ. სარაჯიშვილი (1902-1905) და პ. თუმანიშვილი (1905-1906).

13. **„1887 წელს ფელეტონები ინერებოდა ვინმე ე. ვაშაკიძესი...“**
– ავტორს ზუსტად არ ახსოვს **ქვეთიმე ვაშაკიძის** მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილების თარიღი. სინამდვილეში პირველი წერილი („პირმოთნობა ჩვენში“), რომელშიც ე. ვაშაკიძემ აკაკი გააკრიტიკა, „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1899 წელს (ვაშაკიძე 1899). მიუხედავად იმისა, არის თუ არა ავტორი სწორი აკაკის ცხოვრების წესის შეფასებაში, თავისთავად ეს არის საინტერესო ტექსტი, რომელშიც ავტორი მსჯელობს ზოგადად საზოგადოებრივი მოღვაწეობის „დიადს მნიშვნელობაზე“ ისეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, როგორც საქართველო და ეროვნულ, ლიტერატურულ და მორალურ კონტექსტში განიხილავს საკითხს ქართველი საზოგადო მოღვაწის დანიშნულების შესახებ. ავტორის აზრით: „აკაკი საერო პოეტია. მის მოსწრებულს სიტყვას მომხიბლავი, მომაჯადოებელი მნიშვნელობა აქვს. იტყვიან, პოეტებად იბადებიანო, და ეს აკაკიზედ ზედგამოჭრილია“, თუმცა, ასეთ გამორჩეულ ადამიანებს „ჩვენი მდგომარეობა მეტს ვალსა სდებს, მეტს სიმტკიცესა სთხოვს ხასიათისას, მეტს ზნეობრივს გავლენას“. როცა მთელი ერი ყურს გიგდებს და ნდობით შემოგყურებს, მოვლენების შეფასებაში სავსებით მიუყერძოებელი უნდა იყო, „რაც არ უნდა სადილეები გაგიმართონ“. აკაკის იმდენად დაუჩლუნგდა საზოგადოებრივი ინსტიქტი, რომ ეტრფის „ბ-ნ ჩიკვაიძის ცხოველურს მიდრეკილებას საზოგადო სუფრისაკენ... აკაკის არა აქვს შემუშავებული ღრმა რწმენა, არ აქვს სიმტკიცე ნებისა და არც ესმის საზოგადოებრივი იდეალის მნიშვნელობა“ და ა. შ. ავტორს აქ მხედველობაში აქვს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის არჩევნები, რომელშიც ათასგვარი ინტრიგებითა და უხვი სუფრების მეშვეობით გაიმარჯვა ვეჟილმა კალისტრატე ჩიკვაიძემ (1855-1934) და ბანკის თავმჯდომარეობისათვის გამართულ გააფთრებულ ბრძოლაში აკაკიმ მოულოდნელად კ. ჩიკვაიძის მხარე დაიჭირა. ამის გამო მაშინ ა. წერეთელს ბევრი აკრიტიკებდა და აკაკიც (ჯერ კიდევ ე. ვაშაკიძის წერილის გამოქვეყნებამდე) იძულებული გახდა, პრესაში თავი ემართლებინა (წერეთელი 1961^ე: 501-518). მიუხედავად იმისა, რომ ა. წერეთელმა არ უპასუხა ე. ვაშაკიძეს, ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა აკაკი მისი „გადამეტებული თავმოყვარეობისათვის“ (ვაშაკიძე 1900).

მოგვიანებით ე. ვაშაკიძე ხსენებული წერილების გამო სინანულს შეუპყრია. ივ. ელიაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, ე. ვაშაკიძეს „ფრიად განვითარებულ“ და „ფრიად პატიოსან“ კაცს უწოდებს, წერს: „[ექვთიმე ვაშაკიძე] აკაკის არ იცნობდა პირადად. ერთხელ დავაპირე მათი ერთმანეთთან შეხვედრა. ექვთიმემ უარი მითხრა: მე არა ვარ ღირსი მასთან გაცნობისაო... აკაკის ვუამბე და ვკითხე, ხომ არ გწყენია-მეთქი, თუ წაიკითხე ის წერილი... ჩვენში ბევრი იწყებს წერას ჩემი გინებით, მაგრამ, როგორც დედ-მამას უხარია, ჩვენმა შვილმა ენა ამოიდგაო, მეც ისე მიხარია, წერას რომ ეჩვევიან ყმანვილები. ოღონდ შემდეგში სწერონ რიგიანად და ჩემი გინებით ვის რა დაუშავდებაო“ (ელიაშვილი 1990: 136).

ე. ვაშაკიძემ 1893 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, დაბრუნდა სამშობლოში და ექიმად მსახურობდა დრანდაში, ონში და სხვ.; 1901 წელს ჯიხაიში დააარსა საავადმყოფო... 1890-1900 წწ. პრესაში (ძირითადად, „ივერიაში“) აქვეყნებდა პუბლიცისტურ, კრიტიკულ-ლიტერატურულ და სამეცნიერო-პოპულარულ წერილებს; ყველგან, სადაც სამსახურებრივი მოვალეობა ჩაიყვანდა, ორგანიზაციულად, მატერიალურად თუ მორალურად ზრუნავდა ადგილობრივ სასწავლებლებზე [„ეს კაცი, თავის თანამდებობის გარდა, სხვაფრივაც იჩენს ხალხისადმი გულშემატკივრობასო“ – წერს პორფილე იაშვილი „ივერიაში“ (იაშვილი 1903)]... (ე. ვაშაკიძის 1900-იანი წლების შემდგომ ცხოვრება-მოღვაწეობაზე ჩვენ ცნობები ვერ მოვიპოვეთ).

14. ნიკოლოზ (ნიკო) დიასამიძე (1845-1897) – თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, გრ. დიასამიძის მამა. თბილისსა (სოლოლაკი) და ქართლის სოფლებში (ბრილი და საქაშეთი, რომლებშიც მამულებისა და მდიდრულად განყობილი სახლების პატრონი იყო), ჰქონდა სალონები (იკრიბებოდნენ: ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, ს. მაგლობლიშვილი და სხვ.) და მართავდა ლიტერატურულ ღონისძიებებსა (ე. წ. „ორშაბათები“) და თეატრალურ წარმოდგენებს (ენიკოლოფაშვილი 1990: 26-27; ბალახაშვილი 1940: 154). აქვე – ბრილში, ნ. დიასამიძის სახლში – 1892 წლის 6 სექტემბერს შეიკრიბა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც გაზეთი „კვალი“ დააარსა (ბალახაშვილი 1940: 154-158). 1877 წელს ნ. დიასამიძემ აღალო თუთაევთან (გარდ. 1912) ერთად საკუთარი ხარჯით გო-

რში ძველი როტონდა თეატრად გადააკეთა (ბალახაშვილი 1940: 32-41). ნიკოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკაკისთან, რომელიც ხშირი სტუმარი იყო დიასამიძის ოჯახისა როგორც თბილისში, ასევე საქაშეთსა და ბრილში. 1882 წლის მარტში ნ. დიასამიძის ინიციატივით გორში გაიმართა აკაკის ლიტერატურული საღამოები (გურგენიძე... 1989: 146-147). 1886 წელს ნ. დიასამიძემ საკუთარი ხარჯით გამოსცა აკაკის „თამარ ცბიერი“ (გაბოძე 2009: 76-79). ნ. დიასამიძე 1897 წლის 13 აგვისტოს ბრილში მოკლეს რევოლუციურად განწყობილმა გლეხებმა და ამ ტრაგიკულ ფაქტს აკაკი გამოეხმაურა ლექსით „ნიკო დიასამიძის სახსოვრად“ (წერეთელი 1950^ა: 360-361).

15. „...ეროვნებით ქართველი არ ყოფილა“ – ნიკო დიასამიძის მეუღლე *ნინო* სომეხი იყო – *გრიგოლ ბებუთოვის* ასული. სოფელ დოესში სტუმრად მყოფი ნინო დიასამიძე 1897 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა, 23 აპრილს ჩაასვენეს გორში, პანაშვიდი გადაუხადეს „გორის სომხების ყველაწმინდის ეკლესიაში“, შემდეგ წაასვენეს ბრილში და იქ დაკრძალეს 25 აპრილს. გორში, გარდაცვლილის კუბოსთან, სიტყვები წარმოთქვეს ა. წერეთელმა (ცნობის ფურცელი 1897; აგრეთვე: ივერია 1897), ივ. მაჩაბელმა (ივერია 1897) და ა. ერისთავ-ხომტარიამ (კვალი 1897: 346). აკაკიმ ნინო დიასამიძეს უწოდა „დედასავით ტკბილი და დასავით ძვირფასი არსება“ და დასძინა: „მართალო სულო, ამ ქვეყნიურის ვალის ქრისტიანულად მომხდელო, განგისვენოს უფალმა იქ, სადაც ჩვენი დიდებული ქართველი დედები განისვენებენ“. „ივერიაში“ ნინო დიასამიძე ასეა დახასიათებული: „თავის რძესთან ერთად იგი თან აწოვებდა შვილებს ქართველი ერის ღრმა სიყვარულსა და მისს სამსახურს“ (ივერია 1897).

16. *კანდელაკი*, ჩანს, აკაკის მოურავი იყო სხვიტორში.

17. *ანა წერეთელი* (1830-1920) – აკაკის უფროსი და. არ გათხოვილა, ცხოვრობდა სხვიტორში, მამისეულ სახლში და აკაკის და-ძმებიდან სხვიტორის მამულს საბოლოოდ ის შემორჩა. 1904 წელს სოსიკო მერკვილაძემ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ანას მოგონება აკაკის ბავშვობაზე და მისგანვე ჩანერილი ყრმობისდროინდელი ლექსები აკაკისა (მერკვილაძე 1904; წერეთელი 1955: 389-391). ანა ახლო-მახლო სოფლებში განთქმული მკურნალი იყო. ივ. ელიაშვილი მას უწოდებს „ახირებულ ადამიანს, სრულიად გახალხოსნებულს და ექიმბაჟს“ და მსუბუქი ირონიით იხსენებს მის სამკურნალო საქმეებს (ელიაშვილი

1990: 139). ანა წერეთელი გარდაიცვალა სხვიტორში, დაკრძალულია წერეთელთა კვერთხის საგვარეულო სასაფლაოზე (შარაძე 2006: 103-106).

18. ბეჟან წერეთელი (1845-1913) – საჩხერელი თავადი, აკაკის ნათესავი, ქველმოქმედი და კულტურტრეგერი. ბ. წერეთლის ადამიანური სისუსტეები არაერთხელ გამხდარა საგანი აკაკის სახუმარო ლექსებისა, რომელთაგან ზოგიერთი არ არის მოკლებული მსუბუქ სკაბრეზს. ასე, მაგალითად, ლექსში „პასუხად ბეჟანს“ აკაკი ბეჟან წერეთელს უწოდებს „ბერ-კვიც ულაცს“ და „ამხილებს“ მის გადამეტებულ გატაცებას ქალებით: „ჰაი! ჰაი! გიცნობ, პლუტო, / ქვეშქვეშავე და მუზმუზელა! / დღესაც კიდევე კეკლუც ქალებს / არ აკლიათ შენგან ზელა“ და ა. შ. (უცნობი აკაკი 2001: 60). ბ. წერეთელს ცოლად ჰყავდა ნინო (ნიცა) ბაგრატიონ-დავითაშვილი (1858-1937) – ივ. მაჩაბლის ცოლისდა. ბეჟანსა და ნიცას ეყოლათ ხუთი შვილი. ამათგან უმცროსი იყო აკაკის ლექსის („ღამის თევა“) ადრესატი, ტრაგიკული ბედის თამარ (თამუნია) წერეთელი (1903-1968), რომელსაც რამდენიმე ლექსი (მათ შორის, „ანანურთან“) უძღვნა ტიცციან ტაბიძემ. აკაკის ბარათები ბეჟან და ნიცა წერეთელებისადმი იხ. წერეთელი 1963: 215-231; წერეთელი 2010: 287-296.

19. ივანე (ვანო) მაჩაბელი (1854-1898) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. აკაკისა და ივ. მაჩაბელს ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ. ა. წერეთელს სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა ივ. მაჩაბლის მეუღლე ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-დავითაშვილი (1869-1917), თუმცა ანასტასია გულგრილი იყო აკაკის სასიყვარულო გრძნობების მიმართ (აკაკისა და ანასტასიას მიმოწერა იხ.: კოტინოვი 1996: 150-161; უცნობი აკაკი 2001: 169-182; ჭანტურია 2004: 290-292; წერეთელი 2010: 221-252, 349-367). ივ. მაჩაბლის ტრაგიკული გაუჩინარების ღამეს აკაკი სტუმრად იმყოფებოდა მის ოჯახში, რამაც წარმოშვა ვერსია ივ. მაჩაბლის სიკვდილში აკაკის რაიმე ფორმით მონაწილეობის შესახებ, თუმცა ამ ვერსიის დამადასტურებელი სარწმუნო მასალა არ მოგვეპოვება (აკაკისა და ივ. მაჩაბლის მიმოწერა იხ. წერეთელი 2010: 210-221; 342-349).

20. კიტა (ივანე) გიორგის ძე აბაშიძე (1870-1917) – ლიტერატურათმცოდნე (მის ლიტერატურულ მსოფლმხედველობაზე ძლიერი გავლენა იქონია ფ. ბრიუნტიერის „ეკოლუციურმა მეთოდმა“), კრი-

ტიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური (სოციალისტ-ფედერალისტი) და საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო „ევროპეისტი“ და უაღრესად საინტერესო ფიგურა ახალი ქართული კულტურის ისტორიაში; 1911-1912 წწ. ქუთაისში გამოსცა „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ (ორ ტომად), რითაც არსებითად საფუძველი ჩაუყარა XIX ს. ქართული მწერლობის სისტემურ, მყარ ლიტერატურათმცოდნეობით-მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებულ კვლევას. კ. აბაშიძემ აკაკი წერეთლის შემოქმედებას უძღვნა რამდენიმე შესანიშნავი ნაშრომი (აბაშიძე 1962: 215-243; აბაშიძე 1971: 517-530), თუმცა მას ჭიათურის მარგანეცისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის შესახებ აკაკისთან მწვავე პოლემიკაც ჰქონდა (იხ.: აბაშიძე 1880; აბაშიძე 1896; აბაშიძე 1899^ა (განყ. II): 31-54; აბაშიძე 1899^ბ (განყ. II): 26-31; აბაშიძე 1913 და სხვ.; აკაკის პასუხები იხ.: წერეთელი 1950^ა: 442; წერეთელი 1960^ა: 471-476; წერეთელი 1961^ა: 535-538; წერეთელი 1961^ბ: 535-537 და სხვ.).

21. **გრიგოლ (გიგო) წერეთელი** (გარდ. 1895) – შეძლებული თავადი, რომელიც დამბლისაგან „35 წელიწადი კუტათ იყო“ (კვალი 1895: 11); სიკვდილის წინ „სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეებისათვის დატოვა ათასი მანეთი. აქედან ოცი თუმანი ზეპირ-სიტყვაობის ფონდს ერგო და დანარჩენი რვაასი მანეთი ასე განაწილდა: ორასი მანეთი – საჩხერის ბიბლიოტეკას, ორასი – ქალების მომავალ შკოლას ტფილისში, ორასი – „წერა-კითხვის“ საზოგადოებას და ორასიც – მოსკოველ ღარიბ სტუდენტებს“ (კვალი 1895: 11-12; წერეთელი 1961^ბ: 557). გიგო წერეთლის პომპეზურ დაკრძალვაზე აკაკიმ წარმოთქვა პათეტიკური სიტყვა, რომელიც ასე დაამთავრა: „გამოსათხოვარი თაყვანი ვსცეთ მაგის გაცივებულს გვამს და სული შევავედროთ ზეცას და ზედ ხორციელი სურვილიც დავამატოთ, რომ მაგისი გაკვალული, ძველიდან ახლამდი მიმავალი გზა არ დავიწყებულებიყოს, არ გადავარდნილიყოს და სამაგალითოთ დარჩენოდეს ბევრს“ (წერეთელი 1961^ბ: 208-209).

22. **ყარამან ჩხეიძე** – საჩხერელი მასწავლებელი და კულტურტრეგერი, 1870-იანი წლებიდან პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.) აქვეყნებდა ადგილობრივი ცხოვრების ამსახველ საგაზეთო და საჟურნალო მასალას.

23. **ალექსი ჭიჭინაძე** (1851-1917) – პედაგოგი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე; მიღებული ჰქონდა საუნივერსიტე-

ტო იურიდიული განათლება (მოსკოვი). იყო თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლისა (1886-1894) და თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორი (1894-1900), ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების (1900-1905), ხონის საოსტატო სემინარიისა (1905-1914) და თბილისის ქართული გიმნაზიის (1914-1917) დირექტორი; პრესაში აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, თარგმნილი აქვს გოეთეს, ნ. გოგოლისა და სხვ. ნაწარმოებები. 1894 წელს ა. ჭიჭინაძის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე ა. წერეთელმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა ა. ჭიჭინაძის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას (წერეთელი 1961^ა: 113-114). 1904 წელს აკაკიმ ლექსი უძღვნა ა. ჭიჭინაძის ქალიშვილის ბეტას ხსოვნას (წერეთელი 1954^ა: 478). ა. ჭიჭინაძეს აკაკის დაკრძალვის დღეებში მოუმზადებია სიტყვა, რომელიც რალაც მიზეზით ვერ წარმოუთქვამს (ტექსტი სიტყვისა იხ. შარაძე 2007: 188-190).

24. „ერთი პოლონელი ლენერალი“ – ?

25. კ. მეტრეველი – ?

26. ალექსი წერეთელი (1869-1942) – განათლებით ინჟინერი, თუმცა საოპერო ხელოვნებამ გაიტაცა და ცხოვრების მთავარ საქმედ ანტრეპრენიორობა გაიხადა. ქმნიდა საოპერო დასებს და მოგზაურობდა რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებში (1902 წლის შემოდგომაზე თბილისშიც ჰქონდა გასტროლები). რუსეთის გასაბჭოების შემდეგ ალექსი დედასთან ერთად წავიდა ემიგრაციაში; ხელმძღვანელობდა პარიზის რუსულ საოპერო დასს; ურთიერთობა ჰქონდა სახელგანთქმულ რუს და უცხოელ მუსიკოსებთან, მათ შორის, შალიაპინთან, ტიტა რუფოსთან და სხვ.; სურდა პარიზის „გრანდ ოპერაში“ დაედგა „აბესალომ და ეთერი“, თუმცა ეს განზრახვა ვერ განახორციელა. დაკრძალულია პარიზთან ახლოს, სენტ-ჟანში (ა. წერეთელზე იხ. შარაძე 2006^ა: 446-490).

ი. მანსვეტაშვილის მიხედვით, ალექსის „ქართველობისა არა ეტყობოდა რა“ (მანსვეტაშვილი 1936: 208), ე. თაყაიშვილი კი მას ახასიათებს როგორც „ზრდილ, კაცთმოყვარე, ლამაზ და კეთილი გულის პატრონს“ და დასძენს: გარდაცვალების შემდეგ ალექსის „დიდძალი საოპერო დეკორაციები, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა დარჩა, რაც მილიონნახევრად იყო შეფასებული. ეს ყველაფერი ქართულ საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით, მაგრამ ოპერის დასის წევრებმა საჩივარი აღძრეს, რომ ჩვენ გვეკუთვნის მთელი საოპერო ქონებაო და

მართლაც სულ მათ დარჩათ“ (თაყაიშვილი 1968: 283). აკაკი ძალიან განიცდიდა იმას, რომ მისი შვილი გარუსებული იყო და ვერც ქართულად ახერხებდა ლაპარაკს (ვართავაძე 1962: 95-96), ხოლო ერთხელ შიო არაგვისპირელის კითხვაზე – თქვენმა შვილმა ქართული იცისო? აკაკის უპასუხია: „იმდენად იცის, რომ მასთან ქართულად ლაპარაკი არ შეიძლება“ (გომელაური 1990: 159). აკაკის გარდაცვალების წინ ალექსი სასწრაფოდ ჩამოვიდა პეტერბურგიდან და სარცელს მიჯაჭვულ მამას სულის ამოსვლამდე არ მოშორებია (შარაძე 2006: 451). აკაკიმ შვილს უძღვნა პოემა „ალექსი (ზღაპარი ყმანვილებისათვის)“ (წერეთელი 1956: 327-348). აკაკის 1900, 1904-1905 და 1908-1909 წწ. წერილები ალექსისადმი იხ. წერეთელი 1966.

27. **ნატალია ბაზილევსკაია (1848-1933)** – რუსი არისტოკრატი, რომელიც აკაკიმ მოსკოვში გაიცნო, იქვე დაინერა ჯვარი 1864 წელს, ხოლო 1867 წელს მათ შეეძინათ პირველი შვილი ეკატერინე (კატიუშა; გარდაიცვალა 1870 წელს. დაკრძალულია წერეთელთა კვერეთის საგვარეულო სასაფლაოზე). ნატალია ბაზილევსკაია ვაჟიშვილთან, ალექსი წერეთელთან, ერთად ძირითადად რუსეთსა და საზღვარგარეთ ცხოვრობდა; გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია სენტ-ჟანის სასაფლაოზე (ნ. ბაზილევსკაიასა და ქმართან მის ურთიერთობაზე იხ. შარაძე 2006: 434-458, 474-490). 1900 წლის 26 მარტს აკაკი მეუღლეს სწერს: „რისთვის მიყვარს არსება, რომელსაც ჩემთვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანია? – ალბათ სწორედ იმისთვის, რისთვისაც პირადად მე ჩემი თავი მძულს, ე. ი. ჩემი ჭაბუკური შეცდომისა და შეცოდებისათვის... შენ გამოდექი უძლური შენივე აულაგმავი ნერვების წინააღმდეგ და ახლა მე შენ გიყურებ, როგორც ავადმყოფს. მაინც მიყვარხარ...“ (უცნობი აკაკი 2001: 58-59). მიუხედავად მეუღლის მძიმე ხასიათისა და ცოლ-ქმრის რთული და იშვიათი ურთიერთობისა, აკაკიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა პატივისცემა მეუღლისადმი, ხოლო სიკვდილის წინ შვილისათვის ნათქვამი მისი უკანასკნელი სიტყვები იყო – დედას ნუგეში ეციო.

28. **ერისთავის მეუღლე: ამატა ბაზილევსკაია**, აკაკის ცოლისდა, რომელიც გათხოვილი იყო ელიზბარ სიდამონ-ერისთავზე. ელიზბარს ნატალია ბაზილევსკაია უწოდებს „დიდად გარყვნილსა და ბანქოს მოთამაშეს“, რომელიც შფოთიან ცხოვრებას ეწეოდა და საბოლოოდ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე – „რევოლვერი დაირტყა“

(მიქელაძე 1990: 326-327; ე. სიდამონ-ერისთავისა და აკაკის ურთიერთობაზე იხ. აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ – წერეთელი 1958: 99-100). ამატა ბაზილევსკაია, რბილად რომ ვთქვათ, ქმრის ხსოვნისადმი ერთგულებით არ გამოირჩეოდა. ი. მანსვეტაშვილი წერს:

„ერთხელ აკაკიმ თავისთან მიგვიწვია სადილად მე და ილიკო ბახტაძე... მიგვიწვიეს სასადილო ოთახში. აკაკის ცოლისდა და მათი სტუმარი, ვილაც აფიცერი, დიდ ხანს არ გამოდიოდნენ მეორე ოთახიდან. ორჯელ გაგზავნეს ალექსი მოსაწვევად. მაინც იგვიანებდნენ და დედამ ჰკითხა შვილს:

– რას აკეთებენ ნეტავი, რომ ასე იგვიანებენ?

– ერთმანეთს ეხვევიან, ჰკოცნიანო! – უპასუხა გულუბრყვილოდ შვილმა, რომელიც მაშინ შვიდი-რვა წლისა იქნებოდა... – მაშ განა ეგრე არ უნდა?.. დეიდა ყოველთვის სადილის წინად სტუმრებს ეხვევა და ჰკოცნის“ (მანსვეტაშვილი 1936: 208).

ა. ერისთავ-ხოშტარიას ერთი მოგონების მიხედვით, 1887 წელს ამატა ბაზილევსკაია თბილისში ცხოვრობს (ხოშტარია 1990: 503).

29. ლეონარდ გირშმანი (1839-1921) – ექიმი-ოფთალმოლოგი, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი.

30. ვასილი ველიჩკო (1860-1903) – უკრაინული წარმოშობის (პოლტავიდან) რუსი მწერალი, პუბლიცისტი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1896-1899), შოვინისტი და რუსული თვითმპყრობელობის იდეოლოგი, რომელიც თავის ნაწერებში ხოტბას ასხამდა საქართველოს, როგორც კავკასიაში რუსული სახელმწიფოებრივი ინტერესების ბურჯს, ხოლო სომხებს უწოდებდა არასაიმედო პარტნიორებს, „მავნებელ ერს“ და ეწეოდა აქტიურ ანტისომხურ პროპაგანდას. 1894 წელს ვ. ველიჩკომ პეტერბურგში გამოაქვეყნა ორიგინალური და ნათარგმნი ლექსების კრებული („Восточные мотивы“), რომელშიც ქართველ პოეტთა (ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე) თარგმანებიც შეიტანა (ქართული თემატიკით მდიდარია მის მიერ პეტერბურგშივე 1904 წელს გამოცემული პოეტური კრებულიც – „Арабески“). ჩვენი საზოგადოება, ხედავდა რა ველიჩკოში ქართული კულტურის პოპულარიზატორს, 1895 წელს საზგასმული პატივისცემითა და საგანგებო ნადიმით შეხვდა მის ჩამოსვლას საქართველოში (ივერია 1895). ნადიმზე ილიამ ასე მიმართა სტუმარს: „არც პუშკინი, არც ლერმონტოვი და არც სხვები მათი მიმყოლნი არ შეხებიან საქართველოს ერის გულს, არ ჩაუხედნიათ მისი

გულის სიდრემში, თუ რა ძვირფასი მარგალიტები ბრწყინავენ შიგ. ეს მოვალეობა წილად გხვდათ თქვენ. შეისწავლეთ ქართველი ერის ბუნება, გააცნეთ იგი თქვენს ხალხს და აი, ნამდვილი პატივისცემა, მეგობრობა და ძმობა მაშინ დაარსდება ამ ორ ერთა შორის“ (ივერია 1895). გ. ლასხიშვილი კი ასე ახასიათებს ქართველებისადმი ველიჩკოს დამოკიდებულებას: „ქართველები რაინდი ხალხია, ერთგული რუსეთისა... ეს ხალხი მეომარი ხალხია... ევროპული კულტურა და ცივილიზაცია მავნებელია ამ ერისათვის; იმისთვის საჭიროა სამხედრო სკოლა... გიმნაზია და უნივერსიტეტი ამ ხალხისათვის გამოსადეგი არ არის“ და სხვ. (ლასხიშვილი 1934: 113-114). მიუხედავად იმისა, რომ ვ. ველიჩკომ რუსულად თარგმნა და გამოაქვეყნა ა. წერეთლის ნაწარმოებები (მათ შორის, „თამარ ცბიერი“), აკაკი უაღრესად ნეგატიურად იყო განწყობილი ველიჩკოსადმი და ასეთი განწყობილება მას არაერთხელ გამოუხატავს კიდევ როგორც კერძო საუბრებში, ისე პრესითაც (1899 წელს აკაკი ველიჩკოს უძღვნის ლექსს „ყიზილბაშური“, რომელიც ასე იწყება: „თვალი დაუდგეს ქართველ კაცს, / ველიჩკოს მოტრფიალესა! / ვერ ჰხედავს, მის დასაკლავად / რომ მან მახვილი გალესა?“ – წერეთელი 1950: 431). ვ. ველიჩკოს პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი მიმართება კავკასიის ხალხებისადმი იხ. ველიჩკო 2003.

31. ნინო ყიფიანი (ქალიშვილობის გვარი – **ტატიშვილი**; 1867-1937) – დიმიტრი ყიფიანის რძალი (კოტე ყიფიანის ცოლი), მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი; გამოქვეყნებული აქვს აკაკისადმი მიძღვნილი მოთხრობა (ყიფიანი 1914). 1904 წელს აკაკიმ თბილისში დადგა ნ. ყიფიანის ვოდევილი „ახირებულია“ (ცნობის ფურცელი 1904^ა). 1908 წელს, აკაკის იუბილეზე, ნ. ყიფიანმა შთამბეჭდავი სიტყვა უთხრა იუბილარს (შარაძე 2006^ბ: 98-99) და მოგვიანებით სიტყვითვე გამოეთხოვა აკაკის ცხედარს: „ჩვენთვის ილოცე, რომ დაგვდგომოდეს ისეთი დრო, როდესაც შევსძლებთ მოვიდეთ შენთან და... ჩამოგდახოთ: გიხაროდეს, მონატრულო, გაიღვიძა... გაიღვიძა...“ (შარაძე 2007: 138). ვ. ველიჩკოს პატივსაცემად გამართულ ნადიმზე ნ. ყიფიანის სიტყვა იხ. ივერია 1895. ნინო ყიფიანი დაკრძალულია ქვიშხეთში, ყიფიანთა კარის ეკლესიის გალავანში.

32. დიმიტრი ყიფიანი (1811-1887) – მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია არაერთი ეროვნული მნიშვნელობის დაწესებულებისა თუ ორ-

განიცაზიის დაარსება. აკაკიმ დიმი. ყიფიანს უძღვნა ლექსები („დ. ყიფიანის სადღეგრძელოდ“, „ქართველი უცხოეთში“, „განთიადი“ და სხვ.), აგრეთვე, გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით გამოთხარი მემუარული ხასიათის ტექსტები („ჩემი თავგადასავალი“, „ფიქრები ბუხრის წინ“, „როგორ დაარსდა ჩვენში საადგილ-მამულო ბანკები“ და სხვ.). აკაკი იყო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) დიმი. ყიფიანის არჩევის ინიციატორი, ხოლო დიმიტრის დაკრძალვაზე აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ტრაგიკულად დაღუპულ მოღვაწეს „საშვილიშვილოდ მოკავშირე“, „დიდებული მოძღვარი“ და „ნამდვილი დიმიტრი თავდადებული“ უწოდა (წერეთელი 1997: 123-124).

33. **„აღუ-ღუ“** – ეს უნდა იყოს აკაკის წერილი **„უკანასკნელი პასუხი“**, რომელიც 1896 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნდა „კვალში“ (წერეთელი 1961^ა: 227-236, 559-560) და წარმოადგენს პასუხს კიბა აბაშიძის წერილზე „სალიტერატურო მიმოხილვა 1895 წლისა“ (ამ წერილში კ. აბაშიძე გაკვრით ეხება აკაკის: „ეს წელიწადი აკაკი წერეთლის ნაწერებისათვის ნაკიანი იყო...“ – აბაშიძე 1971: 99). კ. აბაშიძემ აკაკის უპასუხა წერილით – „ცილისწამებითი მიდრეკილება“ (აბაშიძე 1896). რაც შეეხება წერილს „აღუ-ღუ“ (უნდა იყოს: **„სახუმარო გასართობი. „აღუღუ!“**), აკაკიმ იგი 1894 წელს, ხარკოვში წასვლამდე, გამოაქვეყნა „კვალში“ (წერეთელი 1961^ა: 121-124, 551).

34. **„სამშობლო“** – ვიქტორიენ სარდუს (1831-1908) პიესა „Patrie“, რომელიც გადმოაქართულა დავით ერისთავმა (1847-1890), 1882 წლის 20 იანვარს დაიდგა ქართულ სცენაზე (რეჟისორი მიხ. ბებუთოვი), საზოგადოებაში პატრიოტული გრძნობების აფეთქება გამოიწვია და „არა თუ თეატრი დააყენა ცოტად თუ ბევრად ფეხზედ, არამედ თვით საზოგადოებაც გამოაფხიზლა და რამდენისამე საფეხურით მალა ასწია მისი ეროვნული ცნობიერება, მისი გრძნობა მამულისმოყვარეობისა“ (ჭავჭავაძე 1991: 496). აკაკის შეხედულება „სამშობლოზე“ იხ. „სათეატრო შენიშვნა“ (წერეთელი 1960^ა: 135-143)

35. **„ხარკოვის ქართველების“** მიერ გამართული ვახშმის გარემოებები და აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვები იხ.: კვალი 1896: 112-114; წერეთელი 1961^ა: 224-226.

36. **ვლადიმერ მეჟნერსკი** (1839-1914) – რუსი მწერალი და გავლენიანი ჟურნალისტი, ნიკ. კარამზინის (1766-1826) შვილიშვილი, გაზე-

თის „Гражданин“ (1872-1914; გამოდიოდა პეტერბურგში) გამომცემელი. თანამედროვეთა შორის ცნობილი იყო მეშჩერსკის ჰომოსექსუალური ორიენტაცია, რის გამოც ვლ. სოლოვიოვი (1853-1900) მას უწოდებდა „სოდომის თავადსა და გომორის მოქალაქეს“ („Содома князь и гражданин Гоморры“). როდესაც აკაკიმ სტუდენტ ჭიჭინაძეს ხუმრობით უთხრა: „შენ რომ ყოფილიყავ, ვეღარ გადურჩებოდი“, უნდა ვიფიქროთ, მას სწორედ მეშჩერსკის სექსუალური ორიენტაცია ჰქონდა მხედველობაში და ამიტომაც გამოიწვია ნათქვამმა ახალგაზრდებში სიცილი. მეშჩერსკისა და მის გაზეთზე ერთადერთ ცნობას, რომელსაც ჩვენ ქართულ პრესაში ნაგავნდით, არის გაზეთში „Гражданин“ გამოქვეყნებული საკმაოდ გონებამახვილური ძველი ანეკდოტი „კავკასიის ომის“ მონაწილე გენერალ ბაგრატიონის მეტისმეტად დიდ ცხვირზე და ამ პუბლიკაციას „ივერია“ გამოეხმაურა (ივერია 1891). ხოლო სააკითხი, „საქართველოს შესახებ“ რა „ყალბი ინფორმაცია“ გამოაქვეყნა მეშჩერსკიმ ან მასთან როდის და რა ხასიათის კამათი ჰქონდა აკაკის, ჩვენ ვერ გამოვარკვეით.

37. **ჭიჭინაძე** – ვ. კირვალისძის მიერ აღწერილ ვახშამზე სტუდენტმა „ჭიჭინაძემ თავის სიტყვაში წინ გაიმძღვარა თვით აკაკის ლექსის აზრი „გულის პასუხი“ და დაახასიათა სატირული და ლირიკული მხარე მისი მუზისა“ (კვალი 1896: 113).

38. ვახშამზე წარმოთქმულ სიტყვაში „ქ-ნმა ჯაფარიძისამ აღნიშნა შესანიშნავი წარმატება ქართველ ქალთა შორის“ (კვალი 1896: 114).

39. **გიორგი წერეთელი** (1842-1900) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თერგდალეულთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1890-იან წწ. გ. წერეთელი დაუპირისპირდა ი. ჭავჭავაძესა და მის „ივერიას“ და „კვალში“ (რომლის ფაქტობრივი ხელმძღვანელიც თვითონ იყო) ასპარეზი დაუთმო ქართველ სოციალ-დემოკრატებს, 1898 წლიდან კი გამოცემა ნ. ჟორდანიას ჩააბარა. ამის თაობაზე გიორგი წერეთელს ექვთიმე თაყაიშვილისთვის უთქვამს: „ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვავდოთ, იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავითოვით და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება უნდა მივიღოთ“ (თაყაიშვილი 1991: 462). ის, რომ გ. წერეთელს მართლაც ეგონა, ქართველი მარქსისტები თანდათანობით სოციალურ საკითხებზე მალლა ეროვნული თავისუფლების

იდეას დააყენებნო, არაერთი წყაროთი დასტურდება. მაგალითად, გ. წერეთლის შეხედულებით, ქართველი მარქსისტები „ჯერ ბავშვები არიან... ნელ-ნელა მორჩებიან მარქსიზმის ქავილიდან და მომართავენ ისევ ეროვნულ ჩანგს“ (ქვარიანი 1900: 15). ვასილ წერეთლის მიხედვით კი, გ. წერეთელი ამბობდა: „მესამე დასელები გამოსწორდებიან, პატრიოტებად გახდებიან და ძლიერ ეროვნულ მოძრაობას შექმნიანო. აკაკიც ჩაითრია გ. წერეთელმა „კვალში“ და აკაკიც ამგვარადვე ასაბუთებდა თავის პოზიციას“ (წერეთელი 1998: 206).

40. გაბრიელ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში – გერასიმე ქიქოძე; 1825-1896) – სასულიერო მოღვაწე (იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წწ.), ფსიქოლოგი, პედაგოგი, მქადაგებელი, საზოგადო მოღვაწე, ავტორი 1858 წელს პეტერბურგში გამოცემული წიგნისა „ცდილებული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (რუს. ენაზე). დაკრძალულია გელათში. გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით 1897 წლის 26 იანვარს აკაკიმ გელათის ტაძარში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა: „დაუფიწყარი მოძღვარი, დღეს სიკვდილით ამაღლებული... გვინათებს ბნელს ანმყოში და იმავე დროს ჩვენს წარსულს მომავალთან აკავშირებს!..“ (წერეთელი 1961^ა: 246-247).

41. ყოველ ათ წელიწადში... – ვ. კირვალიძის მიერ ა. ჯორჯაძისადმი 1913 წელს მიწერილი ბარათის მიხედვით, ეს სიტყვები („სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოთ ყოველ ათ წელიწადში თვითო მსხვერპლი უნდა შეიწიროს“) მემუარისტისთვის 1882 წელს დიმი. ყიფიანს უთქვამს (კირვალიძე 2007: 394).

42. ნიკოლოზ II (1868-1918) – რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი (ტახტი დატოვა 1917 წლის 2 მარტს, იმავე წლის 9 მარტს დააპატიმრეს, ხოლო 1918 წლის 17 ივლისს ის და მისი ოჯახი ეკატერინბურგში დახვრიტეს). 2000 წელს რუსეთის ეკლესიამ ნიკოლოზ II წმინდანად შერაცხა.

43. იაკობ გოგებაშვილი (1840-1912) – მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. აკაკის წერილები ი. გოგებაშვილისადმი იხ. წერეთელი 1963: 112-125.

44. ილია ჭავჭავაძე (1837-1907) – ნაციონალური მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ფუძემდებელი საქართველოში. ილიასა და აკაკის კერძო ცხოვრებაში არ ჰქონდათ

ახლო მეგობრული დამოკიდებულება, თუმცა იცოდნენ ერთმანეთის ფასი და დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლებით: არსებითად აკაკის სახელთანაა დაკავშირებული ილიას, როგორც „ქართველების ტანჯვისა და გოდების... ჩვენი ნაკლულოვანებისა და საჭიროების“ გამომხატველი მწერლის, აღიარება. კერძოდ, 1865 წელს წერილში „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ ა. წერეთელი შეეხო ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი მემკვიდრეობითობის საკითხს, პარალელურად განიხილა ილიასა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედება, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ისინი არიან „ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესოთ გაგება ძნელია“ და ი. ჭავჭავაძესა და ნ. ბარათაშვილს უწოდა „მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“ (წერეთელი 1960^ა: 21). 1886 წელს ილიამ სპეციალური წერილით მიიწვია აკაკი „ივერიაში“ სათანამშრომლოდ: „ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გაეუფზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა... შემენევი თუ არ შემენევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვანლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“ (ჭავჭავაძე 1961: 114-115). აკაკიმ შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ილიას დაკრძალვაზე: „მშვიდობით ძმაო!.. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარა ნახავ“ (წერეთელი 1961^ბ: 321); უფრო ადრე, 1882 წლის 17 აგვისტოს, აკაკიმ თელავში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც საგანგებოდ აღნიშნა: „ძველადაც, საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავ-განწირულ მამულისშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მონინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიაც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოურჩე-

ბიან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი თ. ილია ჭავჭავაძე“ (წერეთელი 1960^ბ: 196).

45. **„ცხრაასის წლის „ივერიაში“ „ახალმოსულის“ საპასუხო წერილის გამო...“** – 1900-იან წწ. ნოე ჟორდანიასთან კამათის დროს ილიამ (მათ შორის, „ახალმოსულის“ ფსევდონიმით) არაერთხელ აგდებულად მოიხსენია ვ. კირვალიძე (ჭავჭავაძე 1956: 268, 280, 281, 283, 293, 294), რასაც ვ. კირვალიძის უკმეხი პასუხი მოჰყვა (კირვალიძე 1900^ბ: 190-191; საკითხის შესახებ იხ. აბაშიძე 1991: 38-39, 44-51).

46. **„...გაუმართეს იუბილი“** – აკაკის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე 1908 წ. დეკემბერში თბილისსა და ქუთაისში ჩატარდა (იუბილესა და მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე იხ. შარაძე 2006^ბ).

47. **„სავაჭრო გაზეთი“** – ავტორს მხედველობაში აქვს ყოველდღიური ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი **„სავაჭრო გზა“**, რომელიც თბილისში გამოდიოდა 1908 წლის აგვისტო-დეკემბერში [რედაქტორ-გამომცემელი იოსებ (სოსიკო) მერკვილაძე]. გაზეთში ფართოდ გაშუქდა აკაკის იუბილესათვის მზადებაცა და თვითონ იუბილეს. ვ. კირვალიძე იუბილეზე გამოვიდა რაჭის სოფ. „ზვარეთის საზოგადოების მონდობილობით“, წარმოთქვა სიტყვა და ლექსი („ჩვენო მოძღვარო...“). კერძოდ, ორატორმა თქვა: „თქვენმა მადლიანმა კალამმა... აგვიხილა თვალები იმ პატარა გლეხის შვილებს, რომელთაც თქვენ თვითონ უწოდეთ „ეროვნების ფესვი“ და სიხარულით ახტაცებულნი გიმღერიან მრავალ-ჟამიერს“ (სავაჭრო გზა 1908).

48. **გიორგი სხირტლაძე** – ჩვენ იმ დროის ერთადერთი **გიორგი სხირტლაძე** ვიცი, რომელიც 1900-იან წწ. თბილისის მეპურეთა უსტაბაში იყო (ცნობის ფურცელი 1904^ბ) და, შეძლებისდაგვარად, ქველმოქმედებასაც ეწეოდა. კერძოდ, მას 1902 წელს ჩუღურეთის საკვირაო სკოლისათვის 10 მანეთი შეუწირავს (ივერია 1902), ხოლო 1903 წელს მსახიობ ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის „სასარგებლოდ“ 20 მანეთი გაუღია (ივერია 1903), მაგრამ არის თუ არა ეს **გიორგი სხირტლაძე** ვ. კირვალიძის მოგონებაში ნახსენები პირი, ამაზე დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით.

49. **მუშკორი** – მუშა-კორესპონდენტი.

50. **თარხნიშვილის ასული** – შესაძლებელია, ეს იყოს **ელისაბედ (ლიზა) თარხნიშვილი (თარხან-მოურავი)** (1864-1935; სხვა მონაცემებით – 1866-1937), აკაკის ახლო მეგობარი, რომელსაც პოეტმა უძღვნა ლექსი „პასუხი ლ. თარხნიშვილის ქალს“ (წერეთელი 1954^ა: 428). აკაკის წერილები ე. თარხნიშვილისადმი იხ.: წერეთელი 1963: 256-259; წერეთელი 2010: 254-261.

51. **ჭიათურის მარგანეცის** („შავი ქვის“) მოპოვება-დამუშავებასთან აკაკის დამოკიდებულების შესახებ იხ.: კოჭლავაშვილი 1958; წერეთელი 2005: 10-18.

52. **ივანე ელიაშვილი** (1864-1932) – ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ა. წერეთლის მეგობარი და მისი ანდერძის აღმსრულებელი (წერეთელი 1961^ა: 590). ივ. ელიაშვილის მოგონება „აკაკი“ იხ. ელიაშვილი 1990: 128-151. აკაკის წერილი ივ. ელიაშვილის შემოქმედებაზე იხ. წერეთელი 1961^ა: 444-447. აკაკის ბარათები ივ. ელიაშვილისადმი იხ. წერეთელი 1963: 205-212.

53. **„ვანო მაჩაბლის და ილია ჭავჭავაძის ბრძოლა...“** – იგულისხმება თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებულ საკითხებზე 1891-1896 წწ. ი. ჭავჭავაძესა და ივ. მაჩაბელს შორის გამართული ცნობილი შეტაკება (ე. წ. „ბანკობიდა“), რომელიც ილიას გამარჯვებით დასრულდა და ამან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ივ. მაჩაბლის გარიყვა გამოიწვია („ბანკობიადის“ შესახებ იხ.: ჭელიძე 1957: 294-305, 308-313, 327-362; თელია 1989: 135-212; კვატაია 1993: 74-101 და სხვ.).

54. **„ჩაადო სიდამბლეში...“** – აკაკის ხშირად მოსდიოდა ცოლ-შვილისაგან წერილი თუ დეპეშა ალექსის (შინაურობაში *ლოლიას* ეძახდნენ) თავს დატეხილი ვალებისა და ფულის სასწრაფოდ გაგზავნის აუცილებლობის შესახებ (შიგადაშიგ ალექსი თვითმკვლევლობითაც იმუქრებოდა). ამას მოსდევდა აკაკის სასონარკვეთილი მცდელობანი, ეშოვა ფული და ამით შვილი გამოუვალი მდგომარეობიდან დაეხსნა (ელიაშვილი 1990: 133-135; ლალიძე 1990: 284-285; ფალავა 1990: 421 და სხვ.). პოეტს დამბლა, რომელმაც მისი სიკვდილი გამოიწვია, 1914 წლის 25 დეკემბერს დაემართა, ამას კი წინ უძღოდა ალექსის მორიგი წერილი ფულის სასწრაფოდ გაგზავნის თხოვნა-ვედრებით, რასაც, ჩვეულებისამებრ, აკაკის ძლიერი სულიერი შფოთვა მოჰყვა (გურგენიძე... 1989: 547-548; შარაძე 2007: 39-41).

დამონშეგანი:

- აბაშიძე 1880:** აბაშიძე ივ. [კიტა]. უფალო რედაქტორო! „დროება“, 26.I, 1880, №20.
- აბაშიძე 1896:** აბაშიძე კ. ცილისნამებითი მიდრეკილება. „ივერია“, 5.III, 1896, №51.
- აბაშიძე 1899^ა:** აბაშიძე კ. თავადი აკაკი წერეთელი და ქუთაისის ბანკი. „მოამბე“, 1899, №8.
- აბაშიძე 1899^ბ:** აბაშიძე კ. თ-დი აკაკი წერეთელი და მისი თავის მართ-ლება. „მოამბე“, 1899, №12.
- აბაშიძე 1913:** აბაშიძე კ. დავიანებული პასუხი. „სახალხო გაზეთი“, 29.III, 1913, №858.
- აბაშიძე 1962:** აბაშიძე კ. აკაკი წერეთელი. // კ. აბაშიძე. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. დ. გამეზარ-დაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით. თბილისი: თბილი-სის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1962.
- აბაშიძე 1971:** აბაშიძე კ. ცხოვრება და ხელოვნება. დ. გამეზარდაშვი-ლის რედაქციითა და შესავალი წერილით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1971.
- აბაშიძე 1991:** აბაშიძე კ. „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ გ. აბაშიძის რედაქციით, წინათქმით, კომენტარებითა და შენიშვნებით. თბილი-სი: ხელოვნება. 1991.
- ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი ი. ლიტერატურული და რევოლუ-ციური წრეები გორში (მეცხრამეტე საუკ. 70-80-90-იანი წლები). თბილისი: საბლიტგამი. 1940.
- გაბოძე 2009:** გაბოძე ჯ. აკაკის თხზულებათა გამოცემები. თბილისი: შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2009.
- გაჩეჩილაძე 1990:** გაჩეჩილაძე მ. გაუნადგებელი ვექსილი. შ. ბარამი-ძის პუბლიკაცია. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 59-60, 1990.
- გერსამია 1984:** გერსამია თ. ძველი თბილისი. თბილისი: საბჭოთა სა-ქართველო. 1984.
- გომელაური 1990:** გომელაური ივ. პატარა ცემში. შ. ბარამიძის პუ-ბლიკაცია. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 59-60, 1990.
- გურგენიძე... 1989:** გურგენიძე ნ., გორგაძე ი. აკაკი წერეთელი. ცხოვრე-ბისა და შემოქმედების მატყანე. თბილისი: მეცნიერება. 1989.

- დროება 1882:** არწრუნის თეატრი. ოთხშაბათს, 17 ნოემბერს... „დროება“, 16.XI.1882, №239.
- დროება 1882:** დღიური („როგორც ამას ნინათ იყო გამოცხადებულნი...“). „დროება“, 9.XI, 1882, №234.
- ელიაშვილი 1990:** ელიაშვილი ი. აკაკი. // მოგონებები აკაკიზე. შემდგენლები შ. ბარამიძე და ა. ლომიძე. თბილისი: საქართველო. 1990.
- ენიკოლოფაშვილი 1990:** ენიკოლოფაშვილი ი. საქაშეთსა და ბრილში. შ. ბარამიძის პუბლიკაცია. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 59-60, 1990.
- ვართაგავა 1962:** ვართაგავა ი. მოგონებები. ნაწილი II. თბილისი: ცოდნა. 1962.
- ვაშაკიძე 1899:** ვაშაკიძე ე. პირმოთნეობა ჩვენში. „ივერია“, 13.XI, 1899, №245; 14.XI, 1899, №246.
- ვაშაკიძე 1900:** ვაშაკიძე ე. მწერლობა საზოგადოთ. „ივერია“, 13.II, 1900, №34; 15.II, 1900, №35.
- ველიჩკო 2003:** Величко В. Л. Кавказ. Русское дело и междуплеменные вопросы. Чёрная книга или кавказцы против русских. Хроника начала XXI века. Москва: ФЭРИ-В. 2003.
- ზამბახიძე 1990:** ზამბახიძე სპ. მოგონება. // მოგონებები აკაკიზე. შემდგენლები შ. ბარამიძე და ა. ლომიძე. თბილისი: საქართველო. 1990.
- თაყაიშვილი 1968:** თაყაიშვილი ე. მოგონებანი. // ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ. ტ. I. თბილისი: მეცნიერება. 1968.
- თაყაიშვილი 1991:** თაყაიშვილი ე. გიორგი წერეთელი. // ე. თაყაიშვილი. ემიგრანტული ნაშრომები. შემდგენელი გ. შარაძე. თბილისი: მეცნიერება. 1991.
- თელია 1989:** თელია ა. ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე. თბილისი: განათლება. 1989.
- იაშვილი 1903:** იაშვილი პორფ. ზემო რაჭა. „ივერია“, 11.III, 1903, №56.
- ივერია 1891:** ნარკვევი („თ. მეშჩერსკი ძალიან ჰშიშობს...“). „ივერია“, 9.V, 1891, №97.
- ივერია 1895:** პოეტის ველიჩკოს პატივსაცემლად გამართული ნადიმი. „ივერია“, 10.X, 1895, №217.

- ივერია 1897:** განსვენება და დაკრძალვა კნეინა ნინო გრიგოლის ასულის დიასამიძისა. „ივერია“, 27.IV, 1897, №80.
- ივერია 1902:** ახალი ამბავი („ჩუღურეთის საკვირაო სკოლისათვის). „ივერია“, 14.II, 1902, №37.
- ივერია 1903:** ტფილისი („ბანკის რესტორანის პატრონმა...“). „ივერია“, 24.I, 1903, №19.
- კვალი 1895:** თ. გრიგოლ როსტომის ძის წერეთლის დასაფლავება. „კვალი“, 1895, №46.
- კვალი 1896:** აკაკის მიგებება ხარკოვში. „კვალი“, 1896, №7.
- კვალი 1897:** ნეკროლოგი [ნინო დიასამიძე]. „კვალი“, 1897, №18.
- კვატაია 1993:** კვატაია მ. ტრაგიკული ორთაბრძოლა – ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1993, №1.
- კირვალიძე 1900^ა:** სიტყვა თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლის ვასილ კირვალიძისა. „კვალი“, 1900, №4.
- კირვალიძე 1900^ბ:** გლეხი ვას. კირვალიძე [კირვალიძე, ვასილ]. მცირე შენიშვნა. „კვალი“, 1900, №12.
- კირვალიძე 1914:** კირვალიძე ვ. ვანო მაჩაბელი. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, №20.
- კირვალიძე 1923:** კირვალიძე ვ., ალ. ყაზბეგი. „თეატრი და ცხოვრება“, 1923, №3.
- კირვალიძე 1926:** კირვალიძე ვ. აკაკი. „კომუნისტი“, 1.VIII, 1926, №174.
- კირვალიძე 2007:** კირვალიძე ვ. დიმიტრი ყიფიანი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. II. თბილისი: ზეკარი. 2007.
- კოტინოვი 1996:** კოტინოვი ნ. აკაკი წერეთლის პირადი წერილები ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-მაჩაბლისადმი. „მნათობი“, 1996, №9-10.
- კოჭლავაშვილი 1958:** კოჭლავაშვილი ა., ა. წერეთელი და ქიათურის მარგანეცი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1958.
- ლასხიშვილი 1934:** ლასხიშვილი გ. მემუარები (1885-1915). ტფილისი: პოლიტკატორღელთა საზოგადოების გამოცემა. 1934.

- ლალიძე 1990:** ლალიძე მ. შეხვედრები დიდ პოეტთან, // მოგონებები აკაკიზე. შემდგენლები შ. ბარამიძე და ა. ლომიძე. თბილისი: საქართველო. 1990.
- მანსვეტაშვილი 1936:** მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი (ნახული და გაგონილი). ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი: ფედერაცია. 1936.
- მარკოზაშვილი 1990:** მარკოზაშვილი შ. ერთი ოთახი პოეტისათვის. „თბილისი“, 24.VIII, 1990, №194.
- მერკვილაძე 1904:** მერკვილაძე ს. აკაკის უფროსის დის ანნა წერეთლის ქალის გადმონაცემი. „ივერია“, 6.VIII, 1904, №181.
- მერკვილაძე 1908:** მერკვილაძე ნ. აკაკის იუბილეზე. „სავაჭრო გზა“, 7.XII, 1908, №26.
- მერკვილაძე 1990:** მერკვილაძე ს. მწარე მოგონება. // მოგონებები აკაკიზე. შემდგენლები: შ. ბარამიძე და ა. ლომიძე. თბილისი: საქართველო. 1990.
- მიქელაძე 1990:** მიქელაძე კ. დიდი აკაკი. // მოგონებები აკაკიზე. შემდგენლები შ. ბარამიძე და ა. ლომიძე. თბილისი: საქართველო. 1990.
- მოჩხუბარიძე 1881:** ა. მოჩხუბარიძე [ყაზბეგი, ალექსანდრე] ა. ლექციები ქართულს ენაზედ. „დროება“, 1.IV, 1881, №69.
- სავაჭრო გზა 1908:** „რაჭის მაზრის სოფ. ზვარეთის საზოგადოების მცხოვრებნი...“ „სავაჭრო გზა“, 28.XII, 1908, №29.
- უცნობი აკაკი 2001:** უცნობი აკაკი (ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები). გამოსაცემად მოამზადეს ი. ევგენიძემ და ნ. ფრუიძემ, შესავალი წერილი ი. ევგენიძისა, შენიშვნები და კომენტარები ნ. ფრუიძისა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 2001.
- ფალავა 1990:** ფალავა დ. ოთხი წელი აკაკისთან. // მოგონებები აკაკიზე. შემდგენლები შ. ბარამიძე და ა. ლომიძე. თბილისი: საქართველო. 1990.
- ქვარიანი 1900:** ქვარიანი სვ. გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი (მცირე მოგონება). „აკაკის კრებული“, 1900, №2 (განყ. I).
- ყიფიანი 1914:** ყიფიანი ნ. სიზმარი. „თემი“, 20.I, 1914, №159.
- შარაძე 1993:** შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ. წგნ. II. თბილისი: მერანი. 1993.

- შარაძე 2006^ა:** შარაძე გ. აკაკი წერეთელი. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. თბილისი: 2006.
- შარაძე 2006^ბ:** შარაძე გ. აკაკის იუბილე. თბილისი: 2006.
- შარაძე 2006^გ:** შარაძე გ. აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს. თბილისი: 2006.
- შარაძე 2007:** შარაძე გ. აკაკის სიკვდილი და დასაფლავება. თბილისი: 2007.
- ცნობის ფურცელი 1897:** ქ. გორი. კნ. დიასამიძის განსვენება. „ცნობის ფურცელი“, 27.IV, 1897, №180.
- ცნობის ფურცელი 1904^ა:** ქართული თეატრი. „ცნობის ფურცელი“, 6.I, 1904, №2372.
- ცნობის ფურცელი 1904^ბ:** „ტფილისის ხელოსანთა მოურავმა რაფაელოვმა...“ „ცნობის ფურცელი“, 8.V, 1904, №2489.
- წერეთელი 1950^ა:** წერეთელი ა. ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზე. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. II (გ. აბზიანიძის რედაქტორობით). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1950.
- წერეთელი 1950^ბ:** წერეთელი ა. ახალი სამართალი (კატა და ძაღლი). // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. I (გ. აბზიანიძის რედაქტორობით). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1950.
- წერეთელი 1950^გ:** წერეთელი ა. ნიკო დიასამიძის სახსოვრად. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. II (გ. აბზიანიძის რედაქტორობით). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1950.
- წერეთელი 1950^დ:** წერეთელი ა. „კიტა აქეთ!.. კიტა იქით!..“ // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. II (გ. აბზიანიძის რედაქტორობით). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1950.
- წერეთელი 1950^ე:** წერეთელი ა. ყიზილბაშური. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. II (გ. აბზიანიძის რედაქტორობით). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1950.
- წერეთელი 1954^ა:** წერეთელი ა. ბეტა ჭიჭინაძეს. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. III (გ. აბზიანი-

ძის რედაქტორობით). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1954.

წერეთელი 1954^ა: წერეთელი ა. პასუხი ლ. თარხნიშვილის ქალს. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. III (გ. აბზიანიძის რედაქტორობით). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1954.

წერეთელი 1955: წერეთელი ა. ყრმობისდროინდელი ლექსები. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. IV (გ. აბზიანიძის რედაქტორობით). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

წერეთელი 1956: წერეთელი ა. ალექსი (ზღაპარი ყმაწვილებისათვის). // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. V (ტომის რედაქტორი. ი. გრიშაშვილი). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1956.

წერეთელი 1958: წერეთელი ა. ჩემი თავგადასავალი. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. VII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1958.

წერეთელი 1960^ა: წერეთელი ა. წერილი რედაქტორთან. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

წერეთელი 1960^ბ: წერეთელი ა. სიტყვა იმერლებზე. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

წერეთელი 1960^გ: წერეთელი ა. ქვა-გუნდის ამბავი. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XI (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

წერეთელი 1960^დ: წერეთელი ა. სათეატრო შენიშვნა. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

წერეთელი 1960^ე: წერეთელი ა. რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XI (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

- წერეთელი 1960**Ⴄ: აკაკის სიტყვა თქმული 1882 წლის 17 აგვისტოს თე-
ლაგვი. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთ-
მეტ ტომად). ტ. XII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი:
საბჭოთა საქართველო. 1960.
- წერეთელი 1961**Ⴄ: წერეთელი ა. მცირე შენიშვნა („გაზეთ „ივერიის“ ამ
წლის 42 №-ში...“). // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებუ-
ლი (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე).
თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961**Ⴄ: წერეთელი ა. ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზე. // ა.
წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ.
XIII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქარ-
თველო. 1961.
- წერეთელი 1961**Ⴄ: აკაკის ანდერძი. // ა. წერეთელი. თხზულებათა
სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი
გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961**Ⴄ: აკაკის წერილი თ. ილია ჭავჭავაძესთან. // ა. წე-
რეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ.
XIII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქარ-
თველო. 1961.
- წერეთელი 1961**Ⴄ: წერეთელი ა. ორ კიტაობა. // ა. წერეთელი. თხ-
ზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIII (ტომის
რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961**Ⴄ: წერეთელი ა. დაგვიანებული პასუხის საპასუხოდ. //
ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად).
ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა სა-
ქართველო. 1961.
- წერეთელი 1961**Ⴄ: წერეთელი ა. სიტყვა გრიგოლ წერეთლის დაკრძალ-
ვაზე. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ
ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი:
საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961**Ⴄ: წერეთელი ა. სიტყვა ალექსი ჭიჭინაძის პატივსაცე-
მად გამართულ ნადიმზე. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული
კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIII (ტომის რედაქტორი გ. აბ-
ზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.

- წერეთელი 1961^ა:** წერეთელი ა. უკანასკნელი პასუხი. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961^ბ:** წერეთელი ა. სახუმარო გასართობი. აღუუუ! // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961^ვ:** აკაკის ორი სიტყვა, წარმოთქმული ხარკოვში მის საპატივცემლოდ გამართულ ნადიმზე. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961^გ:** წერეთელი ა. წლის თავზე მოხსენება განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIII (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961^დ:** წერეთელი ა. სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საქართველო. 1961.
- წერეთელი 1961^ე:** წერეთელი ა. ივანე ელიაშვილი. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საქართველო. 1961.
- წერეთელი 1963:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.
- წერეთელი 1966:** წერეთელი ა. წერილები ცოლ-შვილთან. ბ. ჟღენტის რედაქციითა და შესავალი წერილით. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1966.
- წერეთელი 1997:** სიტყვა აკაკისა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. I. თბილისი: ლომისი. 1997

- წერეთელი 1998:** წერეთელი ვ. გიორგი წერეთელი. // ვ. წერეთელი. ლიტერატურული წერილები. მემუარები. შეადგინა და წერილები დაურთო დ. თევზაძემ. თბილისი: მერანი. 1998.
- წერეთელი 2005:** წერეთელი ა. შავი ქვის თავგადასავალი. // აკაკის კრებული. ი. ევგენიძის მთავარი რედაქტორობით. II. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2005).
- წერეთელი 2010:** წერეთელი ა. საარქივო გამოცემა. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო მ. ყიფიანმა. წგნ. II. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი. 2010.
- ჭავჭავაძე 1900:** ახალ-მოსული [ჭავჭავაძე, ილია]. პატარა საუბარი. „ივერია“, 23.III, 1900, №65.
- ჭავჭავაძე 1956:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. VI. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1956.
- ჭავჭავაძე 1961:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. X. თბილისი: სახელგამი. 1961.
- ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი., თ. დავით გიორგის ძე ერისთავი (ნეკროლოგი). // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. V. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს: ე. შარაშენიძემ, ლ. მეგრელიშვილმა, ც. ყიფშიძემ, ლ. შავგულიძემ და ლ. ჭრელაშვილმა. ტომის რედაქტორი გ. აბაშიძე. თბილისი: მეცნიერება. 1991.
- ჭანტურია 2004:** ჭანტურია ნ. ახალი მასალები აკაკი წერეთლის ბიოგრაფიისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“. XXV. 2004.
- ჭელიძე 1957:** ჭელიძე ვ. ცხოვრება ივანე მაჩაბლისა. თბილისი: ხელოვნება. 1957.
- ხოშტარია 1990:** ხოშტარია ა. დაუვინყარი შეხვედრები აკაკისთან. // მოგონებები აკაკიზე. შემდგენლები შ. ბარამიძე და ა. ლომიძე. თბილისი: საქართველო. 1990.
- ხურცილავა 1980:** ხურცილავა ს. ქართული საზოგადოებრივი აზრი და მეფის ცენზურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1980.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და კომენტარები დაურთო **თამაზ ჯოლოგუამ**

დღიური 1857-1858 წლებისა

სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საკითხი, რისთვისაც ჯერ კიდევ მეფისნაცვალს (1854-1856) ნიკ. მურავიოვი ამზადებდა ნიადაგს (ჩხეთია 1963: 131; ჯანაშია 1988: 9-11), კიდევ უფრო აქტუალური გახდა ალ. ბარიატინსკის მმართველობის (1856-1862) წლებში, განსაკუთრებით – სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყების დროს. 1857 წლის აგვისტოს დასაწყისში სამეგრელოში შევიდა რუსული ჯარი, დამყარდა de facto რუსული მმართველობა, გენერალი ნიკ. კოლიუბაკინი დაინიშნა სამეგრელოს მმართველად, პეტერბურგში კი მიიღეს გადაწყვეტილება სამთავროს დროებითი მმართველის, ეკატერინე დადიანის, პეტერბურგში „მინვევის“ შესახებ. საამისო ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ალექსანდრე II-ის სურვილი, „ახლოს ჰყოლოდა მცირეწლოვანი მთავარი და თვალყური ედევნებინა მის აღზრდისათვის“ (ბოროზდინი 1934: 159; უნდა ითქვას, რომ ეკატერინე დადიანი მანამდეც იმყოფებოდა რუსეთში – 1856 წლის აგვისტოში იგი ალექსანდრე II-ის კორონაციასზე იყო მიწვეული მოსკოვში, საიდანაც რუსეთის ახალმა იმპერატორმა პეტერბურგში მიიწვია და სამეგრელოს დედოფალი იქ 1857 წლის გაზაფხულამდე დარჩა – ბოროზდინი 1934: 68-71).

სანამ ეკატერინე დადიანი შვილებითურთ პეტერბურგში გასამგზავრებლად ემზადებოდა (გაემგზავრა 1857 წლის 25 ოქტომბერს – ბოროზდინი 1934: 164), სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების ინვენტარიზაციის დაწყება გახდა საჭირო. მეფისნაცვალმა ალ. ბარიატინსკიმ ეს საქმე თავისი საბჭოს წევრს, დიმ. ყიფიანს, დაავალა.

დიმ. ყიფიანის 1857-1858 წწ. დღიურში სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის პროცესია ასახული.

ამის შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეკატერინე დადიანის თხოვნითა და მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის და-ვალებით 1859 წლის აპრილში დიმ. ყიფიანი დაინიშნა სამე-გრელოს მცირეწლოვანი მთავრის, ნიკოლოზ (ნიკო) დადია-ნის, ადგილ-მამულებისა და ქონების მეურვედ. დიმ. ყიფიანი ამ მოვალეობას ასრულებდა 1867 წლის 4 იანვრამდე, როცა სრულწლოვანებას მიღწეულმა ნ. დადიანმა იმპერატორ ალექ-სანდრე II-ს წარუდგინა მოხსენება, რითაც იგი მთავრის უფლე-ბებზე ნებაყოფლობით იღებდა ხელს (ტექსტი მოხსენებისა იხ. ჯორჯაძე 1989: 546-547). ამით სამეგრელოს სამთავრომ *de jure* დაასრულა არსებობა, ხოლო ნიკოლოზ დადიანი (ან უკვე და-დიან-მინგრელსკი) იქცა კერძო მემამულედ.

წინამდებარე „დღიური“ შედგენილია რუსულ ენაზე. დედა-ნი, რომელიც უცნობი ხელითაა ნაწერი, ხოლო ნასწორები და შეეცებულია დიმ. ყიფიანის მიერ, დაცულია კ. კეკელიძის სახე-ლობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Журнал занятиям члена совета главного управления, действительного стат-ского советника Кипиани по командировке его в Мингрелию с 2 октября 1857 года по 20 февраля 1858. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №386. ფ. 32). თარგმანი ჩვენია.

კავკასიის მეფისნაცვლის¹ მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილ 30 სექტემბრის მონერილობაში (№4012) ნათქვამია:

„სამეგრელოს მართვა-გამგეობისათვის სპეციალური საბ-ჭოს დაარსების გამო² აუცილებელია დადგინდეს ან განსვენე-ბული მთავრის, გენერალ-მაიორის, მთავარ დავით დადიანის, ოჯახის კუთვნილი ქონება და შემოსავალი, შედგეს ხსენებული ქონებისა და შემოსავლის ინვენტარიზაცია და შესაძლებელი სიზუსტით განისაზღვროს, თუ რა ოდენობის ფულადი გადა-სახადი უნდა იქნეს შემოღებული ნატურალური გადასახადის ჩასანაცვლებლად.

ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ ხელშეუხებლად იქნეს დაცული სამეგრელოს ყოფილი მთავრის

ობოლთა კერძო საკუთრების უფლება და, ამდაგვარად, მთელი თავისი სისრულით გამოვლინდეს ხელისუფლების ზრუნვა ასეთი დამსახურებული ოჯახის წევრთა მიმართ. შესაბამისად, მხედველობაში გვაქვს რა ამ საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მას თქვენს აღმატებულებას მივანდობ იმ იმედით, რომ საქმე თქვენდამი ჩემი პირადი ნდობის შესაფერისად შესრულდება.

ქონებისა და შემოსავლის დადგენა, რასაკვირველია, უნდა მოხდეს ან წერილობითი აქტების საფუძველზე, ან კერძო პირთა გამოკითხვის მეშვეობით. წერილობითი აქტების შესახებ უნდა მიმართოთ მის უგანათლებულესობას, მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულს ან მის რწმუნებულს. რაც შეეხება გამოკითხვებს, საჭირო იქნება მათი სათანადო ფორმით დამონმება. საამისოდ მთელი ამ საქმის შესრულებისას თქვენი თანმხლებნი იქნებიან მთავრის ქვრივ დადიანის ნდობით აღჭურვილი პირი და სამეგრელოს მმართველის³ მიერ დანიშნული ჩინოვნიკი.

როცა ზუსტად დადგინდება მთელი ქონება, რომელსაც აქედან შვილებითურთ გამგზავრებული ქვრივი მთავრისა სამეგრელოში დატოვებს და ის შემოსავალი, მას რომ შემოსდის, თქვენმა აღმატებულებამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებები, რომლებიც, ჯერ ერთი, ამ ქონებას გაფლანგვა-განიავებისგან დაიცავს და, ამას გარდა, ნატურალურ გამოსაღებს სრულად ან ნაწილობრივ მუდმივი ფულადი გამოსაღებით ჩაანაცვლებს.

ამ მოსაზრებების თაობაზე უნდა შეუთანხმდეთ სამეგრელოს მმართველს, დაკისრებულ საქმესთან დაკავშირებული მოქმედებების ყველა შედეგი გააცნოთ უშუალოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს⁴ და, მისი თანხმობით, საბოლოო მოხსენებასთან ერთად წარმომიდგინოთ ინვენტარიზაციის უწყისი, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი აქტები.

ხსენებული დავალების შეძლებისდაგვარად შესამსუბუქებლად, თანაშემწედ გინიშნავთ ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართველს, სამოქალაქო მრჩეველს – ჩილიაევს, რომელსაც დავალებული აქვს, იმოქმედოს თქვენი განკარგულებებისა და მითითებების მიხედვით“.

2-5 ოქტომბერი – ეს მონერილობა 1 ოქტომბერს მივიღე და მეორე დღესვე სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევთან ერთად თბილისიდან გავემგზავრე. 5 ოქტომბერს უკვე ქუთაისში ვიყავი. დავალებული მქონდა, ქალაქები ჩამებარებინა როგორც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის, რომელსაც, თავის მხრივ, ჩემს მივლინებასთან დაკავშირებული შესაბამისი განკარგულებები უნდა გაეცა, ისე – სამეგრელოს დედოფლისთვისაც. გენერალ-გუბერნატორს ქუთაისში ვერ ჩავუსწარი: ჯვარში იქაურებსა და კაზაკებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა და იქ იყო წასული, რათა ეს საქმე პირადად მოეგვარებინა.⁵

ვერ გავარკვიე, იქ რამდენ ხანს დაყოვნდებოდა; არც ის ვიცოდი, იძლეოდა თუ არა სამეგრელოში შექმნილი ვითარება ჩემი იქ ჩასვლის საშუალებას ან, ჩასვლის შემთხვევაში, სად უნდა მენახა იგი. 5 რიცხვში შიკრიკს წერილი გავატანე გენერალ-ლეიტენანტ გაგარინთან, ვთხოვდი ნებართვას, პასუხს არაუგვიანეს 8 რიცხვამდე დავლოდებოდი.

ამასობაში თავადი გაგარინი ქუთაისში დაბრუნდა – 7 რიცხვში, ღამით. მეორე დღეს წარვუდექით და მივიღეთ რჩევა, რაც შეიძლება სწრაფად გავმგზავრებულიყავით გორდში, მთავრის ქვრივ ეკატერინე ალექსანდრეს ასულთან, რომელიც გასამგზავრებლად ემზადებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ვენწეოდით.⁶

ვინაიდან სამეგრელოში ჩინოვნიკთა ნაკლებობაა, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს ჩინოვნიკის მიჩენა გაუჭირდებო და ამიტომ თავადმა გაგარინმა თანმხლები პირი თვითონ დამინიშნა – საარმიო კავალერიის მაიორი აბაშიძე; ამასთანავე, გასცა განკარგულება, გაეყოლებინათ ჩემთვის ორი გადამწერი, ორი მებარგული და ორი კაზაკი. ამას გარდა, მთავრის ქვრივ დადიანისთვის გადასაცემად გამატანა მთავარსარდლის ადიუტანტის, თავად გორჩაკოვის, მიერ წინააღმდეგ ჩამოტანილი პაკეტი. ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, ბ-ნი კრუზენშტერნი კი მაცნობებდა, რომ ამ პაკეტში იდო მეფისნაცვლის შეტყობინე-

ბა, რომლის მიხედვითაც, მთავრის შვილების მიერ სამეგრელოში დატოვებული ქონების მეურვეთა შერჩევა თვითონ მისი – მთავრის ქვრივის – სურვილზე იყო დამოკიდებული.

8 ოქტომბერი. მივიღე რა თავად გაგარინისგან ოფიციალური შეტყობინება (№1090), იმავე 8 რიცხვში გავემგზავრე ქუთაისიდან და მეორე დღეს უკვე სამეგრელოს დედოფალთან ვიყავი გორდში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ თბილისში ვიცოდი, მთავრის ქვრივისგან მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ მეტ-ნაკლებად მწვავე საყვედურების მოსმენა მომინევდა, შეხვედრის პირველი საათები ჩემთვის მაინც მეტისმეტად მძიმე გამოდგა. მე კარგად არ ვიყავი ჩახედული საქმეში, თუ რამ განაპირობა უფროსი შვილის სრულწლოვანებამდე სამეგრელოს დედოფლის ს.-პეტერბურგში მინვება და ამიტომ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: ან ჩუმად უნდა ვყოფილიყავი და მესმინა მისი საყვედურები და დრტვინვა, ან კიდევ დამერწმუნებინა იმ ღონისძიების გარდაუვალობაში, მის საყვედურებს რომ იწვევდა. პირველი გზა არ იქნებოდა შესაფერისი, ჯერ ერთი, ჩემი ფუნქციის გამო და, გარდა ამისა, უმაღლეს ჩინოვნიკობასაც მიგეკუთვნებოდი და მეფისნაცვლის პირადი ნდობითაც ვიყავი აღჭურვილი; მეორე გზა რთული არ იქნებოდა, საქმის გარემოებები რომ მცოდნოდა. ისლა დამრჩენოდა, საყვედურები მესმინა მოთმინებით და არ დამეკარგა იმედი, რომ თვითონ მისივე სიტყვები მომცემდა მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლის საშუალებას.

ყველაზე მაგარ-მაგარ გამოთქმებს მთავრის მეუღლე ფლიგელ-ადიუტანტ ჩერტკოვის, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ დიუკრუასის, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინისა და, დასასრულ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, თავად გაგარინის, მისამართით ხმარობდა: ადანაშაულებდა მათ ცალკეული მოქმედებებისა თუ ცალკეული განკარგულებების გამო; დაასკვნიდა,

რომ ან ვერც ერთი მათგანი ვერ ხედავდა ჭეშმარიტებას, ან მონდომებული იყვნენ, ჭეშმარიტებას მეფისნაცვლამდე ვერ მიეღწია. –

ხაზგასმულმა ყურადღებამ, რომლითაც მე მის ჩივილსა და საყვედურებს ვუსმენდი, მთავრის მეუღლე ბუნებრივად მიიყვანა შეგნებამდე, ჩემი განმარტებებიც მოესმინა: თავადი გაგარინი, – ვთქვი მე, – მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა თუნდაც ახლო ნათესაობის გამო. გაგარინი ხომ მისი დის მეუღლეა!¹⁷ გენერალ კოლიუბაკინს მის ოჯახთან ყოველთვის თითქმის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა; დიუკრუსი პირდაპირი და კეთილმოსურნე ადამიანის რეპუტაციით სარგებლობს; ჩერტკოვს არ ვიცნობ, მაგრამ მისი აქ ყოფნიდან იმდენად ცოტა დროა გასული, რომ შეუძლებელია, სამეგრელოს საქმეებში მონაწილე მხარეებიდან რომელიმეს მიმართ, უკიდურეს შემთხვევაში, მიკერძოებული ინტერესი გასჩენოდა. ჩამოთვლილთაგან ვერც ერთი ვერ წარუდგენდა ხელმძღვანელობას გაყალბებულ სურათს. არც იმას გამოვრიცხავდი, რომ, ვთქვათ, საქმისადმი მიდგომის მხრივ ყველა ცდებოდა, მაგრამ, მოდით, ვნახოთ მათ მიერ წარდგენილ მოხსენებათა შედეგი. მმართველობის წესი, რომლის წინააღმდეგაც თითქმის მთელი სამეგრელო წავიდა, მთავრის სრულწლოვანებამდე შეიცვალა სხვა, დროებითი, წესით. მთავარი პეტერბურგშია მიწვეული. იქ გაცილებით უკეთ, ვიდრე სხვაგან – მით უფრო, შინ – არის შესაძლებელი მისი მოვალეობის შესაფერისი აღზრდა-განათლების მიღება; ოჯახის ყველა შემოსავალი მთავარს შენარჩუნებული აქვს; გარდა ამისა, ხელმწიფემ მას თავისი გულუხვობით დაუნიშნა 30 ათასი მან. წელიწადში. შეუძლებელია ამაში დავინახოთ სხვა რამ, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ მეფური კეთილმონყალება.

განმარტებებმა მთავრის მეუღლე დააფიქრა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა, თავისუფლად მევლო მიზნისკენ, რომელსაც ინსტრუქცია ან დაკისრებული დავალება კი არ მიკარნახებდა, არამედ – მოვალეობა, დამემშვიდებინა მგლოვიარე მანდილო-

სანი და დავხმარებოდი სულიერი ძალების მოკრებაში, რათა მშვიდად და ნდობით აღვსილი დასდგომოდა შორეულ გზას. ეს კი არა მხოლოდ მისთვის და მისი შვილებისთვის, არამედ, და განსაკუთრებით, მთელი ამ მხარისთვის იყო აუცილებელი – იმ ყველაფრიდან, რაც მე ვნახე და მოვისმინე გორდში ჩასვლამდე, გამოდიოდა ერთადერთი დასკვნა: თუ დედოფალი არ შეწყვეტდა შეურაცხყოფილის მდგომარეობაში ყოფნას, ადვილი შესაძლებელი იყო, სამეგრელოდან მის გასვლას არეულობა მოჰყოლოდა.

ჩემმა ძალისხმევამ, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით მაინც, ნაყოფი ძნელად, მაგრამ მაინც გამოიღო: რამდენიმე საათის შემდეგ მთავრის მეუღლე საყვედურიან კილოს უკვე იშვიათად უბრუნდებოდა. სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი ამ საქმეში ენერგიულად მებმარებოდა. მისი შემწეობით – სამართლიანობა მოითხოვს, ეს ითქვას – გორდში ჩვენი ყოფნის პირველი ორი დღის განმავლობაში მთავრის მეუღლე სრულიად დამშვიდდა, საყვედურები შეწყვიტა, შეეგუა აზრს, რომ გამგზავრება მოუწევდა, დაგვეთანხმა, რომ ამჟამინდელი მმართველობითი ცვლილებები მისი სამფლობელოსთვის უდავოდ სასარგებლო იყო, უკიდურეს შემთხვევაში, მისი შვილებისთვის მაინც და, დასასრულ, მკაფიოდ გაიაზრა სამეგრელოდან გასვლისას სიმშვიდის შენარჩუნების აუცილებლობა. ერთი სიტყვით, იგი სავსებით მიენდო ხელმწიფის კეთილმონყალეზას და, ვგონებ, არ შევცდები, თუ ვიტყვი – მთავრის მეუღლე გამოიყენებს მთელ თავის გავლენას (ვინც რა უნდა ითქვას, სამეგრელოში მას გავლენა აქვს), რათა მისი გამგზავრებისას აქ უკმაყოფილების ხმა არ ისმოდეს.

მივალწიე რა ყოველივე ამას, ამასთანავე, ვალდებული ვიყავი, როგორც კერძო პირი, ნავსულიყავი დათმობაზე და დამეკმაყოფილებინა მთავრის მეუღლის ერთი მტკიცე და დაჟინებული მოთხოვნა. იგი დაბეჯითებით მოხოვდა თანხმობას, მისი შვილების მამულების მეურვეობა ჩემს თავზე ამელო.

მთავრის მეუღლე იმ პირობასაც აყენებდა, რომ თანხმობა სამეგრელოში ჩემდამი დაკისრებული დავალების ამოწურვის შემდეგ გამომეცხადებინა, რასაკვირველია, თუკი იმ მიზეზებს, რომელთა გამო შეიძლებოდა ახლავე უარი მეთქვა, სხვაც არ დაემატებოდა. უარის მიზეზები მასთან არც დამიმალავს: მოვალეობა მეურვისა ფრიად მნიშვნელოვანია როგორც სინდისის, ისე – კანონის წინაშე, პასუხისმგებლობა კი უნდა შეესაბამებოდეს იმ ნდობას, ობლების დედა და კანონები რომ აკისრებს მეურვეს. პატიოსან ადამიანს კი შეიძლება სურდეს რაგინდარა, ოღონდ არავითარ შემთხვევაში – ნოდება მეურვისა.

9 და 10 ოქტომბერი ამგვარ მოლაპარაკებებში გაილია.

11 ოქტომბერი – მივიღე მთავრის მეუღლის მომართვა (№26):

1. მისი ოჯახის კუთვნილ ადგილ-მამულთა მდგომარეობის გამორკვევისას ჩემ გვერდით იქნება მთავრის სახლთუხუცესი – პრაპორშიკი, თავადი დავით ჩიქოანი, რომელსაც თანაშემწეობას გაუწევს თავადი სიკო ჩიქოანი. სამთავრო ოჯახის მხრიდან ისინი წარმოდგენენ აგრეთვე იმ ცნობებსა და აქტებს, რომლებსაც მე ჩავთვლი საჭიროდ. –

2. იმ მამულების აღწერისას, რომელიც მთავრის მეუღლის სამუდამო მფლობელობაშია, ჩემი თანმხლები პირები იქნებიან მისი სახლთუხუცესი – პრაპორშიკი, თავადი დათა ჩიქოანი, რომელსაც თანაშემწეობას გაუწევს აზნაური გოგისა ყიფიანი. ისინიც წარმომიდგენენ საჭირო ცნობებსა და აქტებს.

3. ზოგიერთი პირი სარგებლობს დროით გამონვეული სირთულეებით, იტაცებს და აჩანავებს სამთავრო ტყეებსა და მის მიდამოებს. მთავრის მეუღლე მთხოვს სათანადო განკარგულებას, რათა მეურვეობის დაწესებამდე მისი კუთვნილი ტყეები სათანადოდ იყოს დაცული. –

4. მისი გამგზავრების შემდეგ დარჩენილ შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ ქონებას მიანდობს თავის ერთგულ ხალხს – ზე-

მოთ დასახელებულ თავადებს, რომლებიც თავის დროზე წარმომიდგენენ შესაბამის დავთრებს.

5. ვინაიდან მე საქმეები სვანეთსა და ლეჩხუმშიც მექნება, მიიჩნევს, რომ იქ გამგზავრება გაცილებით მოსახერხებელი იქნება ახლავე, სანამ მოახლოებულ ზამთარს გზები არ ჩაუკეტავს; და

6. გადმომცემს სამეგრელოს მთავრის კუთვნილ სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებულ ქალაქებსა და მთხოვს, გადავცე ისინი სამეგრელოს მმართველ საბჭოს დასამონმებლად და მეურვეობისთვის გადასაცემად. პუნქტები 1, 2, 4 და 5 ცნობად მივიღე, მე-2 პუნქტის გათვალისწინებით იმავე **11 რიცხვში** ოფიციალური თხოვნით (№3) მივმართე სამეგრელოს მმართველს, გაეცა განკარგულება, რათა სამეგრელოში აკრძალულიყო ხელის ხლება ყოველგვარი უძრავი თუ მოძრავი ქონებისთვის, რომელიც უკანასკნელი წლების მონაცემებითა და კერძო თუ საუფლისწულო უფლებებით უშუალოდ სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სარგებლობაში შედიოდა. ამასთანავე, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს შევატყობინე მომართვის მე-4 პუნქტის შინაარსიც – იმ პირობებს, რომლებსაც შენობა-ნაგებობებისა და სხვა ქონების დაცვა-შენახვა აქვთ დავალებული, ადგილობრივი ხელისუფლებისგან ჯეროვანი დახმარება უნდა გასწეოდათ.

მე-6 პუნქტში ნახსენები სავალო ვალდებულების, 70 ათასი მანეთის, მიღება და შენახვა ერთობ მოუხერხებლად მივიჩნიე, რადგან ქვაშიხორში ჩასვლამდე ჯერ სვანეთი და ლეჩხუმი უნდა მომეველო. ვაცნობე ეს ყველაფერი მის უგანათლებულესობას და ვთხოვე, დანიშნულ ადგილას საბჭოს ჩამოსვლამდე თანხა შესანახად სახლთუხუცესებისთვის მიეზარებინა. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, მთავრის მეუღლე ჩემს თხოვნას სრული გაგებით მოეკიდა. –

მთავრის მეუღლის ზემოხსენებული მომართვის შემდეგ, **12 ოქტომბერს**, მისგანვე კიდევ ერთი უწყება მომივიდა (№31): იმდენად, რამდენადაც სახლთუხუცესი, თავადი დავით ჩიქოანი,

მთავრის მეუღლის გამგზავრებასთან დაკავშირებული საქმეებით არის დაკავებული, სვანეთსა და ლეჩხუმში ჩემი თანმხლები იქნება პორუჩიკი, თავადი სიკო ჩიქოანი. –

იმავე რიცხვით (№32) მთავრის მეუღლე დადიანმა გამოიგზავნა სახელობითი სია იმ პირებისა, რომლებიც სამთავრო ოჯახს ემსახურებოდნენ და ამის მერეც იმავე სამსახურში რჩებოდნენ. მთავრის მეუღლე მათ სიცოცხლის ბოლომდე ფულად გასამრჯელოს უნიშნავდა, მე კი მთხოვდა, თანხა დროულად გამეცა ხოლმე. – სიაში ჩამოთვლილ შვიდ პირს დანიშნული ჰქონდა ჯამაგირი 50-დან 200 მანეთამდე, სულ **580 მანეთი** ნელინაღში.

გადანყვეტილი მქონდა, დედოფლის რჩევისამებრ, სვანეთში გამგზავრება არ გადამედო, თუმცა ჩემზე მომაგრებული მანოერი, თავადი აბაშიძე არ ჩანდა და ამის თაობაზე გორდიდანვე 10 რიცხვში თავად გაგარინს მივწერე.

13 რიცხვში პასუხი მივიღე. ალექსანდრე ივანეს ძე მწერდა, რომ იმავე დღეს, საღამოს, თვითონ იქნებოდა გორდში და იმ დროისთვის თავადი აბაშიძეც იქ გამოცხადდებოდა. მართლაც ჩამოვიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამგზავრო ცხენები არ იყო საკმარისად და მათი დაქირავება ხონში მოგვიწვედა. ამ მიზეზით გორდიდან გასვლას 15 რიცხვამდე ვერ შევძლებდი.

ამასობაში მთავრის მეუღლესთან ერთ-ერთი საუბრისას – იგი უკვე სრულიად დამშვიდებული კილოთი ლაპარაკობდა შვილებსა და იმ ქონებაზე, რომელიც უნდა დაეტოვებინა – მან მითხრა, რომ მთავრის ოჯახის კუთვნილი ცხენების ჯოგი და ნახირი მთაში ჰყავდა გაშვებული და დრო იყო მათი ბარში ჩამორეკვისა. საზამთრო სადგომების მომზადება, აგრეთვე, გამოსაზამთრებლად საჭირო საკვებით მწყემსებისა და პირუტყვის უზრუნველყოფა ძველთაგანვე დამკვიდრებული წესით ბევრად ჰქონდა დაკისრებული ზუგდიდის ამჟამინდელი ოლქის რამდენიმე სოფელს: ჭაქვინჯს, ხობულეთს, აბასთუმანს, ზუგდიდს, სადარიას და სხვ. ახლანდელ ვითარებაში ადვილი შესაძლე-

ბელი იყო, მათ ბეგრისთვის თავი აერიდებინათ და ამიტომ მთავრის მეუღლე მთხოვდა, მისი ოჯახისთვის ამ აგრერიგად მნიშვნელოვანი საქმისთვის სათანადო ყურადღება მიმექცია. –

მე მაშინვე, კერძოდ, **13 რიცხვში** (№6), ამის თაობაზე გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს ოფიციალური თხოვნით მივმართე.

15 ოქტომბერი – დილით, ზუსტად გორდიდან გასვლის წინ, მომივიდა მთავრის მეუღლის სახელზე 12 რიცხვში გაგზავნილი მიმართვის (№30) პასუხი – ნუსხა სავალო ვალდებულებისა მთავრის მეუღლისა და სახლთუხუცეს დავით ჩიქოანის ხელმონერით. თანხა შესანახად დავით ჩიქოანს მიუღია.

10 საათზე გორდიდან გავედით. 7 საათის მგზავრობის შემდეგ ოყურეშში ჩავალწიეთ. გზა ცუდია. იგი ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს მიუყვება, ოყურეშამდე 2 კილომეტრზე, ხის ხიდიტ, რომელსაც ქვის ბურჯები აქვს, მარცხენა სანაპიროზე გადადის. ხის ნაწილი ხიდისა შესაკეთებელია დაუყოვნებლივ.

16 ოქტომბერი – ჩავედით სოფელ მურში, მანძილი – 30 ვერსი. პირველი ნახევარი გზისა იმაზე უარესია, რაც აქამდე გავიარეთ; გზის მეორე ნახევარი ცხენისწყლის ხან მარცხენა ნაპირს მიუყვება, ხანაც – მარჯვენას და გადის მურისა თუ აღვის ულამაზეს ხეობაში, რომელიც სიგრძით 10 ვერსამდეა, სიგანით – 3 ვერსამდე. ლეჩხუმში იგი ერთადერთია, რომელიც მოფენილია გორაკებით, ბექობებით, ფერდობებით, მათა მწვერვალებით. ყველგან ადამიანის შრომის კვალი ჩანს: მოვლილი და დამუშავებულია სახნავები, ვენახები. – მურის ხეობას გვირგვინად ციხე ადგას. იგი მთაზე, ზედ დადიანთა სასახლის თავზეა წამომართული და მურისკენ მიმავალ გზებს: პირდაპირ – სამეგრელოს, აღმოსავლეთით – რაჭის, დასავლეთით – ცხენისწყლის, ანუ სვანეთიდან გამომავალ ხეობებს აკონტროლებს.

17 ოქტომბერი – ჩავედით სადადიანო სვანეთის პირველ სოფელში – ლენტეხში. მანძილი – დაახლოებით 35 ვერსი. გზა

ალაგ-ალაგ ძნელად გასავლელია: გადასალახავია ღრანტეები, უფსკრულები, ზემოდან ციცაბო კლდეები დაგცქერით. ზოგან გზა მთიდან ჩამოშლილი ქვა-ღორღითაა ჩახერგილი, ავდრებში მოვარდნილი ღვარცოფისგანაა განადგურებული. ბილიკები ბევრგან ექვსიოდე გოჯის სიგანისა თუ იქნება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ეს გზა ისე გავიარეთ, თითქმის არ ჩამოვქვეითებულვართ. ამ გზის საჭიროების თაობაზე დღეს არსებულზე უფრო მკვეთრი მოთხოვნა რომ არსებობდეს, მისი შეკეთება სულაც არ უნდა იყოს რთული. ცხენისწყლის ერთი ნაპირიდან მეორეზე ორი-სამი ხიდის გადება მდგომარეობას გამოაკეთებს. ამჟამად გზა მურის ხიდიდან ძირითადად მარჯვენა ნაპირს მიუყვება – დროებითი ხიდებით მხოლოდ ორჯერ გადადის მარცხენა ნაპირზე. მურსა და ლენტეხს შორის, თითქმის შუაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს ჩოლურის ციხესიმაგრე, რომელიც მოქმედია და აქ ორი კომლი მოჯალაბეა დასახლებული. ჩვენ იქაურობა უნდა დაგვეთვალიერებინა, მაგრამ მდინარეზე გადასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მეორე ციხესიმაგრე ლენტეხშია. იგი როგორც თქმულებებსა და გადმოცემებში, ისე ცოცხალთა მეხსიერებაშიც შიშის მომგვრელადაა წარმოსახული. ეს ციხესიმაგრე გზების ჩამკეტია სვანეთსა ზოგადად და ლეჩხუმს შორის და ამჟამადაც შიშისმომგვრელია სვანებისთვისაც და მეგრელებისთვისაც, რადგანაც დადიანების იმ ქვეშევრდომთა საპყრობილეადაა გადაქცეული, დანაშაული რომ აქვთ ჩადენილი. – ეს ციხესიმაგრეც მოქმედია.

სწორედ ლენტეხში უნდა შევუდგე დაკისრებულ საქმეს და ამიტომ აქვე განვმარტავ, თუ რა გზებითა და ხერხებით ვაპირებ მუშაობას:

უნდა შევადგინო როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების დაწვრილებითი აღწერილობა.

უძრავი ქონების აღწერა უნდა მოხდეს სოფლის თანამდებობრივ პირთა და უხუცესთა მიერ ფიცის ქვეშ მიცემულ

ჩვენებებზე დაყრდნობით. ამ გზითვე უნდა აღირიცხოს ადგილ-მამულისგან მიღებული შემოსავლები. –

სოფლის თანამდებობრივ პირთა და უზუცესების მიერ ფიცის დადებას ჩემი თანმხლებნიც უნდა დაესწრონ: სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი, მაიორი, თავადი აბაშიძე და პორუჩიკი, თავადი სიკო ჩიქოანი. ეს უკანასკნელი იმ დრომდე, ვიდრე სახლთუხუცესი, პრაპორშჩიკი, თავადი დავით ჩიქოანი არ ჩამოვა.⁸ ამათ გარდა, გადავწყვიტე, ფიცის დამსწრეთა რიცხვში სამეგრელოს საბჭოს წევრი, პრაპორშჩიკი ფარნაოზ გელოვანიც ჩავერთო. იგი გენერალ-მაიორმა კოლიუბაკინმა საკუთარ წარმომადგენლად დანიშნა და სვანეთსა და ლეჩხუმში თან უნდა მახლდეს. მართალია, ამის შესახებ ოფიციალური შეტყობინება ჯერ არ მომსვლია, მაგრამ თავადმა გელოვანმა მისდამი გაგზავნილი მინერილობა წარმომიდგინა.

ცნობები შემდეგი ძირითადი საკითხების შესახებ უნდა შევკრიბო:

1. რა საზღვრებშია მოქცეული მამული?
2. არის თუ არა საზღვრებთან დაკავშირებული დავები?
3. არის თუ არა მთავრის უფლებების თაობაზე საზღვრებს-შიდა ტერიტორიებთან დაკავშირებული დავები?
4. რამდენი სული ცხოვრობს მამულში; რა შენობა-ნაგებობები დგას მამულში და აქედან რომელია საზოგადოებრივი და რომელი – მთავრის საკუთრება; რა ქონებაა ამ შენობა-ნაგებობებში; მინის რა მოცულობა უჭირავს სახნავ-სათესს, ვენახებს, ბაღებს, ტყეებს, სათიბებს, საძოვრებს? და
5. ვის რა ევალება გადასახადების, ბეგრისა თუ სხვა ვალდებულებების სახით? –

საზღვრების თაობაზე თვითონ მოსახლეობისგან მიღებულ ცნობებს, რასაკვირველია, იურიდიული ძალა ვერ ექნება. ადგილ-მამულის ადმინისტრირების ამჟამინდელ პირობებში ეს არც არის აუცილებელი. რაც შეეხება მიწასთან დაკავშირებულ სამიჯნე თუ შიდა დავებს, ამას ჩვენ ან ნაფიცი პირებისგან,

ან კიდევ ჩემი თანმხლები ადგილობრივი ხელმძღვანელი პირებისა თუ დედოფლის წარმომადგენლებისგან გავიგებთ. ასეთ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად გასაგები გახდება, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ხსენებულ დავებთან დაკავშირებული საქმეები – მიმდინარეობს თუ არა მათი წარმოება ან რომელ სტადიაზეა ეს საქმეები შეჩერებული. სადავო მამულებით სარგებლობა, თავისთავად ცხადია, გაგრძელდება ისე, როგორც ეს ჩემამდე იყო.

მოსახლეობის კამერალურ აღწერას მე არ ჩავატარებ. ეს დროსაც ბევრს ნაიღებს და არც დაკისრებული საქმისთვისაა აუცილებელი, თუმცა ცალკე სიებში აღვნიშნავ: კომლთა რაოდენობას, ოჯახის უფროსთა სახელებს, ოჯახის მამაკაც წევრთა რაოდენობასა და ყველა სახის ბეგარას. –

შენობა-ნაგებობებსა და სხვა ქონებას შეძლებისდაგვარად დავათვალიერებ პირადად და შედეგებს სპეციალურ აქტებში ჩავწერ. –

დასასრულ, მინის ფართობები, რასაკვირველია, განისაზღვრება არა ზუსტად, არამედ – მიახლოებით.

ასე და ამგვარად, თითოეული სოფლის მიხედვით შედგება:

ა) ფიცის ტექსტი და ნაფიც პირთათვის განკუთვნილი კითხვები;

ბ) ნაფიცი პირებისგან მიღებული ჩვენებები;

გ) აქტები შენობა-ნაგებობებისა და მათი მიკუთვნილობის შესახებ;

დ) აქტები ქონების შესახებ; და

ე) გლეხებისა და მათზე დაკისრებული საბეგრო ვალდებულებების ჩამონათვალი.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შედგება სამეგრელოს სამთავრო ოჯახის კუთვნილი ქონების საინვენტარო უწყისი, რომელსაც დაემატება სპეციალური დანართები:

1. ფიცის ფურცლები და ნაფიცი პირებისგან მიღებული ჩვენებები;

2. აქტები არსებული ქონების შესახებ;
3. ახსნა-განმარტებანი სადავო საკითხების შესახებ; და
4. გლეხებისა და მათზე დაკისრებული ბეგრის სია.

ამას გარდა, ყველა ამ მონაცემზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება სამთავრო ოჯახის შემოსავლის საერთო ტაბელის შედგენა.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას, ვითარება შესაბამის აღწერილობებსა და აქტებში უნდა აისახოს. –

იმისათვის, რომ არ განყდეს აუცილებელი კავშირი წინასწარგანზრახულ სამუშაოებს შორის, აგრეთვე, აღინიშნოს გეგმის შეცვლის ან საქმეთა შენელების გამომწვევი გარემოებები, გადავწყვიტე ამ ჟურნალის შედგენა. იგი უნდა იქცეს პასუხად სამეგრელოში ჩემ მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებულ კითხვებზე და, სხვათა შორის, მხარეში შექმნილი ვითარების ზოგიერთ განზოგადებულ შეფასებასაც უნდა შეიცავდეს.

მოვხაზე მუშაობის გეგმა და საქმეს **18 ოქტომბერს** სოფ. ლენტეხში შევუდექი. –

იმავედროულად, მხედველობაში უნდა მიმელო შემდეგი გარემოება:

სამეგრელოს სამთავრო ოჯახი მისდამი დაქვემდებარებულად მიიჩნევს თავისუფალი სვანეთის სამ სოფელს: ლატალს, ლენჯერსა და კალას. ამ სოფლების მცხოვრებლებს კომლზე 2 მისხალი თოფისნაშაღი აქვთ დაკისრებული. ჩავთვალე, რომ იქ გამგზავრებისა და ჩვენებების ადგილზე მიღების არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. მით უმეტეს, ამ დროს ეს უაღრესად სახიფათოცაა – პირველივე გაავდრება მთელი ზამთრის განმავლობაში მიმოსვლის ყოველგვარ საშუალებას მოსპობს. ამიტომაც მურში ყოფნისას თადარიგი დავიჭირე და იქაურ მამასახლისთა ჩემთან დაბარების განკარგულება გავეცი: პირველი ორი სოფლიდან – ლენტეხში, ხოლო მესამე სოფლიდან – ლაშხეთში.

ლენტეხში დანყებული შრომა თავიდანვე დიდად შემიმსუბუქა, თითქმის გამინახევრა, შემდეგმა გარემოებამ – ჩემდა მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ დადიანთა სამფლობელოში ჯერ კიდევ 1847 წლიდან არსებობს სიები, რომლებშიც თითოეული გლეხის გასწვრივ ყველა საბეგრო ვალდებულებაა მითითებული. სიის თითო ეგზემპლარი თითქმის ყველა სოფელს აქვს და იგი ხელოსანთან⁹ ან მამასახლისთან ინახება.

ამიტომაც მეტ-ნაკლებად გაძნელებულ საშუალებებზე – სიის მიხედვით გლეხთა გამოძახებასა და რთული თუ მარტივი საბეგრო ვალდებულებების შესახებ მათ დანვრილებით გამოკითხვაზე – უარი ვთქვი და მხოლოდ მარტივი საკითხის გარკვევით შემოვიფარგლე: იგივეა თუ არა ამა თუ იმ სოფლის სიაში აღნიშნული მოსახლეობის რაოდენობა, რამდენით მეტია, რამდენით ნაკლებია და ასრულებენ თუ არა ისინი იმავე საბეგრო ვალდებულებებს, რომლებიც სიაშია მითითებული? – ამის შემდეგ მამასახლისთა მიერ წარმოდგენილ სიაზე დაყრდნობითა და ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით, უნდა შედგეს იგივე სია რუსულ ენაზე. ამავე დროს, არ არის საჭირო დამატებითი შრომა კომლთა რაოდენობაში ცვლილებების შესატანად, რამდენადაც საბეგრო ვალდებულებები – მცირეოდენი განსხვავებით – იგივე რჩება, რაც უკვე დადგენილია.

ამ ფორმით თითოეული სოფლის მიხედვით სახელობითი სიისა და საბეგრო ვალდებულებების შედგენა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოება, ჩემს უახლოეს თანამშრომელს, სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევსა და მაიორ აბაშიძეს დავაკისრე.

ასე და ამგვარად, **18 ოქტომბრისთვის** უკვე აღებული მატკვს ლენტეხელების ჩვენებები. იქაური ციხეც შემონმებულია; – ვინაიდან ლატალელები და ლენჯერელები არ ჩამოვიდნენ, გადავწყვიტე, მათ უკან მობრუნებისას შევხვდე, თუ ჩამოვლენ, ცხადია...

ლენტეხი, როგორც ზემოთ ითქვა, სადადიანო სვანეთის პირველი სოფელია. მასშივე შედის 7 ერთმანეთისგან დამო-

უკიდებელი სოფელი, რომელთაც ერთმანეთისგან მცირე-მცირე მანძილი აშორებს და უკლებლივ ყველა სამეგრელოს მთავრის საკუთრებას წარმოადგენს.

19 ოქტომბერი ლენტეხიდან ჩოლურში გადასვლას მოუნდა. დაახლოებით 20 ვერსია. – სოფელ ჩოლურში, თავის მხრივ, რამდენიმე სოფელი შედის და დადიანის ხელქვეით თავადებს, გარდაფხაძეებს, ეკუთვნის. გზა ამ სოფლისკენ ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს მიუყვება. ეს გზა უკეთესია, ვიდრე – ჩვენ მიერ ადრე გამოვლილი, თუმცა ერთგან ზვავები იცის. საკუთრივ ჩოლური ცხენისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობს და იქამდე მისაღწევად ადამიანს ფონის გავლა ან ხიდზე გადასვლა უნევს. –

20 ოქტომბერი ჩოლურიდან სოფელ ლაშხეთში გადასვლას დასჭირდა. მანძილი დაახლოებით 15 ვერსია. – საერთოდ გზა ლენტეხიდან ლაშხეთამდე ნაკლებად სახიფათოა, თუმცა ზოგან ბილიკის სიგანე ხრამების თავზე ოთხიოდე გოჯი თუ იქნება.

ლაშხეთის საზღვრებში სამეგრელოს მთავარს ეკუთვნის: ლუჯის ციხე, რომელიც თავისუფალი სვანეთისკენ მიმავალ გზაზე, ხეშკურის ხეობაში, მდებარეობს, და სოფელი სასაში. – ლუჯის ნაცვალმა, აზნაურმა კიკოლა ახვლედიანმა, 21 რიცხვში მომახსენა, რომ სულ რაღაც საათ-ნახევრის წინ დაბრუნდა კალადან, სადაც ჩემი სახელით იქაურ მამასახლისებთან იყო გაგზავნილი. მამასახლისებმა მას უთხრეს, რომ თავისუფალმა სვანებმა ქუთაისში კონსტანტინე დადიშქელიანის შეპყრობის შემდეგ¹⁰ მის ძმებს, ისლამსა და თენგიზს, ერთსულოვნება შეჰფიცეს და მძევლებიც მისცეს. ამის გამო მათ არც იქიდან წამოსვლა და ჩვენთან შეხვედრა შეუძლიათ და ვერც რომელიმე რუსს შეუშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე. ახვლედიანის შენიშვნაზე, რომ მე ქართველი და თავისუფალ სვანეთში მცხოვრებ აზნაურ ყიფიანთა მოგვარე ვარ, მათ უპასუხეს – რუსული ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი ქართველი

რუსად მიგვაჩნიაო. დარწმუნებული ვარ, სხვა დროს ისინი – ყოველ შემთხვევაში, ყოფიანები მაინც – ჩემთან სიამოვნებით გამოცხადდებოდნენ, მაგრამ მხედველობაში მივიღე სვანეთის საქმეებთან დაკავშირებული დაძაბულობა და თავისუფალ სვანეთში გამგზავრების ცდუნება უკუვაგდე. არადა, ლუჯიდან, რომელიც ხემკურის ხეობას კეტავს, სწორედ ამ ხეობის გავლით თავისუფალ სვანეთში გადასვლას 3-4 საათი თუ მოუხდებოდა. ლუჯის ციხე ძველი დროიდანვე დანაშაულის ჩამდენ მეგრელთა სატუსალო იყო. იგი, მსგავსად მურის, ჩოლურისა და ლენტეხის ციხეებისა, მოქმედია; მართალია, თანამედროვეობის კვალობაზე ერთობ ცუდად არის იარაღით აღჭურვილი, მაგრამ სვანეთის პირობებისთვის საკმარისად მტკიცეა.

სოფელ ლაშხეთში რამდენიმე სხვა სოფელიც შედის და ისინი ერთმანეთთან სახნავებითაა გადაბმული. ლაშხეთი სადადიანო – უკეთ რომ ვთქვათ, ცხენისწყლის – სვანეთის უკანასკნელი დასახლებაა. ამის იქით, ცხენისწყლის სათავეებისაკენ, არ არის არავითარი დასახლება. ვიმყოფები თავისუფალი სვანეთის საზღვარზე, რომელსაც სადადიანო სვანეთისგან მაღალი ქედი ყოფს და ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება, მოვიყვანო ზოგადი ცნობები ამ უკანასკნელის შესახებ:

დასახლებული სოფლების მოსახლეობა, ერთად აღებულნი, დაახლოებით 500 კომლს შეადგენს. აქედან სამეგრელოს მთავარს ეკუთვნის ლენტეხის ყველა, კერძოდ, 129 კომლი და ლაშხეთის სოფელ სასაშის 27 კომლი. დანარჩენი ეკუთვნით თავად გარდაფხაძეებს, თავად გრიგოლ დადიანს, თავად გელოვანს და იმ მებატონეებს, რომლებიც, თავის მხრივ, დადიანს არიან დაქვემდებარებულნი. მთელი ეს მოსახლეობა იწოდება სვანებად. გარეგნულად ეს სოფლები, რომლებშიც თითოეული სახლი იმავდროულად ქვის ციხე-კოშკს წარმოადგენს, არაფრით განსხვავდება სადადიშქელიანო და თავისუფალი სვანეთისგან, თუმცა ენა აქაური მოსახლეობისა იგივეა, რაც – ლეჩხუმლებისა. რაც შეეხება ენგურის სვანეთს, იქ, გარდა

დადიშქელიანებისა, ეს ენა თითქმის არავინ იცის. აქაურთა რწმენა მართლმადიდებლურია, რელიგიური წეს-ჩვეულებებიც ტიპიკონის მიხედვით სრულდება. ენგურის სვანეთში მართლმადიდებლობის ისტორიული კვალი ძლივსაა ჩანს და პრაქტიკულად იმაში გამოიხატება, რომ პატივს სცემენ ძველ ტაძრებსა და ზოგიერთ ისეთ წესსა თუ ჩვეულებას, რომლებიც ადრინდელ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს მოგვაგონებს. –

გეოგრაფიულად ცხენისწყლის, ანუ სადადიანო, სვანეთი ორ უზარმაზარ ქედს შორის არის მოქცეული. ჩრდილოეთით ენგურის ხეობაა თავისი მოსახლეობით, სამხრეთით – ლეჩხუმი, თუმცა ენგურის სვანეთიდან წელიწადის უმეტეს დროს თითქმის ყოველგვარი მიმოსვლა ჩაკეტილია, ლეჩხუმის მხრიდან კი მიმოსვლა – ყოველ შემთხვევაში, საქვეითო – შეუწყვეტილი არის შესაძლებელი.

ადგილობრივი სახელწოდება სვანებისა, რომლებიც საკუთარ თავს **შონებს** უწოდებენ, ფრიად საყურადღებოა; ცხენისწყლის სვანებს ეწოდებათ **სადადიანო**, თავისუფალ სვანებს – **სამეფო**, დადიშქელიანებისას – **საბატონო**.

21 ოქტომბერს დავათვალიერეთ ლუჯის ციხე და ფიცის ქვეშ მივიღეთ ცნობები სოფელ სასაშის გლეხობისგან.

22 ოქტომბერი ლაშხეთის ამ სოფლიდან სოფელ სახეოში გადასვლას დასჭირდა.¹¹ მანძილი – არა უმეტეს 5 ვერსი-სა, თუმცა სწორედ აქედან იწყება ყველაზე გრძელი და მძიმე გზა და ამიტომ ღამის გათევა აქ მოგვიწია. აქვე მივიღე გენერალ-მაიორ კოლიუბაკინის 18 რიცხვით დათარიღებული მონართვა (№10) – მაცნობებს, რომ სვანეთსა და ლეჩხუმში ჩემს თანმხლებ პირად სამეგრელოს საბჭოს წევრს, თავად გელოვანს, ამწესებს, სამეგრელოში კი თანმხლებ პირად დაინიშნება საბჭოს სხვა წევრი, თავადი პეტრე დადიანი. ამას გარდა, ჩემთან იქნებიან ოლქების უფროსები, რომლებიც დამეხმარე-

ბიან როგორც დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, ისე მგზავრობასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში.

აქვე მივიღე შეტყობინება ლენტეხიდან, რომ სვანებიდან არავინ ჩამოსულა¹² და, უფრო მეტიც, ჩემ მიერ იქ გაგზავნილი პირები, აი, უკვე 22 რიცხვია და ჯერაც არ დაბრუნებულან. ლუჯის ნაცვლისგან მიღებული ცნობების საფუძველზე გადავწყვიტე, რომ არ ღირდა ლენტეხში დაბრუნება და უმჯობესი იქნებოდა, მეორე გზა – ზემოხსენებული ლეხერისა¹³ – მომესინჯა.

23 ოქტომბერი ლაშხეთიდან სოფელ ორბელში გადასვლას დასჭირდა. 11 საათის სავალია, ანუ დაახლოებით 70 ვერსი. გზა ჯერჯერობით საკმაოდ კარგია. მას მივყავართ ლეხერის მწვერვალისკენ, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებიდან თოვლითაა დაფარული. აღმართი 15 ვერსამდეა. ამას მოსდევს იმავე სიგრძის დაღმართი მწვერვალიდან ლაჯანურის ვიწრობამდე. დაღმართი ციცაბოზე ციცაბოა. თითქმის ვერტიკალურ დაქანებებზე მოკლე-მოკლე ზიგზაგებით უნდა დაეშვა და ამიტომ ეს გზა უკიდურესად დამლელია. შემდეგ გზა ლაჯანურის ხეობაში შედის და 40-ჯერ მაინც – თუ უფრო მეტჯერ არა – მდინარის ფონებზე გადასვლა-გადმოსვლა მოგვიწია.

24 ოქტომბერს, დილით, ორბელში მომიტანეს ამბავი იმ კატასტროფის შესახებ, რომელიც ქუთაისში მომხდარა. 20 რიცხვში, დილაადრიან, კონსტანტინე დადიშქელიანს სასიკვდილოდ დაუჭრია თავადი გაგარინი და მისსავე სახლში ორი ჩინოვნიკი მოუკლავს¹⁴ – ახლა უკვე იმის შიში მაქვს, ჩემ მიერ ლატალსა და ლენჯერში გაგზავნილებს რამე არ მოუვიდეთ; ტოპოგრაფთა კორპუსის ოფიცერ შაბანოვისა და მისი თანმხლები პირების ბედიც მალეღვებს. ჯერ კიდევ ქუთაისში მითხრეს, რომ ისინი სვანეთში ადგილმდებარეობის გადასაღებად იყვნენ გაგზავნილნი.

თავად ფარნაოზ გელოვანს და მის სიძეს, თავად ოთარ გარდაფხაძეს, ამბის გაგება და მათი იქიდან გამოხსნა ვთხოვე. ამის სანაცვლოდ ოთარს ჩემი მხრიდან ჯილდოსა და მეფის-ნაცვლის წინაშე შუამდგომლობასაც დავპირდი. –

ორბელიდან ლაილაშში გადასვლას 1½ საათი სჭირდება. მანძილი დაახლოებით 8 ვერსია.

25 რიცხვში ჩვენებები ლაილაშის მცხოვრებლებისგან მივიღეთ. ლეჩხუმში ეს ერთადერთი სავაჭრო ადგილია. სოფელში სომხები და ებრაელებიც ცხოვრობენ, თუმცა გზების უვარგისობის გამო, საეჭვოა, აქ ვაჭრობის საქმის განვითარება იყოს შესაძლებელი. ნაფიცმა პირებმა სხვათა შორის უჩვენეს:

1. რომ მთავრის ეზოს მოსამრგვალებლად ვაჭარ ჯანუევებს ჩამორთმეული აქვთ ოთხი დღიური მიწა, რაც მათ თავიანთ სამეურნეო საქმეებში დაბრკოლებებს უქმნის.

2. რომ მთავრის მოჯალაბე ნანიკა მესხაძეს ებრაელი ვაჭრების ჩასასახლებლად ჩამორთმეული აქვს საეზოვე ფართობი, თუმცა ამის სანაცვლოდ არა აქვს მიცემული სხვა ფართობი.

3. რომ აზნაურებს, ლევან და დათიკელა ასათიანებს, სოფლის მამასახლისების მიერ წითელაურის პირას თვითნებურად აქვთ ჩამორთმეული სამი დღიური მიწა; და

4. ლაილაშელი ვაჭრები – სომხები და ებრაელები – უკიდურესად შევიწროებულნი არიან იმით, რომ არ ჰყოფნიან საძოვრები საქონლისთვის და ტყე – შუშისთვის. სოფლის მცხოვრებნი კი, რომლებსაც იგივე გასაჭირი ადგათ, მათ თავიანთ წილ საძოვრებსა და ტყეში არ უშვებენ. –

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ყველა ამ პირს ბეგარა თანხობრივადაც და ვალდებულებითი თვალსაზრისითაც იგივე აქვთ დაკისრებული, რაც მიწის ჩამორთმევამდე მოეთხოვებოდათ, ანუ მანამ, სანამ ბოლო დროს საძოვრებსა და ტყესთან დაკავშირებული გასაჭირი დაუდგებოდათ. უნდა ითქვას, რომ არც მთავრისთვის წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას ის მიწა, რომელიც ჯანუევებს აქვთ ჩამორთმეული. მეორე მხრივ,

მთავრის საძოვრებზე, ტყესა თუ სახნავ მიწებზე მოიპოვება თავისუფალი ნაკვეთები. 25 ოქტომბრის №9 განკარგულებით ლაილამის ნაცვალს, აზნაურ ბეჟან ახვლედიანს, დავავალე: დაუბრუნდეთ ჯანუევებსა და ასათიანებს ჩამორთმეული მიწები; მესხაძეს სხვაგან გამოეყოს ჩამორთმეული მიწის ტოლფარდი ნაკვეთი, ხოლო ვაჭრები სოფლის სხვა მცხოვრებთა თანასწორად უზრუნველყოფილ იქნენ ტყითა და საძოვრებით.¹⁵

26 ოქტომბერს სოფელ ქყვიშში გადავედით.¹⁶ დაახლოებით 2 საათის გზაა, ათიოდე ვერსი. იქ გავიგეთ, რომ ქუთაისში 20 რიცხვში მომხდარი ამბავი მართალი ყოფილა. დიდად სამწუხაროა, თუმცა თავად გაგარინზე ამბობენ – შესაძლოა გამომჯობინდესო. ფიზიკურ სიძნელეებს, რომლებიც ენგურის სვანეთთან კავშირებს ახლავს, ახლა მორალური პრობლემაც დაემატა. კონსტანტინე დადიშქელიანი, რასაკვირველია, სასჯელს სასამართლოს მეშვეობით მიიღებს, მაგრამ ეს ვერ გაზრდის ნდობას ჩვენდამი მისი პარტიისას, რომელიც ამჟამად ერთადერთია ენგურის სვანეთში. –

დადიშქელიანის შესახებ აქვე მოვიყვან იმ ხმებს, რომლებიც ვრცელდება სადადიანო სვანეთში, ანუ იქ, სადაც მის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, განსაკუთრებული ერთგულებით არ გამოირჩევიან:

1840-იან წლებში თათარხან დადიშქელიანის ოჯახის წევრები თავს დაესხნენ ციოყ დადიშქელიანს, დაუნვეს სახლი, შიგვე გამოუბუგეს ბავშვები, უფროსებიდანაც ზოგიერთი მოკლეს და დაეუფლნენ მის მამულს. –

დაჩაგრულებმა და დამცირებულებმა ჩვენს ხელისუფლებასთან იჩივლეს, მაგრამ სამართალი ვერ იპოვეს. მაშინ მათ ადათით განსაზღვრულ წესს მიმართეს: შეიარაღდნენ, 1850-იან წლებში მოკლეს ჯამსუყი, სვანეთიდან განდევნეს მისი ძმები და მათ მამულს დაეუფლნენ. – ადრინდელმა დამნაშავეებმა, ამჟამად თვითონაც დაჩაგრულებმა და დამცირებულებმა, ხე-

ლისუფლებას მიმართეს და ხელისუფლებამაც მათ დახმარების ხელი გაუწოდა.

არ ვიცი, ეს ყველაფერი მართალია თუ არა, მაგრამ აქაურები სწორედ ასე ჰყვებიან და საერთო აზრიც აქ ასეთია. უკანასკნელ მოვლენებზე კი ამგვარი აზრია: კონსტანტინე – ამას ყველა ამბობს – კეთილმორწმუნე ქრისტიანია, კატეგორიული წინააღმდეგია ყოველგვარი სისხლიანი დაპირისპირებისა და, საერთოდ, გულმონყალე ადამიანია; ალექსანდრე რუსეთშია აღზრდილი და მაინცადამაინც ვერც ერკვევა თავისი ძმისა და მის ძალაუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში; ისლამი მოუსვენარია, შურისმაძიებელი, ძლადობისა და ძარცვა-თარეშისკენ მიდრეკილი; თენგიზი ტანადი, მოხდენილი გარეგნობის ახალგაზრდაა და ისევე, როგორც კონსტანტინე, გულკეთილი ყმანვილია; ციოცი ბავშვია.

კონსტანტინე და ალექსანდრე თბილისში გამოიძახეს. – ერთი ქუთაისში დაბრუნდა, მეორემ რუსეთში თავის სამსახურს მიაშურა.

ქუთაისში ცდილობდნენ კონსტანტინეს დაყოლიებას, დაეთმო თავისი უფლებები და ნებაყოფლობით დაეტოვებინა სვანეთი. საკუთარი ყურით მომისმენია ისეთი ხალხისგან, აქაურ საქმეებში ენერგიულად რომ არიან ჩართულნი – კონსტანტინეს არწმუნებდნენ, რომ იგი არ არის მთავარი, რომ შეცდომაა მისი მოხსენიება „უგანათლებულესობის“ ტიტულით და რომ იგი სინამდვილეში მთავარი კი არა – მცირემინიანი მემამულეა. ამ კეთილი, თუმცა ველური მთის შვილის მოთმინებას ისეთი გამოცდა მოუწყვეს, რომ იგი ჯერ კიდევ სექტემბერში არ მალავდა და ქუთაისის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მეშვეობით იმავე ქუთაისის ხელისუფლებას აგონებდა, რომ შეიძლება ხანჯლისთვის მოეკიდა ხელი. –

ვერაფერს ვიტყვი თავად გაგარინის საქციელსა თუ განზრახულებაზე. მე უფრო მგონია, რომ 22 ოქტომბერს¹⁷ კონსტანტინე დადიშქელიანს რალაც ისეთი სცენა მოუწყვეს, რამაც

იგი ჭკუიდან გადაიყვანა, გონება დაუბინდა და გადაანყვეტი-
ნა, შეურაცხყოფა სისხლით ჩამოერეცხა. ვიცი, რომ პირადად
გაგარინის სანინალმდებგო მას არც არაფერი ჰქონია და არც
არაფერი ექნებოდა ჩაფიქრებული.¹⁸

სოფელი ჭყვიში რიონის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს,
ჩამკეცია რაჭის ხეობისა და გეოგრაფიული მდებარეობით
უფრო რაჭას ეკუთვნის, ვიდრე – ლეჩხუმს. იგი ებმის რაჭის
სოფლებს და საზღვრებად გასდევს, ერთი მხრივ, რიონი, ხოლო,
მეორე მხრივ, რიონის შენაკადი – ასკისწყალი. აქედან გზა
ქუთაისისკენ პირდაპირ რიონის ნაპირებს რომ მიჰყვებოდეს,
მწარმოებლური შესაძლებლობებით საკმაოდ მდიდარ რაჭასა
და ლეჩხუმს პროდუქტის გასაღება ძალზე გაუადვილდებოდა.
– ჭყვიშიდან ქუთაისისკენ მიმავალი რთულად დასაძლევია ბი-
ლიკების, ციცაბოების, ღრანტეების გადალახვას საკიდრებით
2-3 დღე სჭირდება. გზა რიონს თუ გაჰყვება, მის გავლას ექვ-
სიოდე საათი მოუნდება. – მითხრეს, რომ ახლახან ჩაატარეს
დაზვერვითი სამუშაოები, რათა რუსეთისკენ მიმავალმა გზამ
აქ გაიაროს. მართალია, მანძილს ეს მნიშვნელოვნად არ შეა-
მოკლებს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით უფრო
მოსახერხებელი იქნება იმ გზასთან შედარებით, რომელიც ქუ-
თაისიდან რაჭისკენ მამისონის უღელტეხილის გავლით მიდის
და შემდეგ არდონის სტანიცას უკავშირდება. ამას გარდა, ეს
გზა გაცილებით უფრო დაგვაახლოებს ენგურის სვანეთთან და
ზაფხულობით ჭყვიშიდან ენგურის სვანეთში გადასვლას ერთი
დღე თუ დასჭირდება. – დღემდე არავის უარუყვია ის აზრი,
რომ საზაფხულოდ ეს გზა რაჭიდან სვანეთისკენ მიმავალ ყვე-
ლა სხვა მიმართულებაზე უფრო მოსახერხებელია.

27 ოქტომბერი. ეს დღე ჭყვიშის მოსახლეობისგან ჩვენებე-
ბის მიღებას მოუნდა.

28 – დაბრუნება უკან, ლაილაშის გავლით ორბელში.

29 ოქტ. ფიცის ქვეშ ორბელელთა გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ სამიოდე წლის წინ სოფლის მამასახლისებმა სამთავრო გლეხებს მიწის ნაკვეთები ჩამოართვეს, ბეგარა კი იგივე და იმავე ოდენობისა დაუტოვეს.* სალამოს შემატყობინეს, რომ 20 რიცხვის ქუთაისის მოვლენები თავად გაგარინის სიკვდილით დასრულდა. იგი 27 რიცხვში გარდაცვლილა.

აქვე მაცნობეს, რომ ლატალები და ლენჯერელები, რომლებმაც დადიშქელიანს ერთგულება შეჰფიცეს, არათუ არ გამოცხადებულან, ჩემგან გაგზავნილი ორი კაციც დაუკავებიათ და მათთვის იარაღიც აუყრიათ. სამი დღის ტყვეობის შემდეგ ისინი ნათესავებს გამოუხსნიათ და ჩოლურში ჩაუყვანიათ. იქ კი ჯამსულ გარდაფხაძეს მათი თანმხლები ნათესავი დაუჭერია – ფუტკრის გეჯის მოპარვას აბრალებდა.

ცნობები შაბანოვის შესახებ ავის მომასწავებელია, თუმცა – დაუდასტურებელი.

30 ოქტომბერი. გადასვლა მურში. ორბელიდან 2 საათის გზაა. – აქ, მთავრის სასახლეში, თენგიზ დადიშქელიანის ოჯახის წევრები დამხვდნენ. ისინი 1854 წელს კონსტანტინემ და მისმა ძმებმა სვანეთიდან გამოაძევეს. ოჯახი მოსამსახურეებთანად 80-ზე მეტი სულისგან შედგება. დაახლოებით სამი წელიწადია, აქ ცხოვრობენ. თენგიზის დედა, მეუღლე და ძმა შემხვდნენ თხოვნით, როგორმე ცხოვრების სახსარი აღმოეჩინო. ამბობენ, რომ მოკლებულნი არიან საკვების მოპოვების საშუალებას და მერვე დღეა, შიმშილობენ. – ყველა კერძო თუ ოფიციალურმა პირმა, ვისაც კი ამ თემაზე ველაპარაკე, ერთხმად და უყოყმანოდ დაადასტურა დადიშქელიანების ოჯახის სა-

* 31 ოქტომბერს დედოფლის მიერ ჩემთან გამომწესებულ სახლთუხუცესს, თავად დავით ჩიქოანს, მივწერე (№13), გლეხებს მიწები დაუბრუნოს. ჯერჯერობით ორს დაუბრუნდა. უცვლელია მდგომარეობა მესამისა, რომლისთვისაც, როგორც აღმოჩნდა, მიწა ათ წელიწადზე მეტი ხნის წინ ჩამოურთმევიათ.

ვალალო მდგომარეობა. არადა, ისინი ჩვენი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. – აღმოჩნდა, რომ მთელი აქ ყოფნის განმავლობაში დადიშქელიანების თავშესაფარი სწორედ სამეგრელოს მთავრის სასახლე იყო და თავსაც სამთავრო შემოსავლებიდან გამოყოფილი შემწეობით ირჩენდნენ. მხოლოდ ერთი თვე იმყოფებოდნენ ხაზინის კმაყოფაზე. ამჟამად ხაზინიდან არავითარი დახმარება არ ეძლევათ და სამეგრელოს დედოფლის რუსეთში გამგზავრების გამო სამთავრო შემოსავლებიდან შემწეობასაც მოკლებულნი არიან. – თვითონ თავადი თენგიზი, როგორც ჩანს, თავისი ოჯახის ხვედრის გამოსარკვევად და საოჯახო საკითხების მოსაგვარებლად ერთი თვეა, თბილისში იმყოფება. ამასობაში კი უცხოობაში თავშეფარებული ოჯახი განიცდის უკიდურეს გაჭირვებას, მოკლებულია საარსებო საშუალებას და შიმშილობს კიდევაც. –

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ჩემზე დაკისრებული დავალების ფარგლებს სცილდება, თავი მოვალედ ჩავთვალე, მაინც მივიღო ამ საქმეში მონაწილეობა. ეს მესამე შემთხვევაა, როცა საქმეში ჩასარევად ოფიციალურ თანამდებობრივ მდგომარეობას ვიყენებ.¹⁹ – გადავწყვიტე, მიმემართა სახლ-თუხუცეს ჩიქოანისთვის, რათა მას აღედგინა მთავრის მეუღლის, ეკატერინე ალექსანდრე ას. დადიანის, მიერ დადგენილი წესი და სამეგრელოს სამთავრო ოჯახის შემოსავლებიდან დადიშქელიანის ოჯახს ისევ მისცემოდა შემწეობა, ხოლო ხარჯების დაწვრილებითი ანგარიში თავის დროზე სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სამეურვეო გამგებლობას წარდგენოდა. – განკარგულების თაობაზე 31 ოქტომბერს (№10) ვაცნობე მეფისნაცვალს.²⁰

მურში (ჩხუტელში) დამხვდა აგრეთვე სვანეთის ე. წ. პრისტავი, თავადი ალექსანდრე მიქელაძე, რომელმაც გამომიცხადა, რომ სამსახურებრივ საქმეზე იყო ჩამოსული. მე მას ვურჩიე, არც სადადიშქელიანო და არც თავისუფალ სვანეთს არ გაეკარო-მეთქი, მით უმეტეს, ხმა იყო გავრცელებული, თითქოს

კონსტანტინე დადიშქელიანს ეთქვას, რომ მას იმათი დახოცვა კი არ სურდა, ვინც დახოცა, არამედ სხვებისა და, მათ შორის, მისიც – მიქელაძისა. მიქელაძემ მეორე დღესვე, 31 ოქტომბერს, დატოვა მური. მანამდე კი საჭიროდ ჩათვალა თავი აერიდებინა ჩემი შეკითხვისთვის, თუ საით მიემგზავრებოდა. ღმერთი ფარავდეს, თუმცა აქ მისი რეპუტაცია ერთობ შელახულია. –

31 ოქტომბერს მურში კიდევ ორი სოფლის, დეხვირისა და კლდედაღმართის, მამასახლისები და უხუცესები შეიკრიბნენ. ავიღეთ მათგან ჩვენებები და დავათვალიერეთ მურის ციხე. –

1 ნოემბერი. ჩამოვედით ლუხვანოში, უფრო ზუსტად, ლუხვანოში შემავალ ქულბაქში. მანძილი – 17 ვერსი.

ლუხვანოელები წმინდა ქართულით ლაპარაკობენ, არც იმერული აქცენტი ეტყობათ და არც – რაჭული. ქულბაქი მიყრუებულში მდებარეობს, თუმცა საკმაოდ ლამაზია და საზაფხულოდაც ერთობ შესაფერისი ადგილია.

2 ნოემბერს ლუხვანოელებისგან ჩვენებები მივიღეთ. დავათვალიერეთ ბაბუშვერის მომცრო ტბა, რომელიც მდინარე ჯონოულისგან არის წარმოქმნილი და ასხის მთის ძირას მდებარეობს.

3 ნოემბერი სოფელ ზუბისა და კურთხის მთის გადალახვით გორდში გადასვლას დასჭირდა. დაახლოებით 50 ვერსია. ნაცვლად ოყურეშისა, უფრო მოკლე გზით კი წავედით, მაგრამ ისეთი ციცაბო და ხიფათიანი გზა, როგორც კურთხის აღმართია, სხვაგან არსად შეგვხვედრია. მანძილი კი მოვიგეთ, მაგრამ არანაკლებ ერთი საათისა ქვებიდან ქვებზე ცოცვა მოგვიწია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. თანაც ცალი ხელით ცხენს ან ჯორს უნდა მიაწვე, მეორე ხელით ნაბზარებში სვანურად დამზადებული რკინისბუნიკიანი ჯოხი არჭო და თავი შეიმაგრო; წონასწორობის დაკარგვა აქ სიკვდილს ნიშნავს. ბოლოს

და ბოლოს, მშვიდობიანად ავალწიეთ და სალამოს უკვე გორდში ვიყავით. აქ რამდენიმე დღით დარჩენა გადავწყვიტე, რათა მოგვეწესრიგებინა ჩანაწერები სვანეთისა და ლეჩხუმის შესახებ.

4-დან 8 ნოემბრამდე შავად ნაწერი რვეულების – განსაკუთრებით, ჩვენ მიერ აღწერილ სოფლებში მცხოვრებ გლეხთა სიების – მონესრიგებას მოვუწიდი. გადავხედეთ აგრეთვე მოძრავ ქონებას, რომელიც მთავრის მეუღლეს, ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, მის მიერვე დადგენილი ფასებით გასაყიდად სახლთუხუცეს დავით ჩიქოანისთვის ჰქონდა დატოვებული. აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი იყო მთავრის მეუღლის მიერ დამტკიცებული და მისივე ხელმოწერით დადასტურებული სია ამ ქონებისა. – გადავიღეთ სიის ასლები, რათა ისინი დოკუმენტებისთვის დაგვერთო. – უტყუარი ცნობები ქუთაისიდან: შაბანოვი სვანეთიდან ნებელდის გავლით მშვიდობიანად დაბრუნდა.

სისხლის სამართლის სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც მთავარსარდლის მიერ იქნა დამტკიცებული, კონსტანტინე დადიშქელიანი 7 რიცხვში დახვრიტეს.²¹

9 ნოემბერს ფიცის ქვეშ ჩვენებები მივიღეთ სოფლების: გორდის, კინჩხის, ლვედისა და დუბგვაბუნის მცხოვრებლებისაგან.

10 ნოემბერს ჩემთან გამოცხადდა თავადი პეტრე დადიანი და გორდიდან სოფელ ხუნწში ჩავედით. 20-ოდე ვერსია.

11 ნოემბერს ფიცის ქვეშ ჩვენებები მივიღეთ სოფელ ხუნწის მცხოვრებლებისაგან.

12 ნოემბერს სამეგრელოს მმართველთან შესახვედრად სოფელ ბანძაში გავემგზავრე. – 25 ვერსი.

13 რიცხვში მასთან ერთად სალხინოში გავემგზავრე. 5 საათის გზაა.

14 და 15 ნოემბერი ქალაქების გადანერას მოუწდა.

16 რიცხვში – ჩვენებები სალხინოს მცხოვრებლებისაგან.

17 ნოემბერი სალხინოს ქონების მოხილვასა და აღწერას – განსაკუთრებით, ოჯალემის ზვრების აღწერას – მოუწდა.

ზოგადად სალხინოს მოსახლეობა სახნავი მიწის დიდ ნაკლებობას განიცდის. ვითარება განსაკუთრებით ყურძნის ოთხწლიანი მოუსავლიანობითაა დამძიმებული. – როცა გამოვუცხადე, ყველა სახის ბეგარაც ძველებურად უნდა იხადოთ და არც ჩვეულებით დაწესებულ სამუშაოებს უნდა აარიდოთ თავი-მეთქი, მათ მხოლოდ ხანგრძლივ სამუშაოებზე საკვებით უზრუნველყოფა ითხოვეს. მუშაობის პირველ სამ დღეს ისინი თავს თვითონვე შეინახავენ. ჩავთვალე, რომ მათი თხოვნის შეუსმენლობა უსამართლობა იქნებოდა და მათივე თანდასწრებით სახლთუხუცესს გამოვუცხადე – სამი დღის მუშაობის შემდეგ სამუშაოებზე მყოფნი სამთავრო მეურნეობის ხარჯზე უნდა გამოკვებოთ-მეთქი. ამას გარდა, გლეხები იმითაც დავამშვიდე, რომ დავპირდი – შუამდგომლობას გავუწევი, რათა მათთვის თავისუფალი სამთავრო მიწებიც დაერიგებინათ და სურვილის შემთხვევაში სხვა თავისუფალ მიწებზე გადასახლების უფლებაც მიეცათ.

18 ნოემბერს სოფელ ოჩხომურში გავემგზავრე. 5¹/₂ საათის სავალია.

19 ნოემბერს ჩვენებები ლესიჭინელებისაგან მივიღეთ. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში მხოლოდ ერთი გვარი – სიჭინავა – ცხოვრობს. კაცია დადიანის დროს, ანუ დაახლოებით 60 წლის წინ, ისინი სულ 12 კომლს შეადგენდნენ, ამჟამად კი სოფელ ლესიჭინეში 160 კომლი ცხოვრობს. თუ გავითვალისწინე-

ბთ ზნეობრივი დაქვეითების ზოგად ფონს, მეტად გავრცელებულ ქურდობასა და ნათესაური კავშირებისადმი არასაკმარის პატივისცემას, ლესიჭინელთა შესახებ აქაურებში საყოველთაოდ გავრცელებული აზრია: ქურდობა მათ შორის გაუგონარი რამაა და იმ შემთხვევაშიც კი, როცა ნათესაობის მხრივ უკვე ღვიძლი კავშირები აღარაა, არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე სიჭინავას ცოლად სიჭინავას ქალიშვილი ან ქვრივი შეერთოს. ლესიჭინელებს ყველა აქებს მათი ზნეობრივი სინმინდისა და სიკეთით აღვსილი ქრისტიანობის გამო.

20 ნოემბერს ჩვენებები სოფელ კირცხის მცხოვრებლებისგან მივიღეთ.

21 ნოემბერი – ჭაქვინჯის, ანუ ჭანქვიჯის, ლაზების ციხესიმაგრის, მცხოვრებლებისაგან. ლაზები ქართველთა შორის ჭანების სახელით არიან ცნობილნი. აქ მოედინება მდინარე, რომლის ნაპირებზეც სოფელი ჭანქვიჯია გაშენებული. ეს მდინარეა ჭანისწყალი – მდინარე ლაზებისა.

იმავე დღეს მივიღეთ ჩვენებები უფალის-კარის, ანუ უშაფათის, მცხოვრებლებისაგან.

22 ნოემბერი – ქალაქდების გადაწერა.

23. გადასვლა ზუგდიდში. 5 საათის სავალია. გზად, ჭანისწყლის ნაპირებზე, რქოსან პირუტყვსაც დავხედეთ.

24 რიცხვში ჩვენებები მივიღეთ ზუგდიდისა და ლედგებიეს მცხოვრებლებისაგან. დავათვალიერეთ გრაფ როზმორდუკისა და K⁰-ის აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა.²² – ეს ქარხანა საგანგებო ყურადღების ღირსია. მოსახლეობისგან ყიდულობენ აბრეშუმის პარკს, ამუშავებენ და ამით ხელს უწყობენ მხარეში მეაბრეშუმეობის განვითარებას. ქარხანაში მეგრელი ქალები მუშაობენ – წელიწადში დაახლოებით 30-დან 40-მდე. ისინი შინ პატიოსნად გამომუშავებული ფულითა და აბრეშუმის ამოხვე-

ვის ცოდნით ბრუნდებიან; გასამრჯელო თითოეულზე 60 მანეთამდეა წელიწადში და ამით შრომისკენ მათი ნახალისებაც ხდება. ქარხნის წარმატებებს ჯერჯერობით ბრწყინვალე არეთქმის, მაგრამ სასარგებლო და თვალსაჩინო კი არის და მკაფიოდ მეტყველებს რაციონალური შრომის სარგებლიანობაზე. – დასასრულ, აქ არის მთელს მხარეში ერთადერთი ორთქლის მანქანა. ქარხანაში დამზადებული ნაწარმი იყიდება კონსტანტინოპოლსა და ლიონში და 25-30%-ით აღემატება ამ მხარიდან გატანილი აბრეშუმის ოდენობას, ერთად აღებულს. ჯერჯერობით როზმორდუკის კომპანია წელიწადში 40 ფუთამდე აბრეშუმს აწარმოებს.

კომპანია 1850 წლის 11 ივნისს დაარსდა 10 წლით, გრავ როზმორდუკისა და თავად კონსტანტინე დადიანის მიერ. 1854, 1855 და 1856 წლებში ომის გამო წარმოება გაჩერებული იყო. ვინაიდან ომი 1853 წელს დაიწყო, გრაფმა როზმორდუკმა ვადის ოთხი წლით გაგრძელება ითხოვა. –

ამ თემაზე ჯერ კიდევ 10-14 ოქტომბერს გორდში პირადად მესაუბრებოდა სამეგრელოს დედოფალი. იგი, თავის მხრივ, სამართლიანად მიიჩნევდა, რომ როზმორდუკს კონტრაქტი გაგრძელებოდა სამი წლით და გამოთქვამდა სურვილს, მისი გამგზავრების შემდეგ ეს საქმე მეურვეებს მოეგვარებინათ.

25 ნოემბერს მივიღეთ ჩვენებები სოფლების, ჯვარისა და კოკის, მცხოვრებლებისაგან.

26 ნოემბერს ზუგდიდში თურქების მიერ გაჩანაგებული შენობა-ნაგებობები და საწარმოები დავათვალიერეთ, აგრეთვე, დავხედეთ ცხვრის ფარებს. სახლთუხუცესს შევთავაზე, დაზარალებულებს სამეურნეო საშუალებებით დახმარებოდა, განსაკუთრებული ყურადღება კი მიექცია ბალისთვის, რომელიც იშვიათი და ეგზოტიკური მცენარეების შესანიშნავ ნაზავს წარმოადგენს და საგანგებო ზრუნვას საჭიროებს.

შედგა მთელი ამ ქონების ნუსხა.

აქვე მივიღე გენერალ-მაიორ კარლგოფის 16 რიცხვის (№2213) მოწერილობა. იგი მატყობინებს, რომ მთავარსარდალ-მა²³ ჩემ მიერ მურიდან 31 ოქტომბერს გაგზავნილი პატაკის საფუძველზე თენგიზ დადიშქელიანის ოჯახს დაუნიშნა 250 მან. თვეში და ისიც ინება, სამეგრელოს სამთავრო ოჯახისთვის დადიშქელიანების შენახვაზე განუული ხარჯიც ანაზღაურდეს. –

27 ნოემბერი აბასთუმანში გადასვლას მოუწდა. – 3 საათი დაგეჭირდა. –

28 რიცხვში უამინდობის გამო ხალხის შეკრება და ჩვენებების მიღება ვერ შევძელით.

29 რიცხვში აბასთუმნის მცხოვრებლებისაგან ჩვენებები მივიღეთ.

30-ში – სოფლების, ხეთისა და საცაიშლო-ხეთის, მცხოვრებლებისაგან.

1 დეკემბერი მთავრის აბასთუმნის მეურნეობის: შენობა-ნაგებობების, ბალისა და მოძრავი ქონების დათვალიერებას მოუწდა. – შედგა აღწერილობა.

2 დეკემბერი სოფელ ხორგაში გადასვლას მოუწდა. – 4^{1/2} საათი.

3 დეკემბერს ჩვენებები მივიღეთ სოფელ ხორგის მცხოვრებლებისაგან. აქ ორი თავადი გამომეცხადა – ჯაიანები. 1856 წლის პარიზის ტრაქტატი²⁴ ღალატს მიუტყვევებს, მაგრამ არავის ავალდებულებს, მოლაღატეებს აღერსიანად მოექცეს. ამ თავადებიდან ერთ-ერთი, გიორგი, აქ თურქეთის ჯარში იყო შესული. ასევე მოიქცა, სხვათა შორის, კიდევ ერთი მეგრელი თავადი – გიორგი ჩიჩუა, რომელმაც ქურდული ცხოვრება თბილისის ციხეში დაასრულა. ამათ სინდისს როგორც ჩვენი ჯარების, ისე საკუთრივ მეგრელების წინაშე არაერთი ცოდვა აწევს.²⁵

მე არ ვიცოდი, ამ ორი ჯაიანიდან რომელმა მიიღო ჩვენსავე მიწაზე თურქების ხელიდან ჩინი და ორდენი. ამიტომაც განსაკუთრებული ხალისით, ცხადია, ვერც ერთს ვერ შევხვდებოდი. იდგნენ ცოტა ხანს და გავიდნენ. – ერთ-ერთი მალევე შემობრუნდა და თავი ლევან ჯაიანად, ჩვენი მილიციის პრაპორშჩიკად, გამაცნო.²⁶ თხოვნა ჰქონდა. მის შესახებ გაგონილი ცნობები ამ პირის სასარგებლოდ მეტყველებდა, თუმცა თვითონ თხოვნა აღმოჩნდა ყოველგვარ ღირსებას მოკლებული. აი, ეს თხოვნაც: 1854 წელს გარდაეცვალა ძმა – ნიკოლოზი, რომელსაც შვილები არ დარჩენია. დამსახურებისა და გარკვეული შესაწევრის გათვალისწინებით გარდაცვლილი ძმის მამული მას, ლევანს, გადაეცა. ახლა კი გაეგო, რომ მისდამი მტრულად განწყობილ სახლთუხუცესს ამ საგვარეულო საკუთრების ჩამორთმევა ჰქონდა განზრახული. ამიტომაც ლევან ჯაიანი ითხოვდა, ეს მამული სამთავრო ქონების ნუსხაში არ შემეტანა.

მართალია, მეგრელი თავადაზნაურობის უმეტესობის რეპუტაცია ამჟამად მაინცადამაინც სახარბიელო არ არის, მაგრამ სამეგრელოს ერთ-ერთი უძველესი თავადური გვარეულობის წარმომადგენლისაგან ასეთ აშკარა და დაუფარავ სიცრუეს მაინც არ ველოდი. –

საქმე ის არის, რომ ძმებისაგან გამოყოფილი და უშვილძიროდ გადაგებული თავადის, ნიკოლოზ ჯაიანის, მამული უმემკვიდრო ქონებად იქცა. ამიტომაც 1854 წელს ეს მამული, თანახმად ადგილობრივი ადათ-წესებისა, მთავრის საკუთრებაში გადაიარიცხა, თუმცა სამეგრელოს ყოფილი მმართველი დედოფლის განკარგულებით, იგი გარდაცვლილის დედას სიცოცხლის ბოლომდე სარგებლობის უფლებით შეუნარჩუნდა. მეურვედ დაინიშნა აზნაური იაკობ ნოდია, რომელსაც მამული სათანადო აღწერილობითურთ სამეურვეოდ ჩაჰბარდა. – დედა 1855 წელს გარდაიცვალა, მაშინ, როცა ხორგაში ჯერ კიდევ თურქეთის ჯარი იდგა. 1856 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც მშვიდობა ჩამოვარდა, აზნაური ნოდია ლევან ჯაიანმა შეცვალა

– ბეჯითი სამსახურისა და ხელმოკლეობის გამო მეურვედ ეს უკანასკნელი დაინიშნა. ჩემს ხელთ არსებული ქალაქები გამოორიცხავდა ყოველგვარ ეჭვებსა და გაუგებრობებს იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ლევან ჯაიანი ამახინჯებდა.

– ამიტომ ვცდილობდი, მისთვის ამეხსნა: თავისი უფლებების თაობაზე იგი შეცდომამია ჩათრეული, იგი მხოლოდ და მხოლოდ მეურვეა, მამულთან დაკავშირებული საქმეების მმართველია და შემოსავლებთან დაკავშირებული ანგარიშის წარდგენა მცირენლოვანი მთავრის სამეურვეო გამგებლობასთან მოუწევს. მან კი მიპასუხა – სახლთუხუცესის თვითნებური ქცევა დღესაც ცხადი და ნათელიაო.

– და თუ სახლთუხუცესს ამის თაობაზე მთავრის პირდაპირი მითითება აქვს მიღებული, მაშინ რაღას იტყვი, თავადო?

– ასეთი მითითება სახლთუხუცესს ვერ ექნება, რადგან მამულს მე შემპირდნენ.

– არათუ მითითება იყო მამულის უმემკვიდროდ გამოცხადებისა და მთავრის საკუთრებაში გადარიცხვის შესახებ, არამედ – და ეს თქვენც მშვენივრად იცით – სათანადო განკარგულების საფუძველზე ჯერ კიდევ 1854 წელს მამული აღინერა, მთავრის სასარგებლოდ დაიბეგრა და ამის შემდეგ მეურვეობის დაწესებითა და სიცოცხლის ბოლომდე სარგებლობის უფლებით გადაეცა თქვენს დედინაცვალს, განსვენებული ნიკოლოზის დედას. ისიც მოგეხსენებათ, რომ სხვა მითითების საფუძველზე თქვენსავე ძმას, გიორგის, ჩამორთმეული აქვს 5 კომლი გლეხი და ამ გლეხებს არ დაუბრუნებენ მანამ, სანამ თვითონ გიორგი არ დააბრუნებს თურქებთან ომის დროს იმავე მამულიდან მითვისებულ შემოსავალს და, დასასრულ: 1856 წელს სამეგრელოს მაშინდელი გამგებლების, გრიგოლ და კონსტანტინე დადიანების, მიერ სახლთუხუცესის სახელზე გაცემული განკარგულებისა და დედოფლის ნების საფუძველზე ნოდის ადგილზე იმავე მამულის მეურვედ, ნაცვალად დაინიშნეთ. ამით თქვენ თქვენივე დამსახურებისა და ხელმოკლეობის გამო საარსებო

სარჩო გაგიჩინეს. ყოველივე ამის დამადასტურებელი საბუთები ხელთა მაქვს.

– და რა იქნება ამის მერე?.. თუკი ჩემს დამსახურებებს უსამართლობით უპასუხებენ და საგვარეულო მამულს წამართმევენ, სხვა გზა არც დამრჩება: თავს გადავდე და...

– დაასრულეთ, დაასრულეთ... და ბრძოლას გამოაცხადებთ, არა?

ამის შემდეგ ზუგდიდის საოლქო მმართველის თანაშემწეს, ბ-ნ მიქაბერიძეს, რომელიც თან მახლდა, ვთხოვე აეხსნა თავად ჯაიანისთვის, თუ რამდენად კადნიერი იყო მის მიერ ფარული ფორმით წარმოთქმული მუქარა. –

მიქაბერიძემ ზედმინევით შეასრულა თავისი მოვალეობა და, როგორც შევნიშნე, ჯაიანი დაარწმუნა მისი ფარული მუქარის შეუფერებლობაში. მერე მეც ავუხსენი, რომ არ უნდა მისცეს თავს უფლება, ჩემი წოდების ადამიანს ასე ელაპარაკოს და დავსძინე, რომ შევუწდობდი ორი მიზეზის გამო: **პირველი** – ის კარგად იქცეოდა უკანასკნელი ომის დროს, და **მეორე** – მხოლოდ იმეორებდა სიტყვებს იმ ადამიანისა, რომელზედაც იმავეს ვერ ვიტყოდი. თანაც კიდეც ერთხელ გავაფრთხილე, რომ სამეურვეო გამგებლობა აუცილებლად მოსთხოვდა ანგარიშს და ამის მერე დავითხოვე. –

კარში გასვლისას მიქაბერიძემ უთხრა, რომ აქ მომხდარს გენერალ კოლიუბაკინს მოახსენებდა. მე ჩემდათავად მიქაბერიძეს ვთხოვე, რომ ამ საქმისთვის შემდგომი მსვლელობა არ მიეცა. ამის პასუხად ჯაიანმა თავი მდაბლად დამიკრა და გავიდა. –

ყოველივე ამას, აი, რა მოჰყვა – ხსენებული მამულიდან 19-მა აზნაურმა და გლებმა ჩემთან სიტყვიერად იჩივლა, რომ ჯაიანი მათ დაწესებულზე მეტი გადასახადის გადახდასა და მუშაობას აიძულებდა და მთხოვეს დამეხსნა ისინი ჯაიანის უფროსობისაგან (მეორე დღეს მათ უკვე წერილობით მომი-

*ტანეს თავიანთი საჩივარი, რომელსაც შესაბამის ხელმძღვანელობას გადავცემ).*²⁷

ხორგაში ნამდვილ ზამთარს შევესწარი – მესამე დღეა, გადაუღებლად თოვს. ამბობენ, რომ 15 წელიწადია, აქ ასეთი ზამთარი არ უნახავთ. აქედან ქალადიდში გადასვლას ვაპირებდი, მაგრამ მომდის ცნობები, რომ მდინარეების, ხოპისა²⁸ და შემდეგ ცივის, გადალახვა უკიდურესად გაძნელებულია და მოკლე ხანში მიმოსვლის სრულად შეწყვეტასაც კი ელოდებიან. ასეთ დროს სადღაც ხოპსა და ცივს შორის გაურკვეველი დროით თავშესაფრის გარეშე რომ არ დავრჩენილიყავი, გადავდე გამგზავრება: ქალადიდში, რედუტ-კალეში, პალიასტომის ტბაზე. გადავწყვიტე, გეზი პირდაპირ ქვაშიხორისკენ ავიღო, გზად სოფელ თეკლათში შევჩერდე, ომის დროს საძრახი მოქმედებების გამო დედოფლის მიერ თავად ანჩაბაძეებისათვის ჩამორთმეული სოფლების, ქალადიდისა და დარჩენის,²⁹ მამასახლისები და უხუცესები გამოვიძახო და მათგან ჩვენებები მივიღო. –

ამასობაში სახლთუხუცეს დავით ჩიქოანს სიტყვიერად ნება დავრთე, ისარგებლოს ხორგაში ყოფნით და დამდეგი 1 იანვრიდან გადახედოს ღალის პირობებს, კერძოდ, დააზუსტოს სამთავრო ტყეებიდან გასატანად განკუთვნილი დაფნის ფოთლისა და თესლის იჯარა-შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხები. ახლანდელ მოიჯარე-შემსყიდველებს ეს საქმე სამწლიანი ვადით აქვთ აღებული და იხდიან 500 მანეთს მთელი ვადის განმავლობაში. გამოჩნდნენ მსურველები, რომლებიც მზად არიან, აიღონ ეს საქმე იმავე ვადით და 900 მანეთი გადაიხადონ.

4 დეკემბერი თეკლათში გადასვლას მოუნდა. მანძილი – 28 ვერსი. ტალახი – ენით აუნერელი. სველი თოვლი და წვიმა – გადაუღებლად.

5 რიცხვში უკიდურესად გაძნელებული მიმოსვლის გამო გამოძახებულებიდან არავინ არ გამოცხადდა. – მიქაბერიძემ გადმომცა პრაპორშჩიკის, თავად ლევან ჯაიანის, მიერ გამოგზავნილი ფორმალური განცხადება. შეუტყვია, რომ მამული, რომელიც გარდაცვლილი ძმისგან, ნიკოლოზისგან, დარჩა, მთავრის საკუთრებაში გადაურიცხავთ და ახლა ჩაგვრა-შევიწროებისგან დაცვას ითხოვს. – ამის საპასუხოდ ბ-ნ მიქაბერიძეს ნება დავრთე, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს მოახსენოს ყოველივე, რაც 3 დეკემბერს ხორგაში მოხდა. ამ უკანასკნელი განცხადებით ლევან ჯაიანმა დაკარგა ყოველგვარი საფუძველი, ვინმემ მის სიცრუესა და უტიფრობას ხელი დააფაროს.

6 დეკემბერს ჩვენებები მივიღეთ სოფელ თეკლათის მცხოვრებლებისაგან.

7 რიცხვში – ქალადიდიდან ჩამოსულებისაგან.

ქალადიდიშივე, როცა ნაფიც პირებთან მათ მიერვე მიცემულ ჩვენებებს ვკითხულობდი, ოთახში ორი თავადი შემოვიდა – ქოჩაქიძეები. ამათგან ერთ-ერთმა, პოდპორუჩიკმა მანუჩარმა, ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი ქალადიდის საზღვრების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ მიჯნები არასწორად იყო დადებული³⁰ და ამის გამო საგვარეულო მამულის ნახევარს კარგავდა. – მე ვუხსნიდი, რომ მიჯნების სახელდებათა გამო ვერავინ ვერავის ვერასდროს მიწას ვერ წაართმევს და ეს იმიტომ, რომ არსებული წესით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება შესაბამისი აქტებითა და საკითხის შესწავლით დასტურდება-მეთქი. საკუთარი უფლების ხელშეუხებლობაში კიდევე უფრო რომ დარწმუნებულიყო, ვთავაზობდი არჩევანს: ან დაენერა და წარმოედგინა ცალკე განცხადება ნაფიც პირთა ჩვენებების საწინააღმდეგოდ, ან კიდევე, თუ ასეთი სურვილი გაუჩნდებოდა, თავისი პროტესტი ამ ჩვენებებისთვის ზედვე დაერთო.

– რატომ უნდა წარმოვადგინო რალაც ქალადები ან საერთოდ რატომ უნდა დავწერო რამე?! თქვენ მარტო ქალადი-

დელები კი არა, მომიჯნავე მამულების მფლობელებიც უნდა დაგებარებინათ!

– აი, რას გირჩევდით, ბ-ნო ქოჩაქიძე: კარგი კი იქნებოდა, მე რომ აქ მიწების გამიჯვნას ვენეოდე, მაგრამ...

– როგორ გეკადრებათ?! ასე თქვენ აქ ყველა საზღვარს მოშლით.

ხმის სიმაღლის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ეს ქოჩაქიძე ვერ უნდა ყოფილიყო ნორმალურ მდგომარეობაში, ამიტომ სენაკის ოლქის უფროსმა, ჩემმა თანმხლებმა, იგი ოთახიდან გაიყვანა, მკაცრი საყვედურის კილოთი აუხსნა, რომ აქ კი არ უნდა აეტეხა უადგილო ალიაქოთი, არამედ მისთვის, როგორც აქაურობის მმართველისთვის, თუ საამისო საფუძველი ჰქონდა, მიემართა საჩივრით, ის კი, თავის მხრივ, ან დააკმაყოფილებდა ამ საჩივარს, ან ასწავლიდა, შემდგომ როგორ ემოქმედა; ისიც აუხსნა, თუ რაში გამოიხატებოდა მისი კადნიერება ჩემ მიმართ, მით უფრო, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და ამის შემდეგ ქოჩაქიძე დააპატიმრა. ეს ამბავი ორიოდე საათის შემდეგ გავიგე და ვთხოვე, გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული.

8 დეკემბერი – გადასვლა სენაკში. 6 ვერსია.

9 დეკემბერს ჩვენებები მივიღეთ სენაკის მცხოვრებლები-საგან.

10 რიცხვში იქვე დავრჩით, რადგან ტეხურზე გადასვლა შეუძლებელი გამხდარა.

აქვე გამოცხადდნენ ჩვენებებისთვის დაბარებულნი ანჩაბაძეების სოფელ დარჩენიდან, თუმცა, მიზეზთა გამო, მათგან ჩვენებების მიღება გადავიფიქრე: ჯერ ერთი, მთავრის მფლობელობაში მათი გადარიცხვის საქმე ჯერ დასრულებული არ არის³¹ და, გარდა ამისა, გენერალმა კოლიუბაკინმა პირადად შემატყობინა – განზრახული ჰქონდა, საკითხისთვის ჯერ ხელი

არ ეხლო და, ამასობაში, ანჩაბაძეების საქმე გადასაწყვეტად მეფისნაცვლისთვის წარედგინა.

11 რიცხვში – გადასვლა საჭილაოში, კერძოდ – ცხენისწყლისპირში.³² 26 ვერსი.

12 რიცხვში ვიმუშავეთ სამეგრელოში ბეგრის სახეების განსაზღვრაზე, გადახდის საშუალებებზე, ღირებულებაზე.

13 დეკემბერს ჩვენებები მივიღეთ საჭილაოს მცხოვრებლებისაგან.³³ შედგა აქტი მთავრის კუთვნილი ცხენების ჯოგისა და ნახირის შესახებ. დავათვალიერეთ ცხენისწყლისპირის შენობა-ნაგებობები და მეურნეობა.

აქ სახლთუხუცესმა პირადად მომმართა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებით – წინასწარი განზრახვლებით ეს ყველაფერი ჩემთვის უნდა გადმოეცა სამეგრელოს საბჭოსთვის წარსადგენად.

რამდენადაც მე აქ მხოლოდ მაშუამავლებელი რგოლის ფუნქცია მაქვს დაკისრებული, სახლთუხუცესს გამოვუცხადე, რომ მან საკითხის შესახებ ან თვითონ მიმართოს თხოვნით საბჭოს, ან ეს სავალო ვალდებულებები წარუდგინოს სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულის მმართველს, ან კიდევ – მეურვეებს.

14 რიცხვში – გადასვლა საჭილაოდან გუბისწყლის სადგურზე. რამდენიმე დღეა, გადაუღებლად თოვს. ამის გამო მიმოსვლა უკიდურესად გაძნელებულია.

15 – გადასვლა გუბისწყლიდან ქუთაისში.

1857 წ. 16 დეკემბრიდან 1858 წ. 20 თებერვლამდე.

დეკემბრის დარჩენილი ნახევარი, 1858 წლის იანვარი და თებერვლის პირველი ნახევარი ქუთაისში დავყავი. საშინელმა რევმატიზმმა, ჯერ კიდევ ზუგდიდში „ნაშოვნმა“, შრომის უნარი

ნამართვა, თუმცა ხანგრძლივ და უმწვავეს ტკივილებს შორის, დროის მოკლე-მოკლე მონაკვეთებში, მოვასწარი: ამომენერა ამონარიდები სადავო საკითხების შესახებ; გადამეთვალყურებინა და გადამემონებინა გლეხთა სიები, შედგენილი სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევისა და მაიორ აბაშიძის მიერ; შემედგინა სამეგრელოს სამთავრო ოჯახის შემოსავლების საერთო ტაბელი და საინვენტარო უწყისი; მომენესრიგებინა უწყისის ყველა დანართი; დასასრულ, მეფისნაცვლის მითითების შესაბამისად შემეთანხმებინა ეს ყველაფერი როგორც სამეგრელოს მმართველთან, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინთან, ისე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან, გენერალ-ლეიტენანტ ერისთავთან.

გარდა ამ სამუშაოებისა, რომლებსაც **14 თებერვალს** მოვრჩი, კანცელარიის დირექტორის მეშვეობით ქუთაისიდანვე კავკასიის მეფისნაცვალს შემდეგი საქმეები წარვუდგინე:

ა) კნენა ლისა აბაშიძის გაჭირვებული მდგომარეობა.³⁴

ბ) თავად ალექსი დგებუაძის მიერ ელისაბედ ელიავას მოტაცების გამო სისხლის სამართლის წესით მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებული გარემოებები.³⁵

თავადმა ალექსანდრე ივანეს ძემ იწინააღმდეგა:³⁶

ა) კნენა აბაშიძეს დახმარების სახით დაენიშნოს თვეში 50 მან.

ბ) დგებუაძისა და ელიავას საქმე დავასრულო შერიგებით.

15 თებერვალს გენერალ-გუბერნატორის თანდასწრებით მივიღე ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ მხარეთა შესარიგებლად საჭირო ჩვენებები და მეორე დღეს თბილისისკენ გამოვემგზავრე.

20 თებერვალს პატივი მქონდა თბილისში მეფისნაცვალს წარვდგომოდი.

[1857 წ. 2 ოქტომბერი – 1858 წ. 20 თებერვალი]

შენიშვნები და კომენტარები:

¹ (გვ. 391) „კავკასიის მეფისნაცვლის...“ – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

² (გვ. 391) „სამეგრელოს მართვა-გამგეობისთვის სპეციალური საბჭოს დაარსების გამო“ – დავით დადიანის გარდაცვალებისას (1853 წ. 30 აგვისტო, გორდის სასახლე) მისი მემკვიდრე ნიკოლოზი მცირეწლოვანი (შვიდიოდე წლისა) იყო. 1853 წლის ოქტომბერში იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მემკვიდრის მთავარ მეურვედ და სამეგრელოს დროებით მმართველად მთავრის ქვრივი ეკატერინე დადიანი დანიშნა და იმავდროულად შექმნა სამეგრელოს მმართველი საბჭო გარდაცვლილი მთავრის ძმების, გრიგოლ და კონსტანტინე დადიანებისა და სამეგრელოს ეპისკოპოსის, ზაქარია ყყონდიდელის, შემადგენლობით (აქტები 1885: 262). 1857 წლის ივლისში მეფისნაცვალმა ალ. ბარიატინსკიმ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაქვემდებარებული ახალი სამმართველო საბჭო შექმნა, საბჭოს სათავეში იპოლიტ დიუკრუასი ჩაუყენა (აქტები 1904: 307-308), სამ ნაწილად დაყოფილი სამთავროს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ხელმძღვანელ მოხელეებად (უფროსებად) კი რაფიელ ერისთავი (ზუგდიდის ოლქი), კორნილი ბოროზდინი (სენაკის ოლქი) და კონსტანტინე მიქელაძე (ლენჩხუმის ოლქი) დანიშნენ (ბოროზდინი 1934: 130-132).

³ (გვ. 392) „სამეგრელოს მმართველის...“ – იგულისხმება გენერალი ნიკოლოზ კოლიუბაკინი.

⁴ (გვ. 392) „ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს...“ – იგულისხმება გენერალი ალექსანდრე გაგარინი.

⁵ (გვ. 393) „ჯვარში... შეტაკება მოხდა და იქ იყო წასული, რათა ეს საქმე პირადად მოეგვარებინა“ – „ჯვარის შეტაკება“ ერთ-ერთი ეპიზოდია სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყებისა. იგი მოხდა 1857 წლის 27 სექტემბერს და მსხვერპლით დასრულდა (აქტები 1904: 321). ამ ფაქტის შესახებ გენერალ-გუბერნატორ ალ. გაგარინის მიერ ქუთაისიდან ალ. ბა-

რიატინსკისათვის გაგზავნილ 1857 წლის 8 ოქტომბრის პატაკში ნათქვამია:

„პირადად გავემგზავრე სამეგრელოში, ჯვარის ოლქში, იმ წესრიგის აღსადგენად, რომელიც 27 სექტემბრის სამწუხარო შემთხვევით დაირღვა და რა დროსაც რამდენიმე მეგრელს თავისი თავხედობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. – სამეგრელოში ჩასვლისა და გენერალ-მაიორ კოლიუბაკინთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა: – ზემოაღნიშნული შემთხვევის მეორე დღეს გენერალ-მაიორმა კოლიუბაკინმა ჯარი გაგზავნა იმ სოფლებში, სადაც წინააღმდეგობის კერები არსებობდა. ჯარს მოსახლეობა დანაშაულის აღიარებით შეხვდა და პირობაც დადო, რომ მართებლობის ყველა მოთხოვნას შეასრულებს სიტყვის შეუბრუნებლად. – გენერალ-მაიორ კოლიუბაკინის ბრძანებით დააპატიმრეს ყველა ის პირი, რომლებიც, საყოველთაო აზრით, ამბოხების მოთავეები არიან. ჯვარელებმა თვითონვე შეიპყრეს და მოიყვანეს მჭედელი მიქაეა, რომელსაც ისინი მთავარ ნამქეზებლად მიიჩნევენ. ჯვარში წესრიგის აღდგენა წარმატებით მიმდინარეობს. გლეხები დანაშაულს ინანიებენ და თავ-თავიანთ მებატონეებს უბრუნდებიან. – გენერალ-მაიორი კოლიუბაკინი აპირებს უახლოეს ხანებში მთელი თავისი ძალები მიმართოს სალიპარტიანოსკენ, სადაც ჯერ კიდევ ბუდობს წინააღმდეგობის სული. სამეგრელოში ამჟამად თავმოყრილი ძალები მიზნის მისაღწევად, ვფიქრობ, სავსებით საკმარისი იქნება“ (აქტები 1904: 322-323).

⁶ (გვ. 393) **„ეკატერინე ალექსანდრეს ასულთან, რომელიც გასამგზავრებლად ემზადებოდა...“** – ეკატერინე დადიანის პეტერბურგში გამგზავრების ფორმალურ მოტივაციაზე იხ. აქვე, გვ. 390. რაც შეეხება თვითონ გამგზავრების სცენას, კ. ბოროზდინს იგი ასე აქვს აღწერილი:

„გათენდა ოქტომბრის 25, წასვლის დღე. რიონის ნავთსადგურში იდგა მშვენიერი სამთავრო სანდალი, ოდესლაც სტამბოლიდან მოტანილი და მის გვერდით იდგა კიდევ ორი სანდალი

ეკატერინეს ბარგისა და მოსამსახურეთათვის. სახელდახელოთ ვისაუზმეთ და გამოთხოვების წამიც დადგა. გულისამაჩუყებელი სურათი იყო. აუარებელი ქალი და კაცი იდგა ჩიქოვანებისა, დედოფალს ხელებს და კაბის კალთას უკოცნიდენ. ყველა ქვითინებდა. ჩვენის ოფიციალურ მდგომარეობის მიუხედავად, მე და კოლუბიაკინსაც აგვიჩვილა გული მათმა ყურებამ. სხვადასხვა გარემოებით გამონვეულმა შეხლა-შემოხლამ კნენინასთან ჩვენი კარგი ურთიერთობა შეარყია, მაგრამ მის გულწრფელ მწუხარებას გულგრილად ვეღარ ვუცქეროდით, როგორც მისი მახლობელი ადამიანები: და ჩვენს ოფიციალურ მდგომარეობას არ შეეძლო ჩვენი მისდამი კეთილი გრძნობა ჩვენში ჩაეხშო.

აჰა, ჩვენთანაც მოვიდა და ხმის ამოუღებელივით გულში ჩაეკრო ნ. კოლუბიაკინს:

– მაჰატივეთ, ნიკოლოზ პეტრეს ძევ... მაჰატივეთ და ნუღარ მოჰკითხავთ დამწუხრებულ, გაუბედურებულ ქალს...

ამ ნუთას ეკატერინე მშვენიერი რამ იყო. გამონრთობილ, მზემოკიდებულ და უკვე ხანშიშესულ სახეზე კოლუბიაკინს ცრემლი ჩამოუგორდა...

მერე დედოფალი ჩემთან მოვიდა, მეც მხურვალედ გადამეხვია, და სახე ცრემლებით დამილტო.

– მაჰატივეთ, მაჰატივეთ... ცუდათ არ მახსენოთ... ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენდამი ეს გახლავსთ: ჩიქოვანებს არაფერი მიწყენინოთ, მათი თავი თქვენთვის ჩამიბარებია... მართალია, თქვენ უკმეხად გექცეოდენ, მაგრამ მე ერთგულად მემსახურებოდენ... ნუ გაუჯავრდებით, გეთაყვა.

უკვე სანდალში იჯდა, ისე რალაც მოაგონდა და მიმიხმო.

– იცით, კიდევ რა უნდა გთხოვოთ? სალხინოში მშვენიერი ბოსტანი მაქვს, შიგ იშვიათი მწვანელი მითესია: ფეშქაშად მიირთვით ჩემს სახსოვრად, – სახლთხუცესს ქართულად უბრძანა.

– ეს ჩემი ქრთამია ჩიქოვანებისათვის, – დაუმატა დედოფალმა ღიმილით.

სანდლები დაიძრა. კიდეც დიდხანს ვიდექით ნაპირას; წამსვლელები ცხვირსახოცს გვიქნევდენ, სანამ თვალთაგან არ მოგვეფარნენ...“ (ბოროზდინი 1934: 164-165).

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებას მაინც ჰქონია იმის შიში, ეკატერინე დადიანის რუსეთში „მინვევას“ (ფაქტობრივად, გადასახლებას) სამეგრელოში არეულობა არ გამოეწვია. ამის თაობაზე ა. შჩერბაკოვი წერს:

„გორდიდგან [ეკატერინე დადიანის] გამობძანების დღედ იყო დანიშნული 25 ოქტომბერი. ამასთანავე სიფრთხილისათვის მიღებული იყო ზოგიერთი ზომები: ემინოდათ მეგრელების აჯანყებისა; და ამისათვის გორდისა და მარანს შუა ორი როტა იდგა, ხოლო გორდში იყო ასი როტა ყაზახი“* (შჩერბაკოვი 1884^ა: 126).

⁷ (გვ. 395) „გაგარინი ხომ მისი დის მეუღლეა!“ – ალ. გაგარინის მეუღლე იყო ეკატერინე დადიანის ნათესავისა და უახლოესი მეგობრის, მანანა ორბელიანის, ქალიშვილი ანასტასია (ტასო) დავითის ას. ორბელიან-გაგარინა.

⁸ (გვ. 402) „...თავადი სიკო ჩიქოანი. ეს უკანასკნელი იმ დრომდე, ვიდრე... დავით ჩიქოანი არ ჩამოვა“ – სიკო ჩიქოვანთან თანამშრომლობით დიმ. ყიფიანი უაღრესად კმაყოფილი დარჩენილა. დაცულია მისი 1857 წლის 4 ნოემბრის წერილობითი მიმართვა ს. ჩიქოვანისადმი, რომელშიც დიმ. ყიფიანი აფასებს ს. ჩიქოვანის სამსახურს („შემნე მექმნებოდით ყოველსა მას მოქმედებასა შინა“ და სხვ.) და დასძენს:

„ან წინამიძს განშორება თქვენი და ვალდებულად ვჰპოებ თავსა ჩემსა, რათა განგიცხადოთ გულითადი მადლობა ყოვლისა მის შრომისა და სარჯელისათვის, რომელთაცა არა განერინებოდით და რომლითაცა დამიმტკიცეთ კეთილსინიდისიე-

* აქ ანონიმი მთარგმნელის შეცდომაა. დედანშია: *კაზაკთა ასეული* („...сосредоточено сотня казаков“) (შჩერბაკოვი 1884^ა).

რი და კეთილშობილური შემნეობა თქვენი. – წერილითა ამით წარმოვჰსთქვამ თქვენ წინაშე მადლობასა ამას; – ხოლო მრჩობლ გამოსათქმელად გთხოვთ მიიღოთ ჩემგან წარმოგზავნილი ამასთანავე, უფლის კავკასიის ნამესტნიკის მიერ გარდმოცემული ჩემდა მისის ეკსტრა ორდინერიის კაბინეტით, ოქროს კოლოფი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №384. ფ. 1; ერთგული სამსახურისთვის დიმ. ყიფიანს დაუჯილდოებია აგრეთვე: ფარნაოზ გელოვანი, დათა და დავით ჩიქოვანები – იქვე).

⁹ (გვ. 405) **„ხელოსანთან... ინახება“** – *ხელოსანი* – აქ: „გარკვეული თანამდებობის მქონე პირი (მებატონესთან ან სოფლად)“ (ქეგლ 1964: 1406).

¹⁰ (გვ. 406) **„კონსტანტინე დადიშქელიანის შეპყრობის შემდეგ...“** – კონსტანტინე დადიშქელიანის შეპყრობისა და მისგან გამომდინარე შედეგების შესახებ იხ. აქვე, კომენტ. №14.

¹¹ (გვ. 408) **„22 ოქტომბერი ლაშხეთის ამ სოფლიდან სოფელ სახეოში გადასვლას დასჭირდა“** – სოფელი სასაში ისევე, როგორც ქვემოთ ნახსენები ხერია, ადრე ლაშხეთის თემში შედიოდა (თაყაიშვილი 2017: 107), ამჟამად კი ორივე ეს სოფელი ჟახუნდრის (ჯახუნდრის) თემში შედის.

¹² (გვ. 409) **„სვანებიდან არავინ ჩამოსულა“** – იგულისხმებიან სვანები *ენგურის* სვანეთიდან.

¹³ (გვ. 409) **„ზემოსხნებუღი ლეხერისა...“** – ზემოთ *ლეხერი* არსადაა ნახსენები. გამორიცხული არ არის, აქ და ქვემოთ *ლეხერში* სოფელი *ხერია* იგულისხმებოდეს.

¹⁴ (გვ. 409) **„კონსტანტინე დადიშქელიანს სასიკვდილოდ დაუჭრია თავადი გაგარინი და მისსავე სახლში ორი ჩინოვნიკი მოუკლავს“** – სვანეთის სამთავროს გაუქმება უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო, ხოლო ამ საქმეში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ ალ. გაგარინის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი (შემდგომ გენერალ-მაიორი) პეტრე უსლარი და გენერალი ივანე ბართოლომეი, რომლებიც საქმესთან დაკავშირებული ინტრიგებისა და პროვოკაციების

მთავარი შემოქმედნი და განმახორციელებელნი იყვნენ. საბოლოოდ უპერსპექტივობის განცდით შეპყრობილმა და უდიერი მოპყრობით უკიდურესად შეურაცხყოფილმა კონსტანტინე დადიშქელიანმა, რომელსაც არა მარტო სვანეთში დაბრუნებას უკრძალავდნენ, არამედ ერევანში გადასახლებასაც კი უპირებდნენ, 1857 წლის 20 ოქტომბერს ქუთაისში სასიკვდილოდ დაჭრა ალ. გაგარინი. ეს ამბავი კ. ბოროზდინს ასე აქვს აღწერილი:

„დადეშქელიანმა თავისი საშინელი სატევარი ქარქაშიდან იმიშვლა, დააცხრა გაგარინს და ორჯელ შემოჰკრა – ერთხელ ხელზე, მეორეჯელ – მუცელში. ამის შემდეგ გენერალ-გუბერნატორის სახლი რაღაც საყასბოდ იქცევა; გაგარინის გარდა კიდევ სამი კაცი გახდა ამ სიბრაზისგან გაცოფებულ კაცის მსხვერპლად. თარჯიმან არდიშვილს სატევარი გულში გაუტარა და იქვე უცებ მოჰკლა; ნიკოლოზ პეტრეს ძე ილინი, რამდენსამე ალაგას დაჭრილი, სახედასახიჩრებული, მალე სულს განუტევებს; მზარეული მაქსიმე დაჭრილი აივანზე ჰგორავს.* კატასტროფის მონმენი გაქცევით თავსა ჰშველიან... – მაგრამ დადეშქელიანი სადღაა, ველარსად უპოვნიათ... ერთბაშად სომხის შესახვევიდან, რომელიც გენერალ-გუბერნატორის გვერდით იყო, ყვირილი მოისმის: „აქ არის, აქ არის!“ იქითკენ გაიჭრება ასეულის კომანდირი თავის ასეულითურთ; აღმოჩნდა, რომ დადეშქელიანი ბაქრაძის სახლში შესულა, სახლს შემოეხვევიან, ეძახიან – გამოდი, დაგვენბდიო; მაგრამ კონსტანტინემ თურმე კარს უშველებელი დივანი მიაყუდა, რომელსაც მერე რამდენმამე კაცმაც-კი ძვრაც ვერ უყვეს; ბაქრაძის ოთახში უპოვნია თოფი, შიგ მის ჩოხაში ჩანყობილი ვაზნები ჩაანყო, დაიწყო სროლა და კიდევ სამი კაცი დასჭრა. მაშინ გუბერნატორმა ივანოვმა ბრძანა ესროლნათ მისთვის. ტყვიამ

* მზარეული მაქსიმე (კლიროვი – იხ. ურუშაძე 2017: 112) გადარჩა, თუმცა ორთვიანი მკურნალობა დასჭირდა (შჩერბაკოვი 1884^ა: 134).

მკლავი მოამტვრია, დაიჭირეს და ჰაუპტვახტში წაათრიეს“ (ბოროზდინი 1934: 222-223).

კ. ბოროზდინს ფაქტი სწორად რომ აქვს აღწერილი, ამას ადასტურებს ოფიციალური დოკუმენტი – ალ. ბარიატინსკისადმი ქუთაისის გუბერნიის ფანდარმთა კორპუსის შტაბოფიცრის, მაიორ ლაბენსკის, 1857 წლის 21 ოქტომბრის პატაკი (აქტები 1904: 374), რომელშიც ფაქტები, მართალია, უფრო ძუნწად, მაგრამ არსებითად ისეა გადმოცემული, როგორც ეს კ. ბოროზდინის მიერაა მოთხრობილი, თუმცა კ. ბოროზდინს გამოტოვებული აქვს მნიშვნელოვანი გარემოება: კონსტანტინე დადიშქელიანმა როგორც არდიშვილი, ისე ილინი მას შემდეგ მოკლა, რაც ისინი დადიშქელიანს თავს დაესხნენ.

რაც შეეხება ალ. გაგარინს, ექიმებმა მისი მდგომარეობა იმთავითვე უიმედოდ ჩათვალეს და რამდენიმე დღის შემდეგ, 27 ოქტომბერს, იგი ქუთაისშივე გარდაიცვალა. კონსტანტინე დადიშქელიანი კი დახვრიტეს იმავე 1857 წლის 2 ნოემბერს, დილის 8 საათზე, დამარხეს იქვე, დახვრეტის ადგილზე (შჩერბაკოვი 1884^ბ: 139). ა. შჩერბაკოვის მიხედვით, დაჭრილ და თოკებით შეკრულ კონსტანტინე დადიშქელიანს გზად საპატიმროსკენ თავი ღირსეულად ეჭირა, ხოლო როცა დასახვრეტად მიჰყავდათ, ქართულად ხშირად იმეორებდა: „კანონი არ არის!“ (შჩერბაკოვი 1884^ბ: 140).

კონსტანტინე დადიშქელიანის „დახვრეტის შემდეგ მისი მამულები ხაზინას გადასცეს, ოჯახის წევრებს კი ფულადი საზღაური მისცეს და სვანეთიდან გადაასახლეს“ (ორჯონიკიძე 1970: 223).

კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ ალ. გაგარინის მკვლელობის შესახებ იხ. აგრეთვე: დროება 1884; ნიკოლაძე 1964: 560-562 და სხვ.; დოკუმენტური მასალა მკვლელობის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე იხ. აქტები 1904: 374-385; კონსტანტინე დადიშქელიანს ლექსი „მურზაყან შავ-სევდიანი“ უძღვნა აკაკი წერეთელმა (წერეთელი 1950: 156).

¹⁵ (გვ. 411) „...თანასწორად უზრუნველყოფილ იქნენ ტყითა და საძოვრებით“ – დაცულია ლაილაშელ სომეხთა და ებრაელთა კოლექტიური მიმართვა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №397, ფ. 1; ხელს აწერს 47 მცხოვრები), აგრეთვე, ლაილაშელი ვაჭრების, ალექსი და ივანე ჯანუაშვილების, თხოვნა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №398, ფ. 1) დიმ. ყიფიანისადმი, რომლებშიც ისინი ადგილობრივი მოხელეებისგან (მათ შორის, სოფლის ნაცვალ ბეჟან ახვლედიანისგან) შევიწროებას უჩივიან. ამათ პასუხად და ტექსტში ჩამოთვლილ სხვა უასამართლობათა აღმოსაფხვრელად 1857 წლის 25 ოქტომბერს დიმ. ყიფიანი ოფიციალურად მიმართავს ლაილაშის ნაცვალ ბეჟან ახვლედიანს (მიმართვა რუსულ ენაზეა. ვიმონუმებთ შემოკლებით):

„დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს ლაილაშელ ვაჭრებს, ალექსი და ივანე ჯანუაშვილებს, მათთვის ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი... მოჯალაბე ნანიკა მესხაძეს მისთვის ჩამორთმეული მიწის სანაცვლოდ გამოეყოს თავისუფალი ნაკვეთი... აზნაურებს, ლევან და დათიკელა ასათიანებს, დაუბრუნდეს წითელაურის პირას ჩამორთმეული სამი დღიური მიწა. – საერთოდ ლაილაშელი ვაჭრები, მსგავსად გლეხებისა, უზრუნველყოფილ იქნენ თავისუფალ სამთავრო მამულში მდებარე საძოვრებითა და ტყით“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №399. ფ. 1).

¹⁶ (გვ. 411) „სოფელ ჭყვიშში გადავედით“ – ამჟამად სოფელი ზედა ჭყვიში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.

¹⁷ (გვ. 412) „22 ოქტომბერს...“ – კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ აღ. გაგარინის სასიკვდილოდ დაჭრის თარიღის შესახებ წყაროებსა და ლიტერატურაში სხვადასხვა მონაცემია: 20 ოქტომბერი (აქტები 1904: 374), 22 ოქტომბერი (ბოროზდინი 1934: 217), 25 ოქტომბერი (შჩერბაკოვი 1884^ა; შჩერბაკოვი 1884^ბ: 127; შჩერბაკოვი 1884^გ)... დიმ. ყიფიანს წინამდებარე დღიურში ორი ერთმანეთისგან განსხვავებული თარიღი უწერია: 20 ოქტომბერი (ფ. 16r, 17v) და 22 ოქტომბერი (ფ. 18r). აქვე ისიც

უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც დიმ. ყიფიანს 20 ოქტომბერი უნერია, თავდაპირველად 22 ყოფილა და ავტორს ეს რიცხვი (როგორც ჩანს, მოგვიანებით, თარიღის დაზუსტების შემდეგ) 20-ად გადაუკეთებია. თარიღის დასაზუსტებლად ყველაზე სანდო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ „აქტებში“ გამოქვეყნებული პატაკი, რომლითაც ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა კორპუსის შტაბოფიცერი ლაბენსკი (დადიშქელიანის დაპატიმრების მონაწილე, თვითონ ლაბენსკის თქმით – ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელი) ოფიციალურად მიმართავს მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის. პატაკი შედგენილია **21 ოქტომბერს** და მასში გარკვევითაა ნათქვამი – კონსტანტინე დადიშქელიანმა **20 ოქტომბერს** ალ. გაგარინი დაჭრა, ხოლო ილინი და არდიშვილი დახოცაო (აქტები 1904: 374). ასე რომ, კონსტანტინე დადიშქელიანს ალ. გაგარინი 1857 წლის **20 ოქტომბერს** დაუჭრია.

¹⁸ (გვ. 413) **„პირადად გაგარინის საწინააღმდეგო მას არც არაფერი ჰქონია და არც არაფერი ექნებოდა ჩაფიქრებული“** – დიმ. ყიფიანის ეს აზრი სწორი აღმოჩნდა. სასამართლო პროცესზე კონსტანტინე დადიშქელიანმა განაცხადა, რომ გაგარინის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და უსლარი და ბართოლომეი უნდა დაეხოცა:

„სასამართლოში კონსტანტინემ განაცხადა: გაგარინი განრისხების წამს შემომაკვდა და ძალიან ვწუხვარ მის სიკვდილსაო: – გაგარინი კაი კაცი იყო და მე ცუდს არაფერს ვუზამდი, მაგრამ უკანასკნელად შეხვედრის დროს თავის სიფიცხით და ჯიუტობით მოთმინების ფილა ამივსოვო. მიყვიროდა და მეკი, როგორც მთავარი, ჩვეული არა ვარ, ასე მომეპყრან. მე მოკვლა მინდოდა გაგარინისა კი არა, უსლარისა და ბარტოლომეისა. ესენი იყვნენ, რაც იყვნენ, ბოროტები, მავნებლები, გაგარინს თავ-ტვინი დაუბნიეს; ძალიან ვწუხვარ, რომ ორივე მოუკვლელი გადამირჩა. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ჩემს მიერ მოკლულთა არდიშვილისა და ილინის სულს, ესენი

თვითონ დამეცნენ, მე რომ იმათ არ მოვრეოდი, მოუკლავს არ გამიშვებდნენ“ (ბოროზდინი 1934: 224).

კონსტანტინე დადიშქელიანს უსლარსა და ბართოლომეიზე შურისძიების სურვილი უფრო ადრეც გამოუთქვამს, როცა საპატიმროში მის სანახავად და თავისი გულისწყრომის გამო-სახატავად უსლარი შესულა. ა. შჩერბაკოვი იხსენებს:

„ჩემთან ერთად ნამოვიდა საპატიმროში პოლკოვნიკი უსლარი და თან ნამოიყვანა თარჯიმანი, გუბერნატორის ჩინოვნიკი, თავადი კ. ერისთავი (ეხლანდელი მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის მაზრისა). თავადი დადიშქელიანი თავის ოთახში (საკანში – თ. ჯ.) ვნახეთ ფიცრის ტახტზედ მწოლარე კვალად ხელშეკრული. უსლარმა უბრძანა ხელები გაეხსნათ თავადისთვის, შევიდა იმასთან ოთახში და თ[ავად] ერისთავის პირით დაუწყო იმას კიცხვა... დაღვრემილის სახით არც კი გადმობრუნდა იმისაკენ და ისე უპასუხა: „დაიხ, მოვკალ, მოვკალ, მე გექბდით შენცა და ბარტოლომეისაც – აი კიდევ ვინ უნდა მომეკლა, ეხლა შენ მალე მიიღებ გენერლობას“ (შჩერბაკოვი 1884^ბ: 138).

დასასრულ, ნიკო ნიკოლაძე ასე აღწერს კონსტანტინე დადიშქელიანის უკანასკნელ წუთებს:

„თორმეტი მოხვედრილი ტყვიიდან ერთ-ერთმა გადასჭრა თოკი, რომლითაც იგი ბოძზე იყო მიბმული და გოლიათის სხეული ჩავარდა იქვე ამოთხრილ სამარეში. მე ჩემი თვალით ვნახე სამარეში პირქვე ჩავარდნილი სხეული როგორ შემობრუნდა სახით ცისკენ, თითქოს იმისთვის, რომ ადამიანურად დაიმარხოს. არიან ქვეყანაზე ისეთი გოლიათები, რომელთაც სიკვდილიც კი ვერ ერევა ადვილად!..“ (ნიკოლაძე 1964: 561-562).

¹⁹ (გვ. 415) **„ოფიციალურ თანამდებობრივ მდგომარეობას ვიყენებ“** – იგულისხმება ის, რომ ამ დროს დიმ. ყიფიანი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრია.

²⁰ (გვ. 415) **„განკარგულების თაობაზე 31 ოქტომბერს (№10) ვაცნობე მეფისნაცვალს“** – მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის დიმი. ყიფიანი სწერს (ვიმონუმებთ შემოკლებულად):

„აქ აღარავინ დარჩა ისეთი, ვის უფლება-მოვალეობაშიც ამ პირთა (თენგიზ დადიშქელიანის ოჯახის წევრებისა და მათი მოსამსახურეების – თ. ჯ.) შენახვა შეევა. სვანეთში დაბრუნება, მით უმეტეს, ახლანდელ ვითარებაში მათ არ შეუძლიათ (კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ ალ. გაგარინის მოკვლის გამო სვანეთში ვითარება არეული იყო – თ. ჯ.). ხელისუფლებისგან შემწეობა დანიშნული არა აქვთ, კეთილმოსურნე პირთაგან გაღებული წყალობა ამონურულია და ახლა ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ თავად ჯამსუყის ქვრივმა და თავად თენგიზის მეუღლემ მომმართეს თხოვნით – ვიხსნა ისინი შიმშილისაგან... პატივისცემის გრძნობით მოვასხენებ რა ყოველივე ამას თქვენს ბრწყინვალეობას, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, საკუთარი შეხედულებისამებრ გაცუთ შესაბამისი განკარგულება დადიშქელიანების ოჯახისთვის დახმარების განხორციელების თაობაზე“ (ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №400. ფ. 2).

იქვეა დაცული **ჯამსუყის ქვრივისა და თენგიზის მეუღლის** წერილობითი მიმართვა დიმი. ყიფიანისადმი:

„მის აღმატებულებას
დეისტვიტელნის სოვეტნიკს **დიმიტრი იოანეს ძეს ყიფიანს**
ჯამსუყ დადიშქელიანის მქვრივ ობოლთაგან უმდაბლესი

ვ ე დ რ ე ბ ა

არა უცნობელ იქმნება თქვენი უაღმატებულებეობა, რომელ სამკვიდრო საცხოვრებლისაგან გადმოყრილი ვართ ჩვენ მტრისაგან, და აქედამ აქამომდე ვიზრდებოდით მონყალებითა მენგრელიის მთავრისითა. დღეს აღარა გვაქუს ვითარიმეს მხრით

ნუგეში, რადგან მთავრინა აღარ იმყოფება. და უკეთუ რამე გაგვანდა ცხენი, ჯორი ანუ იარაღი, გავსყიდეთ საზრდოში და ან ეს მერვე დღე არის ს[რულია]დ არა გვემოვება საზრდო და არცა გვაქუს ვითარიმე საშუალება მოპოვებისა, ისე ვწყდებით შიმშილით რიცხვით ოთხმოცი და უმეტესი სული, რაისთვის უმორჩილესად ვსთხოვთ თქვენს უადმატებულესობას ღვთისათვის მოგვხედო და გვიზრუნოთ საზრდო რომელიმეს მხრით, რომლისათვის ღმერთი მოგაგებს მწყალობას.

ჩიქოვანის ასული ნინო

ანჩაბაძის ასული დადიშქელიანის კნენა ეკატერინა

ჩყნზ [1857] წელსა

ლა [31] ოკტობერს“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №400. ფ. 3).

ამ წერილის ერთ-ერთი ავტორი „**ანჩაბაძის ასული დადიშქელიანის კნენა ეკატერინა**“ იყო მეუღლე თენგიზ დადიშქელიანისა. ეკატერინე გარდაიცვალა 1879 წლის 5 ივლისს. ამ ამბავს ბესარიონ ნიჟარაძემ „დროების“ ფურცლებზე მიუძღვნა სპეციალური წერილი, რომელიც საინტერესო მასალას იძლევა, ერთი მხრივ, ეკატერინე დადიშქელიანის პიროვნებისა და, მეორე მხრივ, იმდროინდელ სვანეთში დატირების, დაკრძალვისა და აღაპის წესის შესახებ. ამიტომაც ბ. ნიჟარაძის წერილს აქ ვრცლად ვიმოწმებთ:

„ხუთს ივლისს ამა წლისას, გარდაიცვალა კნენა ეკატერინე (ჩიჩი) დადიშქელიანისა, ანჩაბაძის ასული, რომელიც თავისს სილამაზით ყმანვილობის დროს და კარგის მიდრეკილებით სიკვდილადმდე საპატიო ქალად იყო ცნობილი... ეს იყო პატიოსანის ზნეობის, მღვთის მოყვარე და მდაბალ ხალხის ბედის თანამგრძობი; მისი გავლენა ამ მხრით თავის ქმარ თენგიზ დადიშქელიანზედაც დიდი იყო. ამბობენ, რომ გვარი შვილობით გაამაყებულ თ. თენგიზს ჩიჩიმ ბევრჯერ მოაშლევინა უბედური შემთხვევა; როცა ცუდ რასმე განზრახვას შეამჩნევდა თავის ქმარში ჩიჩი ან სულ უმაღავდა იარაღს, გატენილ

თოფის მაგიერ ცარიელს შეატყუებდაო და სხვ. – როგორც ზემოთ ვთქვით, კნეინა ჩიჩი გარდაიცვალა 5 ივლისს და 8-ს დამარხეს. ამ დღისათვის სადადიშქელიანო სვანეთი: ბეჩო, ეცერი, ფარი და ჩვაბეხევი შეკრებილი იყო და უკანასკნელი სალამი უთხრეს „დედა ჩიჩის“, როგორც ხალხი ეძახოდა. ბეჩოს ჩინოვნიკობაც მივიდა ამ დღეს თენგიზ დადიშქელიანთან თავის გულმტკივნეულობის გამოსაცხადებლათ. მიცვალებული ოდის დიდ ოთახში ესვენა, კუბო ხავერდით და სირმით შემკული სკამებზე იდგა, რომლის ირგვლივ მისი შინა-ყმა ქალები და კაცები ქუდ მოხდილი და ძაძებში ჩაცმულნი ცხვირ-პირში და გულში იცემდნენ და ისე დასტიროდნენ მიცვალებულსა. საათის თერთმეტზე მომტირალი ხალხი უკვე მოგროვილი იყო სახლის წინ; კუბოც ამ დროს გამოასვენეს სახლიდან, ქუდ მოხდილი ხალხი წინ და უკან გაჰყვა სასაფლაოდმდე. – აქ, წირვის გამოსვლის შემდეგ, სვანეთის სამღვდელთებამ წესი აუგო მიცვალებულს, რომლის დროსაც ხალხი მწკრივით ირგვლივ უდგა კუბოს. ამ დროს გამოიყვანეს ცხენი მოკაზმული ძვირფასს სამკაულით; ერთმა შინა-ყმამ ხალხის წინ ჩამოატარა ეს ცხენი, რომელსაც სხვა შინა-ყმებიც ტირილით და ვაებით მისდევდნენ უკან. ხალხი თავში იცემდა და იძახოდა: „იივია! ვაი ბედს მიშგვააა!“ (ვაი ჩემს სიცოცხლესო!). შემდეგ განსვენებული მიწას მიაბარეს და ხალხი დაიშალა. მიცვალებული დამარხეს მთავარ ანგელოზის ეკლესიის ეზოში ს. ფხოტრერს. – თ. თენგიზმა „ლაშთხვალი“ (ალაპი, ქელები) გადასდვა ოცდა რვა ივლისისათვის. ამ დროისთვის მან დააცხოებინა 2000 პური სამსამი გირვანქიანი და ოთხასი პატარა პურები, მოამზადა 800 ზეჟა (სანყავი, რომელშიც ექვსი ვერმუტის ბოთლი ჩადის) არაყი. – ამ დღისათვის მთელი სვანეთი იყო მიწვეული, კაცი თუ ქალი, ვისაც უნდოდა. სადადიშქელიანო სვანეთი თითქმის ყველა იყო; თავისუფალ სვანეთიდანაც ბევრი მოვიდა; ხალხის რიცხვი 1500-მდე იყო. – ხალხის მოსვლისთანავე თ. თენგიზმა ბოჩქებით დადგა არაყი; ვისაც უნდოდა, სვამდა სადილობამდინ. – ყოველ საზოგადოებამ ცალ-ცალკე მიუტირა თენგიზს იმავე რიგით, როგორათაც რვას ივლისს სადადიშ-

კელიანო სვანეთმა. როცა კაცებმა გაათავეს მიტირება, მერე ქალებმა მიუტირეს ამ ნაირათ: გაემწკრივნენ ირგვლივ ეზოში სახლის წინ, ფეხები უკან მოიკეცეს და ამნაირათ დაჩოქილებს თავში მოუჯდა ერთი ღრმათ მოხუცი ლახამულელი ქალი, რომელმაც ორატორის როლი დაიჭირა: მან ჩამოთვალა კარგი მხარეები მიცვალებულისა მოთქმით; სხვათა შორის ეძახოდა მას მდაბალ ხალხის კეთილის მყოფელს, ჭკუიანს, ზნეობით საქებს, ოქროს, მერცხალს და სხვ.-და-სხვ. ყოველ ამის სიტყვაზე ქალები ყველანი ერთბაშად მიიტანდნენ ხელებს შუბლზე და ჩამოსობდნენ ლოყებზე და ნიკაპ ქვეშ მიიტანდნენ; შუბლზე ხელების მიტანის დროს დაჩოქილნი აიმართებოდნენ წელში და როცა ნიკაპ-ქვეშ მიიტანდნენ, მაშინ ისევ ჩაიღუნებოდნენ და დაჩოქილნი ყურს უგდებდნენ მომთქმელ ქალის სიტყვებს. – ეს საზოგადო ჩვეულება სვანეთში საინტერესო სურათს წარმოადგენდა ოთხასამდი სხვა და სხვა ნაირათ ჩაცმული ქალების ამ გვარი მოთქმა. ქალებმა რომ გაათავეს, ხალხი სადილათ დასხდა, პური და არაყი სამარხო საჭამადითურთ ბლომათ იყო. სალამოს დამთვრალი ხალხი დაიშალა. – ამ „ლამთხვალს“ გარდა თ. თენგიზ დადიშკელიანი შემოდგომისთვის „აღაპს“ აპირობს თავის მეუღლის, გარდაცვალებულის კნ. ჩიჩისათვის. ამბობენ, ამ აღაპისათვის იგი სამოც ხარს, ოც ძროხას და მასთან რამოდენიმე წვრილ საკლავებს ამზადებსო“ (ნიჟარაძე 1879).

უფრო ადრე ეკატერინე დადიშკელიანი „დროებაში“ დახასიათებული ჰყავს მღვდელ მიხეილ მჭედლიძეს, რომელიც 1865 წელს, სვანეთში მღვდელმსახურებისთვის მივლინებული, ათი თვე თენგიზ და ეკატერინე დადიშკელიანების ოჯახში ცხოვრობდა: „[თენგიზს] ცოლად ჰყავს აფხაზეთის თავადთაგანი, შემკული ყოვლითა მშვენიერებითა... მე ვნატრი მისსა სარწმუნოებასა, შემკულსა კეთილითა საქმითა... ვევედრები ღმერთსა განმრავლდეს ამისი მსგავსი დედათა სქესი ქვეყანასა ზედა. ძენი ჰყავსთ ეგრეთვე შემკულნი მშვენიერებითა და ნესიერებითა“ (მჭედლიძე 1869); იქვე ავტორი აღწერს თენ-

გიზ დადიშქელიანის დიდებულ სასახლეს – „გარემემო ციხის ზღუდეებით შემოკრულს“ (წერილი დაწერილია სოფელ ფხოტრერში).

„დროებაშივე“ გამოეხმაურა ბესარიონ ნიჟარაძე 1885 წლის აპრილში თენგიზ დადიშქელიანის გარდაცვალებას:

„წრეულს, აპრილში... პირველს რიცხვებში გარდაიცვალა თ-დი თენგიზ დადიშქელიანი. მიცვალებული 50 წელს გადასული იყო და ითვლებოდა პირველ წარმომადგენლად თავის გვარეულობისა... [ცხოვრებაში] ყველაზედ უფრო სამწუხაროდ თ-დს თენგიზს სამართლიანად მიაჩნდა ის დღე (1855 წ.), როდესაც თვალ-წინ მოუკლეს მამა მისმა მეგვარეებმა – ფარის დადიშქელიანებმა – და თვითონ ორი ტყვიით მარცხენა მკლავში დასჭრეს. ამ უბედურებას არ დააჯერეს მაშინ მძლავრმა სახლიკაცებმა და განაძევეს იგი ცოლშვილიანად სვანეთიდგან. 1855-1856 წლებში თ-დი თენგიზი ცოლშვილითურთ ცხოვრობდა სამეგრელო-ლეჩხუმში მეგრელიის დედოფლის ეკატერინეს მფარველობის ქვეშ. ეს ამბავი მოხდა იმ დროს, როდესაც რუსის მართებლობა გაერია თ-დის თენგიზის და მისი სახლიკაცების საქმეში და მიიღო პირველის მხარე, როგორც დაჩაგრულია. შედეგი მთავრობის გარევისა მაჩხუბარ დადიშქელიანების საქმეებში იყო ცნობილი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თ-დის გაგარინის მოკვლა თ-დ კოსტანტინე დადიშქელიანისაგან, უკანასკნელის დახვრეტა ქუთაისში და კოსტანტინეს ძმების სამუდამოდ გადასახლება სვანეთიდან ხერსონის გუბერნიაში, სადაც დღესაც სცხოვრობენ. მოსისხარ სახლიკაცების გადასახლების შემდეგ თ-დი თენგიზ დადიშქელიანი დაბრუნდა სვანეთში, თავის მამულში, სადაც გაატარა თავის ცხოვრების დღენი“ (ნიჟარაძე 1885).

²¹ (გვ. 417) **„კონსტანტინე დადიშქელიანი 7 რიცხვში დახვრიტეს“** – ა. შჩერბაკოვის მიხედვით, კონსტანტინე დადიშქელიანი 1857 წლის 2 ნოემბერს, დილის 8 საათზე, დახვრიტეს (შჩერბაკოვი 1884^ბ: 139). დამარხეს იქვე, დახვრე-

ტის ადგილზევე. 1862 წლის გაზაფხულზე მთავრის ქვრივმა **რუსუდან (ადილხე) შარვაშიძემ** ცხედარი ნიკ. კოლიუბაკინის ნებართვით ქუთაისშივე, არქიელის გორაზე, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, გადაასვენა. გადასვენება არ იყო შეთანხმებული კავკასიის ხელისუფლებასთან, არც წინასწარ იყო გამოცხადებული და ამ ფაქტს ნიკ. კოლიუბაკინის კარიერა შეეწირა – იგი გადააყენეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობიდან და საერთოდ მოაშორეს კავკასიას. კონსტანტინე დადიშქელიანის გადასვენების ნებართვისა და გადაწყვეტილების მოტივაციის შესახებ ნიკ. კოლიუბაკინი ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს უფროსს, ალექსი კრუზენშტერნს, 1862 წლის 12 ივნისს სწერს (კრუზენშტერნი თავის 1862 წლის 30 მაისის წერილში მოითხოვდა პასუხს, თუ რატომ გასცა კოლიუბაკინმა დახვრეტილი ადამიანის გადასვენების ნებართვა მაშინ, როცა „სიკვდილით დასჯილთათვის აღკრძალულია პატიოსანი დამარხვა“):

„დატოვება თავადის კონსტანტინე დადიშქელიანის გვამისა იქ, სადაც იგი დახვრეტილ იყო, სამარცხვინო ორმოში, შეურაცხველია ჩვეულებას, ქრისტიანულ გრძნობას და არისტოკრატიულ რწმენას ქვეყნისას, და არა-თუ აღელვებდა მისს ნათესავთა, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეში, არა-თუ უწყლულებდა გულს მისს ქვეშევრდომთა, არამედ მიზეზი იყო იმისა, რომ მასთან დაკავშირებული ადგილობრივი თავად-აზნაურობა იდუმლად და გამოურკვეველად დრტივინავდა. ყოველი ესე თანაგრძნობა და გულ-მტკივნეულობა, რომელიც თან ახლდა სიკვდილით დასჯილის სამარეს, თითქოს შარავანდედით აგვირგვინებდა უცხო კანონის წამებულს მსხვერპლსა. ამგვარმა დამარხვამ გააუქმა მიმზიდველი თვისება დევნულისა ამა სოფლად... ამ სახით შესრულებულმა საეკლესიო წესმა თავადის დადიშქელიანის მიმართ მოიტანა, ჩემის აზრით, ჭეშმარიტი სარგებლობა. ხოლო, რაც შეეხება სარწმუნოების მხრით, ვფიქრობ, რომ იმ დამნაშავეის დასაფლავება, რომელიც სიკვდილის წინად სინანულით

ეამბორებოდა ჯვარ-ცმას, ყოვლად კანონიერია და მართლ-მადიდებელი სჯულის წინაშე დანაშაული მე არა მაქვს. პირიქით, თუ უფრო ღრმად ჩაუყვირდებით სარწმუნოებრივ გრძნობას, მგონია, რომ ასეთის განკარგულებით მე დავამშვიდე სული საბრალო მსხვერპლისა, რომელიც ცნობილის საყოველთაოდ და განსაკუთრებით ჩემ-მიერ თვისის ბუნების სინმინდის გამო ვერ ჩაიტანდა სამარეში ვერც სიძულვილს და ვერც შურისძიებას... ვითარცა ქრისტიანი, მე არა ვარ დამნაშავე, მე მართალი ვარ; მართალი ვარ ეკკლესიის წინაშე და გული მამხელს, რომ მართალი ვარ თვით დამნაშავის მსხვერპლის წინაშე და უეჭველად არ დამგმობს უნუგეშოდ დაშთენილი ღვთის მშობელი თვით ქვრივი განსვენებულისა“* (ცნობის ფურცელი 1902; დედანი რუსულ ენაზე იხ. აქტები 1904: 384-385).

²² (გვ. 419) **„გრაფ როზმორდიუკისა და K°-ის აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა“** – ჟანტი დე როზმორდიუკისა და მისი ქარხნის შესახებ პ. გუგუშვილი წერს: „აღსანიშნავია დ. ზუგდიდში გრაფ რ ა ზ მ ო რ დ ი უ კ ი ს მიერ 1843 წ. გახსნილი აბრეშუმის ძაფსახვევი „ფაბრიკა“. ** რაზმორდიუკმა საფრანგეთიდან გამოიწერა საჭირო იარაღ-მანქანები და ჩამოიყვანა ამ საქმის ორი სპეციალისტი ქალი; უკანასკნელთ თავისი ხელობა პირველსავე წლებში 12 ადგილობრივ ქალს ასწავლეს. თვითონაც საბოლოოდ აქ დარჩნენ – მისთხოვდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ. როგორც ჩანს, რაზმორდიუკის წამოწყებას პოზიური ნიადაგი დახვდა და იმთავითვე წარმატება ხვდა წილად.

* **დამნაშავის მსხვერპლში** აქ იგულისხმება ალ. გაგარინი, ხოლო **განსვენებულის ქვრივში** – მეუღლე ალ. გაგარინისა, ანასტასია (ტასო) დავით ორბელიანის ას. გაგარინა.

** ი. მეუნარგია სხვა თარიღს ასახელებს – დავით დადიანმა როზმორდიუკს აბრეშუმის ქარხანა 1848 წელს გაამართვინაო (მეუნარგია 1957: 174-175).

თ. ჯ.

თ. ჯ.

1852 წელს მან მოსკოვის გამოფენაზე გაგზავნა აბრეშუმის ნიმუშები (ამ ხანებში მას წლიურად 50 ფუთზე მეტი აბრეშუმის პარკი მოყავდა), რომელთაც იქ მაღალი შეფასება მიიღეს“ (გუგუშვილი 1959: 686-687; იხ. აგრეთვე: მეუნარგია 1957: 175).

ქარხანა ომერ-ფაშას შემოსევას შეენირა, თუმცა როზმორდუკი ბედს არ დანებდა, სტამბოლში ჩავიდა და საფრანგეთის იქაური ელჩის მეშვეობით ოსმალეთის ხელისუფლებას ზარალი ფულთ, 15 000 მანეთით, აზღვევინა (ბოროზდინი 1934: 48; იქვე როზმორდუკი სხვა შემთხვევებთან დაკავშირებითაცაა ნახსენები – ბოროზდინი 1934: 177-178, 293). ჟანტი დე როზმორდუკმა ზუგდიდშივე შეირთო იქაური ქალი (ჭილაია 1969: 543), ხოლო ამათი შვილი თავის მემუარებში ნახსენები ჰყავს სამსონ ფირცხალავას: „ფრანგქართველი როზმარდიუკ... ჩოხა-ახლოხში გამონყობილი, ქართულად და მეგრულად მოლაპარაკე“ (ფირცხალავა 1988: 16).

რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში გავრცელებული ვერსიის მიხედვით, როზმორდუკი ფაბრიკანტის სახელს ამოფარებული ჯაშუში იყო (გ. ძიძარია საფრანგეთის ორ აგენტს ასახელებს: კავკასიაში საფრანგეთის საკონსულოს ოფიციალურ წარმომადგენელ შამპუასოს, რომელსაც რეზიდენცია სოხუმში ჰქონდა და ჟანტი დე როზმორდუკს, რომელიც სამეგრელოში დამკვიდრდა და განსაკუთრებულ ინტერესს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მიმდინარე მოვლენების მიმართ იჩენდა – ძიძარია 2017: 147). სამეგრელოში ომერ-ფაშას შემოჭრის შემდეგ როზმორდუკი ოსმალეთის სამსახურში ჩადგა (აქტები 1888: 149-151, 163, 250; ბოროზდინი 1934: 35; ძიძარია 2017: 147), თუმცა მას ეს საქციელი – უნდა ვიფიქროთ, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე – ეპატია.

ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1606-1608, ფ. 5) დაცულია როზმორდუკის სამი ბარათი დიმ. ყიფიანისადმი (ფრანგულ ენაზე) – მიწერილი 1862-1863 წლებში.

²³ (გვ. 421) „**მთავარსარდალმა...**“ – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

²⁴ (გვ. 421) „**1856 წლის პარიზის ტრაქტატი...**“ – იგულისხმება 1856 წლის 18 (30) მარტის პარიზის საერთაშორისო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი), ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერიას, საფრანგეთს, ბრიტანეთის იმპერიას, ავსტრიასა და სარდინიის სამეფოს, აგრეთვე პრუსიას, შორის, რომლითაც 1853-1856 წწ. „ყირიმის“ ომის შედეგები გაფორმდა.

²⁵ (გვ. 421) „**ამათ სინდისს როგორც ჩვენი ჯარების, ისე საკუთრივ მეგრელების წინაშე არაერთი ცოდვა აწევს**“ – გიორგი ჩიჩუასა და მისი საძრახისი ბიოგრაფიის, აგრეთვე, ჯაიანებიდან ერთ-ერთი ძმის, გიორგის, შესახებ კ. ბოროზდინი წერს: „ზუგდიდიდან აყრის დროს გ. ჩიჩუამ პირადის მტრობით ომერ-ფაშას ორი რუსის მზვერავი იუნკერი მესხიშვილი და მილიციის პორუჩიკი ზარანოვი დააჭერინა და დაახვერტინა. მაგრამ თავადს ჩიჩუას დიდხანს არ უღიმოდა ბედი. ომერ-ფაშასთან გრაფ ჟანტი დე-როზმორდუკის მისვლა და გ. ჩიჩუას გაგდება ერთი იყო... [ომერ-ფაშას მიერ] ტიტულებითა და ორდენებით რამდენიმე თავადიშვილი იყო დაჯილდოვებული. ამათს შორის ყველაზე უფრო ომერ-ფაშა გიორგი ჯაიანს ეფერებოდა, რადგან მისის ქალის შერთვა უნდოდა ცოლად, მაგრამ ამავე დროს ხასა გაიჩინა, რომელიც 3000 მანეთად იყიდა“ (ბოროზდინი 1934: 34-35).

²⁶ (გვ. 422) „**ჩვენი მილიციის პრაპორშჩიკად, გამაცნო...**“ – *მილიცია* (ლათ. militia – მხედრობა): მთავრობის მიერ საგანგებო ვითარებაში ფორმირებული არარეგულარული (მათ შორის, მოხალისეებისაგან შემდგარი) სახალხო ლაშქარი (*მილიციელი* – სახალხო მოლაშქრე).

²⁷ (გვ. 424-425) „**ყოველივე ამას, აი, რა მოჰყვა ... შესაბამის ხელმძღვანელობას გადავცემ**“ – ეს აბზაცი ხელნაწერში

გადახაზულია. უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანმა ეს ამბავი *ხელმძღვანელობას* აღარ გადასცა და აბზაცი ამიტომ გადახაზა.

²⁸ (გვ. 425) „**მდინარეების, ხოპისა...**“ – მდინარე *ხოპისწყალი* (ადრინდელ წყაროებსა და ლიტერატურაში *ხოპი* მოიხსენიება *ხოფის/ხოპის* სახელწოდებით: მდინარე ხოფი/ხოპი; ხოფის/ხოპის მონასტერი და სხვ.).

²⁹ (გვ. 425) „**სოფლების, ჭალადიდისა და დარჩენის...**“ – სოფელი *დარჩელი* (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) დიმ. ყიფიანის ამ და სხვა ტექსტებში (მაგალითად, ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №425 და სხვ.) იხსენიება *დარჩენის* სახელწოდებით (ასე იხსენიება, სხვათა შორის, ეს სოფელი XIX ს. რუსულ წყაროებშიც. მაგალითად, აქტები 1888: 108, 109 და სხვ.).

³⁰ (გვ. 426) „**მიჯნები არასწორად იყო დადებული...**“ – *ჭალადიდის საზღვრებთან* დაკავშირებით დავა ჰქონდა დათა გურიელსაც. 1857 წლის 9 დეკემბერს დიმ. ყიფიანი ნიკ. კოლიუბაკინს სწერს: „ჭალადიდელმა ნაფიცმა პირებმა ა. თ. 7 რიცხვში უჩვენეს, რომ გურიისა და, კერძოდ, მალთაყვის მხრიდან ჭალადიდის საზღვართან დაკავშირებით დავობს დათა გურიელი და ამ საქმეს პირადად არჩევდა ან განსვენებული მთავარი დავითი [დადიანი]“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №406. ფ. 1).

³¹ (გვ. 427) „**მთავრის მფლობელობაში მათი გადარიცხვის საქმე ჯერ დასრულებული არ არის...**“ – სამეგრელოში ომერ-ფაშას ყოფნისას სამურზაყანოელი ანჩაბაძეები, რომელთა მფლობელობაში დარჩელიც შედიოდა, დამპყრობთა სამსახურში ჩადგნენ (აქტები 1888: 279). ომერ-ფაშას განდევნის შემდეგ ეკატერინე დადიანმა კონფისკაცია უყო ანჩაბაძეების დარჩელის მამულს და იგი სამთავრო მფლობელობაში გადარიცხა (კონფისკაციას მხოლოდ სამეგრელოში ომერ-ფაშას შემოჭრამდე გარდაცვლილი მურზაყან ანჩაბაძის ობლები გადაურჩნენ – მათ თავიანთი წილი მამულისა შეუნარჩუნდათ). როცა დიმ. ყიფიანი წინამდებარე დღიურს წერდა, კავკასიის ხელისუფლებას ეკატერინე დადიანის გადანყვეტილების კანო-

ნიერების განხილვა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული (დიმ. ყიფიანისა და ნიკ. კოლიუბაკინის მიმონერა ანჩაბაძეთა დარჩელის მამულის შესახებ იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №425. ნაბეჭდი, გვ. 15-16).

³² (გვ. 428) „...კერძოდ – ცხენისწყლისპირში“ – დედანში: *Усть-Цхенисцакали* (ფ. 30). ეს უნდა იყოს ადგილი (სამხედრო პო-ზიცია) საჭილაოს სოფელ *ქვიშანჭალასთან* (ყოფილი ორპირი). სხვა ტექსტში („მიხიელ შარვაშიძის საქმე“) დიმ. ყიფიანი წერს: „...თ-დი მუხრანსკი ამჟამად ორპირში, ანუ ცხენისწყლისპირას, იმყოფება“ (ყიფიანი 2019: 80).

³³ (გვ. 428) „ჩვენებები მივიღეთ საჭილაოს მცხოვრებლე-ბისაგან“ – სოფ. *საჭილაო*, ამჟამად სოფ. *პირველი მაისი* აბა-შის მუნიციპალიტეტში.

³⁴ (გვ. 429) „...კნინა ლისა აბაშიძის გაჭირვებული მდგო-მარეობა“ – *კნინა ლისა აბაშიძე*: სოლომონ I-ის შვილიშვილის, 1819-1820 წლის იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურისა და იმერეთის ტახტის ყველაზე რეალური პრეტენდენტის, ივანე (იოანე) ქაიხოსროს ძე აბაშიძის, მეუღლე *ელისაბედ (ლისა) სიმონ III გურიელის ასული აბაშიძე*. ელისაბედ აბაშიძე ხანგრძლივი რეპრესიების შემდეგ სიცოცხლის ბოლო წლებში ქუთაისში უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. 1858 წლის 15 იანვარს დიმ. ყიფიანი მეფისნაცვლის კანცელარიის დირექ-ტორს, ვასილ ინსარსკის, ქუთაისიდან თბილისში სწერს (წერი-ლი რუსულ ენაზეა. ვიმონებთ შემოკლებით):

„ქუთაისში ცხოვრობს 75 წლის კნინა აბაშიძე – ღვიძლი და გურიის უკანასკნელი მთავრისა (მამია V გურიელის – თ. ჯ.) და ქვრივი პოლკოვნიკ ივანე აბაშიძისა, რომელიც დამნა-შავედ იქნა ცნობილი 1820 წლის არეულობაში და ამის გამო ამ მხარეში ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი საგვარეულო მამულები ჩამოერთვა... – 1820 წლიდან მოხუცებული კნინა განიცდის გაჭირვებას, რომელსაც ის სრულიად მოუზმადებელი შეხვდა და ამ გაჭირვებაში ძლივძლივობით გამოზარდა ორი ვაჟიშვი-

ლი. ისინი, რასაკვირველია, არ იყვნენ მამის პოლიტიკური დანაშაულის თანამონაწილენი და კნენინა სწორედ მათგან მოელოდა სიბერეში მოვლა-პატრონობას. თუმცა ამ ვაჟიშვილებიდან ერთს, კავალერიის მაიორს, თვითონ ძლივს გააქვს თავი თავისი მწირი შემოსავლით – 600 მან. პენსიით... მეორეს... 400 მანეთის მემკვიდრეობითი შემოსავალი ერგო, მაგრამ სწეულია, გამუდმებით ავადმყოფობს და მთელი ეს ფული აფთიაქებში ეხარჯება. – თვითონ მოხუცებულ კნენინასაც სულს იქით არაფერი აბადია, გარდა წელიწადში 400 მანეთისა, რაც საკმარისია მხოლოდ საკვებისთვის და იმ ხუთიოდე მოსამსახურის შესანახად, რომელთა გარეშე ღვიძლი და მთავრისა და მეფის (სოლომონ I-ის – თ. ჯ.) რძალი თავს ვერ გაიტანს. იგი ცხოვრობს ხის სახლში, რომელიც ოდესღაც კერძო ქველმოქმედების სახითაა შეძენილი და იმდენად ძველია, რომ კარგა ხნის წინ ჩამოიშლებოდა, და შიგ მცხოვრებთაც მოიყოლებდა, ასევე ქველმოქმედის მიერ ბიჯგებით რომ არ იყოს გამაგრებული... – მოხუცებული კნენინა, სწეულებისგან დაუძღვრებული, დახმარებისათვის ხელს იწვდის და სად? – მხარეში, სადაც მოწყალეებს არავინ ითხოვს და სადაც ამგვარი თხოვნის საჭიროება საერთოდ არ არსებობს. – საჭიროა გაფანტვა აზრისა, რომ გულგრილად ეკიდებიან გაჭირვებულებს და თანაგრძნობას არიან მოკლებულნი ისინი, რომლებიც თანაგრძნობას იმსახურებენ. – ნუ დაიზარებთ კეთილ საქმეს – დაეხმარეთ კნენინა ლისა აბაშიძეს; დაეხმარეთ თუნდაც თვეში 50 მანეთით... – ვინაიდან ფული არ მქონდა, მე მას ჩემს განკარგულებაში გადმოცემული საათებიდან ერთ-ერთი ვაჩუქე. თქვენ რომ მისი მადლიერების გამომხატველი ცრემლები გენახათ, ადვილად გაიგებდით უბედური კნენინას აუტანელ მდგომარეობას“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №735. ფ. 2).

³⁵ (გვ. 429) „თავად ალექსი დგებუაძის მიერ ელისაბედელიავას მოტაცების გამო სისხლის სამართლის წესით მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებული გარემოებები“

– ავტორს მხედველობაში აქვს თავის დროზე გახმაურებული ამბავი – მეგრელი თავადის, ალექსი დგებუაძის, მიერ იმერელი აზნაურიშვილის, ელისაბედ ელიავას, მოტაცების ისტორია. ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში, დაცულია დიმ. ყიფიანის დაუმთავრებელი პიესა, რომელიც შენიშვნებითა და კომენტარებით გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ (ყიფიანი 2021: 237-278, 419-435). იქვეა დაცული მრავალფეროვანი მასალა ამ საქმის შესახებ. აქ კი შემოკლებულად დავიმონებთ მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორ ვასილ ინსარსკისადმი დიმ. ყიფიანის 1858 წ. 14 იანვრის წერილს, რომელშიც ალექსი დგებუაძის მიერ ელისაბედ ელიავას მოტაცებისა და ამ ისტორიის დრამატული გაგრძელების ძირითადი და არსებითი მნიშვნელობის მომენტები ადგილ-ადგილ იუმორნარევი კილოთია გადმოცემული (წერილი რუსულ ენაზეა. თარგმანი ჩვენია):

„გასული 1857 წლის დასაწყისში* მეგრელმა თავადმა ალექსი დგებუაძემ იმერელ აზნაურს, დათა ელიავას, ქალიშვილი მოსტაცა და მასზე ჯვარი დაიწერა... – რომანის გმირის წინააღმდეგ კანონის მთელი სიმკაცრით შეიარაღდნენ: ერთი მხრივ, პატარძლის მშობლები; მეორე მხრივ, მათი მხარდამჭერი სასულიერო მმართველობა; მესამე მხრივ, ორივე ზემოჩამოთვლილი მხარის ქომაგად დამდგარი საპოლიციო ხელმძღვანელობა... ახალგაზრდა კაცი სამურზაყანოში გაიჭრა და იქაურ ტყეებს მისცა თავი. ახალგაზრდა დამა მშობლებს დაუბრუნეს. აქაოდა ძალდატანებით მოხდა და, ამდენად, უკანონოაო, სამეგრელოს ეპისკოპოსმა (თეოფანე გაბუნია – თ. ჯ.) ჯვრისწერა როგორც *de jure*, ისე *de facto* ადგილზევე გააუქმა.

